



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა  
ИЗДАТЕЛЬСТВО ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА

ოთარ ჯაფარიძე

ქართველ ტომთა  
ეთნიკური ისტორიის  
საკითხისათვის

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით



ნაშრომში ქართველ ტომთა წარმომავლობის საკითხები განხილულია არქეოლოგიური მასალების შუქზე. ავტორის აზრით, ქვის ხანის ბოლოსათვის, V—VI ათასწლეულებში, ძირითადად უნდა დასრულებულიყო კავკასიის კულტურული და ეთნიკური ერთობის დაშლის ხანგრძლივი პროცესი, რომლის შედეგადაც ჩამოყალიბდა კავკასიის მოსახლეობის ძირითადი ჯგუფები.

წიგნში დიდი ადგილი ეთმობა კავკასიაში III ათასწლეულში შექმნილ ვითარებას. ამ პერიოდში აქ ორი დიდი კულტურა ყალიბდება: მტკვარ-არაქსისა და მაიკოპის, განხილულია ამ კულტურათა წარმომავლობის, გავრცელების და სხვა საკითხები.

წიგნი განკუთვნილია ისტორიკოსებისა და აღნიშნული პრობლემით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1976

## შესავალი

ქართველი ხალხის წარმოშობისა და პირველსაცხოვრების საკითხი ყოველთვის იწვევდა მკვლევართა დიდ ინტერესს და ამასთან დაკავშირებით არა ერთი და ორი მოსაზრება გამოთქმული. მაგრამ ყველაზე გავრცელებული შეხედულება მაინც ის არის, რომ კავკასიური ტომები და მათ შორის ქართველთა წინაპრები კავკასიაში სამხრეთიდან მოსულან<sup>1</sup>. ამ მოსაზრებას იზიარებდა აკად. ივ. ჯავახიშვილი. იგი არა მარტო ქართველთა წინაპრებს თვლიდა სამხრეთიდან მოსულებად, არამედ სხვა კავკასიურ ტომებსაც, რომლებსაც მათ მონათესავე ტომებად მიიჩნევდა<sup>2</sup>. ეთნოგენეზის საკითხების კვლევა ძირითადად ენათმეცნიერულ მონაცემებზე და ძველ ლიტერატურულ ტრადიციებზე იყო დაფუძნებული.

უკანასკნელი ოთხი ათეული წლის მანძილზე კავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში ფართოდ გაშლილი არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად დადგინდა კაცობრიობის განვითარების თითქმის ყველა საფეხური. ამას, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა ქართველი ხალხის წარმოშობასა და პირველსაცხოვრისზე არსებული შეხედულების გადასინჯვა არ გამოეწვია. თანდათანობით იცვლებოდა მოსაზრება ქართველთა სამხრეთიდან გადმოსახლების შესახებ. იყო ცდა არქეოლოგიური კულტურის გარკვეულ ეთნიკურ ჯგუფთან დაკავშირებისა<sup>3</sup> და გავრცელდა შეხედულება, რომლის მიხედვითაც ქართველთა წი-

---

<sup>1</sup> Н. Я. Марр, Кавказоведение и абхазский язык. Современная летопись. Новая серия, LXIII, № 5, 1916, стр. 13; Ег о ж е, Яфетический Кавказ и третий этнический элемент в созидаии средиземноморской культуры, Лейпциг, 1920, стр. 28; ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე, მასალები ქართველი ხალხის ეთნოგენეზისათვის XIX ს. ქართულ ისტორიოგრაფიაში, მცნე, 4, თბილისი, 1969, გვ. 5.

<sup>2</sup> И. А. Джавахишвили, Основные историко-этнологические проблемы истории Грузии, Кавказа и Ближнего Востока древнейшей эпохи; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, 1, თბილისი, 1950, გვ. 247.

<sup>3</sup> ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, თუბალ-თაბალ, ტიბარენი, იბერი, ენიშკის მოამბე, 1, 1937, გვ. 240; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველოს ისტორია, თბილისი 1943, გვ. 13.

ნაპრები წარმოგვიდგებიან როგორც წინა აზიის უძველესი მოსახლეობა, რომელთაც ეკავათ საკმაოდ ფართო ტერიტორია კავკასიის ჩათვლით.

ამ პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. აქ მოპოვებული, აგრეთვე სხვა არქეოლოგიური მასალების შესწავლის საფუძველზე აკად. ბ. კუფტინმა აღნიშნა, რომ ქართული კულტურის უძველესი ფესვები ადგილობრივია საძებარი და ქართველი ხალხის სამშობლო სამხრეთ კავკასია უნდა ყოფილიყო<sup>4</sup>.

უკანასკნელ ხანებში არაერთი შრომა გამოქვეყნდა, სადაც განხილულია საკითხები ქართველი ტომების წარმომავლობისა და მათი პირვანდელი ადგილსამყოფელის შესახებ; ამასთან დაკავშირებით ცალკე უნდა აღინიშნოს აკად. გ. მელიქიშვილის ნაშრომები. იგი ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემას სწავლობს კავკასიისა და საერთოდ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის ჩინათლევზე. ენათმეცნიერული, არქეოლოგიური, ისტორიული და სხვა წყაროების ფართო გათვალისწინებით<sup>5</sup>. უკანასკნელ დროს გამოცემულ ნაშრომში გ. მელიქიშვილი ამ საკითხების კვლევას საკმაოდ შორეული პერიოდიდან იწყებს, საერთო-ქართველური ეპოქის დონიდან და ფიქრობს<sup>6</sup>, რომ ამ დროისათვის, ე. ი. ძვ. წ. III ათასწლეულში, ქართველური ჯგუფების ადგილსამყოფელი თამამად შეიძლება კავკასიის მიწა-წყალზე ყოფილიყო<sup>7</sup>. თუმცა ზოგიერთი მკვლევარი ქართველთა წინაპრებს სამხრეთიდან მოსულებად თვლის<sup>8</sup>.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ეთნიკური საკითხების კვლევა საკმაოდ რთული და სიძნელო საქმეა, თანაც, თუ ეს შორეულ პერიოდებს ეხება. საზოგადოების განვითარების მანძილზე ეთნიკური ისტორიის შესწავლის შესაძლებლობა ყოველთვის ერთნაირი არ არის. ადრეული ეპოქებისათვის ჩულ უფრო და უფრო იზღუდება ეთნიკური საკითხების კვლევისათვის საჭირო მასალა. რაც უფრო შორს ვიჭრებით ისტორიის სიღრმეში მით უფრო რთულდება ეთნოგენეზის პროცესის შესწავლა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ საზოგადოების განვითარების გარკვეული პერიოდებისათვის ჯერ კიდევ ვერ ხერხდება ჯე-

<sup>4</sup> Б. А. Куфтин, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, საქ. მეზ. მოამბე, ტ. XII — В. თბ., 1944, გვ. 333; Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 г. в Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси, 1949, стр. 5.

<sup>5</sup> Г. А. Меликишвили, К истории Древней Грузии, Тбилиси, 1959, стр. 62.

<sup>6</sup> გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბილისი, 1965, გვ. 48.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 71.

<sup>8</sup> M. Tsereteli, Zur Frage der Verwandtschaft des Georgischen, Revue de Karthvelologie, XXI—XXII, Paris, 1966, 137;

Л. Н. Соловьёв, Новый памятник культурных связей Кавказского Причерноморья в эпоху неолита и бронзы — стоянки Воронцовской пещеры. Труды Абхазского института языка, литературы и истории, XXIX, Сухуми, 1958, стр. 163.

როვნად წარმოდგენა ეთნიკური საკითხების კვლევისათვის საჭირო ისეთი მასალისა, როგორც ენაა. ამ შორეული ეპოქისათვის ძირითადი დასაყრდენი არქეოლოგიური მონაცემებია. მაგრამ შეიძლება კი მატერიალური კულტურის შესწავლის საფუძველზე ეთნოგენეზის პროცესის ადრეული საფეხურების აღდგენა?

ბოლო დროს არქეოლოგიურ ლიტერატურაში ყურადღება მიექცა ქვის ხანის კულტურებისა და ეთნიკური ერთობის მიმართების საკითხს<sup>9</sup>. გამოითქვა მოსაზრება, რომ ქვის ხანის არქეოლოგიური კულტურის თავისებურება შესაძლოა უკვე ასახავდეს ეთნიკურ სხვაობას და ლოკალური თავისებურებების შესწავლის საფუძველზე შეიძლება აღდგენილ იქნეს უძველესი ეთნიკური ჯგუფების განსახლება<sup>10</sup>. მართალია, ამ ადრეული დროისათვის ჯერ კიდევ გათვალისწინებული ვერ იქნება ლინგვისტური მონაცემები, მაგრამ ეთნიკური თავისებურება მხოლოდ ერთ არ იფარგლება, იგი მოიცავს აგრეთვე სხვა ელემენტებსაც, კერძოდ, სულიერსა და მატერიალურ კულტურას<sup>11</sup>. მათი აღდგენა კი ხერხდება ძირითადად არქეოლოგიური მასალების საფუძველზე. პირველყოფილი საზოგადოების განვითარების გარკვეული საფეხურისათვის ეს მონაცემები ეთნოგენეზის საკითხების კვლევის ძირითადი წყაროა. მართალია, ამ საკითხებთან დაკავშირებით შესაძლოა ჯერ კიდევ ყველაფერი ნათელი არ არის, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ არქეოლოგიური კულტურა, განსაკუთრებით განვითარების ადრეულ საფეხურზე, გარკვეულ ეთნოსს უკავშირდება<sup>12</sup>. მსგავსი არქეოლოგიური კულტურები შესაძლოა უკვე ასახავდეს მონათესავე ეთნიკურ ჯგუფებს; კულტურული ერთობა — ეს ეთნიკური ერთობაა<sup>13</sup>. ამასთანავე კარგად ჩამოყალიბებულ არქეოლოგიურ კულტურას უნდა შეესაბამებოდეს აგრეთვე ენაც<sup>14</sup>. როგორც ჩანს, ადრეულ საფეხურზე ენობრივი და ეთნიკური ერთობები ერთიმეორის შესაბამისი უნდა ყოფილიყო. ეთნიკური ერთობა თავდაპირველად ყალიბდებოდა ადამიანთა იმ ცალკეულ ჯგუფებს შორის, რომლებიც ახლო კავშირში იყვნენ ერთმანეთთან, ურთიერთობის საშუალება კი ენა იყო<sup>15</sup>. მაგრამ შემდგომში ენობრივ და კულტურულ ერთობათა დამოკიდებუ-

<sup>9</sup> А. А. Формозов, Могут ли служить орудия каменного века этническим признаком, СА, 4, Москва, 1957, стр. 68.

<sup>10</sup> А. А. Формозов, Этнокультурные области на территории европейской части СССР в каменном веке, Москва, 1959, стр. 11; А. Я. Брюсов, Археологические культуры и этнические общности, СА, XXVI, Москва, 1959, стр. 6.

<sup>11</sup> М. И. Артамонов, К вопросу о этногенезе в советской археологии, КСИИМК, вып. XXIX, М.-Л., 1949, стр. 10; И. С. Каменецкий, Археологическая культура — ее определение и интерпретация, СА, 2, Москва, 1970, стр. 32.

<sup>12</sup> И. С. Каменецкий, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

<sup>13</sup> М. И. Артамонов, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

<sup>14</sup> А. П. Смирнов, К вопросу о археологической культуре, СА, 4, М., 1964, стр. 8.

<sup>15</sup> А. Л. Монгайт, Археология Западной Европы, М., 1973, стр. 80.

ლება სულ უფრო და უფრო იცვლება; თანდათანობით იკარგება და იშლება ადრე მათ შორის არსებული შესატყვისობა<sup>16</sup>. ზოგიერთი მკვლევარი იმასაც აღნიშნავს, რომ გარკვეულ ტერიტორიაზე გამოვლენილი კულტურა უნდა ასახავდეს ეთნოლინგვისტურ ჯგუფს და, თუ არ შეინიშნება მკვეთრი ცვლილება, წყვეტილი მასალაში, მაშინ შეიძლება დაეუშვათ, რომ ეს არქეოლოგიური კულტურა მიეკუთვნება იმ ხალხს, რომელიც აქ ისტორიულ ხანაში ჩანს<sup>17</sup>. მართალია, ძალიან გაკირდება გარკვეულ ტერიტორიაზე მოსახლე თანამედროვე ხალხების წინაპრები უშუალოდ ქვის ხანიდან გამოვიყვანოთ<sup>18</sup>. დროის ამ დიდ მანძილზე უთუოდ ადგილი ექნებოდა ეთნიკური ჯგუფების გადაადგილებას. ახლის შემოქრას, გადასახლებებს, შერევას და სხვ. მაგრამ, ვფიქრობთ, თუ გარკვეულ ტერიტორიაზე კულტურის განვითარებაში არ შეინიშნება მაინცადა მაინც მნიშვნელოვანი გარდატეხა, მაშინ შეიძლება დაეუშვათ, რომ აქ არც ეთნიკურ შემადგენლობაში მომხდარა რაიმე მკვეთრი ცვლილებები და საბოლოოდ ადგილობრივი ეთნიკური ჯგუფი გამარჯვებულთ გამოვიდა. ამრიგად, არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე შესაძლებელი ხდება თვალი გავადევნოთ ეთნოგენეზის პროცესს კაცობრიობის ისტორიის საკმაოდ ადრეული პერიოდიდან. ეგებ ცოტა გადაჭარბებული იყოს, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ ეთნიკური თავისებურებების შესწავლის საქმეში არქეოლოგია ისეთივე როლს ასრულებს წარსული ეპოქებისათვის, როგორსაც ეთნოგრაფია თანამედროვე სინამდვილისათვის<sup>19</sup>, თუმცა პირველს უფრო მეტი სირთულეების გადალახვა უხდება<sup>20</sup>.

არის პერიოდი კაცობრიობის ისტორიაში, როდესაც არქეოლოგიაც უძლურია რაიმე თქვას ეთნიკურ საკითხებთან დაკავშირებით. ძველი ქვის ხანის ადრეულ საფეხურზე, ქვედა პალეოლითში ეთნიკურ თავისებურებებზე და საერთოდ რაიმე ნიშანზედაც შეუძლებელია ლაპარაკი. ქვის ინდუსტრიის დასაწყის ხანაში ქვის იარაღი იმდენად პრიმიტიული, ერთგვაროვანი იყო, რომ ჯერ კიდევ ვერ ხერხდება კულტურაში რაიმე თავისებურების დადგენა<sup>21</sup>. აღამიანთა ცალკეული ჯგუფები მეტისმეტად სუსტად იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირე-

<sup>16</sup> Н. Н. Чебоксаров, Проблемы происхождения древних и современных народов. VII международный конгресс антропологических и этнографических наук. Москва, 1964, стр. 5.

<sup>17</sup> Г. С. Кнабе, Вопрос о соотношении археологической культуры и этноса. в. современный зарубежной литературе, СА, 3, Москва, 1959, стр. 248.

<sup>18</sup> А. А. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 109.

<sup>19</sup> М. И. Артамонов, Этнос и археология. Теоретические основы советской археологии. Ленинград, 1969, стр. 5.

<sup>20</sup> П. Н. Третьяков, Археологические культуры и этнические общности. Теоретические основы советской археологии, Ленинград, 1969; стр. 29;

<sup>21</sup> А. А. Формозов, Проблема локальных различий в древнем палеолите СССР. Советская антропология, I, Москва, 1958, стр. 33.

ბული<sup>22</sup>. ამ პირველყოფილი ჯოგის რიცხვიც არ იყო მყარი. საარსებო საშუალების მოპოვება შემთხვევითობაზე იყო დამყარებული. ძნელბედობის პირობებში ჯგუფი კიდევ უფრო წვრილ ერთეულებად იშლებოდა. ეკონომიური კავშირი ამ ცალკეულ ჯგუფებს შორის არ იყო, იგი ადვილად იყოფოდა<sup>23</sup> და თითქმის აღარაფრით აღარ უკავშირდებოდა იმ კოლექტივს, საიდანაც იგი გამოიყო. მართალია, ამ ადრეულ ხანაში პირველყოფილი ადამიანი უკვე საკმაოდ ფართო ტერიტორიაზე განსახლებული, მაგრამ მოსახლეობა მაინც ჯერ კიდევ ძალზე თხელი და კონტაქტებიც ცალკეულ ათვისებულ ოლქებს შორის ძნელი იქნებოდა<sup>24</sup>. უკვე ამ დროს, პითეკანთროპის, სინანთროპის და ნეანდერტალელის ხანაში, ჩნდება საჭიროება ერთმანეთთან კავშირის, ურთიერთგაგებისა. მაგრამ ბგერითი მეტყველება ჯერ კიდევ დანაწევრებული არ უნდა ყოფილიყო<sup>25</sup>. დანაწევრებული ბგერითი ენა ჩნდება ძველი ქვის ხანის გვიანდელ საფეხურზე, ზედა პალეოლითში, გვაროვნული საზოგადოების დასაწყისში, თანამედროვე ტიპის ადამიანის ჩამოყალიბების ხანაში<sup>26</sup>.

პირველყოფილ-თემურ პერიოდში ეთნიკური ერთობის ძირითად კატეგორიას ტომი, მონათესავე ტომთა ჯგუფები, შემდეგში კი ტომთა კავშირები წარმოადგენდა<sup>27</sup>. გვარი და ტომი ქვის ხანის გვიანდელ საფეხურზე, ზედა პალეოლითში საკმაოდ მყარი ერთეული იყო. ეკონომიკა, საქორწინო ურთიერთობა და სხვა ფაქტორები თანდათანობით ხელს უწყობდა ეთნიკური ნიშნების ჩამოყალიბებას<sup>28</sup>. ამ დროს საზოგადოებაში მოქმედებს როგორც დიფერენციაციის, ისე ინტეგრაციის პროცესები<sup>29</sup>. არ იქნებოდა მართებული გვეფიქრა, რომ ადრეგვაროვნული საზოგადოების ხანაში მხოლოდ დიფერენციაციის პროცესი მიმდინარეობდა<sup>30</sup>. ამ პერიოდში უკვე ხდება არქეოლოგიური კულტურების და შესაბამისად სხვადასხვა ეთნიკური ერთობების ჩამოყალიბება<sup>31</sup>. ეს.

<sup>22</sup> М. И. Артамонов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 8.

<sup>23</sup> П. Н. Третьяков, *Этногенетический процесс и археология*, СА, 4, М., 1962, стр. 12.

<sup>24</sup> А. А. Формозов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 33.

<sup>25</sup> А. С. Чпкобава, *Введение в языкознание*, I, Москва, 1952, стр. 130; В. В. Бунак, *Происхождение речи по данным антропологии*, Труды Ин-та этнографии. Новая серия, т. XVI, Москва, 1951, стр. 280.

<sup>26</sup> В. В. Бунак, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 280.

<sup>27</sup> А. П. Монгайт, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 78.

<sup>28</sup> М. И. Артамонов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 8.

<sup>29</sup> А. А. Формозов, *Этнокультурные области на территории европейской части СССР в каменном веке*, стр. 115; Р. И. Аванесов, *Общеприродный язык и местные диалекты*, Москва, 1954, стр. 7.

<sup>30</sup> Т. С. Шарадзенидзе, *Процессы дифференциации и интеграции языков*, ВЯ, I, Москва, 1952, стр. 77; П. Н. Третьяков, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 12.

<sup>31</sup> А. Н. Рогачев, *Некоторые вопросы изучения эппалеолита Восточной Европы*, МИА, 126, М.-Л., 1966, стр. 12.

პროცესი კიდევ უფრო შესამჩნევი ხდება ძველი ქვის ხანიდან ახალი ქვის ხანაზე გარდამავალ პერიოდში, მეზოლითის დროს<sup>32</sup>. საერთო ნიშნები მატერიალურ კულტურაში ამ დროს გარკვეულ ეთნიკურ ერთობას მიუთითებს<sup>33</sup>.

ლიფერენციაციის პროცესი კიდევ უფრო შესამჩნევი ხდება ახალი ქვის ხანაში, როდესაც ეკონომიკის ახალ ფორმაზე — მითვისებით მეურნეობიდან წარმოებითზე — გადასვლამ ხელი შეუწყო მოსახლეობის სწრაფ ზრდას<sup>34</sup>. იქმნება ახალახალი ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც სულ უფრო და უფრო შორდებიან ერთიმეორეს.

შემდეგში, უფრო გვიან, ბრინჯაოს ხანაში, საწარმოო ძალების ზრდა, ეკონომიური კავშირები, ვაჭრობა, ომი და სხვა ქმნიან ისეთ პირობებს, რაც ტომთა ერთმანეთთან დაახლოებას უწყობდა ხელს და თანდათანობით იქმნება ტომთა კავშირები, მსხვილი ტომობრივი გაერთიანებები. ამ პერიოდისათვის, რა თქმა უნდა, უკვე ინტეგრაციის პროცესი გამოდის უპირატესი. მონათესავე ტომებისაგან შემდგარი კავშირი გარკვეული ხნის შემდეგ ეროვნებას წარმოშობს, საერთო ენითა და დიალექტებით. მონათესავე ტომების განფენას, სათანადო პირობებში, შეიძლება დამოუკიდებელი სატომო ჯგუფები წარმოექმნა და საბოლოოდ მონათესავე ეროვნებები ჩამოყალიბებულიყო<sup>35</sup>. ამ მონათესავე ჯგუფების გათიშვა, ზოგჯერ ხანგრძლივი პროცესი იყო და იზოლაციისათვის ხელსაყრელ პირობებში ისინი უკვე ძლიერ დაცილებული ჩანან. საერთო ფუძე-ენიდან წამოსული მათი ენები უკვე იმდენადაა დამორბეული, რომ ძნელდება მონათესაობაზე რაიმეს გარკვევით თქმა<sup>36</sup>.

ამრიგად, ეთნოგენეზის საკითხის კვლევა, თუ არქეოლოგიური მასალა ამის შესაძლებლობას იძლევა, ადრეული პერიოდიდან უნდა დავიწყოთ. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ და მხედველობაში მივიღოთ ზემოთ თქმული არქეოლოგიური კულტურისა და ეთნოსის მიმართების საკითხი. კავკასიაში ადრე ისახება ადამიანთა საზოგადოება და კულტურის განვითარებაში არ შეინიშნება მაინცა და მაინც მკვეთრი ცვლილებები. კავკასიის ტერიტორია იყო, სადაც უნდა ჩამოყალიბებულიყო კავკასიური ეთნიკური და კულტურული ერთობა. არქეოლოგიური მონაცემები საზოგადოების ჩასახვისა და ჩამოყალიბების პროცესის აღდგენის საშუალებას იძლევა — როგორ იქმნებოდა აქ მოსახლე ტომების ერთობა და შემდეგ როგორ მიმდინარეობდა ამ ერთობის დაშლა.

<sup>32</sup> А. А. Формозов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 110.

<sup>33</sup> А. Я. Брюсов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 6.

<sup>34</sup> А. Я. Брюсов, *Очерки по истории европейской части СССР в неолитическую эпоху*, Москва, 1952, стр. 18.

<sup>35</sup> В. В. Горнунг, В. Д. Левин, В. Н. Спидоров, *Образование и развитие языковых семей*, ВЯ, I, Москва, 1952, стр. 50.

<sup>36</sup> იქვე.

## 1 თ ა ვ ი

### კავკასიის უძველესი მოსახლეობის კულტურული და ეთნიკური ერთობის საკითხისათვის

როდის ჩნდება პირველი ადამიანი ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ჭერ კიდევ მთლად ნათელი არ არის. იმის გამო, რომ საქართველოში აღმოჩნდა ადამიანის მსგავსი მაიმუნის, უდაბნოპითეკის ნაშთი და კარგადაა ცნობილი ძველი ქვის ხანის ადრეული საფეხურის ძეგლები, ზოგიერთ მეცნიერს ამიერკავკასია შეჰყავს იმ ზონაში, სადაც მაიმუნის ფაადამიანების პროცესი მიმდინარეობდა<sup>1</sup>. თუმცა ზოგიერთი მკვლევარი ამ საკითხს ჭერ კიდევ გადაჭრილად არ მიიჩნევს<sup>2</sup>. გადაწყვეტით თქმა ამიერკავკასიაში მაიმუნის გაადამიანების პროცესის მიმდინარეობის შესახებ ჭერ კიდევ ძნელია, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ ეს ტერიტორია ადრეული ხანიდან უკვე ფართოდაა ათვისებული უძველესი ადამიანის მიერ და კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟზე წარმოქმნილი საზოგადოება შემდეგში უწყვეტად განაგრძობს აქ არსებობას.

დღეს კავკასიაში ორ ასეულზე მეტი ძველი ქვის ხანის ადრეული საფეხუ-


---

<sup>1</sup> Г. Ф. Дебеч, Территория СССР и проблема родины человека, КСИЭ, вып. XVII, 1952, стр. 17; В. П. Якимов, Ранние стадии антропогена. Труды Института этнографии, новая серия, XVI, Москва, 1951, стр. 46; ა. ლ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, საქართველოს წინაგვაროვნული საზოგადოების ისტორიისათვის, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, II, თბილისი, 1956, გვ. 215.

<sup>2</sup> В. П. Любин, Краткий очерк древнего и среднего палеолита Кавказа, Actes du IV<sup>e</sup> Congrès International de Speleologie in Jugoslavie, Ljubljana, 1969, 363.



რის, ქვედა პალეოლითის ძეგლია ცნობილი<sup>3</sup>. აქედან 130-ზე მეტი საქართველოს ტერიტორიაზე მოდის<sup>4</sup>. ეს ხანა მიეკუთვნება შორეული გამყინვარების პერიოდს, მეოთხეულ ეპოქას. ამ დროს გამყინვარება არცთუ ისე ძლიერი იყო და საერთოდ აქ კარგი ბუნებრივი პირობები უნდა ყოფილიყო უძველესი ადამიანის ცხოვრებისათვის. ქვედაპალეოლითური ხანის უადრესი ძეგლი კავკასიაში აღმოჩენილია სომხეთში, სატანიდარში, რომელსაც შელის ეპოქის გვიანდელ საფეხურს მიაკუთვნებენ. ამავე პერიოდს გამოპყოფს ზოგიერთი ავტორი აგრეთვე სოხუმის მახლობლად იაშთხვაში აღმოჩენილ მასალებში<sup>5</sup>. თუმცა



სურ. 1. შელისა და აშელის ხელნაჯახები სატანიდარიდან.

მკვლევართა უმრავლესობა მას უფრო გვიანდელი აშელის ეპოქის სადგომად მიიჩნევს<sup>7</sup>. ახლახან გამოსულ ნაშრომში ვ. ლუბინმა, რომელიც ადრე ამიერკავკასიას გაადამიანების ზონად მიიჩნევდა<sup>8</sup>, გამოთქვა მოსაზრება, რომ კავკა-

<sup>3</sup> В. П. Любим, Изучение нижнего палеолита Кавказа, КСИИ, вып. 118, Москва, 1969, стр. 15.

<sup>4</sup> А. Н. Каландадзе, Разыскания по археологии доантичной Грузии, Автореферат, Тбилиси, 1969, стр. 12.

<sup>5</sup> Л. И. Маруашвили, Целесообразность пересмотра существующих представлений о палеогеографических условиях ледникового времени на Кавказе, Тбилиси, 1956, стр. 96; Д. В. Церетели, Пленстоценовые отложения Грузии, Тбилиси, 1966, стр. 496.


<sup>6</sup> Л. Н. Соловьев, Первобытное общество на территории Абхазии. Сухуми, 1971, стр. 27, 35.

<sup>7</sup> И. И. Коробков, Итоги пятилетних исследований Яштухского палеолитического местонахождения, СА, 4, Москва, 1967, стр. 201.

<sup>8</sup> В. П. Любим, Каменный век Юго-Осетии. Автореферат, Ленинград, 1953, стр. 5.

სიაში პირველი ადამიანი უნდა გამოჩენილიყო სამხრეთიდან შედარებით გვიან, აშელის ეპოქაში, და სატანიდარის ადრეული თარიღი ექვეს ქვეშ დააყენა<sup>9</sup>.

აშელის ეპოქიდან ამიერკავკასია საკმაოდ მკიდროდ დასახლებული ჩანს. ნიშანდობლივია, რომ უკვე შუა აშელის ეპოქიდან მოკიდებული მაღალმთიანი ზოლის ათვისება ხდება<sup>10</sup>. მარტო საქართველოს ტერიტორიაზე სადღეისოდ 40-ზე მეტი აშელური პერიოდის ძეგლია ცნობილი. აფხაზეთის მასალების სა-



სურ. 2. აშელური ბელნაჩაბები: 1. იაშთხვიდან, 2. ჩრდილო კავკასიიდან.

ფუძველზე აღინიშნა, რომ აშელის ეპოქა აქ ადგილობრივი წარმოშობისაა და მას გარკვეული გენეტიური კავშირი ჰქონია ანატოლიის ზღვისპირა რაიონებთან<sup>11</sup>. კიდევ უფრო ფართოდ ითვისებს ადამიანი კავკასიას მომდევნო, მუსტიეს ხანაში. ამ პერიოდის ადამიანის კვალი თითქმის მთელ საქართველოში გვხვდება<sup>12</sup>. აშელურ-მუსტიერული კულტურის ძლიერი კერა ჩანს ყუბანისპირეთში<sup>13</sup>,

<sup>9</sup> В. П. Любин, Изучение нижнего палеолита Кавказа, стр. 15.


<sup>10</sup> В. П. Любин, Первобытный человек в горах Большого Кавказа, КСИИ, 131, Москва, 1972, стр. 26.

<sup>11</sup> И. И. Коробков, К вопросу о дивергентном характере древнепалеолитических индустрий, VII международный конгресс доисториков и протонисториков. Москва, 1966, стр. 7.

<sup>12</sup> А. Н. Калагдадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

<sup>13</sup> А. А. Формозов, Каменный век и энеолит Прикубанья, Москва, 1965, стр. 9; М. З. Паничкина, Новые нижнепалеолитические местонахождения левобережных притоков р. Кубани. Сборник материалов по археологии Адыген. Майкоп, 1961, стр. 20.

აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ადგილებში<sup>14</sup>. ძველი ქვის ხანის ადრეულ საფეხურზე, ქვედა პალეოლითის დროს კავკასიონის ქედის ორივე მხარეზე უნდა არსებულიყო ხელსაყრელი პირობები პირველყოფილი ადამიანის განსახლე-



სურ. 3. აშელური ხელნაჯახები საქართველოდან

<sup>14</sup> В. П. Любнн, Новое о нижнем палеолите Северной Осетии, КСИА, вып. 92, Москва, 1962, стр. 36.

ბისათვის<sup>15</sup>. ამ ეპოქის ძეგლები აღმოჩენილია თითქმის ყველა კლიმატურ-ლანდ-შაფტურ ზონაში როგორც დაბლობ, ისე საკმაოდ მაღლობ ადგილებში<sup>16</sup>. აღსანიშნავია, რომ გვიანაშელური ხანის ძეგლები (კუდაროსა და წონის ძლივითაა ჯგუფები) გვხვდება ზღვის დონიდან 2000 მ სიმაღლეზე. ამ დროის ძეგლთა ასეთ დიდ ზომას აღმოჩენის ეს პირველი შემთხვევაა არა მარტო კავკასიაში. არამედ საერთოდ მსოფლიოში<sup>17</sup>. როგორც ჩანს, ადრე პალეოლითის ხანაში პირველყოფილ ადამიანთა ჯგუფების ინფილტრაცია ჩრდილოეთ კავკასიაში სამხრეთიდან ხდება<sup>18</sup>. ყუბანისპირეთში ნაპოვნი ქვედაპალეოლითური ძეგლები ახლოს დგანან დასავლეთ საქართველოს მასალებთან. ჩანს, პირველი მოსახლეობა აქ შავი ზღვის სანაპიროდან უნდა მოხვედრილიყო<sup>19</sup>. უძველესი ადამიანის გამოჩენას სამხრეთ რუსეთში ზოგიერთი მკვლევარი კავკასიას უკავშირებს<sup>20</sup>. ადრე პალეოლითის ხანაში არსებობდა პირობები პირველყოფილი ადამიანის კავკასიიდან უფრო ჩრდილოეთით გადაადგილებისათვის<sup>21</sup>.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძველი ქვის ხანის ადრეულ საფეხურზე ქვის დამუშავების ტექნიკა იმდენად დაბალი იყო, რომ ქვედა პალეოლითის გავრცელების მთელ ტერიტორიაზე იგი თითქმის ერთგვაროვანია და ლოკალური თავისებურებების გამოყოფა კულტურაში ჯერ კიდევ ვერ ხერხდება. დასავლეთ ევროპის მეცნიერთა შორის გავრცელებულმა მოსაზრებამ ქვედა პალეოლითში ორი ტექნიკის და შესაბამისად ორი კულტურის, ხელცულების და ანატკეცების, არსებობის შესახებ ჩვენში სამართლიანი კრიტიკა გამოიწვია<sup>22</sup>. მაგრამ კავკასიის მასალების საფუძველზე შინც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ძეგლზე აქ ხელცულები ქარბობს, ზოგან კი ანატკეცებისაგან ნაკეთები იარაღი. მაგალითად, ზომხეთში აღმოჩენილ ქვედაპალეოლითურ ძეგლებზე ქვის ხელცულები კარგადაა წარმოდგენილი. შავი ზღვის სანაპიროზე ცნობილ ამ დროის მასა-

<sup>15</sup> В. П. Любим, О некоторых вопросах, связанных с условиями нахождения нижнего палеолита на Кавказе. Материалы совещания по изучению четвертичного периода, I, Москва, 1961, стр. 468.

<sup>16</sup> В. П. Любим, Краткий очерк древнего и среднего палеолита Кавказа, стр. 363; А. Н. Каландадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

<sup>17</sup> აღ. კალანდაძე, ქვის ხანა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბილისი, 1970, გვ. 90.

<sup>18</sup> В. П. Любим, Изучение нижнего палеолита Кавказа, стр. 17.


<sup>19</sup> А. А. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

<sup>20</sup> С. Н. Бибиков, Заселение Восточной Европы в эпоху палеолита, СА, 4, Москва, 1959, стр. 24; В. П. Любим, О некоторых вопросах, связанных с условиями нахождения нижнего палеолита на Кавказе, стр. 466.

<sup>21</sup> О. Н. Бадер, Древнейшее заселение Северной Европы человеком в свете новых данных, КСИА, 126, стр. 5.

<sup>22</sup> С. Н. Замятин, О локальных различиях в культуре палеолитического периода. Труды Института этнографии, новая серия, XVI, М., 1951, стр. 117.

ილებში, პირიქით, ანატყეც-ანამტერევებიდან ნაკეთები იარაღი ჭარბობს<sup>23</sup>. ცო-  
ტაა ხელცულები აგრეთვე მდ. ყვირილას ზემო წელზე გამოვლენილ ადრეულ



სურ. 4. მუსტიეს ზანის იარაღები საქართველოდან.


ქეგლებში<sup>24</sup>. მსგავსი სურათი შეინიშნება აგრეთვე ყუბანისპირეთშიც<sup>25</sup>. რითი  
იყო გამოწვეული ასეთი სხვაობა კავკასიის ქვედაპალეოლითურ კულტურაში.

<sup>23</sup> А. А. Формозов, Проблема локальных различий в древнем палеолите СССР. 35; Н. З. Бердзенишвили, Новые данные о палеолите Абхазии. Труды Абхазско-го института языка, литературы и истории, XXX, Сухуми, 1960, стр. 170.

<sup>24</sup> А. А. Формозов, Каменный век и энеолит Прикубанья, стр. 27.

<sup>25</sup> იქვე.

ახლა ძნელი სათქმელია. ზოგიერთი მკვლევარი ამას ხსნიდა სამეურნეო ხასიათის სხვაობით, რაც განსხვავებულ ბუნებრივ პირობებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული<sup>26</sup>. ზოგი ფიქრობდა, რომ დამუშავების ტექნიკა აქ ერთგვაროვანია, ოღონდ ზოგიერთ კოლექტივში შედარებით მეტ ხელსულებს ამზადებდნენ. ზოგში კი— ანატკეცებისაგან ნაკეთებ იარაღს<sup>27</sup>. ისიც აღინიშნა, თითქოს ორივე ეს მოსაზრება სწორია და კი არ გამორიცხავს, პირიქით, ავსებს ერთმანეთს<sup>28</sup> და რომ ამ კომპლექსების კონცენტრაცია შეესაბამება ერთი კოლექტივის სხვადასხვა საწარმოო პუნქტებს<sup>29</sup>.



მართალია, ქვედა პალეოლითში ჯერ კიდევ ძნელია რაიმე გარკვეულ თავისებურებებზე ლაპარაკი, მაგრამ მაინც ჩანს, რომ ამიერკავკასიის ადრეული კულტურა უფრო წინა აზიასთან დვას ახლო. აქაც ამ ადრეულ ხანაში ძირითადად ანატკეც-ანამტერევეებისაგან ნაკეთები იარაღი იყო გავრცელებული<sup>30</sup>. ამიერკავკასია და საერთოდ კავკასია ძველი ქვის ხანის სურ. 5. მუსტიეს ხანის იარაღები ჩრდ. კავკასიიდან.

ადრეულ საფეხურზე წინა აზიის უძველესი ადამიანის გავრცელების სფეროში შედიოდა და შესაძლოა მისი ჩრდილო, პერიფერიული ნაწილი იყო. მაგრამ ერთხელ ჩამოყალიბებულ ადამიანთა საზოგადოება აქ შემდეგში ერთგვარად თავისებური გზით განაგრძობს არსებობას. ამაში პირველ რიგში ბუნებრივი გარემო შეასრულებდა გადაამწყვეტ როლს. ბარისა და მთის ზოლის ურთიერთობა, რომლითაც ხა-

26 М. З. Паничкина, К вопросу о назначении шельских орудий, КСИИМК, вып. XLVI, Москва, 1952, стр. 28.  
 27 А. А. Формозов, Этнокультурные области..., стр. 28.  
 28 П. У. Аутлев, Абадзехская нижнепалеолитическая стоянка. Майкоп, 1963, стр. 105.  
 29 И. И. Коробков, д.с.с. ნაშრომი, გვ. 8.  
 30 А. А. Формозов, Проблема локальных различий в древнем палеолите СССР, стр. 42; И. И. Коробков, Исследование палеолита в Ираке. Археология Старого и Нового Света. Москва, 1966, стр. 127, 131.

სიათღება საერთოდ კავკასია და განსაკუთრებით კი ამიერკავკასია, უთუოდ დიდ გავლენას მოახდენდა პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებაზე. ქვედა პალეოლითში ჩვენში კარგად შეინიშნება ადგილობრივი ტრადიციები. თავისებური, ავტოქთონური განვითარება ჩანს აფხაზეთის აშელურ-მუსტიერულ ინდუსტრიაში<sup>31</sup>. მუსტიერული ხანის ძეგლები რიგი ნიშნებით უკავშირდებიან ადგილობრივ გვიანაშელურ მასალებს<sup>32</sup>.

ამრიგად, წინაგვაროვნულ საფეხურზე, ქვედა პალეოლითში ამიერკავკასია და საერთოდ კავკასია საკმაოდ ფართოდაა დასახლებული პირველყოფილი ადამიანის მიერ. ქვედა პალეოლითის ბოლოსათვის, მუსტიეს ხანაში, ჩამოყალიბებული კულტურა ერთგვარად თავისებურ სახესღებულობს<sup>33</sup>, რაც აქ მოსახლეს ადამიანთა ჯგუფების გარკვეულ სიახლოვესა და კავშირზე უნდა მიუთითებდეს და რის საფუძველზეც საბოლოოდ თავისებური გვიანპალეოლითური კულტურა ჩამოყალიბდა<sup>34</sup>.

სამწუხაროდ, ამიერკავკასიაში და საერთოდ კავკასიაში განათხარი ადამიანის ძვლები, თუ არ ჩავთვლით აზიხისა და ჯრუჭულის გამოქვაბულებში აღმოჩენილ მცირე ნაშთებს, თითქმის ცნობილი არ არის. აზერბაიჯანში, აზიხის გამოქვაბულში აშელური ხანის ფენაში ნაპოვნი იყო უძველესი ადამიანის ქვედა ყბის ნატეხი, რომელსაც უძველეს პალეანთროპს მიაკუთვნებენ<sup>35</sup>. მდ. ყვირილის ხეობაში, ჯრუჭულას გამოქვაბულში, მუსტიერული ხანის ფენაში აღმოჩნდა ადამიანის საძირე კბილი<sup>36</sup>. ამ კბილის შესწავლის საფუძველზე გამოითქვა მოსაზრება, რომ თავისი არქაული ნიშნებით იგი შეიძლება ახლო დავაყენოთ ნეანდერტალელ ადამიანთან. გარკვეული მსგავსება შეინიშნება პალესტინაში, სხულის გამოქვაბულში აღმოჩენილ ე. წ. პალესტინელი ადამიანის კბილთან<sup>37</sup>. პალესტინაში მთა კარმელის გამოქვაბულში გვიანმუსტიერულ ფენებში ნაპოვნი იყო ნეანდერტალელის ე. წ. პალესტინელი ადამიანის ნაშთები. შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ პალესტინელ ადამიანში უკვე ისეთი ნიშნები შეიმჩნევა, რომლებიც თანამედროვე ტიპის ადამიანის Homo Sapiens-ისათვის

31 Советская археология, 3, Москва, 1967, стр. 11.

32 გ. გ რ ი გ ო ლ ი ა, ქვემო ქართლის პალეოლითი, თბილისი, 1963, გვ. 116—118.

33 В. Н. Г л а д и н, Различные типы каменной индустрии в мустье русской равнины и Крыма и их место в раннем палеолите СССР, VII международный конгресс доисториков и протопристориков. Москва, 1966, стр. 17.

34 А. А. Ф о р м о з о в; О «капсийском характере» палеолита Кавказа, стр. 164.

35 С. А. А л и е в, Фауна азыхской палеолитической стоянки. Автореферат. Баку, 1969, стр. 18.

36 დ. თ უ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ჯრუჭულის გამოქვაბულში 1960-61 წწ. ჩატარებული გათხრების ანგარიში, საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები, II, თბ., 1963, 105.

37 Л. К. Г а б у н и я, Д. М. Т у ш а б р а м и ш в и л и, А. К. В е к у а, Первая находка остатков мустьерского человека на Кавказе. Вопросы антропологии, 1961, стр. 161.

საა დამახასიათებელი<sup>38</sup>. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ადღეროს მახლობლად ახშტირის გამოქვაბულის მუსტიერული ეპოქის ფენაში აღმოჩნდა განათხარის ადამიანის ნაშთები, რომლებიც Homo Sapiens fossilis ტიპის ადამიანს მიეკუთვნება. ეს კიდევ ერთი მოწმობაა იმისა, რომ იგი უკვე მუსტიეს ხანაში იწყებს გამოჩენას<sup>39</sup>. გამოთქმულია მოსაზრება, რომ თანამედროვე ადამიანის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ძირითადი ზონა წინა აზია და მისი მოსაზღვრე ოლქები უნდა ყოფილიყო<sup>40</sup>. ამაში აგოეთვე ამიერკავკასიასაც აქცევენ<sup>41</sup>. გ. დებეცის აზრით, როგორც არ უნდა გადაწყდეს Homo Sapiens-ის ფორმირების არეალი, ცხადია, რომ იგი წინა აზიაში გარედან კი არ უნდა შემოსულიყო, არამედ ადგილობრივ უნდა ჩამოყალიბებულიყო<sup>42</sup>. თუმცა ამ ბოლო დროს ეკვი შეაქვეთ მოსაზრებაში Homo Sapiens-ის და ზედაპალეოლითური კულტურის ევროპაში წინა აზიიდან მიგრაციის შესახებ<sup>43</sup>. ზოგიერთ მკვლევარს Homo Sapiens-ის წარმოქმნის არეალი უფრო ფართოდ აქვს წარმოდგენილი, რომელშიაც ევროპაც შეჰყავთ<sup>44</sup>. ავტორთა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ წინა აზია თავისი მიმდგომი მხარეებით ერთ-ერთი ძირითადი ცენტრი იყო, სადაც ზღებოდა თანამედროვე ტიპის ადამიანის ჩამოყალიბება. რომ ამიერკავკასია შეიძლებოდა ყოფილიყო ერთ-ერთი იმ ოლქთაგანი, სადაც ეს პროცესი მიმდინარეობდა, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მოწმობს აგრეთვე აქ ნაპოვნი მატერიალური კულტურის ძეგლები. ჩვენში კარგადაა წარმოდგენილი ქვედა პალეოლითის ბოლო საფეხური, მუსტიე, მისი გვიანდელი სტადია და აგრეთვე ზედა პალეოლითის ადრეული ხანის ძეგლები. თვით გარემოც ამიერკავკასიაში ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო თანამედროვე ტიპის ადამიანის წარმოქმნისათვის. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ეს ადამიანი უნდა ჩამოყალიბებულიყო იქ, სადაც ამ დროს არ იყო მკვეთრი ცვლილება კლიმატურ პირობებში<sup>45</sup>. ამრიგად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ზედა პალეოლითი ამიერკავკასიაში ადგილობრივი კულტურის

<sup>38</sup> Г. Ф. Дебец, Заселение Южной и Передней Азии по данным антропологии. Труды Института этнографии. Новая серия, XVI, Москва, 1951, стр. 359; Я. Я. Рогинский, Проблемы антропогенеза. Москва, 1969, стр. 117.

<sup>39</sup> Е. А. Векшлова, А. А. Зубов, Антропологические остатки из мустьерских слоев ахштырской пещеры, КСИА, 131, Москва, 1972, стр. 63.

<sup>40</sup> Я. Я. Рогинский, Антропологические вопросы в проблеме происхождения человека. Труды Института этнографии, новая серия, XVI, Москва, 1951, стр. 201; Я. Я. Рогинский, Проблемы антропогенеза, стр. 147; В. П. Якимов, Европейские неандертальцы и проблема формирования Homo Sapiens. КСИЭ, М.-Л., 1950, стр. 31.

<sup>41</sup> Краткие сообщения Института этнографии, IX, М.-Л., 1950, стр. 47.

<sup>42</sup> Г. Ф. Дебец, დასახ. ნაშრომი, გვ. 358.

<sup>43</sup> Г. П. Григорьев, Начало верхнего палеолита и происхождение Homo Sapiens, Ленинград, 1968, стр. 6.

<sup>44</sup> იქვე, გვ. 18, 27.

<sup>45</sup> Г. П. Григорьев, დასახ. ნაშრომი, გვ. 31; Я. Я. Рогинский, დასახ. ნაშრომი, გვ. 190.



საფუძველზე წარმოიქმნა და აქვე მიმდინარეობდა თანამედროვე ტიპის ადამიანის ჩამოყალიბება. სწორედ მას უნდა დაეტოვებინა ზედაპალეოლითური კულტურის ძეგლები, რომლითაც ასე მდიდარია კავკასია და განსაკუთრებით კი საქართველო.

საქართველოს ტერიტორიაზე დღეს სამოცამდე ზედაპალეოლითური ძეგლია ცნობილი<sup>46</sup>. კავკასიის სხვა მხარეებში ამ პერიოდის კულტურა შედარებით ნაკლებადაა წარმოდგენილი. ამან ზოგიერთ მკვლევარს ისიც კი აფიქრებინა, რომ ზედა და ქვედა პალეოლითის მიჯნაზე კავკასიის მთიანი ნაწილი მიტოვებული იქნა პირველყოფილი ადამიანის მიერ და იგი რუსეთის ველზე უნდა გადასახლებულიყო<sup>47</sup>. ამ მოსაზრებამ, თავის დროზე, სამართლიანი კრიტიკა გამოიწვია<sup>48</sup>. ზედა პალეოლითის ხანაში ყინვარების უკან დახევის გამო საკმაოდ დიდი ტერიტორია განთავისუფლდა, რომელიც სწრაფად იყო ათვისებული ადამიანის მიერ<sup>49</sup>. საქართველოს მასალების საფუძველზე, უკვე კარგა ხანია, შეიწუშავებულია კავკასიის გვიანპალეოლითური კულტურის განვითარების სქემა, რომელსაც დღემდე არ დაუჯარგავს თავისი მნიშვნელობა<sup>50</sup>.

საქართველოში დღეს კარგადაა ცნობილი გვიანმუსტიე, რომელიც საკმაოდ ახლოს დგას ზედა პალეოლითის ადრეული ხანის პირველი ჯგუფების მასალასთან<sup>51</sup>. ზედა პალეოლითის ადრეული დროის ზოგიერთი იარაღი ჯერ კიდევ ატარებს მუსტიერულ ელფერს (ხერგულის კლდე, თარო-კლდე და სხვ. სურ. 6, 7). უკანასკნელი ხანების აღმოჩენებიდან დასავლეთ საქართველოში ნათლად გამოჩნდა ქვედა პალეოლითიდან ზედაზე გადასვლის პროცესი. წყალწითელას ხეობაში დამარხულ გამოქვაბულში, საგვარჯილეში და სხვ. მოპოვებულ მასალებში შეინიშნება ზედა პალეოლითში თანდათანობით გადაზრდა<sup>52</sup>. ჩვენში კარგადაა წარმოდგენილი შუა, მეორე ჯგუფის (საკაყია, დევის ხერელი, მღვიმევი, საგვარჯილე და სხვ. სურ. 7, 8) და აგრეთვე გვიანი, მესამე ჯგუფის ძეგლები (საგვარჯილე, წონა, ქვაჭარა და სხვ. სურ. 9). აღსანიშნავია, რომ ჩვენში ცნობილია ამ დროის მრავალფენიანი ძეგლები, სადაც ზედა პალეო-

<sup>46</sup> А. Н. Капицадзе, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 31.

<sup>47</sup> С. Н. Бибиков, *О южных путях заселения Восточной Европы в эпоху древнего палеолита. Четвертичный период*, вып. 13—15. Киев, 1961, стр. 348.

<sup>48</sup> А. А. Формозов, *Каменный век и энеолит Прикубанья*, стр. 41.


<sup>49</sup> ალ. კალანდაძე, ქვის ხანა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 96.

<sup>50</sup> С. И. Замятин, *Новые данные по палеолиту Закавказья*, СЭ, 2, 1935, стр. 116.

<sup>51</sup> დ. თუშაბრამიშვილი, ჯრუჭულის ხეობის გამოქვაბულები, საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები, I, თბილისი, 1963, გვ. 178.

<sup>52</sup> ბ. ბერძენიშვილი, ქვის ხანის ახალი ძეგლი წყალწითელას ხეობაში, თბილისი, 1964, გვ. 51.

ლითის ხანის თითქმის ყველა საფეხურია წარმოდგენილი<sup>53</sup>. მაგრამ, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ყვირილის ხეობა, სადაც განსაკუთრებით მდიდრადაა




სურ. 6. ქვის იარაღები ხერგულის კლდედან და თარო-კლდედან.

წარმოდგენილი ზედაპალეოლითური ხანის ყველა პერიოდის ძეგლები. ძირითადად სწორედ ამ ძეგლების საფუძველზე შექმნა ს. ზამიატინიმა თავისი ცნო-

<sup>53</sup> Н. З. Кладзе, Многослойный археологический памятник «Сагварджиლე», საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XIV, 9, თბილისი, 1953, გვ. 565.


ბილი ქრონოლოგიის „იმერული შკალა“. უნდა შევნიშნოთ, რომ ზედაპალეო-ლითური ხანის ძეგლები ძირითადად დასავლეთ საქართველოდანაა ცნობილი. აღმოსავლეთ საქართველო, ჩანს, ამ დროისათვის შედარებით ნაკლებადაა დასა-



სურ. 7. ქვის იარაღები დევისხვრელიდან.

ხლებული. ამ პერიოდში ადამიანს ათვისებული აქვს დაბლობი, წინა და შუა მთის ზოლი. მაღალმთიან ნაწილში ამ დროის ძეგლები ცნობილი არ არის. ეს, შესაძლოა, გამოწვეული იყო კლიმატური პირობების გაუარესებით, რასაც ხელი უნდა შეეშალა მაღალმთიანი ზოლის ათვისებისათვის<sup>54</sup>. ამ მაღალმთიან


<sup>54</sup> А. Н. Каландадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.



სურ. 8. ქვის იარაღები საკაქიდან.

ზოლს ხელახლა იკავებს ადამიანი მხოლოდ მომდევნო პერიოდში, ძველი ქვის ხანიდან ახალ ქვის ხანაზე გარდამავალ ხანაში, მეზოლითის დროს.

ზედა პალეოლითში ათვისებულია ამიერკავკასიის სხვა ოლქებიც, მაგრამ სადღეისოდ არსებული მასალებით ისე ჩანს, რომ აქ მაინც ისეთი ინტენ-




სურ. 9. ქვისა და ძვლის იარაღები გვარჯილას კლდიდან.

სიური ცხოვრება არ არის, როგორც ამას საქართველოს ტერიტორიაზე ვხედავთ. სომხეთში რამდენსამე ადგილასაა დამოწმებული ზედა პალეოლითური ხანის ძეგლები<sup>55</sup>. კიდევ უფრო ნაკლებად ცნობილია ამ დროის მასალები აზერბაიჯანიდან.


უკანასკნელ ხანებში ზედაპალეოლითური ხანის ძეგლები აღმოჩენილ იქნა ჩრდილო კავკასიაში. სადღეისოდ აქ ათზე მეტი ზედაპალეოლითური სად-

<sup>55</sup> С. А. Сардарян, Первобытное общество в Армении, Ереван, 1967, стр. 268.

გომია ცნობილი<sup>56</sup>. აღსანიშნავია, ყაბარღო-ბალყარეთში აღმოჩენილი სადგომი სოსრუკო<sup>57</sup>, ჩოხი დალესტანში<sup>58</sup> და სხვ. ყუბანისპირეთში კამენომოსტკაიას (სურ. 10, 11) და გუბსის გამოქვაბულებში, აგრეთვე მდ. გუბსის ხეობაში და სხვ.



სურ. 10. ქვის იარაღები კამენომოსტკაიას გამოქვაბულიდან.



სურ. 11. ქვის იარაღები კამენომოსტკაიას გამოქვაბულიდან.

(სურ. 12, 13) ნაპოვნი იყო ზედაპალეოლითური ხანის მასალები, რომლებიც შეიძლება შევეუდაროთ ზამიატინის მიერ ამიერკავკასიის ზედა პალეოლითისათვის შემუშავებული პერიოდიზაციის სამივე ეტაპს<sup>59</sup>. ნიშანდობლივია, რომ კამენომოსტკაიას გამოქვაბულის ქვედა ფენა ძალიან ახლოს დგას ზედა პალეოლითის ადრეულ ჯგუფებთან, თარო-კლდესა და ხერგულის კლდესთან. საერთოდ ყუბანისპირეთის გვიანპალეოლითი თავისი ხასიათით ძალიან ახლოა დასავლეთ ამიერკავკასიის პალეოლითთან<sup>60</sup>.

საქართველოში კარგადაა ცნობილი აგრეთვე მეზოლითური, ძველიდან ახალ ქვის ხანაზე გარდამავალი ეპოქის ნაშთებიც. გვარჯილის კლდის მასალებში, რო-

<sup>56</sup> А. А. Формозов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 41.

<sup>57</sup> იქვე.

<sup>58</sup> В. Г. Котович, *Каменный век Дагестана, Махачкала, 1964*, стр. 120; А. А. Формозов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 43.

<sup>59</sup> იქვე, გვ. 49.

<sup>60</sup> А. А. Формозов, *Каменноолытская пещера — многослойная стоянка в Прикубанье, МИА, 173, Ленинград, 1971*, стр. 114.

მელიც ზედა პალეოლითის დასასრულის, მადლენის ეპოქის ბოლოს უნდა მიეკუთვნებოდეს, უკვე შეინიშნება მსგავსება მეზოლითური ხანის ძეგლებთან<sup>61</sup>. აქ



სურ. 12. ქვის იარაღები გუბის გამოქვაბულიდან.

გვხვდება რიგი ისეთი ნიშნებისა, რომლებიც ადრემეზოლითისათვისაა დამახასიათებელი<sup>62</sup>. ამიტომაცაა, რომ ზოგიერთი მკვლევარი გვარჯილის კლდეში ადრემეზოლითის საფეხურსაც გამოჰყოფს<sup>63</sup>. მეზოლითი ცნობილია დასავლეთ საქართველოში — ქვაჭარის (სურ. 14) და იაშთხვის გამოქვაბულებში<sup>64</sup>, ხუპინიშახვა<sup>65</sup>, ენწერის სადგომი<sup>66</sup>, ჩახათი და სხვ. შიდა ქართლში წინა და შუამთის ზონაში კარგადაა ცნობილი მეზოლითური ხანის ძეგლები<sup>67</sup>. (სურ. 14). ამ დროს, როგორც აღვნიშნეთ, ადამიანი ჩვენში ითვისებს აგრეთვე მაღალმთიან ზოლსაც. წონას გამოქვაბულში, რომელიც 2150 მ სიმაღლეზე მდებარეობს, გამოვლენილია მეზოლითური ხანის ფენა<sup>68</sup>. სამხრეთ საქართველოში

<sup>61</sup> დ. თუ შაბრა მიშვილი, გვარჯილას კლდის პალეოლითური ნაშთები, თბ., 1960, გვ. 157.

<sup>62</sup> Н. О. Бадер, О соотношении верхнепалеолитических и мезолитических культур Крыма, Кавказа и Ближнего Востока. VII международный конгресс антропологических и этнографических наук. Москва, 1964, стр. 3.

<sup>63</sup> ნ. ბერძენიშვილი, ქვის ხანის ახალი ძეგლი წყალწითელას ხეობაში, გვ. 43.

<sup>64</sup> ლ. წერეთელი, პალეოლითური სადგომი ქვაჭარა, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VII, თბ., 1963. გვ. 221; მისივე, პალეოლითელი ადამიანის ერთი ხანმოკლე ნაბინევი გამოქვაბულის შესახებ.


<sup>65</sup> Л. Н. Соловьев, Об итогах археологических раскопок в гроте Хупынишхана. Труды Абхазского института языка, литературы и истории, XXXII, Сухуми, 1961, стр. 191.

<sup>66</sup> გ. გრიგოლია, ლ. წერეთელი, მეზოლითური ძეგლი სოფ. ენწერიდან, მაცნე, 4, თბ., 1967, გვ. 299; ლ. წერეთელი, მეზოლითური კულტურა კავკასიის შავიზღვისპირეთში, თბილისი. 1973, გვ. 77.

<sup>67</sup> В. П. Лютини, Первые сведения о мезолите горного Кавказа, МИА, 126. М.-Л., 1966, стр. 163.

<sup>68</sup> А. Н. Каландадзе, Цопская пещера и ее культура. Пещеры Грузии. Спелеологический сборник, № 3, Тбилиси, 1965, стр. 32.

წალკისა და გომარეთის მაღალმთიან პლატოებზე აღმოჩნდა ამ დროის სადგომები.<sup>69</sup> მეზოლითური დროის რამდენიმე სადგომი ცნობილია სომხეთიდან<sup>70</sup>. აზერბაიჯანში ბეიუჯ-დაშში ნაპოვნი იყო გვიანმეზოლითური პერიოდის მასალა, რომელიც აღმოსავლეთ კავკასიის ვარიანტს უახლოვდება<sup>71</sup>. მეზოლითი ჩვენში, წინა აზიის მსგავსად<sup>72</sup>, ზედაპალეოლითური კულტურის საფუძველზე უნდა აღმოცენებულიყო.<sup>73</sup> ამ დროის ძეგლები ბევრ საერთოს პოულობენ ზედა პალეოლითის გვიანდელი საფეხურის მასალასთან. მეზოლითური ძეგლები ახლო კავშირშია გვარჯილის კლდესთან და შავიზღვისპირეთის ზედა პალეოლითის გვიანდელ ძეგლებთან<sup>74</sup>. ახლოს დგას ადრე მეზოლითთან. კერძოდ, ქვაჭარასთან და სოჭის მახლობლად მდებარე აცის გამოქვაბულში მოპოვებული მასალა<sup>75</sup>. სადღეისოდ შავიზღვისპირეთის მეზოლითში განვითარების სხვადასხვა საფეხურს გამოჰყოფენ.



სურ. 13. ქვის იარაღები გუბსის გამოქვაბულიდან.

ჩრდილო კავკასიაში მეზოლითური კულტურა აღმოჩნდა სოსრუკოში, ყა-

69 Б. А. Куфтун, Археологические раскопки в Триалети. Тбилиси, 1941, стр. 119; მ. ვაბუნი ა, პალეოლითური ნაშთები ექენის (ბარმაქსიზის) გამოქვაბულიდან, მაცნე, 5, 1965, გვ. 154; Н. О. Бадер, О соотношении культуры верхнего палеолита и мезолита Крыма и Кавказа, СА, 4, 1961, Москва, стр. 21.

70 С. А. Сардарян, დასახ. ნაშრომი, გვ. 272.

71 А. А. Формозов, Очерки по первобытному искусству. Москва, 1969, стр. 44.

72 В. М. Массон, К вопросу о мезолите Передней Азии, МИА, 126, М.-Л., 1966, стр. 170.


73 А. А. Формозов, Обзор исследований мезолитических стоянок на Кавказе, стр. 186; Н. О. Бадер, О мезолите Восточного Средиземноморья в связи с проблемой «Капсийской провинции», МИА, 126, М.-Л., 1966, стр. 172.

74 Б. ბეკძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45; ლ. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, 97.

75 ლ. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.



ბარდო-ბალყარეთში<sup>76</sup>, დაღესტანში — ჩოხი, მეყევი და სხვ<sup>77</sup>. მეზოლითი გვხვდება აგრეთვე მაღალმთიან ზოლშიც<sup>78</sup>. ყუბანისპირეთში ჯერჯერობით მეზოლითური ხანის სადგომები ცნობილი არ არის<sup>79</sup>.



სურ. 14. მეზოლითური იარაღები ქვაჯარაღან.

— 76 Н. О. Бадер, Варианты культуры Кавказа верхнего палеолита и мезолита, СА, 4, Москва, 1965, стр. 12.

77 В. Г. Котович, დასახ. ნაშრომი, გვ. 120.

78 В. П. Любни, დასახ. ნაშრომი, გვ. 155.

79 А. А. Формозов, Каменный век и энеолит Прикубанья, стр. 53.

კავკასიის გვიანპალეოლითური კულტურა ს. ზამიატინმა თავის დროზე ფართო, სმელთაშუაზღვის კულტურის პროვინციაში შეიყვანა<sup>80</sup>. მაგრამ კავკასიის ზედაპალეოლითური კულტურა მანც თავისებურია, რომლის ფესვებიც ადგილობრივ ქვედა პალეოლითურ კულტურაშია საქებარი<sup>81</sup>. ამიერკავკასიის და საერთოდ კავკასიის ზედაპალეოლითურმა კულტურამ განვითარების დაახლოებით ერთნაირი გზა განვლო<sup>82</sup> და იგი თითქმის მთელ ტერიტორიაზე დიდ სიახლოვეს ამქვანებეს<sup>83</sup>. საქართველოს ტერიტორია, უფრო კი მისი დასავლეთი ნაწილი, კავკასიის სხვა ოლქებთან შედარებით, განსაკუთრებით მკვიდროდა დასახლებული. რით იყო გამოწვეული. რომ ზედა პალეოლითის დასაწყის ხანებიდან ამიერკავკასიის დასავლეთი ნაწილი, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველო. ინტენსიურად ათვისებული ადამიანის მიერ, ახლა ძნელი სათქმელია. შესაძლოა ამაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმდროინდელმა ბუნებრივმა პირობებმა. საფიქრებელია, რომ ამ პერიოდში მოსახლეობის ინფიტრაციის ერთ-ერთი ძირითადი კერა სწორედ აქ იყო. ეგებ სწორედ ამიტომაც კავკასიის კულტურა ერთიანი, მონოლითური და იგი კარგად თავსდება იმერულ შკალაში. როგორც ცნობილია, მითვისებითი მეურნეობის ხანაში ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებისათვის გარკვეული სივრცის არსებობა იყო აუცილებელი პირობა. შემდეგში მოსახლეობის გაზრდა მოითხოვდა საარსებო რესურსებისათვის ახალ-ახალი წყაროს ძიებას და სხვა ახალი სივრცეების ათვისებას, რაც ადამიანთა კოლექტივის განფენასა და გადაადგილებას იწვევდა<sup>84</sup>. ზედა პალეოლითის ხანაში, განსაკუთრებით მის გვიანდელ საფეხურზე კავკასიის უფრო ფართოდ ათვისების პროცესი მიმდინარეობს.

უკანასკნელი ხანის გათხრების შედეგად, ყვირილის ხეობაში, რომელიც ზედა პალეოლითის დროს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერად დასახლებული უბანი იყო, ნაპოვნია ორი ძეგლი: სამერცხლე კლდე და ძუძუნას გამოქვაბული, სადაც ერთგვარად განსხვავებული ხასიათის მასალა აღმოჩნდა<sup>85</sup>. ორივე ეს გამოქვაბული მიეკუთვნება ს. ზამიატინის ქრონოლოგიური სქემის მეორე ჯგუფს,

<sup>80</sup> С. Н. Замятин, О локальных различиях в культуре палеолитического периода. стр. 135

<sup>81</sup> А. А. Формозов, О «каспийском характере» палеолита Кавказа, стр. 164.

<sup>82</sup> Н. О. Бадер, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

<sup>83</sup> Н. О. Бадер, О соотношении культуры верхнего палеолита и мезолита Крыма и Кавказа, стр. 22.

<sup>84</sup> Г. П. Григорьев, Миграции, автохтонное развитие и диффузия в эпоху верхнего палеолита. VII международный конгресс антропологических и этнографических наук. Москва, 1964, стр. 3.

<sup>85</sup> დ. თუშაბრამიშვილი, ყვირილის ხეობის ქვის ხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1966 წ. ჩატარებული სამუშაოების შედეგები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშები, თბილისი, 1969, გვ. 8.

ზედა პალეოლითის შუა საფეხურს<sup>86</sup>. რითი იყო გამოწვეული ამ გამოქვაბულ-  
ლებში აღმოჩენილი ქვის იარაღის ერთგვარად თავისებური ხასიათი, ჭერჭერო-  
ბით ძნელი სათქმელია. მაგრამ, შესაძლოა უკვე ამ პერიოდიდან იწყებს ჩასახ-  
ვას იმერეთის კულტურაში ლოკალური თავისებურების ნიშნები<sup>87</sup>. ზედა პალე-  
ოლითის გვიანდელ საფეხურზე კავკასიაში უკვე შესაძლებელი ხდება გარკვე-  
ული ლოკალური ვარიანტების გამოყოფა. უფრო მეტიც, ზოგიერთი მკვლევარ-  
ი იმასაც კი აღნიშნავს, რომ კავკასიის მეზოლითური კულტურა, მსგავსების  
მიუხედავად, უკვე ერთიანი არ არის<sup>88</sup>. ზედა პალეოლითის ბოლო პერიოდიდან  
ჩრდილო კავკასიაში გამოვლენილი კულტურა გარკვეული თავისებურებებით  
ხასიათდება. ამ მხრივ აღსანიშნავია სოსრუკოში და გუბსის გამოქვაბულებში აღ-  
მოჩენილი მასალა და აგრეთვე დაღესტანში გამოვლენილი ძეგლები (ჩოხი, მე-  
კეგი და სხვ.). უკანასკნელ ხანებში კავკასიის ზედა პალეოლითის გვიანდელ სა-  
ფეხურზე და მეზოლითის დასაწყის ხანის კულტურაში გამოიყოფის სამი ლოკა-  
ლური ჯგუფი: ამიერკავკასიური, გუბსის და ჩოხის<sup>89</sup>. გუბსის ჯგუფი მოიცავს  
ჩრდილო-დასავლეთ, ჩოხისა კი ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიას. აღსანიშნავია,  
რომ აფხაზეთში, ამიერკავკასიურ კულტურაში გვხვდება ძეგლები (მაგ. ცივი-  
მღვიმე), რომლებშიც აღმოჩნდა გუბსის ჯგუფისათვის დამახასიათებელი მასა-  
ლა<sup>90</sup>. თუმცა ზოგიერთი მკვლევარი არ იზიარებს ამ მოსაზრებას<sup>91</sup> (რუკა 1).

ზედა პალეოლითის დროს ახლო ურთიერთობა ჩანს კავკასიასა და მახლო-  
ბელ აღმოსავლეთს შორის<sup>92</sup>. აქაც და იქაც პალეოლითური კულტურა „ორი-  
ნიაკულ“ ტრადიციებს ატარებს<sup>93</sup>. განსაკუთრებული სიახლოვე შეინიშნება ამ  
პერიოდში ამიერკავკასიასა და ერაყს შორის<sup>94</sup>. აქ ზარზის საადგომზე აღმოჩენი-  
ლი მასალა, რომელიც ზედა პალეოლითის ბოლოს და მეზოლითის დასაწყისს  
მიეკუთვნება, დიდ მსგავსებას ამჟღავნებს გვარჯილის კლდის მასალებთან<sup>95</sup>. ახ-  
ლო ურთიერთობა ჩანს მეზოლითის ხანაში ამიერკავკასიისა და წინა აზიას შო-

<sup>86</sup> მ. ნ. ი. რ. ა. ძე, სამეცნიერო კლდის მღვიმე და მისი ფაუნა, მაცნე, 4, თბილისი, 1967, გვ. 215. М. Г. Нипорадзе, Пещера Самарцхле клде и верхний палеолит Западной Грузии. Автореферат. Тбилиси, 1968, стр. 20.

<sup>87</sup> იქვე, გვ. 26.

<sup>88</sup> А. А. Формозов, Обзор исследований мезолитических стоянок Кавказа, стр. 187.

<sup>89</sup> Н. О. Бадер, Варианты культуры Кавказа конца верхнего палеолита и мезо-  
лита, стр. 14.

<sup>90</sup> Н. О. Бадер, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

<sup>91</sup> ლ. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 102.


<sup>92</sup> А. А. Формозов, Камненный век и энеолит Прикубанья, стр. 51.

<sup>93</sup> Н. О. Бадер, Различия между верхнепалеолитическими культурами Закавказья и Ближнего Востока. Археология Старого и Нового Света. Москва, 1966, стр. 141.

<sup>94</sup> И. И. Коробков, Исследования палеолита в Ираке, стр. 134.

<sup>95</sup> Н. О. Бадер, დასახ. ნაშრომი, გვ. 142.

რის. აღსანიშნავია, რომ ამ დროს მახლობელ აღმოსავლეთში შეიძლება გამოიყოს ორი თავისებური კულტურის რაიონი: ჩრდილო ერაყი — ამიერკავკასია და სირია-პალესტინა<sup>96</sup>. უფრო ადრეც პალესტინა და ამიერკავკასია, გარკვეული ერთიანობის მიუხედავად, ორ დამოუკიდებელ კულტურულ ჯგუფს ქმნი-



რუკა 1. მეზოლითური კულტურის ლოკალური ვარიანტები კავკასიაში

ან<sup>97</sup>. შეიძლება თუ არა ერაყისა და ამიერკავკასიის ძეგლების ერთ ლოკალურ ჯგუფში გაერთიანება, მიუხედავად დიდი მსგავსებისა, ძნელი სათქმელია<sup>98</sup>. ჯერ კიდევ მცირე მასალა იმისათვის, რომ გარკვევით რაიმე ითქვას ერაყისა და დასავლეთ საქართველოს კულტურულ ურთიერთობაზე<sup>99</sup>. მაგრამ ერთი კი აშკარაა, რომ ზედა პალეოლითისა და მეზოლითის ხანაში წინა აზიასა და ამიერკავკასიას შორის საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა არსებობდა (ერთიანი ტენდენციები და განვითარების საერთო ისტორიული პროცესი). ზოგიერთი მკვლევარი ამიერკავკასიის პალეოლითს ხმელთაშუაზღვისპირეთის გვიანპალეოლი-


<sup>96</sup> Н. О. Бадер, О мезолите Восточного Средиземноморья, стр. 177.

<sup>97</sup> Н. О. Бадер, Различия между верхнепалеолитическими культурами Закавказья и Ближнего Востока, стр. 142.

<sup>98</sup> Н. О. Бадер, Варианты культуры Кавказа конца верхнего палеолита и мезолита, стр. 162.

<sup>99</sup> Н. О. Бадер, Различия между верхнепалеолитическими..., стр. 143.

თურ ე. წ. „კაპსიის კულტურას“ უკავშირებდა<sup>100</sup>. აქედან გამომდინარე გამოითქვა მოსაზრება, რომ ბასკურის და კავკასიურის ურთიერთობა საფუძველმოკლებული არ არის და იგი საძებარია შორეულ წარსულში მეზოლით-კაპსიის ხანა-



სურ. 15. მეზოლითური ხანის იარაღები შიდა ქართლიდან.

ში<sup>101</sup>. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო დროს რიგ მკვლევრებს საეჭვოდ მიაჩნიათ კავკასიისა და კაპსიის კულტურის ურთიერთობის საკით-

<sup>100</sup> С. Н. З а м я т н и н, О локальных различиях в культуре палеолитического периода, стр. 131; გ. ნ ი თ ა ძ ე, პალეოლითის ადამიანი დევის ხვრელში, თბილისი, 1933, 33-77.

<sup>101</sup> В. Н. Д а н и л е н к о, Неолит Украины. Киев, 1969, стр. 232.

ხი<sup>102</sup>. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ეს საკითხი დაზუსტებას საჭიროებს ამ კულტურათა გათიშვის სასარგებლოდ<sup>103</sup>. საქართველოს ზედაპალეოლითურ კულტურასთან, ჩანს, გარკვეულ მსგავსებას ავლენს აზოვისპირეთში აღმოჩენილი ამ დროის ძეგლები. ამიტომაც გამოითქვა მოსაზრება კავკასიიდან აზოვისპირეთში მოსახლეობის გადასახლების შესახებ<sup>104</sup>. სამწუხაროდ, ჭერჭერობით ბევრი არაფრის თქმა შეგვიძლია კავკასიაში მოსახლე ზედაპალეოლითელი ადამიანის შესახებ. დღესდღეობით სულ სამი შემთხვევაა Homo Sapiens-ის ნაშთების აღმოჩენისა. დევის ხერელის გამოქვაბულში ნაპოვნი იყო მოხუცი ადამიანის ქვედა ყბის ნატეხი. მღვიმევეში აღმოჩნდა დოლიქოცეფალური ტიპის ადამიანის თავის ქალის ნატეხები, გუბის გამოქვაბულში კი მამაკაცის მარცხენა მხრის ძვალსახსრები, რომლებიც გამოირჩევა თავისი მასიურობით<sup>105</sup>.

ზედა პალეოლითი მეტად მნიშვნელოვანი ხანაა კაცობრიობის ისტორიაში. ამ პერიოდში ხდება გვაროვნული საზოგადოების წარმოქმნა. მიმდინარეობს ტომობრივი ორგანიზაციის ჩამოყალიბების რთული პროცესი, ისახება არქეოლოგიური კულტურები, რომლებიც ზოგჯერ უკვე ეთნიკურ ხასიათს ატარებენ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მკვლევარი უფრო შორსაც მიდის და არქეოლოგიური კულტურების არსებობას<sup>106</sup> და ტომობრივი ორგანიზაციის წარმოქმნას უკვე ქვედა პალეოლითში ხედავს<sup>107</sup>. ზოგიც, პირიქით, არქეოლოგიური კულტურების ჩამოყალიბებას და ტომობრივი ორგანიზაციის წარმოქმნას მეზოლითურ ხანას უკავშირებს<sup>108</sup>, ზედა პალეოლითში კი ჯერ კიდევ გვაროვნული კოლექტივების არსებობას ხედავს<sup>109</sup>. როგორც ჩანს, არ-

<sup>102</sup> А. А. Формозов, О «капснийском характере» палеолита Кавказа, стр. 163; დ თ უ ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, გვარჯილის კლდის პალეოლითური ნაშთები, გვ. 164; Н. О. Бадер, О мезолите Восточного Средиземноморья, стр 176.

<sup>103</sup> ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

<sup>104</sup> М. Д. Гвоздовер, О культурной принадлежности позднпалеолитических памятников Нижнего Дона. Вопросы антропологии, вып. 27, 1967, стр. 82.

<sup>105</sup> გ. ნ ი ო რ ა ძ ე, პალეოლითის ადამიანი დევის ხერელში, გვ. 75; А. Н. Каландадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 37; А. А. Формозов, Каменный век и энеолит Прикубанья, стр. 43.

<sup>106</sup> Г. П. Григорьев, Совершенствование методики изучения палеолита в СССР. Теоретические основы советской археологии, стр. 16.

<sup>107</sup> Г. П. Григорьев, Начало верхнего палеолита и происхождение Homo Sapiens, стр. 148.

<sup>108</sup> А. А. Формозов, Этнокультурные области на территории европейской части СССР в каменном веке, стр. 70, 80; А. Я. Брюсов, Археологические культуры и этнические общности, стр. 6.

<sup>109</sup> იქვე, გვ. 45.

ქეოლოგიური კულტურის ჩამოყალიბება, რომელიც უკვე გარკვეულ ეთნიკურ ნიშნებს ატარებდა, ზედა პალეოლითის ხანაში უნდა მომხდარიყო <sup>110</sup>.

ზედა პალეოლითის დროს უნდა დაწყებულიყო კავკასიის კულტურული და ეთნიკური ერთობის წარმოქმნის პროცესი. სადღეისოდ არსებული მასალებით ისე ჩანს, რომ ამ ერთობის ჩამოყალიბების ძირითადი კერა, დასავლეთ ამიერკავკასია, დღევანდელი დასავლეთ საქართველო უნდა ყოფილიყო. სწორედ აქ—რიონ-ყვირილის ორმდინარეთშია გამოვლენილი ძირითადად ზედაპალეოლითური ხანის ადრეული საფეხურის ძეგლები. ამიერკავკასიის სხვა მხარეებში და საერთოდ კავკასიაში ამ დროის ძეგლები სადღეისოდ ნაკლებადაა ცნობილი<sup>111</sup>. შესაძლოა, ეს გარემოება, ერთი მხრივ, იმითაც ყოფილიყო გამოწვეული, რომ ქვედა და ზედა პალეოლითის საზღვარზე კავკასიაში ჯერ კიდევ პირველყოფილი ადამიანის არსებობისათვის ყველგან ხელსაყრელი პირობები არ იყო. ამ მხრივ, ჩანს, ზედა პალეოლითის დასაწყის ხანაში უკეთესი მდგომარეობა იყო ამიერკავკასიის დასავლეთ ნაწილში და ამიტომაცაა, ალბათ, რომ ეს მხარე ამ დროს შედარებით უკეთაა ათვისებული. შემდეგში, ზედა პალეოლითის შუა საფეხურზე, კლიმატური პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, ადამიანი თანდათანობით იკავებს კავკასიის დანარჩენ ოლქებსაც. ამ დროის ძეგლები ცნობილია სხვა მხარეებშიც. არ არის გამორიცხული, რომ მოსახლეობის ძირითადი მასის ინფილტრაცია ამ დროისათვის დასავლეთ ამიერკავკასიიდან ხდებოდა. შესაძლოა, ამიტომაც კავკასიის კულტურული და ეთნიკური ერთობის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ძირითადი ოლქი სწორედ აქ იყო. ზედა პალეოლითის ბოლოსა და მეზოლითის დროს, გამყინვარების შემდგომ ხანაში, თითქმის მთელი კავკასია ათვისებულია ადამიანის მიერ. უნდა ვიფიქროთ, რომ ძველი ქვის ხანის კულტურა კავკასიაში ძირითადად ერთი მოდგმის ტომებს ეკუთვნოდა. როგორც ზემოთ დავინახეთ, კავკასიის პალეოლითური კულტურა ერთიანია, თავისებურია და აქ არ შეინიშნება ამ ხანაში რაიმე არსებითი ცვლილებები, რაც გადასახლებასთან ან ახლის შემოჭრასთან იქნებოდა დაკავშირებული. როგორც ჩანს, ამ დროს მოსახლეობის გადაადგილება ძირითადად კავკასიის შიგნით ხდებოდა. კავკასიაში, მისი რელიეფის გამო, ხელსაყრელი პირობებია გათიშვისათვის. ზედა პალეოლითის დასასრულისათვის უკვე ისახება ლოკალური ვარიანტების გარკვეული ნიშნები. მართალია, ახლა ძნელია ლაპარაკი

<sup>110</sup> А. Н. Рогачёв, Некоторые вопросы изучения эппалеолита Восточной Европы, стр. 12; Н. О. Бадер, Различия между верхнепалеолитическими культурами Закавказья и Ближнего Востока, стр. 143.


<sup>111</sup> А. А. Формозов, Каменный век и энеолит Прикубанья, стр. 48. რაც შეეხება დაღესტანში გათხრილ ჩოხის გამოქვაბულს, რომლის ქვედა ფენას ვ. კოტოვიჩი ზედა პალეოლითის ქვედა საფეხურს აკუთვნებს, ა. ფორმოზოვის აზრით, სწორი არ არის და იგი შუა საფეხურის ხანისა უნდა იყოს (А. А. Формозов, Обзор исследований мезолитических стоянок на Кавказе, стр. 184).

კავკასიის პალეოლითის დროინდელი მოსახლეობის ენობრივ კუთვნილებაზე, არქეოლოგია ამის შესახებ არაფერს იძლევა და არც ლინგვისტიკას შეუძლია ზედა პალეოლითში არსებულ ენობრივ წყობაზე რაიმეს თქმა. მაგრამ, იმის გამო, რომ კავკასიაში ამ დროს ერთიანი კულტურა ჩანს, არ არის გამორიცხული, რომ იმავეთვე აქ ერთი მოდემის ტომები ბინადრობდნენ. ამიტომ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ კავკასიაში ზედა პალეოლითში მოსახლე ტომები კავკასიური ენობრივი ერთობის მატარებლები იყვნენ. ეს ენობრივი ერთობა ზედა პალეოლითის პირველ ნახევარში უნდა ჩამოყალიბებულიყო. ზედა პალეოლითის მეორე ნახევრიდან მოსახლეობის შედარებით უფრო დიდ ტერიტორიაზე განფენა და იზოლაციისათვის არსებული კარგი გარემო იწვევდა, ალბათ, აგრეთვე კავკასიური ენობრივი ერთობის თანდათანობით დაშლას. ძველი ქვის ხანის ბოლოსა და მეზოლითის დროს კავკასიურ კულტურაში გამოსახული გარკვეული თავისებურებანი, შესაძლოა ასახავენ აგრეთვე ენობრივ ერთობაშიც, ეგებ, ჯერ კიდევ მცირედად მომხდარ ერთგვარ ცვლილებებს. ამიტომ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ კავკასიური კულტურული და ენობრივი ერთობის დაშლის სათავეები ძველი ქვის ხანის ბოლოს, ეგებ კი უფრო ძველი ქვის ხანიდან ახალი ქვის ხანაზე—პალეოლითიდან ნეოლითზე გარდამავალ პერიოდში, მეზოლითში უნდა ვეძიოთ. შემდეგში, უკვე ახალი ქვის ხანის დროს ეს პროცესი კიდევ უფრო შორს მიდის. ცხადია, ახლა ამგვარ საკითხებზე გარკვევით რაიმეს თქმა ძალიან ძნელია. ეს ისეთი შორეული ეპოქაა, რომ სხვა მონაცემები გარდა არქეოლოგიისა, თითქმის არ გავაჩნია. ამ ადრეული ეპოქებისათვის, როგორც კავკასიაში ყალიბდებოდა და ვითარდებოდა ადამიანთა საზოგადოება, არქეოლოგიური მონაცემები თითქოს ერთგვარად მხარს უჭერს აქ ერთიანი კულტურის არსებობას. თუ გავიხსენებთ ზემოთ უკვე თქმულს, რომ ადრეულ ხანაში არქეოლოგიური კულტურა შეიძლება აგრეთვე ეთნიკურ ნიშნებსაც ასახავდეს, მაშინ არ არის გამორიცხული დავუშვათ, რომ ეს ადრეული კულტურა კავკასიის ეთნიკური და ენობრივი ერთობის მატარებელ ტომთა კუთვნილება ყოფილიყო.

ახალი ქვის ხანა, ნეოლითი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდია კაცობრიობის ისტორიაში. თუ პალეოლითი შეგროვებითი მეურნეობის ხანა იყო და ადამიანი საკვებს ბუნებიდან მზამზარეული სახით იღებდა, ნეოლითში საზოგადოება წარმოებით მეურნეობაზე გადადის. ამ დროიდან ისახება და ვითარდება მეურნეობის ის დარგები — მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, რომლებიც დღესაც ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი საზრუნავია. მეურნეობის ახალი ფორმების განვითარებამ იმდენად დიდი ცვლილებები გამოიწვია უძველესი საზოგადოების თითქმის ყველა სფეროში, რომ ამ პერიოდს ნეოლითურ რევოლუციას უწოდებენ. კაცობრიობის ისტორიაში არც თუ ისე ბევრი მოვლენის ჩამოთვლა შეიძლება, რომლებიც თავისი მნიშვნელობითა და შედეგებით გაუტოლდება მეურნეობის ახალი ფორმის შემოსვლას. რა თქმა უნდა, ეკო-



ნომიური რევოლუცია, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა საზოგადოების ცხოვრება, უნდა მომხდარიყო იქ, სადაც საამისოდ ხელსაყრელი პირობები იყო. მეურნეობის პროგრესული, ახალი ფორმის წარმოქმნის ერთ-ერთი დამოუკიდებელი კერა უნდა არსებულიყო წინააზიური სამყაროს ჩრდილო ზოლში—ამიერკავკასიაში. აქ საამისოდ ყველა პირობა იყო.



სურ. 16. კაყის იარაღები ანასეული I-დან.

მართალია, ამიერკავკასიაში და საერთოდ კავკასიაში ნეოლითური ხანა ჯერ კიდევ სათანადოდ გამოვლენილი და შესწავლილი არ არის, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ იგი ადგილობრივი პალეოლითური კულტურის განვითარების შედეგი უნდა იყოს. სადღეისოდ აქ გამოვლენილია რიგი ადრენეოლითური ხანის ძეგლები, რომლებშიაც ჯერ კიდევ კარგად შეინიშნება წინამორბედი ხანის, ადგილობრივი მეზოლითური კულტურის ტრადიციები<sup>112</sup>. ჩანს, აგრეთვე, ისიც, რომ ამ დროს კავკასია, ძველი ქვის ხანასთან შედარებით, უფრო ფართოდაა ათვისებული. ნეოლითური რევოლუციის ერთ-ერთი შედეგი ის იყო, რომ მან მოსახლეობის სწრაფი ზრდა გამოიწვია. ამიერკავკასიაში და საერთოდ კავკასიაში ამ დროისათვის, ჩანს, საგრძნობლად იმატა აქ მოსახლე ტომების რიცხვმა.

საქართველოში ნეოლითური ხანის ძეგლები შედარებით უკეთ გამოვ-

<sup>112</sup> А. А. Формозов, Каменный век и энеолит Прикубанья, стр. 56; Л. Д. Небнеридзе, Неолит Западного Кавказа. Автореферат. Тбилиси, 1967, стр. 8; ლ. ნებიერიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბილისი, 1972, გვ. 69.

ლენილია მის დასავლეთ ნაწილში. აქ ნეოლითური ხანის ნამოსახლარები ცნობილია ანასეულთან, ოდიშთან, კისტრიკთან და სვ. დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ კულტურაში განვითარების სხვადასხვა საფეხურების დადგენა ხერხდება. ადრე ნეოლითური ხანისა უნდა იყოს კინტრიშის ნამოსახლარები და ანასეული I. გვიან ნეოლითს მიეკუთვნება გურიანთა, მამათი, ოდიში, კისტრიკი და ანასეული II<sup>113</sup>. ადრეული ძეგლების ქვის იარაღში კარგად შეინიშნება ადგილობრივი მეზოლითური კულტურის ნიშნები<sup>114</sup>. ეს ჭერ კიდეც უკერამიკო საფეხურია ნეოლითის (სურ. 16, 17).



სურ. 17. კახის იარაღები ხუცუბნიდან.

გვიან ნეოლითში შესამჩნევი ხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები ქვის იარაღში, ჩნდება ახალი ფორმები და გამოჩენას იწყებს თიხის ჭურჭელი. ამ პერიოდის ძეგლები დასავლეთ საქართველოში იმდენად ერთგვაროვანია, რომ შესაძლებელი ხდება მათი ერთ ჯგუფში გაერთიანება. ისინი ჭერ კიდეც მჭიდროდ უკავშირდებიან ადრე ნეოლითისა და მეზოლითის კულტურას და განვითარების შემდგომ საფეხურს წარმოადგენს. გვიანნეოლითურ ძეგლებში რამდენადმე ადრეულია ოდიში (სურ. 18, 19), ყველაზე გვიანი კი — ანასეული II<sup>115</sup> (სურ. 20, 21).

დასავლეთ ამიერკავკასიის გვიანნეოლითურ საფეხურს უნდა მიეკუთვნებოდეს ადღერის მახლობლად გამოვლენილი ქვემო-შილოვკის სადგომი. აქ აღმოჩენილი ქვის იარაღი ახლოს დგას კისტრიკის და ოდიშის მასალებთან<sup>116</sup>. გან-


<sup>113</sup> Л. Д. Неберидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

<sup>114</sup> ლ. ნე ბ ი ე რ ი ძ ე, ადრე ნეოლითური ხანის ნაშთები ანასეულიდან, ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. II, თბილისი, 1963, გვ. 174.

<sup>115</sup> ლ. ნე ბ ი ე რ ი ძ ე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, გვ. 82.

<sup>116</sup> А. А. Формозов, А. Д. Столяр, Неолитические и энеолитические поселения в Краснодарском крае, СА, 2, Москва, 1960, стр. 103; А. А. Формозов, Исследования памятников каменного века на Северном Кавказе в 1957 г., КСИИМК, вып. 78, Москва, 1960, стр. 18.

საკუთრებით პირველთან, მაგრამ მასზე თითქოს რამდენადმე ახალგაზრდა უნდა იყოს<sup>117</sup>. ზოგი მკვლევარის აზრით გვიანნეოლითურ ძეგლებს შორის ოდიში უფრო აღრეული უნდა იყოს<sup>118</sup>, ზოგი კი პირიქით კისტრიკთან და ქვემო-შილოვკასთან შედარებით, მას უფრო გვიანდელად მიიჩნევენ<sup>119</sup>. გარკვეულ სიახლოვეს დასავლეთ საქართველოს ნეოლითთან ამჟღავნებს ყუბანისპირეთში გამოვლენ-



სურ. 18. კაჟის იარაღები ოდიშიდან.

ნილი მასალები<sup>120</sup>. მართალია აქ ჭერჭერობით ამ პერიოდის მხოლოდ რამდენიმე ძეგლია ცნობილი, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია კამენომოსტსკაიას გამოქვაბული და ოფიქა, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ აქაც ნეოლითის საფუძვლად უდევს ადგილობრივი მეზოლითური კულტურის მიკროლითური ტექნიკის ტრადიციები<sup>121</sup>. კამენომოსტსკაიას გამოქვაბულში მოპოვებული მასალა განსაკუთრებით ახლო დგას ქვემო-შილოვკას სადგომის მასალებთან<sup>122</sup>. საერთოდ ყუბანისპირეთის ნეოლითური ხანის ძეგლები ახლო კავშირს ამჟღავნებენ დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითთან. მსგავსება ჩანს როგორც ქვის ინვენტარში, ისე კერამიკაში<sup>123</sup>. თუმცა სულ ახლახან ა. ფორმოზოვმა გამოთქვა

117 Л. Н. Соловьёв, Неолитические поселения черноморского побережья Кавказа, Нижне-Шилловское и Кистрик. Абхазский институт языка, литературы и истории. Сухуми, 1967, стр. 23.

118 ლ. ნებეირიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 83.

119 А. А. Формозов, Неолит Крыма и Черноморского побережья Кавказа, МИА, 102, Москва, 1962, стр. 147.

120 ლ. ნებეირიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 98.

121 А. А. Формозов, Каменный век и энеолит Прикубанья, стр. 56.

122 А. А. Формозов, Каменомостская пещера, многослойная стоянка в Прикубанье, стр. 110.

123 ლ. ნებეირიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 98.

მოსაზრება, რომ კამენომოსტსკაიას ნეოლითი შომუთეფე-შულავერის კომპლექსზე აღრეული არ უნდა იყოს <sup>124</sup>.

დასაველეთ საქართველოს და საერთოდ დასაველეთ ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურის ერთგვაროვანი ხასიათის მიუხედავად, გვიანდელ საფეხურზე, მის შიგნით მაინც ხერხდება გარკვეული ვარიანტების გამოყოფა. თანა-




სურ. 19. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და ქვის იარაღები ოდიშიდან.

შედროვე გურიისა და სამეგრელოს ფარგლებში მოქცეული ძეგლებისათვის დამახასიათებელია ორნამენტირებული კერამიკა, გარკვეული თავისებურება ქვის იარაღში და სხვ. (გურიანთა, ანასეული II, ოდიში). მეორე ჯგუფისათვის, რო-

<sup>124</sup> А. А. Формозов, К истории древнейшего скотоводства на юге СССР. Труды Московского общества испытателей природы, т. XLVIII, Москва, 1972, стр. 21.

მელსაც ძირითადად აფხაზეთის და მისი მიმდგომი რაიონები უკავია, დამახასიათებელია სადა, უორნამენტო თიხის ქურჭელი. ერთგვარად განსხვავებული ტიპი ზოგიერთი იარაღისა და სხვ. შესაძლოა გვიანნეოლითურ საფეხურზე დასავლეთ ამიერკავკასიაში უკვე ისახება ლოკალური ვარიანტები. ნეოლითის გვიანდელი ეტაპის კულტურა ადრენეოლითთანაა გენეტიკურად დაკავშირებული<sup>125</sup>.



სურ. 20. კაეის იარაღები ანასეული II-დან.

სამწუხაროდ, დღესდღეობით ბევრი არაფრის თქმა შეგვიძლია აღმოსავლეთ საქართველოს და საერთოდ ცენტრალური<sup>126</sup> და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურის შესახებ. ის ცალკეული აღმოჩენები, რომლებიც ცნობილია ამ რაიონებიდან, გარკვეულ წარმოდგენას ამ საფეხურზე ვერ იძლევა<sup>127</sup>. მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ ეს მხარეებიც ამ პერიოდში ათვისებული ჩანს. აღსანიშნავია კობისტანში, ბეიუკ-დაშთან აღმოჩენილი ადრენეოლითური ხანის სადგომი<sup>128</sup>. იგივე შეიძლება აღინიშნოს აგრეთვე ჩრდილო კავკასიის ცენტრალური ნაწილის შესახებ, სადაც ამ პერიოდის რამდენიმე ძეგლი და ცალკეული აღმოჩენებია ცნობილი.

შედარებით უკეთ ნეოლითური კულტურა შესწავლილია ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, დაღესტანში. აქ, ადრენეოლითურ ხანას მიეკუთვნება მახაჩყალისა და ბუინაკსკის მახლობლად გამოვლენილი ნასოფლარები. ეს კულტურა გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს დაღესტნის გვიანნეოლითურ ძეგლებ-

<sup>125</sup> ლ. ნ ე ბ ი რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 91.


<sup>126</sup> გ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ნეოლითური მასალა ლავოდხის რაიონიდან, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, 1, თბილისი, 1966. გვ. 4.

<sup>127</sup> ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 122.

<sup>128</sup> А. А. Ф о р м о з о в, Очерки по первобытному искусству, стр. 44.

თან. მასში ჭერ კიდევ შერჩენილია წინარე პერიოდის ნიშნები და ამავე დროს გვხვდება ახალი, ნეოლითისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი<sup>129</sup>.

დაღესტანში ცნობილია, აგრეთვე, გვიანნეოლითური ხანის ძეგლები (უპირატესად გუნბისა და აკუშინის რაიონებში). აქ გამოვლენილ ამ ხანის



სურ. 21 თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და ქვის ცულები ანასეული 11-დან.

ნასოფლარებზე აღმოჩენილი ქვის ინვენტარი უახლოვდება ოდიშის, კისტრიკის და სხვა ძეგლების ქვის იარაღს<sup>130</sup>. ნეოლითის ბოლოს უნდა მიეკუთვნებოდეს სოფ. რუგუჯის (გუნბის რაიონი) სამი ნეოლითური სადგომი. ამ სადგომ-

<sup>129</sup> В. Г. Котович, Археологические работы в горном Дагестане. Материалы по археологии Дагестана. Махачкала, 1961, стр. 23; История Дагестана, т. I. Москва, 1967, стр. 28.

<sup>130</sup> В. Г. Котович, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

მებზე აღმოჩენილი კერამიკა განსაკუთრებით დამზადების წესითა და გამოწვის ხარისხით მოგვაგონებს ოდიშისა და საერთოდ დასავლეთ კავკასიის ნეოლითისათვის დამახასიათებელ თიხის ჭურჭელს, ოღონდ დაღესტნური კერამიკა სადაა<sup>131</sup>. ამრიგად, მთიან დაღესტანში გამოვლენილი ნეოლითური ძეგლები მოწმობენ, რომ ნეოლითის ხანაში მთის ზოლი აქ კარგადაა ათვისებული ადამიანის მიერ<sup>132</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიაში და საერთოდ კავკასიაში წარმოებით მეურნეობაზე გადასვლის პროცესი წინა აზიასთან შედარებით რამდენადმე გვიან უნდა მომხდარიყო<sup>133</sup> და თანაც უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი, ეგებ, ისიც იყო, რომ ჩვენში შეგროვებითი მეურნეობისათვის ხელსაყრელი პირობები იყო, რასაც ერთგვარად უნდა შეენელებინა მეურნეობის ახალი ფორმების დამკვიდრება და განვითარება. მაგრამ ახალი ტიპის ეკონომიკის განვითარებისათვის კავკასიაში ყველა პირობა იყო და ამას არ შეიძლება ბოლოს და ბოლოს საზოგადოება ნეოლითურ რევოლუციამდე არ მიეყვანა. ამიერკავკასიაში უხვად მოიპოვებოდა საკვები მცენარეულობა. ეს მხარე მრავალი ხორბლეული ჯიშის სამშობლოდ ითვლება და აქ მოსახლე ტომებს გარკვეული როლი მიუძღვით პურეული ჯიშების გამოყვანაში. საქართველოში კარგადაა წარმოდგენილი ადგილობრივი ენდემური ჯიშები. აქაა ჩასახული და განვითარებული მახა, ზანდური, დიკა და სხვ. ფორმები. ქართული დოლის პური, როგორც აღნიშნავენ, ქართველი მიწათმოქმედების პირშოა. არა გვგონია მართებული იყოს ა. ფორმოზოვის მიერ ახლახან გამოთქმული მოსაზრება, რომ თითქოს კავკასიაში „ნეოლითურ რევოლუციაზე“ გამწვანდება ლაპარაკი იმის გამო, რომ აქ ნეოლითურ ხანაში მეურნეობაში კარდინალური ფარდატეხა არ მომხდარა, ახალი ტიპის ეკონომიკა თავის პირველ ნაბიჯებს დგამს და ისიც ძირითადად დასავლეთ კავკასიაში. აღმოსავლეთ კავკასიაში, მისი აზრით, როგორც ეს აზერბაიჯანში კობისტანის გათხრებიდან ჩანს, ადრე ნეოლითი ჯერ ისევე თითქოს შეგროვებით მეურნეობაზე იყო დამყარებული<sup>134</sup>.

უნდა ითქვას, რომ ნეოლითური კულტურის განვითარებას ამიერკავკასიაში და საერთოდ კავკასიაში აპირობებდა აგრეთვე ახლო კავშირი ძველადმოსავლურ სამყაროსთან<sup>135</sup>. კავკასიის ნეოლითში შეიმჩნევა ისეთი ნიშნები, რომლებიც წინა აზიის უძველეს სამიწათმოქმედო კულტურებთან ურთიერთობის შედეგი უნდა იყოს. ეს შეინიშნება როგორც ქვის იარაღში, ისე თიხის ჭურჭელ-

131 История Дагестана, I, стр. 31; В. Г. Котович, დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

132 იქვე, გვ. 23.

133 В. М. Массон, Проблема неолитической революции в свете новых данных археологии. Вопросы истории, № 6, Москва, 1970, стр. 81.

134 А. А. Формозов, О соотношении неолитических и энеолитических культур Кавказа, КСИА, 137, Москва, 1973, стр. 37.

135 А. А. Формозов, А. Д. Столяр, დასახ. ნაშრომი, გვ. 104.

ში და შესაძლოა მეურნეობის ახალი ფორმების დამკვიდრებას ხელი სწორედ ამ ჰიახლოვემ შეუწყო<sup>136</sup>. მაგრამ, წინა აზიასთან კონტაქტების მიუხედავად, კავკასიის ნეოლითი ადგილობრივი, წინაზე კულტურის საფუძველზე აღმოცენდა<sup>137</sup>, ოღონდ, როგორც ერთ-ერთი შემადგენელი, ეგებ, უფრო პერიფერიული ნაწილი წინა აზიის უძველესი სამიწათმოქმედო ცენტრისა, მასთან ახლო ურთიერთობაში ვითარდებოდა. არ არის გამორიცხული, რომ ამ დროს სამხრეთიდან ხალხთა გარკვეული მასების შემოსვლას ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამას რაიმე მნიშვნელოვანი, შესამჩნევი ცვლილებები არ გამოუწვევია. ა. ფორმოზოვი ფიქრობს, რომ მასლობელ აღმოსავლეთთან ურთიერთობის შედეგად შემოდის კავკასიაში პირველი ჩვევები მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობისა, მაგრამ ამას მნიშვნელოვანი ცვლილებები მეურნეობაში არ მოჰყოლია და ეს გავლენები ნეოლითშიც ჯერ კიდევ თითქოს ოღნავ შესამჩნევია<sup>138</sup>, მაგრამ სწორედ ახალ აღმოჩენათა



სურ. 22. ქვის იარაღები კისტრიკის ნამოსახლარიდან.

სინათლეზე ქვემო ქართლში, შულავერის კულტურაში, ეკონომიკის ახალი ფორმები, მიწათმოქმედება და მესაქონლეობა განვითარების უკვე საკმაოდ მაღალ დონეზე დგას. ნიშანდობლივია, რომ შულავერის ჯგუფის გორებზე ძვლოვან მასალებში ძირითადად შინაური ცხოველების ძვლებია წარმოდგენილი<sup>139</sup>. შომუთეფე-შულავერის კულტურის ადრინდელი საფეხური „ნეოლითური რევოლუციის“ დასასრულ ხანას უნდა ასახავდეს. სამწუხაროდ ჩვენ ჯერჯერობით თითქოს არ ვიცნობთ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში უფრო ადრეული დროის ამსახველ ძეგლებს, სადაც მიმდინარეობდა ახალი ტიპის ეკონომიკის ჩასახვისა და განვითარების რთული პროცესი. არა გვგონია მთლად სწორი იყოს ა. ფორმოზოვის მოსაზრება, რომ თითქოს წინა აზიის ადრეული სამიწათმოქმედო კულტურების კავშირი ნეოლითის ხანაში ამიერკავკასიის დასავლეთით, ზღვისპირა რაიონებთან ხორციელდებოდა და აღმოსავლეთი ნაწილი ამ ურთიერთობის მიღმა დარჩა. შემდეგში, ენეოლითის დროს სამხრე-

<sup>136</sup> А. А. Формозов, Каменный век и энеолит Прикубанья, стр. 59; Л. Д. Нейерндзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.


<sup>137</sup> ლ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 179.

<sup>138</sup> А. А. Формозов, О соотношении неолитических и энеолитических культур Кавказа, стр. 38.

<sup>139</sup> А. Л. Цицишвили, Костные остатки животных из Шулавери, საქართველოს სახ. მეზღუბის არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშები, თბილისი, 1969, გვ. 34.



თიდან ამიერკავკასიაში მიწათმოქმედ-მესაქონლე ტომების გადმოადგილება მოხდა, რომლებიც დასავლეთ ამიერკავკასიაში ადგილობრივ ტომებს შეერწყნენ, აღმოსავლეთით კი მათ მთლიანად შთანთქმეს ადგილობრივი მოსახლეობა<sup>140</sup>. მაგრამ არსებული მასალები, ვფიქრობთ, ამგვარი დასკვნების გამოტანის საშუ-



რუკა 2. ნეოლითური ხანის ძეგლები დას. საქართველოში.

ალებას არ უნდა იძლეოდეს. დასავლეთით, სადაც განვითარებისათვის სხვაგვარი პირობები იყო, როგორც ჩანს, საზოგადოება „ნეოლითურ“ საფეხურზე, როგორც ამას ქვევით დავინახავთ, უფრო დიდხანს შემორჩა. აღმოსავლეთით საზოგადოების განვითარების პროცესი სხვაგვარად მიმდინარეობდა. არ არის გამორიცხული, როგორც აღვნიშნავდით, სამხრეთიდან გარკვეული ტომების გადაადგილებაც მოხდა, მაგრამ მათ გამოჩენას რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მოჰყოლია. ყოველ შემთხვევაში შომუთეფე-შულავერის კულტურაში რაიმე მნიშვნელოვანი გარდატეხები არ შეიმჩნევა და იგი საგრძნობლად განსხვავდება წინა აზიის თანადროული კულტურებისაგან.

140 A. A. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

ამრიგად, ამიერკავკასიაში და საერთოდ კავკასიაში ნეოლითის ხანაში დაიწყო შეგროვებითი მეურნეობიდან წარმოებითზე გადასვლის პროცესი. ეს პროცესი საკმაოდ რთული იყო და აქ მოსახლე ტომებმა წარმატებით განვლეს იგი. ადგილობრივ არსებული ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების საფუძველზე დაიწყეს მათ მეურნეობის ახალი ფორმების, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის დამკვიდრება და განვითარება. ახალი ტიპის ეკონომიკაზე გადასვლა, რა თქმა უნდა, ერთბაშად არ მომხდარა, იგი საკმაოდ ხანგრძლივი იყო<sup>141</sup>. ეკონომიური რევოლუცია ჩვენში რამდენიმე ათას წელიწადს უნდა გაგრძელებულიყო და იგი, როგორც ჩანს, V ათასწლეულისათვის უნდა დასრულებულიყო.

ეკონომიური ბაზის შეცვლამ გვაროვნული საზოგადოების გადახლისება გამოიწვია. მეურნეობის ახალ ფორმებზე გადასვლა საზოგადოების შიგნით სხვაგვარი ურთიერთობის დამკვიდრებას იწვევდა. იცვლება დამოკიდებულება ტომებსა და გვარებს შორის. იქმნება უფრო მსხვილი ტომობრივი დაჯგუფებები. ამ პერიოდთან შეინიშნება მკვეთრად ჩამოყალიბებული არქეოლოგიური კულტურების არსებობა. იქმნება უფრო მსხვილი ეთნიკური ჯგუფები. მკვეთრად იმატა მოსახლეობის რიცხვმა. კავკასია ნეოლითის ხანაში უკვე საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული ჩანს. საფიქრებელია, რომ მოსახლეობის გამრავლებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები ამიერკავკასიის დასავლეთ ნაწილში შეიქმნა. ამას პირველ რიგში ხელი შეუწყო ახალი ტიპის ეკონომიკის განვითარებისათვის აქ არსებულმა კარგმა ბუნებრივმა გარემომ. გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ პერიოდში აქ მოსახლეობის რიცხვის ერთგვარი სიჭარბე შეიქმნა, რამაც ნამატის ერთი ნაწილის აღმოსავლეთ ევროპაში გადასახლებაც კი გამოიწვია<sup>142</sup>. რა თქმა უნდა, გაზრდილი მოსახლეობა იძულებული იყო ახალი სახის მეურნეობისათვის ვარგისი მიწების ათვისებისათვის ეზრუნა. იწყება ტომების სემენტაციის საკმაოდ ინტენსიური პროცესი. იქმნება მონათესავე ტომებისაგან შემდგარი მოზრდილი ეთნიკური ჯგუფები, რისი ანარეკლიც უნდა იყოს მეტნაკლებად ერთგვაროვანი დიდი არქეოლოგიური კულტურების არსებობა. მაგრამ დიდ ტერიტორიაზე მათი განფენა თანდათანობით მათ დაშორებას იწვევდა. ეს ჩვენში განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება ნეოლითის გვიანდელ საფეხურზე. ამ დროისათვის დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურის ერთგვაროვანი ხასიათის მიუხედავად უკვე შეინიშნება, პალეოლითთან შედარებით, უფრო ძლიერი, თავისებურა ლოკალური ვარიანტები, რაც შესაძლოა აქ მოსახლე ტომებში მომხდარ ერთგვარ ეთნიკურ ცვლილებებსაც ასახავს. საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ მთელ კავკასიაში ნეოლითური კულტურის მატარებელი ტომების კიდევ უფრო ფართოდ განფენა საერთო

<sup>141</sup> В. М. Массон, დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

<sup>142</sup> В. Н. Данilenko, Неолит Украины, стр. 18.


კავკასიური ერთობის დაშლის საფუძველს ქმნიდა. ჯერ კიდევ ზედა პალეოლითის ბოლოსათვის დაწყებული ეს პროცესი გვიანნეოლითისათვის უკვე საკმაოდ შესამჩნევი ხდება. ამას უთუოდ, ერთი მხრით, ხელს უწყობდა აგრეთვე კავკასიაში არსებული ბუნებრივი პირობებიც. ღრმა ხეობები, მთის მასივები და სხვა აფერხებდა ურთიერთთან კონტაქტს. კავკასიაში მოსახლე ტომები სულ უფრო და უფრო შორდებიან ერთმეორეს. ამ პროცესს არ შეიძლება გარკვეული გავლენა არ მოეხდინა ენაზე. სუსტი კონტაქტების პირობებში ჯერ კიდევ ზედაპალეოლითურ ტომებში საერთო კავკასიური ენის საფუძველზე იქმნებოდა, ალბათ, სხვადასხვა დიალექტური ჯგუფები, რომლებიც შემდეგში კიდევ უფრო შორდებიან ერთმეორეს. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ პირველყოფილი თემური წყობილებისათვის დამახასიათებელია ტომებისა და სატომო ენების დანაწევრების პროცესი<sup>143</sup>. ეს პროცესი საკმაოდ რთული და ხანგრძლივი იყო. ახლა ძნელია თქმა იმისა, თუ სად და როგორ ყალიბდებოდნენ კავკასიური ენების ცალკეული ჯგუფები. მაგრამ, საფიქრებელია, რომ ნეოლითის ხანაში აქ მოსახლე ტომების გარკვეული ნაწილი ისეთ გარემოში მოექცნენ, სადაც მეურნეობის ახალი ტიპის განვითარებისათვის უფრო კარგი პირობები იყო. ამან უთუოდ ხელი შეუწყო მოსახლეობის რიცხვის ზრდას, რამაც თავის მხრივ ახალ-ახალი ტომების წარმოქმნა გამოიწვია. ეს ტომები სულ უფრო და უფრო დიდ ტერიტორიაზე იფანტებიან. შეიძლება ვიფიქროთ, რომ დასავლეთ ამიერკავკასია ამ პერიოდში ჯერ კიდევ ერთ-ერთი ძირითადი ოლქი იყო, საიდანაც ტომების გადაადგილება ხდებოდა. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ აქ ყალიბდებოდა ძირითადად წინარე კავკასიური ენობრივი ერთობა, რომლის ჩასახვა შორეულ ეპოქაში, პალეოლითის ბოლოსა და ნეოლითის ადრეულ ხანაშია სავარაუდებელი<sup>144</sup>. მაგრამ უკვე ნეოლითის უფრო გვიანდელ საფეხურზე საფუძველი ეყრება კავკასიური ენობრივი და კულტურული ერთობის გათიშვის პროცესს და თანდათანობით სამი ძირითადი ჯგუფის ჩამოყალიბების პირობები იქმნება: დასავლეთ-კავკასიური, სამხრეთ-კავკასიური და აღმოსავლეთ-კავკასიური. ნეოლითური რევოლუციის დასასრულისათვის V ათასწლეულში, ეს ერთობა ძირითადად უკვე დაშლილი უნდა იყოს.

უკანასკნელ ხანებში ამიერკავკასიაში გამოვლენილი იყო V—IV ათასწლეულების ადრემიწათმოქმედი ტომების ადგილობრივი კულტურა, რომელშიაც ასახული უნდა იყოს ნეოლითური რევოლუციის ხანგრძლივი პროცესის ბოლო ეტაპი და მისი შედეგები. ეს კულტურა სადღეისოდ გამოვლენილია ცენტრალურსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. ერთი ჯგუფი ადრეული ნამოსახლარებისა აღმოჩენილია ქვემო ქართლში, მდ. მტკვრის დინების შუა წელზე, მისი მარჯვე-

143 Б. В. Горнунг, В. Д. Левин, В. Н. Сидоров, Образование и развитие языковых семей, ВЯ, I, Москва, 1952, стр. 48.

144 Г. А. Климов, Кавказские языки. Москва, 1965, стр. 76.

ნა შენაკადების — ხრამის, დებედას და აქსტათის აუზებში, მარნეულის, ბოლნისისა და საქართველოს მოსაზღვრე ყაზახის (აზერბაიჯანი) რიონებში. ცნობილია ეს კულტურა არარატის ნაყოფიერ ველზე, აგრეთვე ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, დაღესტანში. ამ ძველ ნასოფლარ ადგილებზე დღეს ხელოვნური ბორცვებია წარმოქმნილი. ორი ამგვარი ძველი ვაითხარა შულავერის მიდამოებში<sup>145</sup>. სოფლები შედგებოდა ალიზისაგან ნაგები მრგვალი შენობებისაგან (სურ. 23, 24). ნივთიერი მასალა ძირითადად წარმოდგენილია ობსიდი-




სურ. 23. იმერის გორა (გენეგემა).

ნისა და გახეხილ-გაპარიალებული იარაღით, ძვლისა და რქის ნაწარმით და თიხის ქურჭლით. უმთავრესად გვხვდება მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული იარაღი — ნაშგლის ჩასართები, ძვლისა და რქის თოხები, ხელსაფქვავეები, დანები, სახვრეტები და სხვ. (სურ. 25, 26). თიხის ქურჭელი ტექნიკურად და ფორმითაც ჯერ კიდევ შედარებით პრიმიტიულია. იგი არქაულ იერს ატარებს, ხე-

<sup>145</sup> ო. ჯაფარიძე, აღ. ჯაფახიშვილი, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები, მაცნე, 3, თბილისი, 1967, გვ. 292; О. М. Джапаридзе, А. И. Джавахишвили, Результаты работ Квемо-Картлийской археологической экспедиции, საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშები. თბილისი, 1969, გვ. 19.

ლითაა ნაძერწი, ტლანქად. ქურჭლის ფორმები არ არის მრავალფეროვანი. ძირითადად გვხვდება მოზრდილი ქილები, მკვეთრად გამოსახული ფეხით. ხშირად ამგვარ ქურჭელს პირთან ერთ ან ორმწკრივად განლაგებული მკვეთრად გამოსახული წვეტიანი კოპები ამკობს. ამ ნამოსახლარების ზედა ფენებში უკვე



სურ. 24: შენობა № 8, 9, 10 იმირის გორიდან (რეკონსტრუქცია).


გვხვდება რამდენადმე განსხვავებული კერამიკა. იგი ღია მოვარდისფრო ფერისაა, გაპრიალებული ზედაპირით, უპირატესად კასრისებრი ფორმის, ბრტყელი ძირით ან სუსტად გამოხატული ქუსლით (სურ. 27, 28).

ქვემო ქართლში, მარნეულის ვაკეზე ნასოფლარი ბორცვები ჯგუფჯგუფადაა განლაგებული. თითოეული ასეთი ჯგუფი 3—5 ბორცვისაგან შედგებოდა. მაგალითად, შულავერის ჯგუფში ოთხი ამგვარი ბორცვი შედიოდა. ძირითად ბორცვზე შულავერის გორაზე ცხოვრება ჩასახული უნდა იყოს მარნეულის ველის პირველი ათვისების ხანაში. შემდეგში მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით ეს სოფლები ნამატს ველარ იტანენ და ამიტომ მოსახლეობის ნაწილი იძულებულია ახალ ადგილზე გადავიდეს. ძველი სოფლის მახლობლად ჩნდება ახალი სოფლები. ქვემო ქართლში ამ ადრეულ ხანაში ამგვარი სეგმენტაცია რამდენჯერმე უნდა მომხდარიყო.

ამავე ტიპის ბორცვები აღმოჩენილია აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ყაზახის რაიონში, რომელიც ვარდაბნისა და მარნეულის ველების უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს. სადღეისოდ აქ რამდენიმე ბორცვია შესწავლილი და არც სოფლის ტიპი და არც მასალა თითქმის არ განსხვავდება ქვემო ქართლის ნამოსახლარებისაგან. როგორც ჩანს, ამ მხარეს იმავე კულტურის მატარებელი ტომები ითვისებენ.

აზერბაიჯანში უფრო სამხრეთით. ადრესამიწათმოქმედო კულტურა გამოვლენილი იყო მილისა და ყარაბახის ველზე და ნახიჩევანის მხარეში. განსაკუთრე-


ბით აღსანიშნავია ნახიჩევანის მახლობლად გათხრები მრავალფენიანი ბორცვი ქიულ-თეფე (სურ. 29). ამ ბორცვის ძირა ფენაში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ქვისა და ძვლის იარაღები, უპირატესად მიწათმოქმედებასთან დაკავშირე-



რუკა 3. ქვემო შულავერის ნასოფლარების ჯგუფი.

ბული. თიხის ქურქელი ტლანქია, ბზენარევი, უპირატესად მოწითალო ზედაპირით. გვხვდება მოხატული ქურქელი, რომელთაგან ერთი ჯგუფი ადგილობრივი უნდა იყოს, მეორე კი შემოტანილი. ქიულ-თეფე I ფენაში ლითონის შეიდი ნივთი აღმოჩნდა<sup>146</sup>. ეს კულტურა სამხრეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული. ამ პერიოდის ნამოსახლარები ცნობი-


<sup>146</sup> О. А. Абнбуллаев, Раскопки холма Кюль-тепе близ Нахичевана в 1955 г., МИА, 67, М.—Л., 1959, стр. 445.



სურ. 25. ობსიდიანისა და კაჟის ნაწარმი შულავერის გორიდან.

ლია მილისა და ყარაბახის ველებზე<sup>147</sup>. უკანასკნელ დროს ამ პერიოდის კულტურა აღმოჩნდა მულანში<sup>148</sup>.

ადრესამიწათმოქმედო კულტურა გამოვლენილია, აგრეთვე, არარატის ველზე. ეჩმიადინის მახლობლად რ. თოროსიანმა აღმოაჩინა ბორცვი ხათუნარხი, სადაც შულავერის მსგავსი მასალები იყო ნაპოვნი: ისეთივე ობსიდიანის ნუკლეუსები და იარაღი, ტიპური კერამიკა კოპებით შემკული და სხვ. აღსა-



რუკა 4. ადრესამიწათმოქმედო ნასოფლარები ამიერკავკასიაში.

ნიშნავია ეჩმიადინის მახლობლად აღმოჩენილი მეორე ძეგლი, თელუთის ნაშოსანლარი<sup>149</sup>, რომელიც რამდენადმე უფრო გვიანი უნდა იყოს და უკვე ერთგვარად განსხვავებული ხასიათის მასალას იძლევა. ამ კულტურის კვალი აღმოჩენილია, აგრეთვე, დაღესტანში. აქ მაღალმთიან ზოლში სოფ. გინჩის მახლობ-

<sup>147</sup> А. А. Иессен, Из истории прошлого Мильско-Карабахской степи, МИА, 125, М.-Л., 1965, стр. 13.


<sup>148</sup> И. Г. Нариманов, Ф. Р. Махмудов, Энеолитические памятники на Мугане. Известия Академии наук Аз. ССР. Серия истории, философии и права, № 2, Баку, 1967, стр. 88.

<sup>149</sup> А. А. Мартиросян, Р. М. Торосян, К интерпретации энеолитической культуры в Армении. Известия общественных наук АН Арм. ССР, № 3, Ереван, 1967, стр. 5; Р. М. Торосян, Раскопки поселения Техута в 1965 г. Историко-филологический журнал, I, Ереван, 1968.



ლად ნაპოვნია ნამოსახლარი, რომლის ქვედა ფენა საკმაოდ ახლო დგას ქიულ-  
თეფე I-თან <sup>150</sup>.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ადრემიწათმოქმედი ტომე-  
ბის კულტურის ჩამოყალიბების ზანა შეიძლება V ათასწლეულის შუა ხანებით  
განისაზღვროს, მისი დასასრული კი IV ათასწლეულის შუაზე უნდა მოდიო-




სურ. 26. ძვლისა და რქის იარაღები იმირის გორიდან.

დეს. მართალია, ჯერჯერობით აქ წინარე კულტურა აღმოჩენილი არ არის, მაგ-  
რამ თითქოს ისე ჩანს, რომ იგი შესაძლოა აღმოცენდა. დასავლეთ ამიერკავკა-

<sup>150</sup> История Дагестана, I, Москва, 1967, стр. 34.

სიის ნეოლითთან ახლო მდგომი კულტურის საფუძველზე ამ ნეოლითთან ნახულობს გარკვეულ სიახლოვეს ქვემო ქართლში და ყარაბაღ-ნახიჩევანში გამოვლენილი ადრეული კულტურა<sup>151</sup>.

ამიერკავკასიის აღმოსავლეთ და ცენტრალურ ნაწილში გავრცელებულ ადრესამიწათმოქმედო ტომების კულტურაში ორი ლოკალური რაიონი ვლინდება, რომელსაც ადგილობრივი საერთო ფესვები უნდა ჰქონოდა. ერთი მათგანი




სურ. 27. თიხის ჭურჭელი შულავერის გორიდან.

მოიცავდა ქვემო ქართლს, მის მიმდგომ მხარეებს (შულავერი-შომუთეფეს ვარიანტი), მეორე კი ყარაბაღ-ნახიჩევანის ოლქს, არარატის ველს და დაღესტანშიც გადადის. ამიერკავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ზოლში ჩამოყალიბებული ეს ადრეული კულტურა, რამდენადმე უფრო გვიანი უნდა იყოს შომუთეფე-შულავერის კულტურასთან შედარებით. იგი წინა აზიის ადრეული კულტურების

<sup>151</sup> Л. Д. Небнеридзе, Неолит Западного Закавказья, стр. 15.


გარკვეულ გავლენას განიცდის და თანდათანობით თავისებურ ელფერს იღებს (ბზენარევი თიხის გამოყენება, წინააზიური ტიპის მოხატული კერამიკის გავრცელება და სხვ.). ამიერკავკასიის უფრო ჩრდილო ნაწილში ძველადმოსავლური კულტურის გავლენა ნაკლებად შესამჩნევია.



სურ. 28. თიხის კურკელი იმირის გორიდან.

დასავლეთ ამიერკავკასიაში და კერძოდ დასავლეთ საქართველოში ამ დროისათვის ერთგვარად განსხვავებული კულტურა გვხვდება, რომელიც ადგილობრივი ნეოლითის საფუძველზეა აღმოცენებული და ჭერ კიდევ ბევრი ზაერთო აქვს მასთან. მართალია, სადღეისოდ ამ რიგის ძეგლები გამოვლენილია აქ როგორც ზღვისპირა ზოლში, ისე უფრო შიდა რაიონებშიც და მათი ქრონო-

ლოგიური თანამიმდევრობის ცდებიც არსებობს<sup>152</sup>, მაგრამ, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ ამიერკავკასიის ეს ადრეული კულტურა ჯერ კიდევ სუსტადაა შესწავლილი. ამიტომ ამ კულტურის შესახებ ჯერჯერობით მეტად ზოგადად თუ ითქმის რაიმე. მიუხედავად თავისი არქაული იერისა მიწათმოქმედი ტომების ეს კულტურა უფრო პროგრესული ნიშნებით ზასიათდება და მისი განვითარება თავისებური გზით მიმდინარეობდა.



სურ. 29. თიხის ჭურჭელი ნახიჩევანის ქიულ-თეფე I-დან.

ზღვისპირა ზოლში, აფხაზეთში ადრეული ნამოსახლარები აღმოჩენილია შაჰარასთან და მთა გუანდისზე<sup>153</sup>. მსგავსი ძეგლები გვხვდება სოჭი-ადლერის მხარეში (იმერეთის ყურე, მოლდოვკა, ახშტირის გამოქვაბული)<sup>154</sup>. ისევე როგორც ნეოლითის დროს, მომდევნო ხანაშიც აქ ძირითადად ერთიანი სამიწათმოქმედო კულტურა იყო გავრცელებული. ამ დროის ნამოსახლარები ცნობილია, აგრეთვე, რიონ-ყვირილის აუზში. ქუთაისის მახლობლად თეთრაშიწაზე უკვე კარგა ხნის წინათ აღმოჩნდა ადრეული ნამოსახლარი, რომელიც ბო-

<sup>152</sup> Л. Глонт, А. Джавахишвили, Г. Джавахишвили, Я. Киквидзе, Д. Тушабрамишвили, Некоторые итоги полевых работ 1964 г. Урбинской и Квирильской археологических экспедиций, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXV-B, თბილისი, 1968, გვ. 10; В. В. Бжания, Древнейшая культура Абхазии. Автореферат, Москва, 1966, стр. 6.

<sup>153</sup> იქვე, გვ. 7.

<sup>154</sup> А. А. Формозов, Неолит Крыма и Черноморского побережья Кавказа, стр. 126.

ლო დრომდე მიჩნეული იყო წმინდა ნეოლითურ ძეგლად<sup>155</sup>. თერჯოლის რაიონში. საგვარჯილეს გამოქვაბულში აღმოჩნდა ამ ადრეული კულტურისათვის დამახასიათებელი მასალები. ამ მასალებსაც, რომლებიც ძალიან ახლოს დგას თეთრამიწასთან, ბოლო დრომდე ნეოლითს მიაკუთვნებდნენ<sup>156</sup>. მაგრამ მართებული ჩანს ის მოსაზრება, რომ როგორც თეთრამიწაზე, ისე საგვარჯილესი ადრე ნეოლითად მიჩნეული მასალები უფრო მოგვიანო ხანას უნდა ეკუთვნოდნენ<sup>157</sup>. აქ გავრცელებული სამიწათოქმედო კულტურა, ჩანს, საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე არსებობდა და როგორც ფიქრობენ შესაძლოა ადრეული ფენები მართლაც ჯერ კიდევ ნეოლითური ხასიათისა იყო, მაგრამ ძირითადი მასალა უფრო მოგვიანო, ენეოლით-ადრებრინჯაოს პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს<sup>158</sup>. განსაკუთრებით აღსანიშნავია უკანასკნელ ხანებში მდ. ყვირილის ზემო წელზე, ქიათურის რაიონში გამოვლენილი გამოქვაბულები, სადაც ძველი ქვის ხანის, პალეოლითის ფენის თავზე აღმოჩნდა ადრეული ნამოსახლარებისათვის დამახასიათებელი მასალა (სამელე კლდე, სამერცხლე კლდე). ეს ადრეული კულტურა ჯერ კიდევ ახლოს დგას ადგილობრივ, დასავლურ-ქართულ ნეოლითთან. ნეოლითური ტრადიციები აქ ისე ძლიერადაა შემორჩენილი, რომ მართლაც ძნელი ხდება ამ კულტურის ნეოლითისაგან გამოყოფა. არა მარტო ამ ადრეულ კულტურაში, არამედ რამდენადმე უფრო მოგვიანო ხანაშიაც კი ისეთ ძეგლებზე, როგორცაა ოჩამჩირის ნამოსახლარი, კოლხეთის დაბლობის ადრეული ნამოსახლარები და სხვ. ჯერ ისევ ძლიერადაა წარმოდგენილი ნეოლითისათვის დამახასიათებელი ნიშნები<sup>159</sup>.

როგორც ჩანს, საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებში რამდენადმე განსხვავებული ბუნებრივი პირობების გამო მიწათმოქმედო საზოგადოების განვითარების ტემპები ერთგვარი არ იყო. მიწათმოქმედებისათვის მეტად ხელსაყრელი გარემო, უხვი მცენარეული საფარი და საერთოდ ცხოვრებისათვის შედარებით ადვილი პირობები დასავლეთ საქართველოში შესაძლოა იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ აქ მოსახლე ტომებში ნეოლითური ტრადიციები უფრო მყარად დარჩა, შედარებით დიდხანს შემორჩა და ამიტომაც საზოგადოების განვითარების პროცესი რამდენადმე ნელი იყო.

დასავლეთ საქართველოს და საერთოდ დასავლეთ ამიერკავკასიის ამ ად-

155 ლ. ნებერიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბილისი, 1972, გვ. 84.


156 ნ. კილაძე, მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი „საგვარჯილე“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 14, № 9, თბილისი, 1953, გვ. 56.

157 დ. თუშაბრაშიშვილი, ლ. ნებერიძე, საქართველოს ზოგიერთი „ნეოლითური“ ძეგლის დათარიღებისათვის, მაცნე, 4, თბილისი, 1971, გვ. 76.

158 იქვე, გვ. 83; А. А. Формозов, Каменный век и энеолит Прикубанья, стр. 134.

159 Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. II, Тбилиси, 1950, стр. 268.


რეული კულტურის ერთგვაროვანი ხასიათის მიუხედავად მაინც მასში უკვე შესამჩნევი ხდება გარკვეული თავისებურებანი. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ყვირილის ხეობის გამოქვაბულებში — სამელე კლდეში (სურ. 30), სამერცხლე კლდეში (სურ. 31) და სულ ბოლო დროს დარკვევითი ეპოქაში აღმოჩენილი მასალები<sup>160</sup>. სამელე კლდის ქვედა III პორიზონტი ნეოლითური.



სურ. 30. თიხის კურკელი და ქვის იარაღები სამელე კლდიდან.

<sup>160</sup> Л. Д. Небнердзе, Даркветский многослойный павес. Археологические открытия 1971 г., Москва, 1972, стр. 459.

\*ხანისა უნდა იყოს<sup>161</sup>. ზედა ფენის მასალაში ჯერ ისევ ძლიერად იგრძნობა ნეოლითური ტრადიცია, თუმცა ამავე დროს აქ უფრო მოგვიანო ხანის ნაწარმიც შეიმჩნევა<sup>162</sup>. იგი ბევრ საერთოს პოულობს საგვარჯილესა და თეთრა-



სურ. 31. თიხის ჭურჭელი და ქვის იარაღი სამერცხლე კლდიდან.

მიწას მასალებთან, მაგრამ ამავე დროს გარკვეული კავშირი ჩანს აღმოსავლეთ საქართველოს ადრეულ ნამოსახლარებთან<sup>163</sup>. მეტად საინტერესო მასალები აღმოჩნდა სულ ახლახან ჭიათურის მახლობლად სოფ. დარკვეთთან მდებარე კლდოვან ეხში. იგი მრავალფენიანი ძეგლია, რომელთაგან IV ფენა ნეოლითური ხანისა უნდა იყოს. მის ზემოთ მდებარე ფენა ბევრ საერთოს პოულობს სამეწარმე კლდის მასალასთან<sup>164</sup>. როგორც ჩანს, ყვირილის აუზში მოსახლე ტომები ამ პერიოდში გარკვეულ ურთიერთობას ამყარებენ აღმოსავლეთ საქართველოს მომიჯნავე რაიონებთან, შიდა და ქვემო ქართლთან. როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, მდ. ყვირილის ზემო წელი ერთ-ერთი მხარეთაგანია, რომელიც

<sup>161</sup> Г. И. Джавахишвили, К истории раннеземледельческой культуры Западного Закавказья. Автореферат. Тбилиси, 1971, стр. 12.

<sup>162</sup> გ. ჯავახიშვილი, ნეოლით-ენეოლითური კულტურების ურთიერთობა საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული მასალების მიხედვით; საქართველოს სახ. მუზეუმის შოამბე, ტ. XXI-X-B, თბილისი, 1972, გვ. 14.

<sup>163</sup> გ. ჯავახიშვილი, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ჭიათურის რაიონის სოფ. ქვემო ზოდში, გამოქვამულ სამეწარმე კლდეში 1966 წ. ჩატარებული მუშაობის შედეგები, საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშები, თბილისი, 1969, გვ. 18.

<sup>164</sup> ლ. ნებიერიძე, დარკვეთის მრავალფენიან ეხში ჩატარებული მუშაობის შედეგები, სავლე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წ., თბილისი, 1973, გვ. 28.

უკვე ძველი ქვის ხანიდან მოკიდებული კარგადაა ათვისებული ადამიანის მიერ. შემდეგში, როდესაც მეურნეობის ახალი ფორმები შემოდის, რაც თავის მხრივ მოსახლეობის რიცხვის ზრდას უწყობდა ხელს, ეს ხეობა შექმნილ ნამატს ძნელად აიტანდა იმის გამო, რომ ტერიტორია აქ მაინც ერთგვარად შეზღუდული იყო. ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ადრემიწათმოქმედი საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე, მოსახლეობის მომატებასთან ერთად, ახალი მიწების ათვისების საქიროება შეიქმნა. შესაძლოა ამ მიზეზით აქ მოსახლეობის ერთი ნაწილის აღმოსავლეთ საქართველოს მომიჯნავე ტერიტორიაზე გადასვლა ხდებოდა. როგორც ჩანს, ამ პერიოდიდან მოკიდებული ყვირილის ზემოწელზე მოსახლეობები თანდათანობით სულ უფრო და უფრო უკავშირდებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს და, როგორც ცნობილია, III ათასწლეულში აქ მტკვარ-არაქსის კულტურის ერთ-ერთი მოწინავე კერა არსებობდა<sup>165</sup>.

თეთრამიწა და საგვარჯილე სამეღე კლდეზე რამდენადმე გვიანი უნდა იყოს, მაგრამ ამავე კულტურის სფეროში ექცევიან<sup>166</sup>. ეს ადრეული კულტურა დასავლეთ საქართველოში საკმაოდ დიდხანს არსებობდა, იგი აქ შემდეგშიაც თითქმის მთელი III ათასწლეულის მანძილზე განაგრძობს არსებობას. დასავლურ-ქართული ნეოლითის საფუძველზე აღმოცენებული ჩანს აგრეთვე ზღვისპირა ზოლში, აფხაზეთსა და სოჭი-ადღერის მხარეში აღმოჩენილი კულტურა. აქაც ნეოლითური ტრადიცია საკმაოდ დიდხანს გაჰყვება. ამ კულტურას აქ IV ათასწლეულში და III ათასწლეულის დასაწყის ხანებიდან უნდა ეარსებინა (მაჭარისა და გუანდისხუს ნამოსახლარებზე და სხვ.)<sup>167</sup>. შემდეგ აქ განაგრძობს არსებობას მთელ III ათასწლეულის მანძილზე ადრებრინჯაოს ხანის კულტურა, რომელსაც ჯერ კიდევ წინამორბედ კულტურასთან აქვს ბევრი საერთო (ოჩამჩირისა და გუმისთას ნამოსახლარები<sup>168</sup>; ვორონცოვის გამოქვაბული და სხვ.). როგორც ჩანს, იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში უკვე ჩამოყალიბებულია მაღალგანვითარებული მიწათმოქმედი ტომების ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურა, საქართველოს დასავლეთ ნაწილში და საერთოდ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში არსებობას განაგრძობს ნეოლითურ ტრადიციებზე დაფუძნებული სამიწათმოქმედო კულტურა. კავკასიის ეს მხარე თავისი განვითარებით თითქოს ერთგვარად ჩამორჩებოდა ამიერკავკასიის სხვა ოლქებს<sup>169</sup>. ეს კულტურა განვითარების გარკვეულ საფეხურზე ყუბანისპირეთში მაიკოპის კულტურას უკავშირდება. მაიკოპის კულტურის ადრეული ნამოსახლარები (მეშოკო, ვორონ-

165 ო. ჯ ა თ ა რ ი ძ ე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბილისი, 1961, გვ. 189.

166 Л. Г л о н т и, А. Д ж а в а х и ш в и л и, Г. Д ж а в а х и ш в и л и, Я. К и к в и д-з е, Д. Т у ш а б р а м и ш в и л и, დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

167 В. В. Б ж а н н я, Древнейшая культура Абхазии, стр. 10.

168 ი ქ ვ ე, სტრ. 7.

169 Р. М. М у н ч а е в, Кавказ в эпоху энеолита и ранней бронзы. Автореферат, стр. 35.



ცოვის გამოქვამული და სხვ.) ბევრ საერთოს პოულობენ დასავლეთ საქართ-  
ველოს მასალებთან. ამასთან დაკავშირებით გამოითქვა კიდევ მოსაზრება, რომ  
მაიკოპის კულტურის ფორმირება უფრო სამხრეთით ხდებოდა<sup>170</sup>. შეიძლება  
ვიფიქროთ, რომ III ათასწლეულის პირველ ნახევარში, მტკვარ-არაქსის კულ-  
ტურის. მატარებელი ტომების დასავლეთ საქართველოში გამოჩენამ, აქ მოსახ-  
ლე ტომების ერთი ნაწილის უფრო ჩრდილოეთით, ყუბანისპირეთში გადანაც-  
ვლება გამოიწვია, რომლებმაც იქ ამავე ათასწლეულის შუა ხანებისათვის გარ-  
კვეული წვლილი შეიტანეს მაიკოპის კულტურის ჩამოყალიბების საქმეში.

ჩრდილო კავკასიის უფრო ცენტრალურ ნაწილში, ყაბარღო-ბალყარეთში  
გავრცელებული ამ დროის კულტურა გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს დასავ-  
ლეთ ამიერკავკასიის ადრეულ ძეგლებთან. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშ-  
ნავია ნალჩიკის მახლობლად აგუბეკოვის ნამოსახლარზე აღმოჩენილი კერამი-  
კული მასალა<sup>171</sup>. რომელიც უახლოვდება მაჭარის ნამოსახლარზე, ვორონცოვის  
გამოქვამულში და სხვ. მოპოვებულ თიხის კურკელს<sup>172</sup>. მაგრამ, უნდა აღინიშ-  
ნოს, რომ აგუბეკოვის ნამოსახლარზე მოპოვებული მასალები, მიუხედავად გარ-  
კვეული მსგავსებისა, მინც უფრო მეტ თავისებურებას ამჟღავნებს. ეს გან-  
საკუთრებით ითქმის ნალჩიკის სამაროვნის შესახებ, რომელიც აგუბეკოვის ნა-  
მოსახლარზე რამდენადმე უფრო გვიანი უნდა იყოს<sup>173</sup>. როგორც ჩანს, ჩრდილო  
კავკასიის ცენტრალურ ნაწილში გავრცელებული კულტურა აქ უკვე ერთგვა-  
რად განსხვავებულ სახეს ღებულობს.

სულ სხვა სურათი ჩანს ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, დაღესტანში.  
მართალია, ამ ხანის ძეგლები აქ ჯერჯერობით სუსტადაა გამოვლენილი, მაგრამ  
არსებული მასალებით ისე ჩანს, რომ ეს მხარე ამ ადრეულ პერიოდში მჭიდრო-  
დაა დაკავშირებული ამიერკავკასიასთან. აღსანიშნავია მთიან დაღესტანში  
შესწავლილი გინჩის ნამოსახლარი. აქ აღმოჩენილი მასალა მსგავსებას იჩენს  
ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურასთან, კავშირი ჩანს, აგრეთვე,  
წინა აზიასთან<sup>174</sup>.

ამრიგად, ნეოლითური რევოლუციის პროცესი ამიერკავკასიაში საკმაოდ  
ხანგრძლივი იყო. იგი, ჩანს, აქ რამდენიმე ათას წელს გავრქელდა და მისი და-

170 А. А. Формозов, Каменный век и энеолит Прикубанья, стр. 150.

171 А. П. Круглов, Б. Б. Плотровский, Г. В. Подгаецкий, Могильник  
в городе Нальчике, МИА, 3, 1941, стр. 65.

172 В. В. Бжания, Мачарское поселение эпохи энеолита и бронзы в Абхазии,  
СА, 1, Москва, 1966, стр. 117; Л. Н. Соловьев, დასახ. ნაშრომი, გვ. 146; История Ка-  
бардино-Балкарской АССР, т. I, Москва, 1967, стр. 16.

173 А. А. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

174 М. Г. Гаджиев, Новые данные о связях Дагестана с Закавказьем и Перед-  
ней Азией в IV—III тыс. до н. э. Материалы сессии, посвященной итогам археолог. и  
этнограф. исслед. 1964 г. в СССР. Баку, 1965, стр. 6; История Дагестана, I, Москва,  
1967, стр. 34.

სასრული V—IV ათასწლეულებზე უნდა მოდიოდეს. შესაძლოა ეს პროცესი უველგან თანაბრად არ მიმდინარეობდა, მაგრამ IV ათასწლეულისათვის ეკონომიკის ახალი ფორმები განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს აღწევენ. მთელი კავკასია ამ პერიოდში უკვე კარგად ათვისებული ჩანს, ფართოვდება კონტაქტები წინააზიურ სამყაროსთან, განსაკუთრებით ამიერკავკასიის სამხრეთ ოლქებისა. თანდათანობით ირღვევა ერთიანი ხასიათი კავკასიის ქვის ხანის კულტურისა. ამ პერიოდის ბოლოსათვის გამოჩენას იწყებს ლითონის პირველი ნივთები. მთავრდება ძირითადად ნეოლითის ხანაში მიმდინარე კავკასიური კულტურული და ენობრივი ერთობის დაშლის პროცესი. კავკასიის სხვადასხვა ოლქებში უკვე ისახება მეტნაკლებად ცალკეული კულტურების თავისებურებანი, რაც თავის მხრივ საერთოკავკასიური ეთნოკულტურული ერთობის დაშლის ანარეკლი უნდა იყოს.

## II თ ა ვ ი

### მტკვარ-არაქსის კულტურა

ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარი მეტად მნიშვნელოვანი ხანაა ამიერკავკასიის და საერთოდ კავკასიის უძველეს ისტორიაში. ამ პერიოდში კავკასიაში მოსახლე ტომების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდებოდა. ამიერკავკასიის გარკვეულ ოლქებში თანდათანობით ყალიბდება საკმაოდ განვითარებული, თავისებური სამიწათმოქმედო კულტურა, რომელიც დღეს ცნობილია მტკვარ-არაქსის კულტურის სახელით. IV—III ათასწლეულების მიჯნა ამ კულტურის აყვავების დასაწყისია. მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომები კავკასიაში დიდ ტერიტორიაზე ვრცელდებიან და მის ფარგლებს გარეთაც სამხრეთით საკმაოდ შორს ჩანან. უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ სხვა კავკასიურ კულტურას, არც მანამდე და არც მერე, ისე ფართო გავრცელება არ მიუღია, როგორც მტკვარ-არაქსის კულტურას. ამ კულტურის მატარებელმა ტომებმა უთუოდ მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კავკასიის უძველეს ისტორიაში. მაგრამ, მხოლოდ ამით არ ამოიწურება ამ კულტურისადმი ინტერესი. როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელმა ტომებმა, გარკვეული როლი შეასრულეს აგრეთვე წინა აზიაში. ამიტომაცაა, რომ ამ ტომების ეთნიკური ვინაობის საკითხი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს და ამასთან დაკავშირებით არა ერთი და ორი მოსაზრება გამოითქვა. მიუხედავად იმისა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის შესწავლას, ამ უკანასკნელ ხანებში, მრავალი ნაშრომი მიეძღვნა, ჯერ კიდევ მთლად ნათელი არ არის ამ კულტურის წარმომავლობის, მისი პირველი ადგილსამყოფელის, წინამორბედ კულტურასთან ურთიერთობის საკითხები. მართალია, სულ ბოლო ხანს გამოვლენილ იქნა მტკვარ-არაქსის კულტურის წინარე, ადრესამიწათმოქმედო კულტურა, რომლის გავრცელების ტერიტორია ძირითადად მტკვრისა და არეზის ორმდინარეთი იყო, მაგრამ ამან მტკვარ-არაქსის კულტურის წარმომავლობის საკითხში

სინათლე ვერ შეიტანა. ჯერ კიდევ მთლად ნათელი არ არის ამ კულტურების ურთიერთობა. ზოგჯერ ჩანს, რომ მტკვარისა და არეზის ორმდინარეთში ახალი კულტურის მატარებელი ტომების გამოჩენამ, აქ არსებული, წინარე კულტურის ჩაქრობა და ახალი, უფრო მაღალი სამიწათმოქმედო კულტურის გავრცელება გამოიწვია. ამგვარი შთაბეჭდილების ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა უკვე საკმაოდ განვითარებული სახით წარმოგვიდგება და თითქოს იგი უეცრად გამოჩნდა საკმაოდ ფართო არეზე<sup>1</sup>. ამიერკავკასიის ზოგიერთ ადრეულ დასახლებებზე, მაგალითად ქვემო ქართლში შომუთეფე-შულავერის კულტურის გავრცელების არეში მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი სამოსახლოები უპირატესად ახალ ადგილებში წარმოიქმნა. თუმცა ზოგან, ამიერკავკასიის უფრო სამხრეთ რაიონებში, ახალი კულტურის გამოჩენისას, ცხოვრება ისევ ძველი სოფლის ადგილას გაგრძელებულა, რის შედეგადაც ამ ადგილებში მრავალფენიანი ხელოვნური ბორცვები წარმოიქმნა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ ძირა ფენათა ერთმანეთთან ურთიერთობა ჯერ კიდევ მთლად გარკვეული არ არის. ამიტომაც, მტკვარ-არაქსის კულტურის წარმომავლობის საკითხი ისევ რჩება ერთ-ერთ რთულ, ჯერჯერობით ნაკლებად გარკვეულ პრობლემად კავკასიის და საერთოდ წინა აზიის არქეოლოგიაში.

ჯერ კიდევ ბ. კუფტინი, ამ კულტურის პირველი აღმოჩენი და შემსწავლელი, აღნიშნავდა, რომ მტკვარ-არაქსის შუამდინარეთში გამოვლენილი კულტურა ხასიათდება თავისებური სტილისტური ნიშნებით, რომლებიც უცხოა წინა აზიისათვის<sup>2</sup>. აკად. ბ. პიოტროვსკი ადრევე აღნიშნავდა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის საწყისები ადგილობრივ ნეოლითშია საქებარი<sup>3</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის პირველადმოჩენის ხანაში მის ადგილობრივ წარმომავლობაზე ეჭვს არავინ გამოთქვამდა და იმედოვნებდნენ, რომ ადრე თუ გვიან ამიერკავკასიაში აღმოჩნდება მისი უწინარესი კულტურა, საიდანაც უნდა განვითარებულიყო თავისებური მიწათმოქმედი ტომების კულტურა. მაგრამ მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა მას შემდეგ, რაც დადგინდა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა სამხრეთით ვრცელდებოდა აღმოსავლეთ ანატოლიაში, ურმიისპირეთში და მისი ელემენტები გამოჩნდა საკმაოდ შორს სირია-პალესტინაში. თავის დროზე ამ უცხო ელემენტის გამოჩენამ აქ დიდი ინტერესი გამოიწვია. წინა აზიაში, სირიაში და პალესტინაში ადრებრინჯაოს ხანის გარკვეული საფეხური ხასიათდება ახალი მოვლენებით, რომელიც განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება თიხის კუბურებში. ყოველგვარი ადგილობრივი ტრადიციების გარეშე ხმელთაშუაზღვის სანაპირო ზოლში ჩნდება ახალი სახის

<sup>1</sup> T. Burton Brown, Third Millennium Diffusion, Oxford, 1970, გვ. 5.

<sup>2</sup> Б. А. К у ф т и н, Урартский «колумбарий» у подошвы Арарата и Куро-Аракский энеолит, საქართველოს სახელმწ. მუზეუმის შიგნით, ტ. XII-В, თბილისი, 1943, გვ. 126.

<sup>3</sup> Б. Б. П и о т р о в с к и й, Поселение медного века в Армении; СА, т. XI, Москва, 1949, стр. 180.

კერამიკა, რომელიც ჩარხის გარეშეა ნაკეთები. ეს თიხის ჭურჭელი საგრძნობლად განსხვავდებოდა მანამდე აქ გავრცელებული ჩარხზე ნაკეთები, მოხატული ნაწარმისაგან. ამ ადგილობრივ კერამიკის გვერდით გამოჩენას იწყებს სადა, წითლად ან შავად გაპრიალებული თიხის ჭურჭელი. ეს მოვლენა აქ ჯერ კიდევ ოციანი წლების შუა ხანებში შეინიშნება და ამ ახალმა, უცხო თიხის ჭურჭელმა აღმოჩენის ადგილის მიხედვით მიიღო „კირბეთ-კერაკის“ ნაწარმის სახელი<sup>4</sup>. შემდგომმა აღმოჩენებმა დაადასტურა, რომ კირბეთ-კერაკის ტიპის კერამიკა საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული სირიასა და პალესტინაში. მაგრამ მთლად ნათელი არ იყო საკითხი, თუ საიდან უნდა გამოჩენილიყო ეს ახალი ნაწარმი ამ ადგილებში. გამოთქმული იყო ვარაუდი, რომ ეს ახალი ტიპის კერამიკა ანატოლიური<sup>5</sup>, ეგებ უფრო ცენტრალურ-ანატოლიური წარმოშობისაა<sup>6</sup>. კირბეთ-კერაკის კერამიკის გავრცელებას სირია-პალესტინაში, ანატოლიიდან ახალი ეთნიკური ელემენტის გამოჩენას უკავშირებენ<sup>7</sup>. თუმცა იმასაც ფიქრობენ, რომ კირბეთ-კერაკის ტიპის ჭურჭელი სხვა არაფერია, თუ არა ახალი სახე კერამიკისა და მას საერთო კულტურული ცვლილებები არ გამოუწვევია<sup>8</sup>. ისიც ითქვა, რომ ამ კერამიკის გამოჩენა პალესტინაში უბრალოდ იმპორტი იყო<sup>9</sup>. საკუთრივ ანატოლიაში ამ დროისათვის ჯერ კიდევ კირბეთ-კერაკის ტიპის კერამიკა ცნობილი არ იყო. ამიერკავკასიაში მტკვარ-არაქსის კულტურის აღმოჩენის შემდეგ გაირკვა, რომ კირბეთ-კერაკის კერამიკა ბევრ საერთოს პოულობს მტკვრისა და არეზის ორმდინარეთში გამოვლენილ ძვ. წ. III ათასწლეულის კულტურასთან. ინგლისელმა არქეოლოგმა ს. ჰუდმა პირველმა აღნიშნა, რომ კირბეთ-კერაკის კულტურა გამოსული უნდა იყოს მტკვრისა და არაქსის აუზის მიდამოებიდან, სადაც ახლა საქართველოა<sup>10</sup>. შემდეგში ეს მოსაზრება ბევრმა მკვლევარმა გაიზიარა და ეს მოვლენა ეთნიკურ გადაადგილებას დაუკავშირეს, რის შედეგად სირია-პალესტინაში ახალი ხალხის თიხის ნაწარმი გავრცელდა<sup>11</sup>. იმის გამო, რომ ამიერკავკასიიდან პალესტინამდე ამ კულტურის ნაკვალევი არ

<sup>4</sup> R. Amiran, *Ancient Pottery of the Holy Land*, 1970, 74; R. B. K. Amiran, *Connections between Anatolia and Palestine in the Early Bronze Age*, *Israel Exploration Journal*, Vol. 2, № 2, 1952, 90.

<sup>5</sup> F. A. Claude Schaeffer, *Stratigraphie comparee et Chronologie de l'Asie Occidentale*, London, 1948, №4.

<sup>6</sup> R. B. K. Amiran, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 101.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 96.

<sup>8</sup> J. Mellaart, *Chalcolithic and Early Bronze Ages in the Near East and Anatolia*, Beirut, 1966, გვ. 74.

<sup>9</sup> R. B. K. Amiran, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 96.

<sup>10</sup> S. Hood, *Excavations at Tabara el Akrad 1948 — 1949*, *Anatolian Studies*, I, 1951, 116; S. Hood, *The Minoans Crete in the Bronze Age*, 1971, 49.

<sup>11</sup> R. Amiran, *Ancient Pottery of the Holy Land*, 74. R. Dussaud, *Prehlydiens Hittites et Acheens*, Paris, 1953, 115.

შეინარჩუნება, გამოითქვა მოსაზრება, რომ ხალხთა მოძრაობა სწრაფად, შეუჩერებლად მიმდინარეობდა<sup>12</sup> და რადგანაც ამ მოძრაობის გზაზე ნგრევის კვალი არ შეიქმნევა, ეს გადაადგილება მშვიდობიანი ხასიათისა უნდა ყოფილიყო<sup>13</sup>. ძალდატანების რაიმე ნიშანი სირია-პალესტინის არც იმ ადგილებში ჩანს, სადაც ეს ახლადმოსულები უნდა დასახლებულიყვნენ. როგორც ჩანს, მათ მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდათ ადგილობრივ მოსახლეობასთან<sup>14</sup>. თუმცა ზოგიერთი მკვლევარი ხალხთა ამ მოძრაობას მაინცდამაინც მშვიდობიანად არ მიიჩნევს<sup>15</sup>. ზოგიც იმას აღნიშნავს, რომ სადა, გაპრიალებული თიხის ნაწარმის გამოჩენა აქ ხალხთა დიდ გადასახლებასთან არ იყო დაკავშირებული. ამუქის ველზე, რომელიც კირბეთ-კერაკის კულტურის გავრცელების ერთ-ერთი ძირითადი რაიონი იყო, ამ ახალი თიხის ჰურტკლის გვერდით ჩანს, აგრეთვე. კერამიკის წარმოების ძველი, ადგილობრივი ტრადიციები<sup>16</sup>, თანაც, როგორც ჩანს, კირბეთ-კერაკის ნაწარმი გავრცელების დიდ გზაზე ერთგვარად მაინც კარგავს მტკვარ-არაქსის კერამიკის ზოგ კლასიკურ ნიშანს. ჩ. ბიორნი შენიშნავს, რომ რ. ბრეიდვუდმა ამ კერამიკის აქ გამოჩენას სათანადო შეფასება ვერ მისცა და ფიქრობს, რომ ამუქის ველზე ჩნდება ხალხი (მისი აზრით, ხურიტები), რომელმაც შემოიტანა ახალი სახის თიხის ჰურტკელი, მაგრამ ვისაც არ უნდა შემოეტანა ეს კერამიკა აქ იგი უკვე ადგილობრივი ხდება<sup>17</sup>. შეიძლება მართებული იყოს ა. იესენის აზრი, რომ ჭერჯერობით მთლად ნათელი არ არის, თუ რა ხასიათისა იყო ეს გადაადგილება<sup>18</sup>. მაგრამ ერთი კი შეიძლება ითქვას. რომ ეს მოძრაობა საკმაოდ ძლიერი იყო. ამის მოწმობაა თუნდაც ის, რომ მარტო ამუქის ველზე H ფაზაზე ორმოცდაათზე მეტი ბორცვია გამოვლენილი მტკვარ-არაქსული კერამიკით<sup>19</sup>. კირბეთ-კერაკის კულტურა, ჩანს. პირველად ჩრდილო სირიაში ვრცელდება, შემდეგ რამდენადმე მოგვიანებით იგი იწყებს გამოჩენას ჩრდილო პალესტინაში<sup>20</sup>. კ. ბიტელის აზრით, სხვაობა აქ დრონი დაახლოებით ასი წელი უნდა ყოფილიყო.

<sup>12</sup> W. Lamb, *The Culture of North-East Anatolia and its Neighbours*, 30.

<sup>13</sup> J. Mellaart. დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

<sup>14</sup> იქვე.

<sup>15</sup> R. Amiran, *Chronological Problems of the Early Bronze Age. Early Bronze I-II: The City of Arad Early Bronze III: The Khirbet Kerak Ware*, 318.

<sup>16</sup> R. Braidwood and L. Braidwood, *Excavations in the Plain of Antioch*, 1960, 518.

<sup>17</sup> Ch. Burney, D. M. Lang, *The Peoples of the Hills, ancient Ararat and Caucasus*, 1971, 50.

<sup>18</sup> A. A. Иессен, *Кавказ и Древний Восток в IV—III тысячелетиях до н. э.*, КСИА, 93, Москва, 1963, стр. 5.

<sup>19</sup> U. Bahadir Alkim, *Anatolien I*, 1968, 148.

<sup>20</sup> J. Mellaart, დასახ. ნაშრომი, გვ. 77; Ch. Burney, D. M. Lang, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

საიდან და რა გზით უნდა გავრცელებულიყო ეს კულტურა სამხრეთით ჭერ კიდევ მთლად ნათელი არ არის. შესაძლოა, რომ მიგრაციის ძირითადი გზა მართლაც აღმოსავლეთ ანატოლიიდან, მალათიისა და ელიაზიგის არედან, კილიკიის გვერდის ავლით, სადაც ამ კულტურის ნაკვალევი შენიშნული არ იყო<sup>21</sup>, მიდიოდა ამუქის ველისაკენ<sup>22</sup>. მოძრაობის ეს გზა ყველაზე მოკლეა მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების რაიონსა და ჩრდილო სირიას შორის. უფრო ბუნდოვანია საკითხი მტკვარ-არაქსის კულტურის ელემენტების გამოჩენისა ცენტრალურ ანატოლიაში. აქ რიგ ადგილებში ამ კულტურის ცალკეული ნიშნები ჩანს<sup>23</sup>. სადა, გაპრიალებული ჭურჭელი ჩნდება ალაჯაში, ალიშარზე და სხვ<sup>24</sup>. ამ ტიპის კერამიკა აქ საკმაოდ შორს ვრცელდება. რელიეფური სპირალით შემკული თიხის ჭურჭლის ნატეხები ცნობილია ბეიჯესულთანთან<sup>25</sup>. მაგრამ მტკვარ-არაქსის კულტურის ნიშნები ცენტრალურ ანატოლიაში არც თუ ისე ძლიერადაა წარმოდგენილი<sup>26</sup>. როგორც ჩანს, ამ კულტურის გავლენა აქ შემდარებით სუსტი უნდა ყოფილიყო. ეს კი აფიქრებინებს: ჩ. ბიორნის, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებისათვის ხურიტული ელემენტი ცენტრალურ ანატოლიაში ჭერ კიდევ მცირერიცხოვანი იყო<sup>27</sup>. აქაც, მტკვარ-არაქსის ელემენტი ალბათ, ძირითადად აღმოსავლეთ ანატოლიის გზით უნდა შემოსულიყო.

აღმოსავლეთ ანატოლიაში უკანასკნელ ხანებში ჩატარებულმა გათხრებმა, განსაკუთრებით კი არქეოლოგიურმა დახვერვებმა, გამოავლინა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა თითქმის მთელ ამ მხარეს მოიცავს. ეს კულტურა აქ კარგადაა წარმოდგენილი მალათიისა და ელიაზიგის რაიონში, ვანის ტბის მიდამოებში<sup>28</sup>, ერზერუმის ოლქში<sup>29</sup> და სხვ. ამ კულტურის სფეროში ექცევა აგრეთ-

<sup>21</sup> U. Bahadir Alkim, Anatolien I, 94.

<sup>22</sup> J. Mellaart, დასახ. ნაშრომი, გვ. 77; M. J. Mellink, Anatolia Chronology, Chronologies in Old World Archaeology, Chicago and London, 1965, 117.

<sup>23</sup> R. Amiran, Connections between Anatolia and Palestina in the Early Bronze Age, 97; მისივე, Chronological Problems of the Early Bronze Age, 317; J. Mellaart, დასახ. ნაშრომი, გვ. 83.

<sup>24</sup> L. Woolley, A Forgotten Kingdom, 1953, 32; A. Goetze, Kleinasien, München, 1957, 40; H. Kosay and M. Akok, The Pottery of Alaca Huyük. American Journal of Archaeology, vol. 51, № 2, 1947, 152.

<sup>25</sup> J. Mellaart, Pottery from the lower levels of Beycesultan, Anatolian Studies, VIII, 1958, გვ. 118, სურ. 6.

<sup>26</sup> P. M. Мунчаев, Древнейшая культура Северо-Восточного Кавказа, МИА, 100, Москва, 1961, стр. 153.

<sup>27</sup> Ch. Burney, D. Lang, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

<sup>28</sup> Ch. A. Burney, Eastern Anatolia in the Chalcolitic and Early Bronze Age, Anatolian Studies, vol. VIII, 164.

<sup>29</sup> H. Kosay, K. Turfan, Erzerum-Karaz kazisi raporu, TTK. Belleten. XXIII, № 91, 1959, 349.

ვე ურმიის ტბის მხარეც<sup>30</sup>, აქ იგი ვრცელდება ჰამადანის ველზე და ქერმანსას ველის სამხრეთ ნაწილს აღწევს<sup>31</sup>. მაგრამ არც ამ ახალმა აღმოჩენებმა შეიტანეს სინათლე მტკვარ-არაქსის კულტურის წარმომავლობის საკითხში. აღმოსავლეთ ანატოლიის ამ ოლქებში ნეოლითური დასახლებების კვალი შაინცადამანც ცნობილი არ არის<sup>32</sup>. მომდევნო ხალკოლითურ კულტურას, რომელიც საკმაოდ კარგად გამოვლინდა ელიაზიგ-მალათიის მხარეში, ვანისა და ურმიის ტბის მიდამოებში და სხვა, თითქმის არაფერი აქვს საერთო მტკვარ-არაქსის კულტურასთან. ელიაზიგისა და მალათიის მხარეში არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად გამოვლენილი ხალკოლითი გარკვეულ ურთიერთობას ამჟღავნებს წინა აზიის, ჰალაფისა და უბეიდის კულტურებთან<sup>33</sup>. მას თითქმის არაფერი აქვს საერთო ამიერკავკასიის V—IV ათასწლეულების სამიწათმოქმედო კულტურასთან. ვანის ტბის მიდამოები ამ პერიოდში წინა აზიის აღრეული კულტურის სფეროში ექცევა. ვანის ტბის მახლობლად გათხრილი ბორცვის თილკითეფეს ქვედა ფენებში ჰალაფური მასალები აღმოჩნდა<sup>34</sup>. გამოითქვა მოსაზრება, რომ ობსიდიანის საბადოებმა აქ ჩრდილო მესოპოტამიიდან მოსახლეობის გადმონაცვლება გამოიწვია<sup>35</sup>. ვანის ტბის რაიონი სადღეისოდ ჰალაფური კერამიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით გავრცელების უკიდურესი მხარე ჩანს<sup>36</sup>. უფრო ჩრდილოეთით ერზერუმის მხარეში პულურსა და ქარაზში თელ-ჰალაფისა და ელ-უბეიდის კულტურების კვალი აღარ ჩანს<sup>37</sup>. მართალია, ამიერკავკასიაში მტკვარ-არაქსის კულტურის წინარე ხანის ძეგლებზე აღმოჩნდა ჰალაფისა და უბეიდის კულტურების ნაკვალევი, მაგრამ იგი აქ მეტად სუსტი იყო. ამ მხრივ აღსანიშნავია ნიხიჩევანის ქიულ-თეფე I ნაპოვნი მოხატული კერამიკა, რომელთაგან ზოგიერთი ჰალაფური უნდა იყოს. სომხეთში ტეხუტას ნამოსახლარზე აღმოჩენილი მოხატული ქურქელი უფრო მეტ საერთოს ჩრდილო უბეიდურ კერამიკასთან ნახულობს. ეს გავლენები ამიერკავკასიაში, როგორც ჩანს, ჩრდილო მესოპოტამიიდან აღმოსავლეთ ანატოლიის გზით მოდიოდა. როგორც აღვნიშნავდით, ვანის ტბის სანახებში თილკითეფეს ქვედა

<sup>30</sup> T. Burton Brown, Excavations in Azarbaijan 1948, London, 1951, 35.

<sup>31</sup> R. H. Dyson, Annotations and Corrections of the Relative Chronology of Iran, 1968, 309.

<sup>32</sup> J. Mellaart, დასახ. ნაშრომი, გვ. 79.

<sup>33</sup> C. A. Burney, დასახ. ნაშრომი, გვ. 159; U. Bahadir Aikim, Anatolien, I, 1968, 78.

<sup>34</sup> იქვე, გვ. 7; A. A. Hesse, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

<sup>35</sup> B. M. Masson, Средняя Азия и Древний Восток, М.—Л., 1964, стр. 238.

<sup>36</sup> A. L. Percins, The comparative archaeology of Early Mesopotamia, Chicago, 1949, 31.

<sup>37</sup> Hamit Zübeyr Kosay, Permann Vary, Die Ausgrabungen von Pulur, Bericht über die Kampagne von 1960, Ankara, 1964, 73, 75.



ფენებში აღმოჩნდა ჰალაფური და ჩრდილო უბეიდური ელემენტები<sup>38</sup>. დალესტანში გინჩის ნამოსახლარზე მოპოვებული მოხატული კურკელი ჩრდილო ირანის, კერძოდ დოღმა-თეფეს კერამიკას უახლოვდება<sup>39</sup>.

დაახლოებით იგივე სურათი ჩანს აგრეთვე ურმიისპირეთში, რომელიც აგრეთვე მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების სფეროში შედიოდა. როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის წინააღმდეგ ხანაში არსებული კულტურა აქ თითქმის არ უკავშირდება მომდევნო პერიოდის კულტურას. ურმიის ტბის მახლობლად გათხრილ ბორცვზე, გეო-თეფეზე, მტკვარ-არაქსის კულტურის ფენის (K ფენა) ქვეშ აღმოჩნდა M ფენა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო მოხატული კერამიკა უბეიდის ტიპისა. ამ ფენის მასალას არაფერი აქვს საერთო მომდევნო K პერიოდის ფენასთან<sup>40</sup>. დაახლოებით იგივე ჩანს ამავე რაიონში შესწავლილ მეორე ძეგლზე იანიქ-თეფეზე. აქაც ძირა ფენების მასალა არ უკავშირდება მომდევნო, მტკვარ-არაქსის კულტურას<sup>41</sup>. წინააღმდეგ ხანაში ურმიისპირეთში და საერთოდ ირანის აზერბაიჯანში გავრცელებული იყო თავისებური კულტურა (იანიქ-თეფე, დოღმა-თეფე, ჰაჯი ფირუზი და სხვ.)<sup>42</sup>. აქ, როგორც ეს ფიქილი-თეფეს გათხრებიდან ჩანს<sup>43</sup>, ძლიერდება ურთიერთობა უბეიდის კულტურებთან. ზოგიერთი მკვლევარი ემასაც აღნიშნავს, რომ ურმიისპირეთში პირველი მიწათმოქმედი ტომები ჩრდილო მესოპოტამიიდან მოვიდნენ<sup>44</sup>. ხალკოლითური კულტურის გვიანდელ საფეხურზე ვანსა და ურმიისპირეთში თითქოს ირანული კულტურის გავლენა შეინიშნება<sup>45</sup>. ამრიგად, როგორც ჩანს, აღმოსავლეთ ანატოლიაში და ურმიისპირეთში მტკვარ-არაქსის კულტურის გამოჩენის ხანამდე გავრცელებული კულტურა ჩრდილომესოპოტამიურ, ირანულ კულტურების გავლენის სფეროში შედიოდა. ამიტომ ძნელია აღმოსავლეთ ანატოლია მტკვარ-არაქსის კულტურის წარმოქმნის ძირითად ოლქად მივიჩნიოთ. ინგლისელი არქეოლოგი ჩ. ბიორნი აღნიშნავს, რომ ამ კულტურის წარმოშობის ძირითადი ოლქი შეიძლება ყოფილიყო მდ. არაქსის შუა

<sup>38</sup> P. M. Мунчаев, Кавказ в эпоху энеолита и ранней бронзы (V—III тыс. до н. э.), Москва, 1970, стр. 259 (рукопись).

<sup>39</sup> იქვე, გვ. 257.

<sup>40</sup> T. Burton Brown, დასახ. ნაშრომი, გვ. 17; მისივე. Third Millennium Diffusion, გვ. 9.

<sup>41</sup> C. A. Burney, Excavations at Yanik-tepe, Azerbaijan, 1961, Iraq, vol. XXIV, Part 2, 1962, 134; მისივე, The Excavations at Yanik-tepe, Azerbaijan, 1962, Iraq, vol. XXVI, part 1, 1964, 54.

<sup>42</sup> P. M. Мунчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 259.

<sup>43</sup> R. H. Dyson and T. C. Young, The Solduz Valley, Iran: Pisdeli Tepe, Antiguti, № 34, 1960, 19—28.

<sup>44</sup> B. M. Массон, დასახ. ნაშრომი, გვ. 217.

<sup>45</sup> Ch. A. Burney, დასახ. ნაშრომი, გვ. 160; A. A. Иессен, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

წელს რაიონი, ერევნისა და იგდირის მხარე, საიდანაც იგი ადვილად გავრცელდებოდა თრიალეთის მიმართულებით, ურმიისპირეთში და ყარსის ოლქში. მაგრამ, უფრო დასაშვებია, ფიქრობს იგი, ამ კულტურის წარმოქმნის ცენტრად ელიაზიგის მხარე მივიჩნიოთ, სადაც მტკვარ-არაქსის კულტურას წინ უძღოდა ხანგრძლივი ხალკოლითური კულტურა<sup>46</sup>. მაგრამ ეს უკანასკნელი ამის საბუთად ვერ გამოდგება იმის გამო, რომ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, აღმოსავლეთ ანატოლიაში, ელიაზიგ-მალათის მხარეში გავრცელებულ ხალკოლითს არაფერი აქვს საერთო მტკვარ-არაქსის კულტურასთან და, ამდენად, ეს რაიონი ძნელია ამ კულტურის პირვანდელ კერად წარმოვიდგინოთ<sup>47</sup>. ბოლო დროს გამოსულ თავის ნაშრომში ჩ. ბიორნი ამ კულტურას „ადრეულ ამიერკავკასიურ კულტურას“ უწოდებს იმის გამო, რომ, როგორც იგი აღნიშნავს, ეს ტერმინი უკეთ გამოხატავს მტკვარ-არაქსის კულტურის სავარაუდო კერას და ახლა აღმოსავლეთ ანატოლიას ამ კულტურის გავრცელების პერიფერიულ ოლქად მიიჩნევს და გამორიცხავს მას პირვანდელი ცენტრის ზონიდან<sup>48</sup>. მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბების ოლქიდან უნდა გამოვრიცხოთ ვანის ტბის მხარე<sup>49</sup> და ურმიისპირეთი<sup>50</sup>. როგორც ჯერ კიდევ ტ. ბურტონ ბრაუნი შენიშნავს, გეო-თეფეს კერამიკაში შეიმჩნევა მტკვარ-არაქსის კულტურის თიხის ნაწარმის კლასიკური ნორმებიდან ერთგვარი გადახრა<sup>51</sup>.

ა. იესენი ფიქრობდა, რომ მტკვარ-არაქსის ჩამოყალიბების ძირითადი კერა საქართველო, სომხეთი და მათთან სამხრეთით მიმდებარე აღმოსავლეთ ანატოლიის რაიონები უნდა ყოფილიყო<sup>52</sup>. აღმოსავლეთ ანატოლიის ამიერკავკასიასთან მიმდგომ ოლქებში მართლაც ძლიერადაა წარმოდგენილი მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ერზერუმის მხარეში შესწავლილი ქარაზი<sup>53</sup> და პულური<sup>54</sup>. ქარაზში მტკვარ-არაქსის

<sup>46</sup> Ch. A. Burney, დასახ. ნაშრომი, გვ. 168.

<sup>47</sup> ი. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბილისი, 1961, გვ. 108.

<sup>48</sup> Ch. A. Burney, D. M. Lang, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

<sup>49</sup> A. A. Hesseu, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.

<sup>50</sup> Ch. A. Burney, დასახ. ნაშრომი, გვ. 165. არ უნდა იყოს მართებული, როგორც ამას ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, გეო-თეფეს III პერიოდის და იანიქ-თეფეს ხალკოლითური კულტურების ამიერკავკასიის ადრესამიწათმქედო კულტურებთან დაკავშირება (იხ. Т. Н. Чубинишвили, К. Х. Кушнарера, Новые материалы по энеолиту Южного Кавказа (V—IV тыс. до н. э.), მაცნე, 6, თბილისი, 1967, გვ. 347. მათ შორის თითქმის არაფერია საერთო და ურმიისპირეთი ამ პერიოდში უფრო წინააზიური კულტურების გავლენას განიცდის (იხ. ი. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, გვ. 221).

<sup>51</sup> T. Burton Brown, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

<sup>52</sup> A. A. Hesseu, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.

<sup>53</sup> H. Kosay, K. Turfan, დასახ. ნაშრომი, გვ. 349.

<sup>54</sup> Hamit Zübeyr Kosay, Hermann Vary, Die Ausgrabungen von Pulur, Ankara, 1964, 61.

კულტურა საკმაოდ განვითარებული სახითაა წარმოდგენილი. მის ქვემოთ მდებარე, უფრო უწინარესი ფენა, აქ გათხრილი არ იყო. პულურში აღმოჩენილი მტკვარ-არაქსის კულტურა ახლოს დგას ქარაზთან. იგდირის მხარეშიც, სადაც კარგადაა გამოვლენილი მტკვარ-არაქსის კულტურა, იგი საკმაოდ განვითარებული სახითაა წარმოდგენილი. ჩ. ბიორნი აღნიშნავს, რომ აქ გეოქიჩელიში აღმოჩენილ ჰურჰელს თუ მივსაუთვნებთ ადრებრინჯაოს I პერიოდს, თორემ სხვა მასალები იგდირის ველიდან უფრო გვიანდელია<sup>55</sup>. ვ. მასონი აღნიშნავს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის სამშობლო მისი გავრცელების ძირითად ოლქებში ამიერკავკასიაში, აღმოსავლეთ ანატოლიაში და ჩრდილო-დასავლეთ ირანში უნდა იყოს საძებარი, თუმცა უკანასკნელს იგი უფრო პერიფერიულ მხარედ მიიჩნევს. იგი უშვებს იმ აზრს, რომ ეს კულტურა შეიძლება ძირითადად ამიერკავკასიაში ჩამოყალიბებულიყო და შემდეგ აქედან გავრცელებულიყო აღმოსავლეთ ანატოლიაში და უფრო სამხრეთითაც<sup>56</sup>. მართალია, დღეს რიგი მკვლევრები აღმოსავლეთ ანატოლიას და ამიერკავკასიას მიიჩნევენ ამ კულტურის სამშობლოდ, მაგრამ ჯერ კიდევ არ არსებობს საფუძველი იმისა, რომ აღმოსავლეთ ანატოლიის მხარე, რომელიც უშუალოდ ეკვრის ამიერკავკასიას, მტკვარ-არაქსის კულტურის წარმოქმნისა და მისი პირველი გავრცელების ოლქში შევიყვანოთ. ტ. ბურტონ ბრაუნი თავის ახლახან გამოსულ ნაშრომში აღნიშნავს, რომ ანატოლია მტკვარ-არაქსის კულტურის წარმოშობის ცენტრი ვერ იქნებოდა იმის გამო, რომ აქ გავრცელებული იყო მოხატული კერამიკა. ხალხი, რომელთაც მტკვარ-არაქსის კულტურა ეკუთვნოდა, ცხოვრობდა იმ რაიონში, რომელიც დასავლეთით შემოსაზღვრული იყო აღმოსავლეთ ანატოლიით, აღმოსავლეთით კი კასპიის ზღვით<sup>57</sup>. თუმცა იგი აღნიშნავს, რომ გეოთეფეს გათხრებიდან მიღებული შთაბეჭდილების საფუძველზე მას მაინც ჰგონია, რომ ეს ხალხი ავტოქთონები არ იყვნენ და უფრო სხვა ადგილებიდან მოსულები უნდა ყოფილიყვნენ<sup>58</sup>.

არც ამიერკავკასიაშია მთლიანად გარკვეული მტკვარ-არაქსის კულტურის წარმომავლობის საკითხი. მართალია, აქ უკვე ცნობილია მტკვარ-არაქსის კულტურის უწინარესი კულტურა, მაგრამ ამ კულტურათა ურთიერთობაში ჯერ კიდევ ყველაფერი ნათელი არ არის. იმ ძეგლებზედაც კი, სადაც ეს ორივე კულტურა ერთად გვხვდება, ვერ ხერხდება მათი ერთმანეთთან დამოკიდებულების გარკვევა. მტკვარ-არაქსის კულტურა, წინარე კულტურასთან შედარებით, უკვე საკმაოდ განვითარებული, წინ წასული ჩანს. საქმეს ართულებს ისიც, რომ არც მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების საფეხურებია მთლად გარკვეული.

<sup>55</sup> C. A. Burney, დასახ. ნაშრომი, გვ. 187.

<sup>56</sup> B. M. Maccou, დასახ. ნაშრომი, გვ. 240.

<sup>57</sup> T. Burton Brown, Third Millennium Diffusion, გვ. 10.

<sup>58</sup> იქვე, გვ. 22.

უფელად დადგენილი. მართალია, ბოლო დროს ამ კულტურის განვითარების  
 უტარების დადგენის არა ერთი ცდა იყო, მაგრამ ამას, უპირატესად, კერამიკული  
 მასალის ანალიზი ელო საფუძვლად; გათვალისწინებული იყო აგრეთვე სტრა-  
 ტიგრაფიული მონაცემებიც, რომლებმაც უთუოდ გარკვეული სინათლე შეიტა-  
 ნეს ამ საკითხში. ოღონდ ეს მონაცემები არ არის სადღეისოდ საკმარისი იმი-  
 სათვის, რომ მეტნაკლებად სრულად წარმოვიდგინოთ მტკვარ-არაქსის კულ-  
 ტურის განვითარება წარმოქმნიდან მის ჩაქრობამდე. თუმცა ისიც უნდა აღი-  
 ნიშნოს, რომ სადღეისოდ არსებული მასალით მაინც ამიერკავკასიაშია სავარა-  
 უდებელი ყველაზე მეტად მტკვარ-არაქსის კულტურის წარმოქმნა. მისი გავრ-  
 ცელების ტერიტორიაზე ეს კულტურა არსად იმდენ საერთოს არ პოულობს  
 წინაპორბედ კულტურასთან, როგორც აქ. მართალია, არც ამიერკავკასიაშია  
 ჯერ კიდევ ყველაფერი ნათელი მტკვარ-არაქსის კულტურის წინარე კულტურას-  
 თან მიმართების საკითხში, მაგრამ რაღაც გარკვეული ნიშნები მაინც ჩანს ამ  
 კულტურების ურთიერთობაში. მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათე-  
 ბელი რიგი თავისებურებანი წინარე კულტურაშია საძებარი. იგი აგრძელებს  
 შიწათმოქმედებისათვის დამახასიათებელ ძველ ტრადიციებს. ცხოვრება ძირი-  
 თადად ისევ ადრე ათვისებულ ადგილებში მიმდინარეობს, შემორჩენილია  
 ძველი ყოფის ნიშნები და სხვ. ადრესამიწათმოქმედო კულტურაშია საძებარი  
 მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი მრგვალი ნაგებობის საწ-  
 ყისები და საერთოდ მშენებლობის ტრადიციები. წინარე კულტურაშია დასა-  
 ძებნი მისთვის დამახასიათებელი კერამიკის ნიშნები: ჭურჭლის ზედაპირის  
 გაპრიალება, რელიეფური და ნაკაწრი ორნამენტი, კოპებით შემკობა და საერ-  
 თოდ სადა, მოუხატავი კერამიკის გამოყენების ტრადიცია. იგივე შეიძლება ითქ-  
 ვას აგრეთვე ქვის, ძვლის და რქის იარაღებზე. მაგრამ ჯერ კიდევ ძნელი წარმო-  
 სადგენია როგორ წარიმართა ამიერკავკასიაში ძველიდან ახალში გადაზრდის  
 პროცესი. საქმე იმაშია, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა ძველთან შედარე-  
 ბით საგრძნობლად წინაა წასული და ადრეული ნიშნები მასში უკვე ძნელად  
 შეინიშნება. როგორც ჩანს, ძველიდან ახალში გადასვლის პროცესი აქ შედარე-  
 ბით სწრაფად უნდა წარმართულიყო შესაძლოა ამის ერთ-ერთი მიზეზი ახალი  
 ეთნიკური ელემენტის გამოჩენაც იყო. მოსახლეობის გარკვეული მასების  
 უფრო ჩრდილოეთით გადმოადგილებამ, რაც, ეგებ მცირე აზიაში მოხატული  
 კერამიკის მატარებელ ტომთა გავრცელებასთან იყო დაკავშირებული, ბიძგი  
 მისცა საზოგადოების კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას. მოსული და  
 ადგილობრივი სამიწათმოქმედო კულტურების შერწყმას საზოგადოების დაწი-  
 ნაურება მოჰყვა. მტკვარ-არაქსის კულტურას, რომელიც სამიწათმოქმედო  
 კულტურის განვითარების შემდგომი, მაღალი საფეხურია, ძირითადად ადგი-  
 ლობრივი, წინარე კულტურა დაედო საფუძვლად<sup>59</sup>. როგორც ჩანს, ძველი-

<sup>59</sup> ი. ჯაფარიძე, აღ. ჯავახიშვილი, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედი-  
 ციის შედეგები (1965—1966 წწ.), მაცნე, 3, თბილისი, 1967, გვ. 297.

დან ახალში გადაზრდის პროცესს ამიერკავკასიაში დიდი დრო არ დასჭირებია. საზოგადოება შედარებით მოკლე დროში ახალ, განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე გადადის.

შედარებით სწრაფ გარდატეხას კულტურაში, მისი თავისებური ხასიათის, ჩამოყალიბებას, ფართოდ გავრცელებას და სხვ. უთუოდ ხელი შეუწყო იმან, რომ ამიერკავკასიაში ახალი ტიპის ეკონომიკის, მიწათმოქმედებისა და მექანიკონობის განვითარებისათვის მეტიმეტად ხელსაყრელი გარემო არსებობდა და ნეოლითური რევოლუციის საბოლოო გამარჯვების შემდეგ ყველა პირობა შეიქმნა მისი აღმავლობისათვის. გარკვეული როლი ამ პროცესში შეასრულა აგრეთვე იმანაც, რომ აქ სპილენძის მეტალურგიის განვითარებისათვის ყველა პირობა არსებობდა. მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში მოსახლეობის სწრაფი აღმავლობისათვის კიდევ უფრო ხელსაყრელი პირობებთ შეიქმნა. ამან კი თავის მხრივ მოსახლეობის დიდ ტერიტორიაზე განფენა გამოიწვია.

მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომები თოთქმის მთელ ამიერკავკასიას ითვისებენ. ამ დროის ნამოსახლარები აქ ჩანს როგორც ბარში, ისე მაღალმთიან ზოლში. განსაკუთრებით ინტენსიურად დასახლებულია აღმოსავლეთ საქართველო, მისი ბარი და მთა, სომხეთი, უპირატესად არარატის ნაყოფიერი ველი და სხვ. მაგრამ იმის გამო, რომ ამ კულტურის განვითარება მთლად ნათლად წარმოდგენილი არ არის, რთულდება ამიერკავკასიაში მისი პირვანდელი ადგილსამყოფელის გამოყოფა, სადაც უნდა ჩამოყალიბებულიყო მტკვარ-არაქსის კულტურის ძირითადი, წამყვანი ელემენტები. ძნელია წარმოვიდგინოთ, როგორც ავას ამ ბოლო ხანს ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა ერთდროულად წარმოიქმნა მთასა და ბარში. სამხრეთ და ჩრდილო კავკასიაში, ჩრდილო-დასავლეთ ირანში და აღმოსავლეთ ანატოლიაში<sup>60</sup>. მათი აზრით, ამ კულტურის გავრცელების ფართო ტერიტორიაზე იმთავითვე შეინიშნება კერამიკული ნაწარმის უადრესი ფორმები; სამხრეთ კავკასიის სხვადასხვა მხარეებში ჩასახული და განვითარებული ეს კულტურა უნდა განვიხილოთ როგორც სამხრეთ კავკასიის უძველესი ტომების განვითარების საყოველთაო ეტაპი. იმასაც აღნიშნავენ, რომ ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგად მტკვარ-არაქსის კულტურის წამყვანი, დამახასიათებელი ნიშნები ერთდროულად ჩნდება მისი გავრცელების მთელ ტერიტორიაზე და ამიტომ ძნელია წარმოვიდგინოთ ამ კულტურის ერთი რომელიმე კერის არსებობა<sup>61</sup>. მაგრამ ვფიქრობთ, რომ, პირიქით, უფრო ძნელია ამ კულტურის დამახასიათებელი ნიშნების ერთდროულად ფართო ტერიტორიაზე წარმოქმნა, ვივარაუდოთ და ის წარმოვიდგინოთ, რომ სხვადასხვა რაიონში პირვანდელი

<sup>60</sup> Т. Н. Чубинишвили, К древней истории Южного Кавказа. Тбилиси, 1971., стр. 156.

<sup>61</sup> იქვე, გვ. 135.

არეალი იმთავითვე ურთიერთისაგან განსხვავებული ნიშნებით ხასიათდება<sup>62</sup>. ამგვარი დასკვნა მკვლევარებს გამოჰყვათ იმის საფუძველზე, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა რიგ ძეგლებზე უშუალოდ მოსდევდა წინარე ფენას (გეო-თეფე, ქიულ-თეფე, შენგავითი, ხიზანანთ გორა და სხვ.), ზოგზე კი შერეული ფენები აღმოჩნდა, სადაც მტკვარ-არაქსისა და მისი უწინარესი კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკა ერთდროულად იყო ნაპოვნი (ამირანის-გორა, თეთ-რიწყარო, დიდუბე, კიკეთი და სხვ.)<sup>63</sup>. მაგრამ სადღეისოდ არსებული მასალების საფუძველზე ვფიქრობთ, ძნელია ამგვარი დასკვნების გაკეთება.

ნახიგევანის ქიულ-თეფეზე ცხრა მეტრის სისქის მტკვარ-არაქსის კულტურის ფენის ქვეშ უფრო ადრეული ფენა იღო. ადრე მისი გამთხრელი ო. აბიბულაევი აღნიშნავდა, რომ ქიულ-თეფე I და II შორის სტერილური ფენა იყო შემჩნეული. ამის გამო თავის დროზე ზოგიერთმა მკვლევარმა შორის წასული დასკვნა გააკეთა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურას ადგილობრივი ძირები არ ეძებნება<sup>64</sup>. შემდეგში სხვა უბნებზე სტერილური ფენა თითქოს შენიშნული აღარ იყო. არც სტერილური ფენის არსებობა იძლეოდა ზემოთ აღნიშნული დასკვნის გაკეთების საფუძველს და არც მისი არარსებობა გვაძლევს საშუალებას აქ მტკვარ-არაქსის კულტურაში გადაზრდა დავინახოთ<sup>65</sup>. ზოგიერთი მკვლევარი ქიულ-თეფეს I და II ფენების კერამიკას შორის მკვეთრ სხვაობას ხედავს<sup>66</sup>. ზოგი იმასაც კი აღნიშნავს, რომ აზერბაიჯანი საერთოდ უნდა გამოვრიცხოთ მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბების არედან<sup>67</sup>. განვითარების გარკვეულ ეტაპზე აზერბაიჯანში ამ კულტურის ექსპანსია ხდება<sup>68</sup>. ვ. მასონი, რომელიც მტკვარ-არაქსის კულტურის გენეზისის ქიულ-თეფე I კომპლექსთან დაკავშირების შესაძლებლობას უშეგებს, აღნიშნავს, რომ ქიულ-თეფე I და II შორის რაღაც ქრონოლოგიური წყვეტილი უნდა ყოფილიყო<sup>69</sup>. შესაძლოა ქიულ-თეფე I და II ფენათა შორის მართლაც ჩანდეს რაღაც საერთო, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს კიდევ არ იძლევა იმის საფუძველს, რომ მათ შორის უწყვეტი ქრონოლოგიური ურთიერთობა ვივარაუდოთ და მტკვარ-არაქსის კულტურა

62 Т. Н. Чубинишвили, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 151.

63 К. Х. Кушнарёва, Т. Н. Чубинишвили, *Древнейшая культура Южного Кавказа*, стр. 138.

64 Р. М. Мунчаев, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 151.

65 Р. М. Мунчаев, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 151; О. А. Абуллулаев, *Археологические раскопки холма Кюль-Тепе. Автореферат. Баку, 1959*, стр. 8.

66 А. А. Иессен, *Азербайджанская экспедиция в 1956 году. Краткие сообщения ИИМК*, 73, Москва, 1958, стр. 79.

67 А. А. Иессен, *Кавказ и Древний Восток в IV—III тысячелетиях до н. э.*, стр. 14.

68 А. А. Иессен, *Из истории прошлого Мильско-Карабахской степи*, МИА, 125, стр. 16.

69 В. М. Массон, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 240.

უშუალოდ ქიულ-თეფე I გამოვიყვანოთ. უფრო ისე ჩანს, რომ ქიულ-თეფე II კულტურა I-თან შედარებით უკვე საკმაოდ წინ წასული უნდა იყოს. ამიტომ ძნელია აქ ამ კულტურათა გადაზრდა ვივარაუდოთ. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას აგრეთვე ურმიისპირეთში გათხრილ გეო-თეფეს ბორცვზედაც. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნავდით, აქ მტკვარ-არაქსის კულტურის შემცველ K ფენას თითქმის არაფერი აქვს საერთო მის ქვეშ მდებარე M ფენასთან. ის მცირე საერთო, რომელიც ამ ფენათა შორის ჩანს, ვერ გამოდგება იმისათვის, რომ ურმიისპირეთი მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბების პირველად არეალში შევიყვანოთ<sup>70</sup>. ჭერ კიდევ ამ ძეგლის შემსწავლელმა ტ. ბურტონ ბრაუნმა შენიშნა ის მცირედი მსგავსება ამ ფენებში ნაპოვნი ზოგიერთი ჭურჭლების ყელის მოყვანილობაში, მაგრამ ამისათვის მას ანგარიში არ გაუწუვია და, როგორც თვითონვე აღნიშნავს, აქ ახალი, მანამდე არნახული ფორმები ჩნდება<sup>71</sup>. ჩ. ბიორნის აზრით, ურმიისპირეთი მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების რამდენადმე პერიფერიული რაიონი უნდა ყოფილიყო და ეს კულტურა ადვილად შეიძლებოდა გავრცელებულიყო აქ მისი პირველადი ცენტრიდან<sup>72</sup>. ამ მოსაზრებას იზიარებს აგრეთვე ვ. მასონიც, რომელიც აღნიშნავს, რომ გეო-თეფეს K კომპლექსი მტკვარ-არაქსის კულტურის ძირითად ცენტრებთან შედარებით უფრო პერიფერიულ შთაბეჭდილებას ტოვებს<sup>73</sup>. ა. იესენი ფიქრობს, რომ ურმიისპირეთი მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბების ზონიდან საერთოდ უნდა გამოირიცხოს<sup>74</sup>.

რაც შეეხება ამიერკავკასიაში შესწავლილ ისეთ ძეგლებს, როგორიცაა შენგავითი სომხეთში და ხიზნანანთ გორა ქართლში, სადაც თითქოს შეინიშნება წინარე კულტურის უშუალოდ გადასვლა მტკვარ-არაქსის კულტურაში, ამ საკითხთან დაკავშირებით არც ამ ძეგლებზეა ყველაფერი სათელი. შენგავითში ჭერ ისიც არ არის მთლად კარგად გარკვეული საერთოდ იყო თუ არა აქ მტკვარ-არაქსის კულტურის უწინარესი ფენა. მაგრამ კიდევაც რომ დამტკიცდეს ადრეული ფენის არსებობა, რომლის ნიშნები თითქოს მართლაც ჩანს<sup>75</sup>, აქ აღმოჩენილი მტკვარ-არაქსის კულტურა უკვე იმდენად ჩამოყალიბებული სახითაა წარმოდგენილი, რომ მათი ურთიერთთან დაკავშირება ძალიან გაჭირდება.

არც ხიზნანანთ გორაზე იყო შენიშნული უფრო ადრეული ფენა, რომელიც ძველის ახალში გადაზრდაზე მიუთითებდეს<sup>76</sup>. ეს ძეგლი სწორედ იმითაა საინტე-

<sup>70</sup> Т. Н. Чубинишвили, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 144.

<sup>71</sup> T. Burton Brown, *Excavations in Azarbaijan, 1948*, 37.

<sup>72</sup> С. А. Burney, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 165, 168; С. А. Burney, D. M. Lang, *დასახ. ნაშრომი*.

<sup>73</sup> В. М. Массон, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 240.


<sup>74</sup> А. А. Иессен, *Кавказ и Древний Восток в IV—III тыс. до н. э.*, стр. 14.

<sup>75</sup> С. А. Сардарян, *Первобытное общество в Армении*. Ереван, 1967, стр. 293.

<sup>76</sup> К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 138.

რესო, რომ აქ კარგად შეიმჩნევა საკუთრივ მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების საფეხურები<sup>77</sup>. ეს ძეგლები მტკვარ-არაქსის კულტურის უშუალოდ წინარე კულტურიდან წარმოქმნის საფუძველს არ იძლევიან.

მტკვარ-არაქსის კულტურა მთელი რიგი თავისებური ნიშნებით ხასიათდე-



სურ. 32. თიხის კურკელი დიღუბიდან.

<sup>77</sup> ი. კიკვიძე, ხიზანანთ გორის აღრებრიწყაოს ხანის ნასახლარი, თბილისი, 1972, გვ. 3, 56.



ბა, რომლებსაც იგი ინარჩუნებს გავრცელების ფართო ტერიტორიაზე. სწორედ ამ კულტურის გასაოცარი ერთგვარობა, განსაკუთრებით კერამიკისა, აძლევდა საფუძველს ზოგიერთ ავტორს მისი ერთი რომელიმე ცენტრიდან გავრცელება ევარაუდა.

მართალია, ჭერჭერობით ძნელია მტკვარ-არაქსის კულტურის პირველადი წარმოქმნის ცენტრის გამოყოფა, მაგრამ რომ ამგვარი კერის არსებობა სავარაუდოა მისი გავრცელების ერთ-ერთ რაიონში, ვფიქრობთ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. რა თქმა უნდა, საფიქრებელია, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის, მისთვის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტების ჩამოყალიბება გარკვეულ რაიონში მიმდინარეობდა, მაგრამ სად იყო პირველი ადგილსამყოფელი ამ კერისა, ჭერ კიდევ გადაჭრით ძნელი სათქმელია. საფიქრებელია, რომ მისი ჩამოყალიბების პირვანდელი კერა მტკვარ-არაქსის კულტურის ძირითად ოლქშია საძებარი, მტკვარისა და არეზის ორმდინარეთის შიგნით. გამოითქვა მოსაზრება, რომ ერთ-ერთი ძირითადი არე, სადაც ამ კულტურის ფორმირების პროცესი მიმდინარეობდა, უნდა ყოფილიყო ქვემო ქართლი თავისი მიმდგომი მხარეებით<sup>78</sup>. ამგვარი დასკვნა დაფუძნებული იყო იმაზე, რომ აქ არის ლოკალიზებული ძირითადად მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ე. წ. დიდუბე-კიკეთის ჯგუფის ძეგლები. ძნელია, რა თქმა უნდა, გავიზიაროთ ზემოთ უკვე მოტანილი მოსაზრება, რომ მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი ნიშნები ყველგან ერთდროულად იწყებს გამოჩენას და რომ მისი ფორმირების პირვანდელი არეალი სცდება მტკვარისა და არეზის ორმდინარეთის ფარგლებს<sup>79</sup>. ამ კულტურის გასაოცარმა ერთგვაროვნებამ აფიქრებინა ჩ. ბიორნის, რომ ეს კულტურა ადრეულ პერიოდში ერთი ცენტრიდან უნდა გავრცელებულიყო<sup>80</sup>. დღეს თითქმის არავის ეპარება ეჭვი, ვინც ამ კულტურის გენეზისის საკითხს იკვლევს, რომ არსებული მასალების საფუძველზე, დიდუბე-კიკეთის ჯგუფი მართლაც უფრო ადრეული იერისაა. თავდაპირველად ეს დასკვნა კერამიკული მასალის ანალიზის საფუძველზე იყო გამოტანილი, მაგრამ, ამას მხარი დაუჭირა აგრეთვე ბოლო ხანებში შესწავლილმა სტრატოციკირებულმა ძეგლებმა, სადაც გარკვეულად შეინიშნება მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების საფეხურები. ჭერ კიდევ ბ. კუფტინმა, ამ კულტურის კერამიკის ანალიზის საფუძველზე, გამოთქვა მოსაზრება, რომ დიდუბისა და კიკეთის კერამიკული კომპლექსი შედარებით უფრო ადრეული უნდა იყოს. ამ ჯგუფის კერამიკა მართლაც უფრო აქაული იერისაა, გარკვეულად განსხვავდება მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებული საფეხურის კურკლის ნაწარ-

<sup>78</sup> О. М. Джапаридзе, Культура раннеземледельческих племен на территории Грузии. VII международный конгресс антропологических и этнографических наук, Москва, 1964, стр. 7.

<sup>79</sup> Т. Н. Чубинишвили, К древней истории Южного Кавказа, стр. 135, 136.

<sup>80</sup> С. А. Вигнелу, დასახ. ნაშრომი, გვ. 167.

მისაგან, მაგრამ მასში უკვე ისახება მტკვარ-არაქსის კერამიკული კომპლექსი-სათვის დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც ესოდენ თავისებურ ელფერს აძლევენ ამ კულტურას<sup>81</sup>. მტკვარ-არაქსის კულტურის ცალკე, დამოუკიდებელ კულტურად გამოყოფის საფუძველი ძირითადად კერამიკის თავისებური ხასი-ათი იყო.

მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ხანის ძეგლები კარგადაა ცნობილი სამხრეთ საქართველოში. ამ პერიოდის მასალები აღმოჩნდა თბილისის ტერი-ტორიაზე ლოკალიზებულ ძეგლებზე (სურ. 32). მათ ვხვდებით აგრეთვე სადღე-ისოდ უკვე საკმაოდ კარგად შესწავლილ კიკეთის სამაროვნის მასალებში: აქ ბოლოდროინდელმა გათხრებმა გარკვეული სტრატეგრაფიული მონაცემებიც (სურ. 33) მოგვცა<sup>82</sup>. მაგრამ სადღეისოდ ამ კულტურის ადრეული ჯგუფის ძეგ-ლები უპირატესად თავს იყრის ქვემო ქართლის ბარში, უფრო კი მის მარჯვენა ნაწილში მარნეულის ვაკეზე და აგრეთვე მის მთისწინა ზოლში. სოფ. თამარის-თან აღმოჩენილი სამარხის თიხის ჭურჭელი ახლოს დგას კიკეთის სამაროვნის მა-შალასთან. ადრეული იერისაა, აგრეთვე, ბოლხისში, ყორანთას გორაზე ნაპოვნი კერამიკა<sup>83</sup>. ბარში აღმოჩენილ ძეგლებიდან აღსანიშნავია სოფ. წოფის მახ-ლობლად ნაპოვნი მასალა, სადაც უკვე შეიმჩნევა მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული კერამიკისათვის დამახასიათებელი ნიშნები<sup>84</sup>.

მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული პერიოდის საინტერესო მასალა აღ-მოჩნდა სოფ. კოდასთან. აქ გამოვლენილია ამ დროის ნამოსახლარი და სამა-როვანი. სამაროვანზე ორი ტიპის სამარხი აღმოჩნდა: ორმოსამარხები ქვაყრი-ლით და ქვაყუთებით. აქ ძირითადად კერამიკული მასალა აღმოჩნდა, რომელიც ბევრ საერთოს პოულობს დიდუბის, კიკეთის, სამშვილდის, ბოლნისისა და სხვ. თიხის ჭურჭელთან<sup>85</sup> (სურ. 34).

კიდევ უფრო კარგად ამ კულტურის ადრეული საფეხური გამოჩნდა ქვე-მო ქართლის მთისწინა ზოლში. აქ პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ თეთრი წყაროს მახლობლად შესწავლილი ნამოსახლარი, რომელშიც ორ ჰორიზონტს გამოყოფენ; ქვედა, A ჰორიზონტის კერამიკა გარკვეულ ურთიერთობას ავლენს კიკეთის. დიდუბის და სხვ. ადრეულ მასალებთან, მაგრამ თავისი არქაული ხა-სიათით მტკვარ-არაქსის კულტურის წინარე ხანასაც უკავშირდება<sup>86</sup>. სოფ. აბე-

<sup>81</sup> ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე. ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, გვ. 115.

<sup>82</sup> გ. ფ ხ ა კ ა ძ ე, ქვემო ქართლის ენეოლითი, თბილისი, 1953, გვ. 127.

<sup>83</sup> იქვე, გვ. 16.


<sup>84</sup> Т. Н. Ч у б н и ш в и л и, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

<sup>85</sup> Г. Г. П х а к а д з е, Раскопки в с. Кода. Археологические открытия 1971 г. Моск-ва, 1972, стр. 457.

<sup>86</sup> გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, თეთრიწყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის 1958 წლის მუ-შაობის ძირითადი შედეგები, სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1957 წ. საეველ-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბილისი, 1958, გვ. 9.

ლიასთან მოპოვებულ მასალაში უფრო ძველ კერამიკასთან ერთად გამოირჩევა აგრეთვე მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული საფეხურის თიხის ნაწარმიც.

მტკვარ-არაქსის კულტურის ადრინდელი პერიოდის მასალა გამოვლენილი იყო სამშვილდის მახლობლად შესწავლილ ნამოსახლარზე და აქვე მდებარე




სურ. 33. თიხის ჭურჭელი კიკეთიდან.

სამაროვანზე. ნამოსახლარზე ორი ფენა იყო დადგენილი: ქვედა, ადრეულ ფენაში ნაპოვნი იყო ძირითადად ღია ფერის, გაპრიალებული, სადა ფორმის კერამიკა. ეს ჭურჭელი ანალოგიას პოულობს მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული პერიოდის მასალასთან ქვემო ქართლიდან (თეთრიწყარო — ძირა ფენა, წოფი, აბელია), აგრეთვე არქაულ ნაწარმთან კახეთიდან (სიონი, გრემი) და შიდა ქართლიდან (ხიზანანთ გორა)<sup>87</sup>. ზედა ფენის კერამიკა თითქმის სავსე-

<sup>87</sup> Г. И. Мирцхулава, Памятники эпохи древнего металла Самшвилде и куро-араксская культура Квемо Картли, Автореферат, Тбилиси, 1972, стр. 19.

ბით ისეთივეა, როგორც სამაროვანზე გამოვლენილი კურკელი<sup>88</sup>. ეს კერამიკა გარკვეულ მსგავსებას ავლენს ადრეულ, დიდუბე-კიკეთის ჯგუფის ნაწარმთან, მაგრამ ამ პერიოდის შედარებით უფრო გვიანდელ საფეხურს უნდა მიეკუთვნებოდეს. ადრეული იერისაა გომარეთში აღმოჩენილი კერამიკული კომპლექსე-



სურ. 34. თიხის კურკელი კოლიდან.


ბი, ქვემო ქართლის ადრეულ ძეგლებთან ახლოს დგას ამ ბოლო დროს კახეთში გამოვლენილი მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ძეგლები<sup>89</sup>.

ამრიგად, როგორც ჩანს, ქვემო ქართლში V—IV ათასწლეულებისათვის, შომუთეფე-შულავერის კულტურის შემდგომაც ცხოვრება არ წყდება და საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს როგორც მის ბარის ნაწილში, ისე მთისწინა ზოლშიაც. ამიტომ მთლად სწორი არ ჩანს ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრება, თითქოს V—IV ათასწლეულების ადრესამიწათმოქმედო კულტურის შემდეგ ქვემო ქართლის ვაკეზე ხელახალი ინტენსიური ცხოვრება დაახლოებით ათასი წლის მერე, მტკვარ-არაქსის კულტურის ბოლოს, III ათასწლეულის მეორე :

<sup>88</sup> Г. И. Мп р и х у л а в а, დასახ. ნაშრომი, გვ. 19; გ. შ ი რ ც ხ უ ლ ა ვ ა, სამშვილდის სამაროვანი, ძეგლის მეგობარი, 23, თბილისი, 1970, გვ. 47.

<sup>89</sup> Ш. Ш. Д е д а б რ и ш в и л и, Культура эпохи ранней бронзы. Иорн-Алазанского бассейна. Автореферат, Тбилиси, 1970, стр. 20.

ნახევარში იწყება<sup>90</sup>. ვფიქრობთ, რომ სადღეისოდ არსებული მასალა ამგვარი დასკვნის გამოტანის საშუალებას არ უნდა იძლეოდეს და ადრესამიწათმოკმე-



სურ. 35. თიხის კურკველი სამუხილიდან.

დო კულტურის ტრადიციები აქ გრძელდება როგორც ბარში, ისე მის მთის-წინა ზოლში. ის სხვა საქმეა, რომ დღესდღეობით მთლად ნათელი არ არის.

<sup>90</sup> Т. Н. Чубинишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

თუ როგორ მიმდინარეობდა ერთიდან მეორეში გადაზრდის პროცესი და საერთოდ რა იყო ადრეული კულტურის ჩაქრობისა და მის ნიადაგზე ახლის, უფრო დაწინაურებული კულტურის აღმოცენების მიზეზი.

ქვემო ქართლში გავრცელებულ ადრესამიწათმოქმედო კულტურაში IV ათასწლეულის პირველი ნახევრის ბოლოსათვის მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება. ეს კულტურა მის ადრეულ საფეხურებთან შედარებით ამ დროისათვის უკვე საკმაოდ წინ წასული ჩანს. ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა სულ ახლახან ქვემო ქართლში თავალოს გორის გათხრებისას. ამ გორას დაახლოებით ოთხ პექტარამდე ფართობი უკავია და აქ საკმაოდ დიდი სოფელი უნდა ყოფილიყო. იმ მცირე მასალით, რომელიც დღეს არის აქ მოპოვებული, კარგად გამოჩნდა, თუ რამდენად წინაა წასული მიწათმოქმედება. დიდი რაოდენობით იყო ნაპოვნი მიწის დასამუშავებელი იარაღები, განსაკუთრებით სხვადასხვა ტიპის რქისა და ძვლის თოხები, რომელთაგან ზოგიერთი ფორმა მანამდე ქვემო ქართლის ადრეულ მასალებში ცნობილი არ იყო<sup>91</sup>. მიწათმოქმედების ერთგვარმა აღმავლობამ, ალბათ, განაპირობა შედარებით მოზრდილი სოფლის არსებობა. ამ კულტურის უფრო ადრეული საფეხურის სოფლები (მულავერის გორა, იმირის გორა და სხვ.) გაცილებით უფრო პატარები იყო. ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო კულტურის გვიანდელ საფეხურზე IV ათასწლეულის შუა ხანებისათვის მიწათმოქმედება გარკვეულ დაწინაურებას განიცდის და თანდათანობით უფრო განვითარებული სამიწათმოქმედო კულტურის ჩამოყალიბების საფუძველი იქმნება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ დროისათვის სამხრეთიდან პირველი იმპულსები მოდის, რამაც გარკვეული ბიძგი მისცა მიწათმოქმედი საზოგადოების წინსვლას და უფრო მაღალი, განვითარებული სამიწათმოქმედო კულტურის ჩამოყალიბებისათვის ყველა პირობა იქმნება. ამ კულტურას, რომელიც დღეს მტკვარ-არაქსის კულტურის სახელითაა ცნობილი, საფუძვლად ადგილობრივი, წინარე სამიწათმოქმედო კულტურა დავდო. მტკვარ-არაქსის კულტურა ძირითადად აგრძელებს ძველი კულტურის ტრადიციას, ჰამეურნეო ყოფას, მაგრამ ბევრად უფრო მაღალ საფეხურზე აპყავს იგი.

მართალია, ამ ძველი და ახალი კულტურების ურთიერთობაში ჯერჯერობით ყველაფერი ნათელი არ არის და ამ საკითხს ჯერ კიდევ საკმაო კვლევა უნდა, მაგრამ ერთი კია, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ბევრი დამახასიათებელი ნიშნის საწყისები წინარე კულტურაშია საქმბარი. აქაა, ჩანს, ძირები მტკვარ-არაქსის კულტურის არქიტექტურისა, ალიზის ფართოდ გამოყენებისა და სხვ. აქვეა საქმბარი მისთვის დამახასიათებელი სამეთუნეო საქმის საწყისები ჭურჭლის ძერწვის, ზედაპირის გაპრიალების, შემკობის წესისა და სხვ. წინა-

<sup>91</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვემო ქართლის არქ. ექსპედიციის 1972 წლის მუშაობის შედეგები.

მორბედ კულტურაშია აგრეთვე ფესვები საწარმოო იარაღების, ქვისა და  
ბვლის ნაწარმისა და სხვ.<sup>92</sup> თუკი დღეს ამ ძველი და ახალი კულტურების ურ-  
თიერთობის შესახებ ითქმის რაიმე, ამის საფუძველს ძირითადად მტკვარ-არაქს-  
ის კულტურის ადრეულ ძეგლებზე მოპოვებული მასალები იძლევა. ამ რიგის  
ძეგლები, როგორც აღვნიშნეთ, სადღეისოდ თავს ძირითადად ქვემო ქართლ-  
ში და მის მიმდგომ მხარეებში იყოს. ამიტომაც შეიძლება დავუშვათ, რომ  
მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბების და ფორმირების ერთ-ერთი  
უპირველესი კერა ქვემო ქართლი თავისი მიმდებარე ოლქებით უნდა. ყოფილი-  
ყო<sup>93</sup>. ამგვარივე პროცესი შეიძლება მიმდინარეობდა აგრეთვე ამიერკავკასიის-  
სხვა რაიონშიაც.

თუ ამ კულტურის წარმოქმნის ერთ-ერთ მიზეზად სამხრეთიდან უფრო  
ჩრდილოეთით ხალხთა ახალი მასის გადაადგილებას ვივარაუდებთ, მაშინ შეიძ-  
ლება ვიფიქროთ, რომ ამ ახალი ტალღის გამოჩენა მთელ ამიერკავკასიაში-  
დაახლოებით ერთდროულად ხდება და ივადმონაცვლებული მოსახლეობა ძირი-  
თადად იქ ჯდება, სადაც ადრევე მიწათმოქმედების განვითარებისათვის ხელ-  
საყრელი პირობა იყო. მისი ერთი ნაკადი იკავებს ქვემო ქართლს თავისი  
მიმდგომი მხარეებით; იმის გამო, რომ საერთოდ ამიერკავკასიაში შესავსი ად-  
რესამიწათმოქმედო კულტურა იყო გავრცელებული, ამიტომ შემდეგშიაც აქ  
დაახლოებით ერთგვაროვანი, მტკვარ-არაქსის ადრეული საფეხურის კულტურა  
ყალიბდება, თავისი დამახასიათებელი, საერთო ნიშნებით.

მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბების პროცესი ქვემო ქართლის-  
გარდა ამიერკავკასიის სხვა ოლქებშიაც მიმდინარეობდა. ამ ბოლო დროს მუ-  
ღანის ველზე გამოვლენილი მასალების საფუძველზე გამოითქვა მოსაზრება,  
რომ აქ თითქოს კარგად შეინიშნება მტკვარ-არაქსის კულტურაზე გადასვლის  
პროცესი. ამგვარი დასკვნა ძირითადად დაზვერვების შედეგად მოპოვებული კე-  
რამიკული მასალის მიხედვით გამოითქვა. მულანზე მართლაც აღმოჩნდა, რო-  
გორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ადრესამიწათმოქმედო კულტურისათვის დამა-  
ხასიათებელი კერამიკა, უპირატესად ბზენარევი; რომელიც ახლოს დგას ნახიჩე-  
ვანის და მილისა და ყარაბახის ველის ადრეულ ძეგლებთან. ზოგიერთ ძეგლზე აქ  
მტკვარ-არაქსის კულტურის ნიშნებიც ჩანს. მაგრამ, მაინც ვფიქრობთ; რომ  
იმ მცირე მონაცემების საფუძველზე, რომელიც სადღეისოდ მულანიდან გაგ-  
ვაჩნია, ძნელია გადაჭრით იმის მტკიცება, რომ აქ უკვე მტკვარ-არაქსის კულ-  
ტურაზე გადასვლის პროცესთან გვაქვს საქმე<sup>94</sup>. მართლაც კერამიკაზე შენიშ-

<sup>92</sup> ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ა. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცი-  
ის მუშაობის შედეგები (1965—1966 წწ.), «მაცნე», № 3, თბილისი, 1967, გვ. 297.

<sup>93</sup> ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, გვ. 224.

<sup>94</sup> И. Г. Нариманов, Ф. Р. Махмудов, Энеолитические памятники на Муган-  
ни, Известия АН Азербайдж. ССР, Серия истории, философии и права, № 2, 1967,  
стр. 95.

ნულ ზოგიერთ მომენტებზე დაყრდნობით გაძნელება ამგვარი საკითხების დადასტურება. რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, რომ მულანიც მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ოლქი ყოფილიყო, მაგრამ ვიდრე ეს მხარე უფრო ფართოდ არ იქნება შესწავლილი. გარკვევით ვერაფერი ითქმის. აქ შეიძლება გავიხსენოთ ნახიჩევანის, მილისა და ყარაბაახის მხარე, სადაც ფართოდ იყო გავრცელებული ადრესამიწათმოქმედო კულტურა. მაგრამ აქ ჭერჯერობით არ ჩანს მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ძეგლები, ეს კულტურა აქ უკვე საკმაოდ განვითარებული სახით წარმოგვიდგება. მტკვარ-არაქსის კულტურის ფორმირების რაიონიდან, სადღეისოდ არსებული მშალის საფუძველზე, უნდა გამოვრიცხოთ არარატის ველი, შიდა ქართლი და სხვა ოლქები, სადაც შემდეგში განსაკუთრებით ფართო გავრცელებას პოულობს ეს კულტურა. მაგრამ ჭერჯერობით აქ არც ადრესამიწათმოქმედო კულტურებია მაინცადამაინც გამოვლენილი და არც მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული საფეხური.

ამრიგად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ IV ათასწლეულის მეორე ნახევარში იწყება მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბების პროცესი. ჭერ კიდევ ბ. კუფტინი მიუთითებდა, რომ ეს კულტურა უფრო მცირე აზიასა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთისაკენ იჩენს ლტოლვას. შესაძლოა IV ათასწლეულის შუა ხანებში მცირე აზიიდან ხალხთა გარკვეული მასების გადმონაცვლება ხდება უფრო ჩრდილოეთით. მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ საფეხურზე და რამდენადმე უფრო ადრეც ამიერკავკასიაში გამოჩენას იწყებს გარკვეული ელემენტები, რომლებიც მცირე აზიის ადრეულ კულტურებისთვისაა დამახასიათებელი<sup>95</sup>. ამ ახალმოსულთა გამოჩენამ, რომლებიც აქ დამხვედურ მიწათმოქმედ ტომებში ითქვიფებიან, ხელი შეუწყო ადგილობრივი საზოგადოების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას. რა იყო მიზეზი ხალხთა ამ მოძრაობისა ჭერ მთლად ნათელი არ არის, მაგრამ შესაძლოა ეს დაკავშირებული იყო წინა აზიაში V—IV ათასწლეულებში მომხდარ ამბებთან. ჭერ კიდევ V ათასწლეულში პალაფური კულტურის მომქავერებამ მცირე აზიაში მოსახლეობის გარკვეული გადანაცვლება გამოიწვია<sup>96</sup>. შემდეგში, IV ათასწლეულის პირველ ნახევარში, უბეიდის კულტურის ხანაში, რომლის გავლენა მცირე აზიაში პალაფურზე უფრო ძლიერი იყო, ეს პროცესი გაძლიერდა. ჩრდილო უბეიდის კომპლექსების გამოჩენა მცირე აზიაში, შესაძლოა მოსახლეობის სეგმენტაციის შედეგი იყო; უბეიდის კულტურის ხანაში ეს პროცესი უფრო ძლიერი ჩანს, ვიდრე წინარე, პალაფის კულტურის დროს იყო<sup>97</sup>. ჩრდილო მესოპოტამიის მოსახლეობის ამგვარ ლტოლვას დასავლეთისაკენ არ შეიძლება მცი-

<sup>95</sup> ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, გვ. 224.

<sup>96</sup> B. M. M a c c o n, დასახ. ნაშრომი, გვ. 403.

<sup>97</sup> იქვე, გვ. 416.



რე აზიაში მოსახლეობის გარკვეული გადაადგილება არ გამოეწვია. ზოგი იმა-საც ფიქრობს, რომ ჰალაფური მოსახლეობის მოწოლის შედეგი უნდა ყოფი-ლიყო მცირე აზიიდან ბალკანეთში ადრემიწათმოქმედი ტომების გადასახლება<sup>98</sup>. რა თქმა უნდა, ჩრდილო მესოპოტამიის მოსახლეობის ასეთ მოძალებას არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა აგრეთვე მცირე აზიის უფრო ჩრდილო ოლ-ქებზე. აღმოსავლეთ ანატოლიაზე, სადაც, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნავ-დით, საკმაოდ ძლიერად ჩანს ჰალაფისა და უბეიდის კულტურების გავლენა. მათი მომძლავრება აქ თავის მხრივ უთუოდ მოსახლეობის ერთი ნაწილის უფ-რო ჩრდილოეთით, ამიერკავკასიის მიმართულებით გადასაცვლებას გამოიწ-ვევდა. როგორც ჩანს, აღმოსავლეთ ანატოლიური მოსახლეობის სეგმენტაცია და მისი ჩრდილოეთით გადაადგილება ჰალაფის ზანაში არცთუ ისე საგარძობი იყო და ძირითადად ამიერკავკასიის სამხრეთის რაიონებს შეეხო. ამის კვალი კი-დევაც შეინიშნება აქაურ ძეგლებზე. მაგრამ IV ათასწლეულის პირველ ნახე-ვარში აღმოსავლეთ ანატოლიაში უბეიდურმა გავლენამ იმატა, რასაც, ალბათ, მო-სახლეობის გადასაცვლების პროცესის გაძლიერება უნდა მოჰყოლოდა და ამ დროისათვის ამიერკავკასიაში ახალი ელემენტების გამოჩენა, ალბათ, ამის ანა-რეკლი იყო. ამავე ათასწლეულის შუა ხანებისათვის თანდათანობით ქრება აქ გავრცელებული სამიწათმოქმედო კულტურა და მის საფუძველზე აღმოცენებას იწყებს ახალი, უფრო განვითარებული მტკვარ-არაქსის კულტურა. ახალმოსულ-თა მასები უპირატესად მიწათმოქმედებისათვის ვარგის ადგილებს იკავებენ, რომლებიც ადრევე უკვე ათვისებული იყო მიწათმოქმედი ტომების მიერ. მარ-თალია, ახალმოსულებმა გარკვეული გავლენა იქონიეს ადგილობრივ კულტუ-რაზე, მისი ერთგვარი აღმავლობა გამოიწვიეს, მაგრამ იმას ძირფესვიანი ცვლი-ლებები არ მოჰყოლია. კულტურაში უპირატესად ისევ ძველი ტრადიციები გა-ნაგრძობდა ბატონობას. ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოსახლეობის ახა-ლი ნაკადის შემოჭრა აქ მაინცდამაინც ძლიერი არ იყო, რასაც შეიძლებოდა კულტურის ძირფესვიანი შეცვლა გამოეწვია. დამხვდური ელემენტი, მიუხედა-ვად თავისი სამიწათმოქმედო კულტურის შედარებით დაბალი დონისა, მაინც გამარჯვებული გამოდის. მართალია, ახალმოსულთა გავლენის შედეგი მიწათ-მოქმედი საზოგადოების განვითარება იყო, სხვაგვარად ძნელი ჰქანსელი იქნე-ბოდა კულტურაში ასეთი სწრაფი აღმავლობა, მაგრამ ეს დაწინაურება ძირი-თადად ადგილობრივი ტრადიციების საფუძველზე მოხდა.

სამიწათმოქმედო კულტურის საერთო დონის აწევას და საერთოდ ცხოვ-რების პირობების გაუმჯობესებას არ შეიძლება მოსახლეობის რიცხვის ზრდისათვის სტიმული არ მიეცა. როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ საფეხურზე მოსახლეობის სწრაფი მომრავლება ხდება, ამ დროი-სათვის უკვე კარგად შეიმჩნევა მიწათმოქმედებისთვის ვარგისი ახალი მიწე-

<sup>98</sup> B. M. Массон, დასახ. ნაშრომი, გვ. 408.

ბის თანდათანობით უფრო ფართოდ ათვისების ტენდენციები. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს შიდა ქართლის მაგალითზე. შიდა ქართლის ველი ადრესამიწათ-მოქმედო კულტურის ხანაში ჯერ კიდევ არ უნდა ყოფილიყო ათვისებული: სადღეისოდ არსებული მასალით ისე ჩანს, რომ ეს პროცესი აქ მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ საფეხურზე უნდა დაწყებულიყო. მიწათმოქმედი მოსახლეობა ძირითადად ქვემო ქართლის ვაკეზე იჯდა. მაგრამ მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბების ხანისათვის უკვე ახალი მიწების ათვისების საქიროება იგრძნობა. ჩნდება პირველი დასახლებები თბილისის შემოგარენში, რამდენადმე გვიან კი შიდა ქართლის ველზე.

სადღეისოდ არსებული მასალების საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ შიდა ქართლში პირველი მოსახლეობა სწორედ მტკვარ-არაქსის ადრეულ საფეხურზე იწყებს გამოჩენას. აქ კარგადაა ცნობილი ამ პერიოდის ძეგლები. მტკვარ-არაქსის კულტურის შედარებით ადრეული საფეხურის მასალები გამოვლენილია ხიზანანთ გორაზე, ურბნისში, დიდ ახალსოფელში, ცხინვალთან, ზღუდრის გვერდაზე, ნაცარგორაზე, ქულბაქებზე და სხვ. აქ მოპოვებული მასალა ბევრ საერთოს პოულობს დიდუბე-კიკეთის ძეგლებთან. განსაკუთრებით ლინტერესოა ურბნისში გათხრილი და შესწავლილი ხიზანანთ გორა, რომელზედაც მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების თითქმის ყველა საფეხურია წარმოდგენილი<sup>99</sup>. ყველაზე ადრეული, მისი ძირა E ფენაა. აქ მოპოვებული თიხის ქურქელი (სურ. 36) ახლოს დგას დიდუბე-კიკეთის ჯგუფის კერამიკასთან<sup>100</sup>. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ხიზანანთ გორის E დონე და საერთოდ შიდა ქართლში აღმოჩენილი მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული საფეხურის ძეგლები, დიდუბე-კიკეთის ჯგუფთან შედარებით მაინც რამდენადმე გვიანებია. ნიშანდობლივია, რომ კახეთში გამოვლენილი ამ კულტურის ადრეული ძეგლები, რომლებიც აგრეთვე დიდუბე-კიკეთის ჯგუფთანაა დგანან ახლოს, მაინც უფრო მეტ საერთოს ხიზანანთ გორის ადრეულ მასალებთან პოულობენ<sup>101</sup>. შეიძლება ვიფიქროთ, რომ შიდა ქართლისა და კახეთის ათვისება მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული საფეხურის რამდენადმე მოგვიანო სტადიაზე იწყება. თუმცა შ. დედაბრიშვილი გრემის დროებითი სადგომის მასალის განხილვისას უფრო იმ აზრისაა, რომ იგი მტკვარ-არაქსის კულტურის უადრეს საფეხურს უნდა მიეკუთვნებოდეს<sup>102</sup>.

როგორც ჩანს, ამავე დროს მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომები არარატის ველზე იწყებენ გავრცელებას. ამ ველზე სამოსახლოები უკვე წინარე კულტურის ხანაში შეიმჩნევა, მაგრამ ეს მხარე ამ პერიოდში, IV ათას-


99 ი. კიკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

100 იქვე, გვ. 91.

101 იქვე, გვ. 67; Ш. Ш. Дедабришвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

102 Ш. Ш. Дедабришвили, Памятники ранней и средней бронзы. Труды Кахетинской археологической экспедиции, I, Тбилиси, 1969, стр. 72.

წლეულში, ისე ინტენსიურად არ იყო ათვისებული, როგორც, ვთქვათ. ქვემო ქართლი ან კიდევ მილისა და ყარაბაღის ოლქი ამიტომ, მთლად დამაჯერებლად არ გამოიყურება არქეოლოგ ე. ხანზადიანის მიერ ამ ბოლო დროს გამო-



სურ. 36. თიხის ჭურჭელი ზიზანანთ გორის E ფენიდან.

თქმული მოსაზრება, რომ არარატის ველი მტკვარ-არაქსის კულტურის სამშობლო იყო. იგი ცდილობს ამ ველზე გამოვლენილ IV ათასწლეულის ადრესამიწათმოქმედო კულტურასა და მტკვარ-არაქსის კულტურას შორის ზოგი რამ საერთო დანიშნოს<sup>103</sup>. იგივე აზრს გამოთქვამს აგრეთვე ჩ. ბიორნი თავის ახალ ნაშრომში. იგი ყველაზე სავარაუდო ცენტრად არარატის ველს, ერევნის მიდა-

<sup>103</sup> Э. В. Ханзаян, Культура армянского нагорья в III тыс. до н. э., Ереван, 1967, стр. 111.

შობებს მიიჩნევს. საქართველოში და ერზერუმის მხარეში ეს კულტურა დაახლოებით 3000 წ. ვრცელდება მისი პირვანდელი ცენტრიდან. რაკი იგი ერევნის მხარეს მიიჩნევს ამ კულტურის სამშობლოდ, ამიტომ შრემ-ბლურ II, შენგავით II და სხვ. უფრო ადრეულად თვლის და მათ თარიღს 3250—3000 წწ. შემოფარგლავს<sup>104</sup>. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ სადღეისოდ ჩვენს ხელთყოფი მასალებში საფუძველზე ამგვარი დასკვნის გამოტანა ძალიან გაჭირდება, მით უმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ ე. ხანზადიანის და ზოგი სხვა მკვლევრის მიერ შემუშავებულ მტკვარ-არაქსის კულტურის ქრონოლოგიური განვითარების სქემას. ე. ხანზადიანის აზრით, ელარის ტიპის კერამიკა მტკვარ-არაქსის კულტურაში ყველაზე გვიანდელია. მასზე უფრო ადრეული უნდა იყოს შრემ-ბლურისა და შენგავითის ტიპის თიხის ჭურჭელი<sup>105</sup>. დაახლოებით იგივე აზრისაა ს. ესაიანი. იგი აღნიშნავს, რომ III ათასწლეულის ძეგლები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს. ელარის ტიპის ძეგლები აღრებრინჯაოს ხანას, III ათასწლეულის მეორე ნახევარს უნდა მიეკუთვნებოდეს. III ათასწლეულის პირველი ნახევრის ძეგლები, რომლისათვისაც რელიეფური ამოზურგული ორნამენტია დამახასიათებელი, ჯერ კიდევ ენეოლითის ხანისა უნდა იყოს<sup>106</sup>. მაგრამ მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკის განვითარების გზა, რომელსაც ეს მკვლევარები გვთავაზობენ, ნაკლებად მისაღებია.

ძალიან გაჭირდებოდა მათ მიერ გამოყოფილი მტკვარ-არაქსის კულტურის პირველი პერიოდის კერამიკის წინარე ხანის ჭურჭელთან დაკავშირება. პირველი პერიოდის კერამიკა უკვე იმდენად განვითარებულია (სამნაწილადი ტანი, რთული გეომეტრიული ორნამენტი და სხვ.), რომ მისი დაკავშირება წინამორბედ კერამიკასთან თითქმის შეუძლებელია. ჯერ კიდევ ბ. კუფტინი აღნიშნავდა, რომ ე. ლალიაიანცის მიერ ელარში მოპოვებული მასალა უფრო ახლოს დგას იდრიის კერამიკასთან და აგრეთვე გარკვეულ მსგავსებას ნახულობს კიკეთის ჭურჭელთან. საესებით მართებულია იმ მკვლევართა მოსაზრება, რომლებიც ფიქრობენ, რომ ელარის ტიპის ძეგლები სომხეთში მტკვარ-არაქსის კულტურის ყველაზე ადრეულ ჯგუფს შეადგენენ<sup>107</sup>. მათ ბევრი საერთო აქვთ დიდუბე-კიკეთის ჯგუფის ძეგლებთან<sup>108</sup>, უფრო კი ამ ჯგუფის რამდენადმე უფრო გვიანდელ მასალებთან<sup>109</sup>. როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურა არარატის ველზე, შიდა ქართლში, კახეთში და სხვ. დაახლოებით ერთდროულად იწყებს

<sup>104</sup> Ch. Bugnèy, D. Lang, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

<sup>105</sup> Э. В. Ханзадян, დასახ. ნაშრომი, გვ. 109.

<sup>106</sup> С. А. Есаян, Каталог археологических предметов музея г. Еревана. Ереван, 1967, стр. 62.

<sup>107</sup> Т. Н. Чубиннишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 121.

<sup>108</sup> Г. И. Мирцхулава, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

<sup>109</sup> ო. ჭაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლიონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, გვ. 69.

გავრცელებას. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული საფეხურის რამდენადმე მოგვიანო პერიოდში, ქვემო ქართლში და მის მიმდებარე რაიონებში ჩამოყალიბებული მტკვარ-არაქსის კულტურა თანდათანობით უფრო ფართოდ ვრცელდება. იწყება ათვისება შიდა ქართლის. კახეთისა. ქვემო ქართლის სხვა მიმდებარე მხარეებისა და აგრეთვე სომხეთის მთიანეთისა. მისი გავრცელება საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობდა<sup>110</sup>. ეს, როგორც ჩანს, ერთიანი პროცესი უნდა ყოფილიყო და ამიტომაცაა, რომ ამ საფეხურზე მტკვარ-არაქსის კულტურა საერთო ნიშნით ხასიათდებოდა და როგორც ბ. კუფტინი აღნიშნავდა, საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე გასაოცარ ერთგვაროვნებას იჩენს. ეს ერთგვაროვნება ამ კულტურისა მისი ადრეული საფეხურისთვისაა დამახასიათებელი, თორემ შემდეგში, უფრო განვითარებულ სტადიაზე მისი ერთგვაროვანი ხასიათი თანდათანობით იშლება.

მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ საფეხურზე ჯერ ისევ ცოცხლობს წინარე კულტურიდან მომდინარე ტრადიციები როგორც მეურნეობის ხასიათში, ისე მის ყოფაში, სულიერ კულტურაში და სხვ. ძველიდან გადახვევის პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი უნდა ყოფილიყო. იგი, ჩანს, IV ათასწლეულის მეორე ნახევრის თითქმის მთელ მანძილზე მიმდინარეობდა და თანდათანობით სულ უფრო და უფრო იშლებოდა ძველიდან მომდინარე ტრადიციები. IV ათასწლეულის ბოლოსათვის უკვე ირდევია მტკვარ-არაქსის კულტურის ერთიანი ხასიათი, იწყება მისი ფართოდ განფენა, ლოკალური კულტურის ჩამოყალიბება და სხვ. ამ დროიდან იგი განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე გადადის. იწყება მტკვარ-არაქსის კულტურის ადრებრინჯაოს ხანის ეტაპი.

ამ უკანასკნელ ხანებში გავრცელდა მოსაზრება, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა ამიერკავკასიაში ბრინჯაოს ხანის დასაწყისია. მაგრამ, როგორც უკვე აღნიშნული იყო, მტკვარ-არაქსის კულტურა ძირითადად წინა, ადრესამიწათმობემლო კულტურის საფუძველზე აღმოცენდა. მის ადრეულ ეტაპზე იმდენად ცოცხლობს ძველი ტრადიციები, რომ ამ დროისათვის მტკვარ-არაქსის კულტურა ჯერ ისევ ენეოლითური ბუნებისაა. ჯერ კიდევ ბ. კუფტინი ამ კულტურაში ორ ეტაპს გამოყოფდა; იგი მტკვარ-არაქსის კულტურას ძირითადად ენეოლითურ საფეხურს აკუთვნებდა, მაგრამ მისი გვიანდელი, საჩხერის სტადია, უკვე ადრებრინჯაოს ხანაში შეჰყავდა. რა თქმა უნდა, ბ. კუფტინის დებულებაში ახლა ბევრი რამ დასაზუსტებელია, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ მტკვარ-არაქსის კულტურაში ორი საფეხურის გამოყოფის პრინციპი, ძირითადად სწორი უნდა იყოს. მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ საფეხურს ბევრი საერთო აქვს წინარე კულტურასთან და იგი ჯერ კიდევ ენეოლითური ხასიათისაა. ამიტომ „მტკვარ-არაქ-

<sup>110</sup> C. A. Burney, .დასახ. ნაშრომი, გვ. 168.

სის ენეოლითი“ სწორედ ამ კულტურის საწყის ეტაპს გამოხატავს, ადრებრინჯაოს ხანა მის განვითარებულ სტადიაზე იწყება<sup>111</sup>.

როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის ენეოლითური საფეხური საკმაოდ ხანგრძლივი უნდა ყოფილიყო. იგი თითქმის მთელ IV ათასწლეულის მეორე ნახევარს მოიცავს. ამ ხნის მანძილზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანდათანობით მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება, რაც საფუძველს უქმნის მის უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას. ვითარდება და ფართოვდება მეურნეობის წამყვანი დარგი — მიწათმოქმედება. სამეურნეო ყოფაში მომხდარ ძვრებს თანდათან მოჰყვებოდა ცხოვრების პირობების საგრძნობი გადახალისება. მოსახლეობის რიცხოვნობი მომატება, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის აღმავლობა სულ უფრო და უფრო ახალი მიწების ათვისების საჭიროებას ითხოვდა. IV ათასწლეულის მეორე ნახევრის ბოლოსათვის მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომები ცენტრალურ და სამხრეთ ამიერკავკასიის საკმაოდ დიდ ნაწილს იკავებენ. ამ პერიოდში ყალიბდება ამ კულტურისათვის დამახასიათებელი თავისებურება, რომელიც შემდეგში მისი არსებობის მთელ მანძილზე გაპყვება მას. წინაურდება ზელოსნობის სხვადასხვა დარგები, საწარმოო იარაღში ამ დროისათვის ჯერ კიდევ მკვეთრი გარდატეხა არ შეიმჩნევა. ქვის, ძვლის და რქის იარაღი მაინცდამაინც დიდ ცვლილებებს არ განიცდის. ლითონი ამ დროისათვის ჯერ მაინც შედარებით შეზღუდულ როლს ასრულებს. სამაგიეროდ დიდი ცვლილება ჩანს თიხის ნაწარმში. კერამიკაა სწორედ ის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი, რომელიც მტკვარ-არაქსის კულტურას ესოდენ თავისებურ სახეს აძლევს. მართალია, მას ზოგი რამ წინარე პერიოდის თიხის ჭურჭელთან აკავშირებს, კერძოდ ზედაპირის გაპრიალების ტრადიცია, ჭურჭლის ფორმის ზოგიერთი ნიშანი, შემკობის ხასიათი, ძერწვის ტექნიკის საერთო მომენტები და სხვ. მაგრამ მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკა გაცილებით უფრო სრულყოფილია. იმავეთვე ყალიბდება მისთვის დამახასიათებელი ელემენტები, რომლებიც მას სხვადასხვა ვარიაციებში არსებობის მთელ მანძილზე გაპყვება<sup>112</sup>. იგი კარგად გამოხატავს იმდროინდელი მოსახლეობის გემოვნებასა და საერთოდ ესთეტიკური მოთხოვნილების დონეს. განვითარების გრძელ გზაზე მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკა მრავალგვარ გადახრებს განიცდის, მრავალფეროვანი ხდება, იგი ყველაზე უკეთ ავლენს ლოკალური ვარიანტების თავისებურებებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს კერამიკა თითქმის ყოველთვის ინარჩუნებს ზოგჯერ მეტად, ზოგჯერ კი უფრო ნაკლებად, მისთვის დამახასიათებელ საერთო ნიშნებს. მასში თითქმის ყოველთვის ხერხდება ზოლმე საერთოსაგან მომდინარე ელემენტების დაქერა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამ ძირითადისაგან გადახრა უკ-

<sup>111</sup> О. М. Джапаридзе, Культура раннеземледельческих племен на территории Грузии, стр. 6; ი. კ. ი. კ. ი. კ., დასახ. ნაშრომი, გვ. 90; С. А. Есаян, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

<sup>112</sup> С. А. Вурнеу, დასახ. ნაშრომი, გვ. 165.


ვე შორსაა წასული. მტკვარ-არაქსის კერამიკისათვის დამახასიათებელი ეს საერთო ძირითადი ნიშნები გასაოცარ სიმყარეს იჩენენ. განვითარების ადრეულ საფეხურზე მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკა მეტნაკლებად ერთგვაროვანი ხასიათისაა. აქ ჯერ კიდევ არ გვხვდება თიხის ჭურჭლის ის მრავალგვარობა, რომლითაც ხასიათდება ამ კულტურის განვითარებული საფეხური. საერთო ჩანს როგორც ჭურჭლის ფორმაში, ისე მისი შემკობის ზუსაითში.

მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული თიხის ნაწარმი ხელითაა ფენა-ფენა ნაქერში. მისი შიდა პირი, რომელიც უპირატესად ღია ფერისაა, მკვეთრად განსხვავდება გარესაგან; ზედაპირი გულმოდგინედია ნაპრიალები, უპირატესად მორუხო-მოყვისფეროდ და ზოგჯერ მუქ, მოშავოფერად. თვით ფორმა ჭურჭლისა მყარია. მისთვის დამახასიათებელია მხრიდან ყელზე მკვეთრი გადასვლა, ფართო ცილინდრული ყელი, ზოგჯერ მაღალი, ზოგჯერ კი უფრო დაბალი, ოდნავ პირგადაშლილი. თავისებური ფორმისაა ნახევარსფეროსებრი მოყვანილობის ყურები, რომლებიც უპირატესად ჭურჭლის მხართანაა მიძერწილი. ჭურჭლის ტანი გამოშერბილი, კვერცხისებრი მოყვანილობისაა და სხვ. ეს ძირითადი ნიშნები, რა თქმა უნდა, მეტნაკლები გადახრებით, თითქმის ყველა სახის ჭურჭლებზე შეიმჩნევა როგორც მოზრდილ, ისე უფრო მომცრო ჭურჭლებზე. თითქმის ყველა ეს ძირითადი ელემენტი შემდეგში საფუძვლად ედება მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებული სტადიის კერამიკას, რომელიც უკვე გამოირჩევა თიხის ჭურჭლის ფორმათა მრავალგვარობით, მაგრამ, რა გინდ შორს წასული არ უნდა იყოს დაცილების პროცესი, საერთოდან მომდინარე ესა თუ ის ნიშანი თითქმის ყოველთვის მაინც შესამჩნევია. უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდან გადახრა ამ კულტურის გავრცელების ყველა ოლქში თანაბარი სიძლიერისა არ იყო. ზოგან საერთო ნიშნები უფრო ღიბნანს ცოცხლობს და მყარად შემორჩა, ზოგან კი პირიქით, გადახვევის პროცესი უფრო ღრმა იყო. ეს ადრეული კერამიკა საერთოდ თავისი სისადავით გამოირჩევა, მაგრამ უკვე გვხვდება მისთვის დამახასიათებელი ორნამენტული სტილი.

ერთგვაროვანია აგრეთვე ადრეულ საფეხურზე ჭურჭლის შემკობის ხასიათიც. გვხვდება როგორც რელიეფური, ისე ნაკაწრი გრაფიკული ორნამენტი. შემკობის ეს ორივე წესი ჯერ კიდევ წინარე ხანის კერამიკისთვის იყო დამახასიათებელი: რელიეფური ზოლები, შვერილები, კოპები, ამოკაწრული ხაზები და სხვ. მაგრამ მტკვარ-არაქსის კულტურის დროს უკვე ყალიბდება თავისებური სტილი ორნამენტისა, რომელიც შემდეგში სხვადასხვა ვარიაციებში ამ კულტურის განვითარების მთელ მანძილზე გვხვდება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ორნამენტის ხასიათი ერთ-ერთი იმ ნიშანთაგანია, რომელიც ცხოვდნ თავისებურ სახეს აძლევს მას. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია რელიეფური ორნამენტი, განსაკუთრებით კი რელიეფური სპირალის მოტივი. მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული საფეხურისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელი ჩანს რელიეფური ორმაგი სპირალის ე. წ. „სათვალისებრი სპირალის“ მო-

ტივი. შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება რელიეფურად შესრულებული ცხოველის, უპირატესად ფრინველის გამოსახულება<sup>113</sup> (სურ. 37).

ორმაგი სპირალის მოტივი საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული მტკვარ-არაქსის კულტურაში და, როგორც ჩანს, დროის საკმაოდ დიდ მანძილზედაც: „სათვალისებრი სპირალი“ ძირითადად დამახასიათებელია ქვემო ქართლის ად-



სურ. 37. რელიეფური ორნამენტით შემკული თიხის ჭურჭელი.

რეული ძეგლებისათვის. სადღეისოდ ისე ჩანს, რომ რელიეფური ორმაგი სპირალის იდეა, ისევე როგორც ამ კულტურის სხვა ძირითადი ელემენტები, აქ ისახება. რელიეფური სპირალი დიდუბე-კიკეთის ჯგუფში რამდენადაც მოგვიანო ეტაპზე ჩნდება. შემდეგში სპირალური ორნამენტი, რომელიც ამ კულტურის ერთ-ერთი დამახასიათებელი მოტივი ხდება, სხვადასხვა ვარიაციებს განიცდის<sup>114</sup>.

რელიეფური სპირალი, როგორც ორნამენტული მოტივი, საკმაოდ ადრეა

<sup>113</sup> ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, გვ. 55.

<sup>114</sup> ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.



ცნობილი ბალკანეთში<sup>115</sup>. მაგრამ უფრო ფართოდ ვრცელდება ბალკანეთში და აგრეთვე დუნაისპირეთში სპირალის მოტივი მოხატულ კერამიკაზე<sup>116</sup>. პლასტიკური სახის სპირალურ ორნამენტს არსად ასეთი ფართო გავრცელება არ მიუღია, როგორც მტკვარ-არაქსის კულტურაში. ამ კულტურის აყვავების ხანაშიც სპირალს წაყვანი ადგილი უკავია და იგი გასაოცარ მრავალგვარობას იჩენს გეომეტრიულ მოტივთა შორის. ადრე სპირალი უფრო მაღალი რელიეფითაა გადმოცემული, შემდეგში კი უფრო დაბალ და სხვა გეომეტრიულ სახეებთან ერთად შერწყმული. ჩალარულ-ამობურცულ ორნამენტშიც, რომელიც მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებულ საფეხურზე ერთ-ერთი ძირითადი მოტივია, სპირალს წაყვანი ადგილი უკავია.

გარდა რელიეფური ორნამენტისა მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ კერამიკაზე გვხვდება აგრეთვე ამოკაწრული ხაზებით შესრულებული გეომეტრიული სახეები. შემკობის ეს წესი გავრცელებული იყო ქვემო ქართლის ადრეულ ძეგლებზე (კიკეთი, თამარისი, თეთრი წყარო). ჩანს იგი აგრეთვე შიდა ქართლში, ხიზანანთ გორის E ფენის კერამიკაზე. ეს ორნამენტი ფართოდ ვრცელდება მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებულ საფეხურზე. განსაკუთრებით დამახასიათებელია იგი შიდა ქართლისათვის<sup>117</sup>.

სამწუხაროდ ჭრჭერობით გარკვევით ვერაფერს ვიტყვით მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული საფეხურის დასახლების ხასიათის შესახებ იმის გამო, რომ ამ დროის დასახლარი წესიერად შესწავლილი არ არის. ჩვენ უკეთ ვიცნობთ როგორც მისი უწინარესი ხანის სოფელს, ასევე მის მომდევნო მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებული საფეხურის სამოსახლოს ტიპს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ხანის სოფელი წინარე დროის დასახლების ხასიათისაგან ჯერ კიდევ მაინცაღამაინც დიდად განსხვავებული არ იყო<sup>118</sup>. სამოსახლოსათვის უპირატესად ისეთი ადგილები იყო შერჩეული, რომლებიც მიწათმოქმედების განვითარებისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. მტკვარ-არაქსის კულტურის ეს ადრეული დასახლებები ძირითადად ზომიერი კლიმატის ზოლებში გვხვდება. სოფელი არცთუ ისე დიდი ზომის უნდა ყოფილიყო და შენობის ძირითადი ტიპი ისევე მრგვალი ჩანს. ამ მხრივ საინტერესოა დაკვირვება ხიზანანთ გორაზე, სადაც ძირა E ფენაში წრიული ნაგებობები იყო გამოვლენილი. შემდეგში აქ საცხოვრებლის ტიპი იცვლება<sup>119</sup>. როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ საფეხურზე ორივე ტიპის შენობა გვხვდება—მომრგვალო და სწორკუთხა გეგმის.

<sup>115</sup> A. Wace and M. Thompson, Prehistoric Thessaly, Cambridge, 1912, გვ. 28, სურ. 8.

<sup>116</sup> Г. Чайлд, У истоков европейской цивилизации. Москва, 1952, стр. 160, 136.

<sup>117</sup> ი. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

<sup>118</sup> Л. И. Глонтн, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

<sup>119</sup> ი. კ ი კ ე ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

ეთერიწყაროს ნამოსახლარზე შენობის ორივე ტიპია გამოვლენილი. სოფლის გეგმას და საერთოდ დასახლების ტიპს წინარე ხანასთან შედარებით მინცადა-მინც დიდი გარდატეხა არ უნდა განეცადა. მეურნეობის ხასიათსა და საერთოდ ცხოვრების პირობებში, მტკვარ-არაქსის კულტურის დასაწყის ხანაში, საგრძნობი ცვლილებები არ შეინიშნება. მაგრამ მერე და მერე, ეკონომიური და საერთოდ სოციალური ხასიათის ძვრები გარკვეულ გარდატეხას იწვევს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს პროცესი აქ საკმაოდ ხანგრძლივი იყო. ცნობილია, რომ მიწათმოქმედ საზოგადოებაში, მისი უფრო კონსერვატიული ბუნების გამო, ცვლილებებს უფრო დიდი დრო მიაქვს. მაგრამ მომხდარი ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. IV ათასწლეულის ბოლო მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი საზოგადოების ამგვარი გარდატეხის ხანაა.

მესაქონლეობის დაწინაურება, საწარმოო საშუალებათა განვითარება, სპილენძის მეტალურგიის აღმავლობა, ტომთა შორის ურთიერთობის გაზრდა და საერთოდ ცვლილებები სოციალურ ორგანიზაციაში, საზოგადოების არსებულ მდგომარეობას ველარ ეგუებოდა. ამას თან მოჰყვა აგრეთვე მოსახლეობის რიცხვის მკვეთრი მზომატება. სულ უფრო და უფრო იზრდება ახალ-ახალი მიწების ათვისების მოთხოვნილება და ამიერიდან მტკვარ-არაქსის კულტურა ამიერკავკასიაში ფართო ტერიტორიაზე ვრცელდება. ამ კულტურის მატარებელი ტომები თანდათანობით ითვისებენ ყველა ზოლს—როგორც ბარს, ისე მთისწინა და მთის ზონებს. შემდეგში ეს კულტურა ამიერკავკასიის ფარგლებს იქითაც საკმაოდ შორს ვრცელდება. იშლება ერთიანი ხასიათი ამ კულტურისა, ირღვევა მისი „ენეოლითური ბუნება“ და იწყება განვითარების ახალი ეტაპი — ადრებრინჯაოს ხანა. ეს ხანა თითქმის მთელ III ათასწლეულს მოიცავს. იგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია კავკასიაში მოსახლე ტომების ისტორიაში. ეს ის ხანაა, როდესაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა კავკასიის მოსახლეობის ძირითადი ეთნიკური ჯგუფება და აქა მათი უძველესი ისტორიის საწყისები. ამ დროიდანაა საძებარი ამ ცალკეული ეთნიკური ჯგუფისათვის დამახასიათებელ თავისებურებათა ფესვები.

III ათასწლეულში სამხრეთ კავკასიის ტერიტორია ინტენსიურადაა ათვისებული მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების მიერ. მკიდროდაა დასახლებული ბარისა და მთისწინა ზოლი, განსაკუთრებით შიდა ქართლის ვაკე, არარატის ნაყოფიერი ველი, მილისა და ყარაბახის მხარე და მიწათმოქმედებისათვის ვარგისი ზოგი სხვა ოლქი. საკმაოდ ძლიერადაა ათვისებული აგრეთვე მთის ზოლიც. განსახლების ეს პროცესი თანდათანობით მიმდინარეობდა მთელი III ათასწლეულის მანძილზე. მტკვარ-არაქსის კულტურა ჯერ კიდევ იმგვარად შესწავლილი არ არის, რომ შეიძლებოდეს გარკვევით თქმა, თუ ამ კულტურის რა ეტაპზე მოხდა ამა თუ იმ ზოლის ათვისება. შიდა ქართლის და არარატის ველების მაგალითზე კარგად ჩანს, თუ როგორ ინტენსიურადაა დასახლებული ამ დროს ბარი. შიდა ქართლის ვაკეზე 16-ზე მეტი ამ პერიოდის პუნქ-

ტია გამოვლენილი<sup>120</sup>. ზოგჯერ სოფლები საკმაოდ ახლოა—3—4 კმ-თაა ურთიერ-  
თისაგან დაცილებული. ყველა სოფელი, რა თქმა უნდა, ერთი სიძლიერისა  
არ იყო, ისინი ზოგჯერ საკმაოდ ახლოს იყვნენ განლაგებულნი. იგივე შეიძლება  
ითქვას არარატის ველის შესახებ, სადაც ოცდახუთზე მეტი მტკვარ-არაქისა  
კულტურის ძეგლია გამოვლენილი<sup>121</sup>. უნდა ვიფიქროთ, რომ დასახლებათა  
რიცხვი, ალბათ, გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო. ასევე მკვიდროდ სახლობს  
აგრეთვე სხვა ოლქებიც, მაგალითად, ყვირილის აუზის ზემო წელი, რომელიც  
ამ კულტურის გავრცელების რამდენადმე პერიფერიული მხარე იყო, საკმაოდ  
კარგადაა ათვისებული. ამ დროის ძეგლები აღმოჩნდა შიგ საჩხერეში, არგვეთ-  
ში, ქორეთში, ჭიათურის მიდამოებში და სხვ.

ადრე ჩანს ათვისებული აგრეთვე მთის ზოლიც, ეს განსაკუთრებით კარგად  
ჩანს თრიალეთის მაღალმთიანი ზონის მაგალითზე. საფიქრებელია, რომ ადრე-  
ბრინჯაოს ხანის დასაწყისიდან გარკვეული ცვლილებები შეინიშნება მეურ-  
ნეობის ხასიათში, განსაკუთრებით მესაქონლეობაში<sup>122</sup>. თუ მტკვარ-არაქის  
კულტურის ადრეულ საფეხურზე წამყვანი ადგილი მსხვილფეხა საქონელს  
უკავია, ადრეობრინჯაოს ხანის საფეხურზე წვრილფეხა საქონლის ხვედრითი  
წონა თანდათანობით მატულობს და გარკვეულ დროს ძნელი ჰდება რომელიმე  
მათვანისათვის უპირატესი როლის მინიჭება<sup>123</sup>. რა თქმა უნდა, ამგვარ ცვლი-  
ლებებს საქონლის შედგენილობაში არ შეიძლება გარკვეული გავლენა არ მო-  
ეხდინა მესაქონლეობის ხასიათზე. წვრილფეხა საქონლის სულადობის გაზრდა,  
რაც კარგად შეინიშნება ამ დროის ნამოსახლარების მასალებში<sup>124</sup>, მაღალმთი-  
ანი საძოვრების ათვისების საჭიროებას იწვევდა. მთის შედარებით ინტენსიური  
დასახლება და აქ მეტნაკლებად მყარი სამოსახლოების წარმოქმნა ადრეობრინჯა-  
ოს ხანის რამდენადმე მოგვიანო საფეხურზე ჰდება. თრიალეთში, წალკის პლა-  
ტოზე, ბეშთაშენში, სადაც შედარებით ადრეული მასალა აღმოჩნდა, ხანგრძლი-  
ვი დასახლების კვალი არ ჩანდა. სულ სხვა სურათია ოზნის ნასოფლარზე, რო-  
მელსაც ჭერ კიდევ ბ. კუფტინი ამ კულტურის გვიანდელ საფეხურს მიაკუთუ-  
ნებდა<sup>125</sup>. აქ უკვე საკმაოდ მყარი დასახლების კვალი დადგინდა<sup>126</sup>. შესაძლოა  
ამ ბერიოლიდან თანდათანობით მესაქონლეობის მომთაბარული ხასიათი იცე-  
ლებდა.

საკმაოდ ინტენსიურად ჩანს დასახლებული ძვ. წ. III ათასწლეულში ჭავა-

<sup>120</sup> Л. И. Г л о н т и, დასახ. ნაშრომი, გვ. 3.

<sup>121</sup> Э. В. Х а н з а д я н, დასახ. ნაშრომი, გვ. 102.

<sup>122</sup> თ. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

<sup>123</sup> Б. Б. П и о т р о в с к и й, Развитие скотоводства в древнейшем Закавказье, СС. XXIII, Москва, 1955, стр. 6.

<sup>124</sup> აღ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ლ. დ ლ ო ნ ტ ი, ურბნისი, I, თბილისი, 1962, გვ. 46.

<sup>125</sup> Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки 1947 г. в Цалкинском районе. Тб-  
ლისი, 1948, стр. 40.

<sup>126</sup> თ. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

ხეთის პლატო. სოფ. ყაურმასა და ჭიგარაშენში აღმოჩნდა ამ კულტურის ნაკვალევი. ამ დროის ნამოსახლარები აღმოჩნდა ახალქალაქთან, ჭოფ. ჩუჩხასთან. კარგადაა ათვისებული აგრეთვე მესხეთის მაღალმთიანი ზოლიც. არტანის მტკვარის მარცხენა ნაპირას, ახიის მინდვრებზე, ნიალის ველზე, ვარძიის თავზე და სხვ. ნაპოვნი იყო მტკვარ-არაქსის კულტურის დამახასიათებელი კერამიკა. ამ დროის საინტერესო მასალა აღმოჩნდა აგრეთვე სოფ. ძველთან. ახლა ძნელია ჭერ კიდევ გარკვევით თქმა, თუ მტკვარ-არაქსის კულტურის რა ეტაპზე ხდება მესხეთ-ჯავახეთის მაღალმთიანი ზოლის ათვისება. მაგრამ არსებული მასალით თითქოს ისე ჩანს, რომ ამ რაიონის დასახლება ამ კულტურის რამდენადმე მოგვიანო სტადიაზე იწყება. ძნელია გავიზიაროთ ამ ბოლო დროს ზოგიერთი მეცნიერის მიერ გამოთქმული მოსაზრება, თითქოს მესხეთისა და ჯავახეთის მაღალმთიანი პლატოების ათვისება მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბებამდე უნდა მომხდარიყო<sup>127</sup>. სადღეისოდ, ჩვენს ხელთყოფი მასალის მიხედვით ამგვარი დასკვნების გამოტანა, ფიქრობთ, ძალიან გართულდება. პირიქით, თითქოს ისე ჩანს, რომ ამ მხარის ათვისება ამ კულტურის საკმაოდ განვითარებულ საფეხურზე ხდება. მტკვარ-არაქსის კულტურის წინაზე ხანაში და მის ადრეულ ეტაპზე დასახლებული არ ჩანს არა თუ მესხეთ-ჯავახეთის მაღალმთიანი ზოლი, არამედ მისი უფრო ზომიერი სარტყელი — ახალციხის ქვაბული. იმის ცდა, თითქოს ახალციხის ამირანის გორაზე მტკვარ-არაქსის კულტურის უწინარესი ხანის მასალა აღმოჩნდა, მანკადამინც დამაჯერებლად არ გამოიყურება. უფრო ისე ჩანს, რომ ამ მხარის დასახლებაც ამ კულტურის განვითარებულ სტადიაზე ხდება.

ამრიგად, III ათასწლეულის დასაწყისიდან მოკიდებული თითქმის მთელი ამიერკავკასია, გარდა მისი დასავლეთ ნაწილისა, ათვისებულია მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების მიერ. ეს ტომები ინტენსიურად იყენებენ მის ყველა ზოლს — როგორც ბარს, ისე მის მთას. მაგრამ მიუხედავად ამ ტერიტორიის ამგვარი ინტენსიური ათვისებისა, ამ კულტურის განვითარების გარკვეულ ხანაში, იგი, ჩანს, უკვე არასაკმარისი ხდება. ამიტომაც ამ კულტურის მატარებელი ტომები იწყებენ ამიერკავკასიის ფარგლებს იქით მდებარე მიწების დაკავებას რამდენიმე მიმართულებით: სამხრეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთით და დასავლეთით. მათი მოძრაობა დასავლეთით შედარებით სუსტი იყო. მისი გავრცელების უკიდურესი პუნქტი აქ დღეს თითქოს სამტრედიის რაიონი ჩანს. ამის მიზეზი შეიძლება ისიც იყო, რომ დასავლეთ საქართველოს მხარე თავისი ძლიერი ტყიანი ლანდშაფტით, სუბტროპიკული კლიმატით მეურნეობის იმ ხასიათისათვის, რომელიც ამ კულტურის ტომებში იყო გავრცელებული, ნაკლებ გამოსადეგი იქნებოდა. მტკვარ-არაქსის კულტურა უფრო კონტინენტალური კლიმატის ზონაში გვხვდება, უფრო ინტენსიურად ამ კულ-

127 Т. Н. Чубинишвили, К древнейшей истории Южного Кавказа, стр. 76, 82.

ტურის განფენა სამხრეთის მიმართულებით ხდება. ბუნებრივი პირობების მხრივ აქ სამხრეთ კავკასიისაგან, რომელიც მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების ძირითადი ტერიტორია იყო, მაინცაღამაინც დიდი მხევაობა არ იყო. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნავდით, სამხრეთით ეს ტომები საკმაოდ დიდ ფართობს იკავებენ, თითქმის მთელ აღმოსავლეთ ანატოლიას და ურმიის ტბის მხარეს. საკმაოდ ძლიერი იყო აგრეთვე ამ კულტურის მატარებელი ტომების მოძრაობა ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. აქ ისინი იკავებენ თანამედროვე დაღესტნის თითქმის მთელ ტერიტორიას, ჩეჩენ-ინგუშეთის გარკვეულ ოლქებს და მათი გავრცელების უკიდურესი პუნქტი სადღეისოდ გროზნოს მხარე ხანს.

რა თქმა უნდა, ტომების ამ მოძრაობას თავისი გამოწვევი მიზეზები უნდა ჰქონოდა, თანაც მათი გავრცელება ერთბაშად არ მომხდარა. ეს, ალბათ, თანდათანობითი პროცესი იყო განვითარების გარკვეულ საფეხურზე. მაგრამ, ვიდრე ამ უთუოდ მეტად მნიშვნელოვან საკითხებზე მეცნიერულად დამაკმაყოფილებელ პასუხის გაცემას შევძლებდეთ, უნდა გავეცნოთ, ზოგადად მაინც, იმ ვითარებას, რომელიც შეიქმნა ადრებრინჯაოს ხანაში ამიერკავკასიაში.


როგორც აღვნიშნავდით, III ათასწლეულის დასაწყისი ხანებიდან მტკვარ-არაქსის კულტურაში მნიშვნელოვანი გარდატეხა ხდება, საზოგადოება უფრო მაღალ, ადრებრინჯაოს პერიოდის საფეხურზე აღის. იგი უკვე ვრცელ ტერიტორიაზე განფენილი და თანდათანობით იშლება მისი ერთიანი ბუნება. გარკვეულ ოლქებში თანდათანობით ამ კულტურის ლოკალური ვარიანტები ისახება და ზოგან ეს პროცესი ისე ღრმად წავიდა, რომ ზოგიერთი მკვლევარი მტკვარ-არაქსის კულტურის რამდენიმე დამოუკიდებელ კულტურად გადაქცევის შესაძლებლობასაც კი უშვებს<sup>128</sup>.

მტკვარ-არაქსის კულტურის ადრებრინჯაოს პერიოდი დღეს საკმაოდ კარგადაა შესწავლილი. გათხრილია რამდენიმე ნასოფლარი, სადაც ამ დროის განვითარების საფეხურები დგინდება მეტნაკლებად. ამ მხრივ განსაკუთრებით ინტერესს იწვევს შიდა ქართლში გათხრილი ძველი ნასოფლარები—ქვაცხელები და ხიზანანთ გორა ურბნისთან, აგრეთვე გუდაბერტყას ნასოფლარი გორთან<sup>129</sup>. ამ ძეგლების შესწავლის შედეგად ირკვევა, თუ როგორ ისახებოდა მტკვარ-არაქსის კულტურის შიდაქართლური ვარიანტი. შიდა ქართლში ეს კულტურა გამოჩენას იწყებს ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ საფეხურზე და ხიზანანთ გორის ძირა E ფენა, როგორც ითქვა, სწორედ ამ ხანისაა. მაგრამ მის ზემოთ მდებარე ფენები უკვე ამ კულტურის განვითარებულ საფეხურს მიეკუთვნება და ძირასთან შედარებით ერთგვარად უკვე განსხვავებულ სურათს იძლევა. შიდა ქართლის ინტენსიური ათვისება სწორედ ამ საფეხურზე

<sup>128</sup> ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 92.

<sup>129</sup> ს. ნაღიმაშვილი, გუდაბერტყა-ციხიაგორა, ლიახვი, გორი, 1963, გვ. 148.

იწყება და აქ გამოვლენილი ნასახლარები — ქვაცხელები, გუდაბერტყა და სხვ. ამ პერიოდს ასახევენ. ამ დროს სოფელი საგრძნობლად განსხვავდება წინარე საფეხურისაგან. ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა ხიზანანთ გორის მაგალითზე. აქ ძირა E ფენაში გამოვლენილი ნაგებობის ტიპი სრულიად განსხვავდება ზედა ფენების შენობებისაგან. ეს ნაგებობები მცირე წრიული ფორმისაა, მოწნული ფაცხისმაგვარი, გუმბათური ან ორფერდა გადახურვით. მომდევნო D ფენისათვის უკვე სხვაგვარი შენობაა დამახასიათებელი. ისიც მრგვალი ფორმისაა, წნული, თიხით შელესილი კედლებით, ბრტყელი, ბანური გადახურვით (სურ. 38). ზედა ფენებისათვის დამახასიათებელი შენობა განსხვა-



სურ. 38. შენობები ხიზანანთ გორის D ფენიდან.

ვებული ტიპისაა; იგი მოგრძოა, კუთხეებმომრგვალებული, ორმხრივ შელესილი მოწნული კედლებით, ბრტყელი ბანური გადახურვით: ამ სახის შენობა, როგორც ჩანს, შიდა ქართლში მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებული საფეხურის გარკვეულ სტადიაზე ჩნდება და ამიერიდან აქ იგი ნაგებობის წამყვანი ტიპი ხდება. ხიზანანთ გორაზე თითქოს შეინიშნება კიდევ ამ შენობის თანდათანობით ჩამოყალიბების პროცესი<sup>130</sup>. ამგვარი შენობებისაგან შედგება ქვაცხელებისა და გუდაბერტყას ნასოფლარები. შენობის ეს ტიპი შიდა ქართლის

<sup>130</sup> ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

გარეთ სხვაგან ჯერჯერობით ცნობილი არ არის და სწორია, როდესაც მკვ  
მტკვარ-არაქსის კულტურის ნაგებობათა შიდაქართლურ ტიპად გამოყოფენ<sup>131</sup>.  
როგორც ჩანს, შემდეგში აქ მტკვარ-არაქსის კულტურის ბოლომდე შენობის  
ტიპი ცვლილებას აღარ განიცდის და არც თვით სოფელი იცვლის მაინცადამინც  
სახეს.

ამ პერიოდის ნასოფლართაგან ყველაზე უკეთ შესწავლილია ურბნისის მახ-  
ლობლად მდებარე ქვაცხელები. იგი მტკვრის მარცხენა ტერასაზე მდებარეობდა  
და წარმოდგენდა დაბალ ბორცვს, რომელსაც დაახლოებით 4000 კმ ეკავა.  
ეს ბორცვი თითქმის მთლიანად გაითხარა და ამიტომაც იგი მეტნაკლებად იმ-  
დროინდელი სოფლის სრულ სურათს გვაძლევს<sup>132</sup>. კულტურული ფენის სიძლი-  
ერე 2,0 მ აღწევდა და მასში ორ დონეს გამოყოფენ B და C სხვადასხვა სამ-  
შენებლო ჰორიზონტებით. სოფელი აქ, როგორც ჩანს, ჩაისახა მტკვარ-არაქ-  
სის კულტურის საკმაოდ განვითარებულ საფეხურზე და თითქმის მის ჩაქრო-  
ბამდე იარსება. ამ ხნის მანძილზე სოფლის გეგმარებაში რაიმე მნიშვნელოვანი  
ცვლილება არ შეინიშნება<sup>133</sup>. შენობები მიჯრითაა ნაგები, ურთიერთისაგან ვიწ-  
რო გასასვლელებით გამოყოფილი (სურ. 39). არც შენობის ტიპშია რაიმე ცვლი-  
ლება. ისინი უპირატესად სწორკუთხა ფორმისაა, კუთხეებში მომრგვალებული,  
მეტნაკლებად თანაბარი სიდიდისა, იგი ნაგებია ხის კარკასზე, რომლის შიდა და  
გარეთა პირი თიხითაა გალესილი (სურ. 40). გადახურვა ბანურია, თიხატყეპნი-  
ლი, დედაბოძზე დაყრდნობილი. თითქმის ყველა შენობის ცენტრში მოთავსე-  
ბული იყო სტაციონარული მრგვალი კერა. შენობას, ჩვეულებრივ, წინა მხრი-  
დან დერეფანი აქვს მიდგმული.

ქვაცხელას მაგალითზე შეიძლება აღდგენილ იქნეს შიდა ქართლის ამ  
დროის სხვა ნასოფლარებიც. როგორც ჩანს, ზიზანაანთ გორაზე სოფლის გეგმა-  
რების პრინციპი იგივე იყო იმ პერიოდში<sup>134</sup>, როდესაც ეს ორი დასახლება თა-  
ნაარსებობდა. როგორც აღვნიშნავდით, სოფელი ზიზანაანთ გორაზე გაცილებით  
ადრე წარმოიქმნა და მისი ორი ქვედა ფენა E და D ქვაცხელაზე წარმოდგენილი  
არ არის. შემდეგში ეს ორი სამოსახლო, რომლებიც 2, 5 კმ-თაა ერთიმეორი-  
საგან დაცილებული, ერთდროულად განაგრძობს არსებობას. შეიძლება ვიფიქ-  
როთ, რომ განვითარების გარკვეულ საფეხურზე, როდესაც უკვე მტკვარ-არაქ-  
სის კულტურის შიდაქართლური ვარიანტი ჩამოყალიბდა თანდათანობით მისი  
ფართო გავრცელება ხდება. ამ დროიდან ისახება ახალი სოფლები, რომლებიც  
ძირითადად ადრე არსებულ დასახლებათა სეგმენტაციის შედეგად იქმნებიან.  
ზიზანაანთ გორა და ქვაცხელები შეიძლება ამის ანარეკლი ყოფილიყო. არ


131 ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

132 აღ. ქავახიშვილი, ლ. ლონტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 4.

133 Л. И. Глонтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

134 ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

არის გამორიცხული, რომ ქვაცხელაზე სოფელი ზიზანაანთ გორის სამოსახლო-ზე შექმნილი ნამატის შედეგად წარმოიქმნა. როგორც ჩანს, ამ ხანაში შიდა




სურ. 39. ქვაცხელები. ნასოფლარის რეკონსტრუქცია.

ქართლში მოსახლეობის განფენისა და სეგმენტაციის საკმაოდ ინტენსიური პროცესი მიმდინარეობდა. შიდა ქართლის გარკვეულ ზაონში ჩატარებულმა



დაზვერვებმა თხუთმეტი ნამოსახლარი გამოავლინა, სადაც მტკვარ-არაქსის კულტურის ნაკვალევი შეინიშნებოდა<sup>135</sup>.

გარდა შედარებით წვრილი სოფლებისა, შიდა ქართლის ვაკეზე ამ დროს არსებობს, აგრეთვე, უფრო მსხვილი დასახლებებიც. ერთ-ერთი ამგვარი მოზრ-



ქვემოთ  
კვანთის რაიონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე


სურ. 40. შენობები ქვაცხელადან.

დილი ნასოფლარი აღმოჩნდა გორის მახლობლად — გუდაბერტყაზე. გუდაბერტყა-ციხიაგორა საკმაოდ შემალღებულ ბორცვზეა განლაგებული, შედარებით დიდი ფართობი უკავია და მეტად ხელსაყრელი მდებარეობა აქვს, თითქოს ბატონობს ამ მხარეზე. მართალია, სადღეისოდ ჭერ მცირე ფართობია გათხრილი, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ აქ გამოვლენილი შენობის ტიპი სავსებით ისეთივეა, როგორც ქვაცხელასა და ხიზანანთ გორას სოფლებისთვისაა დამახასიათებელი, მოგრძო, სწორკუთხა, კუთხეებმომრგვალებული. აღსანიშნავია აქ აღმოჩენილი ერთი ამგვარი ნაგებობა, რომლის კედლებზედაც თითქოს მოხატვის კვალი იყო შერჩენილი<sup>136</sup>. სოფლის გეგმარების შესახებ გარკვევით არაფერი ითქმის, მაგრამ, როგორც ჩანს, აქაც ძირითადად იგივე ხასიათისა იყო, ერთმანეთის მიჯ-

<sup>135</sup> დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი, შიდა ქართლის 1955 წ. დაზვერვითი ექსპედიციის შედეგები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, თბილისი, 1960, გვ. 74.

<sup>136</sup> ს. ნადიმაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 148.

რით მდებარე სახლები, იგივე ორიენტაციით და სხვ. მაგრამ თვით სოფელი გაცილებით უფრო მოზრდილი იყო და, როგორც ფიქრობენ, იგი ხელოვნურად უნდა ყოფილიყო გამაგრებული. ამის მანიშნებელი უნდა იყოს თითქოს აქ აღმოჩენილი ზღუდის ნაშთები. ჭერჭერობით გარკვევით ძნელია თქმა, თუ განვითარებულ მტკვარ-არაქსის კულტურის რა საფეხურზეა აქ სოფელი წარმოქმნილი. შენობის ტიპი და თვით სოფელიც შიდა ქართლში ამ კულტურის არსებობის მანიშნებელი მანიშნებელია. მაგრამ გუდაბერტყაზე მოპოვებული მასალის საფუძველზე თითქოს შეიძლება ითქვას, რომ ქვაცხელასთან შედარებით ცხოვრება აქ რამდენადმე უფრო გვიან ისახება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მსხვილი დასახლებები აქ რამდენადმე უფრო მოგვიანებით ყალიბდებიან.



სურ. 41. შენობა ქვაცხელადან (რეკონსტრუქცია).

როგორც ჩანს, იგივე ტიპის შენობების ნაშთები უნდა იყოს შიდა ქართლის ჩრდილო ზოლში, ცხინვალის მიდამოებში ქულბაქებსა და კულო ზომზე გამოვლენილი თიხატყეპნილი მოედნები, მრგვალი კერებით<sup>137</sup>. ასეთივე ხასიათისაა აგრეთვე მეტეხის ნამოსახლარის შენობები<sup>138</sup>. სხვა ტიპის შენობა მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებულ საფეხურზე შიდა ქართლში თითქოს არ ჩანს. მაგრამ არც ამგვარი შენობა ჩანს ამ კულტურის გავრცელების სხვა ოლქებში. ამიტომ მართებული უნდა იყოს ის მოსაზრება, რომ III ათასწლეულში, შიდა

<sup>137</sup> Л. И. Г л о т т и, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.


<sup>138</sup> გ. ფ ხ ა კ ა ძ ე, ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი მეტეხთან, მაცნე, 6, თბილისი, 1967, გვ. 325.

ქართლის ინტენსიურად ათვისების ხანაში, აქ თავისებური სამშენებლო ტრადიცია ჩამოყალიბდა, რომელიც მტკვარ-არაქსის კულტურას არსებობის მთელ მანძილზე გასდევს. შენობის ამ ტიპის ფარკვეულ რაიონში ამგვარი დამკვიდრება და მისი დროის დიდ მანძილზე თითქმის უცვლელი სახით არსებობა იმით იყო განპირობებული, რომ იგი ამ მხარის კლიმატური პირობების შესაბამისი იყო და სათანადოდ პასუხობდა იმდროინდელი საზოგადოების მოთხოვნილებებს.

მაგრამ თავისებური ხასიათი შიდა ქართლში არა მარტო მშენებლობის ტრადიციაში ჩანს, არამედ საერთოდ კულტურის ხასიათში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია თიხის ჭურჭელი. შიდა ქართლის ადრებრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელია თავისებური კერამიკული კომპლექსი. განვითარებულ მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში აქ განსხვავებული ხასიათის კერამიკული ფორმები ყალიბდება. მართალია, ძველიდან წამოსული ნიშნები ნელ-ნელა სულ უფრო და უფრო იშლება, მაგრამ საერთოდან მომდინარე ტრადიციები ამ კერამიკას ბოლომდე შემორჩა. ისეთი ძველი როგორცაა ხიზანაანთ გორა, ქვაყხელები და სხვ. საშუალებას გვაძლევენ თვალი გვადევნოთ შიდა ქართლის კერამიკული კომპლექსის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. აქ, როგორც ადვანიშნავდით, ადრე იწყებს გავრცელებას დიდუბე-კიკეთის ჯგუფის კერამიკა და ძირითადად იგი ედება საფუძვლად შემდეგში აქაურ ჭურჭელს. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ცხინვალის მახლობლად ქულბაქების ბორცვზე მოპოვებული თიხის ჭურჭელი, სადაც თითქოს ყველაზე უკეთ შეინიშნება ერთგვარად გარდამავლური ბუნება<sup>139</sup> (სურ. 42). აქ აღმოჩენილი თითქმის ყველა ჭურჭლის ფორმა შემდეგში შიდა ქართლის კერამიკული კომპლექსისათვისაა დამახასიათებელი. ზოგიერთი ჭურჭელი ჯერ კიდევ მსგავსებას ამჟღავნებს დიდუბე-კიკეთის ჯგუფის კერამიკასთან, ოღონდ მასში უკვე შეინიშნება ის ნიშნები, რომლებიც შემდეგში ამავე ტიპის შიდაქართლური ჭურჭლისთვის ხდება დამახასიათებელი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ქულბაქების სამყურა ჭურჭლები. ისინი, მართალია, უკვე საგრძნობლად განსხვავდებიან დიდუბის სამყურა ჭურჭლისაგან, მაგრამ მათზე ჯერ კიდევ შემორჩენილია საერთო ნიშნები. ამავე დროს ამ ჭურჭლებზე ადვილად შესამჩნევია ის ელემენტები, რითაც ისინი შიდაქართლისათვის დამახასიათებელ სამყურა ჭურჭლებს უახლოვდებიან. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას აგრეთვე ქულბაქებზე აღმოჩენილ ქილისა თუ ქოთნისმაგვარ ჭურჭლებზედაც. მაგრამ აქ ნაპოვნი იყო აგრეთვე იმ რიგის კერამიკა, რომელიც დიდუბე-კიკეთის ჯგუფთან მაინცაღამაინც ვერ ბოულობს საერთოს. ქულბაქების ტოლჩები საგრძნობლად განსხვავდებიან დიდუბის, კიკეთის და სხვ. მასალებში ცნობილ ამგვარსავე ჭურჭლისაგან და პირიქით, უფრო ახლოს დგანან ხიზანაანთ გორის და ქვაყხელების

<sup>139</sup> ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, გვ. 67.

ტოლჩებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქულბაქებზე აღმოჩენილი ბადიის ტიპის ჭურჭელი, რომელიც საგრძნობლად განსხვავდება დიდუბე-კიკეთის ჭგუფისთვის დამახასიათებელ ამ რიგის ჭურჭლებისაგან. ბადიის ეს ფორმა დამახასიათებელია შიდა ქართლის კერამიკული კომპლექსისათვის<sup>140</sup>. ამრიგად,



სურ. 42. თიხის ჭურჭელი ქულბაქებიდან.


ქულბაქების ჭურჭელზე კარგად ჩანს ჯერ კიდევ ძველიდან მომდინარე ტრადიციები, ერთი მხრით, და მეორე მხრით კი, უკვე შესამჩნევია ის ნიშნები, რომლებიც შიდა ქართლის განვითარებული მტკვარ-არაქსის კულტურისათვისაა დამახასიათებელი. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ შიდა ქართლის კერამიკა თავისებური ხასიათისაა, მასში მაინც მისი განვითარების მთელ მანძილზე ცოცხლობს საერთოდან მომდინარე გარკვეული ნიშნები. ამ კერამიკული კომპლექსის ჩამოყალიბების შემდეგ მის განვითარებაში თვალსაჩინო ცვლილებები აღარ შეიმჩნევა.

ხიზანანთ გორაზე მკვეთრი სხვაობა კერამიკაში D დონეზე ჩანს, აქ უკვე ჩამოყალიბებულია ყველა ძირითადი დამახასიათებელი ელემენტი. ჭურჭლის ყელი კარგავს თავის დამახასიათებელ ცილინდრულ მოყვანილობას და უფრო გამოყვანილ ფორმას იღებს, ფართო გადაშლილი პირით, ქრება მკვეთრი გარდატეხის ხაზი მხართან, მუცელზე ჩნდება მკვეთრი წიბო და სხვ.<sup>141</sup>. შემდეგში ეს ახლად შექმნილი ელემენტები კიდევ უფრო იხვეწება და ხიზანანთ გორის და

<sup>140</sup> ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

<sup>141</sup> ალ. ჯავახიშვილი, ლ. დლოტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

ქვაცხელების C დონიდან მოკიდებული სავსებით ჩამოყალიბებული კერამიკული კომპლექსი გვხვდება, დამახასიათებელი შიდა ქართლის მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებული საფეხურისათვის (სურ. 43).




სურ. 43. თიხის ჭურჭელი ქვაცხელადან.

თავისებურ ხასიათს იღებს აგრეთვე ჭურჭლის შემკობის წესიც. რელიეფური ორნამენტი მისთვის ნაკლებადაა დამახასიათებელი. ვერც სპირალურმა

მოტივმა მოიკიდა აქ ფეხი<sup>142</sup>. სამაგიეროდ ფართოდ ვრცელდება ჭურჭლის გრაფიკული ორნამენტი. ამ წესით შემკული ჭურჭელი უპირატესად უფრო გვიანდელ საფეხურზე ჩანს. აქ გამოირჩევა მარტივი ორნამენტი: ტეხილი ხაზები, რომლებიც და სხვ.<sup>143</sup>

შიდა ქართლში ჩამოყალიბებული მტკვარ-არაქსის განვითარებული საფეხურის კულტურა საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული. იგი ბევრ საერთო პოულობს თრიალეთის ამავდროულ ძეგლებთან, განსაკუთრებით აახლოებთ მათ კერამიკა<sup>144</sup>. ბეშთაშენში მოპოვებული ჭურჭელი ძალიან ახლოს დგას შიდა ქართლის ნამოსახლარების — ხიზანანთ

გორის და ქვაცხელების C დონეზე აღმოჩენილ თიხის ჭურჭელთან (სურ. 44). ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ თრიალეთის მდალმთიანი ზოლის ათვისებას მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში შიდა ქართლში მსხდომი ტომები იწყებენ. საერთო ჩანს აგრეთვე ოზნის ნამოსახლარზე მოპოვებულ მასალასთან. აქაც გვხვდება ისეთი ჭურჭელი, რომელიც ახლოს დგას შიდაქართლურ კერამიკასთან. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ოზნის ნამოსახლარზე მართლაც არსებულიყო შენობის ისეთი ტიპი, როგორც შიდა ქართლის ამ პერიოდის სოფლისათვის იყო დამახასიათებელი<sup>145</sup>.



სურ. 44. თიხის ჭურჭელი ბეშთაშენიდან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მდ. ყვირილის ზემო წელზე, საჩხერის რაიონში გამოვლენილი ამ დროის ძეგლები. აქ მოპოვებული მასალები ბევრ საერთო პოულობენ შიდა ქართლთან. მსგავსება ჩანს არა მარტო კერამიკაში, არამედ აგრეთვე ლითონის ნაწარმშიც (სურ. 45). როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ეს რაიონი ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურის წინარე ხანაში უკავშირდება აღმოსავლეთ საქართველოს. მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბების შემდეგ ახლო კავშირი ჩანს შიდა ქართლთან. ეს განსაკუთრებით კარგად შეიმჩნევა ხიზანანთ გორის E დონეზე დამოწმებული მასალით. აქ აღმოჩენილი კერამიკის ერთი ჯგუფი წააგავს ჭიათურის მახლობლად გამოვლენილ გამოქვაბულებში მოპოვებულ თიხის ჭურჭელს, განსაკუთრებით სამერცხლე კლდის მასალას<sup>146</sup>. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ამ რაიონში გამოვლენილ

<sup>142</sup> ი. კ ი კ ვ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 91.


<sup>143</sup> ი. ქ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

<sup>144</sup> ალ. ქ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ლ ლ ო ნ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 86.

<sup>145</sup> ი ქ ვ ე.

<sup>146</sup> Л. Г л о н т и, А. Д ж а в а х и ш в и л и, Г. Д ж а в а х и ш в и л и, Я. К и к в и д з е, Д. Т у ш а б р а м и ш в и л и, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

ადრეულ კულტურაში ჯერ კიდევ ძლიერი ჩანს დასავლეთ საქართველოს ადრეული კულტურის ტრადიციები. მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოსთან, განსაკუთრებით კი შიდა ქართლთან ურთიერთობის გაძლიერებასთან დაკავშირებით, აქ ერთგვარად თავისებური ხასიათის კულტურა ყალიბდება. ეს თავისე-



სურ. 45. თიხის ჭურჭელი საჩხერიდან.

ბურება განსაკუთრებით თავს იჩენს მტკვარ-არაქსის კულტურასთან ახლო დამოკიდებულების შემდეგ. როგორც ითქვა, ამის ანარეკლია სწორედ ხიზანანთ გორის ქვედა ფენაში აღმოჩენილი მასალები. შიდა ქართლთან ურთიერთობის შედეგი უნდა იყოს ის, რომ ყვირილის ზემო წელზე კულტურის გარკვეული აღმავლობა შეინიშნება. ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა სამერცხლე კლდის მასალებში, რომელიც უკვე საგრძნობლად განსხვავდება წინარე საფეხურისაგან (სამეღე კლდე) და ახლო კავშირი იგრძნობა მტკვარ-არაქსის ადრეულ კულტურასთან. შესაძლოა ამ ურთიერთობამ შიდა ქართლში ამ კულტურის თავისებური ხასიათის ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი შეასრულა<sup>147</sup>. მაგრამ არა გვეგონია, რომ ამ ორი კულტურის შიდა ქართლში თანაარსებობის და მათი შერწყმის ვარაუდი მთლად სწორი იყოს, თანაც არც ისაა მართებული თითქოს

<sup>147</sup> Л. И. Глonti, А. И. Джавахишвили и др., *დასახ. ნაშრომი*, გვ. 10.

დასავლური კულტურა უკვე აღრებრინჯაოს საფეხურზე იდგა და მტკვარ-არაქსის კულტურის დასავლეთით შეღწევას ელოებოდა წინ<sup>148</sup>. თითქოს უფრო ისე ჩანს, რომ ამ დასავლური კულტურის ერთგვარ აღზევებას ყვირილის ზემო წელის რაიონში ხელი შეუწყო სწორედ აღმოსავლეთ საქართველოსთან, კერძოდ შიდა ქართლთან ურთიერთობამ, თორემ აქ ჯერ ისევ ნეოლითური ტრადიციები ცოცხლობდა საკმაოდ ძლიერად. შემდეგში შიდა ქართლიდან ვრცელდება ყვირილის აუზში მტკვარ-არაქსის კულტურა. საჩხერის რაიონში შესწავლილი ძეგლები ბევრ საერთოს პოულობენ შიდა ქართლის მასალასთან. აქ მოპოვებული კერამიკული კომპლექსი ძალიან ახლოს დგას შიდა ქართლის ნამოსახლარებზე გამოვლენილ ნაწარმთან. ეს რაიონი მკვიდროდ იყო დაკავშირებული შიდა ქართლთან და მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების გარკვეულ საფეხურზე, მის უფრო მოგვიანო სტადიაზე, იგი ამ კულტურის ერთ-ერთ მოწინავე კერად იქცევა<sup>149</sup>.

განსაკუთრებით მაღალ დონეზე აღის აქ ბრინჯაოს მეტალურგია. მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების არც ერთ ოლქში არ ჩანს ლითონის ნაწარმის ისეთი სიჭარბე, როგორც ეს საჩხერის რაიონში გამოვლენილ ძეგლებზეა დადგენილი. აქ გვხვდება ლითონის იარაღ-სამკაულის მრავალგვარი და რთული ფორმები; მათი დამუშავების ტექნიკა უკვე მაღალ საფეხურზეა ასული. როგორც ჩანს, ყვირილის ზემო წელის აუზში მტკვარ-არაქსის კულტურის რამდენიმე მოგვიანო ხანაში უნდა არსებულიყო ლითონის წარმოების ერთ-ერთი მძლავრი და დაწინაურებული კერა<sup>150</sup>. ლითონის დამუშავების ტრადიცია აქ, ჩანს, შიდა ქართლიდან ამ კულტურის მოსვლამდეც არსებობდა. შიდა ქართლის ამ დროის ნამოსახლარებზე კარგადაა ცნობილი ლითონის ნივთები. ხიზანანთ გორაზე ლითონის ნივთები, ორი სატევრის პირი, უკვე D დონეზე აღმოჩნდა<sup>151</sup>. მერმინდელ C და B დონეებზე, აგრეთვე, ქვაცხელასა და გუდაბერტყაზედაც კარგადაა ცნობილი როგორც ლითონის ნივთები, ისე ტიგელები, ყალიბები და სხვ<sup>152</sup>. საჩხერის სამაროვანზე აღმოჩენილი ლითონის ნივთები, განსაკუთრებით სამკაული, გარკვეულ მსგავსებას პოულობს შიდა ქართლის ნამოსახლარებზე აღმოჩენილ მასალასთან. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ნივთი შიდა ქართლსა და საჩხერის რაიონს გარდა, მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების არეში სხვაგან მაინცდამაინც ცნობილი არ არის. ამ მხრივ საინტერესოა ქვაცხელაზე აღმოჩენილი T-მაგვარი ქინძისთავი და ძაღინას ერთ-ერთ სამარხში ნაპოვნი პატარა ზომის საკინძი მარყუჟისებრ დახვეული თავით. ორივე ეს ტი-

<sup>148</sup> ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 91.

<sup>149</sup> ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 189.

<sup>150</sup> ც. აბესაძე, ლითონის წარმოება ამიერკავკასიაში ძვ. წ. III ათასწლეულში, თბილისი, 1969, გვ. 57.

<sup>151</sup> ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.

<sup>152</sup> ალ. ჯაფარიძე, ლ. დლოტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.



პი საკინძისა კარგადაა წარმოდგენილი საჩხერის ყორღანულ სამაროვანზე. დი-  
დი მსგავსება ჩანს ამ ორ რაიონს შორის აგრეთვე სხვადასხვა ტიპის ლითონის  
საკიდების ფორმაში: თოხისებრი, ლუზისებრი, მსხლისებრი და სხვ.<sup>153</sup> განსაკუთ-  
რებით აღსანიშნავია ქვაცხელების ერთ-ერთ შენობაში აღმოჩენილი მოზრდი-  
ლი თიხის კუთქლის ერთი ფრაგმენტი სატევრის რელიეფური გამოხატულებით,  
რომელიც სავსებით იმეორებს საჩხერეში აღმოჩენილ ლითონისტარიან სატე-  
ვარს<sup>154</sup>. ამრიგად, როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის დასავლეთით  
გავრცელებასთან და მისი ყვირილის ზემო წელის აუზში დამკვიდრებასთან ერ-  
თად, განსაკუთრებით წინაურდება ლითონის ნივთების წარმოება. რა იყო მი-  
ზეზი ამ რაიონში ბრინჯაოს მეტალურგიის ასეთი მაღალი დონისა ძნელი  
სათქმელია, მაგრამ ლითონის დამუშავების ჩვევები აქ უკვე მტკვარ-არაქსის  
კულტურის შემოჭრამდე იყო ცნობილი. როგორც ცნობილია, სამერცხლე  
კლდის მასალებში აღმოჩნდა ტიგელები და ყალიბები<sup>155</sup>. ამ კულტურის შიდა  
ქართლიდან გავრცელებასთან ერთად მკვიდრდება აგრეთვე ლითონის დამუშა-  
ვების ახალი წესები და ეგებ აქ არსებული ტრადიციებისა და ახალი ჩვევების  
შერწყმამ ბიძგი მისცა ბრინჯაოს მეტალურგიის დაწინაურებას. მტკვარ-არაქსის  
კულტურის ხანაში მეტალურგია სხვადასხვა ოლქებში სხვადასხვა ტემპით ვი-  
თარდება. ყვირილის აუზის ზემო წელზე ამ დარგის აღმავლობისათვის უთუოდ  
კარგი პირობები შეიქმნა და იგი ამ კულტურის განვითარებულ საფეხურზე ერთ-  
ერთ უძლიერეს კერად გადაიქცა.

უნდა აღინიშნოს, რომ ლითონის პირველი ნივთები ამიერკავკასიაში ჯერ  
კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურის წინარე ხანაში გვხვდება, მაგრამ ლითონი აქ  
ჯერ კიდევ უმნიშვნელო როლს ასრულებს. მტკვარ-არაქსის კულტურის აღრინ-  
დელ საფეხურზე მისმა ხვედრითმა წონამ მაინცაღამაინც არ იმატა. ლითონის  
წარმოების დაწინაურება ამ კულტურის განვითარებულ საფეხურზე III ათას-  
წლეულის დამდეგიდან შეიმჩნევა, მაგრამ მისი მკვეთრი აღმავლობა რამდენად-  
მე უფრო გვიან იწყება. III ათასწლეულის დასაწყისი ხანებიდან ძლიერდება  
კონტაქტები ძველადმოსავლურ სამყაროსთან. ამ ურთიერთობათა გაზრდამ  
გარკვეული როლი შეასრულა მტკვარ-არაქსის კულტურის ბრინჯაოს მეტალურ-  
გიის დაწინაურებაში. შეიძლება ითქვას, რომ არსად ისე ნათლად წინააზიასთან  
კავშირი არ შეინიშნება, როგორც ლითონის ნივთებზე. ამ ურთიერთობის შე-  
დეგად და აგრეთვე იმის გამო, რომ ამიერკავკასიაში ადგილობრივი მეტალურ-  
გიის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები არსებობდა, ამ დარგის  
სწრაფი დაწინაურება ხდება. მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებ-  
ლი მთელი რიგი ლითონის ნივთების ფორმა თავის საწყისებს, როგორც

153 ალ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ლ. დ ლ ო ნ ტ ი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XXXIV.

154 ო. ჯ ა ვ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 156.

155 Л. Г л о н т и, А. Д ж а в а х и ш в и л и, Г. Д ж а в а х и ш в и л и и др., დასახ.  
ნაშრომი, გვ. 7.

ჩანს, წინა აზიიდან იღებს. შუბისმაგვარი იარაღის, ხიშტის, ცულის ზოგიერთი ტიპის და სხვ. წინააზიური წარმომავლობა ექვს არ იწვევს. მათი არა ერთი და ორი ანალოგიის მოტანა შეიძლება ძველ სამყაროდან<sup>156</sup>. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურაში მოხვედრის შემდეგ ეს ფორმები ერთგვარად თავისებურ „კავკასიურ“ ელფერს იღებენ და მათი ადგილობრივი წარმოება საექვო არ არის. მაგრამ ამათ გვერდით ამ პერიოდში იარაღ-სამკაულის უკვე ადგილობრივ ჩამოყალიბებული ფორმებიც გვხვდება. ამ კულტურის რიგ ნამოსახლარებზე მეტალურგიული წარმოების ნაშთები აღმოჩნდა. ლითონის გამოსადნობ ღუმელის არსებობას ვარაუდობენ ახალციხის ამირანის გორაზე<sup>157</sup>. აზერბაიჯანში, ყაზახის რაიონში, ბაბადერვიშის ნამოსახლარზე სპილენძის გამოსადნობი სამი ღუმელის ნაშთი იყო ნაპოვნი<sup>158</sup>. ამის ნაკვალევი ჩანს, აგრეთვე, სხვა ძეგლებზედაც. გარდა ამისა, ამ დროის ნამოსახლარებზე გვხვდება აგრეთვე ჩამოსასხმელი ყალიბები, ტიგელები და სხვ., რაც ლითონის ნივთების ადგილობრივ წარმოებაზე მიუთითებს. ამასვე მოწმობს თვით ლითონის შემადგენლობის ერთგვაროვანი ხასიათი — დარიშხანიანი სპილენძი<sup>159</sup>. დაბოლოს, ლითონის მზა ნაწარმის სიუხვე ადგილობრივი მეტალურგიის მაღალი დონის მანიშნებელია. მისი სწრაფი აღმავლობა მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებული საფეხურის რამდენადმე მოგვიანო ეტაპზე იწყება, ძვ. წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრის ბოლო საუკუნეები და შუა ხანები მისი აყვავების პერიოდია. აქაა საწყისები სწორედ ლითონის ნაწარმის იმ მაღალი ტრადიციისა, რომელიც კავკასიაში მოსახლე ტომებს მათი უძველესი ისტორიის მთელ მანძილზე გაჰყვება და რამაც შემდეგში ასე ფართო ასახვა ჰპოვა ძველ მწერლობაში.

მტკვარ-არაქსის კულტურა დასავლეთით კიდევ უფრო ღრმად იჭრება და მისი გავრცელების უკიდურესი საზღვარი სამტრედიის რაიონამდე აღწევს. უფრო ღრმად, ჩანს, ეს კულტურა გზას ვეღარ იკაფავს<sup>160</sup>. სამტრედიის რაიონში იგი აღმოჩნდა დაბლაგომში<sup>161</sup>. მასალა აქ ძირითადად კერამიკითაა წარმოდგენილი, რომელიც თავისი ხასიათით შიდაქართლურ კურტკელს უახლოვდება. უფრო თითქოს მის რამდენადმე ადრეულ ტიპებს. შიდა ქართლის მასალასთან პოულობს აგრეთვე ბევრ საერთოს თერჯოლის რაიონში საგვარჯილეს გამოქვაბულში მოპოვებული მასალაც. ამრიგად, როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოში, სადაც მანამდე დასავლურ-ქართულ ნეოლითზე აღმოცენებული სამიწათ-

156 ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 190.

157 Т. Н. Чубяниншвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

158 Ф. А. Махмудов, Р. М. Мунчаев, И. Г. Нариманов, О древнейшей металлургии Кавказа, СА, 4, Москва, 1968, стр. 17.

159 ც. ა ბ ე ს ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.

160 ხონის რაიონში ამ კულტურის არსებობის კვალი არ დადასტურდა (Л. Глонтн, დასახ. ნაშრომი, გვ. 6).

161 Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. II, стр. 131.

მოქმედო კულტურა არსებობდა, მტკვარ-არაქსის კულტურა შიდა ქართლის გზით ვრცელდება.

შიდა ქართლთან უნდა იყოს დაკავშირებული ძირითადად ამ კულტურის გავრცელება მესხეთსა და ჭავჭავთში. ჭავჭავთის მაღალმთიანი ზოლი მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებულ საფეხურზე საკმაოდ ინტენსიურად ათვისებული ჩანს<sup>162</sup>. სოფ. ყაურმასა და ჭიგარაშენს შორის ადგილ დიგაშენში გორის თავზე, პატარა ვაკეზე ამ პერიოდის ნაშთსახლარი ჩანს. აქ კარგად ისახება შენობების ქვის საფუძვლები. ნასახლარის კვალი შეიმჩნევა აგრეთვე ტერასებზე და გორის ძირზედაც. ამ გორის პირდაპირ უფრო მოზრდილ გორაზედაც გამოჩნდა ამ დროის დასახლების ნაკვალები. ნასახლარებზე ანაკრები კერამიკული მასალის საფუძველზე თითქოს ისე ჩანს, რომ იგი ბევრ საერთოს სწორედ შიდა ქართლის ამავედროულ ჭურჭელთან პოულობს. შიდაქართლურ კერამიკას უკავშირდება აგრეთვე ახალქალაქთან, სოფ. ჩუნჩხასთან ადგილ კომსებზე მოპოვებული მასალაც. ამ პერიოდის ჭურჭელი დამოწმებულია აგრეთვე ახალქალაქის ამირანის გორაზე<sup>163</sup>, სოფ. დანკალას გორაზე<sup>164</sup>, სოფ. ოკამთან და სხვ. შეიძლება ითქვას, რომ ჭავჭავთის მაღალმთიანი ზოლის, ისევე როგორც მისი მიმდგომი წალკის პლატოს, ათვისება ძირითადად შიდა ქართლის გზით ხდება. ეს პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს, როგორც ჩანს, მას შემდეგ, რაც შიდა ქართლში მტკვარ-არაქსის კულტურა მკვიდრად იკიდებს ფეხს და უკვე ჩამოყალიბებულია მისი თავისებური ხასიათი (ქვაცხელასა და ხიზანანთ გორის C ფენა).

ამავე დროს და იგივე გზით ვრცელდება ეს კულტურა აგრეთვე მესხეთშიაც. შიდა ქართლთან ნახულობს ბევრ საერთოს სოფ. ძველში მოპოვებული მასალა. აქ აღმოჩნდა ერთი სამარხი, რომელშიც ნაპოვნი იყო რამდენიმე ლითონის ნივთი, სამი მსხლისებრი საკიდი, ერთი ღუზისებრი საკიდი, ბიკონუსური მძივი, თეთრი ქვის ცილინდრული მძივი და სხვ. სამარხი შემოწოვილი იყო ქვებით და კერამიკა თითქოს შიგ არ აღმოჩენილა. თიხის ჭურჭელი ცალკე იყო ნაპოვნი სამარხის მახლობლად. ეს არის დიდი ზომის ჭურჭლების ნატეხები შავ-პრიალა, ვარდისფერი სარჩულით, გვხვდება მოვარდისფრო პრიალა ჭურჭელიც. აქვე აღმოჩნდა აგრეთვე ნალისებრი სადგარის ნატეხები. აქ ნაპოვნი კერამიკა ძალიან ახლოს დგას შიდა ქართლურთან, განსაკუთრებით კი საჩხერულ კერამიკასთან. დიდი მსგავსებაა აგრეთვე ლითონის ნივთებშიაც. მსხლისებრი საკიდები საგვებით ისეთივეა, როგორც ქვაცხელების სამარხებიდან<sup>165</sup> და საჩხე-

<sup>162</sup> Т. Н. Чубинишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

<sup>163</sup> ტ. ჩუნჩხასის შვილი. ამირანის გორა, თბილისი, 1963, გვ. 14.

<sup>164</sup> ო. ლამბაშიძე. მესხეთ-ჭავჭავთის არქეოლოგიური ექსპედიციის სადარეკო რაზმის წინასწარი ანგარიში. სამეცნიერო სესია მიძღვნილი საქართველოში 1958 წ. წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბილისი, 1969, გვ. 19.

<sup>165</sup> აღ. ჭავჭავთის შვილი. ლ. დლონტი. დასახ. ნაშრომი, ტაბ. XXXIV.

რის, კერძოდ პასიეთის ყორღანიდანაა ცნობილი<sup>166</sup>. ლუზისებრი საკიდი თითქმის არ განსხვავდება პასიეთის ყორღანის № 3 სამარხში მოპოვებულ ამგვარსავე სამკაულისაგან. როგორც ჩანს, მესხეთის მაღალმთიანი ზოლი ამ პერიოდში უკვე საკმაოდ ინტენსიურადაა ათვისებული. ნიალას ველზე, დუმეილას და გელაზის ძველ სოფლებს შორის მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი ნამოსახლარი აღმოჩნდა. აქ ფეოდალური ხანის ნანგრევებს შორის ბლომად იყო აგრეთვე მტკვარ-არაქსული კერამიკის ნატეხები. საინტერესოა ნასოფლარი ამ დროისა ჩანს ზემო თმოგვთან, ჭაჭკარის თავზე. აქ ჭრილში კარგად ჩანდა კულტურული ფენა და ბლომად თიხის ჭურჭლის ნატეხები. ამ პერიოდის კერამიკა ჩნდება აგრეთვე ახჩიის ველზე. როგორც აქ ანაკრები კერამიკული მასალიდან ჩანს, იგი შიდაქართლურ ჭურჭელს უახლოვდება.

ამავე პერიოდში უნდა იყოს ათვისებული ახალციხის ქვაბულიც. როგორც ჩანს, ეს რაიონი მესხეთში ამ კულტურის გავრცელების უკიდურესი საზღვარი უნდა ყოფილიყო. მტკვარ-არაქსის კულტურის კვალი არ ჩანს დღევანდელი ადიგენის რაიონის ტერიტორიაზე. არც ბორჯომის ხეობაშია შენიშნული დღესდღეობით მისი ნაკვალევი. ამ მხარეში განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს ახალციხის მახლობლად გათხრილი და შესწავლილი ამ დროის მსხვილი დასახლება—ამირანის გორა. ეს დასახლება მტკვარ-არაქსის კულტურის აღრებრინჯაოს ხანის ეტაპს განეკუთვნება. იყო თუ არა აქ მისი უფრო აღრეული სტადია, არსებული მასალიდან მაინცადამაინც არ შეიმჩნევა. ინტენსიური ცხოვრება აქ, ჩანს, ამ კულტურის განვითარებულ საფეხურზე დაწყებულა. ამირანის გორაზე სოფელს დაახლოებით 3 ჰექტარი ფართობი ეკავა. სოფელს თავისებური დაგეგმარება ჰქონდა. საცხოვრებელი სახლები მთის ფერდობზე ტერასულად იყო განლაგებული. შენობები ქვისაგან იყო ნაგები, ძირითადად ერთოთახიანი სახლები<sup>167</sup>.


ამირანის გორაზე მოპოვებულ კერამიკულ მასალაში ფორმათა საკმაოდ დიდი ნაირგვარობა შეიმჩნევა (სურ. 46). თიხის ჭურჭლის კომპლექსისათვის დამახასიათებელ მრავალგვარობაში აისახა ის ურთიერთობა, რომელიც ამ დასახლების საკმაოდ ხნის არსებობის მანძილზე ხორციელდებოდა. ამირანის გორის კერამიკაში ძნელდება საკუთრივ მისთვის დამახასიათებელი კერამიკული ფორმების მკვეთრი გამოყოფა<sup>168</sup>. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ისიც იყო, რომ აქ ეს კულტურა უკვე სავსებით ჩამოყალიბებული სახით მკვიდრდება. ყველაზე ახლო კონტაქტი შიდა ქართლის მასალასთან ჩანს. ამირანის გორის კერამიკა ბევრ საერთოს პოულობს შიდა ქართლის ნამოსახლარების, განსაკუთრებით ქვაკახელა-ზიზნაანთ გორის C დონის თიხის ჭურჭელთან. შეიძლება ვიფიქროთ,

<sup>166</sup> ო. ჯ ა თ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, სურ. 36, 7.

<sup>167</sup> Т. Н. Ч у б и н и ш в и л и, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

<sup>168</sup> ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, ამირანის გორა, გვ. 75.

რომ ამირანის გორის მსხვილ დასახლებად გადაქცევა ამ ხანაში იწყება. ახლოს დგას ამირანის გორის მასალასთან თრიალეთის მალაღმთიან ზოლში—ბეშთა-შენში და ოზნში მოპოვებული კერამიკა. ოზნის ნასახლარი დაგეგმარებაში გარკვეულ მსგავსებას პოულობს ამირანის გორასთან<sup>169</sup>. არ არის გამორიცხული, რომ ახალციხის ქვაბულის ათვისების ძირითადი იმპულსები შიდა ქართლიდან მოდიოდა. იგი ემთხვევა სწორედ იმ დროს, როდესაც შიდა ქართლში მტკვარ-არაქსის კულტურა ფართო გავრცელებას იწყებს. შიდა ქართლის მიმდგომ მხარეებში ამ კულტურის განფენა ერთიანი პროცესი უნდა ყოფილიყო; იგი იჭრება თრიალეთის მალაღმთიან ზოლში და მკვიდრდება მესხეთში და გზას იკაფავს დასავლეთისაკენ.



სურ. 46. თიხის ჭურჭელი ამირანის გორიდან.

შიდა ქართლთან ძალიან დიდ სიახლოვეზე მეტყველებს აგრეთვე ამირანის გორაზე მოპოვებული ლითონის ნაწარმი. აქ აღმოჩენილი სატევრის პირები ფორმით უახლოვდებიან შიდა ქართლში, საჩხერეში ნაპოვნ ამგვარსავე იარაღს-ამირანის გორის № 36 სამარხში აღმოჩენილი პატარა სატევრის პირი ემსგავსება ტყვიავის ყორღანში, ქვაცხელასა, ხიზანანთ გორაზე და ოზნის სამოსახლოზე ნაპოვნ სატევრის პირებს<sup>170</sup>. ამირანის გორის ორი მოზრდილი სატევრის პირი თითქმის სავსებით ისეთივეა, როგორც საჩხერის რაიონის ყორღანული სამარხებისათვისაა დამახასიათებელი<sup>171</sup>. იგივე შეიძლება ითქვას აგრეთვე ამირანის გორაზე აღმოჩენილ ლითონის სამკაულზე, რომელიც ახლო ანალოგებს პოულობს შიდა ქართლისა და საჩხერის მასალებში. აღსანიშნავია ამირანის გორაზე აღმოჩენილი ნამგლის პირი. ჩვენში ლითონის ნამგალი მტკვარ-არაქსის კულტურაში გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ცნობილია ჯერჯერობით შიდა ქართლიდან. კერძოდ ხიზანანთ გორიდან. მართალია, ფორმით ისინი ერთგვარად განსხვავდებიან (თუმცა ხიზანანთ გორის ნამგალის მოყვანილობის შესახებ გარკვევით ვერაფერი ითქმის იმის გამო, რომ იგი ნაჩვენარფაბრიკატია, გაუქმდ-ვია)<sup>172</sup>. მაგრამ ის ფაქტი, რომ ორივე ამ მხარეში უკვე ლითონის ნამგალი ხმარებაში, უთუოდ საყურადღებოა. საერთოდ მტკვარ-არაქსის კულტურაში სადღესოდ კიდევ რამდენიმე ლითონის ნამგალია ცნობილი. ერთი ცუდად და-

169 К. Х. Кушнарєва, Т. Н. Чубнишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

170 ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

171 იქვე, გვ. 54.

172 ი. კ ი კ ვ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 77.

კული ლითონის ნამგალი ნაპოვნნი იყო ქიულ-თეფე II, მეორე კი — გარნისის ნამოსახლარზე. თითო ნამგალი აღმოჩნდა უფრო სამხრეთით მდებარე ამ კულტურის ძეგლებზე ქარახსა<sup>173</sup> და პულურში<sup>174</sup>. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამირანის გორაზე ნაპოვნნი ყალიბის ფრაგმენტი, რომელიც, როგორც ფიქრობენ, მარტივი გრძელდეროიანი შუბისმაგვარი იარაღის ჩამოსასხმელი უნდა ყოფილიყო<sup>175</sup>. ნიშანდობლივია უთუოდ, რომ სწორედ ამგვარი იარაღი აღმოჩნდა შიდა ქართლსა და მესხეთში.

ამრიგად, ამირანის გორაზე მოპოვებული მასალის საფუძველზე ჩანს, რომ მესხეთი მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში მჭიდროდ იყო დაკავშირებული შიდა ქართლთან. მაგრამ აქ ისიც გამოჩნდა, რომ ეს კავშირი უფრო ძლიერად ამირანის გორის ადრეულ მასალაში შეინიშნება, თორემ მერე და მერე შიდა-ქართლური გავლენა აქ თითქოს თანდათანობით ნელდება (ხიზანანთ გორისა და ქვაცხელების B დონის ხანა). პირიქით, თითქოს ისე ჩანს, რომ ამ ხანისათვის ძლიერდება ურთიერთობა მტკვარ-არაქსის კულტურის სხვა ოლქებთან და ამ გავლენამ კიდევაც ჰპოვა ასახვა კერამიკულ ფორმებში. უნდა აღინიშნოს, რომ შიდა ქართლთან ურთიერთობის შენელების პროცესი სხვა მიმდგომი მხარეების მიმართაც შეიმჩნევა, კერძოდ, დასავლეთით მდებარე ოლქებშიც მისი გავლენა ადრე უფრო ძლიერი ჩანდა. მას შემდეგ, რაც შიდა ქართლში მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებული საფეხური გავრცელდა და მისი ფართო განფენა მოხდა (ხიზანანთ გორისა და ქვაცხელას C დონის ხანა), იწყება აგრეთვე მიმდებარე მხარეებში თანდათანობით მტკვარ-არაქსის კულტურის შეღწევა. ამ დროისათვის შიდა ქართლთან მჭიდრო ურთიერთობა ჩანს, მაგრამ შემდეგში ეს კავშირი სულ უფრო და უფრო სუსტდება. ეს პროცესი ყველგან თანაბრად არ მიმდინარეობდა. მესხეთში, ჩანს, შიდა ქართლთან ურთიერთობის შესუსტება უფრო ძლიერი იყო.

იორ-ალაზნის აუზი, რომლის ათვისებაც ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ საფეხურზე იწყება, III ათასწლეულში, ამ კულტურის განვითარებულ სტადიაზე, შიდა ქართლთან დგას ახლოს. კახეთის ამ დროის ძეგლებზე აღმოჩენილი თიხის ქურქული ბევრ საერთოს პოულობს შიდა ქართლის ნამოსახლარებზე გამოვლენილ კერამიკასთან<sup>176</sup>. სამწუხაროდ, სადღეისოდ ამგვარი დასკვნის გამოტანა ძირითადად კერამიკის საფუძველზე ხერხდება. ივრისა და ალაზნის აუზში გამოვლენილი მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი ნამოსახლა-

<sup>173</sup> К. Х. Кушпарева, Т. Н. Чубнишвили, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 126.

<sup>174</sup> Dr. Hamit Zubeur Kosay, Dr. Hermann Vary, *Die Ausgrabungen von Pulur, Ankara, 1964*, გვ. 67, ტაბ. L.

<sup>175</sup> ტ. ჩუბნიშვილი, *მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა*. თბილისი, 1965, გვ. 102.

<sup>176</sup> Ш. Ш. Дедабришвили, *Культура эпохи ранней бронзы Иоро-Алазанского бассейна*, стр. 16.


რები არცერთი იმგვარად შესწავლილი არ არის, რომ წარმოდგენას იძლეოდეს იმ ხანის სოფლის ხასიათის, მისი დაგეგმარების, წაგებობათა ტიპის და სხვ. შესახებ. სხვა მხრივ კახური მასალა შიდაქართლურ ძეგლებს უახლოვდება და, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, იორ-ალაზნის ზედა წელი შიდა ქართლის ადრე-ბრინჯაოს ხანის კულტურის სფეროში შედის<sup>177</sup>. რამდენად სწორია ეს მოსაზრება ახლა ჯერ კიდევ ძნელი სათქმელია, მაგრამ, როგორც უკვე ზევით იყო აღნიშნული, შიდა ქართლისა და კახეთის ათვისების პროცესი დაახლოებით ერთ დროს უნდა დაწყებულიყო, მტკვარ-არაქსის კულტურის ადრინდელ საფეხურზე. ამ დროის მასალები ძალიან ახლოს დგანან ერთმანეთთან და შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ერთიანი პროცესი იყო. როგორც ჩანს, ეს მკიდრო ურთიერთობა ამ ორ მხარეს შორის არც მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებულ საფეხურზე შენელებულა.

რა ხდება ქვემო ქართლში, რომელიც მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ძირითადი რაიონი უნდა ყოფილიყო, ამ კულტურის განვითარებულ საფეხურზე, III ათასწლეულის პირველ ნახევარში, ჯერ კიდევ მთლად ნათელი არ არის. სადღეისოდ აქედან ცნობილია შულავერის მახლობლად გათხრილი ორი ძეგლი (შულავერი II და დაით-მაზი), რომლებიც უკვე მტკვარ-არაქსის კულტურის საკმაოდ გვიანდელ სტადიას მიეკუთვნებიან და უფრო მეტ საერთოს არარატის ველზე გამოვლენილ ამავდროულ ძეგლებთან პოულობს (სურ. 47, 48).

მტკვრის ხეობის გაყოლებით თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე იქ. სადაც მტკვარ-არაქსის კულტურის წინარე ხანაში გავრცელებული იყო სავსებით ისეთივე ადრესამიწათმოქმედო კულტურა როგორც ქვემო ქართლში, მტკვარ-არაქსის კულტურა ადრინდანვე იწყებს გამოჩენას. ყაზახის მახლობლად ბაბადერვიშის ბორცვზე გამოვლენილი ამ დროის მასალის ერთი ნაწილი გარკვეულ მსგავსებას იჩენს დიდუბე-კიკეთის ჯგუფის კერამიკასთან. მაგრამ აქვე აღმოჩნდა აგრეთვე თიხის ჭურჭელი, რომელიც მტკვარ-არაქსის კულტურის უფრო გვიანი საფეხურისთვისაა დამახასიათებელი. ეს კერამიკა უფრო მეტ საერთოს პოულობს არარატის ველისთვის დამახასიათებელ თიხის ჭურჭელთან. ამიტომ მთლად მართებული არ ჩანს ის მოსაზრება, თითქოს ბაბადერვიში მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული საფეხურის ძეგლი იყოს და IV—III ათასწლეულების მიჯნით უნდა დათარიღდეს<sup>178</sup>. უფრო სწორია ვიფიქროთ, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ადრინდელი საფეხურის ბოლოსათვის იგი მი-

<sup>177</sup> ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 92.

<sup>178</sup> Г. С. Исмаилов, Орнаментация керамики древнего поселения Бабадериш и ее взаимосвязи с неолитическими памятниками Закавказья. Археологические исследования в Азербайджане. Баку, 1965, стр. 63.




სურ. 47. თიხის კურკელი და ლითონის ნივთები ლაით-მაზიდან.



ტოვებული იქნა და მისი ხელახალი დასახლება ამ კულტურის დასასრულ ხანაში ხდება<sup>179</sup> (სურ. 49).


დიდუბე-კიკეთის ჯგუფთან ნახულობს აგრეთვე გარკვეულ მსგავსებას



სურ. 48. თიხის ქურქელი „დანგრეული“ გორიდან.

179 К. Х. Кушнарѳва, Т. Н. Чубинишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

განჯის მხარეში ზაგლიკში აღმოჩენილი კერამიკა<sup>180</sup>. იგივე შეიძლება ითქვას აგრეთვე მინგეჩაურში ნამოსახლარსა და სამაროვანზე ნაპოვნ მასალაზე (სურ. 49<sup>2</sup>)<sup>181</sup>. მაგრამ ისე ჩანს, რომ ეს ძეგლები მტკვარ-არაქსის კულტურის აღრინდელი საფეხურის რამდენადმე მაინც გვიანდელ ეტაპს მიეკუთვნებიან.



სურ. 49. თახის კურქელი ბაზალეოვიშიდან და მინგეჩაურიდან

მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები კარგად გამოჩნდა აგრეთვე მილისა და ყარაბახის ველზე. სამუშუაოდ გარკვევით ვერაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ ამ კულტურის რა საფეხურზე ზდება მისი ათვისება. სადღეისოდ არსებულ მასალით თითქოს ისე ჩანს, რომ ამ ველის დასახლება მტკვარ-არაქსის კულტურის რამდენადმე უფრო გვიანდელ საფეხურზე ზდება. სწორედ ამან მისცა საფუძველი ა. იესენს ევარაუდა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ექსპანსია ამ მხარეში მისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე უნდა მომხდარიყო<sup>182</sup> და საერ-

<sup>180</sup> Б. А. Куфтин, Урартский «колумбарий» у подошвы Арарата и куро-аракский энеолит, стр. 91.

<sup>181</sup> Г. М. Асланов, С. М. Ваидов, Г. И. Ионе, Древний Мингечаур, стр. 34.

<sup>182</sup> А. А. Иессен, Из исторического прошлого Мильско-Карабахской степи, стр. 16.

თოდ აზერბაიჯანს გამოორიცხავდა ამ კულტურის ჩამოყალიბების ოლქიდან<sup>183</sup>. მტკვარ-არაქსის კულტურის კვალი ამ ბოლო დროს მულანის ველზედაც გამოჩნდა, მაგრამ ჭერჭერობით გარკვევით ვერ ითქმის, თუ ამ კულტურის განვითარების რა ეტაპს მიეკუთვნება იგი. ის რომ მულანზე გამოვლენილი ძეგლები თითქოს წინარე ხანიდან მტკვარ-არაქსის კულტურაზე გარდამავალი ხასიათისაა, ჭერჭერობით მთლად დამაჭერებელი არ ჩანს<sup>184</sup>.

აღსანიშნავია, არაქსის აუზში ნახიჩევანის მახლობლად მდებარე ქიულ-თეფეს ბორცვი აქ, როგორც უკვე ზევით აღნიშნული იყო, მრავალფენიანი ძეგლი აღმოჩნდა, რომელთაგან II ფენა მტკვარ-არაქსის კულტურის ხანისა იყო. სამწუხაროდ, გარკვევით რაიმეს თქმა სოფლის დაგეგმარების შესახებ შეუძლებელია, მაგრამ იგი შედგებოდა მრგვალი შენობებისაგან. II ფენაში 14 სამშენებლო დონე გამოირჩევა და ყველგან ერთი ტიპის ნაგებობები გვხვდება, თიხისაგან ნაგები მრგვალი შენობა, რომლებსაც ზოგჯერ სწორკუთხა მინაშენები აქვს მიდგმული<sup>185</sup>. მრგვალი შენობა ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია მტკვარ-არაქსის კულტურისა. შენობის ამ ტიპს თავისი ფესვები წინარე კულტურაში აქვს. ძველიდან მომდინარე ტრადიციები სამშენებლო ტექნიკაში უფრო დიდხანს შემორჩა არაქსის აუზში გავრცელებულ მტკვარ-არაქსის კულტურაში, თორემ, როგორც აღვნიშნავდით, შიდა ქართლში და მტკვრის ზემო წელზე ადრევე შეინიშნებოდა ცვლილებები მშენებლობაში და აქ თანდათანობით უპირატესი როლი სწორკუთხა არქიტექტურას ენიჭება.

ქიულ-თეფეზე არ არის წარმოდგენილი მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების ეტაპები, აქ ეს კულტურა უკვე საკმაოდ ჩამოყალიბებული სახისა გვხვდება. თუმცა ამ ბოლო დროს ზოგიერთმა მკვლევარმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ნახიჩევანის ქიულ-თეფე II ფენაში უკვე ჩანს ამ კულტურის ადრეული ეტაპი<sup>186</sup> და თითქოს ეს განსაკუთრებით კარგად შეინიშნება თიხის ჭურჭელში, სადაც წინა ხანის კერამიკიდან მომდინარე ტრადიციები შეიმჩნევა<sup>187</sup>. მაგრამ ქიულ-თეფე II ჭურჭელი უკვე იმდენად სრულყოფილია, რომ მისი დაკავშირება წინამორბედ კერამიკასთან ძალიან გაძნელდება. სწორედ თიხის ჭურჭლის საფუძველზე მიიჩნევდნენ მას უფრო გვიანდელად. კერამიკა უპირატესად მორუხო ფერისაა, საკმაოდ მრავალფეროვანი ფორმის. მათ ჩვეულებრივად ცილინდრული მოყვანილობის ყელი აქვთ, გამობერილი ტანით, ტიპიური ნახე-

183 А. А. Иессен, Кавказ и Древний Восток в IV—III тысячелетиях до н. э., стр. 14.


184 И. Г. Нариманов, Ф. Р. Махмудов, Энеолитические памятники на Мугани, стр. 88.

185 О. А. Абибуллаев, Остатки жилища во втором слое поселения Кюль-тепе около Нахичевани, МИА, 125, М.-Л., 1965, стр. 40.

186 К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

187 Т. Н. Чубинишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 133.

ვარსფეროსებრი ყურებით და სხვ<sup>188</sup>. თავისი ხასიათით იგი თითქოს დიდუბე-კიკეთის ჯგუფის კერამიკიდან მომდინარე ტრადიციებით ხასიათდება; ორნამენტი ქიულ-თეფეს კერამიკისათვის ნაკლებადაა დამახასიათებელი და ჭწორედ ამის გამო ზოგიერთი მკვლევარი მას უფრო გვიანდელ ხანისად მიიჩნევდა<sup>189</sup>. მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ მისი გვიანდელ საფეხურისადმი მიკუთვნება მაინცადა-მაინც მთლად მართებული არ უნდა იყოს. უფრო სწორი იქნება თუ მას მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებული საფეხურის დასაწყის ხანისად მივიჩნევთ. მასში, როგორც აღვნიშნავდით, ჯერ კიდევ ძლიერი ჩანს დიდუბე-კიკეთის ჯგუფიდან მომდინარე ტრადიციები და მისი კერამიკა გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს თრიალეთის, შიდა ქართლის და კახეთის მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებული საფეხურის ადრეული ეტაპის ჰურჭელთან.



სურ. 50. თიხის ჰურჭელი ნახიჩევანის ქიულ-თეფედან.

მეტად თავისებური ხასიათის მტკვარ-არაქსის კულტურა გამოვლინდა თანამედროვე სომხეთის ტერიტორიაზე. აქ სადღეისოდ ასამდე ამ დროის ძეგლია ცნობილი<sup>190</sup>. განსაკუთრებით ძლიერად ათვისებული ჩანს არარატის ნაყოფიერი ველი, აგრეთვე სომხეთის ზეგანის გარკვეული რაიონები<sup>191</sup>. სადღეისოდ ისე ჩანს, რომ აქ გამოვლენილი მტკვარ-არაქსის კულტურა უკვე საკმაოდ განვითარებულ საფეხურს მიეკუთვნება. ამ კულტურის უფრო ადრეული საფეხურის ძეგლები აქ ჯერ კიდევ აღმოჩენილი არ არის. ამიტომ, როგორც ზევით უკვე აღვნიშნავდით, ამიერკავკასიის ეს მხარე ჯერჯერობით უნდა ამოირიცხოს მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბების ოლქიდან. მართალია, უკვე გამოჩნდა ნიშანი იმისა, რომ არარატის ველი თითქოს მტკვარ-არაქსის კულტურის წინარე ხანაშია ათვისებული, მაგრამ მათ შორის რაიმე კავშირის დანახვა

<sup>188</sup> О. А. Абибуллаев, Раскопки холма Кюль-тепе близ Нахичевани в 1955 г., МИА, 67, М.-Л., стр. 442.

<sup>189</sup> А. А. Иессен, Из исторического прошлого Мильско-Карабахской степи, стр. 16.

<sup>190</sup> Б. Н. Аракелян, А. А. Мартиросян, Археологическое изучение Армении за годы Советской власти, СА, 4, Москва, 1967, стр. 28.

<sup>191</sup> Э. В. Ханзадян, Культура Армянского нагорья в III тыс. до н. э., стр. 102.

სადღესოდ არსებული მასალით შეუძლებელი ჩანს. ისეთ ბრწყინვალე ძეგლებზე, როგორც არის შენგავითი (ერევანთან), სადაც თითქოს I ფენა მტკვარ-არაქსის კულტურის უწინარესი ხანისაა, მომდევნო II ფენა უკვე საკმაოდ განვითარებული პერიოდის მტკვარ-არაქსის კულტურას მიეკუთვნება და ამ ფენათა შორის არავითარი ურთიერთობა არ შეინიშნება<sup>192</sup>.

სომხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი მტკვარ-არაქსის კულტურა საკმაოდ განვითარებული სახითაა წარმოდგენილი და იგი თავისებურ ხასიათს იღებს. მართალია, მასში ცოცხლობს საერთოდან მომდინარე მტკვარ-არაქსული კულტურის ტრადიციები, მაგრამ გადახვევა ამ საერთოდან აქ მეტისმეტად საგრძნობია. III ათასწლეულში სომხეთის მთიანეთში არაარატის ველზე თავისებური სახის მტკვარ-არაქსული კულტურა ყალიბდება, რომელიც მნიშვნელოვან სხვაობას აკლენს შიდა ქართლში გავრცელებულ ამავდროულ კულტურასთან. სწორედ ამან აფიქრებინა ზოგიერთ ავტორს, რომ თუკი მტკვარ-არაქსის ლოკალურ კულტურებში განსხვავება საერთოზე მეტია, მაშინ ისინი დამოუკიდებელ კულტურებად უნდა განვიხილოთ<sup>193</sup>.

ამგვარი ვარაუდის ერთ-ერთი მიზეზი, ვფიქრობთ, ის არის, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი სომხური ძეგლების შესახებ გარკვეული პერიოდისა ცხად ჩერ კიდევ შემუშავებული არ არის. სწორედ იმ დაყოფამ ამ ძეგლებისა, რომელსაც ამ ბოლო დროს იძლევა ზოგიერთი მკვლევარი, ერთგვარად გააბუნდოვანეს ეს საკითხი<sup>194</sup>. როგორც ზევით უკვე აღვნიშნავდით, მათი აზრით, შრეშ-ბლურის ჯგუფი უფრო ადრეულია, ელარის ტიპის ძეგლები კი უფრო მოგვიანო. ამგვარი დასკვნა ძირითადად კერამიკული მასალის ანალიზის საფუძველზეა გამოტანილი. მაგრამ შრეშ-ბლურისა და შენგავითის ტიპის თიხის ჭურჭელი უკვე იმდენად ჩამოყალიბებული და თავისებური სახისაა როგორც ფორმით, ისე ორნამენტის ხასიათით, რომ მისი დაკავშირება მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ჯგუფის კერამიკასთან უკვე საგრძნობლად ჭირს. ჯერ კიდევ ბ. კუფტინმა თრიალეთური მასალების შესწავლისას ელარის ტიპის ძეგლები პირველ კომპლექსში გააერთიანა და დიდუბე-კიკეთის ჯგუფს დაუკავშირა. არმავირ-ბლურთან მოპოვებული კერამიკა გარკვეულ მსგავსებას აკლენს დიდუბისა და კიკეთის მასალასთან; განსაკუთრებით აახლოვებთ მათ ბადისებრი ჭურჭელი. ახლოს დგას მასთან, აგრეთვე, იგდირის კერამიკა<sup>195</sup>. ელარის კერამიკის წამყვანი ტიპები ბევრ საერთოს სწორედ ადრეულ კერამიკასთან ნახულობს<sup>196</sup>. ამიტომ უფრო მართებულია იმ მკვლევართა მოსაზრება, რომლებიც ელარის ჯგუფს სომხეთის მთიანეთში გამოვლენილ მტკვარ-არაქსის კულ-

192 С. А. Сардарян, Первобытное общество в Армении, стр. 298.

193 ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 92.


194 Э. В. Ханзадян, დასახ. ნაშრომი, გვ. 110.

195 А. А. Мартиросян, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

196 თ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

ტურის უადრეს ძეგლებად მიიჩნევენ. ზემოთ უკვე აღვნიშნავდით, რომ სომხეთის მთიანეთის ათვისება მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული საფეხურის უფრო მოგვიანო ხანაში იწყება და ელარის ჯგუფის ძეგლები ამ მხარეში ამ კულტურის პირველი გამოჩენის პერიოდისა უნდა იყოს. თვით ამ ჯგუფის შიგნითაც სხვადასხვა ქრონოლოგიური საფეხურების დადგენა იქნება შესაძლებელი. სწორედ ელარის ჯგუფის საფუძველზე უნდა აღმოცენებულყო ბრწყინვალე და მეტად თავისებური მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებული საფეხური, რომლითაც ხასიათდება სომხეთის მთიანეთი.

ელარის ტიპის ძეგლები უპირატესად მთისწინა და მთის ზოლშია გავრცელებული, არარატის ველზე მათ თითქმის არ ვხვდებით. ელარის ჯგუფის ძეგლებისათვის დამახასიათებელია მრგვალი შენობა, ზოგჯერ სწორკუთხა მინაშენით<sup>197</sup>. კერამიკა, რომლითაც ძირითადად ხერხდება ამ ჯგუფის გამოყოფა, ხასიათდება შავპირიან ზედაპირით, ღია სარჩულზე. აქ გვხვდება ფართო, ცილინდრულყელიანი ჭურჭელი მომრგვალებული ტანითა და ნახევარსფეროსებრი ყურებით (სურ. 51). აქ ჯერ არ ვხვდებით ჭურჭლები სამნაწილადი ტანით,



სურ. 51. თიხის ჭურჭელი ელარიდან.

ესოდენ დამახასიათებელი შრეშ-ბლურისა და შენგავითის ტიპის კერამიკისათვის. თვით ელარში ე. ლალაიანცის მიერ აღმოჩენილი კერამიკის დახასიათებისას ბ. კუფტინი აღნიშნავდა, რომ აქ შესანიშნავად გაპრიალებული შავი, ღია სარჩულიანი კერამიკის გვერდით, გვხვდება ღია-მორუხო ჭურჭელი, რომელიც როგორც ფორმით, ისე ტექნიკით საესებით შეესაბამება კიკეთურ კერამიკას<sup>198</sup>. ელარის ტიპის კერამიკა გამოირჩევა თავისი სისადავით. ორნამენტინაკლებად დამახასიათებელი ჩანს. აქ იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით ჭურჭლის წინა მხარეზე თითო-ოროლა რელიეფურ ზოლს ან კიდევ მრგვალ ღრმულებს<sup>199</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მკვლევარი ორნამენტის გაქრობას ამ ჭურჭელზე ადგილობრივი კერამიკის შემდგომი განვითარების ტენდენციად

197 К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 156.

198 Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

199 А. А. Мартиросян, დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

მიიჩნევს<sup>200</sup>. მაგრამ ვფიქრობთ უფრო მართებულია იმ ავტორთა მოსაზრება, რომლებიც, პირიქით, არარატის ველის ძეგლებისათვის შრეშ-ბლურისა და შენგავითის ჯგუფის კერამიკისათვის დამახასიათებელი შესანიშნავი ორნამენტაციის საწყისებს სწორედ ელარის ტიპის კერამიკაზე ხედავენ<sup>201</sup>.

კიდევ ერთი ნიშანი, რომელიც ელარის ჯგუფის უფრო მოგვიანო ხასიათის დამახასიათებლად მოპყავს ზოგიერთ მკვლევარს ის არის, რომ ამ ძეგლებზე წვრილფეხა საქონლის ძვლები კარბობს მსხვილფეხას, მაშინ როდესაც არარატის ველზე ამ დროის ნამოსახლარებზე პირუკუ სურათი გვაქვს<sup>202</sup>. აქ, ვფიქრობთ, იმას უნდა გაეწიოს ანგარიში, რომ ელარის ჯგუფი უმთავრესად მთის ზოლში იყო გავრცელებული, სადაც უკვე გარკვეულ პერიოდში თანდათანობით წვრილფეხა საქონლის ხვედრითმა წონამ იმატა. ბარში კი, არარატის ველზე, რამდენადმე გვიანაც კი მსხვილფეხა საქონლის უპირატესი როლი მესაქონლეობაში უფრო ხანგრძლივი უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, ვფიქრობთ, რომ ელარის ტიპის ძეგლები უფრო მეტ საერთოს მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული საფეხურის, დიდუბე-კიკეთის ჯგუფთან ნახულობენ, თუმცა მისგან უკვე საკმაოდ შორსაა წასული. ელარის ჯგუფის კერამიკაში ჯერ კიდევ შემორჩენილია მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული საფეხურიდან მომდინარე ნიშნები. ელარის ტიპის კერამიკაზე უკვე დაკარგულია რელიეფური ორნამენტის ტრადიცია და იგი მასზე მხოლოდ გადანაშთის ნიშნითაა შემორჩენილი რელიეფური ზოლების სახით. სწორედ ამ კერამიკაშია საძებარი არარატის ველის ძეგლებისათვის დამახასიათებელი შესანიშნავი ჭურჭლის ფორმისა და ორნამენტის საწყისები. როგორც ჩანს, ამ ველის ფართო ათვისება რამდენადმე უფრო გვიან ხდება, მტკვარ-არაქსის კულტურის საკმაოდ განვითარებულ საფეხურზე, ეგებ, სწორედ ელარის ჯგუფის მატარებელი ტომების მიერ, რომლებიც თანდათანობით ვაკე ადგილებს იკავებენ.

არარატის ნაყოფიერ ველზე მეტისმეტად ხელსაყრელი პირობები უნდა ყოფილიყო მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი საზოგადოების განვითარებისათვის, რომელიც საკმაოდ ინტენსიურად ითვისებს მას. აქ იქმნება როგორც შედარებით მოზრდილი, ისე უფრო მომცრო ზომის სოფლები. როგორც ირკვევა ეს სოფლები არარატის ველზე სხვადასხვა დროს წარმოიქმნენ: ზოგი ადრე, ზოგიც უფრო გვიან საცხოვრებლად ხელსაყრელ ადგილებში. მიწათმოქმედი საზოგადოების განვითარებისათვის აქ კარგი პირობები იყო. ეს კი უთუოდ ხელს შეუწყობდა მოსახლეობის რიცხვის ზრდას და მის განფენას. ამიტომაცაა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებული საფეხურის რამდენადმე

200 P. M. Мунчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

201 Т. Н. Чубянишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 121.

202 Б. Б. Пиотровский, Поселение медного века в Армении, СА, XI, М.-Л., 1949, стр. 176.

მოგვიანო ხანაში ამ ველის შედარებით სწრაფი და ინტენსიური ათვისება ხდება.

სადღესოდ არარატის ველზე თითქმის სამ ათეულამდე მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი ძეგლია ცნობილი<sup>203</sup>. ამათგან აღსანიშნავია შრეშ-ბლური და ეჩმიაძინის ქიულ-თაფა (მოხრაბლური), განსაკუთრებით კი ამ ველის ზედ მთისწინა ზოლში მდებარე ცნობილი შენგავითის ნამოსახლარი, რომელიც დღეს უკვე ერევნის ფარგლებშია მოქცეული<sup>204</sup>. ეს უზარმაზარი ნამოსახლარია ამ კულტურის დღემდე ცნობილთაგან ყველაზე დიდი. ამიტომაც მის აღწერაზე ცოტა უფრო ვრცლად შევჩერდებით. მას ექვს ჰექტარამდე ფართობი უკავია. იგი მდებარეობდა მდინარე რაზდანის მარცხენა შემაღლებულ ნაპირზე. სამოსახლოს გარს უვლიდა მოზრდილი ქვებისაგან დაწყობილი დამცველი კედელი. ოთხი სამშენებლო ფენის სისქე 4,0 მ-მდე აღწევდა<sup>205</sup>. როგორც ჩანს, პირველი დასახლებები შენგავითზე ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურის წინარე ხანაში წარმოქმნილა. პირველ ფენაში მოპოვებული მეტად მცირე მასალა თითქოს გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს არარატის ველის აღრეულ ძეგლებთან. მომდევნო სამი სამშენებლო ფენა უკვე მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელია. ჩანს, რომ აქ ცხოვრება ერთ ხანს შეწყვეტილა და ხელახლა ამ კულტურის განვითარებული საფეხურის რამდენადმე მოგვიანო სტადიაზე კვლავ აღმოცენებულა და შემდეგ მის ჩაქრობამდე აღარ შეწყვეტილა. სოფელი შედგებოდა ქვის საფუძველზე, ალიზისაგან ნაგები მრგვალი სახლებისაგან, რომლებსაც მიდგმული ჰქონდა სწორკუთხა ნაგებობები. წრიული შენობის ცენტრში ჩვეულებრივ მრგვალი კერა იდგა. ნამოსახლარის გარეთ აღმოჩნდა სამაროვანი.

შენგავითის ნამოსახლარს, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, მთისა და ბარის შეყრის ადგილას მდებარეობდა, უთუოდ გაბატონებული მდებარეობა ეკავა მთელს ამ მხარეში. არარატის ველზე არსებობდნენ უფრო მომცრო ზომის სოფლები, რომლებისთვისაც დამახასიათებელია აგრეთვე მრგვალი ტიპის ნაგებობები. უნდა აღინიშნოს, რომ სომხეთში როგორც ბარში, ისე მთის ზოლში ერთი ტიპის შენობა იყო გავრცელებული — მრგვალი, წრიული, რომლებსაც ზოგჯერ სწორკუთხა მინაშენები ჰქონდა. გარნისის ნამოსახლარი, რომელიც ტიპიური მთის დასახლებაა, შედგებოდა წრიული ფორმის სახლებისაგან, რომლებსაც ოთხკუთხა ნაგებობა ჰქონდა მიდგმული<sup>206</sup>. როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის არსებობის მთელ მანძილზე ცოცხლობს ძველიდან მომდინარე ტრადიცია, წრიული შენობა. იმ დროს, როცა მტკვრის ხეობაში

203 С. А. Е с а я н, Каталог, II, Археологических предметов Музея истории города Ереван, Ереван, 1967, стр. 63.

204 Б. Б. П и о т р о в с к и й, დასახ. ნაშრომი, გვ. 174.

205 С. А. С а р д а р я н, დასახ. ნაშრომი, გვ. 293.

206 Э. В. Х а н з а д я н, Гарни, стр. 167.



ამ პერიოდისათვის სამშენებლო წესში მნიშვნელოვანი გარდატეხა ხდება, მთლიანად იცვლება შენობის ტიპი და განსხვავებული არქიტექტურის ფორმა შემოდის — სწორკუთხა სახლი<sup>207</sup>.

მეტად თავისებურია არარატის ველის ნამოსახლარებზე გამოვლენილი თიხის ჭურჭელი. მისთვის უპირატესად დამახასიათებელია შავპრიალა კერამიკა<sup>208</sup> ღია სარჩულზე და სამნაწილადი ფორმა ჭურჭლისა. ამ კერამიკული კომპლექსის განვითარება თავისებური გზით წავიდა და იგი საგრძნობლად განსხვავდება შიდა ქართლის მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებულ საფეხურზე ჩამოყალიბებული ჭურჭლის ფორმისაგან, რომლისთვისაც ძირითადად წიბომუცლიანი მოხაზულობაა დამახასიათებელი. სხვაობა ჩანს არა მარტო ჭურჭლის ფორმაში, არამედ მისი შემკობის ხასიათშიც. არარატის ველისა და მისი მიმდგომი მხარის ძეგლებისათვის დამახასიათებელია ჩალარულ-ამობურცული ორნამენტი, რომელიც ძირითადად ჭურჭლის წინა მხარეზეა მოთავსებული (სურ. 52). ორნამენტი უპირატესად გეომეტრიული ხასიათისაა, სა-



სურ. 52. თიხის ჭურჭელი არარატის ველიდან.


დაც სპირალს აგრეთვე ერთ-ერთი წამყვანი როლი უკავია. გარდა ჩალარულ-ამობურცული ორნამენტისა გვხვდება, აგრეთვე, ჩალარული, ამოკაწრული და სხვა, სადაც წამყვანი ადგილი ისევ გეომეტრიულ მოტივებს უკავია<sup>209</sup>. შეიძლება ითქვას, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებულ საფეხურზე ჭურჭლის შემკობის წესს არსად ისე მაღალი დონისათვის არ მიუღწევია, როგორც

<sup>207</sup> А. И. Джавахишвили, Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V—III тыс. до н. э., Тбилиси, 1973, стр. 113.

<sup>208</sup> Р. М. Мунчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 79.

<sup>209</sup> Э. В. Ханзаян, Культура Армянского нагорья в III тыс. до н. э., стр. 108.

აქ. ჭურჭლის ფორმა და ორნამენტი მეტისმეტად თავისებურ ელფერს აძლევს ამ კერამიკას. არარატის ველის ძეგლებისათვის შრეშ-ბლური, ეჩმიადინის ქიულ-თაფა და სხვ. დამახასიათებელია ჩალარულ-ამობურცული ორნამენტი, გე-



სურ. 53. ცულები და შუბისმაგვარი იარაღები საქართველოს ტერიტორიიდან.

ომეტრიული სახეები, სპირალი, კონცენტრული წრეები და სხვ. ამოკაწრული ორნამენტი მისთვის ნაკლებადაა დამახასიათებელი. შენგავითში, პორიქით,

უფრო ხშირია ნაკაწრი ორნამენტი, ზოგჯერ, რელიეფურთან კომბინაციაში, აქ, განსაკუთრებით გვიანდელ საფეხურზე, დიდ განვითარებას აღწევს გეომეტრიული სახეები ნაკაწრი ორნამენტისა. ამრიგად, არარატის ველზე და საერთოდ სომხეთის მთიანეთში მტკვარ-არაქსის კულტურის აყვავების ხანაში ჩამოყალიბდა თავისებური სახის კერამიკული კომპლექსი, რომელიც მიუხედავად საერთოდან მომდინარე ტრადიციებიდან საგრძნობი დაცილებისა, მაინც ინარჩუნებს მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკისათვის დამახასიათებელ საერთო იერს ჰერკულის ფორმაში და შემკობის ხასიათში. ამ კერამიკულ კომპლექსში განვითარების რამდენიმე საფეხურს გამოყოფენ და თითოეულ საფეხურს შიგნით კიდევ რამდენიმე ლოკალურ ჯგუფს<sup>210</sup>.

უნდა შეინიშნოს, რომ თუ არარატის ველსა და შიდა ქართლის კერამიკულ კომპლექსებს შორის მტკვარ-არაქსის კულტურის აყვავების ხანაში საგრძნობი სხვაობაა, იგი ჯერ კიდევ ისე ძლიერად არ იგრძნობა ლითონის ნაწარმში. ჩანს, რომ მეტალურგია აქ ერთი საერთო ძირიდან მომდინარეობს. ამ მხრივ საინტერესოა ერთი ტიპის ყუადაქანებული ცული, რომლის ჩამოსახმელი ყალიბი აღმოჩნდა შენგავითის ნამოსახლარზე (სურ. 544). ცულის ეს ფორმა ცნობილია შიდა ქართლიდან — ქულბაქებიდან (ცხინვალი) და სოფ. იალბუზიდან (ცხინვალის რაიონი, სურ. 536). მსგავსი ცული აღმოჩნდა აგრეთვე ლენინაკანთან<sup>211</sup> (სურ. 572). ამავე ტიპისაა, ოღონდ რამდენადმე მასიური, სოფ. ბრდაძორში (მარნეულის რაიონი) ნაპოვნი ცული (სურ. 532)<sup>212</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ცულს ძალიან წააგავს გარნისის ნამოსახლარზე აღმოჩენილი ქვის ყალიბში ჩამოსხმული თაბაშირის ცულის მოდელი (სურ. 541)<sup>213</sup>. ეგებ ამავე ტიპის ცულის ჩამოსახმელია ქიულ-თეფე II ფენაში აღმოჩენილი თიხის ყალიბი<sup>214</sup> (სურ. 542). სავსებით მართებული ჩანს იმ მკვლევართა მოსაზრება, რომლებიც ამ ტიპის ცულს ადგილობრივ მტკვარ-არაქსის კულტურაში ჩამოყალიბებულ ფორმად მიიჩნევენ და რომელიც აქ ჯერ კიდევ III ათასწლეულის პირველ ნახევარში ჩნდება. შემდეგში ამ ცულმა კავკასიის ფარგლებში საკმაოდ ფართო გავრცელება მიიღო<sup>215, 216</sup>.

მტკვარ-არაქსის კულტურისათვის ცულის კიდევ სხვა ფორმაა დამახასიათებელი — ვიწროტანიანი ყუადაქანებული და ყუამილიანი, რომლებიც რამდენადმე უფრო მოგვიანო ხანაში იწყებენ გამოჩენას. ყუადაქანებული ცული, რო-

210 Э. В. Ханзадян, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 109.

211 А. А. Мартыросян, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 25.

212 ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, *ქართველი ტომების ისტორიისათვის...*, გვ. 91.


213 А. А. Мартыросян, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 27.

214 О. А. Абибуллаев, *К вопросу о древнейшей металлургии Азербайджана*, МИА, 125, стр. 68.

215 А. А. Мартыросян, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 27.

216 ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 92.

მელიც ამ ტიპის წინამორბედი ცულებს განვითარების შემდეგი საფეხურია, უფრო მოხდენილი ფორმით გამოირჩევა. განსაკუთრებით დამახასიათებელია იგი საჩხერის ყორღანული სამარხებისათვის (სურ. 55). ვხვდებით მათ შიდა ქართლში ადგილ მასკატ-კომში (სამხრეთ ოსეთი). ამ ტიპის ცული ცნობილია აგრეთვე აფხაზეთის დოღმენებიდან. არარატის ველზე მსგავსი ცული აღ-




სურ. 54. ყალიბები და ტიგელები ამიერკავკასიიდან.

მოჩნდა ეჩმიაძინში (სურ. 57<sub>24</sub>). ახლოა ამ ფორმასთან ერზერუმის მახლობლად, ქარაზის ნამოსახლარზე ნაპოვნი ცული (სურ. 63ა). უფრო გვიან ცულის ეს ვარიანტი ფართოდ ვრცელდება ჩრდილო კავკასიაში, აქედან კი აღმოსავლეთ ევროპაში, სადაც მან საკმაოდ გვიანობამდე შემოინახა თავი <sup>217</sup>.

<sup>217</sup> ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 147.

ამ ტიპის ცულის მხარდამხარ მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანდელ საფეხურზე გავრცელებული იყო, აგრეთვე, ვიწროტანიანი ყუამილიანი ცულები. ცულის ეს ფორმაც კარგადაა ცნობილი ყვირილის ზემო წელის აუზში, საჩხერის ყორღანულ სამარხებში (სურ. 55). ვხვდებით მას, აგრეთვე, შიდა ქართლში:




სურ. 55. ცულები საჩხერის სამაროვნებიდან.

ერთი სოფ. ქვასათალიდან და ორიც სოფ. გუფთიდან (ჯავის რაიონი). აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ყუამილიანი ცულის სხვადასხვა ვარიანტები ჩვენში დიდხანს იყო გავრცელებული, უპირატესად დასავლეთ საქართველოში.

ვიწროტანიანი ყუამილიანი ცულები ცნობილია, აგრეთვე, სომხეთის ზეგანდნაც. ერთი ამგვარი ცული ნაპოვნი იყო ლენინაკანთან, მეორე სევანის ტბის სამხრეთ-დასავლეთ ნაპირთან, ჯოჯ-კოლონის ყორღანში (სურ. 56). ამ ტიპის ერთი ცული ცნობილია ყარსის მხარეში<sup>218</sup>. რამდენადმე უფრო გვიან ყუამილიანი ცული ფართოდ ვრცელდება ჩრდილო კავკასიაში, საიდანაც იგი ევროპაში გადადის, სადაც ეს ფორმა საკმაოდ დიდხანს შემორჩა.

უადრესი ფორმა ყუამილიანი ცულისა ცნობილია წინა აზიაში, სადაც იგი ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისი ხანებიდან უკვე ფართო გავრცელებასღებულობს. როგორც ფიქრობენ, ამ ტიპის ცულების გავრცელების ძირითადი არე სამხრეთიდან კავკასიაზე გადაიდა. აქ ეს ცული, როგორც აღვნიშნავდით, საკ-სურ. 56. ყუამილიანი ცულები სევანიდანღამოდ აღრე იწყებს გამოჩენას III ათასწლეულის შუა და მის მეორე ნახევრის ხანებში. ცულების ეს ფორმა უდაოდ გენეტიურად ძველი შუმერული ყუამილიანი ცულების ტიპებს უკავშირდება და შემდეგში ხდება მისი ადგილობრივი „კავკასიური“ ვარიანტის ჩამოყალიბება.

აღსანიშნავია ერთი კომბინირებული ხასიათის იარაღი—ცულ-წერაქვი, რომელიც აგრეთვე წინააზიური წარმომავლობისა უნდა იყოს<sup>219</sup> და რომელმაც საკმაოდ ფართო გავრცელება მიიღო მტკვარ-არაქსის კულტურაში მის გვიანდელ საფეხურზე. ერთი ამგვარი იარაღი ინახება ლენინაკანის მუზეუმში<sup>220</sup> (სურ. 57<sub>22</sub>). ალავერდში სამშენებლო სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩნდა ცულ-წერაქვი (სურ. 57<sub>21</sub>). აღსანიშნავია ერევნის მახლობლად სულ ახლახან აღმოჩენილი ერთი განძი, სადაც სხვადასხვა ნივთებთან ერთად დიდი ზომის რვა ცულ-წერაქვი იყო<sup>221</sup>. დმანისის რაიონში, მდ. ფინეზაურის მარჯვენა შენაკადის შესართავთან აღმოჩნდა ერთი ამ ტიპის იარაღი. ჯერ კიდევ 1912 წ. ერთი ამგვარი იარაღი ნაპოვნი იყო თიანეთის რაიონში, სოფ. სიმონიანთ ხევში. გარდა ამისა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ორი ცულ-წერაქვი, რომელთა აღმოჩენის ადგილი, სამწუხაროდ, უცნობია (სურ. 58). შიდა ქართლში და მის მიმდგომ მხარეებში ამ ტიპის იარაღი ჯერჯერობით არ აღ-



ლენინაკანიდან.


218 А. А. Мартиросян, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

219 Б. А. Куптин, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, стр. 300.

220 А. А. Мартиросян, დასახ. ნაშრომი, გვ. 32, სურ. 5ა.

221 Р. М. Мунчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 726.


მოჩენილა. ამგვარი იარაღი ცნობილია ჩრდილო კავკასიაში<sup>222</sup> და აგრეთვე ევროპაშიც. გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ეს იარაღი ევროპაში წინა აზიიდან კავკასიის გზით ვრცელდება. კავკასიაში ცულ-წერაქვი თავისებურ სახეს იღებს



სურ. 57. ლითონის ნივთები სომხეთიდან.

<sup>222</sup> P. M. Мунчаев, დასახ. ნაშრ., გვ. 725; В. Г. Котович, В. М. Котович, Находки древних бронзовых топоров в Дагестане. Кавказ и Восточная Европа в древности. Москва, 1973, стр. 77.

და სწორედ ეს კავკასიური სახესხვაობა ამ იარაღისა ვრცელდება ევროპაში. აქ ისეთი სურათი ჩანს, როგორც ყუადაქანებულ-ყუამილიან ცულებთან გვხვდება<sup>223</sup>. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ა. მარტიროსიანმა იმის გამო, რომ თითქოს ამიერკავკასიაში ამ ტიპის იარაღი ძირითადად ალავერდის საბადოების მიდამოებში იყრის თავს, გამოთქვა მოსაზრება, რომ იარაღის ეს ტიპი ალავერდის საწარმოო ცენტრიდან უნდა იყოს გამოსული<sup>224</sup>. რ. მუნჩაევი კიდევ უფრო



სურ. 58. ცულ-წერაქევი საქართველოს ტერიტორიიდან.

შორს მიდის და აღნიშნავს, რომ სომხეთი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რაიონი უნდა ყოფილიყო, საიდანაც კომბინირებული იარაღი, ცულ-წერაქევი, მთელს კავკასიაში ვრცელდება<sup>225</sup>. მაგრამ აქ საინტერესოა მოვიგონოთ ა. გევორქიანის აზრი, რომ ალავერდის სპილენძის საბადო თავისი გეოქიმიური მონაცემებით გვიანბრინჯაოს ხანამდე გამოყენებული არ უნდა ყოფილიყო<sup>226</sup>. როგორც ჩანს, იარაღის ეს ტიპი ამიერკავკასიაში მტკვარ-არაქსის კულტურის ბოლო საფეხურზე ვრცელდება და მის გარკვეულ ტერიტორიას მოიცავს. აზრი, რომ იგი მანცადამაინც სამთამადნო წარმოებასთან დაკავშირებული იარაღი იყო, მთლად სწორი არ გვეჩვენება; უფრო მართებული უნდა იყოს მოსაზრება, რომ იგი ფართო სამეურნეო საქმიანობაში გამოიყენებოდა<sup>227</sup>.

გარდა ხერელიანი ცულისა მტკვარ-არაქსის კულტურაში ცნობილია აგრეთვე ბრტყელი ცულიც. როგორც ჩანს, ამ ტიპის ცულმა აქ მანცადამაინც ფარ-

<sup>223</sup> ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში, თბილისი, 1955, გვ. 99.

<sup>224</sup> А. А. Мартirosян, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.


<sup>225</sup> Р. М. Мунчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 727.

<sup>226</sup> А. Ц. Геворкян, Древнейшая металлургия и горное дело в Армении. Автореферат. Москва, 1972, стр. 6.

<sup>227</sup> Д. Л. Коридзе, Новые находки медных орудий в Квемо Картли; СА, I, Москва, 1958, стр. 135.



თო გავრცელება ვერ მიიღო და იგი უმთავრესად ამ კულტურის გვიანდელ საფეხურზე გვხვდება, თუმცა ამ ტიპის ცულის ჩამოსასხმელი თიხის ყალიბი აღმოჩნდა ქვაცხელების C<sub>1</sub> ფენაში<sup>228</sup> (სურ. 54<sub>6,7</sub>). გვხვდება ბრტყელი ცულის ორი ვარიანტი შედარებით ფართო და მოკლე და უფრო მოგრძო და ტანვიწრო. ტანვიწრო ცალი ამ იარაღისა აღმოჩენილი იყო საჩხერეში. ფორმით მასთან ახლოს დგას ქარაზის ნამოსახლარის ზედა ფენაში ნაპოვნი ბრტყელი ცული და აგრეთვე პულურში აღმოჩენილი ამ ტიპის იარაღი<sup>229</sup>. სხვა ყველა დღემდე ცნობილი ცალები შედარებით მოკლე და ფართოა. ჩანს, ამ ტიპის ბრტყელი ცულის ჩამოსასხმელი უნდა ყოფილიყო ქვაცხელას თიხის ყალიბი. ამგვარი ცულები აღმოჩნდა ჩვენში ქვემო ქართლში გათხრილ ორ ყორღანში — ერთი თეთრწყაროსთან<sup>230</sup> (სურ. 59<sub>7</sub>), მეორე კი შულავერის მახლობლად, ზემო სა-



სურ. 59. ბრინჯაოს იარაღი: 1—5 ქვემო სარაღიდან, 6—8 ნადარბაზევიდან, 9—10 ბელენიდან.

რალში (59<sub>4</sub>). ერთი მსგავსი ცული ნაპოვნია თბილისში, დიღომთან. აღსანიშნავია აზერბაიჯანში, ასტარინის რაიონში, სოფ. ტელმანთან ყორღან № 1 აღმოჩე-

<sup>228</sup> აღ. ჯავეახიშვილი, ლ. დლონტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 68.

<sup>229</sup> Dr. Hamit Zübeyr Kosay, Dr. Hermann Vary, Die Ausgrabungen von Pulur, გვ. 67, ტაბ. L.

<sup>230</sup> ც. აბესაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

ნილი ორი ამგვარი ცული<sup>231</sup> (სურ. 60). უნდა შევნიშნოთ, რომ თეთრი წყაროს და სარალის ყორღანები დროით III ათასწლეულის ბოლოს მიეკუთვნებიან, მტკვარ-არაქსის კულტურის სულ მიწურულ ხანას. არც ტელმანთან გათხრილი ყორღანი უნდა იყოს ასაკით მაინცადამაინც შორს წასული და იგი III ათასწლეულის მეორე ნახევარს უნდა მიეკუთვნებოდეს. არარატის ველზე და საერთოდ სომხეთის ზეგანზე ამ ტიპის იარაღი დღემდე ცნობილი არ არის. უნდა აღინიშნოს, რომ ბრტყელმა ცულმა უფრო ფართო გავრცელება მაიკოპის კულტურის ხანაში ჩრდილო კავკასიაში ჰპოვა<sup>232</sup>.

მტკვარ-არაქსის კულტურის რამდენადმე მოგვიანო სტადიაზე ამიერკავკასიაში გავრცელებას იწყებს ე. წ. შუბისმაგვარი იარაღი. იგი აქ, როგორც ჩანს, წინა აზიიდან შემოდის, სადაც ამ ტიპის იარაღი ფართოდ იყო გავრცელებული ძვ. წ. III ათასწლეულში. ამიერკავკასიაში ამ იარაღის ორი ვარიანტი გვხვდება: სწორღეროიანი და მოკაულღეროიანი. სწორღეროიანი შუბისმაგვარი იარაღი ჩვენში ცნობილია ახალციხიდან (სურ. 53<sub>13</sub>), ოსპრისიდან (ცხინვალის მახლობლად) (სურ. 53<sub>14</sub>), საჩხერიდან (სურ. 62) და სევანეთიდან<sup>233</sup> (სურ. 53<sub>12</sub>). როგორც ჩანს, ამ ტიპის იარაღის ჩამოსახსნელი უნდა ყოფილიყო ამირანის გორაზე მოპოვებული თიხის ყალიბის ფრაგმენტი<sup>234</sup>. სწორღეროიანია აგრეთვე სევანთან ნაპოვნი იარაღი (სურ. 57). ორი სწორღეროიანი შუბისმაგვარი იარაღი იდო ასტარინის რაიონში (აზერბაიჯანი) გათხრილ ყორღანში<sup>235</sup> (სურ. 60). ახლოს დგას მათთან ჩრდილო კავკასიაში, ნოვოსვობოდნაის ყორღანში და დაღესტანში, ჩირკეისკოეს ნამოსახლარზე აღმოჩენილი შუბისმაგვარი იარაღი<sup>236</sup> (სურ. 61).

რაც შეეხება ბლომოდუნულ შუბისმაგვარ იარაღებს, მათგან მხოლოდ ერთის აღმოჩენის ადგილია ცნობილი. ზაქესში ამ იარაღთან ერთად ნაპოვნი იყო არქაული ფორმის ცული (სურ. 53<sub>15</sub>). დანარჩენი ორი ამ ტიპის იარაღის აღმოჩენის ზუსტი ადგილი ცნობილი არ არის. ერთი მათგანი ინახება

231 Ф. А. Махмудов, Р. М. Мунчаев, И. Г. Нариманов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 22, სურ. 5.

232 იქვე, გვ. 22.

233 ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების აღრეულ საფეხურზე, გვ. 161; ც. ლ ა შ ხ ი, არქაული შუბისპირი, საბჭოთა ხელოვნება, № 7, თბილისი, 1968, გვ. 81.

შ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, სპილენძის უძველესი იარაღები სევანეთიდან, საისტორიო კრებული, II, თბილისი, 1971, გვ. 313.


234 К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 124, სურ. 40, 13.

235 Ф. А. Махмудов, Р. М. Мунчаев, И. Г. Нариманов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 21, სურ. 5.

236 Т. Б. Попова, *Дольмены станицы Новосвободной*. Москва, 1963, стр. 31, табл. XI, I; *История Дагестана*, I, Москва, 1967, стр. 63, рис. 16.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, მეორე კი—მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში.

შუბისმაგვარ იარაღს ქვემო სვანეთიდან შ. ჩართოლანი ღილისებურ ყუნწიან ტიპად მიიჩნევს. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ მართებული ჩანს ლ. სახაროვას შენიშვნა, რომ ღილაკი ამ იარაღმა უფრო დეფორმაციის შედეგად მიიღო<sup>237</sup>.



სურ. 60. იარაღები ასტარინის ყორანიდან.




სურ. 61. შუბისმაგვარი იარაღები დაღესტანიდან.

ჩვენში ღილისებურბოლოიანმა შუბისმაგვარმა იარაღებმა გავრცელება ვერ ჰპოვა.

კიდევ ერთი წინააზიური ტიპის იარაღი გვხვდება ამიერკავკასიაში მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანდელ საფეხურზე. ეს არის ე. წ. ხიშტიისმაგვარი იარაღი, ფართოდ გავრცელებული მთელ წინა აზიაში ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან. წინააზიურთან დგას ახლოს საჩხერეში, ცარცის გორაზე აღმოჩენილი

<sup>237</sup> შ. ჩართოლანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 319. ლ. სახაროვა, უძველესი საბრძოლო იარაღის ისტორიისათვის, გვ. 84.

გრძელი ხიშტიისმაგვარი იარაღი <sup>238</sup> (სურ. 62). ამიერკავასიაში ცნობილი სხვა ცალები ამ იარაღისა გაცილებით უფრო მოკლეებია. ერთი მოკლე ხიშტიისმაგ-



სურ. 62. ლითონის იარაღი საჩხერის სამაროვნიდან.

ვარი იარაღი აღმოჩნდა ქვატხელას ნამოსახლარზე (სურ. 64), ერთიც კიდევ უფრო მოკლე ნაპოვნია ქიულ-თეფე II (სურ. 66), ერთიც რამდენადმე განსხვავე-

<sup>238</sup> ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 159.

ბული ცალი ცნობილია ხაზბულადის ყორღანიდან (აზერბაიჯანი)<sup>239</sup>. ჩრდილო კავკასიაში სადღეისოდ მხოლოდ ერთადერთი ამ ტიპის იარაღია აღმოჩენილი დაღესტანში ზემო გუნების ნამოსახლარზე<sup>240</sup> (სურ. 61).

მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანდელ საფეხურზე ჩვენში გვხვდება სატეხისმაგვარი იარაღი. სადღეისოდ ცნობილი ყველა ცალები ამ ტიპის იარაღისა საქართველოს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. ერთი ამგვარი იარაღი აღმოჩნდა საჩხერეში (სურ. 62), ერთიც შემთხვევით ზეკარში. ვხვდებით მათ, აგრეთვე, ქვემო ქართლში გათხრილ ყორღანებში თეთრ წყაროსთან<sup>241</sup> (სურ. 59გ), სარალის ყორღანში (სურ. 59ვ) და აგრეთვე ბედენის ყორღანში<sup>242</sup> (სურ. 59ი). ჩრდილო კავკასიაში მსგავსი იარაღი ცნობილია ნოვოსვობოდნაის ყორღანიდან (სურ. 99ჟ). საერთოდ, როგორც ჩანს, ეს ტიპი იარაღისა სამხრეთიდან ვრცელდება<sup>243</sup>.

მტკვარ-არაქსის კულტურაში ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული იარაღია სატევერის პირი. ეს იარაღი ამ კულტურაში მის განვითარებულ საფეხურზე იწყებს გამოჩენას და განსაკუთრებით ფართო გავრცელებას ამიერკავკასიაში ყვირილის ზემო წელის აუზში და შიდა ქართლში აღწევს. საჩხერის ყორღანულ სამაროვნებზე კარგადაა ცნობილი პრაიმითიული სატევერის პირები, ტარის დასაგები ყუნწით. ეს სატევერის პირები სხვადასხვა ზომისაა, ზოგი მომცრო, ზოგიც უფრო მოზრდილი. ამათგან აღსანიშნავია შედარებით მოზრდილი ცალები, რომლებიც გამოირჩევიან უფრო მოხდენილი ფორმით (სურ. 62). მსგავსი სატევერის პირები ცნობილია შიდა ქართლიდან: ერთი ცხინვალთან, მეორე კი ლიკანიდან<sup>244</sup>. ახლოს დგას მათთან აგრეთვე ამირანის გორაზე მოპოვებული ორი სატევერის პირი<sup>245</sup> (სურ. 46). ორი მომცრო სატევერის პირი ცნობილია ხიზანანთ გორიდან<sup>246</sup>. ერთი პატარა სატევერის პირი აღმოჩნდა ქვაცხელებზე<sup>247</sup> (სურ. 64).

სომხეთის ზეგანზე, არარატის ველზე ამ ტიპის იარაღი მაინცაღამაინც ცნობილი არ არის<sup>248</sup>. რამდენადმე სხვა ტიპის სატევერის პირი ნაპოვნი იყო

239 И. Нариманов, Г. Исмаилов, Археологические раскопки в Хачбулаге в 1959 г., Изв. АН Аз. ССР, № 3, Баку, 1961, стр. 25.

240 В. М. Котович, Верхнегубинское поселение. Махачкала, 1965, стр. 137, рис. 50.

241 ც. ა ბ ე ს ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 42, 45.

242 გ. გ ო ბ ე ჭ ი შ ვ ი ლ ი, ბედენის აკლამა, ძეგლის მეგობარი, № 12, თბილისი, 1967, გვ. 13—22.

243 ო. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 169.

244 იქვე, გვ. 154.


245 ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, ამირანის გორა, გვ. 53, სურ. 11.

246 ი. კ ი კ ვ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 77, სურ. 1.

247 აღ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ლ. დ ლ ო ნ ტ ი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XX XVI.

248 Э. В. Ханзадян, Культура Армянского нагорья в III тыс. до н. э., стр. 107.

ელარში (სურ. 57<sub>2</sub>—7). ორი პრიმიტიული სატევრის პირი აღმოჩნდა ქარაზში (სურ. 63<sub>1,2</sub>)<sup>249</sup>. ურმიისპირეთში ერთი პატარა სამკუთხა სატევრის პირი ნაპოვნი იყო გეო-თეფეში<sup>250</sup>, მეორე კი შედარებით მოზრდილი, ყუნწიანი სატევრის პირი იანიქ-თეფეში<sup>251</sup> (სურ. 63<sub>5</sub>).



სურ. 63. ლითონის ნივთები ქარაზიდან და იანიქ-თეფედან.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საჩხერეში აღმოჩენილი ორი ლითონის-ტარიანი სატევრის პირი (სურ. 62). ორივეს ტარი საკმაოდ რთული ორნამენტი-თაა შემკული. საინტერესოა, რომ ქვაცხელების C ღონის ერთ-ერთი საცხოვრებლის იატაკზე ნაპოვნი იყო მოზრდილი წითელპირილა ქურკლის ფრაგმენტი, სატევრის რელიეფური გამოსახულებით, რომელიც სავსებით ისეთივეა, როგორიც საჩხერის ერთ-ერთი ლითონისტარიანი სატევარი. მსგავსი ლითონისტარიანი სატევრები მტკვარ-არაქსის კულტურაში ჯერჯერობით ცნობილი არ არის. რამდენადმე უახლოვდება საჩხერულ ცალებს ჩრდილო კავკასიაში, სტანიცა კონსტანტინოვკაში ნაპოვნი ლითონისტარიანი სატევარი, აგრეთვე შემკული სახელურით<sup>252</sup>.

აღსანიშნავია, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებულ საფეხურზე გავრცელებას იწყებს ლითონის ნამგალი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მიუ-


<sup>249</sup> H. Z. Kosay, K. Turfan, Erzerum-Karaz kazisi raporu, Belleten, XXIII, Ankara, 1959, გვ. 349.

<sup>250</sup> T. Burton Brown, Excavations in Azarbaijan, 1948, გვ. 47.

<sup>251</sup> C. A. Burney, Excavations at Yanik Tepe, North-West Iran, Iraq, Vol. XXXIII, 1961, ტაბ. LXXIV, 55.

<sup>252</sup> ი. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

ხედავად იმისა, რომ ეს იარაღი ჩვენში და საერთოდ ამიერკავკასიაში საქმოდ აღრე ჩნდება, ბრინჯაოს ხანაში მაინცადამაინც ფართო გავრცელება ვერ მიიღო, იმის გამო, რომ, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ი. კიკვიძე, სათანადო კონკურენცია ვერ გაუწია კაქის ნამგალს<sup>253</sup>. სწორი ჩანს ის ვარაუდი, რომ ეს იარაღი წინა აზიის გავლენით ვრცელდება<sup>254</sup>. ერთი ნამგალი ცნობილია ხიზანანთ გორიდან. რომელიც, როგორც ფიქრობენ, უფრო ნახევარფაბრიკატი უნდა იყოს (სურ. 64); ამირანის გორაზე შედარებით კარგად დაცული ნამგალი აღ-



სურ. 64. ლითონის ნივთები ურბნისიდან.

მოჩნდა<sup>255</sup>. ერთი ნამგალი ცნობილია ქიულ-თეფე II (სურ. 66) და ერთიც გარნისის ნამოსახლარიდან (სურ. 5720). თითო ნამგალი აღმოჩნდა ქარაზის და პულურის ნამოსახლარებზე (სურ. 652)<sup>256</sup>.


<sup>253</sup> ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 77.

<sup>254</sup> К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 127.

<sup>255</sup> ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

<sup>256</sup> Н. Z. Kosay, Н. Vary, დასახ. ნაშრომი, გვ. 67. ტაბ. L.

გარდა იარაღისა მტკვარ-არაქსის კულტურის აყვავების ხანაში ფართოდ ვრცელდება ლითონის სამკაულიც. ჩნდება ადგილობრივ ჩამოყალიბებული ფორმები სამკაულისა. პირველ რიგში ეს ითქმის სხვადასხვა ტიპის ქინძისთავეებზე. ამ სამკაულის განსაკუთრებული მრავალგვარობა შიდა ქართლსა და მის მიმდგომ მხარეების ძეგლებზე ჩანს. შიდა ქართლისათვის დამახასიათებელია ქინძისთავეები დაბრტყელებული თავით, რომლის ბოლო სპირალით მთავრდება. ამ ტიპის ქინძისთავეები აღმოჩნდა ურბნისის ერთ-ერთ სამარხში<sup>257</sup>, ქვაცხელების სამაროვნის № 5 სამარხში (სურ. 64). მსგავსი საკინძი უნდა იყოს ძალიანს ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილი საკინძიც. ორი ამგვარი საკინძი ნაპოვნი იყო აგრეთვე ქვემო ქართლში, შულავერთან, ლაით-მაზის ნამოსახლარზე (სურ. 47გ.გ). ახლოს დგას ამ საკინძთან ქორეთის ყორღანში ნაპოვნი ერთი საკინძი, რომლის ორივე ბოლო სპირალით მთავრდება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის საკინძები სხვაგან ჯერჯერობით ცნობილი არ არის და შეიძლება დაუშუალო, რომ საკინძის ეს ფორმა ძირითადად შიდაქართლური წრისათვისაა დამახასიათებელი.



სურ. 65. ბრტყელი ტული და ნამგალი პულურიდან

რაც შეეხება მეორე ტიპის საკინძებს ორმაგი სპირალური თავით, ისინი მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანდელ საფეხურზე იწყებენ გამოჩენას. ეს ტიპი ქინძისთავისა, ე. წ. „ცხვრის რქისებრი“ დახვეული თავით, ჩანს, ძირითადად ისევე შიდაქართლური წრისთვისაა დამახასიათებელი. მისი უადრესი ცალეები გვხვდება საჩხერეში; ქვასათალში რამდენიმე ამგვარი საკინძი აღმოჩნდა ერთ-ერთ სამარხში მტკვარ-არაქსული ტიპის ჭურჭელთან ერთად. უფრო ფართო გავრცელებას პოულობს ეს ქინძისთავი შუაბრინჯაოს ხანაში. ამავე დროს ჩნდება იგი აგრეთვე ჩრდილო კავკასიაშიც. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქინძისთავი ორმაგი სპირალური თავით ფართოდ იყო გავრცელებული წინა აზიაში, ევროპაში და სხვ.<sup>258</sup>

მდ. ყვირილის ზემო წელის ყორღანული სამარხებისათვის კიდევ ორი ტიპის ქინძისთავი იყო დამახასიათებელი: ერთი მარყუჟისებრი თავით, მეორე კი T-მაგვარი. ორივე ეს ტიპი ქინძისთავისა გამოირჩევა თავისი დიდი ზომით. მარყუჟისებრთავიანი გარდა საჩხერისა ამიერკავკასიაში დღემდე ერთადერთ-


257 ლ. კილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, თბილისი, 1964, გვ. 20.

258 ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 174.



თია ცნობილი შიდა ქართლიდან, ძალინას სამაროვნიდან, ისიც შედარებით პატარა ზომისა. საერთოდ კი ამ ტიპის ქინძისთავმა ფართო გავრცელება ჰპოვა. ვხვდებით მას წინა აზიასა და ევროპაში<sup>259</sup>.

რაც შეეხება T-მაგვარ ქინძისთავებს ისინი აღრებრინჯაოს ხანაში სადღეისოდ მდ. ყვირილის ზემო წელის



სურ. 66. ლითონის ნივთები ნახიჩევანის ქიულ-აუფედან.

აუზს გარდა, სადაც საკმაოდ კარგად არის წარმოდგენილი ამ რაიონის ყორღანულ სამაროვნებზე, სხვაგან მხოლოდ ერთადერთი ცალია ცნობილი ქვაცხელას B დონიდან<sup>260</sup>. მომდევნო, შუაბრინჯაოს ხანაში ქინძისთავის ეს ტიპი ჩნდება ჩრდილო კავკასიაში. ეჭვი არ არის, რომ იგი აქ სამხრეთიდან ვრცელდება. სწორი ჩანს ის აზრი, რომ T-მაგვარი ქინძისთავი ადგილობრივ უნდა ჩამოყალიბებულიყო მტკვარ-არაქსის კულტურის რამდენადმე მოგვიანო საფეხურზე და შიდაქართლური წრისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი<sup>261</sup>.

მტკვარ-არაქსის კულტურის შიდაქართლური არისათვის სხვადასხვა სახის ლითონის სამკაულია დამახასიათებელი: სასაფეთქლურგოლები, სპირალური სამაჭურები


რები (სურ. 67), სხვადასხვა ტიპის საკიდები, მიწეები და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ არარატის ველის და საერთოდ ლომხეთის მთიანეთისათვის მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანდელ ხანაში ლითონის ნაწარმის ამგვარი სიუხვე დამახასიათებელი არ არის. ამიტომ ცოტა არ იყოს უცნაურად გამოიყურება ზოგიერთი ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ სამხრეთ კავკასიაში III ათასწლეულში განსაკუთრებით ძლიერი მეტალურგიული კერა ლომხეთის მთიანეთში არსებობდა, რომელიც უკვე ძველი აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაზე

<sup>259</sup> თ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 174.

<sup>260</sup> Л. Глonti, А. Джавахишвили, Г. Джавахишвили, Я. Киквидзе, Д. Тушабрамишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 5, ტაბ. 1, 8.

<sup>261</sup> თ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 171.

კი ამარაგებდა ლითონით<sup>262</sup>, როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებულ საფეხურზე აქ არსებობდა თავისი მეტალურგიული ცენტრი, რომელსაც ბევრი საერთო აქვს ამიერკავკასიის სხვა ოლქებთან, სადაც არა ნაკლები სიძლიერის კერები არსებობდა. მაგრამ ამ კულტურის მოგვიანო ეტაპზე, ჩანს, სხვა ცენტრები უფრო წინაურდება. ყოველ შემთხვევაში, სადღეისოდ არსებული მასალით ისე ჩანს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანდელ საფე-



სურ. 67. ქინძისთავეები და სამაჭურები საჩხერის სამაროვებიდან.

ხურზე ერთ-ერთი უძლიერესი მეტალურგიული კერა მდ. ყვირილის ზემო წელზე უნდა არსებებულიყო<sup>263</sup>, რომელიც ამ კულტურის შიდაქართლურ წრეში შედიოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ არარატის ველზე ჩამოყალიბებული მტკვარ-არაქსის კულტურის ვარიანტი ფართო გავრცელებას პოულობს. ამ კულტურის აყვავების ხანის უფრო მოგვიანო საფეხურზე იგი მოიცავს მთლიანად სომხეთის მთიანეთსა და მის მომიჯნავე ოლქებს. მისი გავლენის ქვეშ ექცევა ქვემო ქართლი,

<sup>262</sup> К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 136.

<sup>263</sup> ც. აბესაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 108.

განსაკუთრებით მისი ვაკე. აქ შულავერის მიდამოებში „დანგრეულ გორაზე“ აღმოჩნდა შესანიშნავი კერამიკა, რომელიც ძალიან ახლოს დგას უფრო სამხრეთით, არარატის ველზე გავრცელებულ თიხის ჭურჭელთან როგორც ფორმით, ისე შემკობის ხასიათით<sup>264</sup>. ასეთივე კერამიკა ნაპოვნი იყო „დანგრეული გორის“ მახლობლად შესწავლილ ლაითმაზის ნამოსახლარზე. თბილისის ტერიტორიაზე, ბაქტერიოფაგთან აღმოჩნდა ასეთივე თიხის ჭურჭელი<sup>265</sup>, რომელიც ბევრ საერთოს პოულობს შენგავითისა და შრეშ-ბლურის ტიპის კერამიკასთან. სამხრეთ ამიერკავკასიური გავლენა ჩანს არა მარტო ქვემო ქართლის ბარში, არამედ მის მთისა და მთისწინა ზოლშიც. ჩადარულ-ამობურცული ორნამენტით შემკული ჭურჭელი აღმოჩნდა თრიალეთში, ბეშთაშენის ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე. ერთი ფრაგმენტი თხელკედლიანი შავპრიალა ჭურჭლისა ამავე ორნამენტით შემკული აღმოჩნდა ოზნის ნამოსახლარზე. დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე ნაპოვნი იყო ამ ტიპის ჭურჭლის ნატეხი<sup>266</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ შიდა ქართლში ამ სამხრეთული ვარიანტის გავლენა თითქმის არ შეინიშნება. ქვეცხელების ნამოსახლარზე B<sub>1</sub> ფენაში მხოლოდ ერთი ფრაგმენტი აღმოჩნდა მოზრდილი ქილისა, რომელზედაც მსგავსი ორნამენტი გვხვდება<sup>267</sup>. ამ ვარიანტის გარკვეული ზეგავლენა შეინიშნება ამირანის გორაზე, თუმცა იგი არც თუ ისე ძლიერხ უნდა ყოფილიყო<sup>268</sup>. აქ თითქმის არ ჩანს სამნაწილადი ფორმა ჭურჭლისა, ესოდენ დამახასიათებელი არარატის ველის ძეგლებისათვის და არც ჩადარულ-ამობურცული ორნამენტია დამახასიათებელი.

როგორც ჩანს, ქვემო ქართლის მომიჯნავე, თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოქცეული რაიონიც მტკვარ-არაქსის კულტურის სამხრეთ-დასავლური, არარატის ველის ვარიანტის სფეროში ექცევა. ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა ყაზახის რაიონში მდებარე ბაბადერვიშის ბორცვის შესწავლისას. გამთხრელის აზრით, ბაბადერვიში II ძალიან ბევრ საერთოს პოულობს სომხეთში გამოვლენილ ძეგლებთან. ამავე დროს იგი გარკვეულ სიახლოვეს ხედავს აგრძევე დიდუბე-კიკეთის ჯგუფის ძეგლებთან. იგი ფიქრობს, რომ აქ გამოვლენილი მტკვარ-არაქსის კულტურის ფენა ერთი პერიოდისაა, მიეკუთვნება შედარებით ადრეულ ხანას—IV—III ათასწლეულების მიჯნას და საერთოდ აქ ორი-სამი თაობა უნდა მჯდარიყო<sup>269</sup>. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მისი მოსაზრე-

<sup>264</sup> ლ. ლლონტი, თ. კილურაძე, დანგრეული გორა, ძეგლის მეგობარი, № 30, თბილისი, 1972, გვ. 56.

<sup>265</sup> Г. Б. Авалишвили, Энеолитическое поселение в окрестностях Тбилиси. Археологический сборник. Тр. VII Всесоюзной студенческой конференции. Ленинград, 1964, стр. 32.

<sup>266</sup> ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

<sup>267</sup> ალ. ჭავჭავაძე, ლ. ლლონტი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. IV, 138.

<sup>268</sup> ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

<sup>269</sup> Г. С. Исмаилов, Археологические исследования древнего поселения Баба-Дервиш (III тыс. до н. э.), ხელნაწერი.

ბა მთლად მართებული არ უნდა იყოს და არ ცდებიან მკვლევრები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ბაბადერვიშზე მტკვარ-არაქსის კულტურის ფენაში სულ ცოტა ორი ეტაპი მაინც უნდა გამოიყოს: შედარებით ადრეული, რომელიც სწორედ დიდუბე-კიკეთის ჯგუფთან ავლენს გარკვეულ სიახლოვეს და მეორე კი უფრო გვიანი, ამ კულტურის ბოლო ხანისა. შესაძლოა მართლაც ამ ნამოსახლარზე ცხოვრება პირველი ეტაპის შემდეგ შეწყვეტილა და მისი ხელმეორედ ათვისება უკვე მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანდელ საფეხურზე მოხდა<sup>270</sup>. აქ აღმოჩენილი კერამიკა მსგავსებას ავლენს შენგავეითის ტიპის ძეგლებთან, განსაკუთრებით შემკობის ხასიათის მიხედვით. აქაც გვხვდება მსგავსი ამოკაწრული, ჩაღარულ-ამოღარული და აგრეთვე კომბინირებული, ორივე სახის შერწყმის შედეგად მიღებული ორნამენტი. ამრიგად ბაბადერვიშზე თითქოს ისე ჩანს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა აქ ადრე ქვემო ქართლთან, დიდუბე-კიკეთის ჯგუფთან ავლენს მეტ საერთოს. მერე კი, უფრო გვიან, ისევე როგორც ქვემო ქართლში, აქაც სომხეთის ვარიანტი ბატონდება.

როგორც ცნობილია, მტკვარ-არაქსის კულტურის გავლენის ქვეშ ექცევა ამიერკავკასიის სამხრეთით მდებარე აღმოსავლეთ ანატოლიის საკმაოდ ფართო ტერიტორია და ზოგიერთი მკვლევარი ამ კულტურის წარმოშობის ერთ-ერთ ძირითად ცენტრს აქ ეძებს. მაგრამ, ზევით უკვე აღვნიშნავდით, რომ ეს მოსაზრება მართებული არ უნდა იყოს იმის გამო, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა აქ უკვე საკმაოდ განვითარებული სახით წარმოგვიდგება. ამ პერიოდის ძეგლები აქ გამოვლენილია ყარსის ოლქში, ელიაზიგ-მალათის მხარეში, მუშის ველზე, ვანის ტბის სანახებში, იგდირის რაიონში და სხვ. სადღეისოდ არსებული მასალებით ისე ჩანს, რომ ამ მხარის ათვისება მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებულ საფეხურზე იწყება. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის ძეგლები აქ როგორც გათხრებით, ისე არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად კარგადაა გამოვლენილი, ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული, დიდუბე-კიკეთის ჯგუფის მასალები ცნობილი არ არის. ამ კულტურის გამოჩენამდე აღმოსავლეთ ანატოლიაში გავრცელებული იყო განსხვავებული ხასიათის ენეოლითური კულტურა, რომელიც ნაკლებად უკავშირდება ამიერკავკასიაში გამოვლენილ ადრესაშიწათმოქმედო კულტურას და არც მტკვარ-არაქსის კულტურასთან შეიმჩნევა რაიმე საერთო. ამიტომაც, საფიქრებელია, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელება სამხრეთით მისი პირველადი ცენტრიდან, ამიერკავკასიიდან, ადრეული, ენეოლითური ეტაპის გავლის შემდეგ, განვითარებული საფეხურის ხანაში იწყება. გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ აღმოსავლეთ-ანატოლიური ადრე ბრინჯაოს ხანის კერამიკა (მტკვარ-არაქსის ტიპის) აქ უნდა გამოჩენილიყო დაახლოებით 3000 წ. ძვ. წ.<sup>271</sup>. ეს თარიღი ძირითადად მართებული უნდა იყოს.

<sup>270</sup> К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

<sup>271</sup> С. А. Burney, დასახ. ნაშრომი, გვ. 167.

ეს სწორედ ის ხანაა, როდესაც, როგორც ჩანს, ამიერკავკასიაში მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებული საფეხური ისახება. როგორც უკვე ზევით აღვნიშნავდით, ამ ხანიდან ვრცელდება ეს კულტურა ფართოდ ამიერკავკასიაში და აგრეთვე მისი უფრო სამხრეთით შეღწევა იწყება. აღმოსავლეთ ანატოლიაში, სადაც იგი აღრებრინჯაოს კულტურის სახელითაა ცნობილი, მის სამ პერიოდს გამოყოფენ. აღრებრინჯაოს I პერიოდისათვის სხვა ნიშნებთან ერთად ერთ-ერთ დამახასიათებელ თავისებურებად მიჩნეულია რელიეფური და ჩაღარულ ამობურცული ორნამენტი<sup>272</sup>. შემდეგ პერიოდში, აღრებრინჯაო II, ერთგვაროვანი ხასიათი ამ კულტურისა რღვევას იწყებს. ამ დროისათვის რელიეფური ორნამენტი თითქმის მთლიანად ქრება. გამოჩენას იწყებს ნახევრადსფეროსებრი ე. წ. „ნახიჩევანის ტიპის“ ყურები და სხვ<sup>273</sup>. ამ კულტურის საბოლოო დაშლა აღმოსავლეთ ანატოლიაში, განსაკუთრებით ელიაზიგ-მალათიის რაიონში, აღრებრინჯაოს III პერიოდში ხდება, როდესაც გამოჩენას იწყებს ახალი ტიპის მობატული კერამიკა<sup>274</sup>.

აღმოსავლეთ ანატოლიის მტკვარ-არაქსის კულტურის ამგვარად წარმოდგენა ძირითადად სწორი უნდა იყოს. ეს კულტურა აქ აღრებრინჯაოს ეტაპზე იწყებს გავრცელებას და მასში რამდენიმე საფეხურის გამოყოფა შეიძლება. მაგრამ მისი განვითარება აღმოსავლეთ ანატოლიაში ცოტა სხვაგვარად წარმოგვიდგება და იგი განხილული უნდა იყოს ამიერკავკასიასთან კავშირში. სწორედ ამიერკავკასიური მასალების გათვალისწინების საფუძველზე იქნება შესაძლებელი უფრო ნათელი სურათის წარმოდგენა აღმოსავლეთ ანატოლიაში მტკვარ-არაქსის კულტურის გამოჩენის, გავრცელებისა და განვითარების შესახებ.

რა თქმა უნდა, აღმოსავლეთ ანატოლიის ყველა მხარე ერთდროულად ათვისებული არ უნდა ყოფილიყო. ზოგან მტკვარ-არაქსის კულტურა უფრო აღრე გამოჩნდა, ზოგან, ალბათ, უფრო გვიან. ინგლისელი არქეოლოგის ჩ. ბიორნის აზრით, ვანის ტბის მხარეში ეს კულტურა შედარებით გვიან იჩენს თავს, ძირითადად აღრებრინჯაოს II ხანაში<sup>275</sup>. იგდირის ველზე აღმოჩენილი მასალაც უპირატესად აღრებრინჯაო II მიეკუთვნება<sup>276</sup>. ელიაზიგის რაიონში აღრებრინჯაო I და II საკმაოდ კარგადაა წარმოდგენილი<sup>277</sup>. ჩანს ეს პერიოდები აგრეთვე მალათიის მხარეშიც. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიურ მასალებთან შედარება-შეჯერების გზით მტკვარ-არაქსის კულტურის აღმოსავლეთ ანატოლიაში გავრცელების ცოტა სხვაგვარი სურათი ისახება.

როგორც აღვნიშნავდით, ანატოლიის აღმოსავლეთ ნაწილში ამიერკავკასი-

<sup>272</sup> C. A. Burney, დასახ. ნაშრომი, გვ. 167.

<sup>273</sup> იქვე, გვ. 168.


<sup>274</sup> იქვე, გვ. 169.

<sup>275</sup> იქვე, გვ. 179.

<sup>276</sup> იქვე, გვ. 187.

<sup>277</sup> იქვე, გვ. 193.

რსათვის დადგენილი მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკის უადრესი ფორმები, დიდუბე-კიკეთის ჭგუფი, ჭერ კიდევ ცნობილი არ არის. პირველი გამოჩენა ამ კულტურისა ამ მხარეში იმ დროს ხდება, როდესაც ამიერკავკასიის ფართო ათვისება მიმდინარეობს, მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებული საფეხურის დასაწყის ხანებში; რამდენადმე უფრო გვიან იწყება ამ კულტურის კიდევ უფრო სამხრეთით გავრცელება იგდირის მხარეში, მალაქლუსთან. ჭერ კიდევ პეტროვის მიერ 1913 წ. შეგროვილ მასალაში შესაძლებელია უფრო ტლანქი კერამიკის გამოყოფა, რომელიც გარკვეულ ურთიერთობას ამჟღავნებს მტკვარ-არაქსის კულტურის შედარებით ადრეულ ჭგუფთან<sup>278</sup>. ადრეულ იერს ატარებს აგრეთვე გეოქჩელიში მოპოვებული რამდენიმე ჭურჭელი. მაგრამ იგდირის ველის ათვისება მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებულ საფეხურზე ხდება. აქ უკვე გვხვდება არარატის ველისათვის დამახასიათებელი კერამიკა შემკული ჩაღარული ორნამენტით. ამ ტიპის კერამიკა აღმოჩნდა მალაქლუსში<sup>279</sup> და აგრეთვე იგდირის მახლობლად მდებარე იაიცის ნამოსახლარზე<sup>280</sup>.




სურ. 68. თიხის ჭურჭელი იაიციდან და გეოქჩელიდან.

როგორც ჩანს, შედარებით ადრე იჩენს თავს ეს კულტურა ვანის ტბის მიდამოებშიც, თუმცა ზოგიერთის აზრით, პირიქით, აღმოსავლეთ ანატოლიის სხვა ოლქებთან შედარებით, აქ იგი უფრო გვიან შემოდის<sup>281</sup>. მაგრამ მოპოვებული მასალები თითქოს ამ კულტურის აქ უფრო ადრე გამოჩენას უნდა მოწმობდეს. ამ მხრივ საინტერესოა ვანის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირზე ერნისში აღმოჩენილი კარგად შემონახული თიხის ჭურჭლები, რომლებიც თითქოს ნაპოვნი იყო ერთ ქვაყუთში. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ეს ჭგუფი კერამიკისა ადრე ბრინჯაოს II პერიოდს მიეკუთვნება. ამის ერთ-ერთ საბუთად ის მოჰყავთ, რომ მასზე უკვე აღარ გვხვდება რელიეფური ორნამენტი და აგ-

278 Т. Н. Чубиннишвили, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 115.  
 279 Б. А. Куфтин, *Урартский «колумбарий» у подошвы Арарата и Куро-Аракский энеолит*, стр. 74.  
 280 С. А. Вирсее, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 187.  
 281 იქვე, გვ. 178.

რეთვე ის, რომ ამ ჭურჭლებზე უკვე გვხვდება ე. წ. „ნახიჩევანის“ ტიპის ყურები<sup>282</sup>. ერნისის ჭურჭელი თავისი ხასიათით ახლოს დგას ამიერკავკასიაში გავრცელებული ელარის ტიპის კერამიკასთან. ამ კერამიკის შესახებ ზევით უკვე აღვნიშნავდით, რომ იგი შედარებით უფრო ადრეული უნდა იყოს<sup>283</sup>; ვიდრე არატის ველის ძეგლები, რომლებსთვისაც ჩალარულ-ამობურცული ორნამენტი



სურ. 69. თიხის ჭურჭელი ერნისიდან.

დამახასიათებელი. ელარის ტიპის კერამიკაზე ჯერ კიდევ შერჩენილია მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული საფეხურის კერამიკისათვის დამახასიათებელი ნიშნები (ფართო ცილინდრული ყელი, მხრიდან ყელზე მკვეთრი გადასვლა და სხვ.). შემდეგში ვანის ოლქში გავრცელებას იწყებს კერამიკა, რომლისთვისაც უკვე ჩალარულ-ამობურცული და ამოკაწრული ორნამენტი ჩანს დამახასიათებელი და საერთოდ იგი გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს შემკობის ხასიათის მხრივ არატის ველის ჭურჭელთან.

განსაკუთრებით საინტერესოა აღმოსავლეთ ანატოლიაში, ერზერუმის ველზე შესწავლილი ძეგლები. ეს მხარე უშუალოდ ეკვრის ამიერკავკასიას. თურქ არქეოლოგ ჰამით კოშაის მიერ გათხრილი და შესწავლილი იყო ორი ბორცვი, ერთი მათგანი, ქარაზის ნამოსახლარი, ერზერუმის მახლობლად მღე-

<sup>282</sup> С. А. Burney, დასახ. ნაშრომი, გვ. 169.

<sup>283</sup> К. Х. Кушнарєва, Т. Н. Чубнишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 153.

ბარეობს. იგი საკმაოდ მოზრდილი ბორცვი უნდა ყოფილიყო, შემდგარი რამდენიმე სხვადასხვა ფენისაგან. სამწუხაროდ, ძირა, ხალკოლითური ფენის შესწავლას წიაღისეულმა წყლებმა შეუშალა ხელი. ძირითადი ფენა „სპილენძის“ ეპოქისა, მტკვარ-არაქსის კულტურას მიეკუთვნებოდა, რომელშიაც რამდენიმე სამშენებლო ფენა გამოიყოფა. სოფელი შედგებოდა სწორკუთხა სახლებისაგან<sup>284</sup>. თავისი ზასიათით ეს ნამოსახლარი უახლოვდება ამირანის გორას, სადაც აგრეთვე სწორკუთხა არქიტექტურა გვხვდება. მრგვალი შენობა ამ ნამოსახლარებისათვის, ისევე როგორც შიდა ქართლისათვის, ნაკლებად დამახასიათებელია, მაშინ როდესაც ქვემო ქართლისათვის, სომხეთის მთიანეთისათვის, არარატის ველისათვის და სხვ. სწორედ მრგვალი შენობაა წამყვანი.

ქარაზში, მტკვარ-არაქსის კულტურის ქვედა პორიზონტებში მოპოვებული მასალა ბევრ საერთოს ნახულობს ამირანის გორის მასალასთან; აქაც გვხვდება რელიეფური ორნამენტი, უპირატესად სპირალი. უფრო ზემოთა პორიზონტებში ეს სპირალი, ამირანის გორის მსგავსად, ერთგვარად სხვაგვარ იერს იღებს; სულ ბოლო პერიოდში ისევე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ამირანის გორაზე, ქარაზშიაც შეინიშნება არარატის ველისათვის დამახასიათებელი კულტურის გავლენა. ზედა პორიზონტებში გამოჩენას იწყებს კერამიკა ჩალარულ-ამბურკული ორნამენტით.

მეორე ძეგლი, პულურის ნამოსახლარი, ერზერუმიდან სამხრეთ-დასავლეთით 20 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. 1960 წ. გათხრები წარმოებდა ბორცვის სამ ადგილას: წვერზე, დასავლეთ ნაწილში და ბორცვის აღმოსავლეთით. ძირითადი სამუშაო ბორცვის დასავლეთ ნაწილში მიმდინარეობდა 350 კვმ ფართობზე<sup>285</sup>. დადგენილი იყო ოთხი სამშენებლო დონე. პირველ სამ ზედა დონეზე აღმოჩნდა ქვის საფუძველზე ალიზის შენობების ნაშთები. შენობები სწორკუთხა უნდა ყოფილიყო და როგორც გამთხრელი ფიქრობს ბრტყელი ან კიდეც ერთმანეთზე დაწყობილი ძელებით გუმბათურად გადახურული<sup>286</sup>. მეოთხე ძირა დო-



სურ. 70. თიხის ჰურპელი ქარაზიდან.


<sup>284</sup> H. Kosay, K. Turfan, დასახ. ნაშრომი, გვ. 349.

<sup>285</sup> H. Kosay, H. Vary, Die Ausgrabungen von Pulur, Ankara, 1964, 63.

<sup>286</sup> იქვე, გვ. 72.



ნეზე შენობების კვალი ვერ დადგინდა. შენობებში 2 მ დიამეტრის თიხის კერები იდგა. თითოეულ სამშენებლო დონეზე დიდი რაოდენობით ჩნდებოდა თიხის ჭურჭელი. ზედა პირველ დონეზე აღმოჩნდა სამი ლითონის ნივთი (ნამგალი, ბრტყელი ცული და სატეხი). ბევრია ქვის იარაღი, განსაკუთრებით ობსიდიანისა. თიხის ჭურჭელი თავისი ხასიათით ერთგვაროვანია. პირველიდან მესამე დონემდე გვხვდება შავპრიალა ჭურჭელი გეომეტრიული რელიეფური ორნამენტით შემკული<sup>287</sup>. ძირა მეოთხე ფენაშიც ჩნდებოდა კარგად გაპრიალებული



სურ. 71. თიხის ჭურჭელი პულურიდან.

კერამიკა რელიეფური და ჩადარული ორნამენტით შემკული. გვხვდება გეომეტრიული ორნამენტის ფორმები და აგრეთვე ფრინველისა და ცხოველის ფიგურები. გათხრების ავტორები ძირითადად ორნამენტის ხასიათის საფუძველზე კერამიკის ზუთ ტიპს გამოყოფენ. ისინი პულურში აღმოჩენილ ამ კულტურას გვიანხალკოლითს აკუთვნებენ და 2600 წლით ათარიღებენ<sup>288</sup>.

როგორც ჩანს, პულურის ნამოსახლარზე გამოვლენილი მტკვარ-არაქსის კულტურა უკვე საკმაოდ განვითარებულ საფეხურს მიეკუთვნება. აქ მოპოვებული კერამიკა თავისი ხასიათით განსაკუთრებით ახლოს დგას არარატის ველო-

<sup>287</sup> H. Kosay, H. Vary, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

<sup>288</sup> იქვე, გვ. 63.

სათვის დამახასიათებელ ქურქელთან. აქაც გვხვდება სამნაწილადი ფორმა ქურქლისა და აგრეთვე ფართოდაა გავრცელებული ჩადარულ-ამობურცული ორნამენტი. უნდა აღინიშნოს, რომ ისე ჩანს, თითქოს პულურის მასალები, კერძოდ კერამიკა, უფრო მეტ საერთოს არარატის ველის კულტურასთან ნახულობს. პულურის ნამოსახლარზე გამოვლენილ მასალას ქარაზის ზედა ფენის კერამიკასთან აქვს მეტი კავშირი. აქ, ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის საკმაოდ გვიანდელი საფეხურია გამოვლენილი.

იგდირის და ვანის ოლქს შორის ყარალიოზის ველზე და ბულანიკის მხარეში არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად აღმოჩნდა მტკვარ-არაქსის კულტურის მასალები, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ პერიოდში ეს მხარე შედარებით სუსტად ათვისებული უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი ეგებ მართლაც ის იყო, რომ ყარალიოზის ველის დიდი ნაწილი უევარგისა<sup>289</sup>. ბულანიკის მხარეშიც შედარებით მცირე მასალა აღმოჩნდა<sup>290</sup>.

რაც შეეხება მუშის ველს, არც იგი გამოირჩევა მანცადამაინც თავისი ნაყოფიერებით და მდებარეობითაც ერთგვარად იზოლირებულია. მეორე ათასწლეულზე უადრესი მასალები ამ მხარეში შედარებით ღარიბულია<sup>291</sup>. აქ აღმოჩნდა III ათასწლეულის დროინდელი რამოდენიმე ნამოსახლარი ტიპიური მტკვარ-არაქსული კერამიკით<sup>292</sup>. როგორც ჩანს, ეს კულტურა სამხრეთით გავრცელების დროს ძირითადად იქ იკიდებს ფეხს, სადაც მიწათმოქმედებისათვის ხელსაყრელი პირობები იყო. ერთ-ერთი ასეთი რაიონი, რომელიც მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში ძლიერ ათვისებული ჩანს, ელიაზიგ-მალათის მხარე იყო.

ეს მხარე, განსაკუთრებით ელიაზიგის, მიწათმოქმედების განვითარებისათვის კარგი პირობებით გამოირჩევა, მისი ათვისება, როგორც ეს სადღეისოდ არსებული მასალებიდან ჩანს, ძირითადად ხალკოლითის პერიოდში უნდა მომხდარიყო<sup>293</sup>. ამ დროისათვის აქ ცნობილი არის ხასუნას, ჰალაფისა და უბეიდის კულტურებისათვის დამახასიათებელი მოხატული კერამიკა და ჩანს, რომ კონტაქტი უნდა ყოფილიყო ჩრდილო სირიასა და მესობოტამიასთან. აღმოჩნდა აგრეთვე ამ პერიოდის ადგილობრივი მოხატული კერამიკა<sup>294</sup>. მაგრამ ელიაზიგ-მალათის მხარის ძლიერი ათვისება III ათასწლეულში, მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში ხდება. ამასვე მოწმობს სულ ბოლო ხანებში ელიაზიგის მხარეში ქებანის ოლქში წარმოებულ არქეოლოგიური სამუშაოები. აქ სხვადასხვა ექსპედიციების მიერ ითხრება რამდენიმე ბორცვი, რომელთაგან განსაკუთრებით

<sup>289</sup> C. A. Burney, Eastern Anatolia in the Chalcolithic and Early Bronze Age, გვ. 158.

<sup>290</sup> იქვე, გვ. 187.


<sup>291</sup> იქვე, გვ. 157.

<sup>292</sup> იქვე, გვ. 187.

<sup>293</sup> იქვე, გვ. 157.

<sup>294</sup> იქვე, გვ. 159.

საინტერესოა ჩვენთვის ჰან იბრაჰიმ შაჰ, პულური, ნორსუნ-თეფე, კორუკუ-თეფე და თეფესიკი. პირველ მათგანში აღრებრინჯაოს ხანა წარმოდგენილია მეხუთე ფენიდან მოკიდებული, სადაც მოხატული კერამიკის მხარდამხარ უკვე გამოჩენას იწყებს მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი შავპრიალა




სურ. 72. ჭურჭელი ელსაზიგიდან, მალათისა და ვანის რაიონიდან.

ჭურჭელი. იგი შემკულია ან ჩაღარული, ან კიდევ დაბალი რელიეფით გამოყვანილი ტიპიური ორნამენტით<sup>295</sup>. მეტად საყურადღებოა თურქ არქეოლოგ ჰ. კოშაის მიერ პულურში (იგივე სახელით ცნობილია ბორცვი ერზერუმთან) ჩატარებული სამუშაოები. იგი რამდენიმე ფენისაგან შედგება; ძირა ფენას ავტორი ნეოლითს მიაკუთვნებს (XIII—XII), შემდეგ კი მას მოსდევს გვიანხალკოლითური და აღრებრინჯაოს ხანის ფენები. აღრებრინჯაოს ხანის I—VIII ფენებში მოხატულ ჭურჭელთან ერთად გვხვდება მტკვარ-არაქსის ტიპის კერამიკა,

<sup>295</sup> H. Etem, Han Ibrahim Sah Excavations, 1970, Keban Project 1970 Activities, Ankara, 1972, 71. Anatolian Studies, Vol. XXII, 1972, გვ. 23.

VIII—XI ფენებში მხოლოდ მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკა ჩანს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნალისებრი სადგარები ადამიანის სახის გამოსახულებით, კერამიკა დაბალ რელიეფით გამოყვანილი ორნამენტით. პულურის ძირა ფენებისათვის ოთხკუთხა არქიტექტურაა დამახასიათებელი<sup>296</sup>.

საინტერესოა აგრეთვე დასავლეთ გერმანიის ექსპედიციის ჰ. ჯაუპტმანის ზელმძღვანელობით მიღებული შედეგები ნორსუნ-თეფეში. ცენტრალური



სურ. 73. თიხის ჭურჭელი ნორსუნ-თეფედან.

ბორცვის დასავლეთ კიდეში გამოვლენილი იყო უძველესი ფენები აღრებრინჯაოს და ხალკოლითური ხანისა, რომლებიც სტერილური ფენით გამოეყოფიან ერთიმეორეს. აღრებრინჯაოს ხანაში აქ გავრცელებული ყოფილა ალიზისაგან ნაგები ოთხკუთხა შენობები. კერამიკაში შეიძლება ორი დიდი ჯგუფის გამოყოფა: ერთი შავად ან ყავისფრად მოპრიალებული ზოგჯერ ცილინდრულყელიანი ჭურჭელი მტკვარ-არაქსული ხასიათისა, მეორე—ჩარხზე ნაკეთები თხელი ღია ფერის სირიული იმპორტი<sup>297</sup>. მტკვარ-არაქსის ტიპის კერამიკა აღმოჩნდა აგრეთვე აკროპოლზეც. VII—VIII ჰორიზონტები შეიცავდნენ შავად გაპრიალებულ ჭურჭელს<sup>298</sup>. ხალკოლითური ფენის კერამიკა საგრძნობლად განსხვავებულია—ხელით ნაძერწი, უპირატესად ტლანჭი, მოხატული. სხვაობა ჩანს აგრეთვე ალიზის ზომებშიც, გვიანხალკოლითური ალიზის აგური უფრო მოგრძოა და ვიწრო, ვიდრე აღრებრინჯაოს ხანისა<sup>299</sup>.


<sup>296</sup> H. Z. Kosay, Pular (Sakyol) Excavations 1969: Keban Project 1969, Ankara, 1971, 103; მისივე, Pular (Sakyol) Excavations 1970, Keban Project 1970, 138.

<sup>297</sup> H. Hauptmann, Die Grabungen auf dem Norsun-Tepe, 1970, Keban Project, 1970, გვ. 114.

<sup>298</sup> იქვე, გვ. 110.

<sup>299</sup> იქვე, გვ. 115.

ამავე პერიოდის საყურადღებო მასალა ნაპოვნია იყო კორუტუ-თეფეზე. აქ აღრებრინჯაოს ხანის საკმაოდ ძლიერი ფენა აღმოჩნდა მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკით<sup>300</sup>. ამ ტიპის ჭურჭელი აქ გვხვდება უპირატესად აღრებრინჯაოს II და III პერიოდში<sup>301</sup>. თუმცა ჩ. ბიორნი კორუტუ-თეფეს აღრეულ „ამიერკავკასიურ კულტურას“ მიაკუთვნებს<sup>302</sup>.



სურ. 74. თიხის ჭურჭელი კორუტუ-თეფედან.

თეფესიკის ბორცვზე აღრებრინჯაოს ხანის საკმაოდ ძლიერი ფენა აღმოჩნდა. სადაც კარგადაა წარმოდგენილი მტკვარ-არაქსის ტიპის ჭურჭელი. მასთან ერთად აღმოჩნდა აგრეთვე ჩრდილო-სირიული და ჩრდილო-მესოპოტამიური ჭურჭელი. ნაპოვნი იყო აგრეთვე ტიპიური ნალისებრი სადგარები<sup>303</sup>. უფრო ქვევით გამოვლენილი იყო აგრეთვე ხალკოლითური ფენა. ეს კერამიკა წააგავს ამუქის F ფაზის და ტარსუსის ჭურჭელს. ნაპოვნი იყო აგრეთვე უბეიდის და პალაფის ნაწარმიც<sup>304</sup>.

ელიაზიგ-მალათის, განსაკუთრებით კი მალათის მხარე, როგორც ჩანს, ბუნებრივი გზების შესაყარ ადგილას მდებარეობდა, საიდანაც ისინი მიდიოდნენ ცენტრალურ ანატოლიისაკენ, კილიკიისა და ამუქის ველისაკენ, დიარბექირის ოლქისაკენ და სხვ. ამიტომაცაა, რომ აქ ძლიერად შეინიშნება ყველა ეს გავლენები, სირიული, ანატოლიური და სხვ<sup>305</sup>. ისიც ნიშანდობლივია, რომ

<sup>300</sup> Maurits van Loon, The Excavations at Korucutepe, Turkey, 1968 — 70; Journal of Near Eastern Studies, vol. 32, № 4, გვ. 973, 361, ტაბ. 6—10.

<sup>301</sup> M. Kelly-Buccellati, The Excavations at Korucutepe, Turkey, 1968—70; The Early Bronze Age Pottery and Its Affinities, Journal of Near Eastern Studies, vol. 33, № 1, გვ. 44.

<sup>302</sup> Ch. A. Burney, D. M. Lang, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

<sup>303</sup> U. Esin, Tepecik Excavations, 1970, Keban Projeckt, 1970, გვ. 154.

<sup>304</sup> იქვე, გვ. 157.

მტკვარ-არაქსის კულტურის ჩაქრობა ამ მხარეში შედარებით უფრო ადრე ხდება, ადრებრინჯაოს III პერიოდში და აქ განსხვავებული ხასიათის კულტურა ვრცელდება მოხატული კერამიკით<sup>306</sup>. სხვა ოლქებში კი ეს ცვლილებები ისე ძლიერად შესამჩნევი არ არის.

როგორც ჩანს, ელიაზიგ-მალათის მხარეში მტკვარ-არაქსის კულტურის ხანგრძლიობა შედარებით ხანმოკლე უნდა ყოფილიყო. ეს კულტურა აქ გამოჩენას იწყებს უკვე საკმაოდ განვითარებულ საფეხურზე. მისთვის დამახასიათებელია კერამიკა ჩალარულ-ამობურცული ორნამენტით, გვხვდება აგრეთვე ნაკაწრი გეომეტრიული სახეები და სხვ. შემკობის ხასიათით იგი უახლოვდება არარატის ველისათვის დამახასიათებელ ჭურჭელს, თუმცა აქ თითქმის არ გვხვდება სამნაწილადი ფორმა ჭურჭლისა. ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს კულტურა აქ შედარებით გვიან იჭრება, ძირითადად არა უადრეს III ათასწლეულის პირველი ნახევრის შუა ხანებისა და მისი ჩაქრობაც უფრო ადრე ხდება — ამავე ათასწლეულის მეორე ნახევრის პირველ საუკუნეებში.

ამრიგად, არსებული მასალებით ისე ჩანს, რომ თითქოს აღმოსავლეთ ანატოლიაში მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელება მის განვითარებულ საფეხურზე იწყება, III ათასწლეულის დასაწყის ხანებში. თავდაპირველად ამ კულტურის სფეროში ექცევა ამიერკავკასიასთან მიმდგომი ოლქები და შემდეგ კი იგი უფრო ფართოდ შეჭრას იწყებს სამხრეთით. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ ანატოლიაში ძირითადად ვრცელდება უფრო მტკვარ-არაქსის კულტურის არარატის ველისა და საერთოდ სომხეთის მთიანეთისათვის დამახასიათებელი ვარიანტი. ამ კულტურის განვითარებული საფეხურის შიდაქართლური სახეობა, მისთვის დამახასიათებელი ფორმა ჭურჭლისა, აქ თითქმის არ გვხვდება. ამიტომაც, შეიძლება დავუშვათ, რომ აღმოსავლეთ ანატოლიის ათვისება მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებული საფეხურის არარატის ველისათვის დამახასიათებელი ვარიანტის ჩამოყალიბების შემდეგ იწყება, ეგებ სწორედ ამ ვარიანტის მატარებელი ტომების მიერ. მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელება სამხრეთით, როგორც ჩანს, თანდათანობით ხდება და ეს მხარე III ათასწლეულის განმავლობაში მთლიანად ამ კულტურის გავლენის სფეროში იყო მოქცეული.


კარგადაა ცნობილი მტკვარ-არაქსის კულტურა ურმიისპირეთში, თანამედროვე ირანის ტერიტორიაზე. აქ ეს კულტურა საკმაოდ ფართოდ ვრცელდება სამხრეთით ჰამადანის ველისაკენ და ჭერმანშას მხარეს აღწევს, როგორც ამას მოწმობს ბოლოდროინდელი გათხრები კანგავართან, გოდინ-თეფეზე<sup>307</sup>. აქ IV

<sup>306</sup> Ch. A. Burney, დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

<sup>306</sup> იქვე, გვ. 171.

<sup>307</sup> R. H. Dyson, Annotations and Corrections of the Relative Chronology of Iran, 1968, Chronologies in Old World Archaeology, Archaeological Seminar at Columbia University 1966—1967, გვ. 309.

პერიოდის მასალა გარკვეულ სიახლოვეს პოულობს იანიქ-თეფესა და საერთოდ მტკვარ-არაქსის კულტურასთან<sup>308</sup>. როგორც ჩანს, III ათასწლეულიდან სამხრეთ-აღმოსავლეთიდან იჭრება აქ მტკვარ-არაქსის კულტურა, რასაც შედეგად გიან IV—III და გურჯანის კულტურათა გათიშვა მოჰყვა<sup>309</sup>. ეს კულტურა



სურ. 75: თიხის ჭურჭელი გოდინ-თეფედან.

მთელ ჩრდილო ირანს მოიცავდა და სამხრეთით სპარსეთის პლატოზე ვრცელდება. როგორც აღნიშნავენ იგი აქ აღმოსავლეთ ანატოლიიდან და ამიერკავკასიიდან უნდა შემოჭრილიყო<sup>310</sup>.

მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია აქ გათხრილი ორი ნამოსახლარი გეოთეფე და იანიქ-თეფე. გეო-თეფეს ბორცვი ურმიის ტბის დასავლეთ სანაპიროზე მდებარეობდა. იგი მრავალფენიანი ძეგლი იყო, რომელთაგან K ფენა მტკვარ-არაქსის კულტურას მიეკუთვნება. იგი უშუალოდ ხალკოლითური ფენის M თავზე იდო<sup>311</sup>. სოფელი, როგორც ჩანს, გარშემორტყმულია საკმაოდ სქელი ალიზის კედლით. არქიტექტურის შესახებ გარკვევით არაფერი ითქმის გარდა იმისა, რომ ნაპოვნი იყო შენობების ქვის საფუძველი. ინგლისელმა არქეოლოგმა ტ. ბურტონ ბრაუნმა აქ მოპოვებული თიხის ჭურჭლის საფუძველზე K ფენაში სამი ჰორიზონტი გამოჰყო. უადრესი, K<sub>1</sub> ჰორიზონტის კერამიკა ნაცრისფერია ან შავად გაპრიალებული ზედაპირით. აქ გვხვდება მოზრდილი ჭურჭლები დაბალი ცილინდრული ყელით, ზოგჯერ ბიკონუსური მოყვანილობის მუცლით<sup>312</sup>. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ K<sub>1</sub> ჰორიზონტის კერამიკა თავისი

<sup>308</sup> T. Cuyler Young, Jr. Excavations at Godin Tepe, First Progress Report, 1969, გვ. 10, 33.


<sup>309</sup> R. H. Dyson, The Archaeological evidence of the second millennium of the Persian Plate, Cambridge, 1968, გვ. 14.

<sup>310</sup> იქვე, გვ. 15.

<sup>311</sup> T. Burton Brown, დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

<sup>312</sup> იქვე, გვ. 37.

ნასიათით უახლოვდება დიდუბე-კიკეთის ჯგუფის მოგვიანო ვარიანტს, უფრო კი მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებულ საფეხურის დასაწყისი ხანების




რუკა 5. კავკასიური კულტურების გავრცელება ძვ. წ. III ათასწლეულში.

თიხის ტურქელს. იგი გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს ხიზანანთ გორის, ბეშთა-შენის, არმავირ-ბლურის<sup>313</sup> და განსაკუთრებით კი ქიულ-თეფე II კერამიკას-

<sup>313</sup> T. Burton Brown, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.



თან. შემდეგი პორიზონტების თიხის ჭურჭელი უახლოვდება ოზნის, ელარის, ერნისისა და სხვ. კერამიკულ კომპლექსებს. საერთოდ გეო-თეფეს K პერიოდის თიხის ჭურჭელი უპირატესად სადაა. იშვიათად გვხვდება აქ რელიეფური ორნამენტი. ამ მხრივ აღსანიშნავია ერთი მოზრდილი დერგი, რომელსაც მხარზე რელიეფური სპირალი აქვს. თავისი ხასიათით იგი ქიულ-თეფე II ერთ-ერთი ჭურჭლის ორნამენტს უახლოვდება. უფრო გვიან K<sub>2</sub> და K<sub>3</sub> თიხის ჭურჭელზე რელიეფური ზოლები და ჩაღრმავებული წრეები და ხაზები გვხვდება. აქ ჯერ კიდევ არ არის ცნობილი არარატის ველისათვის დამახასიათებელი ჩაღრულ-ამობურცული და ნაკაწრი ორნამენტი. როგორც ჩანს, გეო-თეფეს K პერიოდი მიეკუთვნება მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებული საფეხურის ადრინდელ ეტაპს. იგი აქ გამოჩენას იწყებს იმ ხანაში, როდესაც თანდათან-



სურ. 76. თიხის ჭურჭელი გეო-თეფეს K ფენიდან.

ბით ამ კულტურის ფართო განფენა ხდება მისი პირველადი ცენტრიდან. ამიტომ მთლად დამაჯერებელი არ ჩანს ზოგიერთ ავტორთა მოსაზრება, რომ თითქოს ურმიისპირეთი მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბების პირველად ზონაში შედიოდა<sup>314</sup>. უფრო მართებულია იმ მკვლევართა აზრი, რომლებსაც ეს რაიონი არ შეჰყავთ ამ კულტურის ფორმირების ოლქში და აღნიშნავენ, რომ მისი გავრცელება აქ ამ კულტურის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ხდება<sup>315</sup>. როგორც ზევით იყო ნათქვამი, ეს მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებული საფეხურის ადრინდელ სტადიაზე უნდა მომხდარიყო. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტ. ბურტონ ბრაუნის სულ ბოლო დროს გამოსულ თავის ნაშრომში გეო-თეფეს K პერიოდის სრულიად განსხვავებულ თარიღს იძლევა. მისი აზ-

<sup>314</sup> К. Х. Кушнарера, Т. Н. Чубинишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 148.

<sup>315</sup> А. А. Иессен, Кавказ и Древний Восток в IV—III тыс. до н. э., стр. 14; А. А. Иессен, Из исторического прошлого Мильско-Карабахской степи, стр. 16.

რით, ეს პერიოდი აქ უნდა დაწყებულიყო 3400 წ. და 2800 წ-მდე უნდა ეარსება<sup>316</sup>. მაგრამ ძნელია, რა თქმა უნდა, X პერიოდისათვის ამ თარიღის გაზიარება. უფრო მართებულია მის მიერ ამ პერიოდისათვის ადრე დადგენილი თარიღი—ძვ. წ. IV ათასწლეულის ბოლო და III ათასწლეულის დასაწყისი მივიჩნით<sup>317</sup>.

როგორც ჩანს, ამ კულტურას ურმიისპირეთში საკმაოდ დიდხანს უნდა ეარსება. ამ მხრივ საინტერესოა ინგლისელი არქეოლოგის ჩ. ბიორნის მიერ ურმიის ტბის აღმოსავლეთ სანაპიროზე ჩატარებული გათხრები ბორცვ იანიქ-თეფეზე. აქ გვიანნეოლითურ და ხალკოლითურ ფენათა თავზე აღმოჩნდა საკმაოდ ძლიერი მტკვარ-არაქსის კულტურის ფენა. ჩ. ბიორნის აზრით, ხალკოლითურ და მტკვარ-არაქსის კულტურის ფენათა შორის საკმაოდ დიდი ქრონოლოგიური წყვეტილი უნდა იყოს და ეს კულტურა აქ შესაძლოა გაავრცელეს ჩრდილოეთიდან მოსულელებმა<sup>318</sup>. აღსანიშნავია, რომ ხალკოლითისა და მტკვარ-არაქსის კულტურის არქიტექტურაში იანიქ-თეფეზე საგრძნობი ცვლილება შეინიშნება. თუ პირველისათვის ოთხკუთხა შენობებია დამახასიათებელი, მტკვარ-არაქსის კულტურის გამოჩენისთანავე აქ საგრძნობი ცვლილებები შეიმჩნევა საცხოვრებლის ტიპში. გავრცელებას იწყებს ამ კულტურისათვის დამახასიათებელი მრგვალი შენობა<sup>319</sup>. ჩ. ბიორნი მტკვარ-არაქსის კულტურის ფენა იანიქ-თეფეზე ორად გაყოფს: ადრებრინჯაო I და II და იგი საკმაოდ გვიან პერიოდს მიაკუთვნა<sup>320</sup>.

მრგვალი სახლები, მისი აზრით, უნდა მიეკუთვნებოდეს III ათასწლეულის ბოლოს. გადასვლა ადრებრინჯაოს I-დან ადრებრინჯაოს II-ზე მშვიდობიანად უნდა მომხდარიყო, თუმცა არქიტექტურაში დიდი ცვლილება შეიმჩნევა. მაგრამ კერამიკა ადრებრინჯაოს II წინარეს უშუალო გავრცელება ჩანსო<sup>321</sup>. თავისი ფორმებით იანიქ-თეფეს ადრეულ კერამიკას შერჩენილი აქვს მტკვარ-არაქსის კულტურის ჭურჭლის დამახასიათებელი ნიშნები — ცილინდრული ყელი, ნახევარსფეროსებრი ყურები, გამობერილი მუცელი; ზადისაც ჭერ კიდევ შერჩენილი აქვს დამახასიათებელი ფორმა და სხვ. იანიქ-თეფეს ადრეულ კერამიკაზე ხშირია ნაკაწრი ორნამენტი. უპირატესად გვხვდება გეომეტრიული სახეები, თუმცა ხშირია აგრეთვე ფრინველებისა და ცხოველების გამოსახულებ-

<sup>316</sup> T. Burton Brown, *Third Millenium Diffusion*, გვ. 75.

<sup>317</sup> T. Burton Brown, *Excavations in Azerbaijan*, 1948, 34.


<sup>318</sup> C. A. Burney, *The Excavations at Yanik Tepe, Azerbaijan, 1961, Second Preliminary Report, Iraq, vol. XXIV, 1961, 139.*

<sup>319</sup> C. A. Burney, *The Excavations at Yanik Tepe, Azerbaijan, 1962; Third Preliminary Report, Iraq, vol. XXVI, 1964, 57; C. A. Burney, Excavations at Yanik Tepe, North-West Iran, Iraq, vol. XXIII, 1961, 141.*

<sup>320</sup> C. A. Burney, *Excavations at Yanik Tepe, Azerbaijan, 1961, 136.*

<sup>321</sup> C. A. Burney, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 142.

ბები. სწორი ჩანს ჯ. მელაარტის მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაში სპარსული მონატული კერამიკის გავლენა მოსალოდნელი<sup>322</sup>. იანიქ-თეფეს კერამიკა თით-



სურ. 77. თიხის ჭურჭელი იანიქ-თეფედან.

ქოს რაღაც საერთოს პოულობს შენგავეითის ტიპის ნაკაწრ ორნამენტთან, თუმცა ჭურჭლის ფორმის მხრივ საგრძნობი სხვაობა შეიმჩნევა. საერთოდ უნდა აღვ-

<sup>322</sup> J. Mellaart, *The Chalcolithic and Early Bronze Ages in the Near East and Anatolia*, Beirut, 1966, 81.

ნიშნით, რომ არარატის ველის ვარიანტის გავლენა ურმიისპირეთში თითქოს ნაკლები ჩანს. ამ მხრივ საინტერესოა ჰასანლუში აღმოჩენილი ერთი ნატეხი, რომელზედაც ჩადარულ-ამობურცული სპირალია თითქოს შემორჩენილი<sup>323</sup>.

რაც შეეხება მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანდელ საფეხურს იანიქ-თეფეზე, იგი, როგორც ჩანს, ამ კულტურის მიწურული ხანისა უნდა იყოს. აქ შეიმჩნევა ცვლილება არქიტექტურაში. მრგვალი შენობები ისევ ოთხკუთხა ნაგებობებით იცვლება. კერამიკაში მთლიანად იკარგება ნაქაწრი ორნამენტი და ეხლა სადა ჭურჭელი გვხვდება, რომელსაც, მართალია, მტკვარ-არაქსული კერამიკის ნიშნები ჯერ კიდევ კარგად შემორჩენილი აქვს, მაგრამ უკვე გარკვეულად გადახვევა შეიმჩნევა.

როგორც ცნობილია, მტკვარ-არაქსის კულტურის ნიშნები საკმაოდ მძლავრად გამოჩნდა, აგრეთვე, ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ზოლში—სირიასა და პალესტინაში, სადაც იგი ცნობილია კირბეთ-კერაკის კულტურის სახელით. ზევით უკვე აღვნიშნავდით იმ სავაარაუდო გზას, საიდანაც ეს კულტურა უნდა გავრცელებულიყო აქ, ამუქის ველზე და შემდეგ კი პალესტინაში. მთელი რიგი მკვლევარების აზრით, ის არე, საიდანაც ეს კულტურა სირია-პალესტინაში უნდა შეჭრილიყო ძირითადად ელიაზიგის მხარე უნდა ყოფილიყო. ამგვარი დასკვნა უპირატესად კერამიკული მასალის საფუძველზე გამოქპონდათ<sup>324</sup>. თანაც ამ კერამიკის გამოჩენას აქ ხალხთა მიგრაციას უკავშირებენ<sup>325</sup>. იმასაც გამოთქვამდნენ, რომ კირბეთ-კერაკის კულტურის ხანაში მხოლოდ ახალი სახის კერამიკის გამოჩენასთან ვეაქვს საქმე, სხვა რაიმე ცვლილებები კულტურაში შესამჩნევი არ იყო<sup>326</sup>. მართლაც თიხის ჭურჭელია ის ძირითადი მასალა, რომელიც ამ ორი კულტურის სიახლოვეზე მეტყველებს. ზოგჯერ მსგავსება კერამიკაში იმდენად ძლიერია როგორც ფორმაში, ისე ჭურჭლის დეკორში, რომ ძნელია მათი ამოცნობა. თუკი კირბეთ-კერაკის ნაწარმში მაინც შესამჩნევია ზოგჯერ გარკვეული თავისებურება, ეს უნდა იყოს კერამიკაში ადგილობრივი ელემენტების შერწყმის შედეგი<sup>327</sup>.

ამუქში, კირბეთ-კერაკში აღმოჩენილი ნალისებრი სადგარები, ზოგჯერ ადამიანის სახის გამოსახულებით, ახლოს დგას ამირანის გორაზე, პულურში (ელიაზიგის მხარე), ქარაზში და სხვ. ნაპოვნ ამგვარსავე სადგარებთან<sup>328</sup>. აღსა-

<sup>323</sup> A. Stein, *Old Routes of Western Iran*, London, 1940, გვ. 39, ტაბ. XXIV, 1.

<sup>324</sup> Ch. A. Burney, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 173.


<sup>325</sup> R. Amiran, *Ancient Pottery of the Holy Land*, 1970, გვ. 74.

<sup>326</sup> J. Mellaart, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 74.

<sup>327</sup> R. Amiran, *Chronological Problems of the Early Bronze Age, Chronologies in Old World Archaeology, Archaeological Seminar at Columbia University*, 317.

<sup>328</sup> S. Diamant and J. Rutter, *Hordean Objects in Anatolia and the Near East and Possible Connexions With the Minoan „Horns of Consecration, Anatolian Studies*, vol. XIX, London, 1969, 155; R. Amiran, *Ancient Pottery of the Holy Land*, გვ. 70, სურ. 69—71.

ნიშნავია, რომ კირბეთ-კერაკის კულტურაში არ გვხვდება ამიერკავკასიაში მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი მრგვალი, შვერილიანი კერები. არ ჩანს ეს კერები აგრეთვე ელიაზიგ-მალათიის მხარეშიც. როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის გავლენა შეიმჩნევა, აგრეთვე, არქიტექტურაშიც.



სურ. 78. კირბეთ-კერაკის კერამიკა.

ამ მხრივ აღსანიშნავია პალესტინაში, ბეთ-იერახში აღმოჩენილი მრგვალი შენობები, სექციებად დაყოფილი რადიალური კედლებით<sup>329</sup>. ამ მხრივ აქ მართლაც შეიძლება გარკვეული სიახლოვე დავინახოთ იანიქ-თეფეს წრიულ შენობებთან<sup>330</sup>.

რა თქმა უნდა, ახლა ძნელია გარკვევით თქმა იმისა, თუ საიდან და რა გზით გავრცელდა მტკვარ-არაქსის კულტურა სირია-პალესტინაში, მაგრამ მიიწევა საფიქრებელია, რომ ძირითადი არე, საიდანაც უნდა გამოსულიყო ეს კულტურა, აღმოსავლეთ ანატოლია, უფრო კი ელიაზიგის მხარე უნდა ყოფილიყო, სა-

<sup>329</sup> J. Mellaart, დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

<sup>330</sup> R. Amiran, დასახ. ნაშრომი, გვ. 318; R. Amiran, Yanik-Tepe, Shengavit and the Kirbet Kerak Ware, Anatolian Studies, Vol. XV, 1965, გვ. 166.

დაც მტკვარ-არაქსის კულტურამ საკმაოდ ძლიერად მოიკიდა ფეხი. კირბეთ-კერაკის კერამიკა თავისი ხასიათით უახლოვდება ელიაზიგის ოლქში გავრცელებულ თიხის ჭურჭელს, რომელსაც თავის მხრივ ბევრი საერთო აქვს არარატის ველისათვის დამახასიათებელ თიხის ნაწარმთან. განსაკუთრებით მათ აერთიანებს აქ ჩამოყალიბებული ჩაღარულ-ამობურცული და ნაკაწრი ორნამენტი, სპირალეებითა და სხვა გეომეტრიული სახეებით. მტკვარ-არაქსის კულტურის პირველი გამოჩენა ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ძირითადად უნდა მომხდარიყო III ათასწლეულის პირველი ნახევრის ბოლო საუკუნეებში<sup>331</sup>. პალესტინაში, როგორც უკვე აღვნიშნავდით, იგი სირიასთან შედარებით რამდენადმე გვიან იჭრება და იგი აქ III ათასწლეულის შუასაუკუნეებში უნდა გამოჩენილიყო. არც მისი ხანგრძლიობა უნდა ყოფილიყო მაინც აღამინც დიდი. ძირითადად მას 2 ან 3 საუკუნით შემოფარგლავენ<sup>332</sup>. როგორც ჩანს, III ათასწლეულის მეორე ნახევრის შუა ხანებისათვის კირბეთ-კერაკის კულტურა სწყვეტს თავის არსებობას. ეს დაახლოებით ის დროა, როდესაც საერთოდ მტკვარ-არაქსის კულტურის ჩაქრობა იწყება მის ძირითად არეში.

მტკვარ-არაქსის კულტურის გავლენის ქვეშ მოექცა, აგრეთვე, ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასია, დაღესტნისა და ჩეჩენ-ინგუშეთის მხარე. დაღესტანში ეს კულტურა ვრცელდება როგორც ბარში, ისე მთისწინა და მთის ზოლში. განსაკუთრებით ფართო გავლენა მან ზღვისპირა ზოლში ჰპოვა. აქ გვხვდება ამ დროის ნასოფლარები, შემდგარი რამდენიმე ბორცვისაგან; მათ ეხვდებით მთისწინა ზოლში, სადაც ისინი უპირატესად განლაგებულია მდინარეებისა და მთის ტერასებზე<sup>333</sup>. დაღესტანში გავრცელებული იყო როგორც სწორკუთხა, ისე მრგვალი ტიპის საცხოვრებელი. წრიული შენობის არსებობას აქ ამიერკავკასიიდან მტკვარ-არაქსის კულტურის გავლენას უკავშირებენ<sup>334</sup>. როგორც ფიქრობენ, დაღესტანი თავისი მიმდგომი მხარით, აზერბაიჯანის ჩრდილო ნაწილით, მტკვარ-არაქსის კულტურის ჩრდილო-აღმოსავლეთ ჯგუფს შეადგენდა<sup>335</sup>. დაღესტანში ძვ. წ. III ათასწლეულში გავრცელებულ კულტურას ბევრი საერთო აქვს მტკვარ-არაქსის კულტურასთან. ეს მსგავსება იმდენად დიდია, რომ კავკასიის ჩრდილო აღმოსავლეთი მხარე მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების

<sup>331</sup> P. Watson, The Chronology of North Syria and North Mesopotamia from 10.000 B. C. to 2000 B. C. Chronologies in Old World Archaeology, Chicago and London, 1965, 78. B. Brentjes, Zu einigen Problemen der kaukasisch-syrischen Archäologie, Wissenschaftliche Zeitschrift der Martin-Luther-Universität Halle-Wittenberg, XII, 9, 1962, 33-1075.

<sup>332</sup> J. Mellaart, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

<sup>333</sup> P. M. Мунчаев, Древнейшая культура Северо-Восточного Кавказа, 31; В. М. Котловнич, Верхнегуниское поселение. Махачкала, 1963, стр. 85.

<sup>334</sup> იქვე, გვ. 98; М. Г. Гаджиев, Раскопки поселения раннебронзовой эпохи в горном Дагестане. Археологические открытия 1970 г., Москва, 1971, стр. 104.

<sup>335</sup> P. M. Мунчаев, Кавказ в эпоху энеолита и ранней бронзы, стр. 319.

არეში შეჰყავთ. დაღესტნის ამ პერიოდის ძეგლებზე მოპოვებული მასალა ამიერკავკასიასთან მჭიდრო კავშირზე მეტყველებს. აქ აღმოჩენილი თიხის ჭურჭელს ძალიან ბევრი საერთო აქვს მტკვარ-არაქსის კულტურის ტიპიურ კერამიკასთან. აქაც გვხვდება ცილინდრულყელიანი მოზრდილი ჭურჭელი მხარზე მკვეთრი გარდატეხის ხაზით. მსგავსება ჩანს, აგრეთვე, სხვა ხასიათის ჭურჭელშიაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მათ შორის ბევრი საერთოა აგრეთვე ჭურჭლის შემკობის ხასიათშიც. დაღესტნური კერამიკისათვის დამახასიათებელია აგრეთვე რელიეფური სპირალური ორნამენტი<sup>336</sup>. ამრიგად, ძირითადი ტიპები დაღესტნური კერამიკისა მჭიდროდ უკავშირდება მტკვარ-არაქსის კულტურას. მაგრამ დაღესტანში გვხვდება ერთი წყება ჭურჭლისა, რომელიც გარკვეულ თავისებურებას ამჟღავნებს. აღსანიშნავია აგრეთვე კერამიკა, რომლის ზედაპირიც თხიერი თხილთაა დაფარული. როგორც ფიქრობენ ეს ჭურჭელი ადგილობრივი წარმოშობისა უნდა იყოს, რომლის ტრადიციებიც დაღესტანში შეინიშნება წინარე ხანაში<sup>337</sup>. ამიერკავკასიასთან კავშირი შეიმჩნევა აგრეთვე სხვა მასალებშიც.

ამრიგად, ძვ. წ. III ათასწლეულში ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიასა და ამიერკავკასიას შორის იმდენად მჭიდრო ურთიერთობა ჩანს, რომ თითქოს ექვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ ამ პერიოდში მოსახლეობის გარკვეული მასის გადაადგილება ხდება ამიერკავკასიიდან უფრო ჩრდილოეთით და რომ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომები კავკასიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს იკავებენ<sup>338</sup>. როგორც ჩანს, მართებული უნდა იყოს მოსაზრება, რომ ამ კულტურის გავრცელება უფრო ჩრდილოეთით საქართველოსა და აზერბაიჯანის გზით მიდიოდა. დაღესტნური ძეგლები სწორედ აქ აღმოჩენილ მასალებთან ნახულობენ ბევრ საერთოს<sup>339</sup>. განსაკუთრებით ახლოს დგანან ისინი კახეთის ძეგლებთან. როგორც ფიქრობენ, ურთიერთობა ხორციელდებოდა გადასასვლელი გზებით, რომლებიც ამიერ და იმიერკავკასიას აკავშირებდა ერთიმეორესთან. აღსანიშნავია, რომ კახეთში ამ გადასასვლელ გზებზე შეინიშნულია დროებითი სადგომები<sup>340</sup>. ნიშანდობლივია, რომ ჩრდილო კავკასიაში თითქმის არ შეიმჩნევა არარატის ველისა და საერთოდ სომხეთის მთიანეთისათვის დამახასიათებელი ვარიანტის გავლენა. როგორც ჩანს, მისი გავრცელება უპირატესად სამხრეთის მიმართულებით მიმდინარეობდა.

რა თქმა უნდა, საინტერესოა საკითხი თუ მტკვარ-არაქსის კულტურის რა ეტაპზე უნდა დაწყებულიყო მისი გადაადგილება ჩრდილოეთით. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ეს პროცესი უნდა დაწყებულიყო რამდენადმე გვიან იმის

336 P. M. Мунчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 340.

337 იქვე, გვ. 363; История Дагестана, I, стр. 53.

338 B. M. Котович, დასახ. ნაშრომი, გვ. 98.

339 P. M. Мунчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 367.

340 Ш. Ш. Дедабришвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

გამო, რომ ჩრდილო აღმოსავლეთ კავკასიაში მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ძეგლები ჭერჭერობით ცნობილი არ არის; ისინი შეიძლება მოვაქციოთ ადრეულ და მოგვიანო კომპლექსებს შორის და მიახლოებით III ათასწლეულის შუასაუკუნეებით დავათარილოთ<sup>341</sup>. მართალია, ახლა ძნელია გარკვევით ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როდის უნდა დაწყებულიყო მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების ჩრდილოეთით მოძრაობა, მაგრამ მაინც გვეგონია, რომ იგი უნდა დაწყებულიყო III ათასწლეულის შუა ხანებზე რამდენადმე უფრო ადრე. შესაძლოა, რომ მისი ფართოდ გავრცელება ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში მართლაც ამ დროზე მოდიოდეს, მაგრამ მისი პირველი გამოჩენა აქ უნდა ემთხვეოდეს იმ პერიოდს, როდესაც იწყება საერთოდ მტკვარ-არაქსის კულტურის ფართოდ განფენის პროცესი, მისი განვითარებული საფეხურის დასაწყის ხანაში. შესაძლოა ჩრდილოეთით მისი გადაადგილება რამდენადმე უფრო გვიან იწყება, მაგრამ ვფიქრობთ, რომ არა უგვიანეს III ათასწლეულის პირველი ნახევრის შუახანებისა. სამწუხაროდ დაღესტანში შესწავლილი ამ პერიოდის ძეგლების ქრონოლოგიური ურთიერთობის საკითხი სპეციალურად არავის განუხილავს და საერთოდ ამ კულტურის აქ მეტად ზოგადი თარიღია მოცემული — III ათასწლეულის შუა საუკუნეები. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მხარის ათვისება ერთბაშად არ მომხდარა; ეს უბრალო კულტურული ექსპანსია კი არ იყო, არამედ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების გადანაცვლების და ჩრდილო-აღმოსავლეთით კავკასიის ათვისების საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი. ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ტომების გამოჩენისას, ჩანს, ადგილობრივ მოსახლეობასთან მჭიდრო კონტაქტები დამყარდა, რის შედეგადაც ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში მტკვარ-არაქსის კულტურამ, ერთგვარად თავისებური სახე მიიღო<sup>342</sup>. აღსანიშნავია ისიც, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ელემენტებმა აქ უფრო დიდხანს შემოინახეს თავი, ვიდრე ამიერკავკასიაში და ისინი კარგად გამოირჩევა უფრო მოგვიანო ხანაშიც<sup>343</sup>.

მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების არეალში ჩრდილოეთით შედის აგრეთვე ჩეჩენ-ინგუშეთი და ეგებ აგრეთვე დღევანდელი ჩრდილო ოსეთის გარკვეული ტერიტორია. აქ გამოქვაბულ შაუ-ლეგეთის ზედა ფენებში აღმოჩნდა მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი მასალა (სადგარები და სხვ.)<sup>344</sup>, უფრო ძლიერად ამ კულტურის კვალი გამოჩნდა ჩეჩენ-ინგუშეთის ტერიტორიაზე, გროზნოს მხარეში ლუგოვოეს და სერჟენ-იურთის ნამოსახლარებზე. ამ ნამოსახლარებზე მოპოვებული მასალა ერთგვარი თავისებურებით

341 P. M. Мунчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 374.

342 P. M. Мунчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 366.

343 История Дагестана, стр. 83.

344 В. П. Любин, Энеолитическое поселение из грота Шау-Легет, КСИА, 108, 1966, стр. 85.



ხასიათდება იმის გამო, რომ აქ ორი კულტურის ელემენტებია შერწყმული—ერთი მხრივ მაიკობისა და მეორე მხრივ კი მტკვარ-არაქსისა<sup>345</sup>. ამ მხრივ ეს ნამოსახლარები განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ და აქ მოპოვებული მასალები ძვ. წ. III ათასწლეულში კავკასიაში არსებული ორი ძლიერი კულტურის ურთიერთობაზე იძლევიან გარკვეულ წარმოდგენას.

ინგუშეთში ლუგოვოეს ნამოსახლარი მდ. ასინის ხეობაში მდებარეობს და მის მარცხენა ნაპირს ტერასაზე იყო განლაგებული. იგი წრიული შენობებისაგან შედგებოდა, რაც, ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის გავლენის შედეგად უნდა იყოს. ამავე კულტურასთან კავშირზე მეტყველებს საცხოვრებელში აღმოჩენილი კერებიც<sup>346</sup>. მაგრამ ამავე დროს ეს ნამოსახლარი ხასიათდება მთელ რიგი ისეთი ნიშნებით, რაც მას მაიკობის კულტურისათვის დამახასიათებელ დასახლებებთან აახლოებს. რაც შეეხება მოპოვებულ ხივითიერ მასალას აქაც კარგად ჩანს იმის შერეული ხასიათი. აქ ნაპოვნი გეომეტრიული ფორმის მიკროლოთური იარაღი უახლოვდება ჩრდილო კავკასიისათვის დამახასიათებელ მასალას და საერთოდ ქვის ინვენტარი უფრო მაიკობის კულტურასთან ავლენს კავშირს<sup>347</sup>. უახლოვდება ამ კულტურას აგრეთვე ლუგოვოეს ნამოსახლარზე ნაპოვნი კერამიკაც, რომელიც განსაკუთრებით ახლოს დგას დოლინსკოეს ნამოსახლარის ქვედა ჰორიზონტის ჭურჭელთან<sup>348</sup>. მაგრამ ამ კერამიკა გვერდით გვხვდება აგრეთვე თიხის ჭურჭელი, რომელიც მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელ კერამიკას უკავშირდება<sup>349</sup>. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამ ჭურჭელზედაც გვხვდება რელიეფური სპირალური ორნამენტი. თავისი ფორმით ეს კერამიკა დიდუბის ტიპის, უფრო კი შიდა ქართლის ადრეულ ჭურჭელს (ზღუდრის გვერდა, ქულბაქები, ხიზანანთ გორა და სხვ.) უკავშირდება<sup>350</sup>. ნიშანდობლივია, რომ ლუგოვოეს ნამოსახლარზე მოპოვებული თიხის სადგარებიც გარკვეულ კავშირს შიდა ქართლურ მასალასთან ამჟღავნებენ (ზემო-აეჭალა, ტყვიავი, ზღუდრის გვერდა და სხვ.)<sup>351</sup>. მაგრამ ამავე დროს აქ გვხვდება ისეთი სადგარები, რომლებიც ჩრდილო კავკასიისათვისაა დამახასიათებელი. ამრიგად, ამ ნამოსახლარებზე მოპოვებული კერამიკა ერთი მხრივ მტკვარ-არაქსის კულტურას უკავშირდება, მეორე მხრივ კი იგი ახლოს დგას მაიკობის კულტურასთან.

ლუგოვოეში მოპოვებული კერამიკული მასალა განსაკუთრებით უახლოვდე-

345 Е. И. Крупнов, О чем говорят памятники материальной культуры Чечено-Ингушетской АССР. Грозный, 1966, стр. 38.

346 Р. М. Мунчаев, Древнейшая культура Северо-Восточного Кавказа, стр. 96.

347 იქვე, გვ. 61.

348 იქვე, გვ. 101.

349 იქვე, გვ. 130.

350 იქვე, გვ. 124.

351 Ш. Ш. Дедабришвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

ბა შიდა ქართლის და კახეთის თიხის ჭურჭელს. შიდა ქართლისა და კახეთის ეს კერამიკული კომპლექსი, როგორც აღვნიშნავდით, მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებული საფეხურის ადრეულ სტადიას უნდა მიეკუთვნებოდეს, სადაც ჯერ კიდევ ცოცხლობს ამ კულტურის უადრესი, დიდებუ-კიკეთის ჯგუფის კერამიკისათვის დამახასიათებელი ელემენტები. საფიქრებელია მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების გზა ჩეჩენ-ინგუშეთში მიდიოდა ერთი მხრივ კახეთზე, მეორე მხრივ კი შიდა ქართლიდან ჩრდილო ოსეთზე, სადაც სადღეისოდ უკვე ცნობილია ამ კულტურის ნაკვალევი<sup>352</sup> (შაუ-ლეგეთი). იმის გამო, რომ გროზნოს მხარეში მტკვარ-არაქსის კულტურის შედარებით ადრეული, უფრო III ათასწლეულის დასაწყისი ხანებისათვის დამახასიათებელი ელემენტები ჩანს, ამიტომ საპეციალურ ლიტერატურაში დაისვა საკითხი ამ ძეგლისათვის მიღებული თარიღის გადასინჯვის, მისი უფრო ღრმად გადატანის შესახებ<sup>353</sup>. რაკი ლუგოვოეს ნამოსახლარზე კარგად ჩანს მტკვარ-არაქსისა და მაიკოპის კულტურების შერწყმა, ამიტომ ამ ნამოსახლარის ასაკის დადგენისას მაიკოპის კულტურისათვის მიღებული თარიღით ხელმძღვანელობენ და მპა ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისი ხანით განსაზღვრავენ<sup>354</sup>. სოგიერთ-მკვლევარი იმასაც კი აღნიშნავს, რომ ამ ახალი მონაცემებით მაიკოპის კულტურის ჩამოყალიბების თარიღიც კი უნდა გადაისინჯოს<sup>355</sup>. რამდენად მართებულია ეს მოსაზრება ახლა ძნელი სათქმელია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მართო ამ მონაცემებით ამ დიდი საკითხის გადასინჯვა ძნელი იქნებოდა, მითუმეტეს, რომ მაიკოპის კულტურისათვის დღეს თითქოს კარგად დადგენილი თარიღი არსებობს — ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანები. თუმცა შესაძლოა ამ კულტურის ჩასახვის ხანა რამდენადმე უფრო წინ ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში იქნეს გადაწეული<sup>356</sup>. ყოველ შემთხვევაში ერთის თქმა კი შეიძლება. რომ ჩრდილოეთში მტკვარ-არაქსის კულტურის გამოჩენა შიდა ქართლში ამ კულტურის განვითარებული საფეხურის (ქვაცხელა-ხიზანანთ გორა-გუდაბერტყა) ჩამოყალიბებამდე უნდა მომხდარიყო. ლუგოვოეში მოპოვებული მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი მასალა მართლაც უფრო ადრეულ იერს ატარებს. აქ არ გვხვდება შიდა ქართლის განვითარებული საფეხურისათვის დამახასიათებელი ჭურჭლის ფორმები (ბიკონუსური მოყვანილობა და სხვ.), არც არარატის ველის ძეგლებისათვის დადგენილი ელემენტები ჩანს (სამნაწილადი ფორმა, ჩაღარულ-ამობურცული ორნამენტი და სხვ.). შეიძლება ვიფიქროთ.

352 P. M. Мунчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 155; მისივე, Кавказ в эпоху энеолита и ранней бронзы. Автореферат, стр. 48.

353 Т. Н. Чубинишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 153.

354 P. M. Мунчаев, Древнейшая культура Северо-Восточного Кавказа, стр. 161.

355 Ш. Ш. Дедабришвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

356 А. А. Иессен, Майкопская культура и ее датировка. Тезисы докладов, посвященных итогам полевых исследований 1961 г., Москва, 1962, стр. 22.

რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ჩრდილოეთით გამოჩენა რამდენადმე უფრო ადრე ხდება, ყოველ შემთხვევაში ძვ. წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრის შუახანებისათვის მას აქ მაინცადაშინც დიდი ცვლილებები არ განუცდია. შემდეგში იგი აქ მაიკობის კულტურის მხარდამხარ არსებობს და გროზნოს მხარეში ამ ორი კულტურის გამოჩენა დაახლოებით ერთ დროს უნდა მომხდარიყო, ეგებ უფრო III ათასწლეულის პირველი ნახევრის ბოლოსათვის. რა თქმა უნდა, ლუგოვოეს ნამოსახლარის მიკუთვნება III ათასწლეულის მიწურულისათვის<sup>357</sup> ან კიდევ ამავე ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისი ხანებისათვის სწორი არ უნდა იყოს. ამ ბოლო დროს, როგორც ცნობილია, მაიკობის კულტურისათვის უფრო ადრეული თარიღია მიღებული — ძვ. წ. 2500 წ.<sup>358</sup> და მისი საწყისები კიდევ უფრო სიღრმეშია გადატანილი.

სერყენ-იურთის ნამოსახლარი საჩეჩნეთში მდებარეობს. იგი ლუგოვოეს ნამოსახლარისაგან განსხვავებით ბუნებრივ ბორცვზეა განლაგებული, რითაც უფრო მეტად უკავშირდება მტკვარ-არაქსის კულტურას. სადაც ძველი სოფლები უპირატესად ბორცვებზე მდებარეობდა. კულტურული ფენა აქ არც თუ ისე ძლიერი იყო. საცხოვრებელი ტიპის შესახებ სამწუხაროდ სერყენ-იურთის ნამოსახლარზე გარკვევით არაფერი ითქმის. ჩანს, რომ ისინი უპირატესად თიხით შელესილი, სარ-ლასტებზე ნაგები უნდა ყოფილიყო<sup>359</sup>. ამ ნამოსახლარზე აღმოჩენილი კერამიკა, ისევე როგორც ლუგოვოესი, ერთი მხრივ უკავშირდება მაიკობის კულტურას, მეორე მხრივ კი ბევრ საერთოს პოულობს მტკვარ-არაქსის კულტურასთან. აქაც გვხვდება მსგავსი კერები, სადგარები და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სადღეისოდ არსებული მასალებიდან ისე ჩანს, რომ ინგუშეთის ტერიტორიამ უფრო განიცადა მაიკობის კულტურის გავლენა (ლუგოვოეს ნამოსახლარი), მაშინ როდესაც საჩეჩნეთი, როგორც ეს სერყენ-იურთის ნამოსახლარის მაგალითიდან ჩანს, უფრო მტკვარ-არაქსის კულტურისაკენ იხრება. როგორც ფიქრობენ, აქ ეს კულტურა შესაძლოა ეთნიკური ჯგუფების გადაადგილების შედეგი იყოს—უპირატესად შიდა ქართლის რაიონებიდან<sup>360</sup>. ზევით უკვე აღვნიშნავდით, რომ თუ ეს მოსაზრება სწორია, მაშინ ეს პროცესი უნდა დაწყებულიყო შიდა ქართლის მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებული საფეხურის (ქვაცხელა-ხიზნანანთ გორის C დონე) ჩამოყალიბებამდე.

მტკვარ-არაქსის კულტურის გავლენა ჩანს აგრეთვე ჩეჩენ-ინგუშეთის სტეპების რაიონებშიაც. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მდინარე თერგის ჩრდილო სანაპიროზე სტანიცა მეკენსკაიასთან (ნაურის რაიონი) შესწავლილი ყორღანები. ეს ყორღანები მაიკობის კულტურის ადრეულ სტადი-

<sup>357</sup> Е. И. Крупнов. Первые итоги изучения Восточного Предкавказья, СС, 2, 1957, стр. 158.

<sup>358</sup> А. А. Иессен, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

<sup>359</sup> Р. М. Мунчаев, Кавказ в эпоху энеолита и ранней бронзы, стр. 596.

<sup>360</sup> იქვე, გვ. 658.

ას მიეკუთვნებიან, მაგრამ აქ გვხვდება თიხის ჭურჭელი, რომელიც გარკვეულ ანალოგიას პოულობს მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელ კერა-შიკასთან<sup>361</sup>.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ხანებში ზოგიერთმა მკვლევარმა ყურადღება მიაქცია მტკვარ-არაქსისა და შუა ევროპის ზოგიერთ კულტურათა კავშირს და თანაც იმასაც მიუთითებენ, რომ კონტაქტი ჩანს მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ ეტაბთან. ამ კულტურის უფრო მოგვიანო ფაზასთან მსგავსი ანალოგიები უკვე აღარ შეინიშნება. მსგავსება ამ ორ მხარეს შორის იმდენად დიდია, რომ ძნელია იგი მხოლოდ სავაჭრო კონტაქტების შედეგით აიხსნას და უფრო იმას ვარაუდობენ, რომ ხალხთა გარკვეული ჯგუფების გადასახლებას უნდა ჰქონოდა ადგილი კავკასიიდან კარპატების მხარეში<sup>362</sup>. პოლონელი არქეოლოგის ი. მახნიკის აზრით, მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ფაზის კავშირები ევროპასთან ძირითადად ანატოლიის გზით ხორციელდებოდა. იგი იმასაც ფიქრობს, რომ შესაძლოა გადასახლებას ადგილი ჰქონოდა აგრეთვე შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს მხრიდანაც, მაგრამ თუ ამ მოსაზრებას დავუშვებთ, მაშინ ეს გადაადგილება ძალიან სწრაფად უნდა მომხდარიყო იმის გამო, რომ ამ გზაზე არქეოლოგიური ნაკვალევი არ შეინიშნება<sup>363</sup>. რამდენად მართებულია მოსაზრება მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომთა შორს, დასავლეთით გადანაცვლების შესახებ ახლა ძნელი სათქმელია, მაგრამ რომ რაღაც კონტაქტები უნდა არსებულებოდა ძვ. წ. III ათასწლეულში შუა ევროპის კულტურებთან, თითქმის საფუძველმოკლებული არ უნდა იყოს. აქ აღმოჩენილ კერამიკაზე მართლაც შეიმჩნევა მტკვარ-არაქსის კულტურიდან წამოსული გავლენები. შუა ევროპაში კავკასიიდან წამოსული იმპულსები უკვე ნეოლითურ ხანაშიაც შეიმჩნევა<sup>364</sup>. როგორც ცნობილია, ადრევე იყო გამოთქმული მოსაზრება, რომ ევროპაში პირველი მეტალურგები მოსულები უნდა ყოფილიყვნენ<sup>365</sup> და ანატოლიური ან კავკასიური ტრადიციების მატარებლები იყვნენ<sup>366</sup>. შესაძლოა ესეც იმ ადრეული კონტაქტების ანარეკლი იყოს. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ნ. მა-

<sup>361</sup> Е. И. Крупнов, Н. Я. Мерперт, Курганы у станицы Мекеишской. Древности Чечено-Ингушетии. Москва, 1963, стр. 40.

<sup>362</sup> J. Machnik. Kulturbeziehungen zwischen dem Kaukasus und dem Karpatenraum an der Wende des Neolithicums und der Bronzezeit, Actes du VIII-e Congrès international des Sciences Préhistoriques et Protohistoriques, Beograd, 1973, 351.

J. Machnik, Uwagi o związkach obszarów Karpackich z alpejskimi u schyłku eneolitu i w początkach epoki brązu, Acta Archaeologica Carpathica, T. XIII, Krakow, 1972—1973, 69.

<sup>363</sup> იქვე, გვ. 69.

<sup>364</sup> J. Kowalczyk, Zmierzch epoki Kamienia. 1871, გვ. 53.

<sup>365</sup> Г. Чайлд, У истоков европейской цивилизации, стр. 162.

<sup>366</sup> იქვე, გვ. 168.

რი მიუთითებდა ბრინჯაოს ხანის იაფეტიდ მეტალურგების მიგრაციაზე შორს— დასავლეთით, პირენეის ნახევარკუნძულზე; მისი თქმით, ეს იყო იაფეტური ტომების დიდი განსახლების ეპოქა<sup>367</sup>.

რა ხდება ძვ. წ. III ათასწლეულში კავკასიის იმ ოლქებში, სადაც მტკვარ-არაქსის კულტურამ ვერ შეაღწია და რა იყო მიზეზი, რომ ეს მხარე ამ კულტურის გავლენის სფეროში არ მოექცა, ახლა გარკვევით თქმა ძნელია. დასავლეთ საქართველოში კოლხეთის დაბლობსა და უფრო ჩრდილო ზღვისპირა ზოლში და საერთოდ მთელ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ამ პერიოდში განაგრძობდა არსებობას მიწათმოქმედი-მესაქონლე ტომების კულტურა, რომელსაც ჯერ კიდევ წინამორბედ კულტურასთან ჰქონდა ბევრი საერთო. აქ, განსხვავებით კავკასიის ოლქებისაგან, სადაც მტკვარ-არაქსის კულტურამ დაისადგურა, არ შეიმჩნევა მკვეთრი ცვლილება კულტურაში. როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, ჩრდილო კავკასიის მხრიდან მტკვარ-არაქსის კულტურამ თითქმის ჩეჩენ-ინგუშეთის სტეპებზე რაიონამდე მიაღწია, დასავლეთ საქართველოში კი მისი გავლენა სამტრედიის მხარემდე აღწევს. ერთ-ერთი მიზეზი ამისა შეიძლება დასავლეთ ამიერკავკასიის თავისებური ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებიც ყოფილიყო. კოლხეთის დაბლობი და საერთოდ ზღვისპირა ზოლი თავისი ბუნებრივი პირობებით, სუბტროპიკული ხასიათით, საგრძნობლად განსხვავდებოდა ამიერკავკასიის სხვა ოლქებისაგან და, ჩანს, ნაკლებად შეესაბამებოდა მეურნეობის იმ ხასიათს, რომელიც მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომებისათვის იყო დამახასიათებელი. დასავლეთ საქართველოში ამ ტომებმა სწორედ იქ მოიკიდეს ფეხი, სადაც სხვაობა ბუნებრივ გარემოში საგრძნობი არ იყო — მდინარე ყვირილის ზემო წელზე და რიონის შუა წელის აუზში.

---

<sup>367</sup> Н. М а р р, Яфетический Кавказ и третий этнический элемент в созидаании средиземноморской культуры, стр. 41.

### III თ ა ვ ი


## დასავლეთ ამიერკავკასია ძვ. წ. III ათასწლეულში

დასავლეთ საქართველო ძვ. წ. III ათასწლეულში სადღეისოდ ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილი ჩანს. როგორც აღვნიშნავდით, ამ პერიოდში აქ ვრცელდება მტკვარ-არაქსის კულტურა. ამ კულტურის განვითარების პროცესი დასავლეთით განსაკუთრებით კარგად ჩანს ამ ბოლო ხანებში ყვირილის ზემოწევის აუზში შესწავლილი მასალების საფუძველზე. აქ ამ კულტურის გამოჩენამდე, ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში განაგრძობდა არსებობას სამიწათმოქმედო კულტურა, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი საერთო ჰქონდა წინარე ხანასთან. სამერცხლე კლდის, დარკვეთის ეხისა და სხვ. მოპოვებული მასალები ძალიან ახლოს დგას სამეღე კლდესთან. უახლოვდებიან ისინი აგრეთვე თეთრამიწისა და საგვარჯილეს მასალებს. როგორც ფიქრობენ, აქ ერთიან, ადრებრინჯაოს კულტურასთან უნდა გვეკონდეს საქმე<sup>1</sup>. გარდა ამისა, საკმაოდ მჭიდრო კავშირი ჩანს მაიკოპის კულტურის ადრეულ ნამოსახლარებზე მოპოვებულ მასალასთანაც (მეშოკოს ქვედა ფენები) და აგრეთვე შავიზღვისპირა ზოლში გამოვლენილ ნამოსახლარებთან<sup>2</sup>. ახლა ჯერ კიდევ ძნელია გარკვევით თქმა, თუ რა ხდება ძვ. წ. III ათასწლეულში დასავლეთ ამიერკავკასიაში და საერთოდ ჩრდილო დასავლეთ კავკასიაში, მაგრამ ერთი კი თითქოს ჩანს, რომ ამ ფართო ტერიტორიაზე ამ ხანაშიაც განაგრძობდა არსებობას ჯერ კიდევ წინარე ხანიდან მომდინარე ტრადიციები, რომლებიც ესოდენ საერთო ელფერს აძლევს აქ გავრცელებულ კულტურას. სწორედ ამან მისცა საფუძველი ზოგიერთ ავ-

<sup>1</sup> ლ. ნე ბ ი ე რ ი ძ ე, დარკვეთის მრავალფენიან ეხში ჩატარებული მუშაობის ძირითად შედეგები, გვ. 28.

<sup>2</sup> იქვე; დ. თ უ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ნე ბ ი ე რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

ტორს ევარაუდა, რომ დასაველეთ საქართველოდან გავრცელებული ეს კულტურა შემდეგში მაიკოპის კულტურას დაედო საფუძვლად<sup>3</sup>. ისიც ითქვა, რომ მა-



სურ. 79. ძვლის იარაღი და ქვის სამაჯურები საგვარჯილედან.

აკოპის კულტურის ფორმირება უფრო სამხრეთით ხდებოდა<sup>4</sup>. ასეა თუ ისე, ერთი კია, რომ მაიკოპის კულტურა, განსაკუთრებით მის ადრეულ საფეხურ-

<sup>3</sup> Л. Глonti, А. Джавахишвили, Г. Джавахишвили, Я. Киквидзе, Д. Тушабрамишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

<sup>4</sup> А. А. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 150.

ზე, მართლაც ბევრ საერთოს პოულობს დასავლეთ ამიერკავკასიის ნამოსახლარებზე გამოვლენილ მასალასთან.

როგორც უკვე ზევით აღნიშნული იყო, III ათასწლეულის პირველი ნახევრის ზოლოსათვის რიონ-ყვირილის აუზის გარკვეულ ოლქებში ვრცელდება მტკვარ-არაქსის კულტურა და ზოგან საკმაოდ მყარად იცილებს ფეხს. ეს განსაკუთრებით ითქმის ყვირილის ზემოწელის აუზზე. რაც შეეხება რიონის ხეობას, აქ ეს კულტურა ჭერჭერობით ორგანაა დამოწმებული — თერჯოლის რაიონში გამოქვაბულ საგვარჯილეში და სოფ. დაბლაგომში. სამწუხაროდ, საგვარჯილის მასალები სათანადოდ გამოქვეყნებული არ არის. იგი რთული, მრავალფენიანი ძეგლია<sup>5</sup> და ფენათა ურთიერთობის საკითხი აქ ჭერ კიდევ მთლად გარკვეული არ არის. სპეციალურ ლიტერატურაში ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე კარგახანია დაუა<sup>6</sup>, საგვარჯილეში საკმაოდ ძლიერადაა წარმოდგენილი ენოლით-ადრებრინჯაოს ხანის ფენა, რომელიც იგივე ხასიათისაა, რაც თეთრამიწასა და აგრეთვე ჭიათურის რაიონში გამოვლენილი ადრეული მასალები (სურ. 79, 80). განვითარების გარკვეულ ეტაპზე ეს კულტურა ახლოა მაიკოპის კულტურის ადრეულ ნამოსახლართან (მეშოკო)<sup>7</sup>. მაგრამ ვიდრე სათანადოდ შესწავლილი არ იქნება საგვარჯილეში გამოვლენილი მასალები, მთლიანად ნათელი არ არის მტკვარ-არაქსის კულტურასთან ურთიერთობის საკითხი. ეს კულტურა აქ, ჩანს, III ათასწლეულის პირველი ნახევრის ბოლოსათვის იწყებს გამოჩენას და თითქოს ისე შეიმჩნევა, რომ მისი გავლენა აქ ისე ძლიერი არ იყო, როგორც ამას ყვირილის აუზის ზემო წელზე ვხვდებით და მის აქ გამოჩენას არსებული სამიწათმოქმედო კულტურის საბოლოო ჩაქრობა არ გამოუწვევია. როგორც ჩანს, თეთრამიწა-საგვარჯილეს ტიპის ადგილობრივი კულტურა საკმაოდ ძლიერი იყო და მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელებას ძირფესვიანი ცვლილებები არ გამოუწვევია, როგორც ამას ამ კულტურის გამოჩენის სხვა ოლქებში ვხვდებით.

სოფ. დაბლაგომში (სამტრედიის რაიონი) ბორცვ ნაციხვარზე სხვადასხვა პერიოდის მასალებთან ერთად ნაპოვნი იყო აგრეთვე ტიპიური მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკა. მაგრამ მასალის სიმცირის გამო სადღეისოდ ნაციხვარის ნამოსახლარის შესახებ ბევრი არაფრის თქმა შეიძლება. აქ გარდა მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი ჭურჭლისა აღმოჩნდა აგრეთვე მასალები, რითაც ეს ძეგლი კოლხეთის დაბლობის ადრეულ ნამოსახლარებს უკავშირდება. ბ. კუფტინის აზრით, ნაციხვარის ნამოსახლარის


<sup>5</sup> ნ. კილაძე, მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი „საგვარჯილე“, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XIV, № 3, 1953, გვ. 563.

<sup>6</sup> დ. თუშაბრამიშვილი, ლ. ნებიერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 79, ლ. ნებიერიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, გვ. 84; A. A. Формозов, დასახ. ნაშრ. 134.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 135.



ქვედა პორიზონტი ხასიათდება მტკვარ-არაქსული კერამიკით და მის ზედა პორიზონტებში გამოჩენას იწყებს რიონის დაბლობისათვის დამახასიათებელი ადრეული ნამოსახლარების თიხის ჭურჭელი<sup>8</sup>. III ათასწლეულის მეორე ნახევ-



სურ. 80. ქვის იარაღები სავარჯილედან.

რიდან გარკვეული ურთიერთობა ჩანს კოლხეთის დაბლობის უძველეს კულტურასთან.

როდის ხდება კოლხეთის დაბლობის პირველი ათვისება ადამიანის მიერ,

<sup>8</sup> Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, Тбилиси, 1950, стр. 139.

ჯერ კიდევ გარკვევით თქმა ძნელია. სადღეისოდ არსებული მასალებით თითქოს ისე ჩანს, რომ პირველი დასახლებები რიონის ხეობაში მტკვარ-არაქსის კულტურის გამოჩენის შემდგომი პერიოდიდან, ძვ. წ. III ათასწლეულის შუა. ევგბ უფრო კი მის მეორე ნახევარში ჩნდება. შესაძლოა პირველი ათვისება ამ დაბლობის უფრო ჩრდილო ნაწილში, ენგურის აუზში იწყება. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ რიონისა და ენგურის ორმდინარეთის ქვედა წელის აუზებში დიდი რაოდენობით გვხვდება ნამოსახლარი ბორცვები<sup>9</sup>. ეს ბორცვები ჩვეულებრივად ჯგუფებადაა განლაგებული და მათ ირგვლივ არხები უვლის, რომლებიც შემდეგში მდინარეს უერთდებიან. დაქაობებულ ადგილებში არხებს, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა: დრენაჟის, მელიორაციის, თავდაცვითი და სამიმოსვლო<sup>10</sup>. მართალია, სადღეისოდ კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარების კულტურა ზუსტადაა შესწავლილი, მაგრამ როგორც ჩანს, მისი დასახლება მთელი ბრინჯაოს ხანის მანძილზე მიმდინარეობდა. შემდეგში, ალბათ, ბუნებრივი პირობების შეცვლის გამო, ცხოვრება აქ თანდათანობით ჩამქრალა<sup>11</sup>.

აღსანიშნავია კოლხეთის დაბლობის ჩრდილო ზოლში მდ. ენგურის ხეობაში, ანაკლიის მახლობლად ჯერ კიდევ 1935 წ. გათხრილი ბორცვი „ღიხაგუძუბა“. იგი დაახლოებით 2,0 მ სიმაღლისაა, დიამეტრი 100 მ აღწევს. ირგვლივ შემოვლებული ჰქონდა ფართო თხრილი. ეს ბორცვი რამდენიმე ფენისაგან შედგებოდა. ცხოვრება აქ, ჩანს, ბრინჯაოს ხანის ადრინდელ საფეხურზე ჩასახულა და შემდეგში ბრინჯაოს პერიოდის მთელ მანძილზე არსებობდა<sup>12</sup>. ადრებრინჯაოს ხანას განეკუთვნება აგრეთვე ახლახან შესწავლილი ბორცვი „კურზია“, რომელიც სოფ. საელიავოსთან მდებარეობს. აქ გამოვლენილი იყო სამი კულტურული ფენა, რომელთაგან ძირა, მესამე, ფენა ბრინჯაოს ადრინდელ საფეხურს მიეკუთვნება. აქ აღმოჩენილი მასალები ახლო პარალელს პოულობენ უფრო ჩრდილოეთით აფხაზეთის ზღვისპირა ზოლში გამოვლენილ მასალებთან (ოჩამჩირე, გუმისთა, მაჭარა და სხვ.)<sup>13</sup>. როგორც ჩანს, რიონ-ენგურის ორმდინარეთი უფრო ინტენსიურად მომდევნო, შუაბრინჯაოს ხანაში დასახლებული.

<sup>9</sup> А. А. Иессен, Проблема изучения археологических памятников Колхидской шизменности в целях характеристики современных геологических процессов. Бюллетень комиссии по изучению четвертичного человека, № 6, 7, М.—Л., 1940, стр. 108; Там же, В. М. Гоголишвили, Проблема изучения древних памятников Колхидской низменности, стр. 109.

<sup>10</sup> გ. ნიორაძე, არქეოლოგიური გათხრები კოლხეთში, ენიშკის მოამბე, ტ. X. თბ., 1941, გვ. 324.

<sup>11</sup> ნ. ხოშტარია, ღიხაგუძუბა, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლობა, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. V, № 2, თბილისი, 1944, გვ. 208.

<sup>12</sup> Б. А. Куптин, დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

<sup>13</sup> თ. მიქელაძე, მ. ბარამიძე, დ. მუსხელიშვილი, დ. ხახუტაიშვილი, გ. ფხაკაძე, კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე კვლევა-ძიების შედეგები, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წ. თბილისი, 1973, გვ. 51.

აფხაზეთში და, საერთოდ კავკასიის ჩრდილო შავიზღვისპირეთის ზოლში, როგორც უკვე ზევით აღვნიშნავდით, გავრცელებული იყო მიწათმოქმედი ტომების კულტურა, რომელიც დასავლურ-ქართულ ნეოლითის საფუძველზე ჩანს აღმოცენებული და რომელსაც ბევრი საერთო ჰქონდა ყვირილისა და რიონის აუზში გამოვლენილ კულტურასთან. ეს ტრადიციები ამ მხარეში მთელ III ათასწლეულის მანძილზე განაგრძობს არსებობას. III ათასწლეულის შუახანისათვის და მის მეორე ნახევარში აფხაზეთსა და სოჭი-ადღერის მხარეში გავრცელებული კულტურა გარკვეულ ურთიერთობას ამჟღავნებს კოლხეთის დაბლობის ადრეულ ნამოსახლარებთან. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ოჩამჩირის ნამოსახლარები. იგი ოჩამჩირის ჩრდილოეთით, მისგან 5 კმ-ის დაშორებით მდებარეობს იმ ადგილას, სადაც მდ. ჭიჭიმურა ზღვას ერთვის. ძველი ნამოსახლარი განლაგებული ყოფილა ერთმანეთის გვერდით მდებარე სამ ბორცვზე<sup>14</sup>. ქვედა, უძველესი ფენა შეიცავდა თავისებურ კერამიკას, ქვისა და ძვლის იარაღს, მრავლად ცხოველთა ძვლებს და სხვ. იარაღი კაჟისა და რიყის ქვისგანაა ნაკეთები, ფორმითა და დამუშავების ტექნიკით იგი თითქმის არ განსხვავდებოდა წინარე ხანისათვის დამახასიათებელ ქვის იარაღისაგან.

ქვედა ფენაში აღმოჩენილი კერამიკა შედარებით უკეთაა ნაკეთები, ვიდრე წინამორბედი პერიოდის თიხის ჭურჭელი. აქ უპირატესად გვხვდება ქილისებური ჭურჭელი, ბადიები, ჯამისებრი ჭურჭელი, ტოლჩები და სხვ. იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება შავპირილა კერამიკა. ხშირია შედარებით მარტივი ორნამენტი: სწორი თუ ირიბი ჭდეული ხაზები, სამკუთხედები და სხვ. გვხვდება ჭურჭელი, რომელსაც ეტყობა ჭილოფის თუ ქსოვილის ანაბეჭდი<sup>15</sup>.

როგორც მოპოვებული მასალებიდან ჩანს, მიწათმოქმედება აქ საკმაოდ მაღალ საფეხურზე უნდა მდგარიყო. დაწინაურებული ჩანს აგრეთვე მესაქონლეობაც. როგორც ჩანს, უპირატესად მსხვილფეხა საქონლის მოშენებას მისდევდნენ. აქ აღმოჩენილი საქონლის ძვლები ისეთივეა, როგორიც დაბლაგომისა და ანაკლიიდან ცნობილი, პატარა ზომის ძროხისა<sup>16</sup>. კარგადაა წარმოდგენილი აგრეთვე ღორის ძვლებიც. ჩანს, კოლხეთში ამ დროს მელორეობისათვის ხელსაყრელი პირობები იყო. შედარებით ნაკლებია წვრილფეხა საქონლის ძვლები. აქ ამ პერიოდისათვის ჩანს სათანადო პირობები არ იყო, ტყიანი ლანდშაფტი საამისოდ ნაკლებ ხელსაყრელი იყო. მეთევზეობასა და მონადირეობას ჯერ კი-

<sup>14</sup> Л. Н. Соловьев, Археологические раскопки близ г. Очамчыре в Абхазии, СА, IV, М.—Л., 1937, стр. 323.

<sup>15</sup> Л. Н. Соловьев, Энеолитическое селище у Очамчырского порта в Абхазии. Труды Абхазского научно-исследовательского института языка и истории. Сухуми, 1932, вып. XV, стр. 5; Б. А. Куфтин, дасახ. ნაშრომი, გვ. 266.

<sup>16</sup> Б. А. Куфтин, дасახ. ნაშრომი, გვ. 285.

დევ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. აღსანიშნავია, რომ ოჩამჩირესთან ახლოს დგას აგრეთვე აფხაზეთის მთის ზოლში სულ ახლახან გამოვლენილი მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ახრა კაპმის გამოქვაბულში და პალის ფარდულში აღმოჩენილი მასალები. როგორც ჩანს, ეს ძეგლები ერთ კულტურას უნდა მიეკუთვნებოდნენ<sup>17</sup>.

ოჩამჩირის ნამოსახლარზე მოპოვებული მასალა ახლოს დგას კოლხეთის დაბლობის ადრეული ხანის ძეგლებთან, განსაკუთრებით კი დინაგუძუბას ქვედა ფენის მასალასთან. მათ უპირატესად კერამიკა აახლოვებს<sup>18</sup>. მსგავსება ჩანს, აგრეთვე, ქვის იარაღშიც. დინაგუძუბას ქვედა ფენაში აღმოჩენილი ფუძემოლარული ისრისპირი თითქმის სავსებით ისეთივეა, როგორიც ოჩამჩირისა<sup>19</sup>.

ბოლო დრომდე ოჩამჩირის ნამოსახლარს ენეოლითურ ხანას მიაკუთვნებდნენ და მას უპირატესად ძვ. წ. III—II ათასწლეულების მიჯნით ან კიდევ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით ათარიღებდნენ<sup>20</sup>. უკანასკნელი ხანების აღმოჩენების საფუძველზე მართებული ჩანს ამ ნამოსახლარის ადრეებრინჯაოს ხანისადმი მიკუთვნება და მისი თარიღის რამდენადმე სიღრმეში გადატანა, კერძოდ III ათასწლეულის შუა ხანებამდე<sup>21</sup>. მას წინ უსწრებს ზღვისპირა ზოლში გავრცელებული, ზემოთ უკვე განხილული, ადრემიწათმოქმედი ტომების კულტურა, რომელიც აქ გავრცელებული იყო IV ათასწლეულში და III ათასწლეულის პირველ ნახევარში.

ოჩამჩირის ნამოსახლართან ახლოს დგას სოხუმის მახლობლად გუმისთას ნამოსახლარი, თუმცა მასზე რამდენადმე ახალგაზრდა უნდა იყოს. ქვის ინვენტარი ამ ორივე ნამოსახლარიდან თითქმის ერთნაირია, თუმცა გუმისთას ნამოსახლარზე მრავლად აღმოჩნდა დისკოიდალური ფორმის იარაღი, რომელიც ცნობილია „სოხუმის ტიპის“ თიხის სახელით<sup>22</sup>. თიხის ჭურჭელშიც ბევრია საერთო, ოღონდ გუმისთას თიხის ჭურჭელი მაინც უკეთაა ნაკეთები და გამოქვყვარი, ორნამენტიც უფრო მრავალფეროვანია. თავისი ხასიათით ეს კერამიკაც კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარ ბორცვებზე გამოვლენილ ჭურჭელს უახლოვდება<sup>23</sup>.

ამავე დროისაა, ეგებ უფრო ახალგაზრდაც, მაჭარის ნამოსახლარის მესა-

17 В. В. Б ж а н и я, Поселение очамчирской культуры в горах Абхазии. Кавказ и Восточная Европа в древности. Москва, 1973, стр. 70.

18 Л. Н. С о л о в ь е в, Археологические раскопки близ г. Очамчире в Абхазии, стр. 322.

19 Б. А. К у ф т и н, დასახ. ნაშრომი, გვ. 268, სქოლიო.


20 Б. А. К у ф т и н, დასახ. ნაშრომი, გვ. 152; Л. Н. С о л о в ь е в, Новый памятник культурных связей Кавказского Причерноморья в эпоху энеолита и бронзы — стоянка Воронцовской пещеры, стр. 150.

21 В. В. Б ж а н и я, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

22 Л. Н. С о л о в ь е в, დასახ. ნაშრომი, გვ. 148.

23 В. В. Б ж а н и я, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

ჰე ფენა; როგორც უკვე აღვნიშნავდით, ამ ნამოსახლარის ძირა, მეოთხე ფენა ენეოლითური ხანისაა, მომდევნო კი აღრებრინჯაოს პერიოდს მიეკუთვნება. აქ აღმოჩენილი მასალა ძალიან ახლოს დგას გუმისთას ნამოსახლარის ინვენტართან<sup>24</sup>. უახლოვდება იგი აგრეთვე ოჩამჩირის ნამოსახლარის მასალასაც, მაგრამ, როგორც ჩანს, მასზე რამდენადმე უფრო ახალგაზრდა უნდა იყოს. ჭურჭლის შემკობის ხასიათის მხრივ მაჰარის მესამე ფენის კერამიკა ბევრ სა-



სურ. 81. ქვისა და თიხის ნივთები მაჰარის ნამოსახლარიდან.

ერთოს პოულობს კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარი ბორცვების ჭურჭელთან<sup>25</sup>.

მაჰარის ნამოსახლარმა დროის საკმაოდ დიდ მანძილზე იარსება — ენეოლითიდან მოკიდებული ვიდრე შუაბრინჯაოს ხანამდე. მისი მეორე ფენა, რომელიც უშუალოდ მესამე ფენას ედო თავზე, უკვე ისეთი ნიშნებით ხასი-

<sup>24</sup> В. В. Б ж а н и я, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

<sup>25</sup> В. В. Б ж а н и я. Мачарское поселение эпохи энеолита и бронзы в Абхазии, СА, I, Москва, 1966, стр. 122.

ათდება, რაც მას უკვე შუაბრინჯაოს პერიოდთან აკავშირებს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქ მოპოვებული კერამიკა ჯერ კიდევ გარკვეულად მესამე ფენის ჭურჭელს უკავშირდება. საინტერესოა მეორე ფენაში აღმოჩენილი ქვის ინვენტარი. დამუშავების ხასიათის მხრივ და ტიპობრივადაც ქვის იარაღები სავსებით იმეორებს ძველ ტრადიციებს, მაგრამ საყურადღებოა, რომ აქ აღმოჩნდა ე. წ. „სოკი-აღლერის“ და „სოხუმის“ ტიპის ქვის თოხები<sup>26</sup> (სურ. 81).

„სოკი-აღლერის“ ტიპის თოხები ძირითადად გვხვდება ზღვისპირა ზოლში გაგრასა და სოკს შორის<sup>27</sup>. ბზიფის სამხრეთით ამ ტიპის იარაღი შედარებით იშვიათია. ამ ბოლო დროს ეს თოხები ნაპოვნი იყო გულრიფშის რაიონში — მაჭარის ნამოსახლარზე (სურ. 82,7). „სოკი-აღლერის“ ტიპის თოხი თითქოს აღმოჩნდა, ლ. სოლოვიოვის მოწმობით, აგრეთვე, ოჩამჩირის ნამოსახლარზე-დაც<sup>28</sup>. თუმცა თავის უფრო გვიან გამოსულ ნაშრომში აღნიშნავს, რომ გაგრის სამხრეთით განსხვავებული ტიპის ქვის თოხები გვხვდება<sup>29</sup>. სადღეისოდ ამგვარი თოხის გავრცელების უქილურესი პუნქტია თეთრამიწის ნამოსახლარი ქუთაისთან. აქ სხვა თოხებთან ერთად აღმოჩნდა ერთი ამ ტიპის იარაღი<sup>30</sup>. აღრუ „სოკი-აღლერის“ ტიპის თოხის გამოჩენას კავკასიის შავიზღვისპირეთში ნეოლითურ ხანას უკავშირებდნენ<sup>31</sup>. მაგრამ, ეს თოხი აქ, როგორც ჩანს, რამდენადმე უფრო გვიან — ენეოლითური პერიოდიდან იწყებს გავრცელებას და მათ თითქმის მთელი ბრინჯაოს ხანის მანძილზე ვხვდებით<sup>32</sup>. ამიტომ თითქოს მართებული ჩანს ჯერ კიდევ ნ. ხოშტარიას მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომელიც კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ბრინჯაოს „სეგმენტისებრი იარაღის“ წარმომავლობას „სოკი-აღლერის“ ტიპის თოხებს უკავშირებდა<sup>33</sup>. კავკასიაში ქვის ამ ტიპის თოხების გამოჩენას წინა აზიას უკავშირებენ, სადაც მსგავსი ფორმის ქვის თოხები ადრესამიწათმკმედო კულტურაში გვხვდება. ზოგიერთმა ისიც აღნიშნა, რომ თეთრამიწა ამ თოხების გავრცელების გზაზე შუალედი რგოლი უნდა ყოფილიყო<sup>34</sup>. იყო თუ არა „სოკი-აღლერის“ ტიპის

<sup>26</sup> В. В. Б ж а н и я, დასახ. ნაშრომი, გვ. 123.

<sup>27</sup> В. И. Маркович, Р. М. Муш а е в, О двух типах каменных орудий Северного Кавказа, КСИА, вып. 84, Москва, 1961, стр. 27.

<sup>28</sup> Л. Н. Соловь е в, Энеолитическое селище у Очечирского.... табл. I, III.

<sup>29</sup> Л. Н. Соловь е в, Новый памятник культурных связей Кавказского Причерноморья в эпоху энеолита и бронзы, стр. 138.

<sup>30</sup> ნ. კ ი ლ ა ძ ე, ახალი ქვისხანის ძეგლები თეთრამიწა-დან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 29, თბილისი, 1951, გვ. 255.


<sup>31</sup> А. А. Ф о р м о з о в, О датировке неолитических стоянок Черноморского побережья Кавказа, КСИИМК, вып. 67, Москва, 1957, стр. 138; И. К. Н е д о л я, Орудия земледелия эпохи неолита в районе Адлера, КСИИМК, вып. 67, Москва, 1957, стр. 142.

<sup>32</sup> В. В. Б ж а н и я, დასახ. ნაშრომი, გვ. 125.

<sup>33</sup> Н. В. Х о ш т а р и я, Об одном бронзовом орудии из Колхиды, КСИИМК, вып. XXXVI, Москва, 1951, стр. 178.

<sup>34</sup> А. А. Ф о р м о з о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 140.

თოხი თავისი წარმომავლობით წინააზიურ ცალბეთან დაკავშირებული ახლა ჯერ კიდევ გარკვევით ძნელი სათქმელია: საქმე იმაშია, რომ დიდი ნაწილი ამ თოხებისა კავკასიის ზღვისპირა ზოლში შემთხვევითაა აღმოჩენილი<sup>35</sup>. თუკო რაიმე კავშირი ადრეულ პერიოდში ამ რაიონსა. და წინა აზიას შორის სხვა



სურ. 82. სოკი-აღლერისა და სოხუმის ტიპის ქვის ცულები.

მხრივაც გამოჩნდება, მაშინ მართლაც შეიძლება „სოკი-აღლერის“ ქვის თოხები წინააზიურ ფორმებს დაუკავშიროთ; მაგრამ, ვიდრე ეს კავშირი სხვა მხრივ: მაინცადამაინც ჯერჯერობით არ ჩანს, ამ ურთიერთობაზე გადაჭრით ლაპარაკი. როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს<sup>36</sup>, გაჭირდება. მიუხედავად ამისა. ცხადია, რომ კავკასიის ზღვისპირა ზოლში, სადაც თოხის ეს ტიპი იყო გავრცელებული, მიწათმოქმედება უკვე საკმაოდ მაღალ დონეზე უნდა მდგარიყო. თუმცა ზოგი ავტორი ეჭვს გამოთქვამდა მათი მაინცადამაინც მიწათმოქმედებაში გამოყენების შესახებ<sup>37</sup>. მაგრამ ლენინგრადის ლაბორატორიაში ჩატარებული ანალიზის შედეგად მათი მიწის სამუშაოებთან დაკავშირება ეჭვს არ უნდა იწვევდეს<sup>38</sup>.

გაგრის სამხრეთით ზღვისპირა ზოლში სხვაგვარი ქვის თოხი იყო გავრცელებული, მას ლ. სოლოვიოვმა „სოხუმის ტიპის“ თოხი უწოდა<sup>39</sup> (სურ. 82,2). ამ თოხს დისკოიდალური ფორმა აქვს და დიდი რაოდენობით ცხვლებით გუ-

<sup>35</sup> В. В. Бжания, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 123; Ю. Н. Воронов, *Археологическая карта Абхазии, Сухуми*, 1969, стр. 17.

<sup>36</sup> А. А. Формозов, *Каменный век II энеолит Прикубанья*, стр. 61.

<sup>37</sup> А. А. Формозов, *О датировке неолитических стоянок Черноморского побережья Кавказа*, стр. 139.

<sup>38</sup> С. А. Семенов, *Происхождение земледелия*, Ленинград, 1974, стр. 186.

<sup>39</sup> В. В. Бжания, *История археологического изучения памятников неолита и ранней бронзы в Абхазии, Материалы по археологии Абхазии*, Тбилиси, 1967, стр. 1091

მიათან ნამოსახლარზე<sup>40</sup>. ეს თოხები აღმოჩნდა აგრეთვე მაჭარის ნამოსახლარზე „სოკი-ადლერის“ ტიპის თოხების მხარდამხარ<sup>41</sup>. მსგავსი თოხები ცნობილია სოფ. ხეივნიდან<sup>42</sup> და სხვ. თოხების ეს ტიპიც საკმაოდ დიდხანს იყო გავრცელებული ძირითადად აფხაზეთის ზღვისპირა ზოლში.

ზღვისპირა ზოლში გავრცელებულ ამ კულტურას უკავშირდება აგრეთვე აფხაზეთის ადრეული დოლმენები. დოლმენებში მოპოვებული ინვენტარი გარკვეულ მსგავსებას პოულობს ოჩამჩირის ნამოსახლარის მასალებთან<sup>43</sup>. ზოგიერთი მკვლევარი პირდაპირ აღნიშნავს, რომ დოლმენები ამ ნამოსახლარზე გამოვლენილ კულტურის მატარებელ ტომებს ეკუთვნოდა<sup>44</sup> და საერთოდ ამ ადრეულ კულტურას „სამხრეთ დოლმენურ“ კულტურას უწოდებს<sup>45</sup>. კავკასიის დოლმენებმა უკვე კარგა ხანია მკვლევართა ყურადღება მიიპყრო. აქ ისინი კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გვხვდებიან. სამხრეთით მისი გავრცელების უკიდურესი პუნქტი ოჩამჩირის მხარეა. როგორც ჩანს, კოლხეთის დაბლობში სამარხის ეს ტიპი აღარ ვრცელდება<sup>46</sup>. დოლმენები კავკასიონის ჩრდილო მხარეში გვხვდება ყუბანისპირეთში და მდ. ლაბას აუზამდე ვრცელდებიან<sup>47</sup>. აქ ისინი ჭგუფ-ჭგუფად გვხვდებიან უპირატესად ტყის ზოლში და ამიტომაც ზოგიერთმა მკვლევარმა დოლმენური კულტურა მთის მოსახლეობას დაუკავშირა<sup>48</sup>. ჩრდილოეთით დოლმენების გავრცელების საზღვარი ტამანის ნახევარკუნძულამდე აღწევს. როგორც ცნობილია, კავკასიის დოლმენებს უკავშირებენ აგრეთვე ყირიმის მეგალითურ კულტურას<sup>49</sup>. ქერჩის ნახევარკუნძულის გზით დოლმენური კულტურა, ჩანს, ყირიმის ზღვისპირა ზოლში გავრცელებულა და ზოგიერთი მკვლევარი იმასაც აღნიშნავს, რომ ყირიმის დოლმენური კულტურა ერთიანი დოლმენური კულტურის ლოკალური ვარიანტი უნდა ყო-

<sup>40</sup> В. В. Б ж а н н я, Древнейшая культура Абхазии, стр. 14; Л. Н. Соловьев, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 148.

<sup>41</sup> В. В. Б ж а н н я, Мачарское поселение эпохи энеолита и бронзы в Абхазии, стр. 123.

<sup>42</sup> Ю. Н. Воронов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 17, ტაბ XVII.

<sup>43</sup> В. В. Б ж а н н я, Древнейшая культура Абхазии, стр. 12; Е го ж е, История археологического изучения..., стр. 106.

<sup>44</sup> Л. Н. Соловьев, Погребения дольменной культуры в Абхазии и прилегающей части Адлерского района, Труды Абхазского института языка, литературы и истории, XXXI, Сухуми, 1960, стр. 69.

<sup>45</sup> Л. Н. Соловьев, Новый памятник культурных связей Кавказского Причерноморья в эпоху энеолита и бронзы — Воронцовская пещера, стр. 151.

<sup>46</sup> В. И. Марковин, Дольмены Западного Кавказа, СА, I, Москва, 1973, стр. 4.

<sup>47</sup> Л. И. Лавров, Дольмены Северо-Западного Кавказа. Труды Абхазского института языка, литературы и истории, XXXI, Сухуми, 1960, стр. 69.

<sup>48</sup> В. И. Марковин, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 4.

<sup>49</sup> Л. И. Лавров, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 102.



ფილიყო<sup>50</sup>. კავკასიის დოლმენურ კულტურას უახლოვდება აგრეთვე ყირიმის სამხრეთით ზღვისპირა ზოლის სადგომებში აღმოჩენილი მასალა<sup>51</sup>.

საიდან გაჩნდა დოლმენური ტიპი სამარხისა კავკასიაში ჯერ კიდევ ნათელი არ არის. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ დოლმენი ფართოდ იყო გავრცელებული ევროპაში, აზიაში და აფრიკაში<sup>52</sup> და უკვე კარგა ხანია მკვლევარებს აინტერესებთ ამ ტიპის სამარხის წარმოშობა-გავრცელების საკითხი. ზოგიერთ მკვლევარს აზრით, დოლმენები ევროპიდან გავრცელდნენ, ზოგიც მათ წარმოშობას აზიასა და აფრიკას უკავშირებს. გამოითქვა მოსაზრება, რომ დოლმენი კავკასიური წარმომავლობისა უნდა იყოს<sup>53</sup> და სხვ. დოლმენებს თავისი გავრცელების დიდ გზაზე იმდენი საერთო აქვს, ზოგჯერ დეტალებშიც კი, რომ ეს, როგორც ფიქრობენ, მათი ერთი რომელიმე ცენტრიდან გავრცელების საფუძველს იძლევა<sup>54</sup>. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს პრობლემა კარგახანია მკვლევართა ყურადღების ცენტრშია, მაინც ბევრი რამ ჯერ კიდევ გაურკვეველი რჩება. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ამისა ის იყო, რომ დოლმენური კულტურის შესწავლა ყოველთვის სათანადო სიმაღლეზე არ იდგა, განსაკუთრებით კი მისი დათარიღების საკითხი მოიკოჭლებდა<sup>55</sup>. ამას ართულებს ისიც, რომ თითქმის ყველგან მეგალითური სამარხები ადგილობრივ კულტურას ასახვენ და მათში თითქოს არ გვხვდება შემოტანილი ნივთები<sup>56</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, არც საკუთრივ კავკასიის დოლმენების წარმომავლობის საკითხია მაინცაღამაინც გარკვეული. ჯერ კიდევ ა. უვაროვი ფიქრობდა, რომ დოლმენები აზიაში უნდა წარმოქმნილიყვნენ და აქედან ეს კულტურა ევროპაში კავკასიის გზით უნდა გავრცელებულიყო<sup>57</sup>. ე. ფელიცინის აზრით, კავკასიის დოლმენები ფორმითა და აგების წესის მხრივ ინდოეთის დოლმენებს უახლოვდებიან, დასაფლავების წესით კი ალყირისა და საფრანგეთის დოლმენებს<sup>58</sup>. ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ ინდოეთშიც გვხვდება ხერელი-

<sup>50</sup> А. М. Лесков, Исследования Керчинского участка трассы Северо-Крымского канала. Археологические открытия 1966 г., Москва, 1967, стр. 183.

<sup>51</sup> А. А. Шепинский, Культура энсолита и бронзы Крыма, СА, 2, Москва, 1966, стр. 14.

<sup>52</sup> F. Dechelette, Manuel d'archéologie Préhistorique Celtique et Gallo-Romaine, I, Paris, 1908.

<sup>53</sup> E. Chantre, Recherches anthropologiques dans le Caucase, I, Paris, 1885, 64; А. С. Уваров, Мегалитические памятники в России, Древности, Труды Московского археологического общества, т. IV, Москва, 1876, стр. 281.

<sup>54</sup> Е. Д. Феллицини, Западно-Кавказские дольмены, МАК, IX, Москва, 1904, стр. 2.

<sup>55</sup> Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, I, стр. 265.

<sup>56</sup> Г. Чайлд, Истоки европейской цивилизации, Москва, 1952, стр. 296.

<sup>57</sup> А. С. Уваров, დასახ. ნაშრომი, გვ. 274.

<sup>58</sup> Е. Д. Феллицини, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

ანი დოღმენები, რომლებიც კავკასიისათვისაა დამახასიათებელი<sup>59</sup>. ხველოანი დოღმენების სამშობლოდ ზოგჯერ კავკასიას მიიჩნევენ და იმასაც ვარაუდობენ, რომ დოღმენური კულტურის მატარებელი ხალხის მიგრაციის წყარო შეიძლება კავკასია ყოფილიყო<sup>60</sup>. ბ. გროზნის აზრით, სირია-პალესტინაში დოღმენები აღმოსავლეთ მცირე აზიის გზით ამიერკავკასიიდან ვრცელდებიან<sup>61</sup>. იმასაც უიქრობენ, რომ კავკასია პალესტინისა და ევროპის დოღმენური კულტურის შეკავშირებელი იყო<sup>62</sup>. კავკასიის დოღმენებს წინააზიურ წარმომავლობას უკავშირებენ<sup>63</sup>. ზოგიერთმა მკვლევარმა, პირიქით, ამასთან დაკავშირებით სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქვა. ლ. სოლოვიოვის აზრით, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში დოღმენების აგების წესი სირია-პალესტინიდან უნდა გავრცელებულიყო საზღვაო გზით<sup>64</sup>. ამ გზას უკავშირებს აგრეთვე ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში დოღმენების გამოჩენას ლ. ლავროვიც. მისი აზრით, არ შეიძლება კავკასია დოღმენების სამშობლოდ მივიჩნიოთ. დოღმენების გამოჩენა კავკასიაში აქ მოსახლე ხალხების შორეულ საზღვაო ექსპედიციებს უნდა დაუკავშიროთ წინა აზიასა და ხმელთაშუაზღვისპირეში<sup>65</sup>. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ საერთოდ დოღმენები უპირატესად ზღვისპირა და მის მიმდგომ რაიონებისათვის არის დამახასიათებელი და ამიტომ მათ გავრცელებას მეზღვაურ ხალხს უკავშირებენ. ზღვის გზას უკავშირებს დოღმენების გამოჩენას ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში აგრეთვე ვ. მარკოვინი<sup>66</sup>. მისი აზრით კავკასიის დოღმენებში სამხრეთული ნიშნები შეიძინევა და უკანასკნელი აღმოჩენები დოღმენებისა თურქეთის ევროპულ ნაწილში დასავლეთ კავკასიის პალკანეთ-ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებთან კავშირის საფუძველს იძლევა<sup>67</sup>. თურქეთის თრაკიაში მართლაც აღმოჩნდა დოღმენი, რომელიც, როგორც ჩანს, ტიპობრივად უახლოვდება კავკასიურ დოღმენებს<sup>68</sup>, ოღონდ ამის საფუძველზე

59 Г. Чайлд, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 291.

60 Т. Burton Brown, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 225.

61 Б. Грозный, *Донсторическая судьба Передней Азии*, ВДИ, 3—4, Москва, 1940, стр. 29.

62 Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes, Bd. XLIII, Heft 3 und 4, Wien, 1935, გვ. 304.

63 Ю. В. Готье, *Очерки по истории материальной культуры Восточной Европы*, I, Ленинград, 1925, стр. 66.

64 Л. Н. Соловьев, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 157.

65 Л. И. Лавров, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 107.

66 В. И. Марковин, *К вопросу о происхождении дольменной культуры Западного Кавказа в связи с происхождением абхазо-адыгов*, Тезисы докладов сессии, посвященной итогам археологических исследований 1972 г. в СССР. Ташкент, 1973, стр. 240.

67 В. И. Марковин, *Дольмены Западного Кавказа*, стр. 22.

68 Belleten, c. XXVII, 107, 1963, 491.

ამგვარი დასკვნების გამოტანა ჯერჯერობით, ვფიქრობთ, მაინც გაჭირდება. მაგრამ ვ. მარკოვინი უფრო შორს მიდის და ამ ამბებს ბასკურ-კავკასიურ ურთიერთობას უკავშირებს<sup>69</sup>. სულ ახლახან დოლმენური კულტურის საკითხს კავკასიაში შეეხო შ. ინალიფა. რომელიც, უფრო ამ კულტურის ადგილობრივ წარმომავლობას უკერს მხარს<sup>70</sup>.

ამრიგად, საიდან გავრცელდა კავკასიაში სამარხის ეს ტიპი, ჯერ კიდევ მთლად ნათელი არ არის. მეკვლევართა უმრავლესობა ამ ბოლო დროს უფრო მათ სამხრეთულ წარმომავლობას უკერს მხარს. სირია-პალესტინაში, თურქეთის ევროპულ ნაწილში და სხვ. ცნობილია ძხვადასხვა ტიპის დოლმენები, მაგრამ მათი უშუალოდ კავკასიის დოლმენებთან დაკავშირება ჯერჯერობით მაინც გაჭირდება. თუმცა სამარხის ამ ტიპის სამხრეთიდან გავრცელების გზა საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. ძართველი არ ჩანს ის მოსაზრება, თითქოს დოლმენებს კავკასიაში ადგილობრივი ფესვები ეძებნება. უფრო ისე ჩანს, რომ სამარხის ეს ტიპი აქ გარედან შემოვიდა. მაგრამ როგორც არ უნდა გადაწყდეს საკითხი დოლმენებს შესახებ, ერთი კი ცხადია, რომ კავკასიის დოლმენებში მოპოვებული მასალა ამ მხარის ბრინჯაოს ხანის კულტურას ასახავს<sup>71</sup>.

როდის ჩნდება პირველი დოლმენები კავკასიის ზღვისპირა ზოლში, ჯერ კიდევ მთლად ნათელი არ არის. ამის გარკვევას უთუოდ ართულებდა ის, რომ კავკასიის დოლმენების თარიღის შესახებ ერთი აზრი არ იყო. ამ საკითხში უთუოდ გარკვეული სინათლე სწორედ აფხაზეთის დოლმენების შესწავლამ შეიტანა. სადღეისოდ არსებული მასალებით ისე ჩანს, თითქოს დოლმენები პირველად დასავლეთ ამიერკავკასიაში იწყებენ გამოჩენას და შემდეგ უპირატესად ზღვის ზოლით ვრცელდებიან ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში. როგორც აღვნიშნავდით, სამარხის ეს ტიპი კოლხეთის დაბლობში არ გავრცელებულა და იგი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე გვხვდება როგორც მის ზღვისპირა, ისე მთის ზოლში. დოლმენები აქ ჩგუფ-ჩგუფად გვხვდება. უკანასკნელ ხანებში აფხაზეთის ტერიტორიაზე დოლმენების ახალ-ახალი ჯგუფები აღმოჩნდა<sup>72</sup>. მაგრამ მაინც ყველაზე უკეთ გამოკვლეულია ეშერის დოლმენები. სწორედ ამ დოლმენების შესწავლამ გარკვეული სინათლე შეიტანა აფხაზეთის და საერთოდ კავკასიის დოლმენური კულტურის კვლევაში<sup>73</sup>.

<sup>69</sup> В. И. Марковин, К вопросу о происхождении дольменной культуры Западного Кавказа в связи с происхождением абхазо-адыгов, стр. 240.

<sup>70</sup> Ш. Д. Иналифа, Страницы исторической этнографии абхазов, Сухуми, 1971, стр. 50.

<sup>71</sup> Б. Б. Пиотровский, Поселение медного века в Армении, СА, XI, Москва—Ленинград, 1949, стр. 182; Очерки истории СССР. Москва, 1956, стр. 137.

<sup>72</sup> Ю. Н. Воронцов, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

<sup>73</sup> ი. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, გვ. 216.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში რამდენიმე ტიპის დოლმენი გვხვდება, ამათგან ყველაზე გავრცელებულია ფილებისაგან შეკრული დოლმენი, რომელსაც ტრაპეციის ფორმა აქვს<sup>74</sup>. აფხაზეთში სადღეისოდ ძირითადად ამ ტიპის დოლმენებია ცნობილი (სურ. 83). აფხაზეთის დოლმენები ეშერის ჯგუფის მაგალითზე შეიძლება მათი ზომების საფუძველზე სამად გაიყოს: მომცრო, საშუალო და მოზრდილი დოლმენები. ადრეული დოლმენები აქ შედარებით პატარებია და უფრო ტლანქი; მერე და მერე, ჩანს, დოლმენების აგების წესი სულ უფრო და უფრო იხვეწება და ისინი ზომებშიც მატულობენ. აფხაზეთის მაგალითზე ისე ჩანს, რომ დოლმენების მშენებლობა II ათასწლეულის შუახანებამდე გავრცელებულა<sup>75</sup>.

ეშერის ჯგუფის ყველაზე მომცრო დოლმენი თითქმის კვადრატული მოყვანილობისაა (2,25×2,0 მ. სიმაღლე — 1,20 მ). ეს მომცრო ზომის დოლმენები გამოირჩევიან ინვენტარის არქაული ხასიათით. მიუხედავად იმისა, რომ პატარა და უფრო მოზრდილ დოლმენებში სამარხეული ინვენტარის მხრივ საგრძნობი სხვაობაა, დასაფლავების წესში თითქმის არაერთარი განსხვავება არ არის. პატარა დოლმენებშიც საკმაო რაოდენობით მიცვალებული იყო დაკრძალული. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სამარხეული ინვენტარით ეს დოლმენები მეტად ღარიბული იყო და უპირატესად თიხის ჭურჭლისაგან შედგებოდა (სურ. 84). აფხაზეთის დოლმენებში მოპოვებული თიხის ჭურჭელი გამოირჩევა პატარა ზომით. ამასთან დაკავშირებით ბ. კუფტინმა კიდევაც გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს თიხის ჭურჭელი სპეციალურად მიცვალებულის ჩასატანებლად თუ იყო დამზადებული და პრაქტიკული დანიშნულებისათვის ნაკლებად გამოსადეგი<sup>76</sup> (სურ. 85).

ეს კერამიკა მსგავსებას ამჟღავნებს ზღვისპირა ადრეულ ნამოსახლარების ჭურჭელთან, განსაკუთრებით აახლოვებთ მათ ორნამენტის ხასიათი. ამ ნამოსახლარების მასალას უახლოვდება აგრეთვე დოლმენების სხვა ინვენტარიც (კაეის ისრისპირები და სხვ.). ამიტომ მართებული ჩანს ის მოსაზრება, რომ ადრეულ დოლმენებში ასახულია ზღვისპირა ზოლში გამოვლენილი ნამოსახლარების კულტურა<sup>77</sup>. დროით ეს უადრესი დოლმენები შეიძლება სწორედ ამ ნამოსახლარების პერიოდს მივაკუთვნოთ — ძვ. წ. III ათასწლეულის შუახანებს მიუვანლოვოთ. როგორც ჩანს, აფხაზეთის ტერიტორიაზე ქვის ფილები-საგან შეკრული ყუთი საკმაოდ ადრე იწყებს გამოჩენას. ამ მხრივ საინტერესოა ახუპაჩისა და ფსირცხას მთებს შორის აღმოჩენილი ქვის ყუთი, რომელიც არქაულ ინვენტარს შეიცავდა<sup>78</sup>.



<sup>74</sup> В. И. Маркович, Дольмены Западного Кавказа, стр. 9.

<sup>75</sup> ი. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დოლმენური კულტურა საქართველოში, თსუ შრომები, 77, თბილისი, 1959, გვ. 99.

<sup>76</sup> Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 295.


<sup>77</sup> В. В. Бжаниня, Древнейшая культура Абхазии, стр. 13.

<sup>78</sup> Ю. Н. Воронцов, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.



სურ. 83. აფხაზეთის დოღმენები.


დროით ამ მომცრო დოლმენებს ეშერში მოყვება ის დოლმენები, რომლებსაც ბ. კუფტინი არქაულად თვლიდა. ეს დოლმენები შედარებით უფრო მოზრდილებია და უკეთაც ნაგები. აქ აღმოჩენილი ნივთები საგრძნობლად განსხვავ-



სურ. 84. თიხის კურკელი და კაეის ისრისპირები ეშერის ადრეული დოლმენებიდან.

დებოდა მომცრო ზომის დოლმენებში აღმოჩენილი ინვენტარისაგან. მართალია კერამიკაში აქ მაინცაღამაინც დიდი სხვაობა არ შეინიშნებოდა, მაგრამ, სამაგიეროდ ამ დოლმენებში ლითონის ნივთები იყო კარგად წარმოდგენილი. განსაკუთრებით ცულები, კაეები, სატევრის პირები და სხვ. (სურ. 86). დოლმენებში უპირატესად გვხვდება ვიწროტანიანი ყუადაქანებული ცული. ისინი ფორმით ძალიან ახლოს დგანან საჩხერის ყორღანულ სამაროვანში აღმოჩენილ ვიწროტანიან ყუადაქანებულ ცულებთან. როგორც ჩანს, საჩხერული ვარიანტი ყუადაქანებული ცულისა ადგილობრივ ჩამოყალიბებული ტიპი უნდა ყოფილიყო, რომელიც ვრცელდებოდა აგრეთვე აფხაზეთის დოლმენებში. ვიწროტანიანი ყუადაქანებული ცული შომდევნო პერიოდში, ჩრდილო-კავკასიური კულტურის, ხანაში, ვრცელდება აგრეთვე ჩრდილოეთით, სადაც იგი უპირატესად ცენტრალურ კავკასიაში გვხვდება. აღსანიშნავია ერთი ვიწროტანიანი ყუადაქანებული ცული მიათლის ყორღანიდან (დაღესტანი). შემდეგში ეს ვარიანტი ყუადაქანებული ცულისა ფართოდ ვრცელდება კავკასიის გზით აღმოსავლეთ ევრო-

პაში<sup>79</sup>. ნიშანდობლივია, რომ ვიწროტანიანი ყუადაქანებული ცული ყუბანის-პირეთის დოლმენებისათვის დამახასიათებელი არ არის. აქ უფრო სხვა ტიპის ჭვართოპირიანი ცული იყო გავრცელებული.




სურ. 85. თიხის კურკელი აფხაზეთის დოლმენებიდან.

აფხაზეთის ამ აღრეულ დოლმენებში ორი ტიპის მასრიანი კავი გვხვდება: ერთი გახსნილი, მეორე კი მასრაშეკრული. მასრაგახსნილი კავები შედარებით

<sup>79</sup> ო. ჭაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების აღრეულ საფეხურზე, გვ: 145.

.პატარა ზომისაა, მარტივი. ამგვარი კავი აღმოჩნდა ეშერის ერთ-ერთ დოღმენში  
:და აგრეთვე ლოფ. სულში (აზანთასთან) გათხრილ დოღმენში.



სურ. 86. ლითონის ნივთები აფხაზეთის დოღმენებიდან.

მასრაშეკრულ კავეებს, გარდა იმისა, რომ კარგადაა ნაკეთები, შესანიშ-  
ნავად შესრულებული წნული ორნამენტი აქვთ. ერთ-ერთი მათგანი სამკა-  
პია. აღსანიშნავია, რომ კავეები ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე ჩვენში  
:და საერთოდ ამიერკავკასიაში აფხაზეთის დოღმენებს გარდა ჭერჭერობით ცნო-



ბილი არ არის<sup>80</sup>. სამაგვიროდ მათ ვხვდებით ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში-ერთი მარტივი კავი აღმოჩნდა სტანიცა აბაძესკაიას დოლმენში. მსგავსი კავები შემთხვევით ნაპოვნი იყო ყუბანისპირეთში<sup>81</sup>. ამგვარი კავი აღმოჩნდა, აგრეთვე, ნოვოსვობოდნაიას № 1 ყორღანში. ნოვოსვობოდნაიას ყორღანებში რამდენადმე განსხვავებული ტიპის ორკაპა კავებიცაა ნაპოვნი. მსგავსი კავები საერთოდ კარგადაა ცნობილი ამ მხარეში და ისინი ჩანს საერთოდ დამახასიათებელი უნდა ყოფილიყვნენ მაიკოპის კულტურის გვიანდელი, ნოვოსვობოდნაიას ეტაპისათვის. აღსანიშნავია, რომ სავსებით ასეთივე ორკაპა კავები ამ ბოლო დროს აღმოჩნდა, აგრეთვე, საჩხენეთში ახალი არშტის ყორღანში, სადაც საერთოდ ნაპოვნი იყო ნოვოსვობოდნაიას ჯგუფისათვის დამახასიათებელი ინვენტარი<sup>82</sup> (სურ. 100).

ეშერის ამ ადრეულ დოლმენებისათვის დამახასიათებელია ბრტყელი, ფოთლისებრი, მაღალყუნწიანი სატევრისპირები; მსგავსი იარაღი სხვაგან ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ეშერის ამ ჯგუფის დოლმენებში აღმოჩენილი ლითონის ინვენტარი გარკვეულ ურთიერთობას ამჟღავნებს საქართველოს და ჯაერთოდ კავკასიის ადრეულ ძეგლებთან. როგორც აღვნიშნეთ, ეშერის ცულები ტიპობრივად ახლოს დგანან საჩხერისათვის დამახასიათებელ ვიწროტანიან ყუადაქანებულ ცულებთან. გარკვეული კავშირი ჩანს, აგრეთვე, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში გავრცელებულ ე. წ. მაიკოპის კულტურასთან. სამარხეული ინვენტარი თავისი ხასიათით უკვე საგრძნობლად განსხვავდება მომცრო ზომის დოლმენებში აღმოჩენილ ნივთებისაგან და ჩანს, რომ ეს დოლმენები რამდენადმე უფრო მოგვიანო ხანას უნდა მიეკუთვნებოდნენ. როგორც ჩანს, დროით ეს დოლმენები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ადრეულ დოლმენებს უნდა გავუტოლოთ, კერძოდ კი მაიკოპის კულტურის ნოვოსვობოდნაიას საფეხურს. ეს დოლმენები ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლო საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

სპეციალურ ლიტერატურაში სხვა მოსაზრებაც არსებობს კავკასიაში პირველი დოლმენების გამოჩენის შესახებ. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, უადრესი დოლმენები კავკასიაში ნოვოსვობოდნაიას ჯგუფი უნდა იყოს<sup>83</sup>.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოსათვის ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მდინარე ყუბანის აუზში, სტანიცა ნოვოსვობოდნაიასთან შესწავლილი იყო რამდენიმე ყორღანი. ორ ყორღანში ყრილის ქვეშ აღმოჩნდა ფილაქვებისაგან შეკრული დოლმენისებური ნაგებობა, რომელთაგან ერთს ორფერდა გადახურვა ჰქონდა, მეორეს კი ბანური. ორივე ნაგებობა ორად იყო გაყოფილი და გამყოფ კედელში ერთგან ოთხკუთხა, მეორეგან კი ოვალუ-


<sup>80</sup> Б. А. Куфтин, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 281.

<sup>81</sup> Т. Б. Попова, *Дольмены станицы Новосвободной*. Москва, 1963, стр. 27.

<sup>82</sup> Р. М. Мунчаев, *Памятники майкопской культуры в Чечено-Ингушетии*, САН, 3, Москва, 1962, стр. 194.

<sup>83</sup> В. И. Марковни, *Очерки изучения дольменов Причерноморья*, стр. 40.

რი მოყვანილობის ხერელი ჰქონდა. ამ ყორღანებში მდიდარი სამარხეული ინვენტარი აღმოჩნდა. გარდა ამისა, აქვე უფრო ადრე გათხრილი იყო კიდევ ერთი ყორღანი, რომლის ცენტრალურ ნაწილში ყრილის ქვეშ აღმოჩნდა თერთმეტწახნაგა ქვის ნაგებობა, რომლის ერთ-ერთ წახნაგში ოთხკუთხა ხერელია დატანილი<sup>84</sup>. სწორედ ამ ნაგებობას მიიჩნევენ ზოგიერთი ავტორი დოლმენების უადრეს ტიპად კავკასიაში მაგრამ, ძნელია ვიფიქროთ, რომ პირველი დოლმენები აქ თავიდანვე ასე რთულ ნაგებობას წარმოადგენდეს და თანაც იმთავითვე მათ ყრილის ქვეშ ათავსებდნენ. მართალია, ზოგიერთმა ავტორმა აღნიშნა, რომ ყრილის ქვეშ აქცევდნენ თითქოს მხოლოდ მდიდრულ დოლმენებს, შედარებით ღარიბულს კი უპირატესად მიწის ზემოთ აგებდნენ<sup>85</sup>, მაგრამ არა გვეგონია, რომ ეს მოსაზრება მართებული იყოს. ზოგიერთი მკვლევარი კავკასიის დოლმენებისათვის ამ ტერმინის ხმარებას მთლად გამართლებულად არ მიიჩნევდა იმის გამო, რომ დოლმენები ევროპაში, როგორც წესი, დაუმუშავებელი ქვის ფილებისაგანაა ნაგები<sup>86</sup>. ზოგი აღნიშნავს, რომ კავკასიის სინამდვილეში „დოლმენის“ ხმარება პირობითად თუ შეიძლება<sup>87</sup>. მართლაც, ძნელია ნოვოსვობოდნაიას ყორღანებში მოპოვებული ქვის ნაგებობები უადრეს დოლმენებად მივიჩნიოთ. მხოლოდ ის, რომ მათ კავკასიის დოლმენებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშანი ახასიათებთ (მაგ. ხერელი), ვფიქრობთ, ამის საფუძველს არ იძლევა. სწორია ა. ფორმოზოვი, როდესაც აღნიშნავს, რომ ნოვოსვობოდნაიას ქვის ნაგებობების ტიხრის ქვაზე არსებულ ხერელს არავითარი აზრი არა აქვს და იგი ფორმალურად ასახავს დოლმენებისათვის დამახასიათებელ ნიშანს. საქმე იმაშია, რომ ხერელის არსებობას დოლმენების წინა კედელში ის დანიშნულება უნდა ჰქონოდა, რომ ამ გზით შეჰქონდათ მიცვალებულის ნეშთი



სურ. 87. ბრინჯაოს კავები აფხაზეთის დოლმენებიდან.

ქვის ფილებისაგანაა ნაგები<sup>86</sup>. ზოგი აღნიშნავს, რომ კავკასიის სინამდვილეში „დოლმენის“ ხმარება პირობითად თუ შეიძლება<sup>87</sup>. მართლაც, ძნელია ნოვოსვობოდნაიას ყორღანებში მოპოვებული ქვის ნაგებობები უადრეს დოლმენებად მივიჩნიოთ. მხოლოდ ის, რომ მათ კავკასიის დოლმენებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშანი ახასიათებთ (მაგ. ხერელი), ვფიქრობთ, ამის საფუძველს არ იძლევა. სწორია ა. ფორმოზოვი, როდესაც აღნიშნავს, რომ ნოვოსვობოდნაიას ქვის ნაგებობების ტიხრის ქვაზე არსებულ ხერელს არავითარი აზრი არა აქვს და იგი ფორმალურად ასახავს დოლმენებისათვის დამახასიათებელ ნიშანს. საქმე იმაშია, რომ ხერელის არსებობას დოლმენების წინა კედელში ის დანიშნულება უნდა ჰქონოდა, რომ ამ გზით შეჰქონდათ მიცვალებულის ნეშთი

84 Т. Б. Попова, დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

85 იქვე, გვ. 18.

86 О. Ш у а з и, История архитектуры, I, Москва, 1937, стр. 590.

87 Т. Б. Попова, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

დოლმენში<sup>88</sup>. შესაძლოა ნოვოსვობოდნაიას მაგალითზე აქ დაკრძალვის ორი წესის შერწყმა დავინახოთ — ყორღანული და დოლმენური. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ამ დროს სწორედ ყორღანული ტიპის სამარხები იყო გავრცელებული, თანაც მდიდრული ყორღანული სამარხები რამდენიმე სექციად იყო გაყოფილი. მაგალითად, ცნობილი მაიკოპის ყორღანის დასაკრძალავი კამერა სამად იყო გაყოფილი. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ყორღანებისა და დოლმენების გავრცელების ხანა დროის გარკვეულ პერიოდში ემთხვევა ერთიმეორეს და ამიტომ ნოვოსვობოდნაიას ყორღანში შესაძლოა უფრო ამ ორი წესის შერწყმა დავინახოთ. ამიტომ, ძნელია ნოვოსვობოდნაიას ყორღანების ქვის ნაგებობები უადრესად მივიჩნიოთ. აფხაზეთის დოლმენების მაგალითზე, ვფიქრობთ, კარგად ჩანს, რომ უადრესი დოლმენები პატარა ზომისა, უხეშად ნაგები იყო და ინვენტარით საკმაოდ არქაული. ისინი ჯერ კიდევ ბევრ საერთოს პოულობენ ზღვისპირა ნამოსახლარებზე გამოვლენილ მასალებთან, ამიტომაც უფრო მართებულად გვეჩვენება ის მოსაზრება, რომ დოლმენების გავრცელების გზა ყუბანისპირეთში აფხაზეთიდან მოდიოდა<sup>89</sup> და არა პირიქით. ზოგიერთ მკვლევარს ჰგონია, რომ ეს წესი ჩრდილო ევროპის სანაპიროებიდან ან ხმელთაშუაზღვისპირეთიდან შემოვიდა<sup>90</sup>. ნოვოსვობოდნაიას საფეხურს შეიძლება გავუტოლოთ აფხაზეთის საშუალო ზომის დოლმენები, სადაც უკვე კარგადაა წარმოდგენილი ლითონის ინვენტარი. ეს ნივთები, როგორც უკვე აღვნიშნავდით, გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებენ ნოვოსვობოდნაიას ყორღანებში მოპოვებულ მასალასთან. ამიტომ, მართებული იქნება ეს დოლმენები დროითაც ნოვოსვობოდნაიას საფეხურს მივუახლოვოთ და ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლო საუკუნეებს მივაკუთვნოთ. არ არის გამორიცხული, რომ ყუბანისპირეთში მეგალითური ნაგებობის შექმნის პირველი ცდა სწორედ ნოვოსვობოდნაიას ყორღანებში აისახა. სადაც ეს იდეა შავი ზღვის სანაპიროდან შემოვიდა და აქ გავრცელებულ ყორღანების დასაფლავების წესს შეერწყა. ნამდვილი დოლმენების აგება ყუბანისპირეთში ეგებ მართლაც რამდენადმე უფრო გვიან დაიწყო<sup>91</sup>. როგორც ცნობილია, აქ დოლმენების უკვე რამდენიმე ვარიანტი გვხვდება<sup>92</sup> მაშინ, როდესაც აფხაზეთში დოლმენების არსებობის მთელ მანძილზე ერთი ტიპია გავრცელებული. ამრიგად, აფხაზეთის უადრეს დოლმენებში აისახა ის კულტურა, რომელიც ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან ვრცელდება ზღვისპირა ზოლში. ეს კულტურა, რომელიც, როგორც უკვე ზევით აღვნიშნავდით, წინარე, ენეოლითური ხანის კულტურის საფუძველზე აღმოცენდა, განვი-

88 А. А. Формозов, Каменный век и энеолит Прикубанья, стр. 101.

89 Е. И. Крупнов, Древняя культура и история Кабарды, стр. 74.

90 ე. გ. გ ა ძ ე, თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, გვ. 91.

91 А. А. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

92 В. И. Марковин, Дольмены Западного Кавказа, стр. 9.

თარების შემდგომ საფეხურს — ადრებრინჯაოს ხანას ასახავს. ამიტომ არ იქნება მართებული აფხაზეთისა და საერთოდ კავკასიის მიმართ ცალკე „დოლმენური კულტურის“ გამოყოფა, მას პირობითად თუ ვინმართ. ამ ხანის კულტურაში დაკრძალვის განსხვავებული წესიც არსებობდა<sup>93</sup>. ახლა, რა თქმა უნდა, ძნელია გარკვევით თქმა, დოლმენები ხალხთა მიგრაციის შედეგად გაჩნდა შავი ზღვის სანაპირო ზოლში თუ სამარხის ამ ტიპის აგების იდეა იყო გადმოტანილი. მაგრამ, როგორც არ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი, ერთი კი ცხადია, რომ დოლმენების შემოსვლას შესამჩნევი გავლენა არ მოუხდენია და იგი როგორც სამარხის ერთ-ერთი ტიპი ვრცელდებოდა არსებულ კულტურაში. ამიტომ დოლმენების გავრცელებისათვის დასავლეთ კავკასიაში ეთნიკური საფუძველის მოქმენის ცდა მართებულად არ გვეჩვენება<sup>94</sup>. არც ის უნდა იყოს სწორი, თითქოს ყუბანისპირეთში დოლმენური კულტურა დამოუკიდებელი იყო და არ უკავშირდებოდა წინამორბედ, მაიკოპის კულტურას<sup>95</sup>. მართალია, აქ დოლმენებმა უფრო ფართო გავრცელება მიიღო რამდენიმე უფრო გვიან და ჩნდება მისი საკმაოდ მრავალგვარი ტიპები, მაგრამ აქაც ადგილობრივმა კულტურამ ჰპოვა თავისი ასახვა, რომელიც წინარე კულტურის საფუძველზე აღმოცენდა.

ამრიგად, დასავლეთ ამიერკავკასიის სანაპირო ზოლში ძვ. წ. III ათასწლეულში ჩამოყალიბდა თავისებური ხასიათის კულტურა. ჯერ კიდევ მთლად ნათელი არ არის ამ კულტურის გავრცელების საზღვრები, განსაკუთრებით მისი ურთიერთობა კოლხეთის დაბლობზე გამოვლენილ ადრეულ ნამოსახლარების კულტურასთან, რომელთანაც მას ბევრი საერთო აქვს<sup>96</sup>. მკვიდრო კავშირი შეიმჩნევა, აგრეთვე, ყუბანისპირეთთან, კერძოდ მაიკოპის კულტურასთანაც. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ადღერის რაიონში შესწავლილი ვორონცოვის გამოქვაბული, სადაც სწორედ კარგად შეიმჩნევა კონტაქტები მაიკოპის კულტურის ადრეულ საფეხურთან. ამ გამოქვაბულის ქვედა ფენებში აღმოჩენილი მასალა ახლოს დგას მაიკოპის კულტურის ადრეულ სამოსახლარებზე მოპოვებულ მასალებთან<sup>97</sup>. მაგრამ ამავე დროს აქ აღმოჩნდა მასალები, რომლებიც გარკვეულ კავშირზე მეტყველებენ, აგრეთვე, აფხაზეთის ზღვისპირა ზოლის ადრეულ ძეგლებზე გამოვლენილ ინვენტართან<sup>98</sup>. მართალია ამ კულტურის ხასიათი ჯერ კიდევ მთლად გარკვეული არ არის, მაგრამ ადღერის რაიონიდან მოკიდებული, რომელიც, ჩანს, III ათასწლეულის შუახანებიდან უკვე მა-

<sup>93</sup> В. В. Б ж а н и я, Древнейшая культура Абхазии, стр. 18; Л. Н. С о л о в ъ е в., Погребения дольменной культуры в Абхазии..., стр. 90.

<sup>94</sup> Ш. Д. И н а л - И п а, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

<sup>95</sup> В. И. М а р к о в и н, დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

<sup>96</sup> В. В. Б ж а н и я, Древнейшая культура Абхазии, стр. 23.

<sup>97</sup> А. А. Ф о р м о з о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 72.

<sup>98</sup> В. В. Б ж а н и я, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.

იკობის კულტურის სფეროში ექცევა, ზღვისპირა ზოლში თავისებური ხასიათის კულტურის ჩამოყალიბება თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს<sup>99</sup>. ამიტომ მართებული ჩანს იმ მკვლევართა მოსაზრება, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ძვ. წ. III ათასწლეულში კავკასიაში შეიძლება სამი კულტურული კერის გამოყოფა: მტკვარ-არაქსის, მაიკობისა და ამიერკავკასიის სანაპირო ზოლის<sup>100</sup>. ეს უკანასკნელი ამ პერიოდში კავკასიის ორ ძლიერ კულტურულ რეგიონს შორის იყო მოქცეული და, როგორც ჩანს, უფრო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიონთან ავლენს საერთოს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, წინარე ხანაშიც ამ ოლქებს შორის, მეტი სიახლოვე იყო და საერთოდ მაიკობის კულტურის ჩამოყალიბებაში დასავლეთ ამიერკავკასიას გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა.

†

---

<sup>99</sup> Л. Н. Соловьев, Новый памятник культурных связей..., стр. 151.

<sup>100</sup> Р. М. Муңчаев, Древнейшая культура Северо-Восточного Кавказа, стр. 16.

## IV თ ა ვ ი

### მაიკოპის კულტურა

ძვ. წ. III ათასწლეულში კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ჩამოყალიბდა მეტად თავისებური კულტურა, რომელიც დღეს მაიკოპის კულტურის სახელითაა ცნობილი. ამ კულტურის მატარებელმა ტომებმა III ათასწლეულის შუა ხანებიდან მოკიდებული კავკასიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს და საკმაოდ მაღალგანვითარებული კულტურა შექმნეს. მართალია იგი ისე ხანგრძლივი არ იყო, როგორც მტკვარ-არაქსის კულტურა, მაგრამ განვითარების გარკვეულ საფეხურზე, მტკვარ-არაქსის კულტურის რამდენიმე გვიანდელ ეტაპზე, ეს ორი კულტურა თანაარსებობდა და მათ შორის საკმაოდ მჭიდრო კონტაქტი დამყარდა<sup>1</sup>. როგორც ჩანს, მაიკოპის კულტურაზე მტკვარ-არაქსის კულტურის გავლენა საკმაოდ ძლიერი იყო, რომელიც ძირითადად ალბათ ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის გზით ხორციელდებოდა<sup>2</sup>. ცნობილია, რომ ჩეჩენ-ინგუშეთის ტერიტორიაზე აღმოჩნდა მთელი რიგი შერეული ხასიათის ძეგლები, სადაც კარგად ჩანს ერთი მხრივ მაიკოპის, მეორე მხრივ კი მტკვარ-არაქსის კულტურის ნიშნები<sup>3</sup> (ლუგოვოეს და სერჟენ-იურთის ნაშთსახლარები და სხვ.).

მაიკოპის კულტურის ჩამოყალიბების ძირითადი არე ყუბანისპირეთი უნდა ყოფილიყო. სწორედ აქ არის ნაპოვნი ამ კულტურის უადრესი ძეგლები<sup>4</sup>. შემდეგში ეს კულტურა საკმაოდ ფართოდ ვრცელდება, იკავებს მთელ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიას, კავკასიის ცენტრალურ ნაწილს<sup>5</sup> და მისი საზღვარი თითქმის დაღესტანამდე აღწევს<sup>6</sup>. ამ კულტურის გავლენა ჩანს ტამანის

<sup>1</sup> Р. М. Мунчаев, Древнейшая культура Северо-Восточного Кавказа, стр. 155.

<sup>2</sup> А. А. Формозов, Каменный век и энеолит Прикубанья, стр. 135.

<sup>3</sup> В. И. Марковни, Р. М. Мунчаев, Археология Чечено-Ингушетии в свете новейших исследований, КСИА, вып. 100, Москва, 1965, стр. 41.

<sup>4</sup> Р. М. Мунчаев, Кавказ в эпоху энеолита и ранней бронзы, стр. 383.

<sup>5</sup> А. А. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 66, სურ. 29.

<sup>6</sup> В. И. Марковни, Археологические разведки в восточных районах Чечни, КСИА, вып. 93, Москва, 1963, стр. 64.

ნახევარკუნძულზე, სტავროპოლის მხარეში და სხვ.<sup>7</sup> მის სფეროში ექცევა სო-  
კი-ადღერის მხარე. ადღერის მახლობლად ვორონცოვის გამოქვაბულში აღმო-  
ჩენილი მასალები მოწმობენ, რომ ეს მხარე მაიკოპის კულტურის გავრცელების  
არეში შედიოდა. უფრო სამხრეთით ამიერკავკასიაში მაიკოპის კულტურის გა-  
ლენა არ შეიმჩნევა.

მაიკოპის კულტურის ფართოდ განფენის ერთ-ერთ მიზეზად ზოგიერთი  
მკვლევარი იმას მიიჩნევს, რომ დოლმენური კულტურის ჩრდილო-დასავლეთ-  
კავკასიაში შემოსვლას მაიკოპის კულტურის მატარებელი ტომების გადაადგი-  
ლება უნდა გამოეწვია უპირატესად კასპიის ზღვის მიმართულებით<sup>8</sup>. ზოგი იმა-  
საც აღნიშნავს, რომ მაიკოპის კულტურის გავლენა ყირიმსაც გასწვდა. კემიობი-  
ნის კულტურა დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს მაიკოპის კულტურასთან და შესაძ-  
ლოა ყირიმის მთის ზოლი კავკასიის კულტურულ-ისტორიულ ოლქში შედიო-  
და<sup>9</sup>. ამრიგად, III ათასწლეულის მეორე ნახევარში ჩრდილო კავკასიის დიდი  
ნაწილი, მისი ბარი და მთისწინა ზოლი მაიკოპის კულტურის გავრცელების  
სფეროში მოექცა.

მაიკოპის კულტურის წარმოქმნის, მისი გენეზისის საკითხში ჯერ კიდევ  
ბევრი რამ გაურკვეველი რჩება. როგორც ცნობილია, ბოლო დრომდე ეს კულ-  
ტურა ძირითადად წარმოდგენილი იყო სამარხეული ძეგლებით, რომელთაგან-  
პირველ რიგში აღსანიშნავია მაიკოპისა და ნოვოსვობოდნაიას ყორღანები.  
უპირატესად სწორედ ამ ყორღანებში მოპოვებული მასალების ანალიზის საფუძ-  
ველზე შეისწავლბოდა ძირითადად ეს კულტურა და მასში ორ საფეხურს გა-  
მოყოფდნენ: ადრეულს, საკუთრივ მაიკოპისა და უფრო მოგვიანო—ნოვოსვო-  
ბოდნაიას. თუმცა ამ ბოლო დროს ზოგიერთმა მკვლევარმა გამოთქვა მოსაზრე-  
ბა, რომ აქ ერთი კულტურის განვითარების ორ საფეხურთან კი არა გვაქვს  
საქმე, არამედ ორ დამოუკიდებელ კულტურასთან — მაიკოპისა და ნოვოსვო-  
ბოდნაიას კულტურებთან<sup>10</sup>, რომლებიც განვითარების გარკვეულ საფეხურზე  
სინქრონულები იყვნენ<sup>11</sup>. ბ. ლატინინმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სხვაობა კე-  
რამიკაში ამ ორი ეტაპის ერთ კულტურად გაერთიანების საშუალებას არ იძ-

<sup>7</sup> Р. М. Мунчаев, А. Л. Нечитайло, Комплексы майкопской культуры в Усть-Джегутинском могильнике, СА, 3, Москва, 1966, стр. 133.

<sup>8</sup> В. И. Марковин, Дольмены Западного Кавказа, стр. 22.

<sup>9</sup> А. А. Шелинский, Об элементах общности культур III—I тысяч. до н. э. в Крыму и на Кавказе. Материалы сессии, посвященной итогам археологических и этнографических исследований 1964 г. в СССР, Баку, 1965, стр. 83; Е го же, Культура энеолита и бронзы Крыма, СА, 2, Москва, 1966, стр. 19.

<sup>10</sup> А. Д. Столяр, Поселение Мешоко и проблема двух культур кубанского энеолита, Тезисы докладов, посвященных итогам работ Эрмитажа за 1963 г., Ленинград, 1964, стр. 31.

<sup>11</sup> В. И. Марковин, К вопросу о происхождении дольменной культуры Западного Кавказа в связи с происхождением абхазо-адыгов, стр. 240.

ლევა. იგი მაიკოპის კულტურაში გამოჰყოფს „კონსტრომსკაიას“ და „ანდრიუ-კოვსკაიას“ ეტაპებს, რომლებიც ნოვოსვობოდნაიას თანადროულები უნდა ყოფილიყვნენ<sup>12</sup>. მაგრამ ჯერ კიდევ ა. იესენმა თავის ნაშრომებში სავსებით დამაჯერებლად დაადასტურა მაიკოპის კულტურაში, რომელსაც ადრე „ყუბანის დიდი ყორღანების კულტურას“ უწოდებდნენ, განვითარების ორი ეტაპის არსებობა: ადრეული მაიკოპისა და უფრო მოგვიანო ნოვოსვობოდნაიას<sup>13</sup>. თუმცა იგი იმასაც აღნიშნავდა, რომ მაიკოპისა და ნოვოსვობოდნაიას ჯგუფების ურთიერთობაში ჯერ კიდევ ბევრი რამ დაუზუსტებელია და საერთოდ მაიკოპის კულტურის გენეზისის პრობლემა გაურკვეველი რჩება<sup>14</sup>. უკანასკნელ ხანებში მაიკოპის კულტურის ნამოსახლარების შესწავლის საფუძველზე კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა ამ კულტურის განვითარების საფეხურები. ა. ფორმოზოვს შესაძლებლად მიაჩნია მაიკოპის კულტურის ადრე და გვიან ეტაპებს შორის კიდევ გარდამავალი, შუა ეტაპის გამოყოფა<sup>15</sup>. დაახლოებით იგივე აზრისა რ. მუნჩაევიც, რომელიც ახლად აღმოჩენილი სამარხეული მასალების საფუძველზე ამ კულტურის ორ ძირითად ჯგუფს შორის კიდევ გარდამავალს გამოჰყოფს<sup>16</sup>.

მაიკოპის კულტურის წარმომავლობის საკითხს ძირითადად განიხილავდნენ იმ ძვირფასი ნივთების მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე, რომლებიც ყუბანისპირეთის ზოგიერთ „დიდ ყორღანში“ აღმოჩნდა და ამასთან დაკავშირებით არა ერთი და ორი მოსაზრება იქნა გამოთქმული. ზოგიერთი მკვლევარი მათ ძველ შუმერსა და ელამს უკავშირებდა<sup>17</sup>, ზოგი ხეთურ სამყაროს<sup>18</sup> და ეგეოსის აუზს<sup>19</sup>. ბევრ საერთოს ხედავდნენ აგრეთვე ცენტრალურ ანატოლიასთან, კერძოდ კი ალაჯა-ჰეიუტთან და სხვ. აზრთა დიდი სხვაო-

<sup>12</sup> Б. А. Л а т ы ш и н, Молоточковидные булавки, их культурная атрибутика и датировка. Археологический сборник, 9, Ленинград, 1967, стр. 95.

<sup>13</sup> А. А. И е с с е н, К хронологии «больших кубанских курганов», СА, XII, Москва—Ленинград, 1950, стр. 168.

<sup>14</sup> А. А. И е с с е н, Итоги и перспективы археологического изучения Северного Кавказа, Тезисы докладов пленарных заседаний конференции по археологии Кавказа, состоявшейся в Ереване в 1956 г. М., 1956, стр. 13; Е го ж е, Майкопская культура и ее датировка, Тезисы докладов на заседаниях, посвященных итогам полевых исследований 1961 г., М., 1962, стр. 20.

<sup>15</sup> А. А. Ф о р м о з о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 83.

<sup>16</sup> Р. М. М у н ч а е в, დასახ. ნაშრომი, გვ. 589.

<sup>17</sup> М. R o s t o v z e v, L'age du cuivre dans le Caucase septentrional, Revue archeologique, XII, 1920, 21.

<sup>18</sup> Б. В. Ф а р м а к о в с к и й, Арханческий период в России. Материалы по археологии России, вып. 34, Москва, 1914, стр. 53.

<sup>19</sup> А. V. S c h m i d t, Die Kurgane der Staniza Konstantinovskaja, Eurasia septentrionalis Antiquae, IV, Helsingky, 1929, 18.



ბა იყო აგრეთვე მაიკოპის ყორღანის დათარიღების საკითხშიც. მართალია მკვლევართა უმრავლესობამ იმთავითვე მაიკოპის ყორღანის შედარებით ადრეული თარიღი გაიზიარა<sup>20</sup>, მაგრამ მისი ასაკის შესახებ საწინააღმდეგო მოსაზრებაც გამოითქვა; ზოგიერთის აზრით, მაიკოპის ყორღანი წინასკვეთურ პერიოდს, არა უადრეს ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყის ხანას უნდა მიეკუთვნებოდეს<sup>21</sup>. მაიკოპის კულტურის შესახებ ასეთ განსხვავებულ მოსაზრებათა არსებობას, რა თქმა უნდა, თავისი მიზეზები ჰქონდა. ჯერ ერთი, როგორც უკვე აღვნიშნავდით, ამ კულტურის ძირითადად ყორღანებიდან მომდინარე მასალა იყო ცნობილი და თანაც სამარხეული კომპლექსების მთლიანი შესწავლის შედეგად კი არ იყო დასკვნები გამოტანილი, არამედ შერჩევით, ძირითადად ძვირფასი მასალების ანალიზის საფუძველზე. მაგრამ ძირითადი მიზეზი მაინც ის უნდა ყოფილიყო, რომ უკანასკნელ პერიოდამდე ყუბანისპირეთში თითქმის ცნობილი არ იყო წინარე ხანის ძეგლები, რომლის საფუძველზედაც უნდა აღმოცენებულიყო მაიკოპის კულტურა.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მაიკოპის კულტურის დროინდელი ნამოსახლარების შესწავლამ და აგრეთვე მათი უწინარესი ხანის ძეგლების კვლევამ გარკვეული სინათლე შეიტანა ამ კულტურის წარმომავლობის საკითხში, თუმცა ეს პრობლემა საბოლოოდ გადაჭრილი ჯერ კიდევ არ არის. მთავარი მაინც ის არის, რომ მაიკოპის კულტურის გენეზისის საკითხი მჭიდროდ დაუკავშირდა წინარე ხანას, რომელსაც გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა ამ კულტურის ჩამოყალიბების საქმეში. თუმცა გარეგან ფაქტორებს გარკვეული მნიშვნელობა უნდა მიეწეროს, მაგრამ არა ისეთი დიდი, როგორც ამას ადრე გულისხმობდნენ. მაიკოპის კულტურაში კარგად გამოჩნდა ადგილობრივი ნეოლითის ტრადიციები. განსაკუთრებით ნათლად ეს ტრადიციები ძირითადად ამ დროის ნამოსახლარებზე მოპოვებულ მასალებში გამოისახა. სამარხეულ კომპლექსებში იგი, რა თქმა უნდა, უფრო ნაკლებად შესამჩნევი იყო. ამიტომაც იყო, რომ მაიკოპის კულტურის წარმომავლობის საკითხში ბევრი რამ გაურკვეველი რჩებოდა. ბოლო დრომდე მხოლოდ ერთი ამ დროის ნამოსახლარი იყო ცნობილი — ნალჩიკის მახლობლად გათხრილი დოლინსკოეს ნასახლარი. ეს ძეგლი 30-იანი წლების დასაწყისში იყო შესწავლილი და იგი იმთავითვე „ყუბანის დიდი ყორღანების“ კულტურას მიაკუთვნეს და მასში ორი ეტაპი გამოჰყვეს: ქვედა ჰორიზონტი მაიკოპის ყორღანს დაუკავშირეს, ზედა კი — ნოვოსეობოდნაის<sup>22</sup>.

<sup>20</sup> А. А. Иессен, Из истории древней металлургии меди на Кавказе, Изв. ГАИМК, вып. 120, 1935, стр. 74.

<sup>21</sup> В. Е. Деген-Ковалевский, КСИИМК, вып. II, 1939, стр. 115; М. И. Артамонов, Третий разменный курган у ст. Костромской, СА, X, 1948, стр. 161.

<sup>22</sup> А. П. Круглов, Г. В. Подгаецкий, Долнинское поселение у г. Нальчика, МИА, № 3, М.—Л., 1943, стр. 196; Е. И. Крупнов, Древняя история и культура Кабарды, Москва, 1957, стр. 66.

მაგრამ, როგორც შემდეგში გაირკვა, მაიკოპის კულტურის ნამოსახლარების შესწავლის შედეგად, დოლინსკოეს ნამოსახლარი ამ კულტურის გვიანდელ, ნოვოსობოდნაიას სტადიას უნდა მიეკუთვნებოდეს<sup>23</sup>.

მაიკოპის კულტურის შესწავლის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამ ბოლო 10-15 წ. მანძილზე გამოკვლეულ ნამოსახლარებს, უპირატესად ყუბანისპირეთში, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია მდ. ბელაიას ზემო წელზე, სოფ. კამენომოსტსკაიას მახლობლად მდებარე რამდენიმე ძველი ნამოსახლარი: მეშოკო, სკალა, ხაჯონი, კამენომოსტსკაიას გამოქვაბული. ხუტორ ვესიოლისთან მდებარე სამოსახლოები და სხვ. ეს ნამოსახლარები უპირატესად ამაღლებულ კონცხებზე, პლატოებზე და საერთოდ ძნელად მისადგომ ადგილებზე მდებარეობდნენ<sup>24</sup>. ყუბანისპირეთში შესწავლილი ნამოსახლარებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა მეშოკო. იგი კლდოვან პლატოს კონცხზე მდებარეობდა და დაახლოებით 1,5 ჰექტარი ფართობი ეკავა. ნამოსახლარი ისე იყო განლაგებული, რომ ბუნებრივად კარგად იყო გამაგრებული, ღია მხრიდან კი მას დამცველი კედელი ჰქონდა. კულტურული ფენის სიმძლავრე 2 მ-მდე აღწევდა. ნამოსახლარს, ჩანს, საკმაოდ დიდხანს უნდა ეარსება, როგორც ფიქრობენ, 150—200 წლის მანძილზე<sup>25</sup>. კულტურული ფენა მრავლად შეიცავდა ქვისა და ძვლის იარაღებსა და სამკაულს, კერამიკის ნატეხებს და ცხოველთა ძვლებს. საცხოვრებლის ტიპის შესახებ და საერთოდ თვით სოფლის გეგმის თაობაზე მეშოკოს ნამოსახლარზე გარკვევით ვერაფერი ითქმის იმის გამო, რომ შენობის ნაშთები თითქმის არ იყო შემორჩენილი, მხოლოდ აქა-იქ ძველი სახლების ადგილას ჩანდა თიხატყეპნილი იატაკები. საცხოვრებელი, როგორც ჩანს, სწორკუთხა მოყვანილობის უნდა ყოფილიყო, თიხალესილი, სარ-ლასტზე ნაგები<sup>26</sup>. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროის არც სხვა ნამოსახლარები იძლევიან მეტ წარმოდგენას მაიკოპის კულტურის საცხოვრებლის ტიპზე, საერთოდ არქიტექტურისა და თვით სოფლის დაგეგმარების ხასიათის შესახებ. ამ მხრივ მაიკოპის კულტურის დასახლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მტკვარ-არაქსის კულტურის სამოსახლოსაგან. მათ, როგორც აღვნიშნავდით, თავისებური ტოპოგრაფია აქვთ—ვხვდებით ძნელად მისადგომ ადგილებში; თითქმის არ ჩანან ბარში, მდინარეთა ველებზე. თვით ძეგლის ხასიათითაც იგი განსხვავებულია. იმის გამო, რომ მაიკოპის კულტურის დასახლება ისე ხანგრძლივი არ იყო, აქ არ გვხვდება სამოსახლო ბორცვები, „ნაცარგორები“ და სხვ<sup>27</sup>.

<sup>23</sup> А. А. Формозов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 83.

<sup>24</sup> А. А. Формозов, *Поселения Адыгеей эпохи раннего металла. Сборник материалов по археологии Адыгеей*, т. III, Майкоп, 1972, стр. 16.

<sup>25</sup> А. Д. Столяр, Мешоко — поселение майкопской культуры. *Сборник материалов по археологии Адыгеей*, т. II, Майкоп, 1961, стр. 80.

<sup>26</sup> А. А. Формозов, Е. Н. Черных, *Новые поселения майкопской культуры в Прикубанье*, КСИА, 101, Москва, 1964, стр. 108.

<sup>27</sup> Р. М. Мушчаев, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 392.

მეშოკოს მახლობლად. მდ. ბელაიას ზედა წელზე, კიდევ ორი ნამოსახლარია აღსანიშნავი—ხაჯონი<sup>28</sup> და სკალა<sup>29</sup>. ხაჯონის სამოსახლო, ჩანს, ორ ან ეგვსამ ფარდულში იყო განლაგებული. საყურადღებოა ერთ-ერთ ფარდულში აღმოჩენილი საცხოვრებლის ნაშთი, მისი თიხატყეპნილი იატაკი. აღსანიშნავია აგრეთვე ამავე რაიონში კამენომოსტსკაიას<sup>30</sup> და დახოვსკაიას<sup>31</sup> გამოქვაბულის ზედა ფენებში მოპოვებული ნამოსახლარების ანალოგიური მასალები. აქაც, ისევე როგორც ჩვენში, რიონ-ყვირილის აუზში, გამოქვაბულებს უფრო გვიანაც იყენებდნენ საცხოვრებლად. ამიტომ ცოტა უცნაურად გვეჩვენება სულ ბოლო დროს რ. მუნჩაევის მიერ აღნიშნული მოსაზრება, რომ თითქოს გამოქვაბულების გამოყენების ტრადიცია მხოლოდ ჩრდილო კავკასიაში შემორჩა ბრინჯაოს ხანამდე; ამიერკავკასიაში და დაღესტანში ამ პერიოდის სადგომები გამოქვაბულებში არ გვხვდება<sup>32</sup>. საყურადღებოა აგრეთვე მდ. ფარსის აუზში გამოვლენილი მაიკოპის კულტურის დროინდელი ნამოსახლარები, რომელთაგან აღსანიშნავია ზუტორ ვესიოლისთან მდებარე ნასახლარი და იასნოვა პოლიანა<sup>33</sup>. ყუბანისპირეთში საერთოდ სადღესოდ საკმაოდ მრავლადაა გამოვლენილი ნამოსახლარები<sup>34</sup>, რომელთაგან ზოგიერთი ნაწილობრივ შესწავლილიცაა<sup>35</sup>.

მაიკოპის კულტურის სამოსახლოები ჩრდილო კავკასიაში ცნობილია აგრეთვე ყუბანისპირეთის გარეთაც. ნალჩიკის მახლობლად შესწავლილ დოლინსკოეს ნამოსახლარის შესახებ ზევით უკვე აღვნიშნავდით, ერთი ნამოსახლარი ამ დროისა გამოვლენილი იყო კისლოვოდსკის მახლობლად<sup>36</sup>. ჩეჩენ-ინგუშეთში ამ კულტურას უნდა მიეკუთვნოს სერჟენ-იურთის ნამოსახლარი<sup>37</sup>. აღსანიშნავია აგრეთვე ნოვოროსიისკის მახლობლად სულ ახლახან მიკვლეული მისხაკოს ნამოსახლარი. იგი ზედ ზღვის პირას მდებარეობს, საკმაოდ მაღალ ბორცვზე. კულტურული ფენა აქ არც თუ ისე ძლიერი იყო. მოპოვებული მასალა მოწმობს, რომ ეს ნამოსახლარი მაიკოპის კულტურას მიეკუთვნება, მის გვიან-

28 А. А. Формозов, Археологические исследования пещер в верховьях реки Белой в Краснодарском крае. Сборник материалов по археологии Адыгеи, т. II, Майкоп, 1961, стр. 50.

29 А. А. Формозов, Поселения Адыгеи эпохи раннего металла, стр. 5.

30 А. А. Формозов, Каменноостская пещера — многослойная стоянка в Прикубанье, МИА, 173, Москва, 1971, стр. 103.

31 А. А. Формозов, Каменный век и энеолит Прикубанья, стр. 72.

32 Р. М. Мунчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 392.

33 А. А. Формозов, Е. Н. Черных, დასახ. ნაშრომი, გვ. 108.


34 А. А. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 72.

35 А. А. Формозов, Поселения Адыгеи эпохи раннего металла, стр. 10.

36 А. П. Рунин, Энеолитическое поселение близ Кисловодска, СА, № 1, М., 1967, стр. 59.

37 Р. М. Мунчаев, Памятники майкопской культуры в Чечено-Ингушетии, СА, № 3, М., 1962, стр. 181.

დელ სტადიას<sup>38</sup>. დაბოლოს, უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი ძეგლი, — ადღერის  
 რაიონში მდებარე ვორონცოვის გამოქვაბული, რომელიც სადღეისოდ მაიკოპის




სურ. 88. ქვის იარაღი მაიკოპის კულტურის ნამოსახლარებიდან.

კულტურის სამხრეთით გავრცელების უკიდურესი პუნქტი ჩანს. ამ გამოქვა-  
 ბულში არქეოლოგმა ლ. სოლოვიოვმა მართალია შედარებით მცირე, მაგრამ

<sup>38</sup> Р. М. Мунчаев, Кавказ в эпоху энеолита и ранней бронзы, стр. 386.

კარგად სტრატეფიცირებული მასალა აღმოჩინა, რომელიც საკმაოდ ახლოს დგას მაიკოპის კულტურის ნამოსახლარებში გამოვლენილ მასალებთან. უადრესად იგი მიიჩნევა ოჩაქნი გროტში ნაპოვნ მასალას, რამდენადმე უფრო გვიანდელად კი კოლოკოლნი და ზალოქნი გროტებში მოპოვებულ მასალას.<sup>39</sup>

მაიკოპის კულტურის ნამოსახლარებიდან დღეს უკვე საკმაოდ დიდი მასალა დაგროვდა. ამ ნამოსახლარებიდან განსაკუთრებით საინტერესოა მეშოკო, სადაც კარგად დგინდება მაიკოპის კულტურის ქრონოლოგიური თანამიმდევრობა. ამ ნამოსახლარს, როგორც აღვნიშნავდით, საკმაოდ დიდხანს უნდა ეარსება, რის გამოც აქ დიდძალი არქეოლოგიური მასალა აღმოჩნდა: ქვისა და ძვლის იარაღი და სამკაული, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ცხოველების ძვლები და სხვ. განსაკუთრებით ბევრია აქ ქვის იარაღი, რომელთაგან გამოირჩევა ქვის სოლისებრი ცულები (სურ. 88). ბევრია აგრეთვე ქვის სამაჯურები, ისრის პირები (სურ. 89), საფხეკები და სხვ. აღსანიშნავია, რომ ქვის ცულების ზოგიერ-



სურ. 89. კვის ისრისპირები მეშოკოს ნამოსახლარიდან.

თი ცალი ძალიან ახლოს დგას მაიკოპის ყორღანში აღმოჩენილ ეგზემპლარებთან, სამივე ტიპის ისრის პირი კი ნოვოსეობოდნაიას ყორღანში მოპოვებულ ამგვარსავე იარაღს უახლოვდება<sup>40</sup>.

მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა მეშოკოს ნამოსახლარზე აღმოჩენილი კერამიკა. ამ მასალის ანალიზის საფუძველზე გახდა შესაძლებელი ძირითადად სტრატეგრაფიის დადგენა. ქვედა ფენაში აღმოჩნდა თხელკედლიანი, სადა, გაპრიანებული თიხის ჭურჭლის ნატეხები, უპირატესად მოვარდისფრო-მოყვითალო ფერისა. თავისი წასიათით, გამოწვით, ფერით; ფორმით და სხვ. ეს კერამიკა ძალიან ახლოს დგას მაიკოპის ყორღანში აღმოჩენილ თიხის ჭურჭელ-

<sup>39</sup> Л. И. Соловьев, Новый памятник культурных связей. Кавказского Причерноморья в эпоху неолита и бронзы, Стоянка Ворошиовской пещеры, стр. 138.

<sup>40</sup> А. А. Формозов, А. Д. Столяр, Неолитические и энеолитические поселения Краснодарского края, СА, № 2, М., 1960, стр. 108.

თან. ზედა ფენის კერამიკა საგრძნობლად განსხვავებულია. აქ ქარბობს შედარებით სქელკედლიანი, გაპრიალებულზედაპირიანი თიხის ქურქელი, რომელიც წშირად მარგალიტისებრი ორნამენტითაა შემკული. ორნამენტის ხასიათის მხრივ ეს კერამიკა უახლოვდება ნოვოსვობოდნაიას ყორღანში აღმოჩენილ თიხის ქურქელს<sup>41</sup>. ამრიგად, მეშოკოს ნამოსახლარზე კარგად დგინდება მაიკოპის კულტურის განვითარების ორი ეტაპი: ქვედა ფენის მასალები მაიკოპის ყორღანთან ნახულობს უფრო მეტ საერთოს, ზედასი კი ნოვოსვობოდნაიას ყორღანთან<sup>42</sup>.

მეშოკოსთან ამ დროის სხვა ნამოსახლარებზე მოპოვებული მასალების შედარება-შეჯერების გზით შესაძლებელი ხდება მათი ადგილის განსაზღვრა მაიკოპის კულტურის შიგნით. მეშოკოს ქვედა ფენის ე. ი. მაიკოპის კულტურის ადრინდელი ეტაპის შესატყვისი ძეგლები შედარებით ნაკლებადაა ცნობილი. ამ მხრივ საინტერესოა ყუბანისპირეთში სტანიცა აბაძეხსკაიას მახლობლად აღმოჩენილი სადგომი პავლოვსკაია პოლიანა, სადაც მეშოკოს ქვედა ფენის მსგავსი მასალა იქნა ნაპოვნი; აქ ჭერ კიდევ კარგადაა შერჩენილი ნეოლითური ტრადიციები<sup>43</sup>. სადღეისოდ ყუბანისპირეთში უფრო კარგადაა წარმოდგენილი მეშოკოს ზედა ფენის შესაბამისი ძეგლები. ამ პერიოდისაა ხუტორ ვესიოლისთან გამოვლენილი ნამოსახლარი. ამავე დროისა უნდა იყოს იასნოვა პოლიანას ნამოსახლარი. მათზე რამდენადმე ახალგაზრდა ჩანს სკალას ნასახლარი<sup>44</sup>. (სურ. 90). აქვე უნდა მოთავსდეს აგრეთვე ვორონცოვის გამოქვაბული. ოჩაქინ გროტი<sup>45</sup>. როგორც ჩანს, ეს ძეგლები მაიკოპის კულტურის ადრეულ და გვიანდელ ეტაპებს შორის ექცევა. აქ უკვე ჩნდება ის ელემენტები, რომელიც შემდეგში ამ კულტურის გვიანდელ, ნოვოსვობოდნაიას სტადიისათვისაა დამახასიათებელი (სქელკედლიანი, გაუპრიალებელი კერამიკა, მარგალიტისებრი ორნამენტის გამოჩენა და სხვ.)<sup>46</sup>. ხაჯოხის ნამოსახლარზე კარგად გამოისახა მაიკოპის კულტურის გვიანდელი ეტაპი. ამ ნამოსახლარზე საგრძნობლად იკლო ქვის იარაღებმა. დიდი ცვლილებაა კერამიკაში; აქ ქარბობს სქელკედლიანი, გაპრიალებული თიხის ქურქელი, ზოგჯერ მარგალიტისებრი ორნამენტით შემკული. გვხვდება კერამიკა, რომელიც ფორმით ძალიან ახლოს დგას ნოვოსვობოდნაიას ყორღანში მოპოვებულ თიხის ქურქელთან<sup>47</sup>. ხაჯოხ III სპილენძის უყუწწოდანის პირი აღმოჩნდა; მართალია მას პირდაპირი პარალელები კავკასიურ მასალებ-

<sup>41</sup> А. Д. Столяр, Мешоко — поселение майкопской культуры, стр. 88.

<sup>42</sup> А. А. Формозов, Каменный век и энеолит Прикубанья, стр. 78.

<sup>43</sup> А. А. Формозов, Поселение Адыген эпохи раннего металла, стр. 11.


<sup>44</sup> იქვე, გვ. 9; А. А. Формозов, Каменный век и энеолит Прикубанья, стр. 79.

<sup>45</sup> იქვე, გვ. 82.

<sup>46</sup> А. А. Формозов, Каменомостская пещера — многослойная стоянка Прикубанья, стр. 104.

<sup>47</sup> А. А. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 80; მისივე, Археологические исследования пещер в верховьях р. Белой в Краснодарском крае, стр. 70.

ბში არ მოეპოვება, მაგრამ რაღაც გარკვეული სიახლოვე შეინიშნება ნოვოსვობოდნაის და კოსტრომსკაიას დანებთან<sup>48</sup>. აღსანიშნავია, რომ ხაჯონში სრულიად არ აღმოჩენილა ქვის სამაჯურები, მაშინ როდესაც მათ დიდი რაოდენობით ვხვდებით: მესოკოს, სკალას, ვესიოლის, იასნოვა პოლიანას, ვორონცოვის და კამენომოსტსკაიას გამოქვაბულებში, ჩრდილო კავკასიაში ისინი სამარხებშიც აღმოჩნდა<sup>49</sup>,



სურ. 90. ქვის იარაღი სკალას ნამოსახლარიდან.

მათ ვხვდებით აგრეთვე ამიერკავკასიაში. აქ ქვის სამაჯურები მხოლოდ დასავლეთ საქართველოდანაა ცნობილი (თეთრამიწა, საჩხერე, საგვარჯილე, დარკვეთი)<sup>50</sup>. როგორც ფიქრობენ, ქვის სამაჯურები მაიკოპის კულტურის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნივთთაგანი უნდა იყოს<sup>51</sup>. თუმცა თეთრამიწასა და საგვარჯილეში ქვის სამაჯურების ნახევარფაბრიკატები და აგრეთვე წუნიანი ცალებიც აღმოჩნდა. ხაჯონში, როგორც აღენიშნავდით, ქვის ინდუსტრია ერთგვარ დაცემას განიცდის და ამიტომაცაა ეგებ, რომ აქ უკვე არ გვხვდება ქვისაგან ნაკერები სამაჯურები. ხაჯონის ნამოსახლარი მაიკოპის კულტურის გვიანდელ ეტაპს უნდა

<sup>48</sup> А. А. Формозов, Каменный век и энеолит Прикубанья, стр. 80.

<sup>49</sup> იქვე, გვ. 134; Р. М. Мунчаев, А. Л. Нечитайло, დასახ. ნაშრომი, გვ. 149.

<sup>50</sup> დ. თუშაბრაძის შვილი, ლ. ნებერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

<sup>51</sup> А. А. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 120; А. А. Формозов, Поселения Адыгген эпохи энеолита и раннего металла, стр. 17.

გამოსახვდეს: ამ ნამოსახლარების თანადროულია ერონცოვის გამოქვაბულის ზალოენი და კოლოკოლნი გროტები და, ჩანს, აგრეთვე დოლინსკოეს ნამოსახლარიც<sup>52</sup>. ამრიგად, ყუბანისპირეთში გამოვლენილი ნამოსახლარები მაიკოპის კულტურის განვითარების თითქმის ყველა საფეხურებს გამოსახავენ.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სადღეისოდ კარგადაა შესწავლილი მაიკოპის კულტურის ნამოსახლარები და აგრეთვე სამარხები, ცნობილია უწინარესი კულტურაც, მაინც მისი გენეზისის პრობლემაში ჯერ კიდევ ყველაფერი ნათელი არ არის. ნამოსახლარებზე მოპოვებული ინვენტარი გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ნეოლით-ენეოლითურ იარაღთან. ქვემო-შილოვკის და კისტრიკის ქვის ცულები ახლოა მეშოკოს, სკალას, ვესიოლის და სხვ. ადგილებში მოპოვებულ ამგვარსავე იარაღთან<sup>53</sup>. კამენომოსტსკაიას გამოქვაბულის ნეოლითურ ფენაში ნაპოვნი გეომეტრიული იარაღები გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს მეშოკოს, იასნოვა პოლიანას და თვით მაიკოპის ყორღანში აღმოჩენილ სეგმენტებთან და სხვ.<sup>54</sup> მაგრამ მიუხედავად მაიკოპის კულტურის ქვის ინდუსტრიის გარკვეული გენეტიური ურთიერთობისა წინამორბედ ხანასთან, მაინც, როგორც ჩანს, ამ კულტურის ჩამოყალიბებაში გარეგან იმპულსებს უნდა ეთამაშა მნიშვნელოვანი როლი. მაიკოპის კულტურის ადრეულ ნამოსახლარებზე მოპოვებული მასალები ბევრ საერთოს პოულობს დასავლეთ საქართველოსთან. მეშოკოს ქვედა ფენაში აღმოჩენილი მასალა უანლოვდება სამეღე კლდის, საგვარჯილის, დარკვეთის და სხვ. მოპოვებულ ინვენტარს<sup>55</sup>. ჯერ კიდევ ა. იესენი მიუთითებდა, რომ მაიკოპის ყორღანში ნაპოვნი კერამიკა ძალიან ახლოს დგას სამეგრელოში, დოშაქის გამოქვაბულში აღმოჩენილ თიხის ჭურჭელთან<sup>56</sup>. ნიშანდობლივია, რომ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ნეოლითურ კერამიკასთან უფრო მეტ საერთოს მაიკოპის კულტურის გვიანდელი ეტაპის თიხის ჭურჭელი ნახულობს, ვიდრე ადრემაიკოპის კერამიკა<sup>57</sup>. მაიკოპის კულტურის ადრეული ჭურჭლის სამხრეთულ წარმომავლობას აგრეთვე აღნიშნავს რ. მუნჩაევი, თუმცა იგი ფიქრობს, რომ მაიკოპის ადრეული კერამიკის ფორმები წინააზიური, უფრო კი მესოპოტამიური წარმოშობისაა<sup>58</sup>. დასავლეთ ამიერკავკასიასთან სიახლოვეზე მეტყველებს აგრეთვე სხვა მასალებიც (ქვის ცულები, ისრის პირები, ქვის სამაჯურები, საფხეკები და სხვ.). სამხრეთ-

52 А. А. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 120; А. А. Формозов, Поселения Адыгей эпохи энеолита и раннего металла, стр. 114.

53 А. А. Формозов, Каменный век и энеолит Прикубанья, стр. 148.

54 А. А. Формозов, Каменомостская пещера — многослойная..., стр. 111.

55 А. А. Формозов, Каменный век и энеолит Прикубанья, стр. 134; რ. ნებერიძე, დარკვეთის მრავალფენიან ვახში ჩატარებული მუშაობის ძირითადი შედეგები, გვ. 28; დ. თუშაბრამიშვილი, რ. ნებერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

56 А. А. Иессен, დასახ. ნაშრომი, გვ. 188.

57 А. А. Формозов, Каменный век и энеолит Прикубанья, стр. 119.

58 Р. М. Мулчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 579.



ლი ცივილიზაციების გავლენა ადრე მაიკოპის ხანაში საკმაოდ ძლიერი უნდა ყოფილიყო; ამას პირველ რიგში თვით მაიკოპის ყორღანის ინვენტარი მეტყველებს. ამ ურთიერთობას უნდა განეპირობებინა მაიკოპის კულტურის აღზევება ადრეულ ეტაპზე. ამ კულტურის მოგვიანო ეტაპზე სამხრეთთან დამოკიდებულება, ჩანს, საგრძნობლად სუსტდება<sup>59</sup>. წინააზიურ სამყაროსთან კავშირი ძირითადად ალბათ ამიერკავკასიის გზით ხორციელდებოდა, თუმცა ახლახან რ. მუნჩაევმა გამოთქვა მოსახრება, რომ მესოპოტამიური გავლენა ჩრდილო-კავკასიაზე ამიერკავკასიის გვერდის ავლით მიმდინარეობდა. შესაძლოა, აღნიშნავს იგო. რომ ერთ-ერთი მიზეზი მესოპოტამიის ინტერესისა ჩრდილოეთით ლითონის კერძოდ, ოქროს მოპოვება იყო<sup>60</sup>. აზრი, რომ ლითონით მდიდარმა კავკასიამ ადრევე მიიპყრო წინა აზიის ყურადღება ახალი არ არის<sup>61</sup>. მაგრამ, როგორც ამას ქვევით დავინახავთ, ძნელია ამიერკავკასიის როლის დამცირება ჩრდილო-კავკასიის სამხრეთთან ურთიერთობის საკითხში. გამორიცხული არ არის მაიკოპის კულტურაზე ჩრდილოური, სტეპებიდან მომდინარე გავლენებიც<sup>62</sup>. ზოგიერთმა მკვლევარმა ისაუბრა აღნიშნა, რომ მაიკოპის კულტურის ფორმირება უფრო სამხრეთით უნდა მომხდარიყო, დასავლეთ ამიერკავკასიის მიმდგომ მხარეში<sup>63</sup>. ასეა თუ ისე, ჩანს, რომ დასავლეთ ამიერკავკასიის მოსახლეობას, ადგილობრივ ნეოლითურ ტომებთან ერთად მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა მაიკოპის კულტურის ჩამოყალიბებაში<sup>64</sup>. ისაუბრა აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის გარკვეული ტერიტორია, კერძოდ აფხაზეთი უფრო მაიკოპის კულტურის გავლენის სფეროში ექცეოდა, მის სამხრეთით მდებარე ტერიტორიას კი მტკვარ-არაქსის კულტურა მოიცავდა<sup>65</sup>. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების დასავლეთ საქართველოში გავრცელებამ აქ მოსახლე ტომების ერთი ნაწილის დასავლეთით გადაადგილება გამოიწვია. შესაძლოა ამას, სხვა გარეგან იმპულსებთან ერთად, ყუბანისპირეთში მაიკოპის კულტურის ჩამოყალიბებაც მოჰყვა. სწორედ ყუბანისპირეთშია სადღეისოდ ცნობილი მაიკოპის კულტურის ადრეული ძეგლები როგორც ნამოსახლარები, ისე სამარხეული. ამ კულტურის ფართო გავრცელება ჩრდილო კავკასიაში მის მოგვიანო ეტაპზე ხდება. ამრი-

<sup>59</sup> А. А. Иессен, Древнейшая материальная культура Кавказа и ее роль в Передней Азии, III международный конгресс по Иранскому Искусству и археологии. М.—Л., 1939, стр. 94.

<sup>60</sup> Р. М. Мунчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 682, 683.

<sup>61</sup> Г. Чайлд, У истоков европейской цивилизации, стр. 211.

<sup>62</sup> Н. Я. Мерперт. Древнейшая история степной полосы Восточной Европы, Автореферат. М., 1968, стр. 24.

<sup>63</sup> А. А. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 150.

<sup>64</sup> История СССР с древнейших времен до наших дней. М., 1966, стр. 109.

<sup>65</sup> Р. М. Мунчаев, Кавказ в эпоху энеолита и ранней бронзы. Автореферат. стр. 49.

გად. როგორც ჩანს, მაიკოპის კულტურის წარმოქმნაში ადგილობრივ ნეოლითურ სუბსტრატთან ერთად, მნიშვნელოვანი წვლილი დასავლეთ საქართველოში მოსახლე ტომებსაც უნდა შეესრულებინა<sup>66</sup>. როგორც უკვე ზევით იყო აღნიშნული, ნეოლითურ ხანაშიაც მათ შორის საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა იყო. ეს კავშირი, ჩანს, მერმინდელ ხანაშიც არ შენელებულა. პირიქით, ამ დამოკიდებულებას, სხვა ფაქტორებთან ერთად, 'მედეგად მოჰყვა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მაიკოპის კულტურის ჩამოყალიბება.

მაიკოპის კულტურაზე გარკვეული გავლენა უნდა მოეხდინა მტკვარ-არაქსის კულტურასაც. მისთვის დამახასიათებელი ელემენტები მაიკოპის კულტურაში გვხვდება როგორც კერამიკაზე, ისე ლითონის ნაწარმზე<sup>67</sup>. პირუკუ, მაიკოპის გავლენა მტკვარ-არაქსის კულტურაზე ნაკლებად შესამჩნევია. რაც შეეხება მაიკოპის კულტურისათვის დამახასიათებელ წითლად გამომწვარ კერამიკას, რომელიც კარგადაა წარმოდგენილი კახეთის ძვ. წ. III ათასწლეულის ძეგლებზე, ჭრჭერობით გარკვევით ვერაფერს ვიტყვით. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ამ ტიპის კერამიკა ამიერკავკასიიდან უნდა გავრცელებულიყო მაიკოპის კულტურაში<sup>68</sup>. ეს კერამიკა მაიკოპის კულტურაში მისი არსებობის მთელ მანძილზე გვხვდება. უფრო მართებული ჩანს აზრი, თითქოს ამ კერამიკის გამოჩენა ამიერკავკასიაში მაიკოპის კულტურის გავლენის შედეგი იყო<sup>69</sup>. ამას გვაფიქრებინებს თითქოს ის, რომ იგი ძირითადად გვხვდება მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების იმ რაიონში, საიდანაც ხორციელდებოდა უპირატესად კონტაქტები ჩრდილო კავკასიასთან.

მაიკოპის კულტურასთან ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ა. იესენის მიერ აზერბაიჯანში, მილის სტეპში, შესწავლილი უჩ-თეფეს ყორღანი<sup>70</sup>. ეს ყორღანი დიდი ზომისა იყო (13 მ სიმაღლე და 130 მ დიამეტრი) და როგორც ფიქრობენ, ზოგიერთი ნიშნებით იგი მაიკოპის ჭგუფის ყორღანებს უახლოვდება. ყორღანის ძირითადი სამარხი გაბარკული აღმოჩნდა. ნაპოვნი იყო მხოლოდ კერამიკის ნატეხები. თავისი ხასიათით აქ მოპოვებული თიხის ჭურჭელი განსხვავდება აზერბაიჯანში ცნობილ ადრეული ხანის კერამიკისაგან და გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს მაიკოპის ყორღანის ჭურჭელთან. ეს ყორღანი ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარს, ეგებ უფრო მის ბოლო ხანას მიეკუთვნება<sup>71</sup>. ახლა ჭერ კიდევ, როგორც ა. იესენი აღნიშნავდა, ძნელია

66 А. А. Формозов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 149.

67 А. А. Формозов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 135.

68 Ш. Ш. Дедабришвили, *Культура эпохи ранней бронзы Иор-Алазанского бассейна*, стр. 20; И. М. Чеченов, *Нальчикская подкурганная гробница*, Нальчик, 1973, стр. 47.

69 Р. М. Мушасев, *Кавказ в эпоху энеолита и ранней бронзы*, стр. 673.

70 А. А. Иессен, *Раскопки большого кургана в урочище Уч-Тепе*, МИА, 125, М.—Л., 1965, стр. 153.

71 А. А. Иессен, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 185.

გარკვევით ლაპარაკი მაიკობის კულტურასთან ურთიერთობის შესახებ, მაგრამ უჩ-თეფეს ყორღანში მართლაც ჩანს ცალკეული ნიშნები მაიკობის კულტურისა<sup>72</sup>. რ. მუნჩაევი ამასთან დაკავშირებით გამოთქვამს ვარაუდს, რომ შესაძლოა ეს ყორღანი მილის სტეპში აგებული იყო მაიკობის კულტურასთან კავშირში მყოფ ეთნიკური ჯგუფის მიერ. შესაძლოა, განაგრძობს იგი, რომ სამხრეთ კავკასიის ამ ტერიტორიიდან გადიოდა ერთ-ერთი გზა, რომლითაც ჩრდილო-კავკასია წინა აზიას უკავშირდებოდა, თუმცა ძირითად გზად იგი, როგორც აღვნიშნავდით, მაინც შავ ზღვას მიიჩნევს<sup>73</sup>. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ III ათაწლეულის ბოლოსათვის ამიერკავკასიაში შეინიშნება ჩრდილოეთიდან წამოსული გარკვეული იმპულსები<sup>74</sup>. ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა თითქოს ქვემო ქართლში გათხრილ ყორღანში. ამ მხრივ აღსანიშნავია ბედენის ყორღანი, სადაც ჩანს მაიკობის კულტურიდან მომდინარე გარკვეული ნიშნები<sup>75</sup>. იგივე შეიძლება ითქვას აგრეთვე მარნეულის ვაკეზე გათხრილი ყორღანების შესახებაც. რითი იყო გამოწვეული მაიკობის კულტურის მიწურულ ხანაში ჩრდილოური ელემენტების აქტივობა ამიერკავკასიაში, ძნელი სათქმელია. შესაძლოა ეს დაკავშირებული იყო რუსეთის სტეპებიდან მომდინარე ამბებთან, რასაც შემდეგში შედეგად მოჰყვა მაიკობის კულტურის დაცემა. ორმოიანო ყორღანების გამოჩენას კავკასიაში ზოგიერთი მკვლევარი, სამხრეთ რუსეთის ორმოსამარხთა კულტურის გავლენას მიაწერს<sup>76</sup>.

მაიკობის კულტურის სამხრეთთან ურთიერთობა განსაკუთრებით კარგად ჩანს სამარხებიდან მომდინარე მასალებიდან. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს აღმოჩნდა ამ კულტურისათვის დამახასიათებელი სამარხული ძეგლები, რომელთაგან უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია მაიკობისა და ნოვოსვობოდნიას ყორღანები. ამ ძეგლებმა იმთავითვე დიდი ყურადღება მიიპყრეს იმის გამო, რომ ზოგიერთ მათგანში ბრწყინვალე მასალები აღმოჩნდა. სპილენძის იარაღთან ერთად, ნაპოვნი იყო ოქროსა და ვერცხლის შესანიშნავი ნივთები. ამ მასალების შესწავლის შედეგად ფინელმა არქეოლოგმა ა. ტალგრენმა უკვე 1911 წ. „ყუბანის დიდი ყორღანების“ ცალკე ჯგუფი გამოპყო და მათი თარიღი ძვ. წ. 2000 წ. მიუახლოვა<sup>77</sup>. შემდეგში ამ ყორღანე-

<sup>72</sup> P. M. Мунчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 547.

<sup>73</sup> იქვე, გვ. 707.

<sup>74</sup> ე. გოგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 91.

<sup>75</sup> Г. Ф. Гобеджишвили, Беденский курган. Всесоюзная научная сессия, посвященная итогам полевых археологических и этнографических исследований № 1970 г., Тбилиси, 1971, стр. 48.

<sup>76</sup> S. Piggott, The Earliest Wheeled Vehicles and the Caucasian Evidence, The Prehistoric Society, vol. XXXIV, 1963, 274.

<sup>77</sup> A. Tallgren, Die Kupfer-und Bronzezeit in Nord-und Ost-Russland. SMYA, XXV, Helsinki, 1911, 88.

ბის ეს ადრეული ასაკი თითქმის ყველა მკვლევარმა გაიზიარა, და მათ უპირატესად ძვ. წ. III ათასწლეულში და II ათასწლეულის პირველ ნახევარში აქცევდნენ. „ყუბანის დიდი ყორღანების“ პერიოდიზაციის ცდაც იყო; მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ა. იესენის მიერ ჩატარებული მუშაობა. მან თავის ადრინდელ ნაშრომებში ყუბანისპირეთის ყორღანებში ორი ჯგუფი გამოყო: ადრეული მაიკოპისა და უფრო გვიანდელი ნოვოსვობოდნაისა<sup>78</sup>.

შემდეგში ა. არტამონოვის ნაშრომის გამო, რომელმაც ისევ წამოაყენა ამ ყორღანების გვიანდლობის საკითხი, იგი კვლავ უბრუნდება „ყუბანის დიდი ყორღანების“ დათარიღების პრობლემას. ამ ბრწყინვალე ნაშრომში მან საბოლოოდ დაადასტურა მაიკოპისა და ნოვოსვობოდნაისა ჯგუფის ყორღანების ადრეული თარიღი<sup>79</sup>. შემდეგი ხანის აღმოჩენებმა კიდევ უფრო მეტი სიცხადე შეიტანეს ა. იესენის დებულებების სისწორეში.

ბოლოდროინდელი სამუშაოების შედეგად ჩრდილო კავკასიაში გამოვლენილი იყო მაიკოპის კულტურის სამარხეული ძეგლების ახალი ჯგუფები. ამათგან აღსანიშნავია უსტ-ჯეგუტინსკაიას<sup>80</sup> და ბამუტის ყორღანული სამაროვნები<sup>81</sup>, ცალკეულ სამარხთაგან კი ნალჩიკის მახლობლად შესწავლილი ბრწყინვალე ყორღანი<sup>82</sup>. როგორც ირკვევა, ადრეული, მაიკოპის ჯგუფის ყორღანები ძირითადად ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში ჩანან. უფრო ფართოდ ვრცელდება მაიკოპის კულტურა და შესაბამისად სამარხეული ძეგლები, გვიანდელ, ნოვოსვობოდნაისა სტადიაზე. ამ პერიოდში მათ ვხვდებით ტამანის ნახევარკუნძულიდან მოკიდებული, ვიდრე დაღესტანამდე<sup>83</sup>. სადღეისოდ უკვე კარგადაა ცნობილი ამ კულტურის როგორც მდიდრული, ისე შედარებით ღარიბული სამარხები. მაიკოპის კულტურის სამარხები დამარხვის წესით და სამარხეული ინვენტარით ძირითადად ჯგუფდებიან ყველაზე უფრო ცნობილი ყორღანების—მაიკოპის ან კიდევ ნოვოსვობოდნაისა ირგვლივ. მიუხედავად ბევრი საეროსი, მათ შორის, როგორც დაკრძალვის რიტუალში, ისე სამარხეულ ნივთებში მინც საგრძნობი განსხვავებაა. ამრიგად, ისახება ორი ჯგუფი სამარხებისა: ერთი, უფრო ადრეული, რომელიც შეესაბამება მაიკოპის ყორღანს, მეორე შედარებით გვიანდელი — ნოვოსვობოდნაისა ყორღანს<sup>84</sup>.

<sup>78</sup> А. А. Иессен, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, стр. 81.

<sup>79</sup> А. А. Иессен, К хронологии «больших кубанских курганов», стр. 157.

<sup>80</sup> Р. М. Мунчаев, А. Л. Нечитайло, Комплексы майкопской культуры в Усть-Джегутинском могильнике, СА, 3, М., 1966, стр. 134.

<sup>81</sup> Р. М. Мунчаев, В. И. Сарниди, Исследование Бамутского курганного могильника в 1963 г., КСИА, вып. 106, М., 1966, стр. 180.

<sup>82</sup> И. М. Чеченов, Гробница эпохи ранней бронзы в г. Нальчике, СА, 2, М., 1970, стр. 109.

<sup>83</sup> Р. М. Мунчаев, Кавказ в эпоху энеолита и ранней бронзы, стр. 587.

<sup>84</sup> А. А. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

მაიკოპის კულტურისათვის საერთოდ დამახასიათებელია ყორღანული ტიპის სამარხები. სადღეისოდ არსებული მასალით ისე ჩანს, რომ ყორღანები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში პირველად ამ კულტურის ხანაში ჩნდებიან. უფრო ადრე ჩრდილო-კავკასიაში ყორღანული სამარხები საერთოდ ცნობილი არ არის. საიდან შემოდის სამარხის ეს ტიპი აქ ჭერჭერობით მთლად ნათელი არ არის. ამიერკავკასიაშიც ყორღანები ინდივიდუალური სამარხებით, როგორც ჩანს, გავრცელებას იწყებს ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში. უფრო ადრე აქ, მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში, ცნობილია ყორღანები კოლექტიური სამარხებით (საჩხერის ყორღანული სამაროვნები, ტყვიავის ყორღანები, სტეპანაკერტის ყორღანი და სხვ.)<sup>85</sup>. ჭერ კიდევ ძნელია გარკვევით თქმა, თუ საიდან გავრცელდა სამარხის ეს ტიპი ყუბანისპირეთში. შემოვიდა იგი ამიერკავკასიიდან, თუ აქ უფრო სამხრეთ რუსეთის სტეპების გავლენა ჩანს, სადაც ყორღანული სამარხები საკმაოდ ადრინდელი პერიოდისაა ცნობილი<sup>86</sup>. ჩ. ბიორნის აზრით, დამარხვის ეს წესი კავკასიაში ჩრდილოური წარმომავლობისაა და ძველი ორმოსამარხების კულტურის ტრადიციები შეინიშნება<sup>87</sup>. ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ ყორღანი როგორც სამარხის ტიპი სტეპებში მცხოვრებ ტომებში წარმოიქმნა<sup>88</sup>. შუა ევროპაში ყორღანული ტიპის სამარხთა გავრცელებას სტეპების კულტურების გამოჩენას უკავშირებენ<sup>89</sup>. ანატოლიაშიც დაკრძალვის ამ წესის შემოსვლას პონტოს სტეპებს მიაწერენ<sup>90</sup>. ზოგი მკვლევარი პირდაპირ აღნიშნავს, რომ უძველესი ყორღანები ქვემო ვოლგისპირეთში ჩნდებიან IV ათასწლეულის ბოლოს<sup>91</sup>. მ. გიმბუტასი აღნიშნავს, რომ ყორღანული კულტურა ჩრდილოეთიდან მაიკოპის წინა პერიოდში ვრცელდება და თვით მაიკოპის ყორღანი ყორღანული კულტურის და მახლობელი აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელ ელემენტებს შეიცავს. დამარხვის წესით იგი ტიპური ყორღანულია, ლითონის ინვენტარით კი ანატოლიური და ამიერკავკასიური<sup>92</sup>. მაგრამ. მიუხედავად ამისა, მაიკოპის კულტურის ხანაში, მის ორივე ეტაპზე ყორღანები სამარხის ძირითადი ტიპი იყო.

<sup>85</sup> ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 141.

<sup>86</sup> P. M. Мунчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 542.

<sup>87</sup> Ch. A. Burney, D. M. Lang, დასახ. ნაშრომი, გვ. 77.

<sup>88</sup> Н. Я. Мерперт, Древнейшие скотоводы Волжско-Уральского междуречья. М., 1974, стр. 131.

<sup>89</sup> Н. Я. Мерперт, Древнейшая история населения степной полосы Восточной Европы (III—начало II тыс. до н. э.). Автореферат. М., 1968, стр. 72.

<sup>90</sup> J. Mellaart, Anatolia before c. 4000 B. C. and c. 2300—1750 B. C., Cambridge, 1964, №6.

<sup>91</sup> История СССР, I, М., 1966, стр. 98.

<sup>92</sup> M. Gimbutas, The Relative Chronology of Neolithic and Chalcolithic Cultures in Eastern Europe North of the Balkan Peninsula and the Black Sea, 487.

ადრეული, საკუთრივ მაიკობის ჯგუფის ყორღანები, სადღეისოდ შედარებით ნაკლებადაა ცნობილი. მათ ძირითადად ვხვდებით ყუბანისპირეთში. ისინი ცნობილია, აგრეთვე, ყაბარღო-ბალყარეთში. ჩრდილო კავკასიის სხვა მხარეში ამ ჯგუფის ყორღანები არ გვხვდება<sup>93</sup>. ეს ყორღანები ხასიათდებიან იმით, რომ ისინი უპირატესად მიწაყრილიანებია; ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ ყორღანებში ყრილის ქვეშ, ქვებისაგან შეკრული წრე, კრომლესი გვხვდება, რომლის ცენტრშიც არის ხოლმე მოქცეული სამარხი, სწორკუთხა მოყვანილობის ორმო და სხვ. მეტნაკლები სიზუსტით დგინდება, აგრეთვე, მიცვალებულის დაკრძალვის წესი: მოკრუნჩხული, გვერდზე მწოლარე, თავით სამხრეთით და სხვ.<sup>94</sup> ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სტავროპოლის მხარეში, მდ. ყუბანის ველზე, სტანიცა უსტ-ჯეგუტინსკაიას მახლობლად შესწავლილი ყორღანული სამაროვანი. უადრესი ყორღანები დაკრძალვის რიტუალოთ ძალიან ახლოს დგანან მაიკობის ცნობილ ყორღანთან. მათ შორის გარკვეული მსგავსება ჩანს აგრეთვე ინვენტარშიაც<sup>95</sup>. საერთოდ ადრეული ყორღანები ბევრი დამახასიათებელი თავისებურებებით გამოირჩევიან. მაგრამ, რა თქმა უნდა, პირველ რიგში აღსანიშნავია თვით მაიკობის ყორღანი, რომლის ირგვლივ ჯგუფდება ადრეული ყორღანები. ამიტომაც, ამ ყორღანის დახასიათებაზე შევჩერდებით უფრო დაწვრილებით.

მაიკობის ყორღანი შიგ ქალაქ მაიკოპში მდებარეობდა. მისი სიმაღლე უდრიდა 10,65 მ. იგი 1897 წ. გაითხარა რუსი არქეოლოგის ნ. ვესელოვსკის მიერ. მიწაყრილის ქვეშ, ყორღანის ცენტრში აღმოჩნდა ძირითადი სამარხი—ორმო, რომლის სიგრძე უდრიდა 5,33 მ. სიგანე—3,75 მ. სიმაღლე—1,42 მ. ორმო ხით გაყოფილი იყო სამად; სამხრეთის ნაწილი უფრო მოზრდილი იყო. ჩრდილო კი კიდევ ორად იყო დანაწევრებული. სამხრეთ, უფრო მოზრდილ ნაწილში ერთი მიცვალებული იყო მოკრუნჩხული პოზით, წითლად შეღებილი. ორ დანარჩენ განყოფილებაში აგრეთვე თითო მიცვალებული იყო მოთავსებული, გვერდზე ზოკუნტულად მწოლიარე, წითლად შეღებილი. სამარხის დიდ, სამხრეთ ნაწილში იყო აღმოჩენილი ის ბრწყინვალე მასალა, რომელმაც საქვეყნოდ გაუთქვა სახელი მაიკობის ყორღანს. აქ ნაპოვნი იყო 68 ოქროს ფირფიტა ლომის გამო-

<sup>93</sup> რაც შეეხება სტანიცა მეკენსკაისთან მდ. თერგის ჩრდ. ნაპირზე (ჩეჩენ-ინგუშეთი) შესწავლილ ადრეულ ყორღანებს, მათ შესახებ გარკვეული აზრი არ არის. მართალია, გამთხრელების ნ. მერპურტისა და ე. კრუტნოვის აზრით, მეოთხე ყორღანის მე-16 სამარხს დაკრძალვის წესი პირდაპირი ანალოგიები აქვს მაიკობის ყორღანთან და საერთოდ, მათი აზრით, ეს სამარხი საკუთრივ მაიკობის ჯგუფს უნდა მიეკუთვნებოდეს. რ. მუნჩაევი აღნიშნავს, რომ თუ ეს სამარხი მინცადამაინც მაიკობის კულტურას უნდა მიეკუთვნოს, მაშინ იგი უფრო მის გვიანდელ ეტაპს უნდა გაუტოლდეს (Е. И. Крупнов, Н. Я. Мерперт, Курганы у станции Мекенской. Древности Чечено-Ингушетии. М., 1963, стр. 40; Р. М. Мунчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 500).

<sup>94</sup> Р. М. Мунчаев, А. Я. Нечитайло, დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

<sup>95</sup> იქვე, გვ. 146.

სახელებით, 19 ამგვარივე ფირფიტა ხარის გამოსახულებით, ოქროს რგოლები, ოქროს ლენტები, ვარდულები, ოქროსა და ვერცხლის მძივები და სხვ. აქვე აღმოჩნდა ექვსი მილაკი 1,03 მ სიგრძისა, რომელთაგან ოთხს ცალ ბოლოზე, წამოცმული ჰქონდა ოქროსა და ვერცხლის ხარის ქანდაკებები. სამარხის აღმოსავლეთ კედლის მახლობლად ერთ რიგად იდგა 17 ლითონის ჭურჭელი, აქედან ორი ოქროსი და 14 ვერცხლისა. გარდა ამისა, სამარხის სამხრეთ განყოფილებაში აღმოჩნდა ქვის ცული, რამდენიმე რომბისებრი მოყვანილობის კაყისის პირი და კაყის მიკროლითები. აქვე ნაპოვნი იყო სპილენძის ათი იარაღი: ბრტყელი სატევრის პირები, ყუადაქანებული ცულები, თოხისმაგვარი იარაღი, კომბინირებული იარაღი, ბრტყელი ცულები, სადგისი და სხვ. გარდა ამისა, სამარხის დასავლეთ კედელთან დაახლოებით ერთი ტიპის რვა თიხის ჭურჭელი იდგა ბირთვისებრი ტანით და ჩაღარული ყელით. სამარხის ორ დანარჩენ განყოფილებაში შედარებით ღარიბული ინვენტარი აღმოჩნდა: ოქროს რგოლები, ოქროსა და სერდოლიკის მძივები, სპილენძის ჭურჭელი და სხვ<sup>96</sup>.

მაიკოპის ყორღანი, როგორც ჩანს, ტომის დაწინაურებულ წევრის, ბელადის სამარხი უნდა ყოფილიყო. სამარხის შედარებით ორ მცირე განყოფილებაში მოთავსებული ჩონჩხები, ალბათ, მხევლებისა იყო<sup>97</sup>. ძირითადი სამარხის მიცვალებული დიდი პატივით იყო დაკრძალული. ბ. ფარმაკოვსკი წინააზიური მასალების ანალოგიების საფუძველზე ფიქრობდა, რომ ვერცხლის მილაკები, ხარის ქანდაკებებით ბოლოზე, წარმოადგენდა ბალდახინის საყრდენებს, ხოლო ოქროს ფირფიტის ლომის, ხარის და სხვ. გამოსახულებები კი, ალბათ, გადასაფარებლის შემკულობას<sup>98</sup>. თვით სამარხეული ინვენტარი გამოირჩევა სიუხვითა და სიმდიდრით. აქ აშკარად ადგილობრივი ნეოლითური ტრადიციებიდან მომდინარე ქვის იარაღების მხარდამხარ გვხვდება შესანიშნავი, როგორც ჩანს, იმპორტული წარმომავლობის ნივთები.

ქვის იარაღიდან აღსანიშნავია კაყის გეომეტრიული ფორმის მიკროლითები. ამ ტიპის იარაღი მხოლოდ მაიკოპის ყორღანში აღმოჩნდა, სხვა ყორღანში მსგავსი იარაღი ცნობილი არ არის. სამაგიეროდ მათ ვხვდებით ამ დროის ნამოსახლარებზე, განსაკუთრებით მრავლად მეშოკოს ნამოსახლარზე. მიკროლითური იარაღი მაიკოპის ყორღანიდან გარკვეულ სიახლოვეს ამკლავნებს ჩრდილოდასავლეთ კავკასიის ნეოლითურ იარაღთან<sup>99</sup>. ნეოლითურ ტრადიციებს ატარებს, აგრეთვე, ამ ყორღანში აღმოჩენილი რომბისებრი მოყვანილობის ისრის პირები. მართალაა მაიკოპის კულტურისათვის სხვადასხვა ფორმის ისრისპირე-

<sup>96</sup> ОАК за 1897 г., стр. 2.


<sup>97</sup> Е. И. К р у п н о в, Древняя история и культура Кабарды, стр. 73.

<sup>98</sup> Б. В. Ф а р м а к о в с к и й, Арханчешский период в России, МАР, № 34, СПб., 1914, стр. 50.

<sup>99</sup> А. А. Ф о р м о з о в, დასახ. ნაშრომი; ვგ. 1110; Р.: М. М у л л а е в, დასახ. ნაშრომი. გვ. 567.

ბია დამახასიათებელი, მაგრამ მაიკოპის ყორღანში ნაპოვნ ამ ტიპის იარაღს ანალოგები არ მოეპოვება<sup>100</sup>. მსგავსი ისრის პირები თითქოს ნაპოვნი იყო კისლოვოდსკის მახლობლად გათხრილ ნამოსახლარზე<sup>101</sup>. ნეოლითური ელფერი-საა აგრეთვე მაიკოპის ყორღანში აღმოჩენილი ქვის ცულიც.

განსაკუთრებით საინტერესოა მაიკოპის ყორღანში აღმოჩენილი სპილენძის იარაღი. გარდა იმისა, რომ ლითონის ეს ნივთები საერთოდ არქაული იერისაა, აქ აღმოჩენილი ზოგიერთი იარაღის ფორმა კავკასიაში მხოლოდ ამ ყორღანშია წარმოდგენილი. ყორღანში ერთი ხვრელიანი ცული იყო ნაპოვნი (სურ. 91). იგი ფორმით გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს ყუბანიპირეთში გაერცე-



სურ. 91. ლითონის: 1. ცული, 2. ზელეჩო, 3. კომბინირებული იარაღი მაიკოპის ყორღანიდან.

ლებულ ლითონის ცულებთან, მაგრამ მაინც რამდენადმე განსხვავებული ფორმისაა<sup>102</sup> და მათზე აღრეული ჩანს<sup>103</sup>. გ. ჩაილდმა თავის დროზე მაიკოპის ცული შეუდარა აშურში აღმოჩენილ ცულებს და აღნიშნავდა, რომ კავკასიის აღრეული ცულები მესოპოტამიური წარმოშობისაა<sup>104</sup>. გარკვეული სიახლოვე ჩანს აგრეთვე შუამდინარეთში, ელ-უბეიდის პერიოდის ცულის თიხის მოდელთან. ამ მხრივ აღსანიშნავია ის მსგავსება, რომელიც შეიმჩნევა ბალდადისა და მო-

<sup>100</sup> A. A. Иессен, დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

<sup>101</sup> P. M. Мунчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 568.

<sup>102</sup> A. A. Иессен, К хронологии «больших кубанских курганов», стр. 173.

<sup>103</sup> Philip P. Betancourt, The Maikop Copper Tools and their Relationship to Cretan Metallurgy, AJA. vol. 74, № 4, 1970, 353.

<sup>104</sup> G. Child, The axes from Maikop and Caucasian metallurgy, Annals from Archaeology and Anthropology, vol. XXIII, Liverpool, 1936, 113.



სულის მუზეუმებში დაცულ უბეიდის პერიოდის ცულის თიხის მოდელებსა და ჩვენში გავრცელებულ ლითონის ცულებს შორის. როგორც ფიქრობენ, თიხის ეს მოდელები ლითონის ცულების წაბაძვიოთა ნაკეთები<sup>105</sup>. მსგავსი ლითონის ცულები დამახასიათებელია აგრეთვე აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთისათვისაც. ზოგიერთი ეგეოსური ცული თითქოს მართლაც უახლოვდება მაიკოპის ცულს<sup>106</sup>. თუმცა ზოგიერთი მკვლევარი ზუსტ პარალელს ვერ ხედავს მაიკოპისა და საბერძნეთისა და კიკლადის ცულებს შორის<sup>107</sup>. ე. დეშეიეს აზრით, ამ ტიპის ცულები მესოპოტამიის ან ირანის იმპორტი უნდა ყოფილიყო<sup>108</sup>. მაიკოპის ლითონის ნაწარმის სამხრეთულ, უფრო კი სპარსულ წარმოშობას უშვებდა აგრეთვე ა. იესენი თავის ადრინდელ ნაშრომებში<sup>109</sup>. ს. კისელიოვი მაიკოპის ცულს ძველი აღმოსავლეთის ყველაზე უფრო ადრეულ ცულებს უდარებდა<sup>110</sup>.

კიდევ უფრო ნათლად სამხრეთული წარმომავლობა მაიკოპის ყორღანში აღმოჩენილი იარაღის სხვა ფორმებში ჩანს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ხელეჩო და კომბინირებული იარაღი, რომელიც ცულისა და ხელეჩოს კომბინაციას წარმოადგენს. ხელეჩო (ან ეგებ თოხი, სურ. 91,2) მილისებრი მოყვანილობის ხერელით დღემდე მხოლოდ მაიკოპის ყორღანშია აღმოჩენილი. მსგავსი იარაღი არც ჩრდილო-კავკასიაში და არც ამიერკავკასიაში ცნობილი არ არის. სამაგიეროდ ამ ტიპის იარაღი ფართოდ იყო გავრცელებული წინა აზიაში, მესოპოტამიაში და ირანში<sup>111</sup>. აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში მათ გვიანბრინჯაოს ხანამდე არ ვხვდებით<sup>112</sup>. ამ იარაღს სამხრეთულ, მესოპოტამიურ წარმომავლობას მიაწერენ<sup>113</sup>.

გარდა მაიკოპის ყორღანისა, სხვაგან კავკასიაში არ ვხვდებთ მსგავსი კომბინირებული იარაღი<sup>114</sup> (სურ. 91,3). ამ ტიპის იარაღი კარგადაა ცნობილი წინა აზიაში, მესოპოტამიაში და ამიტომ მათ წარმოშობას კავკასიაში სამხრეთულ გავლენას უკავშირებენ<sup>115</sup>. ამ ტიპის იარაღი გავრცელებულია აგ-

<sup>105</sup> G. Child, *Eurasien schaft-hol axes*, ESA, IX, Helsinki, 1934, გვ. 159.

<sup>106</sup> P. Betancourt, დასახ. ნაშრომი, გვ. 354.

<sup>107</sup> С. И. Корневский, *О металлических топорах майкопской культуры*, СА, 3, М., 1974, стр. 18.

<sup>108</sup> J. Deshayes, *Les Outils de Bronze de l'Indus au Danube*, Paris, 1960, 191.

<sup>109</sup> А. А. Иессен, *К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе*, стр. 90.

<sup>110</sup> С. В. Киселев, *Бронзовый век СССР, Новое в советской археологии*. М., 1965, стр. 21.

<sup>111</sup> P. Betancourt, დასახ. ნაშრომი, გვ. 352.

<sup>112</sup> იქვე.

<sup>113</sup> Г. Чайлд, *У истоков европейской цивилизации*, стр. 213.

<sup>114</sup> А. А. Иессен, *К хронологии «больших кубанских курганов»*, стр. 173.

<sup>115</sup> იქვე.

რეთვე კრეტაზე და საერთოდ ეგეოსურ სამყაროში<sup>116</sup>. გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ეს ტიპი იარაღისა კრეტა-მიკენურ კულტურულ სამყაროდან უნდა მომდინარეობდეს<sup>117</sup>. ისიც ითქვა, რომ ეს კომბინირებული იარაღი მაიკოპში უნდა ჩამოყალიბებულიყო, სადაც აღმოჩნდა იარაღის ისეთი ტიპები (ცული და ხელეჩო), რომელთა კომბინაციით არის მიღებული ეს იარაღი<sup>118</sup>. გ. ჩაილდი ამ იარაღსაც მესოპოტამიური წარმომავლობისად თვლის<sup>119</sup>. ე. დეშეიეს აზრით კი, ეგეოსური ცალები ამ ტიპის იარაღისა ირანის გავლენით წარმოიქმნა<sup>120</sup>. მართებული ჩანს ამ ბოლო დროს გამოთქმული მოსაზრება, რომ კომბინირებული იარაღის ტიპი უნდა ჩამოყალიბებულიყო საკმაოდ ადრე მესოპოტამიისა და ირანის არეალში და შემდეგ აქედან უნდა გავრცელებულიყო სხვაგან. სწორია აგრეთვე ისიც, რომ ის გარკვეული ანალოგიები, რომლებიც არსებობს მაიკოპისა და კრეტის სპილენძის იარაღებს შორის ერთი საერთო წინაპრიდან უნდა იყოს წამოსული<sup>121</sup>.

დიდ მსგავსებას ხედავენ აგრეთვე მაიკოპის ფართობირიან სატევარსა თუ დანისპირსა და კრეტის ე. წ. „ბრიტევებს“ შორის. მაიკოპის ყორღანში აღმოჩენილი ეს იარაღი ერთადერთია საერთოდ კავკასიაში<sup>122</sup>. ეგეოსის სამყაროში ამ ტიპის იარაღი საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული გვიანბრინჯაოს ხანამდე<sup>123</sup>. ფორმაში თითქოს მართლაც რაღაც მსგავსება ჩანს, მაიკოპისა და კრეტის ამ იარაღებს შორის, ოღონდ მაიკოპის ცალი უფრო მოზრდილია. სწორი უნდა იყოს ა. იესენის აზრი, რომ არ არის დამაჯერებელი მაიკოპის ამ იარაღში კრეტიდან მომდინარე იმპორტი დავინახოთ<sup>124</sup>. აღსანიშნავია, რომ კრეტის ამ იარაღის საფუძველზე მაიკოპის ყორღანის დათარიღების ცდაც იყო, მაგრამ ა. შმიდტმა სწორად აღნიშნა ამის უსაფუძვლობა<sup>125</sup>.

მაიკოპის ყორღანში ორი ბრტყელი ცული აღმოჩნდა. ისინი თავისი ფორმით ერთგვარად განსხვავდებიან ამ პერიოდში კავკასიაში გავრცელებული ლითონის ამგვარსავე იარაღებისაგან<sup>126</sup>. მაიკოპის ცალებს ზედა ნაწილი მომრგვალებული

<sup>116</sup> P. Betancourt, დასახ. ნაშრომი, გვ. 354; S. Hood, *The Minions Crete in the Bronze Age*, 1971, 84.

<sup>117</sup> Б. А. Куфтун, *Материалы к археологии Колхиды*, I, стр. 309.

<sup>118</sup> D. H. Gordon, *The Chronology of Third Cultural Period of Tepe Hissar, Iraq*, vol. VIII, P. 1, London, 1951, стр. 52.

<sup>119</sup> Г. Чайлд, დასახ. ნაშრომი, გვ. 213.

<sup>120</sup> J. Deshayes, *Haches—herminettes Iraniennes, Syria*, 12, 1963, 273.

<sup>121</sup> P. Betancourt, დასახ. ნაშრომი, გვ. 355.

<sup>122</sup> A. A. Иессен, დასახ. ნაშრომი, გვ. 172.

<sup>123</sup> P. Betancourt, დასახ. ნაშრომი, გვ. 353.

<sup>124</sup> A. A. Иессен, *Греческая колонизация Северного Причерноморья*, стр. 17.

<sup>125</sup> A. V. Schmidt, *Die Kurgane der Staniza Konstantinovskaja, ESA*, IV, 1929, 18.

<sup>126</sup> A. A. Иессен, *К хронологии «больших кубанских курганов»*, стр. 171.

აქვს და საერთოდ თავისი ფორმით ძალიან უახლოვდება ქვის ცულებს. ა. იესენმა ჯერ კიდევ თავის ადრინდელ ნაშრომში აღნიშნა, რომ ადგილობრივი წარმოშობის შესახებ შეიძლება ერთ-ერთ არგუმენტად ის მივიჩნიოთ, რომ ბრტყელი ცულები თავისი ფორმით ქვის ცულებს უახლოვდებიან<sup>127</sup>. ორი სატეხი ამავე ყორღანიდან აგრეთვე ერთგვარად განსხვავდება კავკასიაში გავრცელებულ ამგვარ იარაღისაგან.

რა თქმა უნდა, უთუოდ საინტერესოა ამ ბოლო დროს მაიკოპის კულტურის ლითონის ნივთების ქიმიური შედგენილობის შესწავლის მიზნით ჩატარებული სამუშაო. გაირკვა, რომ მაიკოპის ყორღანში აღმოჩენილი ზოგიერთი ლითონის ნივთი ნიკელის გარკვეულ პროცენტს შეიცავს. აღსანიშნავია, რომ კავკასიისათვის საერთოდ არ არის დამახასიათებელი ნიკელის შემცველი სპილენძის მადანი<sup>128</sup>. ნიშანდობლივია, რომ მტკვარ-არაქსის კულტურისა და მაიკოპის კულტურის გვიანდელი, ნოვოსვობოდნაის საფეხურის ლითონის ნივთებში თითქმის სრულიად არ გვხვდება ნიკელი<sup>129</sup>. მაიკოპის ადრეული ლითონის ნაწარმის ქიმიური შედგენილობა საგრძნობლად განსხვავდება ძვ. წ. III ათასწლეულში კავკასიაში გავრცელებული ლითონისაგან. მაიკოპის ადრეული ჯგუფის ლითონის ნივთები დამზადებულია სპილენძ-ნიკელის შემცველი მადნიდან. სპილენძის ამგვარი მადანი კი კავკასიაში არ გვხვდება და ამიტომ არცერთი სპილენძის საბადო აქ ნედლეულის მიმწოდებელი არ იქნებოდა<sup>130</sup>. ჯერჯერობით მთლად ნათელი არ არის თუ საიდან უნდა შემოსულიყო მაიკოპის კულტურის ადრინდელ საფეხურზე ლითონი. ჯერ კიდევ ამ საფეხურიდან ლითონის ნივთები შედარებით ნაკლებად გვხვდება. ისინი ძირითადად მაიკოპის ყორღანიდან მომდინარეობს, მაგრამ ის მცირედი ლითონის ნაწარმიც, რომელიც სხვაგან გვხვდება, უპირატესად ნიკელის შემცველია. აღსანიშნავია, რომ მეშოკოს ნამოსახლარზე აღმოჩენილი ლითონის მძივსაკიდი ნიკელის გარკვეულ პროცენტს შეიცავს<sup>131</sup>. სპილენძ-ნიკელიანი ლითონის ნივთები კარგადაა ცნობილი კავკასიის სამხრეთით, ძველადმოსავლურ სამყაროში. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ნიკელის შემცველი ყველა ნივთი, კავკასიის ჩათვლით, ერთი საერთო წყაროდან მომდინარეობს, რომელიც ომანში მდებარეობდა<sup>132</sup>. წინააზიური, სირიული და სხვ. მასალების მაიკოპის კულტურის ადრეულ ნივთებთან შედარებებმა

127 А. А. Иессен, К вопросу о древней металлургии меди на Кавказе, стр. 86.

128 Е. Н. Черныш, К истории металлургии Восточной Европы в эпоху энеолита и ранней бронзы. Автореферат. М., 1963, стр. 10.

129 Е. Н. Черныш, История древнейшей металлургии Восточной Европы. М., 1966, стр. 44.

130 იქვე.

131 А. А. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

132 И. Р. Селмханов, О никеле в древних медных сплавах. Доклады АН Аз. ССР, т. XVII, № 6, 1962, стр. 43.

ცხადყო ლითონის ქიმიური შედგენილობის საკმაოდ ახლო მსგავსება<sup>133</sup>. ამ ბოლო დროს ანატოლიისა და ადრეული მაიკოპის ნიკელის მაღალი შემცველობის სპილენძის ჭგუფების შედარებამ და მიკროსტრუქტურაში შენიშნულმა ზოგიერთმა შეუსაბამობამ ზოგიერთ მკვლევარს სპილენძის მადნის სხვადასხვა პირველადი წყაროს არსებობა აფიქრებინა<sup>134</sup>. ასეა თუ ისე, ერთი კი თითქოს ცხადი უნდა იყოს, რომ მაიკოპის კულტურის ადრინდელ საფეხურზე ლითონი სამხრეთიდან, წინააზიიდან უნდა იყოს შემოსული. ამასვე მოწმობს, როგორც ზევით აღნიშნავდით, მაიკოპის ყორღანის ლითონის ნივთების ტიპები. ახლა ძნელია გარკვევით თქმა, ლითონის მზა ნაწარმი შემოდიოდა, თუ, ეგებ, მათი დამზადება ადგილობრივ ხდებოდა გარედან შემოტანილი მადნიდან<sup>135</sup>. გამოითქვა აზრი, ძირითადად ცულებთან დაკავშირებით, რომ ადრე მაიკოპის სტადიაზე შესაძლოა უკვე ადგილობრივ მოსახლეობას ლითონის დამუშავების გარკვეული ჩვევები გააჩნდა<sup>136</sup>. მაიკოპის ყორღანის ნივთების უმრავლესობა თითქოს შემოტანილი ჩანს. ადგილობრივი აქ შეიძლება მხოლოდ დანისა თუ სატევრისპირი იყოს<sup>137</sup>. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ამ ნივთების იმპორტული წარმომავლობა უფრო დამაჯერებელი ჩანს. ის სხვა საქმეა, რომ ჭერჭერობით გარკვევით გაჭირდება თქმა იმისა, თუ სამხრეთის რომელი ოლქიდან შემოვიდა საკუთრივ ეს ნივთები, მაგრამ მათი წინააზიური წარმომავლობა თითქოს ექვს არ უნდა იწვევდეს. ამასვე მოწმობს ამ ყორღანში ნაპოვნი საიუველირო ნაწარმი.

როგორც ცნობილია, მაიკოპის კულტურის სამარხეულ კომპლექსებში ხშირად ჩნდებოდა ძვირფასი ლითონებისაგან ნაკეთები ნივთები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია თვით მაიკოპის ყორღანი და აქვე ყუბანისპირეთში სტარომიშასტოვსკოესთან აღმოჩენილი საკმაოდ მდიდარი განძი. მასში აღმოჩენილი სამკაული ბევრ საერთოს პოულობს მაიკოპის ყორღანთან. მაიკოპის მსგავსია აგრეთვე აქ ნაპოვნი ხარის ქანდაკება<sup>138</sup>. ამ ძვირფასმა ნივთებმა მიიპყრო სწორედ პირველად მკვლევართა ყურადღება და ძირითადად მათი შესწავლის შედეგად, განსაკუთრებით კი ხელოვნების ნიმუშების სტილისტური ანალიზის გზით გამოჰყავდათ დასკვნები ამ კულტურის წარმომავლობისა, თარიღისა და სხვ. შესახებ. იმთავითვე გავრცელდა მოსაზრება, რომ ოქროსა და ვერცხლის ნაწარმი ადგილობრივი წარმომავლობისა არ უნდა ყოფილიყო. მათ უპირა-

133 Е. Н. Черных, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

134 А. Ц. Геворкян, Древнейшая металлургия и горное дело в Армении. Автореферат. М., 1972, стр. 13.

135 Р. М. Мунчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 731.

136 С. И. Кореневский, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

137 Ф. А. Махмудов, Р. М. Мунчаев, И. Г. Нариманов, О древнейшей металлургии Кавказа, СА, 4, М., 1968, стр. 23.

138 М. И. Рословцев, Эллинизмо и иранство на юге России. Л., 1918, стр. 24.

ტესად ძველადმოსავლურ სამყაროს უკავშირებდნენ—ზოგი ეგვიპტესა და შუმერს, ზოგიც ირანსა და მცირე აზიას. უცხო წარმოშობას მიაწერენ აგრეთვე პაიკოპის ყორღანსა და სტარომიშასტოვსკოეს განძში აღმოჩენილ მძივებსაც. სერდოლიკის მძივები ირანული ან ეგებ უფრო ინდური წარმომავლობისა უნდა ყოფილიყო, ფირუზი—ირანული. ლიაპის-ლაზურიტი—შუააზიური, ზღვის ქაფს კი ანატოლიურ წარმოშობას მიაწერენ<sup>139</sup>. ნიშანდობლივია, რომ მაიკოპის კულტურის ადრინდელ საფეხურზე ხდებოდა ძირითადი იმპორტი ამ მძივებისა, თორემ მის გვიანდელ სტადიაზე უპირატესად სერდოლიკისა და მთის ბროლისაგან ნაკეთები მძივები გვხვდება<sup>140</sup>.

ოქროს სამკაული ბევრ საერთოს პოულობს წინააზიურ მასალებთან. ოქროს დიადემებს მაიკოპის ყორღანიდან და სტარომიშასტოვსკოეს განძიდან უკავშირებენ ანალოგიურ სამკაულს დედოფალ შუბადის სამარხიდან (ურის მეფეთა სამაროვნიდან) და აგრეთვე ჰისარ III (ირანი)<sup>141</sup>. ოქროს მძივები უახლოვდებათ ჰისარში, ტრაში და სხვ. აღმოჩენილ მძივებს<sup>142</sup>, მაგრამ განსაკუთრებით ძველადმოსავლეთის სამყაროსთან ნახულობს საერთოს: გამოსახულებები ვერცხლის ჭურჭლებზე, ოქროს ფირფიტისაგან ნაკეთები ლომისა და ხარის ფიგურები, ხარის ქანდაკებები და სხვ. (სურ. 92). სწორედ მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე ცდილობდნენ მკვლევარები მათ დაკავშირებას ძველი აღმოსავლეთის ძეგლებთან, ხეთურ სამყაროსთან<sup>143</sup>, ზოგიც, შუმერსა და ელამთან<sup>144</sup> და სხვ. ყველა ეს შედარებები წინააზიურ სამყაროსთან მეტად ზოგადი იყო და სადღეისოდაც კი ჯერ კიდევ ძნელია ზუსტად თქმა, თუ რა ხასიათისა იყო ურთიერთობა და საიდან, რა გზით გავრცელდა სამხრეთული გავლენები ჩრდილოეთით. იყო ეს შედეგი ახლო კონტაქტებისა, ვაჭრობისა თუ სამხრეთიდან ახალი ხალხის გამოჩენისა, ჯერ კიდევ ძნელი სათქმელია<sup>145</sup>. ყოველ შემთხვევაში ამ ხალხის ადგილსამყოფელის სამხრეთით ლოკალიზაცია და ახალი იდეების ზუსტი წყაროს დადგენა ჯერჯერობით ძნელდება<sup>146</sup>. ასეა თუ ისე, ერთი კი თითქოს ექვს არ უნდა იწვევდეს, რომ ეს ახალი იმპულსები სამხრეთიდანა წამოსული, და შესაძარებელი მასალა ფართო გეოგრაფიული არიდანაა.

<sup>139</sup> А. А. Иессен, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, стр. 81.

<sup>140</sup> А. А. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 123.

<sup>141</sup> А. А. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 138; С. В. Киселев, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

<sup>142</sup> А. А. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 137; М. И. Ростовцев, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

<sup>143</sup> Б. В. Фармаковский, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.


<sup>144</sup> М. Rostovzev, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

<sup>145</sup> М. Gimbutas, The Prehistory of Eastern Europe, 58; P. Betancourt, დასახ. ნაშრომი, გვ. 355.

<sup>146</sup> Р. М. Мунчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 738.

მოტანილი. ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ ლითონის ნაკლებობა მესოპოტამიაში მის გარედან შემოტანის აუცილებლობას იწვევდა. მადნები მესოპოტამიურ მზა ნაწარმზე იცვლებოდა და ამიტომაცაა შესაძენვეი ასე ფართოდ მისი გავლენა<sup>147</sup>.

რა თქმა უნდა, ამ საკითხების გარკვევაში უთუოდ დიდი დახმარების გავწევა შეეძლო მაიკოპის ყორღანში და სტარომიშასტოვსკოეს განძში აღმოჩენილ



სურ 52. ოქროს და ვერცხლის ფიგურები მაიკოპის ყორღანიდან.

ცხოველთა ქანდაკებებს და ვერცხლის ჭურჭლებზე მოცემულ გამოსახულებების სტილისტურ ანალიზს. მაგრამ, ა. იესენის სამართლიანი შენიშვნისა არ იყოს, მაიკოპის ჭვუფის სახვითი ხელოვნების ნიმუშებს სამხრეთით მაინცადაძაინც ახლო ანალოგიები არ მოეპოვება და ამიტომაცაა, რომ შესადარებელი მასალა ძველადმოსავლურ ძეგლებიდან ფართო ქრონოლოგიურ დიაპაზონს მოიცავდა<sup>148</sup>. ამ მხრივ საინტერესოა მ. როსტოვცევისა და ბ. ფარმაკოვსკის ჩატარებული მუშაობა, რომლებმაც თავის დროზე ამ ძეგლების დეტალური ანალიზი მოგვეცეს და რომელთაგან პირველი უფრო შუშერისა და ელამის IV—III ათასწლეულების მასალასთან ეძებდა საერთოს, ფარმაკოვსკი კი უპირატესად

<sup>147</sup> H. Frankfort, *The Art and Architecture of the Ancient Orient*, 1969, 113.

<sup>148</sup> A. A. Иессен, დასახ. ნაშრომი, გვ. 185.

ქვ. წ. II ათასწლეულის მცირეაზიურ სამყაროსთან. ასეთი ფართო ანალოგიების ძიების საფუძველს თვით ხელოვნების ეს ნაწარმი იძლევა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მაიკოპის ყორღანში მოპოვებული ორი ვერცხლის თასი, რომლებზედაც საკმაოდ რთული კომპოზიციებია მოცემული. ერთ-



სურ. 93. ვერცხლის ჭურჭელი მაიკოპის ყორღანიდან.

ერთი მათგანის უკანა პლანზე სამწყებად გამოსახულია მთები<sup>149</sup>. ზოგიერთი შკვლევაარი ფიქრობს, რომ აქ კავკასიონის ქედია მოცემული მისი ორივე მთავარი მწვერვალით—ყაზბეგითა და იალბუჯით. ზოგი იმასაც აღნიშნავს, რომ კავკასიონი აქ ჩრდილო-დასავლეთის მხრიდანაა გადმოცემული<sup>150</sup>. ზოგიც, პირიქით, იმის გამო, რომ მასზე ორი ხეა გამოსახული და კავკასიონის სამხრეთი მხარე ტყიანია და თანაც აქედან უფრო მკაფიოდ ჩანს თვით კავკასიონის ხედი, იმას ფიქრობს, რომ აქ სამხრეთის ხედია მოცემული<sup>151</sup>. რამდენად სწორია ის აზრი, რომ ჭურჭელზე კავკასიონის ქედის რეალური პანორამაა გადმოცემული, ძნელი სათქმელია. ზოგიერთი შკვლევაარი კიდევაც აღნიშნავს, რომ ეს აზრი ძნელად

149 С. В. Киселев, Бронзовый век СССР, стр. 20.  
 150 Б. В. Фармаковский, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.  
 151 შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1944, გვ. 82.

მისაღებია<sup>152</sup>. მაგრამ, ვფიქრობთ, მოსაზრება, რომ აქ მხატვარს ადგილობრივი მთიანი რელიეფის გადმოცემის სურვილი ჰქონდა, თითქოს მართებული უნდა იყოს<sup>153</sup>. მთებიდან მოემართება ორი მდინარე, რომლებიც თასის ძირზე ზღვას ერთვის. თავის დროზე ბ. ფარმაკოვსკი ფიქრობდა, რომ აქ ჩრდილო კავკასიის ორი მდინარეა თითქოს გამოსახული: ყუბანი და თერგი. ადგილობრივ კოლორიტს გადმოსცემს თითქოს ისიც, რომ მთებთან ორი ხეა მოცემული და მათ შორის უკანა ფეხებზე მდგარი დათვია გამოსახული<sup>154</sup>. კურკულზე ცხოველების ორი მწერიცაა გადმოცემული; აქ ვხედავთ ხარების, ლომის, კანჯარის (ონაგრი), ტახის, ცხვრის, თხის, ლომისა თუ ფოცხვერისა და ფრინველის გამოსახულებებს. მეორე ვერცხლის თასზეც დაახლოებით იგივე მანერით გადმოცემულია ხარი, ფრინველები, ავაზა და თხა. თავისი სტილით, სიუჟეტით ამ თასებზე მოცემული გამოსახულებები მოგვაგონებს ძველი შუმერული ხელოვნების ნიმუშებს<sup>155</sup>. ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ თასებზე მოცემული გამოსახულებები კავკასიის ფაუნისათვის არ არის დამახასიათებელი, განსაკუთრებით ლომი და ავაზა<sup>156</sup>. ზოგიც იმას ფიქრობს, რომ მაიკოპის თასებზე ადგილობრივი ცხოველებია გამოსახული<sup>157</sup>. აღსანიშნავია, რომ თასზე გამოსახული კანჯარის შესახებ ერთი გარკვეული აზრი არ არის. ჯერ კიდევ ბ. ფარმაკოვსკი აღნიშნავდა, რომ აქ კანჯარი, ონაგრია გადმოცემული. ამავე აზრისაა აგრეთვე შ. ამირანაშვილი<sup>158</sup>. მაგრამ მკვლევართა უმრავლესობა იმას აღნიშნავს, რომ თასზე პრეველსკის ცხენია გამოსახული<sup>159</sup>, თანაც ზოგი იმას უსემს ხაზს, რომ ეს ტიპი ცხენისა ადგილობრივ ფაუნას ეკუთვნის<sup>160</sup>. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ მაიკოპის თასზე უფრო კანჯარი უნდა იყოს გამოსახული იმის გამო, რომ ცხენი კავკასიური ფაუნისათვის მაინცადამაინც დამახასიათებელი არ იყო და როგორც ცნობილია, რიგი მკვლევარებისა წინა აზიაშიც უარყოფენ გარეული ცხენის არსებობას. ისინი უფრო იმ აზრისა არიან, რომ აქ კანჯარი (ონაგრი, კულანი) იყო გავრცელებული<sup>161</sup>. ამრიგად, ზოგიერთი მკვლევარი უფრო იმას ფიქრობს, რომ

152 A. A. Иессен, О древнейшей металлургии меди на Кавказе, стр. 82;

H. Frankfort, დასახ. ნაშრომი, გვ. 115.

153 Г. Чайлд, У истоков европейской цивилизации, стр. 213.

154 С. В. Книселев, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

155 A. A. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 139.

156 A. A. Иессен, დასახ. ნაშრომი გვ. 82; Е. И. Крупнов, Древняя история и культура Кабарды, стр. 72.

157 P. Betancourt, დასახ. ნაშრომი, გვ. 355.

158 შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

159 Г. Чайлд, დასახ. ნაშრომი, გვ. 213; F. Hantz, Das Pferd in prähistorischer und früherhistorische Zeit, 1956, 127, 523; S. Piggett, Ancient Europe, Edinburg, 1965, 95.

160 H. Frankfort, დასახ. ნაშრომი, გვ. 115.

161 თ. ჯ ა თ ა რ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, გვ. 202.



როგორც სტილით, ისე სიუჟეტით და სხვა ეს თასები ძველალმოსავლურ ხელოვნებასთან, უფრო კი შუმერულთან ავლენს სიახლოვეს. ბ. კუფტინი თრიალეთის ვერცხლის ჭურჭლის განხილვისას აღნიშნავს მაიკოპის თასზე მოცემულ გამოსახულებათა ანალოგიაზე ძველალმოსავლურ სამყაროსთან<sup>162</sup>. ზოგის აზრით, მაიკოპის თასებთან როგორც ფორმით, ისე გამოსახულებებით ახლოს დგას შუმერის ქალაქ ლაგასში აღმოჩენილი ერთი ვერცხლის თასი<sup>163</sup>, ზოგიც მათ აღმოსავლეთ ანატოლიური წარმომავლობისად თვლის<sup>164</sup>, მაგრამ, მაინც ვფიქრობთ, რომ მაიკოპის თასზე უფრო ადგილობრივი პეიზაჟის ანარეკლი უნდა დავინახოთ. შესაძლოა აქ მოცემულ ცხოველთა შორის მართლაც ზოგი უცხო ფაუნის წარმომადგენელიც იყოს გამოსახული, მაგრამ ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ თასი და ეგებ უფრო მისი დეკორი ადგილზეა შეარულებული უცხო ოსტატის ან კიდეც იმ პირის მიერ, რომელიც სამხრეთულ ფაუნასაც კარგად იცნობს. ამ ბოლო დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ ოქროს და ვერცხლის ჭურჭელი კერამიკასთან ერთად ადგილობრივი წარმომავლობისაა. ისიც კი ითქვა, რომ მაიკოპის ოქრო თითქოს ადგილზეა მოპოვებული. რაც შეეხება საკითხს უცხო ფაუნის წარმომადგენლის, ლომის გამოსახულებას მაიკოპში, ბ. ლატინინის აზრით, აზერბაიჯანში კობისტანის აღმოჩენებმა ცხადყოვეს III ათასწლეულში ჩრდილო კავკასიის მახლობელ რაიონებში მისი არსებობა<sup>165</sup>.

აკად. შ. ამირანაშვილი ფიქრობს, რომ ცხოველთა გამოსახულება კავკასიის ხელოვნებაში ძირითად თემას წარმოადგენს, რომელსაც იმთავითვე ეტყობა თავისებური მხატვრული სტილი. იგი ცალკე „კავკასიური“ სტილს გამოჰყოფს და მას უკვე მაიკოპის თასზე ხედავს, მის შემდგომ განვითარებას კი თრიალეთში ამჩნევს<sup>166</sup>. ამ მოსაზრებას სავსებით იზიარებს ალ. ჭავჭავაძე<sup>167</sup>. იგივე აზრისაა ს. კისელიოვიც, რომელიც თრიალეთისა და მაიკოპის გამოსახულებებს შორის ბევრ საერთოს ნახულობს<sup>168</sup>. ახლო ურთიერთობას ხედავს მათ შორის აგრეთვე ტ. პასეკი<sup>169</sup>. თუმცა ზოგიერთმა მკვლევარმა აღნიშნა, რომ თავისებური „კავკასიური“ სტილის არსებობა მაიკოპის საფეხურზე ნაკლებად დამაჩვენებელია.

<sup>162</sup> Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, стр. 88.

<sup>163</sup> С. В. Киселев, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 21.

<sup>164</sup> J. Mellaart, *Anatolia before c. 4000 B. C. and 2300—1750 B. C.* Cambridge, 1964. 36.

<sup>165</sup> Б. А. Латынин, Молоточковидные булавки, их культурная атрибуция и датировка. Археологический сборник. Л., 1967, стр. 70.

<sup>166</sup> შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1961, გვ. 17.

<sup>167</sup> ალ. ჭავჭავაძე, მხატვრული ხელოვნების ნიმუშები, საბჭოთა ხელოვნება, 6, თბილისი, 1953, გვ. 16.

<sup>168</sup> С. В. Киселев, *Бронзовый век СССР*, стр. 25.

<sup>169</sup> Т. С. Пассек, Б. А. Куфтин, *Археологические раскопки в Триалети*, (рецензия), ВДИ, I, М.—Л., 1946, стр. 158.

რებელია<sup>170</sup>. მ. არტამონოვი პირდაპირ მიუთითებს, რომ წალკის ყორღანებს არაფერი აქვს საერთო ყუბანის დიდ ყორღანებთან<sup>171</sup>. ვერ ხედავს მსგავსებას თრიალეთსა და მაიკოპს შორის აგრეთვე ინგლისელი არქეოლოგი ე. მინსი<sup>172</sup>. აღსანიშნავია, რომ მაიკოპის ნიმუშები უკვე იმდენად მალალი ხელოვნებით გამოირჩევა, რომ სადღეისოდ ადგილობრივ კავკასიურ მასალაში მათი წინამძღვრების ძიების საფუძველი არ არსებობს. თუმცა, მართალია, როგორც ეს არაერთგზის იყო შენიშნული, წინა აზიაშიც შესანიშნავი საიუველირო ხელოვნების ნიმუშები თითქოს ანაზღაურად ჩნდება, რაიმე განსაკუთრებული წინამობედი საფეხურის გარეშე. ჭერ კიდევ ლეონარდ ვულმა აღნიშნა ურის სამეფო სამარხებში აღმოჩენილი ოქრომჭედლური ნაწარმის შესახებ, რომ მანამდე მსგავსი რამ მესოპოტამიაში ცნობილი არ იყო<sup>173</sup>. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ამის კავკასიაზე გავრცელების საფუძველი თითქოს არ უნდა ჩანდეს იმის გამო, რომ აქაურ ოქრომჭედლურ ნაწარმზე ნათლად შეინიშნება სამხრეთული საიუველირო ხელოვნების ძლიერი გავლენები. არც თრიალეთისა და მაიკოპის დაკავშირება ჩანს მაინცადამაინც შესაძლებელი. აქ ასაკობრივ სხვაობაზე რომ არაფერი ვთქვათ, სტილისტურადაც ბევრი არაფერია მათ შორის საერთო. თუმცა ზოგიერთი მკვლევარი იმასაც აღნიშნავს, რომ კავკასიაში ძვ. წ. II ათასწლეულში გავრცელებულ ცხოველურ სტილს თავისი ფესვება III ათასწლეულის ბოლოში ჰქონდა, სადაც, ალაჯას მსგავსად, ეს სტილი თავის პირველ გაფურჩქვნას იწყებს და შემდეგ სხვადასხვა ფორმით აგრძელებს არსებობას სკვითურ და სარმატულ დრომდე<sup>174</sup>.

მაიკოპის სკულპტურულ გამოსახულებებს, სამკაულს, ძვირფას ლითონის ჭურჭელს და სხვ. გარკვეული ანალოგიები მოეპოვება ძველადმოსავლურ ხელოვნებაში. ოქროს ვაზებისა და თასების გამოჩენა ფართო ტერიტორიაზე—მაიკოპსა, ალაჯასა, ტროასა, ურში, ეგეოსის სამყაროში და სხვ. ძვ. წ. III ათასწლეულში, როგორც აღნიშნავენ, შედეგია სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობისა ამ ფართო არეზე<sup>175</sup>. ტროა II კავშირს მაიკოპთან ჭერ კიდევ ადრე მიაქციეს ყურადღება, განსაკუთრებით ტროას ცნობილ განძებთან<sup>176</sup>. ვერცხლის ჭურჭლები სტარომიშასტოვსკოედან და მაიკოპის ყორღანიდან მოგვაგონებს ამგვარსავე ნივთებს ტროადან. მსგავსება ჩანს სამკაულშიც. გარდა ამისა, გარკვე-

<sup>170</sup> Е. И. Крупнов, Древняя история и культура Кабарды, стр. 73.

<sup>171</sup> М. И. Артамонов, Б. А. Куфтчи, Археологические раскопки в Триалети, (рецензия). Вестник АН СССР, 9—10, 1942, стр. 94.

<sup>172</sup> E. Minns, Trialeti, Antiquity, Vol. LXVII, 1943, 134.

<sup>173</sup> Л. Вуллн, Ур халдеев. М., 1961, стр. 61.


<sup>174</sup> G. Clark, S. Piggott, Prehistoric Societies, London, 1965, 276, 287.

<sup>175</sup> G. Bass, A Hoard of Trojan and Sumerian Jewelry, AJA, Vol. 74. № 4, 1970, 359.

<sup>176</sup> А. А. Иессен, К хронологии «больших кубанских курганов», стр. 190.

ული სიახლოვე შეინიშნება აგრეთვე ლითონის იარაღსა და კერამიკაში<sup>177</sup>. ტროიანულ გარემოს უკავშირდება თავისი ხასიათით, ზოგის აზრით, მეშოკოს ნაშოსახლარებზე აღმოჩენილი თიხის ქანდაკება<sup>178</sup>.

უკვე კარგა ხანია აღინიშნა გარკვეული მსგავსება ანატოლიაში, ალაჟა-პუიუკში გათხრილ მდიდრულ სამარხებსა და მაიკოპის ყორღანს შორის. ჯერ კიდევ ამ სამარხების გამთხრელი ჰამით კოში მიუთითებდა ალაჯისა და ყუბანის კულტურების ახლო კავშირზე<sup>179</sup>. ალაჯის სამარხებში, მაიკოპის ყორღანის მსგავსად, მდიდრული მასალები აღმოჩნდა — ოქროს და ვერცხლის ჭურჭლები, ძვირფასი სამკაული, იარაღი და სხვ. (სურ. 94). განსაკუთრებით ღიდ ინტერესს



სურ. 94. ოქროს ნივთები ალაჯიდან.

იწვევს აქ აღმოჩენილი ლითონის ქანდაკებები, „შტანდარტები“ ხარის, ფურ-ირმის და სხვ. (სურ. 95) გამოსახულებებით. სწორედ ამ სკულპტურებს, განსაკუთრებით ხარისას უდარებდნენ მაიკოპის ხარის ქანდაკებებს და მათი სტილისტური სიახლოვე არა ერთგზის იყო აღნიშნული<sup>180</sup>. ალაჯის „შტანდარტის“ ირმის ქანდაკება, მსგავსად მაიკოპის ერთ-ერთი ვერცხლის თასის ხარის გამო-სახულებისა, შემკულია წრეებით. ალაჯასთან ნახულობს საერთოს მაიკოპის

<sup>177</sup> А. А. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 137.

<sup>178</sup> მისიეე, О южных связях майкопской культуры, стр. 37.

<sup>179</sup> Н. Косау, Ausgrabungen von Alaca Hüyük. Ankara, 1944, 180.

<sup>180</sup> С. В. Киселев, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

ვერცხლის ზოგიერთი ჭურჭელი<sup>181</sup>. ზოგიერთი მკვლევარი იმასაც ფიქრობს, რომ ადრეყუბანური ლითონის ნაწარმის შექმნის სტიმული ალაჯიდან მოდიოდა<sup>182</sup> და საერთოდ ანატოლიიდან გავრცელდა გავლენები ლითონის ნაწარმზე კავკასიაში<sup>183</sup>.

ალაჯის სამარხებში აღმოჩენილი ამ სკულპტურული გამოსახულებების შესახებ სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. ჯერ კიდევ პ. კოშიმ ისინი „შტან-



სურ. 95. ხარისა და ირმის ქანდაკებები ალაჯიდან.

დარტებად“ მიიჩნია<sup>184</sup> და მკვლევართა უმრავლესობა მათ რელიგიურ სიმბოლიკას მიაწერს<sup>185</sup>. მაგრამ მაინც, ზოგიერთის აზრით, მათ უბრალო „შტანდარტებს“ ვერ მივაკუთვნებთ. სომხეთში, ლჭაშენში, სევანის ტბის მახლობლად შედარებით უფრო მოგვიანო სამარხებში აღმოჩენილი მასალების საფუძველზე, სადაც ხის ეტლების ნაშთებთან ერთად ნაპოვნი იყო მათ შესამკობად განკუთვნილი ცხოველთა ლითონის ფიგურები, ჯ. მელაარტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ალაჯაში „შტანდარტებიც“ ანალოგიური ფუნქციის მატარებელი უნდა ყოფილიყო და აქაც მიცვალებულის ხის ეტლთან ერთად დაკრძალვის წესი უნდა

<sup>181</sup> A. A. Формозов, Каменный век и энеолит Прикубанья, стр. 138.

<sup>182</sup> C. A. Burney, Anatolia in the Chalcolitic and Early Bronze Age, 173.

<sup>183</sup> J. Mellaart, Anatolia before c. 4000 B. C. and c. 2300-1750 B. C. Cambridge, 1964, 38.

<sup>184</sup> H. Kosay, დასახ. ნაშრომი, გვ. 181.

<sup>185</sup> A. Goetze, Kleinasien. München, 1937, 40. H. Frankfort, დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

ყოფილიყო გავრცელებული<sup>186</sup>. მაგრამ ამ მოსაზრების გაზიარებას აძნელებს ის, რომ საკუთრივ ხის ეტლის ნაკვალევი ალაჯის მდიდრულ სამარხებში არ აღმოჩენილა. თუმცა ჯ. მელაარტი ამის ახსნას ანატოლიის კლიმატური პირობებით ცდილობს<sup>187</sup>, მაგრამ საეხებით სამართლიანად აღნიშნავს გერმანელი არქეოლოგი ვ. ორტმანი, რომ ამგვარ ახსნას დამაჯერებლობა აქვია იმის გამო, რომ ხის გადახურვისა ნაწილები სამარხებში საკმაოდ კარგად იყო შემონახული<sup>188</sup>. ვ. ორტმანმა ალაჯის „შტანდარტებს“ სპეციალური ნაშრომი უძღვნა და იმ აზრისაა, რომ „შტანდარტები“ დისკოიდალური თავით უფრო უღლის შუა ნაწილში მავრდებოდა და იმის გამო, რომ ზოგჯერ, როგორც ჩანს, რამდენიმე წყვილი ხარებისა იყო ჩატანებული, ამიტომ ამ ფორმის „შტანდარტებიც“ რამდენიმე ცალი ჩნდებოდა ერთ სამარხში. „შტანდარტი“ ცხოველის ფიგურის გამოსახულებით კი, პირიქით, ყოველ სამარხში თითო იყო და იგი უშუალოდ ეტლზე უნდა ყოფილიყო დამავრებული, რაც მას შესაძლოა საკულტო ხასიათს აძლევდა. ამიტომ ვ. ორტმანს შესაძლებლად მიაჩნია ალაჯაშიც ეტლზე დასაფლავების რიტუალის დაშვება<sup>189</sup>. მაგრამ რამდენად მართებულია ალაჯის „შტანდარტები“ მაინცდამაინც ეტლით დაკრძალვის წესს დაუეკავშიროთ, ძნელი სათქმელია. ლქაშენის სამარხების მაგალითი, ვფიქრობთ, აქ ნაკლებად გამოსადეგია იმის გამო, რომ ალაჯის სამარხებიდან მათ სულ ცოტა 1000 წელი მაინც აშორებთ. თრიალეთის ყორღანებში, რომლებიც ასაკით ალაჯასთან უფრო ახლოა და სადაც აგრეთვე გვხვდება ეტლთან ერთად დაკრძალვის რიტუალი, მსგავსი „შტანდარტები“ ცნობილი არ არის. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ არ არის აუცილებელი ალაჯის სამარხებსაც ამგვარი რიტუალის არსებობა მივაწეროთ. ეს წესი არ ჩანს მაიკოპშიც, რომელთანაც ალაჯას, გარდა ზემოთ აღნიშნული მსგავსებისა, გარკვეული ურთიერთობა აკავშირებს აგრეთვე დამარხვის წესშიც.

ალაჯასთან ნახულობს ბევრ საერთოს ცენტრალურ ანატოლიაში, ჰოროს-თეფეს სამარხებში აღმოჩენილი მასალა. აქაც ნაპოვნი იყო მსგავსი „შტანდარტები“ ცხოველთა გამოსახულებებით<sup>190</sup>. საერთო ჩანს აგრეთვე მახმატლარის სამარხეულ ინვენტართან<sup>191</sup>. ცენტრალურ ანატოლიური ეს კულტურა გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს ჩრდილო ანატოლიასთან, სამსუნის მხარეში შესწავლილ

<sup>186</sup> J. Mellaart, *The Chalcolithic and Early Bronze Ages in the Near East and Anatolia*, 155.

<sup>187</sup> იქვე, გვ. 152.

<sup>188</sup> W. Orthmann, *Zu den „Standarten“ aus Alaca Hüyük, Instambuler Mitteilungen*, Band, 17, 1967, 36.

<sup>189</sup> W. Orthmann, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 53.

<sup>190</sup> Tahsin Özgüç, Mahmut Akok, *Objets from Horoz-tepe, Belleten. Cilt; XXI, Sayı; 82, Ankara, 1957, გვ. 114.*

<sup>191</sup> B. Alkim, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 146.

J. Mellaart, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 184; *მისივე, Anatolia before c. 4000 B. C. and c. 2300—1750 B. C.*, 33, 57.

ძველებთან (დიუნდარ-თეფე, ტეკეკოი და სხვა)<sup>192</sup>. აღსანიშნავია ჩრდილო ანატოლიაში შემთხვევით აღმოჩენილი ერთი ვერცხლის ხარის ქანდაკება, რომელიც ძალიან ახლოს დგას ალაჯის ანალოგიურ სკულპტურებთან<sup>193</sup>. ისიც კი ითქვა, რომ თითქოს ცენტრალურ ანატოლიელი ვაჭრები სახლდებოდნენ შავი ზღვის სანაპიროზე და შემდეგ აქედან ძალიან ფართო სავაჭრო ურთიერთობას ამყარებდნენ<sup>194</sup>. ძნელია ახლა თქმა რამდენად სწორია ეს მოსაზრება, მაგრამ ცენტრალურ ანატოლიურ კულტურას მართლაც ბევრი საერთო აქვს პონტოს მხარის კულტურასთან. ჰოროს-თეფეს თიხის ჭურჭელი ახლოს დგას ამ კულტურის კერამიკასთან<sup>195</sup>. აღსანიშნავია, რომ ამავე დროს ჩრდილო ანატოლიურ კულტურას საკმაოდ ახლო კონტაქტი აქვს დასავლეთ ანატოლიასთან — ტროა I და II და იორტანის კულტურასთან. ჩანს, რომ ამ პერიოდში საზღვაო გზით ახლო კავშირი იყო ტროასთან<sup>196</sup>. საერთოდ ალაჯის მდიდრულ სამარხებში მოპოვებული მასალა გარკვეულ სიახლოვეს ამქლავებს ტროას ცნობილ განძებთან<sup>197</sup>. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ზოგ მკვლევარს ალაჯის ოქროს ნივთებისათვის ზოგჯერ ცოტა არ იყოს საეჭვო პარალელები მოჰყავს. ნიშანდობლივია არქეოლოგ რ. ამირანის მიერ პალესტინისა და ანატოლიის ურთიერთობის დამდასტურებლად მოტანილი შედარება კინარეტში 1940 წ. აღმოჩენილი ერთი ოქროს დისკოსი ალაჯის ცნობილ ოქროს შესაბნევთან<sup>198</sup>. ძნელია მათ შორის საერთოს დანახვა. ასევე ნაძალადევი ჩანს ბ. ბრენტჯესის მიერ თრიალეთის XVII ყორღანში ნაპოვნი დისკოს შესადარებლად ალაჯის და კინარეტის ზემოთ აღნიშნული ნივთების მოტანა<sup>199</sup>. სხვა რომ არა იყოს რა აქ საკმაოდ დიდი ქრონოლოგიური წყვეტილია.

უთუოდ აღსანიშნავია, რომ ალაჯის მდიდრულ სამარხებში სხვა კერამიკასთან ერთად მტკვარ-არაქსის ტიპის თიხის ჭურჭელიც აღმოჩნდა<sup>200</sup>. საიდან მოხვდა ეს კერამიკა აქ, თანაც შედარებით გვიანდელ სამარხებში, მთლად ნათელი არ არის. მაგრამ, საფიქრებელია, რომ თიხის ეს ნაწარმი, აქ, ეგებ, აღ-

<sup>192</sup> B. Alkim, დასახ. ნაშრომი, გვ. 149; Tahsin Özgütçü, Mahmut Akok, დასახ. ნაშრომი, გვ. 217.

<sup>193</sup> იქვე, გვ. 211; H. Kosay, დასახ. ნაშრომი, ტაბ. CXII.

<sup>194</sup> J. Mellaart, The Chalcolithic and Early Bronze Ages in the Near East and Anatolia, 163.

<sup>195</sup> იქვე, გვ. 189.

<sup>196</sup> B. Alkim, დასახ. ნაშრომი, გვ. 149.

<sup>197</sup> M. Mellink, Anatolian Chronology, 117; A. Goetze, Kleinasien, 39.

<sup>198</sup> R. Amiran, Connections between Anatolia and Palestine in the Early Bronze Age, გვ. 100, ტაბ. 6.

<sup>199</sup> B. Brentjes. Zu einigen Problem der kaukasisch-sirischen Archäologie, 1076.

<sup>200</sup> A. Goetze, Kleinasien, 40; R. Dussaud, Prelydiens Hittites et Acheens, Paris; B. Alkim, დასახ. ნაშრომი, გვ. 146. 1953, გვ. 113.

მოსავლეთ ანატოლიის გავლენა იყოს. თუმცა ამ კულტურის გაფურჩქვნის ხანაში ცენტრალურ ანატოლიაში ამ ტიპის კერამიკა ჭერჭერობით თითქოს ცნობილი არ არის. არ უნდა იყოს სწორი ზოგიერთი მკვლევარის ე. წ. „კირბეთ-კერაკის“ ნაწარმის, ალაჯის მდიდრული სამარხების და თრიალეთის ზოგიერთი ყორღანის დაკავშირების ცდა და თანაც ერთი ღრობით დათარიღება<sup>201</sup>. ალაჯის სამარხები და მითუმეტეს თრიალეთის ყორღანები შედარებით გვიანი ხანისაა. რამდენად მართებულია ინგლისელი არქეოლოგის ლ. ვულის მოსაზრება, რომ ამ თიხის ჭურჭლის არსებობა ალაჯის სამარხებში გადმონაშთი უნდა იყოს, შესაძლებელია რიტუალური მოტივებით გამოწვეული, ძნელი სათქმელია. იგი აღნიშნავს, რომ ცენტრალურ ანატოლიაში ამის ნაკვალევს უფრო გვიანაც ვხვდებით, კერძოდ ქიულ-თეფეში აღმოჩნდა თიხის კერები; რომლებიც აგრეთვე მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელ ამგვარსავე ნივთებს უკავშირდებიან<sup>202</sup>. ჩ. ბიორნი აღნიშნავს, რომ ცენტრალურ ანატოლიური კერამიკა საკმაოდ ახლოა კირბეთ-კერაკთან, რაც იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ საერთო ძირიდან — აღმოსავლეთ ანატოლიიდან მომდინარეობენ. იგი ამ კერამიკის გამოჩენას ხურიტებს უკავშირებს და აღნიშნავს, რომ III ათასწლეულის შუა ხანებისათვის ისინი აქ მცირერიცხოვანი უნდა ყოფილიყვნენ<sup>203</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ ალაჯის მდიდრული სამარხების ერთგვარად თავისებურმა დაკრძალვის რიტუალმა, რიგი მკვლევარებისა იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ეს სამარხები შემოსულ უცხო ელემენტის წარმომადგენლებს ეკუთვნოდა. ჭერ კიდევ ამ სამარხების აღმომჩენი პ. კოშია ყუბანისა და სამხრეთ რუსეთის კულტურებს შორის ახლო კავშირზე მიუთითებდა და აღნიშნავდა, რომ ანატოლიის მეტალის კულტურის შემდგომი განვითარება დაკავშირებულია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შემოჭრილ ხალხთა ნაკადთან<sup>204</sup>. აზრი, რომ ალაჯის კულტურის მატარებელი ტომები ჩრდილოეთიდან, პონტოს სტეპებიდანაა გამოსული, არაერთგზის გამოითქვა<sup>205</sup>. ზოგიერთი მკვლევარი ალაჯის სამარხებსა და სამხრეთ რუსეთში გავრცელებულ სამარხთა შორის დასაფლავების წესში ბევრ საერთოს ხედავს. მსგავსება ჩანს, მათი აზრით, როგორც თვით სამარხის კონსტრუქციაში, ისე რიტუალში და თითქოს შავი ზღვის ორივე მხარეს გავრცელებული დაკრძალვის საერთო რიტუალი მათ ახლო ურთიერთობაზე უნდა მიუთითებდეს<sup>206</sup>. გარკვეული კავშირი შეიმჩნევა დაკრძალვის წესში აგრეთვე ალაჯასა და მაიკოპს შორის<sup>207</sup>. სამხრეთ-რუსეთის „ორმოსამარხების“ კულ-

<sup>201</sup> B. Brentjes, დასახ. ნაშრომი, გვ. 1076.

<sup>202</sup> L. Woolley, A Forgotten Kingdom, 1953, გვ. 32.

<sup>203</sup> Ch. A. Burney, D. M. Lang, დასახ. ნაშრომი, გვ. 51

<sup>204</sup> H. Kosay, დასახ. ნაშრომი, გვ. 181.

<sup>205</sup> H. Frankfort, დასახ. ნაშრომი, გვ. 116; S. Piggott, Heads and Hoofs, Antiquity, XXXVI, 1962, 113.

<sup>206</sup> S. Piggott, Ancient Europe, Edinburg, 1965, 81.

<sup>207</sup> იქვე, გვ. 211.

ტურას უკავშირებს ს. პიგოტი ამიერკავკასიაში გავრცელებულ ორმოიან ყორ-  
ღანებს<sup>208</sup>.

აღსანიშნავია, რომ ალაჯის სამარხებს ხეტების მიგრაციას უკავშირებენ<sup>209</sup>  
და თითქოს ეს მდიდრული სამარხები უცხო, მმართველ ფენას უნდა მიეკუთ-  
ვნებოდეს. გამოითქვა მოსაზრება, რომ თითქოს ალაჯის სამარხები მოსული  
ნოსახლეობის ადგილობრივ დინასტიას ეკუთვნოდა, რომლებიც სტეპებიდან  
შემოიჭრნენ შავი ზღვით ან კიდევ ამიერკავკასიის გზით<sup>210</sup>. ანთროპოლოგიური  
ნონაცემებიც ალაჯიდან აქ უცხო ელემენტის გამოჩენაზე მიუთითებს<sup>211</sup>. ამ  
მდიდრულ სამარხებში აღმოჩენილი თავის ქალები უპირატესად მოკლეა და  
განსხვავდებიან ანატოლიაში გავრცელებულ დოლიქოცეფალურ გრძელთავიან  
თავის ქალებისაგან<sup>212</sup>. თუმცა, როგორც აღნიშნავს ზოგიერთი მკვლევარი, მო-  
კლეთავიანი ბრაქიცეფალური მოსახლეობა, საკმაოდ ადრეული პერიოდიდან  
გვხვდება ანატოლიის გრძელთავიან დოლიქოცეფალურ მოსახლეობას შორის<sup>213</sup>.

ჩ. ბიორნი აღნიშნავს, რომ აზრი ჩრდილო სტეპებიდან ანატოლიაში კულ-  
ტურული და ეგებ ეთნიკური ექსპანსიისა ნაწილობრივ იმითაც იყო გამოწვეული,  
რომ „ცხოველური სტილი“, რომელიც ადრე გვხვდება მაიკოპში, თითქოს სტე-  
პებში მოსახლე ხალხების მიერაა პირველად შექმნილი. იგი კატეგორიულად  
უარყოფს ამ მოვლენის ხეტებთან კავშირს და საერთოდ უფრო იმ აზრისაა, რომ  
კულტურული მოვლენები სამხრეთიდან მოდიოდა მაიკოპში და არა პირიქით<sup>214</sup>.

ზოგიერთი მკვლევარი ალაჯისა და სამხრეთ რუსეთის სტეპების სამარხთა  
შორის მსგავსებას უფრო იმით ხსნის, რომ ჩრდილოეთში დამარხვის ეს რიტუ-  
ალი ცენტრალური ანატოლიიდან და პონტოს მხრიდან გავრცელდა სავაქრო  
ურთიერთობის გზით<sup>215</sup>. ზოგიც უფრო შორს მიდის და, ხედავს რა ჯიდ მსგავ-  
სებას დაკრძალვის რიტუალში ანატოლიასა და კავკასიის ჩრდილოეთით მდე-  
ბარე ოლქებს შორის, იმასაც აღნიშნავს, რომ ცენტრალური ანატოლიიდან ალა-  
ჯის კულტურის მატარებელ ტომთა მონათესავე ტომების ერთი ჯგუფის კავკა-  
სიის გზით სამხრეთ-აღმოსავლეთის სტეპებში გადაადგილება ხდება<sup>216</sup>. აღსა-  
ნიშნავია ალაჯის სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის საკინძი, რომელიც ფორმით

<sup>208</sup> S. Piggott, *The Earliest Wheeled Vehicles and the Caucasian Evidence*,  
28; G. Clark, S. Piggott, *Prehistoric Societies*, გვ. 287.

<sup>209</sup> H. Frankfort, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 114.

<sup>210</sup> Ch. A. Burney, D. M. Lang, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 82.

<sup>211</sup> J. Mellaart, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 155.

<sup>212</sup> J. Mellaart, *Anatolia c. 4000—2300 B. C. Cambridge*, 1965, 26.

<sup>213</sup> J. Mellaart, *The Chalcolithic and Early Bronze Age...*, 155.

<sup>214</sup> Ch. A. Burney, D. M. Lang, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 50.

<sup>215</sup> იქვე.

<sup>216</sup> В. А. Фисенко, *Погребальный обряд племен катакомбной культуры Юго-  
Востока. Археологический сборник: Саратов, 1966, стр. 83.*



ახლოს დგას სამხრეთ რუსეთის სტეპებში და ყუბანისპირეთში გავრცელებულ ე. წ. „ჩაქუჩისებრთავიან“ ქინძისთავებთან<sup>217</sup>. ზოგიც იმას აღნიშნავს, რომ ვაკრობა საზღვაო გზით უნდა ყოფილიყო ძირითადი ფაქტორი კავშირისა ანატოლიასა, კავკასიასა და მის ჩრდილოეთით მდებარე სტეპებს შორის<sup>218</sup>. ახლა ძნელია, რა თქმა უნდა, თქმა იმისა, თუ რა ხასიათისა იყო და რა გზით ხორციელდებოდა ეს კონტაქტები კავკასიის ჩრდილოეთით მდებარე ოლქებთან. რამდენად მართებულია მოსაზრება, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოსათვის კავკასიიდან ხალხთა უფრო ჩრდილოეთით ექსპანსია ხდება, ძნელი სათქმელია<sup>219</sup>. გარკვეული მსგავსება დამარხვის წესში მაიკოპის ყორღანსა და სტეპებში გავრცელებულ „ძველორმოსამარხთა“ კულტურებს შორის ამის საფუძველს ძნელად იძლევა. ის სხვა საქმეა, რომ ამ კულტურისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშანი კავკასიიდან შევიდა და აქედან გავრცელდა აგრეთვე სამხრეთული ელემენტებიც. კავკასიის გავლენა ჩრდილო შავიზღვისპირეთზე მართალია საქმოდ ძლიერი იყო და მაიკოპის კულტურის ხანაში ეს კონტაქტები კიდევ უფრო მჭიდრო ხდება. თითქოს მიგრაციის გარკვეული ტალღებიც შეინიშნება სტეპების მიმართულებით<sup>220</sup>. პირუკუ მოვლენები, სტეპებიდან მომდინარე იმპულსები მაიკოპის კულტურაში, მართალია თითქოს ნაკლებად შესამჩნევია<sup>221</sup>, მაგრამ ამ კულტურაში მაინც გვხვდება ჩრდილოეთიდან წამოსული გარკვეული ნიშნები<sup>222</sup>. „ძველორმოსამარხთა“ და მაიკოპის კულტურების კონტაქტების არე სტეპების მხარე ჩანს მდ. თერგის აუზში. ამ მხრივ საინტერესოა ჩეჩენ-ინგუშეთში, თერგის მარცხენა ნაპირზე სტანიცა მეკენსკაიასთან შესწავლილი ყორღანები. აქ მაიკოპის კულტურისათვის დამახასიათებელი ყორღანების გვერდით აღმოჩნდა ტიპური „ძველორმოსამარხების“ კულტურისათვის დამახასიათებელი საფლავები<sup>223</sup>. შესაძლოა ძვ. წ. III ათასწლეულში კავკასიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სტეპების მოსახლეობას შორის გარკვეული კავშირი არსებობდა. ჩანს, აქედან გადიოდა სამხრეთული ელემენტების გავრცელების ერთ-ერთი ძირითადი გზა ჩრდილო პონტოს სტეპებში<sup>224</sup>. არ არის გამორიცხული, რომ ეს კონტაქტები ზღვითაც ხორციელდებოდა, მაგ-

<sup>217</sup> Б. А. Латынин, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 13; S. Piggott, *Ancient Europe*, 84.

<sup>218</sup> Ch. A. Burney, D. M. Lang, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 64.

<sup>219</sup> M. Gimbutas, *The Prehistory of Eastern Europe*, 74.

<sup>220</sup> Н. Я. Мерперт, *Древнейшая история населения степной полосы Восточной Европы. Автореферат. М., 1968, стр. 61.*

<sup>221</sup> Б. А. Латынин, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 94; Н. Я. Мерперт, *Древнейшие скотоводы Волжско-Уральского междуречья*, стр. 133.

<sup>222</sup> А. А. Формозов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 139.

<sup>223</sup> Е. И. Крупнов, Н. Я. Мерперт, *Курганы у станицы Мекенской*, стр. 40.

<sup>224</sup> В. И. Маркович, Р. М. Мунчаев, *Археология Чечено-Ингушетии в свете новейших исследований*, КСИА, вып. 100, М., 1965, стр. 43.

რამ წინა აზიასთან ურთიერთობის მთავარი გზა მინც კავკასიაზე გადიოდა. არა გვერდინა მართებული იყოს მოსაზრება, რომ თითქოს საზღვაო გზას უპირატესი როლბ ეკავა სამხრეთთან ურთიერთობაში<sup>225</sup>. სულ ახლახან რ. მუნჩაევმა კვლავ გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ ჩრდილო კავკასიისა და წინა აზიის ურთიერთობა ძირითადად შავი ზღვის გზით ხორციელდებოდა; ეს კავშირები სამხრეთთან ამიერკავკასიის გვერდის ავლით მიმდინარეობდა და ამის მიზეზი თითქოს ისაა, რომ ამიერკავკასიაში ისე ძლიერად არ იყო წინა აზიის გავლენა, როგორც ეს ჩრდილო კავკასიაში ჩანს ძვ. წ. III ათასწლეულში<sup>226</sup>. ჯერ კიდევ ა. იესენი, თავის ცნობილ ნაშრომში „ყუბანის დიდი ყორღანების“ ქრონოლოგიის შესახებ, აღნიშნავდა, რომ სამხრეთიდან მომდინარე კავშირები ამიერკავკასიის გზით ხორციელდებოდა და ჩრდილო კავკასიაში წინააზიური გავლენის შესუსტებაც ამიერკავკასიაში შექმნილი, ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილი, ისტორიული გარემოებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული და შესაძლოა ამის მიზეზი სამხრეთ ამიერკავკასიაში შექმნილი მსხვილი კულტურული კერა იყო, რომელმაც შეაფერხა შემდეგში ჩრდილო კავკასიის ურთიერთობა წინა აზიასთან<sup>227</sup>. ა. ფორმოზოვი მტკვარ-არაქსის კულტურისა და დასავლეთ საქართველოს ენოლითის მატარებელ ტომებს მიაწერს შუამავალ როლს მაიკოპის კულტურასა და ძველდღმოსავლურ სამყაროს შორის<sup>228</sup>.

შუმერის ცივილიზაციასთან ავლენს მინც ყველაზე მეტ საერთოს მაიკოპის კულტურა. მართებული ჩანს ა. ფორმოზოვის მოსაზრება, რომ მცირე აზია და ირანი ერთგვარ შუამავლის როლს თამაშობდა მესოპოტამიასა და კავკასიას შორის<sup>229</sup>. მაიკოპის კულტურაში მართლაც ბევრი საერთო მონახება შუმერულ ძეგლებთან. მსგავსება ჩანს როგორც იარაღში, ისე საიუველირო ნაწარმში. ურის ცნობილ მეფეთა სამარხებში აღმოჩენილი სამკაული, იარაღი და სხვა გარკვეულ სიახლოვეს ნახულობს მაიკოპის ყორღანთან, სტარომიშასტოვსკოეს განძთან და სხვა<sup>230</sup>. გ. ჩაილდი ჯერ კიდევ თავის ადრინდელ ნაშრომში აღნიშნავდა, რომ ყუბანის ყორღანების ოქრომჭედლური ნაწარმი მესოპოტამიიდან მოდის<sup>231</sup>. ა. ფორმოზოვის აზრით, მაიკოპის კულტურის ადრეული კერამიკა შეიძლება წინა აზიის მაღალი კულტურის გავლენას ასახავდეს<sup>232</sup>. რ. მუნჩაევი

<sup>225</sup> Л. Н. Соловьев, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 157.

<sup>226</sup> Р. М. Мунчаев, *Кавказ в эпоху энеолита и ранней бронзы*, стр. 682.

<sup>227</sup> А. А. Иессен, *Греческая колонизация Северного Причерноморья*, стр. 21;

Его же, *К хронологии «больших кубанских курганов»*, стр. 196.

<sup>228</sup> А. А. Формозов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 137.

<sup>229</sup> იქვე, გვ. 138.

<sup>230</sup> იქვე.

<sup>231</sup> V. Gordon Childc, *The Aryans; Port Washington, N. Y. - London, 1970*, 177.

<sup>232</sup> А. А. Формозов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 119.

აღნიშნავს, რომ ადრემაიკოპის კერამიკა ახლო ანალოგებს პოულობს მესოპოტამიურ კერამიკასთან. უფრო მეტიც, იგი ფიქრობს, რომ ეს კერამიკა მესოპოტამიური წარმომავლობისაა<sup>233</sup>. მისი აზრით, უშუალოდ მესოპოტამიიდან უნდა მოხვედრილიყო უპირატესად არა მარტო ძვირფასი ნივთები მაიკოპის კულტურაში, არამედ, როგორც თვითონ უწოდებს, აგრეთვე ზოგიერთი „რიგითი“ ნივთები<sup>234</sup>. იგი იმასაც უშვებს, რომ შესაძლებელია ძვ. წ. III ათასწლეულში მომხდარიყო გადმოადგილება მესოპოტამიიდან ჩრდილო კავკასიაში მოსახლეობის ცალკეული ჯგუფებისა, რომლებმაც აქ მოიტანეს თავისი ქვეყნის ზოგიერთი კულტურული მიღწევები<sup>235</sup>. იგი ამ მოძრაობის შესაძლო საფუძველს ეძებს და ფიქრობს, რომ ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ის ყოფილიყო, რომ მესოპოტამიის მოსახლეობის „ნამატის“ ცალკეულმა ჯგუფებმა ახალი ტერიტორიის ათვისების მიზნით შავი ზღვის სანაპიროებს მიაღწიეს და შემდეგ აქედან კავკასიისპირეთში შემოვიდნენ. იგი იმასაც უშვებს, რომ შესაძლოა ამის მიზეზი ისიც ყოფილიყო, რომ აქედან ლითონი, უპირატესად, ოქრო გაქონდათ და სხვ.<sup>236</sup> მაგრამ მანაც ვფიქრობთ, რომ რ. მუნჩაევი მესოპოტამიის როლს ცოტა გადაქარბებულად წარმოგვიდგენს. საინტერესოა, რომ ა. იესენი ერთ-ერთ თავის გვიანდელ ნაშრომში აღნიშნავს, რომ ყუბანისპირეთის აღმოჩენების მესოპოტამიურ ძეგლებთან შედარება-შეჯერება არასაიმედო გამოდგა. ლითონის იარაღებში იქ სრულიად სხვაგვარი საწარმოო ტრადიციაა გავრცელებული. არც ლითონის ქურქულში შეინიშნება ყუბანისპირეთთან სიახლოვე<sup>237</sup>. შესაძლოა ეს მეორე უკიდურესობა იყოს; როგორც სამართლიანად აღნიშნავდა კ. ბიტელი, ყველა მთის ხალხები კავკასიიდან მოკიდებული დასავლეთ მცირე აზიამდე, მაიკოპიდან ტროამდე შუმერის მაღალ კულტურაზე იყვნენ ძლიერად ორიენტირებულნი<sup>238</sup>. შუმერის გავლენებს განიცდის მცირე აზია, ირანი, კავკასია და სხვა. ზოგიერთი მკვლევარი შუმერის გავლენის ასე ფართოდ გავრცელების ერთ-ერთ მიზეზად იმას თვლის, რომ ლითონის ნაკლებობა მესოპოტამიაში მისი გარედან შემოტანის აუცილებლობას იწვევდა და თითქოს შუმერელმა ვაჭრებმა დაარღვიეს მაღალმთიანი ოლქების იზოლაცია<sup>239</sup>. გ. ჩაილდმა ადრე ის აზრიც გამოთქვა, რომ ყუბანის ყორღანული სამარხები ეკუთვნოდა იმ ბელადებს, რომლებიც თავისი ქვეშევრდომების მტაცებლურ ექსპედიციებს მე-

233 P. M. Мунчаев, დასახ. ნაშრომი. გვ. 579.

234 იქვე, გვ. 681.

235 იქვე, გვ. 682.

236 იქვე, გვ. 683.

237 A. A. Иессен, Майкопская культура и ее датировка. Доклады на заседаниях посвященных итогам полевых исследований (1961 г., М., 1962, стр. 21.

238 K. Bittel, Grundzüge der vor und frühgeschichte Kleinasiens, Tübingen, 1945, 38.

239 H. Frankfort, დასახ. ნაშრომი, გვ. 111.

თაურობდნენ სომხეთსა, კაბადოკიასა და მესოპოტამიაში და რომ ოქროსა და ვერცხლის ნივთები სამხრეთით მდებარე მდიდარი ქვეყნებიდან იყო შემოტანილი<sup>240</sup>. მან ისიც აღნიშნა, რომ ყუბანისა და თერგის სპილენძის ხანის სამეფო სამარხები ინდო-ირანელი ტომების წინაპართა მიერ უნდა ყოფილიყო აგებული<sup>241</sup>. ასეა თუ ისე, კავკასიას, ჩანს, გარკვეული კულტურულ-ეკონომიური კონტაქტები ჰქონდა შუმერის ცივილიზაციასთან და აქედან წამოსული იმპულსები საკმაოდ ძლიერ გავლენას ახდენდა მასზე ისევე, როგორც საერთოდ ძველადმოსავლურ სამყაროზე. ჯერ კიდევ ბ. კუფტინი მიუთითებდა, რომ კავკასია წარმოადგენდა წინააზიური კულტურის სამყაროს და რომ ძვ. წ. III ათასწლეულში უფრო ახლო ურთიერთობა ჩანს შუმერთან და ელამთან, ვიდრე მცირე აზიასთან<sup>242</sup>. მაგრამ ბ. კუფტინის ეს მოსაზრება, როგორც ეს ამ ბოლოდროინდელი შედეგებიდან ჩანს, მთლად მართებული არ უნდა იყოს. ძვ. წ. III ათასწლეულის განმავლობაში წინა აზიის სხვა ოლქებთან ერთად საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა ჩანს აგრეთვე მცირე აზიასთანაც. ტროასა და ალაჯის ტიპის ძეგლებთან ნახულობს საერთოს მაიკოპის ყორღანი. ის სხვა საქმეა, რომ შესაძლოა აქაც და იქაც შუმერიდან წამოსული საერთო იმპულსები საკმაოდ მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა.

რაც შეეხება მაიკოპის კულტურის გვიანდელ, ნოვოსვობოდნაიას სტადიას, ამ პერიოდში, როგორც ჩანს, სამხრეთიდან მომდინარე კავშირები უკვე საგრძნობლად შესუსტებული იყო. ჯერ კიდევ ა. იესენი თავის აღრიხდელ ნაშრომში მიუთითებდა, რომ ნოვოსვობოდნაიას ქვეჯგუფის ლითონის ნივთები უკვე იმდენად გარკვეულ კომპლექსს წარმოადგენდნენ, რომ მათი ადგილობრივი წარმოება უნდა ვივარაუდოთ<sup>243</sup>. როგორც უკვე ზევით აღვნიშნავდით, მაიკოპის კულტურა ჩრდილო კავკასიაში ფართოდ სწორედ გვიანდელ, ნოვოსვობოდნაიას საფეხურზე ვრცელდება. ამიტომაც ეს საფეხური ამ კულტურისა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. სადღეისოდ მისი შესატყვისი ძეგლები როგორც ნამოსახლარი, ისე სამარხეული კარგადაა ცნობილი. ნოვოსვობოდნაიას ეტაპის მთელი სამაროვნებიც აღმოჩნდა, რომელთაგან განსაკუთრებით ბამუტის ყორღანებია აღსანიშნავი. მაგრამ, როგორც წინააღმდეგ, ადრეული ჯგუფი ამ კულტურისა მაიკოპის ყორღანის ირგვლივ ჯგუფდება, ისევე ნოვოსვობოდნაიას ყორღანის გარშემო იყრის თავს გვიანდელი ეტაპის ძეგლები. ამიტომ ამ ყორღანის აღწერაზე უფრო დაწვრილებით შევჩერდებით.

ნოვოსვობოდნაიას ყორღანი გათხრილი იყო ნ. ვესელოვსკის მიერ 1898

<sup>240</sup> V. Gordon Childs, დასახ. ნაშრომი, გვ. 193.


<sup>241</sup> იქვე, გვ. 202.

<sup>242</sup> Б. А. Куфтин, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, стр. 86.

<sup>243</sup> А. А. Иессен, О древнейшей металлургии меди на Кавказе, стр. 90.

წ. 244 იგი ქ. მაიკოპიდან დაახლოებით 50 კმ იყო დამორებული, ფარსის (ყუბა-ხის შენაკადი) მარცხენა ნაპირზე მდებარე სტანიცა ნოვოსვობოდნაიადან (ყოფილი ცარსკაია) 5 კმ დამორებით. ამ ადგილზე ყორღანების და დოღმენების დიდი ჯგუფია თავმოყრილი (დაახლოებით 30-მდე). ამ ჯგუფიდან მხოლოდ ნ. კესელოვსკის მიერ გათხრილი ორი ყორღანი აღმოჩნდა ხელუხლებელი. სადაც მეტად მდიდარი და საინტერესო მასალა იყო ნაპოვნი.

№ 1 ყორღანი 9,6 მ სიმაღლისა იყო. ზედ მიწის პირზე ყრილის ქვეშ აღმოჩნდა ქვის ფილებისაგან ნაგები დოღმენი, რომელიც გვერდებიდან და ზემოდან რიყის ქვის ყრილით იყო დაფარული. ამავე დონეზე დოღმენს ირგვლივ შემოუყვებოდა ქვის წრე. დოღმენი ნაგები იყო მასიური, კარგად დამუშაებული ქვის ფილებისაგან. მას ორფერდა გადახურვა ჰქონდა. დოღმენი ქვის ფილით, რომელსაც შუაში, ქვედა ნაწილში სწორკუთხა ხვრელი ჰქონდა, ორად იყო გაყოფილი (სურ. 96,2). ხვრელს დაცული ჰქონდა სწორკუთხა საცობი-



სურ. 96. ქვის სამარხები ნოვოსვობოდნაიას ყორღანებიდან.

მიცვალებული მოთავსებული იყო კამერის უფრო მოზრდილ ნაწილში, რომელიც მოკრუნხული პოზით იწვა დასავლეთ კედელთან, თავით სამხრეთით. იგო წითლად იყო შეღებილი.

დოღმენის ამ ნაწილში, მიცვალებულს თან ახლდა მეტად მდიდარი მასალა. თავის ქალასთან აღმოჩნდა ოქროს ორი საყურე, ოთხი ოქროს რგოლი, ოქროს, ვერცხლის, ბროლისა და სერდოლიკის მძივები, ოქროს ნემსი; ორი ვერცხლის საკინძი და ხუთი ვერცხლის საკიდი. მიცვალებულის გვერდის არეში ნაპოვნი იყო ბრინჯაოს იარაღები: სამი ღარიანი სატეხი, სამი ბრტყელი ცული, დანა, რვა ბრტყელი სატევერის პირი, შუბისმაგვარი იარაღი, ოთხი ყუადაქანებული ცული, სამი მასრიანი კავი, რომელთაგან ერთს ორი მამაკაცის ფიგურა აწის და ბრინჯაოს გრძელტარიანი ჩაშჩა. აღმოსავლეთ კედელთან აღმოჩნდა სამი ბრინჯაოს ქვაბი და ორი პატარა ბრინჯაოს ქოთანის; მათ გვერდით თიხის ხუთი ჭურჭელი იდგა.

დოლმენის მეორე, უფრო პატარა განყოფილებაში ნაპოვნი იყო ექვსიკაის ხელშეშების პირი, ერთი თეთრი პასტის მრგვალი შურდული, ორი სალესიქვა, ხუთი ოთხწახნაგა ბრინჯაოს სადგისი და ოთხი გაპრიალებული თიხისჭურჭელი.

ამავე ყორღანის ყრილში აღმოჩნდა ორი ჩაშვებული სამარხი, შედარებით უფრო ღარიბული ინვენტარით, რომლებიც დასაფლავების რიტუალითა და ნივთების ტიპოლოგიური შემადგენლობით იმავე დროისა უნდა იყოს. მიცვალებულები აქაც წითლად იყვნენ შეღებილები. ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა ოქროს ორი სპირალური რგოლი და თიხის ჭურჭელი, მეორეში კი მხოლოდ კაისშეშების პირი იყო ნაპოვნი<sup>245</sup>.

ნ. ვესელოვსკის მიერ იმავე წელს გათხრილი იყო მეორე ყორღანი, რომლის ცენტრალურ ნაწილში, 1,40 მ სიმაღლეზე აღმოჩნდა ქვის ფილებისაგან შეკრული დოლმენისმაგვარი ნაგებობა. იგი ზედ მიწის პირზე იდგა და ყველა მხრიდან რიყის ქვით იყო დაფარული და მასაც შემოუყვებოდა მოზრდილი ქვებისაგან შეკრული წრე. ეს დოლმენიც ორად იყო გაყოფილი, რომელსაც ქვედა ნაწილში ხვრელი ჰქონდა. იგი ორი სახურავის ქვით იყო ბანურად გადახურული (სურ. 96,1). დოლმენი დამხრობილი იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთით. მისი მოზრდილი განყოფილების ზომებია: სიგრძე — 1,80 მ, სიგანე — 1,60 მ; სიმაღლე — 1,20 მ. მეორესი, უფრო წომიკროსი კი — სიგრძე — 1,15 მ; სიგანე — 1,60 მ; სიმაღლე — 1,47 მ (მას ქვის იატაკი არ ჰქონდა და ამის გამოა სხვაობა სიმაღლეში).

მიცვალებული მოზრდილი განყოფილების დასავლეთ კედელთან იწვა ძლიერ მოკრუნჩხული, თავით სამხრეთით. იგი წითლად იყო შეღებილი. აღსანიშნავია, რომ შემორჩენილი იყო ტანსაცმლის ნაშთები: შავი ბეწვი, რომლის ქვეშაც აღმოჩნდა მოყვითალო ფერის ქსოვილი და მის ქვეშ კი წითლად შეღებილი ქსოვილის ნაშთები. მიცვალებულის თავთან აღმოჩნდა კაისის შეიდი ისრის პირი, ორი ვერცხლის საკინძი, ყუადაქანებული ცული, ბრტყელი ცული, დანის პირი, სატევრის პირი სპილენძის ქარქაშში, ორი ოთხწახნაგა სადგისი. თავის ქალასთან კედელში, პატარა ნიშა იყო ამოღებული, ალბათ, სამალავი, რომელშიც აღმოჩნდა ოქროს, ვერცხლისა და სერდოლიკის მძივები და ოქროს რგოლები. აღმოსავლეთ კედელთან ხის რაღაც ნივთი იყო ბოლოზე სპილენძის კავით, რომელზეც თხელი მავთული იყო შემოხვეული. აქვე იდგა ოთხი თიხის ჭურჭელი: ორი წითელპირი და ორიც შავპირი. მეორე, პატარა განყოფილებაში ნაპოვნი იყო დიდი რაოდენობით ძვლის მძივები, ტახის ორი ეშვი და ოთხწახნაგა სადგისი<sup>246</sup>.


სტ. ნოვოსვობოდნაიას ჩვენთვის ყორღანებიდან აღსანიშნავია კიდევ ერთი

245 Т. Б. Попова, Дольмены станицы Новосвободной, стр. 9.

246 იქვე, გვ. 13.

· ყორღანი, რომელიც გათხრილი იყო ჯერ კიდევ 1868 წ. ნ. კამენსკის მიერ. იგი იმითაა აღსანიშნავი, რომ აქ აღმოჩნდა თერთმეტწახნაგა ქვის სამარხი, კონუსური გადახურვით. მართალია, სამარხეული ინვენტარი აქ შედარებით ღარიბული იყო (ბრინჯაოს ორი რგოლი, ორი შუბისპირი, ორი თიხის ჭურჭელი), მაგრამ ცხადია, რომ იგი ზემოთ განხილული ყორღანის თანადროულია<sup>247</sup> (სურ. 97).

მართალია, დოღმენისებური სამარხი ყორღანის ყრილის ქვეშ ნოვოსვობოდნაიას გარდა სხვაგან თითქმის არ გვხვდება, მაგრამ სხვა ნიშნებით ეს ყორღანი უთუოდ ახლოს დგას მაიკოპის კულტურისათვის ღამახასიათებელ სამარხებთან. მიცვალებულის წითლად შეღებვა, ქვის წრის არსებობა, სამარხეული ინვენტარი და სხვ. ის თავისებურებებია, რომლითაც ხასიათდება მაიკოპის კულტურის გვიანდელი სტადია. ყუბანისპირეთის გარდა ჩრდილო კავკასიაში მათ ვხვდებით ცენტრალურსა და აღმოსავლეთ რაიონებში, სადაც ამ საფეხურის ძეგლებმა უპირატესად სამარხებმა, ფართო გავრცელება მიიღო. ზემოთ უკვე აღვნიშნავდით, ნოვოსვობოდნაიას საფეხურის ნამოსახლარების აღმოჩენისა და მათი თავისებურებების შესახებ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც სამარხებიდან მომდინარე მასალები სადღეისოდ უფრო მეტად ავლენენ ამ კულტურის გვიან-



სურ. 97. ქვის მრავალწახნაგა სამარხი ნოვოსვობოდნაიას ყორღანდან.

დელი სტადიის თავისებურებებს.

უკანასკნელი ხანის აღმოჩენებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნალჩიკის აკლდამა<sup>248</sup>. იგი ნაპოვნი იყო ქალაქის განაპირა, სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ყორღანის მიწაყრილი ძლიერ დაზიანებული იყო, მისი დიამეტრი—100 მ-მდე, სიმაღლე კი 8,0 მ-მდე აღწევდა. აკლდამა ნაგები იყო ტუფის მასიური 24 ფილისაგან, მიწის პირზე. მას სწორკუთხა ფორმა ჰქონდა და გადახურული იყო ასეთივე ტუფის ფილებით. აკლდამის სიგრძე 3,13 მ, სიგანე — 2,34 მ, სიმაღლე — 1,10 მ. ჰერი და კედლები შეღებილი იყო წითლად. იატაკი მოფენილი იყო წვრილი ქვით. აღსანიშნავია, რომ ოთხ ფილას — ორს გადახურვის და ორს—კედლისას, ანთროპომორფული გამოსახულება აქვს, რომელთაგან სამი კიდევ ნაკაწრი ორნამენტითაა შემკული.

აკლდამაში ერთმანეთის ახლო მდებარე ორი მიცვალებული აღმოჩნდა.

<sup>247</sup> Т. Б. Попова. დასახ. ნაშრ., გვ. 15.

<sup>248</sup> И. М. Чеченов, Гробница эпохи ранней бронзы в г. Нальчике, СА, 2, М., 1970, стр. 109.

ერთი მათგანი მარჯვენა გვერდზე იწვა, მეორე კი მარცხენაზე, მოკუნტულ მდგომარეობაში. ორივე მიცვალებული წითლად იყო შეღებილი. აკლდამაში მდიდრული ინვენტარი აღმოჩნდა: ოქროს მრავალი სამკაული, მასიური რგოლები, ძძვიები, ფირფიტები, სპირალური ლენტები და სხვ. ვერცხლისა და ბრინჯაოს სატევრის პირები, ოქროს ფირფიტებით შემკული. ასევე ოქროს ფირფიტებამკობდა ბრინჯაოს ორ ოთხწახნაგა სადგისს. აკლდამის ჩრდილო კუთხეში აღმოჩნდა სპილენძის ქვაბი, ბრტყელი ცული, ორი ყუადაქანებული ცული, სატეხი და სხვ. გარდა ამისა, აქვე ნაპოვნი იყო ობსიდიანის ფუძემოლარული ისრის პირი, კაჟის ხელშუბის პირი, კაჟისავე დანისებრი ფირფიტა და სხვა. ამრიგად, ეს აკლდამა თავისი მნიშვნელობით მაიკოპისა და ნოვოსეობოდნაიას ყორღანებს შეიძლება გავეუტოლოთ.

როგორც ჩანს, ნალჩიკის აკლდამა დამარხვის რიტუალითა და აგრეთვე სამარხეული ინვენტარის ხასიათით უახლოვდება ნოვოსეობოდნაიას ყორღანს. თუმცა მისი გამთხრელი ი. ჩეჩენოვი ფიქრობს, რომ მას ზოგი ნიშანი ახასიათებს, რომლითაც იგი უახლოვდება მაიკოპის ყორღანს და ამიტომ მისი აზრით ეს აკლდამა ნოვოსეობოდნაიას ეტაპის ადრეულ საფეხურს უნდა მიეკუთვნოს<sup>249</sup>.

მაგრამ მაიკოპის კულტურის შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამ დროის ყორღანული სამაროვნების კვლევას. ამათგან აღსანიშნავია გვიანმაიკოპის დროინდელი სამაროვანი ჩეჩენ-ინგუშეთში, სოფ. ბამუტთან და ყუბანისპირეთში სტანიცა უსტ-ჯეგუტინსკაიასთან გათხრილი ყორღანები. ბამუტის სამაროვანზე, განსაკუთრებით ხუტორ ახალ არშტისთან, გათხრილი იყო ოცზე მეტი გვიანმაიკოპის დროინდელი სამარხი<sup>250</sup>. ამ დროის სამარხების ასეთი დიდი რაოდენობა სხვაგან ჯერჯერობით შესწავლილი არ იყო. ყველა ამ სამარხებს, ზოგი განსხვავებული ნიშნების მიუხედავად, როგორც დასაფლავების წესში, ისე სამარხეული ინვენტარით, საერთო, თავისებური ხასიათი აერთიანებს. ყველა ყორღანის ცენტრალური ნაწილი, როგორც წესი, ნაგებია რიყის ქვისაგან, რომელსაც ხშირად მოზრდილი ქვებისაგან შემდგარი ქვის წრე შემოუყვება. თითქმის ყველა სამარხი მიწის პირის დონეზეა მოწყობილი. მსგავსია აგრეთვე მიცვალებულის დაკრძალვის წესიც — მარჯვენა გვერდზე მწოლიარე, მოკუნტულ მდგომარეობაში და სხვ. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა ნიშნით, ეს სამარხები უახლოვდებიან მაიკოპის კულტურის, განსაკუთრებით მის გვიანდელ, ნოვოსეობოდნაიას საფეხურისათვის დამახასიათებელ დაკრძალვის რიტუალს<sup>251</sup>.

მსგავსება ჩანს აგრეთვე ამავე საფეხურთან სამარხეულ ინვენტარშიც. აღ-


249 И. М. Чеченов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 122.

250 Р. М. Мунчаев, *Раскопки Бамутских курганов в 1965 г.*, стр. 132.

251 Р. М. Мунчаев, *Кавказ в эпоху энеолита и ранней бронзы*, стр. 553.



სანიშნავია 1961 წ. № 9 ყორღანში გათხრილი № 9 სამარხი. იგი ამ ყორღანის ძირითადი სამარხი იყო, რომელშიც აღმოჩნდა ორი სატევრის პირი, ოთხწახნა-  
 გა სადგისი. სპილენძის კურკელი, ბრინჯაოს მასრიანი კავი, ორი მოწითალო  
 თიხის კურკელი და სხვ. საინტერესოა, რომ ეს ნივთები გარკვეულ სიახლოვეს  
 პოულობენ ნოვოსვობოდნაიას ყორღანის ინვენტართან<sup>252</sup>. ასევე საინტერესოა  
 აგრეთვე 1965 წ. შესწავლილი 1 და 2 ყორღანები. მათში ნაპოვნი იყო ოქროს.  
 რგოლები, ოქროს ფირფიტები, ვერცხლის ნემსი და ვერცხლის სხვა ნივთები,  
 ბრინჯაოს სატევრის პირები, ოთხწახნაგა სადგისები, სპილენძის ქვაბი და სხვ.



სურ. 98. ლიხონისა და თიხის ნივთები  
 ბამუტის ყორღანებიდან.

აღსანიშნავია აქ ნაპოვნი მცირე-  
 ზომის ვოტივეური ცული და ბრი-  
 ნჯაოს მსხვილი მავთულისაგან ნა-  
 კეთები ნივთი, რომელსაც რ. მუნ-  
 ჩაევი საყბეურად მიიჩნევს. გარდა-  
 ამისა, № 3 ყორღანის მე-4 სამარხ-  
 ში აღმოჩნდა ტანეიწრო ყუადაქ-  
 ნებული ცული საჩხერული ტიპი-  
 სა და სხვ<sup>253</sup>. (სურ. 98).

უსტ-ჯეგუტინსკაიას ყორღა-  
 ნულ სამაროვანზე მაიკოპის კულ-  
 ტურის დროინდელი სამარხები 15  
 ყორღანში აღმოჩნდა<sup>254</sup>. მართალია,  
 სამარხების დიდი ნაწილი დაზიან-  
 ნებული იყო, მაინც კარგად ჩანდა  
 მაიკოპის კულტურისათვის დამა-  
 ხასიათებელი ნიშნები როგორც  
 თვით ყორღანის ხასიათში, ისე ინ-  
 ვენტარში. მაგრამ საინტერესოა  
 აგრეთვე ისიც, რომ საერთოსთან  
 ერთად ამ ყორღანებში მაინც შე-  
 ინიშნება გარკვეული თავისებუ-  
 რებები, ძირითადად კონსტრუქ-  
 ციული ხასიათის, რითაც ისინი ორ-

ჯგუფად იყოფოდნენ. აღსანიშნავია, რომ ერთი ჯგუფი ყორღანებისა ყრილის და  
 თვით სამარხის ხასიათით უფრო ახლოს მაიკოპის კულტურის ადრინდელ ძეგ-  
 ლებთან იდგა, მეორე ჯგუფი კი უფრო ნოვოსვობოდნაიას ეტაპის სამარხებთან.

<sup>252</sup> Р. М. Мунчаев, Из истории раннебронзового века Чечен-Ингушетии, стр. 17.

<sup>253</sup> Р. М. Мунчаев, Раскопки Бамутских курганов в 1965 г., стр. 133.

<sup>254</sup> Р. М. Мунчаев, А. Л. Нечитайло, Комплексы майкопской культуры в Усть-Джегутинском могильнике, стр. 134.

შეორე ჯგუფის ყორღანებში აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმი ძალიან ახლოს დგას გვიანმაიკობის კერამიკასთან. მაგრამ, იმის გამო. რომ ამ კერამიკაზე არ გვხვდება ე. წ. მარგალიტისებრი ორნამენტი, რომელიც დამახასიათებელია გვიანი ჯგუფის თიხის ჭურჭლისათვის, რ. მუნჩაევი ფიქრობს. რომ ეს ჯგუფი რამდენადმე წინ უსწრებს საკუთრივ ნოვოსვობოდნაიას ეტაპს და უსტ-ჯეგუტინსკაიას მეორე ჯგუფის ყორღანები ერთგვარად გარდამავალი ზუნებისაა ადრე და გვიანმაიკობის ეტაპებს შორის<sup>255</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ მაიკობის კულტურის ორივე ეტაპის ყორღანებს შორის. როგორც რ. მუნჩაევი ფიქრობს, საერთო მეტია, ვიდრე განსხვავება<sup>256</sup>, მაინც ნოვოსვობოდნაიას ჯგუფის ყორღანები გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. თუ პირველი, მაიკობის ჯგუფის ყორღანებისათვის, როგორც წესი. დამახასიათებელია მიწაყრილი, მეორეში, ნოვოსვობოდნაიას ჯგუფის ყორღანების ცენტრალურ ნაწილში ხშირად ქვის კონსტრუქცია გვხვდება. დამახასიათებელია მათთვის აგრეთვე ქვის წრეც. ერთ-ერთი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ნოვოსვობოდნაიას ეტაპის ყორღანებისა ის არის, რომ სწორკუთხა ფორმის დასაყრდელად მოედანი, უპირატესად ზედ მიწის პირზეა მოწყობილი, რომელიც რიყის წვრილი ქვითაა დაგებული<sup>257</sup>. პირველი ჯგუფის ყორღანებისათვის კი ძირითადად სწორკუთხა მოყვანილობის ორმოა დამახასიათებელი<sup>258</sup>. ჯერ-ჯერობით ძნელი გასარკვევია, რამ გამოიწვია მაიკობის კულტურაში ყორღანთა კონსტრუქციაში მომხდარი ცვლილებები. აღსანიშნავია, რომ მეორე ჯგუფის ყორღანებში დაკრძალვის წესში საერთო ხასიათი გვხვდება. მიცვალებული უპირატესად მარჯვენა მხარეზე წევს, მოკუნთული, თავით სამხრეთით. უნდა შევნიშნოთ, რომ დაკრძალვის რიტუალში ორივე ჯგუფი გარკვეული ერთობით გამოირჩევა<sup>259</sup>.

რ. მუნჩაევის აზრით, პირველ და მეორე ჯგუფის ყორღანებს შორის ბევრი საერთო ნიშანი ჩანს, რაც მათ გენეტიურ კავშირზე უნდა მეტყველებდეს. იგი გამოპყოფს გარდამავალი ხასიათის ყორღანებს პირველსა და მეორე ჯგუფს შორის. ეს კი კიდევ ერთი საბუთია მათი საერთო წარმომავლობისა<sup>260</sup>.

გვიანმაიკობის სტადიაზე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მეტალურგია იმის გამო, რომ, როგორც ჩანს, ამ დროისათვის უკვე საბოლოოდ ყალიბდება მისი ადგილობრივი ტრადიციები. აღსანიშნავია, რომ, როგორც ეს მაიკობის კულტურის ნამოსახლარებზე მოპოვებული მასალებიდან ჩანს, ამ კულტურის გვიანდელი ეტაპის სამოსახლოებზე ქვის ინვენტარმა საგრძნობლად იკლო.

255 P. M. Мунчаев, А. Л. Нечитайло, დასახ. ნაშრომი, გვ. 151.

256 P. M. Мунчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 564.

257 იქვე, გვ. 553.

258 იქვე, გვ. 557.

259 იქვე, გვ. 564.

260 იქვე, გვ. 563.

როგორც ა. ფორმოზოვი ფიქრობს, ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმით, რომ ნოვოსვობოდნაიას საფეხურზე ლითონი უკვე თანდათანობით სდევნის ქვას. ამ დროის ყორღანებში ლითონის ნაწარმი უფრო ფართოდაა წარმოდგენილი, თანაც უფრო მრავალფეროვანია, მაიკოპის კულტურის ადრინდელ საფეხურთან შედარებით. გვხვდება ლითონის ქვაბები, საომარი და სამუშაო იარაღი და სამკაული<sup>261</sup>. თვით მაიკოპისა და ნოვოსვობოდნაიას ყორღანებში აღმოჩენილი სპილენძისა თუ ბრინჯაოს ნივთების შედარებისას უკვე აშკარად საგრძნობი სხვაობა ჩანს. გვიან ეტაპზე ბევრი ისეთი ფორმა გვხვდება, რომლებიც მაიკოპში საერთოდ ცნობილი არ არის. ზევით უკვე აღვნიშნავდით, რომ მაიკოპის ყორღანის ლითონის იარაღის, ყოველ შემთხვევაში ზოგიერთი ფორმების სამხრეთული, უფრო კი მესოპოტამიური წარმომავლობა ექვს არ უნდა იწვევდეს. ნოვოსვობოდნაიას ყორღანში ნაპოვნი იარაღ-საქურველის კი, პირიქით, გარდა, ეგებ, ერთი შუბისმაგვარი იარაღისა, ადგილობრივი წარმომავლობაა სავარაუდო.

ბოლო დრომდე ჩრდილო კავკასიაში შუბისმაგვარი ტიპის იარაღი მხოლოდ ნოვოსვობოდნაიას ყორღანიდან იყო ცნობილი. ბოლო ხანებში მსგავსი იარაღი აღმოჩნდა დაღესტანში, ჩირკეისკის ნამოსახლარზე<sup>262</sup>. ორივე ეს იარაღი ფორმით ძალიან ახლოს დგას ერთმანეთთან. მათ ტარის დასაგები ყუნწი სწორი აქვთ და ღეროდან ყუნწზე გადასვლის ადგილი საგრძნობლად შესქელებულია. პირის მოყვანილობითაც ეს ცალები ძალიან მსგავსია<sup>263</sup> (სურ. 61).

როგორც უკვე ზევით აღვნიშნავდით, ამ ტიპის იარაღი ფართოდ იყო გავრცელებული წინა აზიაში და მათ მტკვარ-არაქსის კულტურის საფეხურზე ამიერკავკასიაშიც ვხვდებით. აქ აღმოჩენილ ცალებიდან ჩრდილოკავკასიურ ეგზემპლარებთან როგორც საერთოდ ფორმით, ისე ტარზე დაგების წესით, განსაკუთრებით ახლოს დგას ახალციხესთან ნაპოვნი ამგვარი იარაღი<sup>264</sup> (სურ. 53ა). უახლოვდება მათ აგრეთვე აზერბაიჯანში, ატარინის რაიონში, № 1 ყორღანში აღმოჩენილი შუბის პირები, ოღონდ ერთ მათგანს რამდენადმე განსხვავებული, უფრო მოზრდილი პირი აქვს, მეორეს კი, პირიქით, პირის ნაწილი რამდენადმე მომცრო, ღერო კი უფრო მოგრძო აქვს<sup>265</sup> (სურ. 60). უახლოვდება მათ ფორმით შედარებით დიდი ზომის შუბისმაგვარი იარაღი, ლენინაკანის მუზეუმში და-

261 А. А. Ф о р м о з о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 1:14.

262 История Дагестана, I, М., 1967, стр. 63, рис. 16.

263 იქვე.

264 ო. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების აღრუ-  
ულ საფეხურზე, გვ. 161, სურ. 33,6.

265 Ф. А. Махмудов, Р. М. Мунчаев, И. Г. Нариманов, О древней ме-  
таллургии Кавказа, стр. 21, рис. 5.

ცული<sup>266</sup>. (სურ. 57,1). გარკვეული მსგავსება ჩანს, აგრეთვე, შიდა ქართლში. სოფ. ოსპრისში აღმოჩენილ ცალთანაც (სურ. 53,14). ნიშანდობლივია, რომ ახალციხის ამირანის გორაზე შუბისმაგვარი იარაღების ამ ვარიანტის ჩამოსასხმელი ყალიბიც აღმოჩნდა თითქოს<sup>267</sup>. იარაღის ეს ტიპი ამიერკავკასიაში წინა აზიიდან ვრცელდება, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი აქ მაინც თავისებურ ელფერს იღებს და შემდეგ აქედან უნდა გავრცელებულიყო ქედს იქითა რაიონებში. აღსანიშნავია, რომ ჩრდილოკავკასიური ეგზემპლარები მაინც ყველაზე უფრო ახლოს ღვანან ამიერკავკასიურ, კერძოდ კი ახალციხის შუბისმაგვარ იარაღთან. ამიტომ მთლად მართებული არ ჩანს მკვლევართა მოაზრებები, რომლებიც ნოვოსვობოდნაიას ცალისათვის შემერსა, სირიასა, ანატოლიასა და სხვაგან ეძებენ ანალოგებს<sup>268</sup>.

ნოვოსვობოდნაიას ყორღანებში აღმოჩენილი ცულები, რამდენადმე განსხვავდებიან მაიკოპის ყორღანის ცულისაგან<sup>269</sup>. საერთოდ ეს ტიპი იარაღისა დამახასიათებელია მაიკოპის კულტურის გვიანდელი ეტაპისათვის<sup>270</sup>. ნოვოსვობოდნაიას ყორღანში აღმოჩენილი ცულები, განსაკუთრებით № 1 ყორღანის ერთი ცული, ახლოს დგას თბილისთან, ზაქესში ნაპოვნ ამგვარსავე იარაღთან (სურ. 99,3). ეს ცულები ფორმით საკმაოდ უახლოვდებიან მესოპოტამიაში ცნობილ ცულის თიხის მოდელებს<sup>271</sup>. აღსანიშნავია, რ. მუნჩაევის მიერ ბამუტის ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩენილი ერთი პატარა, ვოტივური ცული<sup>272</sup>, რომელიც თავისი ფორმით გარკვეულ სიახლოვეს ამუღვენებს ცხინვალთან, ქულბაქების სამარხში ნაპოვნ ცულთან. ქულბაქების ტიპის ცული გავრცელებული იყო ჩვენში მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში. მაგრამ გვიან მაიკოპის სტადიაზე გავრცელებული ცულები მაინც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებიან და მათი ადგილობრივი წარმომავლობა საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. ამ მხრივ საინტერესოა ნოვოსვობოდნაიას ყორღანში ნაპოვნი ერთი ცული, რომლის ყუას ისეთივე „მარგალიტისებრი“ ორნამენტი ამკობს, როგორც ამ ღროის კერამიკისთვისაა დამახასიათებელი<sup>273</sup>.

ნოვოსვობოდნაიას საფეხურზე ფართოდ იყო გავრცელებული ბრტყელი ცული (სურ 99,2). ზოგიერთი მკვლევარი იმასაც აღნიშნავს, რომ იგი ჩრდილო

266 А. А. Мартыросян, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 29, სურ. 4.

267 К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 125.

268 Г. Чайлд, *У истоков европейской цивилизации*, стр. 214;

C. F. A. Schaeffer, *Stratigraphie Comparee...*, 519; P. Betancourt. *დასახ. ნაშრომი*, გვ. 356.

269 А. А. Иессен, *О древнейшей металлургии меди на Кавказе*, стр. 90.


270 Т. Б. Попова, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 29.

271 *ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე*, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 92.

272 Р. М. Мунчаев, *Раскопки Бамутских курганов в 1965 году*, стр. 133.

273 Т. Б. Попова, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 29.

კავკასიაში ლითონის ინვენტარის ერთ-ერთი დამახასიათებელი ფორმაა<sup>274</sup>. მოყვანილობით ეს იარაღები მაინც რამდენადმე განსხვავდებიან მაიკოპის ყორღანის ამგვარსავე იარაღისაგან. ბოლო დრომდე ბრტყელი ცული ამიერკავკასიაში ძვ. წ. III ათასწლეულის მასალებში მაინცდამაინც ცნობილი არ იყო. მაგრამ, უკანასკნელი ხანის აღმოჩენებიდან ჩანს, რომ იარაღის ეს ტიპი საკმაოდ უართოდ იყო გავრცელებული და, როგორც უკვე აღვნიშნავდით, მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარებზე მათი ჩამოსასხმელი თიხის ყალიბებიც აღმოჩნდა. აღანიშნავია, რომ ბრტყელი ცული აღმოჩნდა ბედენისა და თეთრი



სურ. 99. თიხისა და ლითონის ნივთები ნოვოსვობოდნაიას ყორღანებიდან.

წყაროს ყორღანებში; ორი ამგვარი იარაღი ცნობილია აზერბაიჯანში, ასტარინის № 1 ყორღანიდან და სხვ. ფორმით ეს იარაღები საკმაოდ ახლოს დგანან ჩრდილოკავკასიურ ცალებთან.

მაიკოპის კულტურის ნოვოსვობოდნაიას სტადიაზე, როგორც ჩანს, ერთ-ერთი დამახასიათებელი იარაღი იყო ღარიანი სატეხი (სურ. 99,6). მაიკოპის ყორღანებში აღმოჩენილი ამ ტიპის იარაღი, რამდენადმე განსხვავებული ფორ-

<sup>274</sup> Ф. А. Махмудов, Р. М. Мунчаев, И. Г. Нариманов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 22.

მისა იყო. ნოვოსვობოდნაიას ტიპის სატეხები ცნობილია აგრეთვე ამიერკავკასიაში. განსაკუთრებით მათთან ახლოს დგას ზეკარისა და თეთრი წყაროს ყორღანის სატეხები. მსგავსი სატეხი გვხვდება საჩხერეში, ბედენის ყორღანში და სხვ. (სურ. 59, 6, 10). საერთოდ ეს ტიპი იარაღისა ფართოდ იყო გავრცელებული წინა აზიაში. გ. ჩაილდი აღნიშნავს, რომ ნოვოსვობოდნაიას სატეხის პროტოტიპები ცნობილია აღრეულ შუმერში<sup>275</sup>. კ. შეფერის აზრით, კავკასიის ამ ტიპის იარაღი უახლოვდება ჰისარის, რას-შამრას, ბიბლოსის და სხვა სატეხებს<sup>276</sup>. არ არის გამორიცხული, რომ ეს ტიპი იარაღისა ჩრდილო კავკასიაში სამხრეთიდან ამიერკავკასიის გზით გავრცელდა. ნოვოსვობოდნაიაში, ბამუტსა და სხვ. აღმოჩენილი სატეხების პირები თავისი ფორმით საგრძნობლად განსხვავდებიან მაიკოპის ყორღანის ცალეებისაგან. ეს ბრტყელი, ყუნწიანი სატეხების პირები უახლოვდებიან საჩხერულ ტიპებს, მაგრამ, ამავე დროს, ისინი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებიან და ადგილობრივ უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ<sup>277</sup>. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბრტყელი, ყუნწიანი სატეხების პირები ფართოდ იყო გავრცელებული წინა აზიაში, განსაკუთრებით კი მცირე აზიაში. აღსანიშნავია, ნოვოსვობოდნაიას ყორღანში აღმოჩენილი ერთი ლითონისტარიანი სატეხის პირი, რომელიც ფორმითა და ტარის დაგების წესით უახლოვდება საჩხერეში აღმოჩენილ ამგვარსავე სატეხის პირებს. ჩრდილო კავკასიაში ცნობილია ამ დროის კიდევ ერთი ლითონისტარიანი სატეხარი სტანიცა კონსტანტინოვკაში აღმოჩენილი<sup>278</sup>.

მაიკოპის გვიანდელი ეტაპისათვის დამახასიათებელი იარაღია კაეები. აქ გვხვდება როგორც ორკაპა, ისე ცალკაპა კაეები. ორკაპა კაეები კარგადაა ცნობილი ჩრდილო კავკასიაში. უკანასკნელ ხანებში ამ ტიპის იარაღი ნაპოვნი იყო აგრეთვე ბამუტის ერთ-ერთ ყორღანში<sup>279</sup> (სურ. 100). როგორც ჩანს, სამართლიანად აღნიშნა თავის დროზე ა. იესენმა, რომ ეს ტიპი იარაღისა სპეციფიურია ყუბანის ჭგუფის ყორღანებისათვის<sup>280</sup>. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გ. ჩაილდი ამ იარაღის პროტოტიპებს აღრე შუმერში ეძებს<sup>281</sup>. რაც შეეხება ცალკაპა კაეებს, რომლებიც აგრეთვე გვხვდებიან ნოვოსვობოდნაიას სტადიაზე, მა-

275 Г. Ч а й л д, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 214.

276 С. Schaeffer, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 450.

277 Ф. А. Махмудов, Р. М. Мунчаев, И. Г. Нариманов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 23.

278 А. Ч а е в, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 155.


279 Р. М. Мунчаев, *Из истории раннебронзового века в Чечено-Ингушетии*, *სტრ.* 22.

280 А. А. Иессен, *Хронология «больших кубанских курганов»*, *სტრ.* 173.

281 Г. Ч а й л д, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 214.

თი ანალოგები ამიერკავკასიიდან ჭერჭერობით ცნობილია აფხაზეთის აღრეულ-დოლმენებიდან და აგრეთვე თალიშის დოლმენებში<sup>282</sup>.

1965 წ. ბამუტის ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩნდა ბრინჯაოს მსხვილი ღეროსაგან ნაკეთები ორი ნივთი<sup>283</sup> (სურ. 98,4). რ. მუნჩაევი აღნიშნავს, რომ მსგავსი წყვილი ნივთი ნაპოვნი ყოფილა მაიკოპის მახლობლად გათხრილ ყორ-



სურ. 100. ლითონისა და თიხის ნივთები ახალი არშტის ყორღანიდან.

ღანშიც. სხვაგან არსად ანალოგიური ნივთებზე მისთვის ცნობილი არ არის. რ. მუნჩაევის აზრით, ეს ნივთები ლავშის საყბურს უნდა წარმოადგენდეს და მას აქ უკვე იყენებდნენ ცხენოსნობაში<sup>284</sup>, მაგრამ მაინც გვეგონია, რომ ასეთი კატეგორიული მტკიცებისათვის მას საფუძველი არ უნდა ჰქონდეს, მითუმეტეს, რომ, როგორც ამას ცოტა ქვევით დავინახავთ, კავკასიაში შინაური ცხენის პირველი გამოჩენის საკითხიც ჭერ კიდევ მთლად ნათელი არ არის.

აღსანიშნავია ნოვოსვობოდნიას და ბამუტის ყორღანებში<sup>285</sup>, ნალჩიკის.

<sup>282</sup> ი. ჯ ა თ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომთ, გვ. 235.

<sup>283</sup> Р. М. Мунчаев, Раскопки Бамутских курганов в 1965 г., стр. 143.

<sup>284</sup> Р. М. Мунчаев, Кавказ в эпоху энеолита и ранней бронзы, стр. 713.

<sup>285</sup> Т. Б. Попова, დასახ. ნაშრომთ, გვ. 24; Ф. А. Махмудов, Р. М. Мунчаев, И. Г. Нариманов, დასახ. ნაშრომთ, გვ. 25.

აკლამაში<sup>285</sup> და სხვ. აღმოჩენილი სპილენძის ქვაბები. ყველა ქვაბს დაახლოებით ერთი ფორმა აქვს და ზოგი მათგანი „მარგალიტისებრი“ ორნამენტითაა შემკული. მსგავსი ლითონის ჭურჭელი სხვაგან ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ნიშანდობლივია აგრეთვე ისიც, რომ მათ იმგვარივე ორნამენტი ამკობს, როგორც გვიანმაიკოპის თიხის ჭურჭლისათვისაა დამახასიათებელი<sup>287</sup>. ამ ქვაბების ქიმიური შედგენილობა თითქმის ერთნაირია<sup>288</sup>. ამიტომ მათი ადგილობრივი წარმომავლობა თითქმის ექვს არ უნდა იწვევდეს.

მაიკოპის კულტურის გვიანდელი საფეხურის ლითონის ნაწარმი თავისი ქიმიური შედგენილობით განსხვავდება მაიკოპის ადრეული ჯგუფის ლითონისაგან. მისთვის სპილენძ-დარიშხანიანი ლითონია დამახასიათებელი. ე. ჩერნიხი აღნიშნავს, რომ გვიანმაიკოპის ლითონი თავისი ქიმიური შედგენილობით უფრო უახლოვდება ამიერკავკასიის მადანს, კერძოდ კაფანისა და შამლუგის—სომხეთში და ქედაბეკ-ბელოქანის საბადოების მადანს — აზერბაიჯანში. ამიტომ ჩგი ფიქრობს, რომ მაიკოპის კულტურის გვიანდელ ეტაპზე ჩრდილო კავკასია ამიერკავკასიური სპილენძით მარაგდებოდა. უფრო მეტიც, მისი აზრით, მომდევნო, ჩრდილოკავკასიური კულტურის ლითონიც ამიერკავკასიური წარმომავლობისაა<sup>289</sup>. ა. ფორმოზოვი არ იზიარებს ე. ჩერნიხის ამ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ ძნელია წარმოვიდგინოთ ამ დროისათვის ლითონის მზა ნაწარმის თუ ნედლეულის ამიერკავკასიიდან ტრანსპორტირება. შესაძლოა ძვ. წ. III—II ათასწლეულებში ჩრდილო კავკასიაში ადგილობრივი, ეგებ სპილენძის მცირე საბადოს ექსპლოატაცია ხდებოდა, რომელიც ჯერ კიდევ გეოლოგების მიერ დადგენილი არ არის<sup>290</sup>. შესაძლოა ეს ასეც იყო და რომელიმე საბადო მართლაც გამოიყენებოდა იმ პერიოდში. მაგრამ, ვფიქრობთ, მაინც, რომ, როგორც ჩანს, მზა ნაწარმის გარდა ამ დროისათვის ჩრდილოეთით ამიერკავკასიიდან ნედლეულიც მნიშვნელოვანი ნაწილით შედიოდა. რა თქმა უნდა, არ შეიძლება შემთხვევითი იყოს ქიმიური შედგენილობის ამგვარი ანალოგიები. როგორც უკვე ზევით აღვნიშნავდით, მაიკოპის გვიანდელ ეტაპზე ლითონის ნაწარმში საკმაოდ ძლიერად ჩანს ამიერკავკასიური გავლენები, თუმცა ისიც ითქვა, რომ ლითონის ნივთების დიდი ნაწილის ადგილობრივი წარმომავლობაც ექვს არ უნდა

<sup>285</sup> И. М. Чеченов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 110; Р. М. Мунчаев, И. М. Чеченов, *Находки медного котла майкопской культуры в г. Нальчике, КСИА*, 115, М., 1969, стр. 54.

<sup>287</sup> А. А. Формозов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 114.

<sup>288</sup> Ф. А. Махмудов, Р. М. Мунчаев, И. Г. Нариманов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 25. სქოლიო.

<sup>289</sup> Е. Н. Черных, *История древнейшей металлургии Восточной Европы*, стр. 47. თუმცა სომხეთის, კერძოდ შამლუგის საბადოს შესახებ აღნიშნა, რომ თავისი გეოქიმიური ნიშნით იგი გვიანბრინჯაოს ხანაშდ ექსპლოატაციაში არ უნდა ყოფილიყო, იხ. А. Л. Геворкян, *Древнейшая металлургия и горное дело Армении*, стр. 6.

<sup>290</sup> А. А. Формозов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 117.



იწვევდეს და რომ ამ დროისათვის აქ უკვე საკუთარი მეტალურგიული წარმოება უნდა არსებულებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ძირითადად სამხრეთულ, ამიერკავკასიურ ნედლეულ ბაზაზე დამყარებული. ეს ტრადიცია, ეგებ, რამდენადმე შენელებული, ეტყობა გრძელდება აგრეთვე ძვ. წ. II ათასწლეულშიც ჩრდილოკავკასიური კულტურის ხანაშიაც. ნიშანდობლივია, რომ ამ დროისათვისაც საკმაოდ ახლო კონტაქტები ჩანს და რიგი ლითონის ნივთებისა უთუოდ ამიერკავკასიური წარმომავლობისაა. ამ მხრივ აღსანიშნავია თუნდაც *T*-მაგვარი ქინძისთავეები, რომლებიც ყვირილის ზემო წელის ძეგლებს გარდა სხვაგან თითქმის არ აღმოჩენილა (ერთადერთი ცალი ნაპოვნი იყო ურბნისში, ფრაგმენტის სახით) და სამაგიეროდ ვხვდებით მათ ჩრდილოკავკასიურ კულტურაში<sup>291</sup> და სხვ.

როგორც ცნობილია, გვიანმაიკოპის ხანაში კავკასიის მეტალურგიული ცენტრის საკმაოდ ძლიერი გავლენა შეინიშნება სამხრეთ რუსეთზე<sup>292</sup>. ზოგიერთი მკვლევარის აზრით ამიერკავკასიიდან შემოტანილი ნედლეულის ერთი ნაწილი ჩრდილო კავკასიიდან შემდეგში უფრო ჩრდილოეთით გადიოდა<sup>293</sup>. თუმცა ზოგი ფიქრობს, რომ გვიანმაიკოპის კულტურის ტომებმა უკვე აითვისეს ყუბანისპირეთის ადგილობრივი სპილენძის საბადოები და ლითონით ამარაგებდნენ თავიანთ ჩრდილო მეზობლებს<sup>294</sup>. ასეა თუ ისე ერთი კი ცხადია, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ჩრდილო შავიზღვისპირეთი და სხვ. კავკასიის მეტალურგიული ცენტრების მნიშვნელოვან გავლენას განიცდიდა<sup>295</sup> და დარიშხანის ბრინჯაოს წარმოებაც აქედან უნდა გავრცელებულიყო<sup>296</sup>. უფრო მეტიც, ზოგიერთი მკვლევარი კავკასიურ წარმომავლობას მიაწერს კარპატების მხარეში აღმოჩენილ ადრებრინჯაოს ხანის ლითონის ნივთებს (განსაკუთრებით დარიშხანის შემცველი)<sup>297</sup>. შუა ევროპის ლითონის ნაწარმში გარკვეული ანალოგიები ჩანს ჩრდილოკავკასიურ მასალასთან. კონტაქტები კავკასიასა და შუა ევროპას შორის, ჩანს, ხორციელდებოდა უკრაინის გზით<sup>298</sup>. მ. გიმბუტასის აზრით, ყორღანული კულტურის მატარებელ ხალხს კავკასიიდან უნდა შე-

291 ო. ჯ ა თ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 175.

292 E. H. Черных, История металлургии Восточной Европы в позднем бронзовом веке. Автореферат. М., 1972, стр. 4;

M. Gimbutas, Bronze Age Cultures in Central and Eastern Europe, Paris—London, 1965, 18.

293 P. M. Мунчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 745.

294 A. A. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 141.

295 С. В. Киселев, Бронзовый век СССР, стр. 25.

296 С. Н. Кореневский, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

297 T. Točík, Die Nitra—Gruppe, Archeologické rozhledy, т. XV, 1963, 763.

298 J. Machnik, Uwagi o zwiazkach obszarow Karpackich z Alpejskimi u Schylku eneolitu i w poczatkach epoki brazu, გვ. 70.

მოეტანა ევროპაში მეტალურგიის ჩვევები<sup>299</sup>. აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ცულები ადრეული ყუბანის ტიპისა შემოტანილი უნდა იყოს აქ ყორღანის ხალხის მიერ<sup>300</sup>. აღსანიშნავია ნოვოსვობოდნაიას ყორღანში აღმოჩენილი კაეის მოზრდილი ხელშუბის პირები და ისრის პირები<sup>301</sup>. ისრის პირები კველა ერთი ტიპისაა ასიმეტრიულად ამოღარული ფუძით. მსგავსი იარაღი აქ ნახს მაიკოპის კულტურის გვიან ეტაპზე ვრცელდება. მაიკოპის ყორღანში აღმოჩენილ ისრებს სრულიად განსხვავებული, რომბისებრი მოყვანილობა აქვთ. ასიმეტრიული ისრის პირები ცნობილია კოსტრომსკაიას ყორღანიდან. ვხვდებით მათ იასნოვა პოლიანას, მეშოკოს და დოლინსკოეს ნამოსახლარებზე<sup>302</sup>. ცხინვალთან, ზღუდრის გვერდაზე აღმოჩენილი ასიმეტრიული ისრის პირის განხილვისას ბ. კუფტინმა ისინი ჩრდილოურ ტრადიციებს მიაწერა და ისრის პირების ეს მსგავსება, მისი აზრით, მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანდელი საფეხურისა და ყუბანის დიდი ყორღანების სინქრონულობის მაჩვენებელი უნდა იყოს<sup>303</sup>.

ნოვოსვობოდნაიას ეტაპის თიხის ჭურჭელი მიუხედავად იმისა, რომ მთელი რიგი ნიშნებით უახლოვდება ადრე მაიკოპის კერამიკას, მინც განსხვავდება მისგან<sup>304</sup>. მაიკოპის თიხის ჭურჭელი ერთფეროვანია, უფრო სადა და თხელკედლიანი, კარგად გამომწვარი და სხვ. ზევით უკვე აღვნიშნავდით, რომ ადრემაიკოპის კერამიკაზე უცხო გავლენა შეინიშნება და იგი ნაკლებად უკავშირდება წინარე, ადგილობრივი ნეოლითის თიხის ჭურჭლებს. ამ კულტურის გვიანდელი სტადიის კერამიკა, პირიქით, უფრო მეტ საერთოს ნახულობს კავკასიის ნეოლითურ ჭურჭელთან. იგი უფრო ტლანქია, სქელკედლიანი, შედარებით სუსტად გამომწვარი და სხვ.<sup>305</sup> მისთვის დამახასიათებელია როგორც დიდი ზომის, ისე შედარებით მომცრო ჭურჭელი, სფეროსებრი ან კვერცხისებრი ტანით. მოკლე ცილინდრული ყელით, ბრტყელი ძირითა და სხვ. ზოგჯერ ეს ჭურჭლები სხვადასხვა ხასიათის ორნამენტითაა შემკული, მაგრამ ყველაზე უფრო მისთვის დამახასიათებელია ე. წ. „მარგალიტისებრი“ ორნამენტი. იგი სრულიად არ გვხვდება ადრემაიკოპის ჭურჭელზე. მაიკოპის კულტურის ნამოსახლარებზე. მაგ. მეშოკოს ნასოფლარზე „მარგალიტისებრი“ ორნამენტით შემკული ჭურჭელი ჩნდება მის ზედა ფენებში<sup>306</sup>. აღსანიშნავია, რომ ეს ორნამენტი გვხვდება, აგრეთვე.

<sup>299</sup> M. Gimbutas, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

<sup>300</sup> იქვე, გვ. 42.

<sup>301</sup> Т. Б. Попова, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

<sup>302</sup> А. А. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 110.

<sup>303</sup> Б. А. Куптин, К проблеме энеолита Внутренней Карелии и Юго-Осетии, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X IV—B, თბილისი, 1947, გვ. 77.

<sup>304</sup> А. А. Иессен, დასახ. ნაშრომი, გვ. 176.

<sup>305</sup> А. А. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 119.

<sup>306</sup> А. А. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 78.

სპილენძის ქვებზე და რაც განსაკუთრებით საინტერესოა ამ ორნამენტითაა წემკული ნოვოსვობოდნაიას ყორღანში აღმოჩენილი ერთი ცულის ყუა<sup>307</sup>.

ნოვოსვობოდნაიას ყორღანში აღმოჩნდა ერთი მაღალყელიანი ჭურჭელი, რომლის ზედაპირი შესანიშნავადაა შავად გაპრიალებული<sup>308</sup> (სურ. 99,9). იგი იმითაა აღსანიშნავი, რომ ზედაპირის დამუშავების მხრით (შავად პრიალი) ძალიან მიგვაგონებს ჩვენში ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოს გავრცელებულ ყორღანულ ჭურჭელს ე. წ. „ბედენურ“ კერამიკას. ნიშანდობლივია ისიც, რომ აქ ფორმაშია ჩანს გარკვეული მსგავსება. „ბედენური“ კერამიკა სულ ბოლო დროს აღმოჩნდა ქვემო ქართლისა და კახეთის ყორღანებში და იმთავითვე ყურადღება მიიქცია თიხის დამუშავების მაღალი დონით. იგი თხელკედლიანია, შავპრიალა და სწორედ იმით გამოირჩევა, რომ ზედაპირის გაპრიალება მაღალ დონემდე მიყვანილი. ზოგჯერ ეს კერამიკა „მარგალიტისებრი“ ორნამენტითაა შემკული. მისთვის დამახასიათებელია ცილინდრული, არც თუ ისე მაღალი ყელი, პირგადაშლილი, უპირატესად ბირთვისებური მოყვანილობის ტანი. ფორმით ეს ჭურჭელი მართლა თავისებურია, მაგრამ მასში თითქოს შეიმჩნევა მტკვარ-არაქსის კერამიკისაგან მომდინარე გარკვეული ნიშნები. აღსანიშნავია, რომ „ბედენურ“ ჭურჭელს ხშირად მომცრო ზომის ყურები ასხია, მაშის როდესაც მაიკოპის კულტურის კერამიკისათვის ყურები მაინცადამაინც დამახასიათებელი არ არის<sup>309</sup>. ამიტომ, ჭერჯერობით „ბედენური“ კერამიკის ჩრდილოური წარმომავლობის შესახებ გადაჭრით ლაპარაკი მაინც ძნელია<sup>310</sup>. შესაძლოა ამ კერამიკის ჩამოყალიბებაში მართლაც ჩრდილოეთიდან მომდინარე იმპულსებმა ითამაშეს გარკვეული როლი, მაგრამ მასში ადგილობრივი ელემენტებიც საგრძნობი ჩანს.

მიუხედავად იმ მნიშვნელოვანი სხვაობისა მაიკოპის კულტურის I და II ჯგუფების კერამიკას შორის, მაინც ისინი გენეტიურად უნდა ყოფილიყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული<sup>311</sup>. მაგრამ აქ ნოვოსვობოდნაიას ეტაპის კერამიკის კიდევ ერთი თავისებურებაც უნდა აღვნიშნოთ, კერძოდ კი ის, რომ ნაწილი ამ ჭურჭლისა, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, ჩარხზე უნდა იყოს დამზადებული<sup>312</sup>. ჩარხი, ჩანს, აქ წინააზიურ ცივილიზაციებთან კონტაქტის შედეგად შემოდის მაიკოპის კულტურის გვიანდელ საფეხურზე<sup>313</sup>.

როგორც აღვნიშნავდით, მაიკოპის კულტურის დათარიღებამ იმთავითვე

307 Т. Б. Попова, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 29.

308 იქვე, გვ. 21, ტაბ. XII, 2.

309 Р. М. Мунчаев, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 583.

310 Г. Ф. Гобеджишвили, *Беденские курганы*, стр. 48.

311 Р. М. Мунчаев, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 580.

312 А. А. Бобринский, Р. М. Мунчаев, *Из древнейшей истории гончарного круга на Северном Кавказе*, КСИИ, вып. 108, М., 1966, стр. 14.

313 იქვე, გვ. 21.

შველევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მაგრამ ა. იესენის ბრწე-  
 ყინვალე ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ, რომელიც ყუბანის დიდი ყორღანე-  
 ბის დათარიღების საკითხს მიუძღვნა, ნათელი გახდა, რომ ეს კულტურა ძვ. წ. III  
 ათასწლეულის მეორე ნახევარს მიეკუთვნება. ამ ნაშრომში იგი მაიკოპის  
 კულტურის ადრინდელ ეტაპს 2300—1900 წწ შორის აქცევდა, გვიანდელს კი  
 2100—1700 წწ. მიაკუთვნებდა და დაახლოებით 2000 წ. თვლიდა შესაძლო სახ-  
 ლვრად მათ შორის<sup>314</sup>. ეს თარიღები ა. იესენს ძირითადად მაიკოპისა და ნოვო-  
 სვობოდნაის და სხვა სამარხეული მასალების ანალიზის გზით გამოჰყავდა. იმ  
 დროისათვის ჯერ კიდევ ნამოსახლარებიდან მომდინარე მასალები, თუ არ ჩავთ-  
 ვლით ნაღჩიის მახლობლად მდებარე დოლინსკოეს ნამოსახლარს, თითქმის ცნო-  
 ბილი არ იყო. მთელი რიგი მკვლევარებისა ეყრდნობოდნენ ამ ნამოსახლარის  
 სტრატეგრაფიას და აღნიშნავდნენ, რომ დოლინსკოეს გვიანი კომპლექსი ნო-  
 ვოსვობოდნაის ყორღანს შეესატყვისება, უფრო ადრეული კი — მაიკოპისას<sup>315</sup>.  
 მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნა ა. ფორმოზოვმა, ეს ნამოსახლარი  
 მთლიანად მაიკოპის კულტურის გვიანდელ სტადიას უნდა მიეკუთვნებოდეს და  
 მისი უფრო ადრეული თარიღისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს<sup>316</sup>.  
 შემდეგში, უფრო გვიან, ა. იესენმა ერთგვარი შესწორება შეიტანა მაიკოპის  
 კულტურის დათარიღების საკითხში და იგი მთლიანად ძვ. წ. III ათასწლეულის  
 მეორე ნახევრის ფარგლებში მოაქცია; მაიკოპის ეტაპი 2500—2400 წწ. მიაკუთ-  
 ვნა, ნოვოსვობოდნაისი კი 2300—2000 წწ. შორის მოათესა<sup>317</sup>. დაახლოებით  
 ამავე აზრისაა ა. ფორმოზოვი და რ. მუნჩაევი<sup>318</sup>. თუმცა სულ ახლახან ჩ. ბი-  
 ორნიმ მაიკოპის ყორღანი 2300—2200 წწ. მიაკუთვნა ძირითადად ალაჯა ჰუი-  
 უკთან ურთიერთობის შედეგად<sup>319</sup>. ამ კულტურის უფრო ზუსტი თარიღის შე-  
 სახებ ლაპარაკი ჯერ კიდევ პირა. სამწუხაროდ, სადღეისოდ თითქმის არა გვაქვს  
 მაიკოპის კულტურის რადიოკარბონული ( $C_{14}$ ) თარიღი. არსებობს  $C_{14}$  ორი თა-  
 რიღი უჩ-თეფეს ყორღანისათვის, რომელსაც, როგორც აღვნიშნავდით, ზოგი  
 ნიშნით მაიკოპის კულტურის ყორღანებს უახლოვებენ —  $2539 \pm 120$  ძვ. წ.  
 და  $2867 \pm 230$  ძვ. წ. მისი გამთხრელი ა. იესენი ამ ყორღანს ძვ. წ. III ათასწ-  
 ლეულის ბოლოს მიაკუთვნებდა<sup>320</sup>. გარდა ამისა არსებობს აგრეთვე ორი თა-

<sup>314</sup> А. А. Иессен, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 193.

<sup>315</sup> А. А. Иессен, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 168; Е. И. Крупнов, *Древняя история и культура Кабарды*, стр. 65.

<sup>316</sup> А. А. Формозов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 83; Р. М. Мунчаев, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 401.

<sup>317</sup> А. А. Иессен, *Майкопская культура и ее датировка*, стр. 21.

<sup>318</sup> А. А. Формозов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 145; Р. М. Мунчаев, *Кавказ в эпоху энеолита и ранней бронзы. Автореферат*. Тбилиси, 1971, стр. 47.

<sup>319</sup> Ch. Burney, D. M. Lang, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 63.

<sup>320</sup> А. А. Иессен, *Раскопки большого кургана в урочище Уч-Тепе, МИА*, 125, М.—Л., 1965, стр. 185.

რილი მაიკოპის კულტურის რამდენადმე გვიანდელი სამარხებისა უსტ-ჯეგუტინსკაიას სამაროვნიდან, რომლებიც III ათასწლეულის ბოლოთი თარიღდება<sup>321</sup>. ამრიგად, მაიკოპის კულტურა ძვ. წ. III ათასწლეულის თითქმის მთელ მეორე ნახევარს მოიცავს. მაგრამ, მართებული უნდა იყოს ა. იესენის მიერ ბოლო დროს გამოთქმული ვარაუდი, რომ მაიკოპის კულტურის საწყისი ეტაპები კიდევ უფრო სიღრმეში, III ათასწლეულის პირველ ნახევარში უნდა იქნას გადატანილი<sup>322</sup>. ადრე იგი ფიქრობდა, რომ მაიკოპის კულტურა თრიალეთის ყველა ჯგუფის ყორღანებზე უფრო ხნიერი უნდა იყოს, მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარზე კი რამდენადმე ახალგაზრდა<sup>323</sup>. მაგრამ, როგორც უკვე ზევით აღვნიშნავდით, ეს ორი კულტურა განვითარების გარკვეულ საფეხურზე თანაარსებობდნენ და ამას კარგად მოწმობს ჩრდილო კავკასიაში აღმოჩენილი ნამოსახლარები, სადაც მათთვის დამახასიათებელი ელემენტები ერთადაა თავმოყრილი. როდის უნდა დაწყებულიყო ამ ორი კულტურის შეხვედრები ახლა გარკვევით ძნელი სათქმელია, ყოველ შემთხვევაში, საფიქრებელია, რომ მაიკოპის კულტურის საწყის ხანაში მათ შორის კონტაქტები მაინცდამაინც საგრძნობი არ არის. როგორც ჩანს, ამ კულტურების თანხვედრა ძირითადად მაშინ იგრძნობა, როდესაც მაიკოპის კულტურის თანდათანობითი გავრცელება იწყება ყუბანისპირეთიდან. ეს პროცესი, ჩანს, უნდა დაწყებულიყო III ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყის ხანებში და შემდეგ კავკასიის ეს ორი ძლიერი დაწინაურებული კულტურა თანაარსებობს, ვიდრე გარკვეულმა მიზეზებმა მათი ჩაქრობა არ გამოიწვია. ამ კულტურების დაცემა დაახლოებით ერთ დროს ხდება, თუმცა შესაძლოა მტკვარ-არაქსის კულტურა რამდენადმე ადრე წყვეტს თავის არსებობას. ყოველ შემთხვევაში ძვ. წ. III—II ათასწლეულების მიჯნიდან კავკასიაში უკვე განსხვავებული ხასიათის კულტურები ვითარდებიან; ამიერკავკასიაში ძირითადად თრიალეთის, იმერში კი ე. წ. ჩრდილოკავკასიური კულტურები.

რამ განაპირობა კავკასიის ძვ. წ. III ათასწლეულის კულტურების დაცემა, იყო ეს მაიკოპისა და მტკვარ-არაქსის კულტურებისათვის ერთი საერთო მოვლენა, თუ მათ ჩაქრობას სხვადასხვა მიზეზები ედო საფუძვლად, ჯერჯერობით გარკვევით თქმა ძნელია. მტკვარ-არაქსის კულტურის შეცვლის მიზეზების ახსნის არა ერთი ცდა იყო, მაგრამ მაინც ეს მოვლენა სადღეისოდ სათანადოდ გაგებული არ არის. ჯერ კიდევ მთლად ნათელი არ არის, თუ რამ აძულა მოსახლეობა მტკვარ-არაქსის კულტურის ბოლოსათვის მიეტოვებინა თავისი ძველ-საცხოვრებელი ადგილები და დასახლებისათვის ახალი მიწების ძიება დაეწყო. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, მტკვარ-არაქსის კულტურა ამიერკავკასიაში უეცრად წყდება; მოუსავლიანობამ თუ სხვა ტომების აქ გამოჩენამ ამ კულ-

321 P. M. Мунчаев, *დასხ. ნაშრომი*, გვ. 47; П. М. Долуханов, В. Н. Тимофеев, *Абсолютная хронология в археологии*, М., 1972, стр. 43.

322 А. А. Иессен, *Майкопская культура и ее датировка*, стр. 22.

323 А. А. Иессен, *К хронологии «больших кубанских курганов»*, стр. 189.

ტურის მატარებელ ტომთა პირველსაცხოვრისიდან მთლიანად აყრს და სამხრეთით, სხვა ადგილებში მათი გადასახლება გამოიწვია<sup>324</sup>. ზოგი მტკვარ-არაქსისა და მის მომდევნო თრიალეთის კულტურებს შორის კავშირს ვერ ხედავს, აქ უფრო ჩრდილოური გავლენების გამოჩენაზე მიუთითებენ<sup>325</sup> და სხვადასხვა მიგრაციული ტალღების შემოჭრას უკავშირებენ მტკვარ-არაქსის კულტურის ჩაქრობის მიზეზებს<sup>326</sup> და სხვ. მაგრამ ჯერ კიდევ ბ. კუფტინი აღნიშნავდა მტკვარ-არაქსის და თრიალეთური კულტურების გენეტიურ კავშირს<sup>327</sup>. ამიტომ მტკვარ-არაქსის კულტურის დაცემის მიზეზები ძირითადად ადგილობრივ შექმნილი ვითარებით უნდა აიხსნას.

ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულისათვის მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი მიწათმოქმედი საზოგადოება ამიერკავკასიაში გარკვეულ კრიზისს განიცდის. ბარის მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ დროისათვის იძულებული გამხდარა მიეტოვებინა ძველი სამოსახლოები და საცხოვრებლად სხვა ადგილებში გადასულიყო. მართალია, ბარში ცხოვრება კვლავაც გრძელდება, მაგრამ არა ისე ინტენსიურად, როგორც მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში. ამ გარემოებას უთუოდ თავისი ღრმა მიზეზები უნდა ჰქონოდა. არ ჩანს არავითარი საფუძველი აქ მოსახლეობის მთლიანი აყრა ან კიდევ მიგრაციების შედეგად გამოწვეული რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები ვივარაუდოთ. შესაძლოა ცალკეულმა მიგრაციულმა ნაკადებმა მართლაც გარკვეული წვლილი შეიტანეს ამიერკავკასიაში III ათასწლეულის ბოლოსათვის მომხდარ ამბებში, მაგრამ ძირითადი საფუძვლები მაინც ეკონომიკაში შექმნილ ვითარებაში, ახალი სახის ურთიერთობაშია უფრო საძებარი. მეურნეობრივი ხასიათის ძვრებს, ეკონომიური ცენტრების გადანაცვლებას და სხვ. უთუოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები უნდა გამოეწვია საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მესაქონლეობის დაწინაურება მთის უფრო ინტენსიურ ათვისებას იწვევდა; სპილენძის მეტალურგიის წინსვლა, აგრეთვე, მთის ზოლთან იყო დაკავშირებული. ამას არ შეეძლო, რა თქმა უნდა, მოსახლეობის გარკვეული ნაწილის გადაადგილება არ გამოეწვია. მაგრამ, საზოგადოებაში, სადაც მიწათმოქმედება მეურნეობის წამყვანი დარგია, მოსახლეობის ბარში „ათხელების“ მაინც უფრო ღრმა მიზეზებია საძებარი<sup>328</sup>. ამ მხრივ უთუოდ მეტად საინტერესოა არქეოლოგ ი. კიკვიძის ამ მოვლენის ახსნის ცდა.

<sup>324</sup> Л. Вулпи, Материалы трех глав 2-й части I тома «История научного и культурного развития человечества». Вестник истории мировой культуры, № 1. М., 1957, стр. 101.

<sup>325</sup> С. А. Burney, Eastern Anatolia in the Chalcolithic and Early Bronze Age, 178.

<sup>326</sup> J. Mellaart, The End of Early Bronze Age in the Anatolia and the Aegean, AJA, vol. 62, № 1, 1958, 9.

<sup>327</sup> Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, стр. 105.

<sup>328</sup> ი. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბილისი, 1969. გვ. 8.

ბარზიდან მთისკენ ლტოლვის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად იგი კლიმატური პირობების ერთგვარ შეცვლას მიიჩნევს<sup>329</sup>. მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში ბარზი ტყის ინტენსიური ჩეხვა გამოწვეული იყო მიწათმოქმედების ხასიათით, მესაქონლეობის მომძლავრებით, მოსახლეობის ზრდითა და სხვ. ტყის დიდი მასივების განადგურებას არ შეიძლება საბოლოოდ გავლენა არ მოეხდინა კლიმატზე. ჰაერის გამშრალება, გვალვები, აგრეთვე ის, რომ ჭერ კიდევ ათვისებულ არ იყო ხელოვნური რწყვის ელემენტები, მოსახლეობას აიძულებდა აეთვისებინა უფრო ზომიერი კლიმატის მქონე ადგილები. ამას კი ბარზი თანდათანობით მოსახლეობის ერთგვარი „თხელება“ უნდა მოჰყოლოდა. ეს, სხვა ფაქტორებთან ერთად, უნდა ყოფილიყო ის ძირითადი მიზეზი, რის შედეგად ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოსათვის ამიერკავკასიაში მოსახლე საზოგადოების ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები უნდა მოჰყოლოდა. გარეგან ფაქტორთაგან, რომელთაც შეიძლება რაღაც გარკვეული როლი შეესრულებინა ამ დროისათვის ამიერკავკასიაში, ეგებ, ჩრდილოეთიდან წამოსულ იმპულსებიც ყოფილიყო. ზევით უკვე აღვნიშნავდით, რომ დაკრძალვის ყორღანულ წესს, რომელიც ჩვენში უფრო ფართოდ III ათასწლეულის დასასრულიდან ვრცელდება, ჩრდილოურ გავლენებს უკავშირებდნენ. ბედენური ტიპის ყორღანების გამოჩენა შესაძლოა ამის ანარეკლი იყოს. არ არის გამორიცხული, რომ ამ დროისათვის მართლაც რაღაც ნაკადები მოდის ქედს იქითა მხრიდან, რომელსაც გარკვეული გავლენა უნდა მოეხდინა ადგილობრივ საზოგადოების ცხოვრებაში. მაგრამ, როგორც ჩანს, ჩრდილოეთთან ურთიერთობის პროცესი ხანმოკლე უნდა ყოფილიყო და II ათასწლეულის დასაწყის ხანებიდან ამიერკავკასია ძირითადად კვლავ სამხრეთული გავლენების სფეროში ექცევა, რასაც შედეგად მოჰყვა თრი-ალეთური კულტურის მატარებელი საზოგადოების წარმოქმნა.

III ათასწლეულის ბოლოსათვის ჩრდილოეთიდან რომ მართლაც საკმაოდ ძლიერ ექსპანსიას უნდა ჰქონოდა ადგილი, ამას ისიც მოწმობს, რომ მკვლევართა უმრავლესობა მაიკოპის კულტურის ჩაქრობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ისწორედ სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან წამოსულ ძლიერ გავლენებს მიიჩნევენ<sup>330</sup>. შესაძლოა აქედან წამოსულმა პირველმა ტალღამ ამიერკავკასიაზედაც იქონია გარკვეული გავლენა. ჩრდილოკავკასიური კულტურა, რომელიც ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან ვრცელდება ჩრდილო კავკასიაში, მაიკოპის კულტურის საფუძველზე უნდა აღმოცენებულიყო. მაგრამ მის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა აგრეთვე სტეპებიდან წამოსულ გავლენებსაც<sup>331</sup>. ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ მაიკოპის ჩრდილოკავკასიურ კულტურაში გადაზარდა შეიძლება აიხსნას მეტალურგიაში მომხდარი მნიშვნელოვანი გარდაქმნებით, ადგილობრივი მეტალურგიული წარმოების განვითარება.

<sup>329</sup> ი. კ. კვიციანი, მორწყვა ძველ საქართველოში, თბ., 1963, გვ. 16.

<sup>330</sup> Е. И. Крупнов, Древняя история и культура Кабарды, стр. 75.

<sup>331</sup> С. В. Киселев, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

რებით და წინააზიურ სამყაროსთან ურთიერთობის შესუსტებით<sup>332</sup>. სამხრეთის ცივილიზაციებთან კავშირის შენელებით ხსნის აგრეთვე ა. ფორმოზოვი ამ მოვლენას; იგი აღნიშნავს, რომ მას შემდეგ რაც მაიკოპის კულტურის მატარებელმა ტომებმა წინა აზიასთან ურთიერთობის შედეგად საბოლოოდ აითვისეს კულტურის სამი ძირითადი კომპონენტი — მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და მეტალურგია, სამხრეთთან კავშირის სტიმული ერთგვარად შესუსტდა და კულტურის განვითარების ადგილობრივმა საფუძვლებმა წამოიწია წინ<sup>333</sup>. ყველა ამ შინაგან ფაქტორს, რა თქმა უნდა, გარეგანთან ერთად, რომელიც, ძირითადად, ჩანს, სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან მომდინარეობდა, მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა მაიკოპის კულტურის შეცვლის საქმეში. არა გვგონია მართებული იყოს ის აზრი, რომ თითქოს აქ მოსახლეობის შემადგენლობის გარკვეულ ცვლილებებთან გვეკონოდა საქმე, თანაც ახალმოსულები სამხრეთიდან, მცირე აზიიდან უნდა ყოფილიყვნენ გამოსულნი. უფრო მეტიც, ლ. სოლოვიოვი III—II ათასწლეულების მიჯნაზე მოსახლეობის შეცვლას ხედავს კოლხეთის დაბლობზედაც. ეს, მისი აზრით, მცირე აზიიდან ქაშქების კავკასიაში გადმოადგილები პირველი ეტაპი უნდა ყოფილიყო, რომლებმაც აქ მოიტანეს ახალი ფორმები თიხის ჭურჭლისა და საკუთარი მეტალურგია<sup>334</sup>. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ არავითარი საფუძველი არა გვაქვს კოლხეთის დაბლობზე და საერთოდ დასავლეთ ამიერკავკასიაში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები ვივარაუდოთ. ყოველ შემთხვევაში არქეოლოგიური მონაცემები ამის საფუძველს არ იძლევა. პირიქით, თითქოს ისე ჩანს, რომ აქ III ათასწლეულის განმავლობაში რაიმე მნიშვნელოვან გარდატეხვებს ადგილი არ ჰქონდა, თუ არ ჩავთვლით შტკვარ-არაქსის კულტურის გამოჩენას დასავლეთ საქართველოს გარკვეულ რაიონში. როგორც ჩანს, დასავლეთ ამიერკავკასიის მიწათმოქმედი საზოგადოება, კოლხური კულტურის ჩამოყალიბებამდე, როდესაც ადგილობრივი მეტალურგიული წარმოების მძლავრი აღმავლობა ხდებდა, მაინცაღამაინც დიდ ცვლილებებს არ განიცდის. გარე სამყაროსთან კონტაქტებს, ჩანს, არც თუ ისე ძლიერი გავლენა მოუხდენია ადგილობრივ მოსახლეობაზე. მიწათმოქმედი საზოგადოება შესაძლოა აქ შედარებით მშვიდსა და რამდენადმე კარჩაკეტილ ცხოვრებას განაგრძობს. ყოველ შემთხვევაში ისე ჩანს, რომ ეს ოლქი ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულისათვის და II ათასწლეულის დასაწყის ხანებისათვის იმ დიდი მოვლენების მიღმა რჩება, რომლებსაც კავკასიაში არსებული კულტურების ნგრევა მოჰყვა შედეგად. II ათასწლეულის პირველ ნახევარში დასავლეთ ამიერკავკასიის დიდ ნაწილში არსებობას განაგრძობს კოლხეთის დაბლობის ადრეული ნამოსახლარების კულტურებზე დფუძნებული მსგავსი კულტურა.

332 В. И. Марковин, Культура племен Северного Кавказа в эпоху бронзы, стр. 116.

333 А. А. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 158.

334 Л. Н. Соловьев, დასახ. ნაშრომი, გვ. 170.



## V თ ა ვ ი

### კავკასიის უძველესი მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის

ზემოთ შევეცადეთ არქეოლოგიური მასალების სინათლეზე წარმოვედგინა ის სიტუაცია, რომელიც შეიქმნა კავკასიის ტერიტორიაზე ძველი ქვის ხანიდან მოკიდებული, ვიდრე ძვ. წ. 11 ათასწლეულის დამდეგამდე. რა თქმა უნდა, ასეთი შორეული პერიოდის ისტორიული ვითარების რეკონსტრუქციის ცდა მეტად მძიმეა და რთული, მითუმეტეს როდესაც საქმე ეხება არქეოლოგიური კულტურების ეთნიკური ინტერპრეტაციის საკითხებს. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ადრეული პერიოდისათვის მატერიალური კულტურა ეთნოგენეზის პრობლემის კვლევისათვის მყარ საფუძველს იძლევა. როგორც შესავალ ნაწილში აღვნიშნავდით, ამ დროისათვის არქეოლოგიური კულტურა უფრო მეტად შეესაბამებოდა ეთნიკურ ერთობას. არქეოლოგიური მონაცემები ადრეული ხანის უძველესი ხალხების ისტორიის აღდგენის, მათი კულტურული და ეთნიკური ძირების კვლევის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა<sup>1</sup>.

რა თქმა უნდა, ეთნოგენეზის პროცესების შესწავლა საერთოდ უფრო ფართო, კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. ადრე ხალხთა წარმომავლობას ძირითადად ენობრივი მასალების საფუძველზე იკვლევდნენ<sup>2</sup>. ადრეული ეთნოგენეზის კვლევაში ლინგვისტურ მონაცემებს მართლაც დიდი წვლილის შეტანა შეუძლია. არიან ხალხები, რომელთა ადრეული ისტორიის რეკონსტრუქციისათვის

<sup>1</sup> Д. А. Удадьцов, Роль археологического материала в изучении вопросов этногенеза в свете работ И. В. Сталина о языке. Против вульгаризации марксизма в археологии. М., 1953, стр. 13.

<sup>2</sup> Ю. В. Бромлей, Этнос и этнография. М., 1973, стр. 237.

ენობრივ და კულტურულ ერთობათა ურთიერთობის გარკვევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ეს ითქმის აგრეთვე კავკასიის მოსახლეობის უძველესი ისტორიის მიმართაც. ამიტომ ამ პრობლემის ლინგვისტურ-არქეოლოგიური კვლევა დიდ პერსპექტივებს სახავს.

როგორც ცნობილია, კავკასიაში მოსახლე უძველესი ტომების წარმოშობის, ეთნოკულტურული ერთობის საკითხებმა კარგა ხანია მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. მისი მოსახლეობის სიჭრელე ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა და უკვე ძველ ავტორებთან ამ საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა ცნობებს ვხვდებით. კავკასიის მოსახლეობის ეთნოგენეზის პრობლემა უკვე კარგა ხანია ძირითადად ენათმეცნიერთა ინტერესის სფეროს შეადგენდა და ლინგვისტური მონაცემების ინტერპრეტაციის შედეგად არა ერთი და ორი მოსაზრება გამოთქმულა. მართალია ბოლო დროს ამ პრობლემის კვლევამ ჩვენში უფრო ფართო ხასიათი მიიღო, მაგრამ მაინც კავკასიის უძველესი მოსახლეობის წარმომავლობის, პირველსაცხოვრისის, ეთნოკულტურული, ეთნოლინგვისტური და სხვ. საკითხებში ჯერ კიდევ ბევრი რამ გაურკვეველი რჩება. ზევით უკვე აღვნიშნავდით, რომ ეთნოგენეზის პრობლემა ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი ურთულესი უბანია. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ კავკასიის სინამდვილეში იგი კიდევ უფრო მეტ სირთულეებს აწყდება. კავკასიის რელიეფი, მისი განსაკუთრებული მდებარეობა ევროპისა და აზიის შესაყარზე და სხვ. ტომთა გათიშვას უწყობდა ხელს; იგი ადრიდანვე ხალხთა მოძრაობის ასპარეზი გახდა. ეს ვითარება იმთავითვე კარგად გამოჩნდა კავკასიური ენების შესწავლასთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, მიუხედავად იმისა, რომ ამ ენების კვლევას უკვე კარგა ხნის ისტორია აქვს, მათ შესახებ მეცნიერებაში სადღეისოდ ერთი გარკვეული აზრი არ არსებობს. ეს სიძნელე უპირველეს ყოვლისა იმაში გამოიხატება, რომ ამ საკითხების კვლევას შორეულ ეპოქაში გადავყავართ, კერძოდ კი იმ ხანაში, რომელსაც ენობრივი მონაცემები ჯერ კიდევ ვერ წვდება. მართალია ამ ბოლო დროს კავკასიის ცალკეულ ენათა ფუძე-ენის დონეზე დაყვანის ცდებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწია<sup>3</sup>, მაგრამ უფრო ღრმად საერთო კავკასიურის აღდგენა სადღეისოდ მეტად პრობლემატური ჩანს. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, არქეოლოგიურ მონაცემებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება; მათი ინტერპრეტაციის საფუძველზე შესაძლოა მეტნაყლებად იმ სიტუაციის წარმოდგენა, რომელიც კავკასიური ერთობის დაშლამდე შეიქმნა აქ. ლინგვისტური და არქეოლოგიური მონაცემების ანალიზის საფუძველზე უთუოდ გარკვეული სინათლის შეტანა იქნება შესაძლებელი კავკასიაში ადრე შექმნი-

<sup>3</sup> Е. А. Бокарев, Введение в сравнительно-историческое изучение дагестанских языков. Махачкала, 1961, стр. 17.

ლი ვითარების შესწავლაში<sup>4</sup>. მაგრამ, სამწუხაროდ, კონტაქტი მეცნიერების ამ ორ დარგს შორის კავკასიის სინამდვილეში ჯერ კიდევ მეტად სუსტია. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ჩანს, ლინგვისტიკებისა და არქეოლოგიების ერთობლივი კვლევის ფორმა ეთნოგენეტიური საკითხების შესწავლის საქმეში ჯერ კიდევ მეტ სრულყოფას მოითხოვს<sup>5</sup>.

ზევით შევეცადეთ არქეოლოგიური მასალების შუქზე კავკასიის ტერიტორიაზე ადამიანთა საზოგადოების ჩასახვა-ჩამოყალიბებისა და მისი თანდათანობითი განვითარების პროცესისათვის გაგვედევნებინა თვალი. შეიძლება თუ არა ამ მონაცემებზე დაყრდნობით კავკასიაში უძველესი მოსახლეობის ეთნიკური და კულტურული ერთობის არსებობა გვეპარაუდნა და შემდეგში როგორ უნდა წარმართულიყო ამ ერთობის დაშლის პროცესი, რის შედეგადაც კავკასიის მოსახლეობის ძირითადი ჯგუფები უნდა წარმოქმნილიყო. როგორი ლინგვისტიური სიტუაცია იყო კავკასიაში ამ დროს, ახლა ძნელი სათქმელია, მაგრამ საფიქრებელია, რომ ამ პერიოდში მიმდინარეობდა, ალბათ, აგრეთვე, კავკასიური ენების ძირითადი ჯგუფების ჩამოყალიბების პროცესი. მაგრამ როგორ წარიმართა საერთო კავკასიური ენობრივი ერთობის დაშლა, ამის შესახებ კავკასიურ ენათა შესწავლის დღევანდელი დონის საფუძველზე, სამწუხაროდ, გარკვევით არაფრის თქმა არ შეიძლება. ეს ენები უკვე იმდენად შორს არიან ერთმანეთისაგან, რომ მათ საერთო წარმომავლობაზე, მონათესაობაზე, ეჭვიც კია მიტანილი. როდესაც აკად. ივ. ჯავახიშვილი ამ ენათა თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობის საკითხის შესწავლას იწყებდა, აღნიშნავდა, რომ კავკასიური ენების ნათესაობის აზრი უფრო რწმენას მიაგავს, ვიდრე სამეცნიერო ჰიპოთეზას<sup>6</sup>. ენობრივი მასალების ანალიზის საფუძველზე იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კავკასიური ტომები მონათესავენი არიან და მათ თავდაპირველად ერთი საერთო ენაც კი უნდა ჰქონოდათ. მაგრამ დროს იმდენად დიდი და ფართო ცვლილებები შეუტანია, რომ ენათა დამოუკიდებელ, გარეგნულად უცხო ჯგუფებად უქცევია<sup>7</sup>. კავკასიურ ენათა გენეტიური ერთიანობის საკითხი ფართოდაა გავრცელებული ენათმეცნიერთა შორის<sup>8</sup>. იბერიულ-კავკასიური ენათ-

<sup>4</sup> თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგი ლინგვისტის აზრით თითქოს კავკასიის არქეოლოგიური მონაცემები არ ეყრდნობა კავკასიის ორი ფერდობის ხალხთა პირველადი ერთობის ჰიპოთეზას (იხ. პ. ფოქტი, ბასკური და კავკასიური ენები, მიომომხილველი, 6—9, თბ., 1972, გვ. 300).

<sup>5</sup> AJA, vol. 75, № 4, 1971; რევენზია ფიგნზე — Indo-European and Indo-Europeans, Philadelphia, 1970. გვ. 437.

<sup>6</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილისი, 1937, გვ. 91.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 622.

<sup>8</sup> E. A. Бокарев, Задачи сравнительно-исторического изучения кавказских языков, ВЯ, № 3, М., 1954, стр. 43; К. В. Ломтатидзе, Некоторые вопросы иберийско-кавказского языкознания, ВЯ, № 4, М., 1954, стр. 76.

მეცნიერების ძირითადი დებულებაა, რომ ნათესაური თვისება ამ ენებში პირველადი, ნაირგვარობა კი მეორეული მოვლენა<sup>9</sup>. თუმცა ზოგი, პირიქით, მათანამედროვე მსგავსებას თვლის მეორეულად<sup>10</sup>. აკად. ა. ჩიქობავას აზრით, იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის პრობლემის კვლევა შეიძლება სამ საუბურად დაიყოს: ამ ენათა ცალკეული ჯგუფების შინაგანი ნათესაობა, მონათესაობა ცალკეულ ჯგუფებს შორის და ბოლოს იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობა წინა აზიის არაინდოევროპულ და არასემიტურ ენებთან<sup>11</sup>. რაც უფრო მეტად შევიკრებით ისტორიის სიღრმეში, მით უფრო მეტი საერთო აღმოჩნდება ამ ენებში<sup>12</sup>. მაგრამ კავკასიურ ენათა ურთიერთობის შესახებ უკვე კარგა ხანია განსხვავებული აზრიც არსებობს. მართალია, კავკასიურ ენებში საერთო ნიშნები შეიმჩნევა, მაგრამ ამავე დროს საგრძნობი სხვაობაც ჩანს. შედარებით ისტორიული კვლევა კავკასიური ენებისა ვერ კიდევ ვერ იძლევა იმ შედეგებს, რომლებიც მიღებულია სხვა ენობრივი ჯგუფების მიმართ (ინდოევროპული, სემიტური და სხვ.). კავკასიურ ენათა ჯგუფებს შიგნით დაშორება უკვე ძალიან ღრმადაა წასული (მაგ. სვანური ისევე შორსაა ქართულისაგან, როგორც ლიტვური რუსულისაგან)<sup>13</sup>. ზოგიერთი მკვლევარი ქართველურსა და ჩრდილოკავკასიურ ენათა შორის ნათესაობის საფუძველს ვერ ხედავს (ნ. ტრუბეცკოი, ე. დიუმეზილი და სხვ.). ქართველურ ენათა ნათესაობა ჩრდილოკავკასიურ ენებთან ჭარბობით არ შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს<sup>14</sup>. ამ ენათა გენეტიური ურთიერთობის საკითხი ჯერ ისევ რჩება საგანი რწმენისა, ვიდრე ცოდნისა<sup>15</sup>. ზოგიერთი მკვლევარი კავკასიურ ენათა შორის კავშირს საერთოდ ვერ ხედავს<sup>16</sup>. (გ. დეეტერსი, ე. შმიდტი და სხვ.). ცნობილი ენათმეცნიერი პ.

<sup>9</sup> ა. ჩიქობავა, თბილისის უნივერსიტეტი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVII, თბილისი, 1970, გვ. 14.

<sup>10</sup> პ. ფოქტი, ბასკური და კავკასიური ენები, მიმოხილველი, 6—9, თბილისი, 1972, გვ. 300.

<sup>11</sup> А. Чикобава, Проблема родства иберийско-кавказских языков. Материалы первой сессии по сравнительно-историческому изучению иберийско-кавказских языков. Махачкала, 1969, стр. 15.

<sup>12</sup> А. С. Чикобава, О двух основных вопросах изучения иберийско-кавказских языков, ВЯ, № 6, Москва, 1955, стр. 75.

<sup>13</sup> Г. А. Климов, Кавказские языки. М., 1965, стр. 61.

<sup>14</sup> გ. მაქავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965, გვ. 6. H. Fähnrich, Die historisch-vergleichende Sprachwissenschaft und iber-kaukasische Hypothese, Wissenschaftliche Zeitschrift, 22 Jahrgang, Heft 3, Jena, 1973, 401.

<sup>15</sup> გ. წერეთელი, სონანტებისა და აბლაუტის თეორიის გასო ქართველურ ენებში: თ. გამყრელიძე, გ. მაქავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965, გვ. 027.

<sup>16</sup> G. Deeters, Die Stellung der khartvelsprachen unter der kaukasischen Sprachen, Revue Karthvelologie, 23, Paris, 1957, 12.

ფოქტი, რომელმაც თავდაპირველად გაიზიარა საკითხი კავკასიურ ენათა მონათესაობის შესახებ, ახლა უფრო იმ აზრისაა, რომ საერთოკავკასიური ფუძენის აღდგენა მეტად პრობლემატური საკითხია. იგი ფიქრობს, რომ შესაძლოა ჩრდილოეთისა და სამხრეთის ენებს ერთი საერთო საწყისი არ ჰქონდათ<sup>17</sup> და შენიშნავს, რომ ჩრდილოკავკასიის ენების ქართველურთან დაკავშირების ცდა მაინცდამაინც წარმატებით არ დაგვირგვინებულა. კავკასიური ენების ბასკურთან მიმართების საკითხთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ თვით ჩრდილო და სამხრეთ კავკასიური ენების ნათესაობა დამტკიცებული არ არის<sup>18</sup>. ის ზოგიერთი სიახლოვე ამ ენათა შორის შეიძლება მეორეული მოვლენა იყოს და კავკასიაში მოსახლე ტომების დიდხანს ერთად ცხოვრების შედეგით აიხსნას!<sup>19</sup>. ამ ბოლო ხანს გამოსულ თავის წერილში ჰ. ფოქტი კავკასიურ ენებთან დაკავშირებით აყენებს კითხვას იმის შესახებ, არის თუ არა შესაძლებელი ინდოევროპული ენებისათვის, სადაც განსაკუთრებული ხელსაყრელი პირობები იყო კვლევისათვის, გამოყენებული მეთოდი მიუყუენოთ სხვა ენებს, რომელთა საერთო წარმომავლობაა სავარაუდო. კავკასიური ენების მიმართ იგი აღნიშნავს, რომ ამ ენათა ლინგვისტური სისტემის ბუნება არ უწყობს ხელს მათი საერთო წარმომავლობის კვლევას. თუ კავკასიურ ენებს მონათესავე ენებად მივიჩნევთ. მაშინ მათი თავდაპირველი ერთიანობის დადგენისათვის მოგიხდება ძალიან შორეულ ეპოქაში, ძვ. წ. II ან III ათასწლეულებში ჩახედვა. იგი ჩამოთვლის აგრეთვე სხვა სიძნელებსაც ამ საკითხებთან დაკავშირებით<sup>20</sup>. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ინდოევროპულის მიმართაც უკვე კარგა ხანია ეპქია მიტანილი მისი წინარე ენის რეკონსტრუქციის შესაძლებლობის შესახებ<sup>21</sup>. ა. მეიეს შეუძლებლად მიაჩნდა ინდოევროპული ფუძე-ენის აღდგენა<sup>22</sup>. ზოგიერთ ენათმეცნიერს წინარეინდოევროპულის არსებობა ახლაც ისევ მეცნიერულ ფიქციად მიაჩნია<sup>23</sup>. ცნობილი ენათმეცნიერი ნ. ტრუბეტკოვი პირდაპირ აღნიშნავს, რომ არავითარი საფუძველი არა გვაქვს იმისა, რამაც შეიძლება ინდოევროპული წინარე ენის არსებობა გვაფიქრებინოს, საიდანაც თითქოს უნდა გან-

<sup>17</sup> ჰ. ფოქტი, ბასკური და კავკასიური ენები, მიწმობილველი, 6—9, თბ., 1972, გვ. 300.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 289, 298.

<sup>19</sup> H. Vogt, Remarque sur la prehistorie des Langues Kharthveliennes, *Revue Karthvelologic*, vol. XI—XII, № 36—37, Paris, 1961, გვ. 5.

<sup>20</sup> Г. Фогт, Индоевропейские языки и сравнительные методы, ВЯ, № 4, М., 1971, стр. 36—41.

<sup>21</sup> Т. А. Дегтерева, Пути развития современной лингвистики, I, М., 1961, стр. 12.

<sup>22</sup> А. Мейс, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков. М.—Л., 1938, стр. 80.

<sup>23</sup> В. Пизани, К индоевропейской проблеме, ВЯ, № 4, 1966, стр. 9.

ვითარებულები ყველა ინდოევროპული ენები<sup>24</sup>. თუმცა იგი აღნიშნავს, აგრეთვე, რომ მოსაზრება ინდოევროპულის წინარე ენის არსებობის შესახებ სრულიად შეუძლებლად არ შეიძლება მივიჩნიოთ<sup>25</sup>. მოსაზრება, რომ ინდოევროპულ ენათა ოჯახი წარმოიქმნა არამონათესავე ენათა კონვერგენტური განვითარების შედეგად, აღნიშნავს იგი, ისევე მისაღებია, როგორც დებულება, რომ ინდოევროპული ენები განვითარდნენ ერთი საერთო ენიდან დივერგენტული ევოლუციის შედეგად<sup>26</sup>.

უკანასკნელ ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ სტრუქტურულ-ტიპოლოგიური პარალელები კავკასიურ ენებში შეიძლება გამოდგეს ამ ენათა სავარაუდოდ, შორეული ნათესაობის ჰიპოთეზისათვის<sup>27</sup>. თვით ქართველურ ფუძე-ენაში არსებული კავკასიური სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ფენა შეიძლება ქართველურისა და ჩრდილო კავკასიურ ენათა სავარაუდოდ გენეტიური სიახლოვის შედეგი იყოს<sup>28</sup>. ქართველური სტრუქტურული ტიპი შეიძლება დახასიათდეს როგორც გარდამავალი აფხაზურ-ადიღეურსა და ნახურ-დაღესტნურს შორის<sup>29</sup>. კავკასიური ენების ეს სავარაუდოდ ნათესაობა იმდენად შორეულ ეპოქაში გადადის, რომ მნიშვნელოვანი ლექსიკური მასალა ძნელად მოაღწევდა ჩვენამდე<sup>30</sup>, მითუმეტეს, რომ იგი საერთოდ იმ დროისათვის შედარებით შეზღუდული იქნებოდა<sup>31</sup>. კავკასიაში, განსაკუთრებით ადრეულ ეტაპებზე, ხელსაყრელი პირობები უნდა ყოფილიყო ენათა უფრო ღრმა დაცილებისათვის<sup>32</sup>. გ. კლიმოვი, რომელიც ზოგჯერ თითქოს უშვებს კავკასიურ ენათა სავარაუდოდ ნათესაობის შესაძლებლობას, აღნიშნავს, რომ ჰიპოთეზა კავკასიური ენების შინაგანი ნათესაობის შესახებ ჯერჯერობით წინ არ წასულა<sup>33</sup> და არც ამის დასაბუ-

24 Н. Трубецкой, Думы об индоевропейской проблеме, ВЯ, № 1, М., 1958, стр. 67.

25 იქვე, გვ. 66.

26 იქვე, გვ. 68.

27 Г. А. Климов, Абхазоадыгско-картвельские лексические параллели. Этимология, 1967, М., 1969, стр. 287.

28 Г. И. Мачавариани, К вопросу об индоевропейско-картвельских (южно-кавказских) типологических параллелях. VII международный конгресс антропологических и этнографических наук. М., 1964, стр. 6.

29 Г. А. Климов, О гипотезе внутреннего родства кавказских языков. Вопросы языкознания, 6, М., 1968, стр. 22; Его же, О внешних связях картвельских языков. Вопросы языкознания, 6, М., 1970, стр. 39; Т. В. Гамкрелидзе, Современная диахроническая лингвистика и картвельские языки. Вопросы языкознания, 2, М., 1971, стр. 29.

30 Г. А. Климов, О гипотезе внутреннего родства кавказских языков, стр. 25.

31 Г. А. Климов, Кавказские языки. М., 1965, стр. 76.

32 Г. А. Климов, О гипотезе внутреннего родства кавказских языков, стр. 25.

33 იქვე, გვ. 16.

თების პერსპექტივა ჩანს მაინცდამაინც<sup>34</sup>. ჯერ კიდევ მთლად ნათელი არ არის ქართველურის ურთიერთობა ჩრდილოკავკასიურ ენებთან<sup>35</sup>. იგი უშვებს შესაძლებლობას, რომ საერთო კავკასიური ენობრივი პარალელების სიმცირე შეიძლება შედეგი იყოს იმისა, რომ აქ არც არსებობს თვით ფაქტი ნათესაობისა<sup>36</sup>. საგარაუდო ნათესაობა იმდენად შორს მიდის სიღრმეში, რომ ძალიან რთული იქნება ამის შესაძლებელი დასაბუთება<sup>37</sup>. სულ ახლახან ქართველური და კავკასიური ენების გენეტიური ურთიერთობის საკითხებს შეეხო თ. გამყრელიძე. მისი აზრით, ამ ენათა ნათესაობის ჰიპოთეზა ჯერჯერობით მეცნიერულად დასაბუთებული არ ჩანს, ჯერ კიდევ არ არის შესაძლებლობა მათი გენეტიური ნათესაობის კატეგორიული მტკიცებისათვის და არც ცალკე გენეალოგიური ოჯახის „იბერიულ-კავკასიური ენების“ გამოყოფის საფუძველი არსებობს<sup>38</sup>. ნათესაობის ვარაუდი მის საბოლოო დამტკიცებას სულაც არ ნიშნავს<sup>39</sup>. თ. გამყრელიძე ფიქრობს, რომ ის საერთო სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ნიშნები, რომლებიც შეინიშნება ჩრდილოკავკასიურ და ქართველურ ენათა შორის, არ არის საკმარისი ენათა გენეტიური ურთიერთობის დასაბუთებისათვის. იმის გამო, რომ ჯერჯერობით არ არის დადგენილი ფონემათა შესატყვისობა კავკასიურ ენათა ცალკეულ ჯგუფებს შორის, ნაადრევია გადაჭრით ლაპარაკი ამ ენათა ნათესაობის შესახებ<sup>40</sup>. ნ. ტრუბეცკოი ლინგვისტური ნათესაობის დასამტკიცებლად ფონეტიკურ შესატყვისობას მიაწერდა უპირატეს როლს. კავკასიურ ენათა შესახებ იგი კერძოდ წერდა, რომ სანამ დადგენილი არ იქნება შესატყვისები ქართველურ და ჩრდილოკავკასიურ ენათა ფონემებს შორის, ამ ენათა ლინგვისტურ ერთიანობაზე ლაპარაკის უფლება არა გვაქვს<sup>41</sup>. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ჰ. ფოქტმა ზემოაღნიშნულ თავის ახალ წერილში კომპარატივისტიკის კლასიკური მეთოდი ფონემათა შესატყვისობის შესახებ ეჭვის ქვეშ დააყენა<sup>42</sup> და პირიქით. იმას აღნიშნავდა, რომ კავკასიურ ენებში ფონემური თვალსაზრისით ერთიანობამ ილუზია არ უნდა შეგვიქმნას<sup>43</sup>.

<sup>34</sup> Г. А. Климов, О внешних связях картвельских языков, стр. 41.

<sup>35</sup> იქვე, გვ. 45.

<sup>36</sup> იქვე, გვ. 43.

<sup>37</sup> Г. А. Климов, Кавказские языки, стр. 76; Г. А. Климов, Заимствованные числительные в общекартвельском. Этимология. М., 1967, стр. 307.

<sup>38</sup> Т. В. Гамкрелидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

<sup>39</sup> Т. В. Гамкрелидзе, Современная диахроническая лингвистика и картвельские языки, стр. 44.


<sup>40</sup> იქვე, გვ. 43.

<sup>41</sup> ნ. ტრუბეცკოი, ჩრდილო-კავკასიურ ენათა ლატერალური თანხმოვნები, მიმოზილველი, 6—9, თბილისი, 1972, გვ. 264.

<sup>42</sup> Г. Ф о г т, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

<sup>43</sup> ჰ. ფოქტი, ბასკური და კავკასიური ენები, მიმოზილველი, 6—9, თბილისი, 1972, გვ. 289.

ჭერ კიდევ ცნობილი ენათმეცნიერი ა. მეიე აღნიშნავდა, რომ თუ კავკასიურ ენათა ერთობა როდისმე არსებობდა, ეს უნდა ყოფილიყო შორეულ ხანაში, V—IV ათასწლეულებში და ეგებ უფრო ადრეც. იგი უშვებდა ამ ენათა ნათესაობას, მაგრამ ეჭვობდა ამის დასაბუთების შესაძლებლობას<sup>44</sup>. ი. დიაკო-



რუკა 6. კავკასია ძვ. წ. V—IV ათასწლეულებში.

ნოვის აზრით, თუ დავუშვებთ იმას, რომ, კავკასიური ენები ერთი საერთო ფუძე-ენიდან მომდინარეობენ, მაშინ მას ძალიან ადრეულ ხანაში უნდა ეარსებნა. ერთიანი კავკასიური ენათა ოჯახი ადრე სამ ძირითად შტოდ დაიყო: 1. აღმოსავლურ-კავკასიური, რომელშიც შედიოდა ხური-ურარტული და ნახურ-დალესტნური, 2. დასავლურ-კავკასიური ენები, რომელიც აერთიანებდა აფხაზურ-ადიგურს და ეგებ ხატურს და 3. ცენტრალურ-კავკასიური, რომელშიც შედიოდა ქართველური<sup>45</sup>. აკად. გ. მელიქიშვილი ფიქრობს, რომ არ არის გამორიცხული ტიპო-

<sup>44</sup> Ю. В. Зыцарь, О родстве баскского языка с кавказскими, ВЯ, 5, М., 1955, стр. 52.

<sup>45</sup> И. М. Дьяконов, Языки древней Передней Азии, М., 1967, стр. 24, სკოლი.



ლოგიური სიახლოვე, რომელსაც კავკასიური ენები ავლენენ, ოდესღაც, ადრე არსებული, გენეტიური ერთიანობის შედეგი იყოს. ეს ისეთ შორეულ ეპოქაში გადადის, რომ დიფერენციაცია უნდა განეცადა მარტივ მასალას. ამიტომაც ამ ენათა ნათესაობის ჩვენება ძალიან რთულდება<sup>46</sup>.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წინაშე, გარდა კავკასიურ ენათა შიგნით არსებული ნათესაობის საკითხისა, დგას აგრეთვე მეორე პრობლემაც, კერძოდ, ამ ენათა მიმართება წინა აზიის ძველ ენებთან. იბერიულ-კავკასიური ენები უკავშირდებიან უფრო ფართო ენათა ერთობას, ხეთურ-იბერიულს, როგელშიაც შედიოდნენ წინა აზიის მკვდარი ენები: უშემრული, ხურიტული, ხატური და სხვ.<sup>47</sup> მეცნიერთა წინაშე უკვე კარგა ხანია დგას საკითხი წინა აზიის არასემიტური, არაინდოევროპული ენების გენეტიური კავშირისა კავკასიურ ენებთან<sup>48</sup> და არა ერთი და ორი მოსაზრება გამოითქვა ამ ენათა დამოკიდებულების შესახებ<sup>49</sup>. ზოგიერთი მკვლევარი ვერ ხედავს კავკასიური ენების გენეტიური კავშირის შესაძლებლობას ძველადმოსავლურ ენებთან<sup>50</sup>. ზოგიერთი. პირიქით, უშვებს ამგვარ შესაძლებლობას<sup>51</sup>. არა ერთი ცდა იყო წინა აზიის ცალკეული მკვდარი ენის კავკასიურ ენებთან დაახლოებისა<sup>52</sup> (მაგ. ქართველურის უშემრულთან<sup>53</sup> და სხვ.). ბოლო დროს სულ უფრო და უფრო გამოითქმის

<sup>46</sup> გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, გვ. 119.

<sup>47</sup> ა. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, თბ., 1946, გვ. 230; А. С. Чикобава, О двух вопросах изучения иберийско-кавказских языков, стр. 78; А. С. Чикобава, Проблема родства иберийско-кавказских языков. Материалы первой сессии по сравнительно-историческому изучению иберийско-кавказских языков. Махачкала, 1969, стр. 10.

<sup>48</sup> А. Чикобава, Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, II, 1948, გვ. 255.

<sup>49</sup> ა. ჩიქობავა, თბილისის უნივერსიტეტი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, გვ. 8.

<sup>50</sup> Е. А. Бокарев, Задачи сравнительно-исторического изучения кавказских языков, стр. 53.

<sup>51</sup> ჰ. ფოქტი, ბასკურ-კავკასიური ენები, გვ. 282; А. В. Десницкая, Вопросы изучения древних языков Малой Азии и сравнительная грамматика индоевропейских языков, ВЯ, 2, М., 1952, стр. 43.

<sup>52</sup> Н. Я. Марр, Кавказоведение и абхазский язык. Современная летопись. Новая серия, 1, XIII, № 5, 1916, стр. 14.

<sup>53</sup> М. V. Tseretheli, Eine kleine Bemerkung zur Frage der Vorfahren der Georgier, Revue Karthvelologie, № 23, Paris, 1957, გვ. 12. ქართულ-უშემრული ურთიერთობის პრობლემა უკვე კარგა ხანია მიიპყრო მეცნიერთა ყურადღება (ჯ. შარაშიძე, ქ. თოფრია, უშემრები და მათი კულტურა, ცისკარი, 2, 1973, გვ. 121); ცნობილი უშემრულოცე. ქრისტინი პირდაპირ აღნიშნავდა, რომ უშემრულსა და კავკასიურ ენებს შორის ანალოგიები და შესატყვისები იმდენად ბევრია და იმდენად სპეციალური, რომ ძნელია ეჭვი მივიტანოთ უშემრულისა და კავკასიურ ენათა გენეტიურ ნათესაობაზე, Die sprachliche Stellung

მოსაზრება ხატურისა და ხური-ურარტულის ურთიერთობის შესახებ კავკასიურ ენების ცალკეულ ჯგუფებთან. ხატურისა და კავკასიური ენების ურთიერთობაზე ადრევე მიუთითებდნენ მკვლევარები (ბ. გროზნი, ე. ფორერი, ი. მეშაროსი და სხვ.). ცნობილი ენათმეცნიერი ვ. გეორგიევი ხატურს უდაოდ კავკასიურის მონათესავე ენად თვლის და აგრეთვე ხურიტულისა და ურარტულის მათთან კავშირს დასაშვებად მიიჩნევს<sup>54</sup>. ზოგიერთი მკვლევარი ხატურ და კავკასიურ ენების სტრუქტურაში გარკვეულ მსგავსებას ხედავს<sup>55</sup>. ი. დუნაევსკაის აზრით, ხატური სტრუქტურულად მნიშვნელოვან მსგავსებას ავლენს კავკასიურ ენებთან, განსაკუთრებით აფხაზურ-ადიღეურთან<sup>56</sup>. ამ სტრუქტურული მსგავსების შემდეგ არ არის გამორიცხული აგრეთვე მატერიალური კავშირის დადგენა<sup>57</sup>. ი. დიაკონოვი აღნიშნავს, რომ სტრუქტურული სიახლოვე აფხაზურ-ადიღეურსა და ხატურს შორის ძალიან დიდია: ჩანს, აგრეთვე, სხვა მსგავსებანიც და ამიტომ არსებობს ამ ენათა ნათესაობის საფუძველი<sup>58</sup>. შეინიშნება, მართალია რამდენადმე უფრო ნაკლებად, სტრუქტურული და სხვა ნიშნების სიახლოვე ხატურსა და ქართველურს შორის<sup>59</sup>. ი. დიაკონოვი ფიქრობს, რომ ხატური შეიძლება მივიჩნიოთ აფხაზურ-ადიღეურ ჯგუფიდან ადრე გამოყოფილ ენად ან კიდევ დავუშვათ ხატურის ადგილი აფხაზურ-ადიღეურსა და ქართველურს შორის<sup>60</sup>. არ ჩანს რაიმე ნიშნები ხატურის მსგავსებისა კავკასიური ენების მესამე ჯგუფთან — ნახურ-დაღესტურთან<sup>61</sup>. თუმცა ისიც ითქვა, რომ თუ

des Sumerischen. „Babloniaca“, 12, 1931—32. ნ. ხოლმერი შემერულ ენას იბერიულ-კავკასიურ ტიპს აკუთვნებს, N. H. Holmer, Ibero-Caucasian as a linguistic type, *Studia linguistica*, 1, 1947, იბ. Т. А. Дектерева, დასახ. ნაშრომი, გვ. 46. მსგავსებას ხედავს ზ. კიკნაძე ქართველურსა და შემერულს შორის (იბ. З. Кикнадзе, Шумеро-картвельские языковые параллели, *Вопросы древней истории*, Тбилиси, 1977, стр. 66). თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ შემერულის თითქმის ყველა ენათა ოჯახთან დაკავშირების ცდები იყო ი. დიაკონოვის აზრით, შემერულის ნათესაური კავშირი გერჯერობით არც ერთ ენასთან დადგენილი არ არის (И. М. Дьяконов, *Языки древней Передней Азии*, Москва, 1967 стр. 83).

<sup>54</sup> В. Георгиев, *Вопросы родства средиземноморских языков*, ВЯ, 4, М., 1954, стр. 70.

<sup>55</sup> А. В. Десницкая, *О хеттском языке*; И. Фридрих, *Краткая грамматика хеттского языка*. М., 1952, стр. 8.

<sup>56</sup> И. М. Дунаевская, *О структурном сходстве хаттского языка с языками Северо-Западного Кавказа. Исследования по истории культуры народов Востока*. М.—Л., 1960, стр. 74.

<sup>57</sup> И. М. Дунаевская, *Принципы структуры хаттского (протохеттского) глагола. Переднеазиатский сборник*. М., 1961, стр. 134.

<sup>58</sup> И. М. Дьяконов, *Языки древней Передней Азии*, стр. 172.

<sup>59</sup> И. М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 175.

<sup>60</sup> И. М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 176; მისივე, *Предыстория армянского народа*. Ереван, 1968, стр. 12.

<sup>61</sup> И. М. Дьяконов, *Языки древней Передней Азии*, стр. 176.

დამტკიცდება ხატურის ნათესაობა ერთ რომელიმე კავკასიურ ენასთან, მაშინ დანარჩენ კავკასიურ ენებთან მას გენეტიური კავშირი ექნება<sup>62</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მკვლევარი ქართველურსა და ხატურს შორის კავშირს საერთოდ ვერ ხედავს<sup>63</sup>. გამოითქვა მოსაზრება, რომ პროტოხეთების (ხატების) პირველსაცხოვრისი უფრო აღმოსავლეთით, მთიანეთის რაიონში უნდა ყოფილიყო და ანატოლიის ჩრდილო ოლქებში პროტოხეთური ელემენტი შედარებით გვიან ჩნდება<sup>64</sup>. გ. მელიქიშვილის ამ ახალ დებულებას გამოეხმაურა ვ. გიორგიევი და აღნიშნა, რომ ხატური ელემენტები ხეთურში სუბსტრატს კი არ წარმოადგენდნენ, როგორც ეს აქამდე იყო მიღებული, არამედ სუბპერსტრატს<sup>65</sup>.

ამ ბოლო დროს აღინიშნა ხური-ურარტული ენის ნახურ-დაღესტნურთან სიახლოვის შესაძლებლობა. საკუთრივ ხურიტულისა და ურარტულის ნათესაობის საკითხი ექვს არ უნდა იწვევდეს<sup>66</sup>. ეს ენები ერთი საერთო ფუძე-ენიდან უნდა მომდინარეობდნენ<sup>67</sup> და ერთ ეთნიკურ ჯგუფს შეადგენენ<sup>68</sup>. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხურების პრობლემასთან დაკავშირებით ჯერჯერობით ყველაფერი ნათელი არ არის<sup>69</sup>. ზოგი მათ კავკასიიდან გამოსულებად თვლის<sup>70</sup>, ზოგიც ხურების პირველ ადგილსამყოფელს მესოპოტამიის აღმოსავლეთით მდებარე მთიანეთში, ზაგროსის რაიონში ეძებს<sup>71</sup> და სხვ.

ხური-ურარტული ენების კავკასიურთან ნათესაობის საკითხი გამოითქვა ჯერ კიდევ ამ ენების შესწავლის დასაწყის ხანებში და ბევრიც ამ მოსაზრებას

---

<sup>62</sup> ა. ჩიქობავა, თბილისის უნივერსიტეტი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, გვ. 14.

<sup>63</sup> M. V. Tseretheli, Zur Frage der Verwandtschaft des Georgischen, *Revue Karthvelologie*. XXI–XXII, Paris, 1965, 35.

<sup>64</sup> გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 174, 189.

<sup>65</sup> В. И. Георгиев, Хетты и хатты, *Ибериულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, ტ. XVIII, 1973, გვ. 70.

<sup>66</sup> И. М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 419; С. G. Brandenstein, *Zum Churrischen Lexikon, Zeitschrift für Assyriologie*, Bd. 12, Berlin, 1946, 83. Г. А. Климов, *Кавказские языки*, стр. 78.

<sup>67</sup> И. М. Дьяконов, Сравнительно-грамматический обзор хурритского и урартского языков. *Переднеазиатский сборник*. М., 1961, стр. 422.

<sup>68</sup> И. М. Дьяконов, *Предыстория армянского народа*, стр. 17.

<sup>69</sup> В. Hroudа, *Die Churriter als Problem archäologischer Forschungen, Archaeologia geographica*, Jahrgang 7, Hamburg, 1958, 14.

<sup>70</sup> Л. Вулли. *Ур халдеев*, стр. 99; *Fiorella Imperati, I Hurriti*, Firenze, 1964, 3.

<sup>71</sup> Б. А. Куфтин, *Археологические раскопки в Триалети*. Тбилиси, 1941, стр. 124. И. Алнєв, *История Мидии*, стр. 58.

ჯდესაც იზიარებს<sup>72</sup>, თუმცა მისი სისწორე ექვევარეშე არ არის დატოვებული<sup>73</sup>. ხური-ურარტულ ენას უპირატესად ქართველურთან ურთიერთობაში განიხილავენ და ისიც აღინიშნა, რომ ხურტული შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დამაკავშირებელი რგოლი ქართველურა და ჩრდილოკავკასიურ ენათა შორის<sup>74</sup>. სულ ბოლო დროს გ. ჯაუჯიანი ხური-ურარტულ ენას ინდოევროპულთან ურთიერთობაში განიხილავს. მისი აზრით, ქართველურთან ხური-ურარტულს შორეული ნათესაობა აკავშირებს. იგი უფრო ახლო ინდოევროპულთან, ვიდრე ქართველურთან<sup>75</sup>. რაც შეეხება ხური-ურარტულის ურთიერთობას ჩრდილოკავკასიურ ენებთან, მათ შორის მაინცდამაინც ახლო კავშირი არ ჩანს<sup>76</sup>. საესებით სამართლიანად აღინიშნა, რომ გ. ჯაუჯიანის მიერ წამოყენებული ჰიპოთეზა ძნელად მისაღებია<sup>77</sup>. უფრო დამაჯერებელია არც თუ ისე დიდი ხნის წინათ გამოთქმული მოსაზრება, რომ ხური-ურარტული კავკასიური ენებიდან უფრო უახლოვდება ნახურ-დაღესტნურ ჯგუფს<sup>78</sup>, განსაკუთრებით კი ნახურს<sup>79</sup>. აღმოჩნდა რიგი ლექსიკური და მორფოლოგიური შესატყვისობანი ხური-ურარტულსა და საერთო ნახურ-დაღესტნურს შორის<sup>80</sup>. ი. დიაკონოვის აზრით, ხური-ურარტულის კავშირი კავკასიური ენების სხვა დანარჩენ ჯგუფებთან მაინცდამაინც არ შეინიშნება<sup>81</sup>. იგი ხური-ურარტულის უშუალოდ კავკასიურ ენათა ოჯახისადმი მიკუთვნების შესაძლებლობას უშვებს და მას ნახურ-დაღესტნური ჯგუფის ნაწილად მიიჩნევს<sup>82</sup>.

ამრიგად, თუ დავუშვებთ საერთო კავკასიური ერთობის სავარაუდო არსებობას, მაშინ მას ადრეულ ეპოქაში უნდა ეარსებნა. რა თქმა უნდა, ეს ერთობა ერთბაშად არ დაშლილა. უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ ფუძე-ენის დაშლა

---

72 В. Георгиев, Исследования по сравнительно-историческому языкознанию. М., 1958, стр. 211; Г. А. Меликишвили, Напри-Урарту. Тбилиси, 1959, стр. 104.

73 И. М. Дьяконов, О языках древней Передней Азии. Вопросы языкознания, 5, М., 1954, 47. M. V. Tseretheli, Eine kleine Bemerkung zur Frage der Vorfahren der Georgier, Revue Karthvelologie, № 23, Paris, 1957, 42.

74 И. М. Дьяконов, Языки древней Передней Азии, стр. 163.

75 Г. Б. Джаукян, Взаимоотношение индоевропейских, хуррито-урартских и кавказских языков. Ереван, 1967, стр. 170.

76 იქვე, გვ. 171.

77 И. М. Дьяконов, Предыстория армянского народа, стр. 19.

78 И. М. Дьяконов, Некоторые лингвистические данные к проблеме связей населения Восточного Кавказа и Закавказья с Древним Востоком в III—I тыс. до н. э. Тезисы. Баку, 1966, стр. 6.

79 И. М. Дьяконов, Предыстория армянского народа, стр. 18.

80 И. М. Дьяконов, Языки древней Передней Азии, стр. 165

81 იქვე.

82 И. М. Дьяконов, Некоторые лингвистические данные к проблеме связей населения Восточного Кавказа и Закавказья с Древним Востоком в III—I тыс. до н. э., стр. 6.

საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იყო და იგი თანდათანობით მიმდინარეობდა<sup>83</sup>: წინარე კავკასიურ ერთობას ზოგი ენა უფრო ადრე გამოეყო, ზოგიც რამდენადმე გვიან. სადღეისოდ ენობრივი მონაცემების საფუძველზე ვერ ხერხდება კავკასიური ენობრივი ერთობის ძირითად ჯგუფებად (ნახურ-დაღესტნური, აფხაზურ-ადიღეური, ქართველური) დაშლის პროცესის მეტნაკლებად წარმოდგენა. მართალია, უკანასკნელ ხანებში ჩატარდა ამ ენათა ცალკეულ ჯგუფების<sup>84</sup> ფუძე-ენის დონეზე და მათ შიგნით მიმდინარე დაშლის პროცესის აღდგენის ცდები. მაგრამ ამის იქით, უფრო ღრმად წასვლა მარტო ენობრივი მასალების საფუძველზე ჯერ კიდევ ვერ ხერხდება. ჯერჯერობით გარკვევით არაფრის თქმა შეიძლება ამ ენობრივი ჯგუფების ერთმანეთთან დამოკიდებულების შესახებ. რომელი მათგანი უფრო ახლოა ერთიმეორესთან, რომელი უფრო დაშორებული და სხვ<sup>84</sup>. რა თქმა უნდა, თუ მეტნაკლებად არ გაირკვევა კავკასიურ ენათა ძირითადი ჯგუფების ერთმანეთთან ურთიერთობის საკითხი, გაძნელება რაიმეს თქმა ამ ერთობის დაშლის პროცესის შესახებ. კავკასიურ ენათა ერთმანეთთან დამოკიდებულების დადგენა ჯერჯერობით ძირითადად სტრუქტურულ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით ხერხდება. მაგრამ ეს შეიძლება ჯერ კიდევ ამ ენათა მატერიალური სიახლოვის მანიშნებელი არც იყოს<sup>85</sup>. თუმცა ზოგიერთი მეცნიერი, მათ შორის მატერიალურ სიახლოვესაც ხედავს<sup>86</sup>. სტრუქტურულ-ტიპოლოგიური მსგავსება ჯერ კიდევ გენეტიურ ნათესაობას არ ნიშნავს, ოღონდ მას დასაშვებს ხდის<sup>87</sup>. საქმე იმაშია, რომ სტრუქტურულ-ტიპოლოგიური მსგავსების ჩამოყალიბებას სხვადასხვა საფუძველი ჰქონდა. მონათესავე ენებში არსებული თავდაპირველი ტიპოლოგიური მსგავსება შემდეგში, შესაძლოა, პირუტყვ განსხვავებამდე მისულიყო. ისიც ხდება ზოგჯერ, რომ მონათესავე ენებში ტიპოლოგიური მსგავსება იმთავითვე კი არ ჩანს, არამედ მათი დიფერენციაციის შემდეგ. ტიპოლოგიური მსგავსების ერთ-ერთი საფუძველი ენათა დაახლოების კონვერგენციის პროცესიც იყო და სხვ<sup>88</sup>. თუმცა ისიც არის, რომ მეზობელი ენები იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი მონათესავენი არ არიან ურთიერთგავლენის შედეგად ბევრ საერთო ნიშანს იძენენ<sup>89</sup>. კავკასიის

<sup>83</sup> Б. В. Горнунг, В. Д. Левин, В. Н. Сидоров, Проблема образования и развития языковых семей. Вопросы языкознания, I, М., 1952, стр. 54.

<sup>84</sup> Г. А. Климов, Кавказские языки, стр. 75.

<sup>85</sup> იქვე, გვ. 65.

<sup>86</sup> А. Чикобава, К вопросу об отношении картвельских языков к индоевропейским и северокавказским языкам, ВЯ, № 2, М., 1970, стр. 56.

<sup>87</sup> В. М. Иллич-Свитыч, Рецензия Т. В. Гамкрелдзе, Г. И. Мачавариани. Система сонантов и аблаут в картвельских языках, ВЯ, № 4, М., 1966, стр. 136.

<sup>88</sup> Т. С. Шарадзендзе, Типология языков. Синхрония и диахрония, თბ., 1972, გვ. 11.

<sup>89</sup> Н. С. Трубецкой, Мысли об индоевропейской проблеме, ВЯ, № 1, М., 1958, стр. 72.

სინამდვილეში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებაც, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს იმ ხალხებთან, რომლებიც ოდითგანვე ძირითადად კავკასიის ტერიტორიაზე ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ. ამიტომ ტიპოლოგიური ხასიათის სიახლოვეს და აგრეთვე ზოგ სხვა ნიშანსაც ენაში შეიძლება აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდეს მათი გენეტიური ურთიერთობის საკითხისათვის<sup>90</sup>. სტრუქტურულ-ტიპოლოგიური მსგავსება შეიძლება შედეგი იყოს კავკასიურ ენათა სავარაუდო გენეტიური ნათესაობისა, რომელიც ძალიან ადრეულ ხანას მიეკუთვნება<sup>91</sup>. ადრე დაწყებულმა დაშლის პროცესმა, ერთი მხრივ, და კავკასიაში ენათა იზოლაციისა და დიფერენციაციისათვის არსებულმა ხელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა, მეორე მხრივ, იმდენად დიდი დაშორება გამოიწვია, რომ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენების თანამედროვე დონეზე ამ ენათა გენეტიური ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით ძნელად თუ ითქმის რაიმე. ეს, ჩანს, ისეთ შორეულ ეპოქაში გადადის, რომ ენობრივ მასალას უკვე მცირედის მოცემა თუ შეუძლია. ამიტომ ეთნოგენეტიური საკითხების განხილვისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე სხვა მონაცემები, კერძოდ არქეოლოგიის. არქეოლოგიურ მასალას ამ საკითხთან დაკავშირებით ადრეული ხანისათვის ზოგჯერ უფრო მეტის მოცემა შეუძლია, ვიდრე ენობრივს. ამიტომ კავკასიური ენობრივი და კულტურული ერთობის სავარაუდო არსებობის საკითხებზე მსჯელობისას სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს აგრეთვე არქეოლოგიურ მონაცემებსაც. როგორც ზევით აღენიშნავდით, ქვის ხანის მასალა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ სავარაუდო ერთობის არსებობას და თითქოს ერთგვარად საშუალებას იძლევა ამ ერთობის თანდათანობით დაშლასაც გავადევნოთ თვალი.

მართალია, კავკასიური ენები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან, მაგრამ მათ შორის მაინც შეინიშნება ზოგი რამ საერთო<sup>92</sup>: ზოგი ნიშნით ერთი ჯგუფი კავკასიური ენებისა მეორეს უახლოვდება, ზოგიც პირიქით, დაშორებულაა მისგან და უფრო სხვა ჯგუფს უკავშირდება და სხვ. სტრუქტურულ-ტიპოლოგიურად ჩრდილოკავკასიურ ენებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა. ქართველური შეიძლება დახასიათდეს როგორც გარდამავალი მათ შორის<sup>93</sup>. მას სტრუქტურულად უფრო მეტი საერთო აქვს აფხაზურ-ადიღეურ-

<sup>90</sup> გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 119.

<sup>91</sup> Г. И. М а ч а в а р и а н и, К вопросу об индоевропейско-картвельских (южно-кавказских) типологических параллелях, стр. 6.

<sup>92</sup> А. С. Ч и к о б а в а, О двух основных вопросах изучения иберийско-кавказских языков, стр. 72; А. С. Ч и к о б а в а, Проблема родства иберийско-кавказских языков.. стр. 31.

<sup>93</sup> Г. А. К л и м о в, Кавказские языки, стр. 63, 75, 77.

თან, ვიდრე უკანასკნელს ნახურ-დადესტნურთან<sup>94</sup>. საერთო ქართველური ტიპოლოგიურად უფრო აფხაზურ-ადიღეურ ჯგუფს უახლოვდება<sup>95</sup>.

კავკასიური კულტურული და ეთნიკური ერთობის დაშლის პროცესი საკმაოდ ადრე უნდა დაწყებულიყო. ნეოლითის ხანაში ისახება ძირითადად ამ ერთობის თანდათანობით დაშლის პროცესი. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ პერიოდის გარკვეულ საფეხურზე საერთო კავკასიურ ენობრივსა და კულტურულ ერთობას თანდათანობით გამოეყოფა გარკვეული ჯგუფები. შესაძლოა ამ ერთობას პირველად სცილდებიან ის ტომები, რომლებიც ხური-ურარტული და ნახურ-დადესტნურის წინარე ენის მატარებლები იყვნენ. რამდენადმე გვიან საერთო კავკასიურს გამოეყო ხატურ-აფხაზურ-ადიღეური ერთობა და კიდევ უფრო გვიან ქართველური. ეგებ, სწორედ ამით აიხსნება მისი ერთგვარად გარდამავალი ბუნება კავკასიური ენების ძირითად ჯგუფებს შორის. ქართველურს უფრო მეტი საერთო აქვს აფხაზურ-ადიღეურთან და აგრეთვე ხატურთან, ვიდრე ნახურ-დადესტნურთან და ხური-ურარტულთან.

ხურიტულენოვანი და მათთან რამდენადმე დაახლოებული ნახურ-დადესტნური ტომები ძირითადად იკავებენ კავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეებს. სავარაუდებელია, რომ ნეოლითური რევიოლუციის ბოლოსათვის, V—IV ათასწლეულებისათვის, თანდათანობით სრულდება ამ ერთობის დაშლა. ნახურ-დადესტნური ფუძე-ენის მატარებელი ტომები რამდენადმე უფრო ჩრდილოეთით ინაცვლებენ. ხური-ურარტული ტომების კუთვნილება იყო ძირითადად: ეგებ, ადრესამიწათმოქმედო კულტურის ყარაბახ-ნახიჩევანის ვარიანტი. უკვე ამ პერიოდიდან ხური-ურარტული ტომები, ჩანს, საკმაოდ ახლო კონტაქტებს ამყარებენ ამიერკავკასიის სამხრეთით მდებარე ოლქებთან. ამიტომაცაა, რომ ყარაბახ-ნახიჩევანის ვარიანტში უკვე შეინიშნება წინააზიური კულტურების გარკვეული გავლენა.

ხატურ-აფხაზურ-ადიღეური ტომები იკავებენ უპირატესად კავკასიის დასავლეთის მხარეებს. სავარაუდოა, რომ ნეოლითის დასასრულისათვის ხატები უფრო სამხრეთით ინაცვლებენ და თანდათანობით შორდებიან აფხაზურ-ადიღეურს. აფხაზურ-ადიღეური ტომების კუთვნილება უნდა იყოს ძირითადად დასავლეთ კავკასიაში გამოვლენილი ადრესამიწათმოქმედო ტომების კულტურა.

V—IV ათასწლეულებში ქართველური ტომები ძირითადად ბინადრობდნენ ამიერკავკასიის ცენტრალურ ოლქებში და ეკავათ აგრეთვე დასავლეთ ამიერკავკასიის გარკვეული ტერიტორია. ამ ტომებს ეკუთვნით, ალბათ, ძირითადად შომოუთეფე — შულავერის კულტურა და აგრეთვე დასავლეთ საქართველოში, ზემო იმერეთში, ყვირილის აუზში გავრცელებული სამიწათმოქმედო კულტურა, რომელსაც ერთი მხრივ საერთო აქვს ქვემო ქართლში გამოვლენილ ძეგლებ-

<sup>94</sup> Г. А. Климов, О внешних связях картвельских языков, стр. 39.

<sup>95</sup> თ. გამყრელიძე, გ. მაქავარიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 373; გ. მაქავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, გვ. 107.

თან, მეორე მხრივ კი დასავლეთ კავკასიაში, უფრო ზღვისპირა ზოლისათვის დამახასიათებელ კულტურასთან. ეგებ ამითაც აიხსნება აფხაზურ-ადიღეური-სა და ქართველურის შეხვედრები.

რამდენად სწორადაა დაკავშირებული არქეოლოგიური ფაქტები გარკვეულ ლინგვისტურ ჯგუფებთან და საერთოდ მართებულადაა თუ არა ასახული კავკასიის უძველესი ტომების ბედი ადრეულ ხანაში, ახლა ძნელი სათქმელია; მაგრამ, ვფიქრობთ, რომ კავკასიის სინამდვილეში ქვის ხანის კულტურების ეთნიკური ინტერპრეტაციის ცდა საფუძველმოკლებული არ უნდა იყოს. არქეოლოგიური და ლინგვისტური მონაცემების შესწავლა აქ მოსახლე ტომების ეთნოკულტურული სათავეების ძიებისათვის უთუოდ გარკვეულ პერსპექტივებს სანავს.

როგორც ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, ქვის ხანის ბოლოსათვის ძირითადად უნდა დასრულებულიყო კავკასიის კულტურული და ეთნიკური ერთობის დაშლის ხანგრძლივი პროცესი. მაგრამ როგორ წარიმართა ამის შედეგად მიღებული ეთნიკური ჯგუფების მერმინდელი ისტორიული ბედ-იღბალი მთლად ნაიელი არ არის. არქეოლოგიური მონაცემების სინათლეზე ჩანს, რომ ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრიდან მოკიდებული კავკასიის ტერიტორიაზე დიდი არქეოლოგიური კულტურების ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობს, რის შედეგადაც ძვ. წ. III ათასწლეულში აქ უკვე საკმაოდ განვითარებული კულტურები გვხვდება: მტკვარ-არაქსისა და მაიკოპის. ამ კულტურების მატარებელმა ტომებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს არა მარტო საკუთრივ კავკასიის, არამედ მათ გარკვეული წვლილი შეიტანეს აგრეთვე ძველი აღმოსავლეთის და ევროპის უძველეს ისტორიაში. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ამ ბოლო დროს სულ უფრო და უფრო იზრდება ინტერესი ამ ტომების ეთნიკური ვინაობის გარკვევის საკითხისადმი. განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცა მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომთა კუთვნილების დადგენას იმის გამო, რომ მათ გარკვეული როლი უნდა ეთამაშათ ძვ. წ. III ათასწლეულის წინა აზიის ისტორიაში და გარდა ამისა ეს საკითხი დაუკავშირდა აგრეთვე ინდოევროპეისტიკის პრობლემას. ამ ტომების ვინაობის შესახებ არა ერთი და ორი მოსაზრება გამოითქვა. ადრე ზოგიერთი მკვლევარი მტკვარ-არაქსის კულტურას საერთო კავკასიურად თვლიდა და მას იბერიულ-კავკასიურ ენათა ერთობას უკავშირებდა<sup>96</sup>, ზოგს ხურიტული ტომების კუთვნილებად მიაჩნდა,

<sup>96</sup> Е. И. Крупнов, О чем говорят памятники материальной культуры Чечено-Ингушетской АССР. Грозный, 1961, стр. 38; Р. М. Мунчаев, Древнейшая культура Северо-Восточного Кавказа, стр. 1164.

უნდა აღინიშნოს, რომ უფრო გვიან ორივე ავტორმა შეიცვალეს თავისი პოზიციონირება და კავკასიის ეთნოკულტურული ერთობის არსებობას და შემდეგ მის დაშლის პროცესს უფრო ადრეულ ხანაში ვარაუდობენ, იხ. Е. И. Крупнов, Кавказ в древнейшей истории нашей страны, 1961, стр. 34; Р. М. Мунчаев, Кавказ в эпоху энеолита и ранней бронзы, стр. 57.



ზოგიც იმას აღნიშნავდა, რომ ამ კულტურის შექმნაში კავკასიაში მოსახლე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები მონაწილეობდნენ<sup>97</sup> და სხვ. ამ ბოლო დროს სულ უფრო და უფრო იმის ცდაც არის, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომები ინდოევროპელებს დაუკავშირონ. ჯერ კიდევ ცნობილმა ინგლისელმა არქეოლოგმა ლ. ვულომ, ხეთების გავრცელებასთან დაკავშირებით, წამოაყენა მოსაზრება, რომ ინდოევროპელი ხეთების პირვანდელი სამშობლო სამხრეთ კავკასიაში, მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების არეში უნდა ყოფილიყო. შემდეგში რალაც მიზეზების გამო (მოუპაველიანობისა თუ სხვა ტომების შემოსევის) ამ ტომების ერთიანი აყრა ხდება და იწყება მათი სამხრეთისაკენ გადანაცვლება ახალი მიწების ასათვისებლად. მათ მიაღწიეს ჩრდილო-სირიაში ამუქის ნაყოფიერ ველს და იქ დასახლდნენ. შემდეგში, რამდენადმე უფრო გვიან, ახალი ხალხის მოწოლის შედეგად მათ ეს ადგილებიც დატოვეს, რის გამოც ერთი ნაწილი სამხრეთით ზირია-პალესტინაში შეიჭრა, სადაც ე. წ. „კირბეთ-კერაკის“ ნაწარმი გაავრცელეს; მათი მეორე ტალღა კი ჩრდილო-აღმოსავლეთით ცენტრალურ ანატოლიაში შედის და მდ. ჰალისის აუზში მკვიდრდება, სადაც შემდეგში ძლიერ სახელმწიფოს ქმნიან<sup>98</sup>.

აზრი, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა ინდოევროპული ტომების კუთვნილებაა, შემდეგში სხვა მკვლევარებმაც გაიმეორეს ძირითადად ენათმეცნიერული მონაცემების საფუძველზე. ქართველურ ენებში მის დიფერენციაციამდე უკვე კარგად ჩანს ინდოევროპული ელემენტები, საერთო ქართველური ფუძენის დაშლის დასაწყისად კი ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოს ვარაუდობენ. ამიტომ ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ ქართველური და ინდოევროპული ენების შეხვედრები უფრო ადრე, მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში ხორციელდებოდა. აკად. გ. მელიქიშვილი არ ეთანხმება ლ. ვულის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას მტკვარ-არაქსის კულტურის ხეთი-ნესიტების კუთვნილების შესახებ და აღნიშნავს, რომ ქართველურში გვხვდება ინდოევროპული წარმომავლობის ლექსიკა, რომელიც მას რომელიღაც უცნობი ინდოევროპული ტომების ენისაგან უნდა შეეთვისებინა. ქართველურში ეს ინდოევროპული ელემენტები მის დაშლამდე უნდა შესულიყო, ვინაიდან ქართველურ ენებში გვხვდება რიგი ინდოევროპული წარმოების სიტყვები, რომლებსაც არ შეუძლებიათ იმ ინდოევროპული ენებიდან, რომელთანაც ქართველურ ტომებს ურთიერთობა ჰქონიათ ისტორიულ წარსულში. აკად. გ. მელიქიშვილის აზრით, ინდოევროპულის და ქართველური ენების კონტაქტების უძველეს ასპარეზად ამიერკავკასია ანდა უფრო ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებია სავარაუ-

<sup>97</sup> ლ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლიონის წარმოების ადრეულ სიფხურზე, გვ. 250; მისივე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, გვ. 228.

<sup>98</sup> Л. В у л л и, Материалы трех глав 2-й части 1-го тома «История научного и культурного развития человечества». Вестник истории материальной культуры, № 1, 1957, стр. 101; L. Woolley, A Forgotten Kingdom, 1953, 32.

დო. შესაძლოა, აღნიშნავს იგი, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომები ინდოევროპული წარმოშობისა ყოფილიყვნენ, რომელთა ასიმილაცია სწორედ ქართველურმა ტომებმა მოახდინეს და მათმა ინდოევროპულმა ენამ სუბსტრატის როლი შეასრულა<sup>99</sup>. თუმცა გ. მელიქიშვილს დასაშვებად მიაჩნია აგრეთვე მეორე შესაძლებლობაც, რომლის თანახმადაც III—II ათასწლეულების მიჯნაზე ჩრდილოეთიდან მნიშვნელოვანი ინდოევროპული მასები (არა ინდოირანული და არც ხეთურ-ლუვიური) შემოდის, რომლებიც შემდეგში ქართველურში ითქვიფებიან<sup>100</sup>.

განსვენებულმა ენათმეცნიერმა პროფ. გ. მაკავარიანმა ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული პიპოთეზა წამოაყენა, რომლის მიხედვითაც მტკვარ-არაქსის კულტურა ფართო ტომთა კავშირის კულტურა იყო, რომლებშიც ინდოევროპული და ქართველური ტომებიც შედიოდნენ. ამ ტომების მჭიდრო და ხანგრძლივი კონტაქტების შედეგად ქართველურში ინდოევროპული ელემენტები აღარ, ქართველური ფუძე-ესის დაშლამდე შემოდის<sup>101</sup>.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აკად. თ. გამყრელიძის და პროფ. ვ. ივანოვის მოსაზრება საერთო ინდოევროპული ენის მატარებელი ტომების პირველსაცხოვრისის და მიგრაციის გზების შესახებ<sup>102</sup>. ინდოევროპული ლექსიკის და რეკონსტრუირებული ტექსტების ფრაგმენტების ანალიზი შედარებით მაღალი მატერიალური კულტურის დადგენის საშუალებას იძლევა. საერთო ინდოევროპული კულტურის და სოციალური ურთიერთობის მაღალი ხასიათი ამ კულტურის ძველადმოსავლურ ცივილიზაციებთან სიახლოვეზე მეტყველებს<sup>103</sup>. ავტო-

<sup>99</sup> გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 244.

<sup>100</sup> იქვე, გვ. 246.

<sup>101</sup> Г. И. Мачавариани, К типологической характеристике общекартвельско-го языка—основы, ВЯ, I, М., 1966, стр. 9.

<sup>102</sup> Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов, Проблема определения первоначальной территории обитания и путей миграции носителей диалектов общиндоевропейского языка. Конференция по сравнительно-исторической грамматике индоевропейских языков. М., 1972, стр. 19.

<sup>103</sup> ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ წარმოდგენა ინდოევროპელების და არიელების ვითომდა „მაღალი კულტურული დონის“ შესახებ ხელშეუხებელია, თუმცა მათი ნამდვილი კულტურული დონის დადგენა ენობრივი მონაცემების საფუძველზე ხერხდება (იხ. A. Kamshuber, Die Arier in Vorderen Orient, Heidelberg, 1968, 20). გ. ჩაილი ინდოევროპულმა მატერიალურ-კულტურული მაღალი დონის მანიშნებლად ეტლის არსებობას მიიჩნევდა (იხ. G. Childre, Prehistoric Migrations in Europe, Oslo, 1950, 148).

ეტლზე დაკრძალვის შემთხვევებს ძველი ორმოსამარხების კულტურის ხანაში სამხრეთ რუსეთის სტეპების მოსახლეობაში მომხდარ სოციალურ დიფერენციაციად მიიჩნევენ (E. E. Кузмина, Колесный транспорт и проблема этнической и социальной истории древнего населения южнорусских степей, ВДИ, 4, М, 1974, стр. 85). ამ საკითხთან დაკავშირ-

რებს მოტანილი აქვთ საერთო ინდოევროპულის უფრო ჩრდილო ზონაში ლოკალიზაციის საწინააღმდეგო საერთო ინდოევროპული ტერმინები და, პირიქით, აღნიშნავენ სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქებში (წინა აზია, ირანის ზეგანის ჩრდ. ნაწილი) მისი ლოკალიზაციისათვის არსებულ ლექსიკურ მონაცემებს, რომლებიც საერთო ინდოევროპულის მახლობელ აღმოსავლეთსა და ცენტრალური აზიის ენობრივ და კულტურულ ტრადიციებთან კონტაქტებზე მიუთითებენ (საერთო ინდოევროპულში სემიტურის არსებობა, ქართველურის და საერთო ინდოევროპულის სტრუქტურული სიახლოვე, ინდოევროპული სიტყვების არსებობა ხატურში და სხვ.). სამხრეთისა და აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი ცხოველთა და მცენარეთა საერთო ინდოევროპული ტერმინების არსებობა გამორიცხავს საერთო ინდოევროპულის ჩრდილოეთით ლოკალიზაციის შესაძლებლობას და სხვ. თუ დავუშვებთ ინდოევროპულის ადგილსამყოფელს მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების ტერიტორიაზე (აღმოსავლეთ ანატოლია, სამხრეთ კავკასია, ირანის ზეგანის ჩრდილო ნაწილი), მაშინ უფრო ადვილად იხსნება იმ ინდოევროპელთა ძირითადი უძველესი ეთნიკური ჯგუფების განსახლება და გავრცელების გზები, რომლებიც პირველები იხსენიებიან უძველეს წერილობით ტექსტებში (ხეთები, არიელები, ბერძნები). ისტორიულ ადგილებში მათი გამოჩენა მაინცადამაინც დიდი მანძილის გადალახვასთან არ იყო დაკავშირებული. საერთო ინდოევროპული ენის გავრცელების არეალიდან საერთო ანატოლიურს შედარებით მცირე გადანაცვლება უნდა განეცადა. ანატოლიური ენების უფრო ჩრდილოეთით თავდაპირველ განფენას უნდა მოწმობდეს ცალკეული სიტყვების და სახელების არსებობა სამხრეთ კავკასიურ ენებში, კერძოდ, ურარტულში და ზოგიერთ ქართველურ ენებში, რომლებიც ხეთურიდან ან სხვა რომელიმე ანატოლიური ენიდან მომდინარეობენ<sup>104</sup>.

თ. გამყრელიძის და ვ. ივანოვის აზრით, ინდოევროპული დიალექტური არეალის აღმოსავლეთი კიდე (ირანის ზეგანის ჩრდილო ნაწილი) უნდა ყოფილიყო ინდოარიული დიალექტური არეალი. აქედან ავღანეთის გზით არიელების პირველი ტალღა ინდოეთში იჭრება. დასავლეთ ირანის ენებისათვის სამხრეთით მოძრაობა ირანის ზეგანის ჩრდილო ნაწილიდან ისტორიულადაა დამოწმებული. აღმოსავლეთ ირანელები შედარებით დიდხანს დარჩნენ პირვანდელ ტერიტორიაზე, რასაც მოწმობს მათ დიალექტებში საერთო ინდოევროპულთან დაახლოებული რიგი სიტყვების და გამოთქმების არსებობა. აღმოსავლეთ ირანელების შემდგომ მიგრაციებს (ცენტრალური აზიისა და ჩრდილო

რებით ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ ინდოევროპულ ტომთა საზოგადოება ინდოევროპული ერთობის დაშლის წინ სოციალური განვითარების მაღალი დონაზე ხასიათდებოდა (Э. А. Грантовский, Ранняя история иракских племен Перетней Азии, М, 1975, стр. 348).

<sup>104</sup> Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

კასპიისპირეთის სტეპების გზით, ჩრდილო კავკასიასა და ყირიმში) მოწმობს ყირიმისა და მთიანი-ალტაის სკვითების არქეოლოგიური მონაცემების სიახლოვე. ირანული, განსაკუთრებით კი, სკვითური გადასახლებანი კარგი მაგალითია ინდოევროპელთა შორეული მიგრაციებისა დასავლეთით აღმოსავლეთის გზით. ამგვარი უზა საგარაუდებელი დასავლურ ინდოევროპულ ენებისათვის უფრო ადრეულ ხანაში, ცენტრალურ აზიაში მიგრაცია და შემდეგ დასავლეთის მიმართულებით ევროპაში გადასახლება. დასავლური ენების გავრცელების საერთო არეალად (თუმცა მთავრეულად) შეიძლება მიჩნეულ იქნეს ჩრდილო შავიზღვისპირეთი. ავტორთა აზრით, ძველი თეორია ამ მხარის, როგორც ინდოევროპელთა პირველსაცხოვრისისა, ახალ შინაარსს ღებულობს და იგი მხოლოდ დასავლური ჯგუფის ენების სამშობლო უნდა ყოფილიყო<sup>105</sup>.

ამრიგად, თ. გამყრელიძის და ვ. ივანოვის ახლადწამოყენებული მოსაზრება ინდოევროპელთა ადგილსამყოფელის და მათი შემდგომი გავრცელები გზების შესახებ ერთგვარად განსხვავდება ამ ტომების პირველსაცხოვრისზე არსებულ შეხედულებებისაგან. მართალია, სადღეისოდ ჯერ კიდევ არ არსებობს ერთიანი აზრი ინდოევროპელთა პირვანდელი განსახლების შესახებ, ინდოევროპული ენის გავრცელების ადრინდელ არეალად ზოგისთვის აზნის, ზოგისათვის კი ევროპის სხვადასხვა ოლქები იყო<sup>106</sup>. აზრი, რომ ინდოევროპული ტომების ადგილსამყოფელი სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე იყო ადრეც აღინიშნა. გ. ჩაილდი, რომელიც ადრე უფრო იმ აზრისა იყო, რომ ინდოევროპელთა სამშობლო ევროპაა, გამოთქვამდა ვარაუდს, რომ ამ ტომების პირველსაცხოვრისი აზია, უფრო კი მახლობელი აღმოსავლეთი, დასავლეთ ანატოლიის ტერიტორია ან, ეგებ, ცენტრალური აზიის სტეპები იყო<sup>107</sup>. მ. გიმბუტასის სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქებიდან გამოჰყავდა პროტოინდოევროპელები, რომლებსაც „ყორღანულ კულტურას“ უკავშირებდა<sup>108</sup>. მისი აზრით, ეს ხალხი კავკასიის გზით შევიდა შავიზღვისპირეთში და მათი გამოჩენის შედეგად ევროპის და მახლობელი აღმოსავლეთის დიდი ნაწილი ინდოევროპული ხდება<sup>109</sup>. ადრე მ. გიმბუტასის აზრით, ეს პროცესი III ათასწლეულში მიმდინარეობდა, მაგრამ ჩანს, რომ ამ ბოლო დროს მას „ყორღანული კულტურის“ მატარებელი ხალხის ექსპანსია უფრო ადრე გადააქვს<sup>110</sup>.

<sup>105</sup> Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов, დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

<sup>106</sup> А. Мейе, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

<sup>107</sup> G. Childe, დასახ. ნაშრომი, გვ. 148.

<sup>108</sup> M. Gimbutas, *The Prehistory of Eastern Europe*, 1956, 71; M. Gimbutas, *Bronze Age Cultures in Central and Eastern Europe*, 1965, 21.

<sup>109</sup> M. Gimbutas, *The Relative Chronology of Neolithic and Chalcolithic Culture in Eastern Europe North of the Balkan Peninsula and the Black Sea. Chronologies in Old World Archaeology*, Chicago and London, 1965, 80, 82.

<sup>110</sup> J. D. Muhly-ს რეცენზია *Indo-European and Indo-Europeans: AJA*, vol. 75, № 4, 1971, 4:7.

შაგრამ არსებობს კი საფუძველი მახლობელი აღმოსავლეთი უფრო კი მისი ჩრდილო ზოლი, ამიერკავკასია თავისი მიმდგომი მხარეებით ინდოევროპული ტომების პირვანდელ ადგილსამყოფელად მივიჩნით და ის ვიფიქროთ, რომ ძვ. წ. III ათასწლეულში აქ გავრცელებული ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურა ამ ტომების კუთვნილება იყო? ეს ტერიტორია ძლიერი ინდოევროპული ეთნიკური მასივისათვის, რომლის განთესვის შედეგად ბოლოს და ბოლოს თითქმის მთელი ევროპა და აზიის სხვადასხვა ოლქები ინდოევროპული ხდება, შინაც შედარებით შეზღუდული იქნებოდა და უფრო დიდი ეთნოკულტურული ერთობის არსებობაა სავარაუდებელი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა ძირითადად მიწათმოქმედი ტომების კულტურაა; მიწათმოქმედი საზოგადოების გავრცელება, მის მიერ ახალი მიწების ათვისება, მისი გადაადგილება, მესაქონლე ტომებთან შედარებით, უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობდა<sup>111</sup>. მიწათმოქმედი ტომები უფრო ძნელად ელევიან თავის პირველსაცხოვრის და სხვა ტომების გამოჩენის შემთხვევაშიც კი, ჩვეულებრივ, არ ტოვებენ მას და ახალ ეთნიკურ ელემენტს ერწყმიან<sup>112</sup>. ამიტომ ძნელი სავარაუდებელია, რომ ძვ. წ. III ათასწლეულში ამიერკავკასიაში და მის მიმდებარე ოლქებში მსხდომ ტომებს გადამწყვეტი როლი შეესრულებინათ ინდოევროპელთა მიგრაციების საკითხში. აქვე უნდა შეინიშნოს, რომ III ათასწლეულისათვის ინდოევროპული ტომების ერთობის არსებობაც კია საეკვო. მართალი უნდა იყოს ნ. მერპერტის აზრი, რომ III ათასწლეულიდან მოკიდებული ინდოევროპელებს ფართო ტერიტორია ეკავათ და რომ ჰიბოთეზა ინდოევროპული ერთობის ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებისათვის გუმელნიცის კულტურის ტერიტორიაზე არსებობა სწორი არ უნდა იყოს<sup>113</sup>. ეს ერთობა გაცილებით უფრო ადრე უნდა არსებებულიყო. ა. მეიე ვარაუდობდა, რომ ამ ერთობის დაშლის საწყისები ემთხვევა ნეოლითის ბოლოსა და სპილენძ-ბრინჯაოს ხანის ჩასახვის პერიოდს, ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისს<sup>114</sup>. ზოგიერთ მკვლევარს ინდოევროპულ ენათა დაშლის პროცესი კიდევ უფრო ადრე გადააქვს<sup>115</sup>. ზოგი იმასაც ფიქრობს, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებში ლუვიელები უკვე ჩანან მცირე აზიაში<sup>116</sup>. ისიც აღინიშ-

<sup>111</sup> Н. Я. Мерперт, Древнейшие скотоводы Волжско-Уральского междуречья. М., 1974, стр. 128.

<sup>112</sup> И. М. Дьяконов, О языках древней Передней Азии, стр. 63.

<sup>113</sup> Н. Я. Мерперт, Некоторые вопросы истории Восточного Средиземноморья в связи с индоевропейской проблемой, стр. 8.

<sup>114</sup> А. Мейе, დასახ. ნაშრომი, გვ. 108, 404.

<sup>115</sup> В. Георгиев, Исследование по сравнительно-историческому языкознанию. М., 1958, стр. 148.

<sup>116</sup> Г. А. Меликишвили, Возникновение хеттского царства и проблема древнейшего населения Закавказья и Малой Азии, ВДИ, I, М., 1965, стр. 14;

J. Mellaart. The End of the Early Bronze Age in Anatolia and the Aegean, 23.

ნა, რომ პირველი ინდოევროპელები საბერძნეთში III ათასწლეულზე ადრე გამოჩნდნენ. ეგეოსში მონაცრისფრო-მოშავო გაპრიალებული კერამიკის დაკავშირება უძველეს ინდოევროპელებთან მათი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მოძრაობის მანიშნებელი უნდა იყოს ანატოლიაში და ძალიან ადრე ხორციელდებოდა ძვ. წ. IV ათასწლეულში<sup>117</sup>. ამიტომაც ძნელია მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების ტერიტორია და ამ კულტურის მატარებელი ტომები ინდოევროპელთა პირველსაცხოვრის დაუკავშიროთ. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ გამოითქვა მოსაზრება, თითქოს მახლობელი აღმოსავლეთის ძირითადი რაიონები ადრე საერთოდ ინდოევროპული ოიკუმენის მიღმა იყო<sup>118</sup>.

სადღეისოდ უფრო ის აზრია გავრცელებული, რომ ინდოევროპელების სამშობლო ევროპულ ნაწილშია საძებარი<sup>119</sup>, მაგრამ არც ევროპის შიგნითაა მათი პირვანდელი განსახლების საკითხი მთლად ნათელი. მართალია, ინდოევროპული ტომების ჩრდილოურმა წარმომავლობამ დაკარგა თავისი პოპულარობა როგორც არქეოლოგთა, ისე ლინგვისტთა შორის, მაგრამ მათი ადგილსამყოფელის საკითხში ჭერ კიდევ ყველაფერი ნათელი არ არის. არც ისაა მთლად გარკვეული, თუ რომელი არქეოლოგიური კულტურა უკავშირდება საერთოდ ინდოევროპულ ერთობას. ისიც კი ითქვა, რომ „ინდოევროპელი ხალხი“ ნამდვილად არსებობდა, მაგრამ ზუსტად არ ვიცით სად და როდის<sup>120</sup>. სულ უფრო და უფრო ვრცელდება აზრი, რომ ინდოევროპელების ძირითადი ადგილსამყოფელი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა უნდა ყოფილიყო და აქედან გაიარებდნენ ევროპის სხვადასხვა ოლქებში<sup>121</sup>. აზიაში ისინი ევროპიდან უნდა შემოსულიყვნენ. ევროპაში მათი პირველსაცხოვრისი, ზოგის აზრით, დუნაისპირეთი იყო<sup>122</sup>, ზოგისათვის კი ჩრდილომედიტერანეისპირეთი, სამხრეთ რუსეთის სტეპები<sup>123</sup>; ზოგს ეს ტერიტორია უფრო დიდადა აქვს წარმოდგენილი — ურალსა და კარპატებს

117 В. С. Титов, К вопросу о соотношении этно-лингвистических слов и культурно-исторических общностей на югобалканском полуострове, КСИА, вып. 123, М., 1970, стр. 40.

118 В. Н. Даниленко, Неолит Украины, стр. 232.

119 Э. А. Грантовский, Ранняя история иранских племен Передней Азии М., 1970, стр. 12.

120 А. Мейе, დასახ. ნაშრომი, გვ. 416.

121 Т. А. Дегтерева, დასახ. ნაშრომი, გვ. 40; Э. А. Грантовский, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

122 В. Георгиев, Исследования по сравнительно-историческому языкознанию. М., 1958, стр. 272; Б. В. Горнунг, Проблема распространения индоевропейской речи в доисторические эпохи. Тезисы докладов на сессии отделения исторических наук и племени Института истории материальной культуры. М.—Л., 1956, стр. 16; П. Н. Третьяков. О происхождении славян. Вопросы истории, II, М., 1953, стр. 74.

123 Г. С. Кнабе, Словарные заимствования и этногенез, ВЯ, I, М., 1962, стр. 66;

R. Girshman, Iran, 1954, 61; S. Piggett, Ancient Europe, Edinburgh, 1965, 80, 82.

შორის; ზოგსაც კიდევ უფრო ფართოდ და მასში კასპიისპირეთის სტეპები შე-  
აქვთ<sup>124</sup>. გამოითქვა მოსაზრება, რომ უკვე ნეოლითის ხანაში აზოვის და კას-  
პიის არეალში უნდა მომხდარიყო ინდოევროპული მასის გამოყოფა<sup>125</sup>. ზოგი-  
ერთი მკვლევარი ენობრივი მონაცემების ანალიზის შედეგად აღნიშნავს, რომ  
ინდოევროპული ენობრივი ტიპი უნდა წარმოქმნილიყო იმ მხარეში, რომელიც  
ურალ-ალთაური და ხმელთაშუაზღვისპირეთის ენათა ჯგუფებს შორის იყო მოქ-  
ცეული, კავკასიასა და ხმელთაშუაზღვის მახლობლად მდებარე ტერი-  
ტორიაზე<sup>126</sup>. ჯერ კიდევ ნ. მარც მიუთითებდა იაფეტური ენების გავლენაზე ინ-  
დოევროპულ ენათა სისტემაზე<sup>127</sup> და როგორც აღნიშნავენ, იაფეტურმა თეო-  
რიამ თავის დროზე, რა თქმა უნდა, მის აღრეულ ვარიანტში, გაამაგრა საფუძ-  
ველი ინდოევროპელების სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპიდან წარმომავლობის  
საკითხში<sup>128</sup>. ტრანსპორტთან დაკავშირებული ტერმინების ანალიზის გზით,  
ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ საერთოინდოევროპული დიალექტურ-  
ი ერთობის დაშლა უნდა მომხდარიყო ბორბლიანი ტრანსპორტის შემოსვ-  
ლის შემდეგ და რომ ამ დიალექტების კონტაქტების ზონა შეიძლება ლოკ-  
ალიზებულ იქნას დუნაისპირეთსა და სამხრეთ რუსეთის სტეპებში<sup>129</sup>. დაახლო-  
ებით აქვე ვარაუდობს ინდოევროპელთა პირველ ადგილსამყოფელს ინგლისე-  
ლი არქეოლოგი ჯ. მელარტი, რომელიც ფიქრობს, რომ მათ მოძრაობას ბალ-  
კანეთის მიმართულებით შედეგად რიგი კულტურების დაცემა მოჰყვა, ტროა II  
დანგრევა და სხვ<sup>130</sup>. სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან მომდინარე მოძრაობამ  
მ. გარაშანიის აზრით, დიდი როლი შეასრულა ინდოევროპეიზაციის პროცეს-  
ში<sup>131</sup>. მართებული ჩანს პროფ. ნ. მერპერტის მოსაზრება, რომ ჩრდილოშვი-  
ზღვისპირეთიდან სამხრეთით არ იყო არც ერთიანი მიგრაცია და არც ერთიანი  
პერიოდი მიგრაციისა<sup>132</sup>. სტეპებიდან სამხრეთით მოძრაობა აღრინდელი პერი-  
ოდიდან შეინიშნება და ეს მოძრაობა საერთოდ ეტაპებად ხორციელდებოდა საკ-

<sup>124</sup> А. Л. Монгайт, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 50.

<sup>125</sup> В. Н. Даниленко, *Древнейшие земледельцы и скотоводы Юго-Восточной Европы. Конференция «Формы перехода от присваивающего хозяйства к производящему и особенностям развития общественного строя»*. М., 1974, стр. 29.

<sup>126</sup> Н. С. Трубецкой, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 73.

<sup>127</sup> Н. Я. Марр, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 60.

<sup>128</sup> Т. А. Дегтерева, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 40.

<sup>129</sup> Е. Е. Кузьмина, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 80.

<sup>130</sup> J. Mellaart, *Anatolia and the Balkans. Antiquity*, vol. XXXIV, № 136-1960, 276; J. Mellaart, *The Chalcolithic and Early Bronze Ages in the Near East and Anatolia*, Beirut, 1966, 174.

<sup>131</sup> М. Garasanin, *The Neolithic in Anatolia and the Balkans, Antiquity*, XXXV, № 140, 1961, 280.

<sup>132</sup> Н. Я. Мерперт, *Древнейшая история населения степной полосы Восточной Европы. Автореферат*, стр. 80.

მაოდ დიდი ხნის მანძილზე<sup>133</sup>. უთუოდ საინტერესოა ნ. მერპერტის მიერ რეტროსპექტული მეთოდით მიღებული დასკვნა ძველი ორმოსამარხების კულტურის მატარებელი ხალხის ეთნიკურ ვინაობის დადგენასთან დაკავშირებით. უკვე ლინგვისტური მონაცემებიდან ჩანს, რომ ძვ. წ. I ათასწლეულში ევრაზიის სტეპებში ვრცელდებოდა ირანულენოვანი სკვითური ტომების დიდი ჯგუფები. არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე აშკარაა, რომ მათი კულტურა ძალიან ახლო კავშირშია წინარე, ბრინჯაოს ხანის ე. წ. ძელურ კულტურასთან. ეს ურთიერთობა იმდენად მძლავრი ჩანს, რომ ძელური კულტურის მატარებელი ტომების ინდოევროპულ (ირანულენოვანი) ენათა ჯგუფისადმი მიკუთვნება ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ასევე არ ჩანს საეჭვო ძელური და მასზე ადრეული ძველი ორმოსამარხების კულტურათა ახლო კავშირი და ამ კულტურების მატარებელი ტომების გენეტიური ურთიერთობა. ამიტომ, ნ. მერპერტის აზრით, არსებობს საფუძველი, რომ ტომები, რომლებსაც ორმოსამარხების კულტურა ეკუთვნოდა, ინდოევროპელებს დაუკავშიროთ. ლინგვისტური და არქეოლოგიური მონაცემები მიუთითებენ სტეპების მოსახლეობაში არსებულ კულტურულ ტრადიციებზე ძვ. წ. III ათასწლეულიდან მოკიდებული, ვიდრე ძვ. წ. I ათასწლეულამდე<sup>134</sup>.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მკვლევართა დიდი ნაწილი, რომლებიც მხარს უჭერენ ინდოევროპული ტომების ძველადმოსავლურ სამყაროში ჩრდილოეთის გზით გამოჩენას, მათ პირველსაცხოვრისად კავკასიის ჩრდილოეთით მდებარე ოლქებს მიიჩნევენ. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ მთლად ნათელი არ არის. თუ რა გზით და როდის გავრცელდნენ ინდოევროპელები მახლობელ აღმოსავლეთში<sup>135</sup>. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ეს ტომები მცირე აზიაში დასავლეთიდან, ბალკანეთის გზით მოვიდნენ<sup>136</sup>. მაგრამ ამ ბოლო დროს სულ უფრო და უფრო ვრცელდება მოსაზრება ძველადმოსავლეთში ინდოევროპელების ჩრდილოეთის გზით, კავკასიაზე გავლით შემოსვლის შესახებ<sup>137</sup>. ჯერ კიდევ ბ. გროზ-

<sup>133</sup> Н. Я. Мерперт, О связях Северного Причерноморья и Балкан в раннем бронзовом веке, КСИИ, вып. 105, М., 1965, стр. 19.

<sup>134</sup> Н. Я. Мерперт, Некоторые вопросы истории Восточного Средиземноморья в связи с индоевропейской проблемой, КСИИ, вып. 83, М., 1961, стр. 7; Н. Я. Мерперт, Этногенез в эпоху энеолита и бронзового века. История СССР, т. I, М., 1966, стр. 155.

<sup>135</sup> А. В. Десницкая, Древние языки Малой Азии и сравнительная грамматика, ВЯ, М., 1952, стр. 50; И. М. Дьяконов, Предыстория армянского народа, стр. 26; И. Г. Алнев, История Минни, Баку, 1960, стр. 109.

<sup>136</sup> A. Goetze, Kleinasien, München, 1957, გვ. 61; მისევე, Hethiter, Churriter und Assyrer, Oslo, 1936, 38; K. Bittel, Grundzüge der vor-und frühgeschichte Kleinasien, Tübingen, 1950, გვ. 55; R. Ghirshman, Iran, 1954, 61; გ. შელიძე-შვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 156.

<sup>137</sup> F. Sommer, Hethiter und Hethitisch, Stuttgart, 1947, 9; R. Dussaud, Prelydiens Hettites et Acheens, Paris, 1953, 29.



ნი ფიქრობდა, რომ ხეთები კავკასიის გზით გავრცელდნენ წინა აზიაში<sup>138</sup>. აღინიშნა კიდევ, რომ ხეთების კავკასიის მხრიდან მოსვლა უკვე საერთოდ მიღებული აზრია<sup>139</sup>. ზოგიერთი არქეოლოგი ფიქრობს, რომ ჩრდილოკავკასიის ამ პერიოდის კულტურაში მომხდარი გარკვეული ცვლილებები ხეთების მცირე აზიაში ჩრდილოეთიდან გავრცელების ანარეკლი უნდა იყოს<sup>140</sup>. ამ მხრივ საინტერესოა ინგლისელი არქეოლოგის ჩ. ბიორნის აზრი, რომელიც მხარს უჭერს ხეთების კავკასიის გზით გავრცელებას. ადრე იგი იმ აზრისა იყო, რომ მტკვარ-არაქსისა და მისი მომდევნო თრიალეთის კულტურათა შორის არსებული წყვეტილი, აქ მოსახლეობის შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ახლად მოსულები შესაძლოა ინდოევროპელები იყვნენ, რომელთა შორისაც ხეთებიც ერივნენ და რომლებიც შემდეგში ანატოლიაში შეიჭრნენ. თრიალეთის კულტურაში ჩრდილოეთიდან წამოსული ძლიერი იმპულსები იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ ახლად მოსულები ჩრდილო სტეპებიდან იყვნენ გამოსულნი<sup>141</sup>. თუმცა, ახლახან დ. ლანგთან თანაავტორობით გამოსულ ნაშრომში ჩ. ბიორნი სხვაგვარად აშუქებს ამ საკითხებს. იგი უკვე ისეთ უეცარ წყვეტილს აღარ ხედავს მატერიალურ კულტურაში და აღნიშნავს, რომ ეს ცვლილებები, რომლებიც შეინიშნება მტკვარ-არაქსის კულტურის მესამე პერიოდში ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრებაში მომხდარ მიღწევებთან უფრო უნდა იყოს დაკავშირებული, ვიდრე ინდოევროპული ტომების გამოჩენასთან, რომელთა არქეოლოგიური ნაკვალევი დღემდე მეტად უმნიშვნელოა<sup>142</sup>. მაგრამ მაინც აღნიშნავს იგი, რომ ამიერკავკასიაში III ათასწლეულის ბოლოსათვის მიმდინარე ცვლილებების ახსნა შეუძლებელია ჩრდილო სტეპებში მომხდარი კულტურული ძვრების გათვალისწინების გარეშე<sup>143</sup>.

ხეთების ჩრდილოეთიდან კავკასიის გზით მოსვლას მხარს უჭერს აგრეთვე არქეოლოგი ჯ. მელაარტი, მაგრამ მას ინდოევროპელების მცირე აზიაში ერთდროულად გამოჩენის თეორია მოძველებულად მიაჩნია<sup>144</sup>. იგი ფიქრობს, რომ აქ დასაველეთიდან, ბალკანეთის გზით პირველად უნდა მოსულიყვნენ ლუ-

<sup>138</sup> Б. Грозный, Хеттские народы и языки, ВДИ, 2, М., 1938, стр. 29. Грозный, Донсторические судьбы Передней Азии, ВДИ, 3—4, М., 1940, стр. 45.

<sup>139</sup> Л. Вуллн, დასახ. ნაშრომი, გვ. 101; ამასთან დაკავშირებით იხ. В. В. Струве, По поводу материалов Л. Вуллн, стр. 154; აგრეთვე ი. დიაკონოვის შენიშვნა, გვ. 163.

<sup>140</sup> В. Н. Даннлецко, Неолит Украины, стр. 235.

<sup>141</sup> Ch. A. Burney, Eastern Anatolia in the Chalcolithic and Early Bronze Age, 178.

<sup>142</sup> Ch. A. Burney, D. M. Lang, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

<sup>143</sup> იქვე, გვ. 78.

<sup>144</sup> J. Mellaart, Anatolia c. 4000—2300 B. C., Cambridge, 1965, 48.

ვიელები<sup>145</sup>. შემდეგში, რამდენადმე უფრო გვიან, კავკასიის გზით ჩრდილოეთის სტეპებიდან მცირე აზიაში შემოდინან ხეთები<sup>146</sup>. მისი აზრით, კავკასიის ადრე და შუაბრინჯაოს კულტურებს შორის წყვეტილი ჩრდილოეთიდან შემოსულ ძლიერ ნაკადს უნდა გამოეწვია<sup>147</sup>. ჯ. მელაარტის მოსაზრებამ ინდოევროპელთა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გზით ძველ აღმოსავლეთში გამოჩენამ სამართლიანი კრიტიკა გამოიწვია<sup>148</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში აზრი ინდოევროპული ტომების ჩრდილოეთიდან კავკასიის გზით გამოჩენის შესახებ განსაკუთრებით ენათმეცნიერთა შორის გავრცელდა. პროფ. ბ. გორუნგმა, რომელიც ადრე ინდოევროპელთა მიგრაციას ჰელესპონტის გზით ვარაუდობდა, შემდეგში მათი ჩრდილოეთიდან გავრცელების აზრი გაიზიარა<sup>149</sup>. ზოგიერთის აზრით, ინდოევროპული ტომების კავკასიის გზით შემოსვლას უნდა მოწმობდეს ხეთურში შენიშნული კავკასიური ენების გავლენები, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მათ შორის საკმაოდ ხანგრძლივი კონტაქტები უნდა ყოფილიყო. ამასვე მიუთითებს აგრეთვე კავკასიური ენობრივი მასალებიც, განსაკუთრებით ქართველური. სადაც კარგად ჩანს ინდოევროპულ ენასთან კავშირები<sup>150</sup>. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ინდოევროპული ტომების გავრცელების ჩრდილოურ გზაზე მიუთითებდნენ ადრე აკად. თ. გამყრელიძე და პროფ. ვ. ივანოვი.

თ. გამყრელიძე ფიქრობდა, რომ ინდოევროპული ტომები მცირე აზიაში შემოვიდნენ კავკასიის გზით. ამას უნდა მოწმობდეს კავკასიური, კერძოდ კი ქართველურ და ინდოევროპულ ენებს შორის არსებული ახლო კონტაქტები და აგრეთვე ახლო ურთიერთობა მატერიალურ კულტურაში კავკასიასა და მცირე აზიას შორის. ამ ახალი ეთნიკური ელემენტის გამოჩენა უეცრად კი არ უნდა მომხდარიყო, არამედ თანდათანობით, ადგილობრივ მკვიდრთა წილში და სხვ<sup>151</sup>.

<sup>145</sup> J. Mellaart, *The End of the Early Bronze Age in Anatolia and the Aegean*, AJA, vol. 62, № 1, 1958, 26.

<sup>146</sup> იქვე, გვ. 14.

<sup>147</sup> იქვე, გვ. 9.

<sup>148</sup> В. С. Пштов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 38.

<sup>149</sup> В. Г. Горнунг, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 34; მისივე, *Из предыстории образования общеславянского языкового единства*. М., 1965, стр. 53.

<sup>150</sup> Т. А. Дегтерева, *Пути развития современной лингвистики*, М., 1961, стр. 107.

<sup>151</sup> Т. В. Гамкрелидзе, «Хеттские языки» и вопрос о переселении в Малую Азию индоевропейских племен, *ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები*, II, თბილისი, 1957, გვ. 48; Т. В. Гамкрелидзе, «Анатолийские языки» и вопрос о переселении в Малую Азию индоевропейских племен. VII международный конгресс антропологических и этнографических наук. М., 1964, стр. 5; Т. В. Гамкрелидзе, *Анатолийские языки*, «ორიონი», თბილისი, 1967, გვ. 120.

ვ. ივანოვი აღნიშნავდა, რომ ინდოევროპული ტომები თავისი პირველსაც-ხოვრისიდან აღმოსავლეთ ევროპის სამხრეთ ოლქიდან მახლობელ აღმოსავლეთში კავკასიის გზით უნდა გავრცელებულიყვნენ<sup>152</sup>. მათ სამხრეთით მოძრაობას ხელი შეუწყო იმან, რომ ეს ტომები უკვე იცნობდნენ საბრძოლო ეტლს, რომელშიც ცხენი იყო შებმული. მათ შეიტანეს მცირე აზიაში ცხენის კულტი. კავკასიის გზით ინდოევროპელების გავრცელებას მოწმობს აგრეთვე არქეოლოგიური მონაცემები, კერძოდ კი კავკასიაში ხის ეტლების აღმოჩენის შემთხვევები, რაც კარგად შეესაბამება ხეტების ადრეული ტექსტების მონაცემებს<sup>153</sup>.

პროფ. გ. მაჭავარიანი თავის ერთ-ერთ ნაშრომში აღნიშნავდა, რომ ქართველური და ინდოევროპული ენობრივი შეხვედრები შესაძლოა მიმდინარეობდა ინდოევროპული ტომების წინა აზიაში სწორედ ჩრდილოეთიდან, კავკასიის გზით, გავრცელების პროცესში. კონტაქტები ქართველურ და ინდოევროპულ ტომებს შორის საკმაოდ ხანგრძლივი და მჭიდრო უნდა ყოფილიყო; ეს ურთიერთობა ხორციელდებოდა უძველეს ინდოევროპულ დიალექტებზე მოლაპარაკე ტომებთან საერთო-ქართველური ფუძე-ენის დაშლამდე<sup>154</sup>. უფრო გვიან იგი აღნიშნავდა, რომ საერთო-ქართველური ახლოს დგას „კლასიკურ“ ინდოევროპულ ტიპთან (პროტობერძული, პროტოირანული და სხვ.) და არა „ანატოლიურთან“ (ხეთურ-ლუვიური)<sup>155</sup>. ქართველურის, ბერძნულისა და ბალკანური ენების ახლო კავშირზე მიუთითებდა ვ. პოლაკი<sup>156</sup>.

მაგრამ სადღეისოდ არსებული მასალებით თითქოს ისე ჩანს, რომ ძვ. წ. III ათასწლეულში კავკასიის გზით წინა აზიაში მაინცდამაინც დიდ მოძრაობებს არ უნდა ჰქონოდა ადგილი. მართალია, ამ პერიოდში, უფრო კი ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში შეინიშნება ჩრდილოეთიდან წამოსული გარკვეული იმპულსები<sup>157</sup>, მაგრამ არა გვეგონია ეს ასახავდეს ინდოევროპული ტომების აქ გავრცელებას თანდათანობით ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ მათ კავკასიის ორივე მხარეს ძლიერი ნაკვალები უნ-

152 В. В. Иванов, Очерк истории и культуры хеттов, в книге К. Керам, Узкое ущелье и Черная гора. М., 1962, стр. 186.

153 В. В. Иванов, Хеттские языки, М., 1963, стр. 10.

154 Г. И. Мачавариани, К вопросу об индоевропейско-картвельских (южно-кавказских) типологических параллелях. VII международный конгресс антропологических и этнографических наук, М., 1964, стр. 6.

155 Г. И. Мачавариани, К вопросу о древнейших картвельско-индоевропейских контактах, *მიმოხილველი*, 6—9, თბილისი, 1972, გვ. 527.

156 V. Polak, La Position linguistique des langues Caucasiens, *Studia linguistica*, № 1—2, 1950, 103.

157 ე. გოგაძე, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 89.

და დაეტოვებინათ<sup>158</sup>. არც ის უნდა იყოს მართებული, რომ თითქოს ძლიერა ჩრდილოური გავლენების შედეგად მტკვარ-არაქსისა და მის მომდევნო კულტურას შორის კავშირი არ ჩანს, რაც ეთნიკური ხასიათის ცვლილებების ანაერეკლო უნდა იყოს<sup>159</sup>. თრიალეთის კულტურა მტკვარ-არაქსის კულტურის შედეგად აღმოცენდა და არ არსებობს ეთნიკური შემადგენლობის შეცვლის საფუძველი. არც კავკასიაში ეტლების აღმოჩენის ფაქტი და საერთოდ ეტლზე დაკრძალვის წესი, რომელიც სტეპებში მცხოვრები ტომებისათვის იყო დამახასიათებელი. უნდა მოწმობდეს ინდოევროპელების გავრცელების ჩრდილოურ გზაზე და თითქოს მათ მოძრაობას აადვილებდა ის, რომ ისინი უკვე იცნობდნენ საბრძოლო ეტლს, რომელშიც ცხენი იყო შებმული<sup>160</sup>. ზოგიერთი ფიქრობს, რომ წინა აზიაში საბრძოლო ეტლი, შიგ შებმული ცხენით ინდო-გერმანელებს უნდა გავრცელებინათ. სხვაგვარად წარმოუდგენელი იქნებოდა მათი ძველ აღმოსავლეთში დროებითი წარმატებები<sup>161</sup>.

როგორც ცნობილია, მიცვალებულის ეტლზე დაკრძალვის წესი წინა აზიაში საკმაოდ აღრინდელი პერიოდიდან იყო ცნობილი. ჩვენში ეს წესი ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში ვრცელდება, შესაძლოა ძველადმოსავლურ სამყაროდან<sup>162</sup>. ადრე ჩანს ეტლთან ერთად დასაფლავების შემთხვევები აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპაში. ორმოსამარხების და განსაკუთრებით კი კატაკომბური კულტურების ხანაში იგი კარგადაა ცნობილი. საიდან გავრცელდა სამხრეთ რუსეთის სტეპებში ეტლი და ეტლზე დაკრძალვის წესი მთლად ნათელი არ არის. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ დაკრძალვის ეს წესი სამხრეთიდან კავკასიის გზით უნდა გავრცელებულიყო და აღნიშნავს, რომ კატაკომბურ კულტურაში, კერძოდ, რიტუალში სხვაგ შეინიშნება საერთო<sup>163</sup>.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბორბლიანი ტრანსპორტის წარმომავლობისა და გავრცელების გზების შესახებ ერთი გარკვეული აზრი არ არის. ზოგიერთი მკვლევარი ეტლის სხვადასხვა ადგილას დამოუკიდებელი წარმომავლობის იდეას იზიარებს და აღნიშნავს, რომ ინდოევროპულ ენებში უკვე ძალიან აღრინდელ ხანიდან ჩანს ეტლთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის აღმნიშვნელი სიტყვები<sup>164</sup>. ეტლის ფართო გავრცელება ევროპაში ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხთა

<sup>158</sup> Е. И. Крупнов, Некоторые нерешенные вопросы первобытной археологии Кавказа, КСИА, вып. 98. М., 1964, стр. 64; თ. ჭ ა თ ა რ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბილისი, 1969, გვ. 215.

<sup>159</sup> J. Mellnart, დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

<sup>160</sup> В. В. Иванов, Хеттские языки. М., 1963, стр. 12.

<sup>161</sup> F. Cornelius, Erin-Manda, Iraq, vol. XXV, Part 2, 1963, 169.

<sup>162</sup> თ. ჭ ა თ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

<sup>163</sup> В. А. Фисенко, Погребальный обряд племен катакомбной культуры Юго-Востока, Археологический сборник, Саратов, 1966, стр. 77.

<sup>164</sup> A. Kammerhuber, Hippologia Hethitica, Wisbaden, 1961, 27. Т. А. Дертерев, დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

განსახლებასთან იყო დაკავშირებული<sup>165</sup>. უფრო გავრცელებულია გ. ჩაილდის ცნობილი დებულება ეტლის ერთი ცენტრიდან გავრცელების შესახებ. ეს აღრეული ეტლები თავის გავრცელების დიდ ტერიტორიაზე კონსტრუქციულად პითქმის მთლიანად ინარჩუნებს თავის სახეს<sup>166</sup>, რაც მისი სხვადასხვა წარმომავლობის შემთხვევაში ნაკლებად მოსალოდნელი იყო<sup>167</sup>. წინა აზიიდან კავკასიის გზით გავრცელდა ეტლი სამხრეთ რუსეთის სტეპებში და აქედან კი ევროპაში<sup>168</sup>. ზოგიერთი მკვლევარი იმას აღნიშნავს, რომ კავკასია და ზაგროსის მხარე ყველაზე შესაძლო ადგილია ბორბლიანი ტრანსპორტის წარმოქმნისათვის, რომლის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ისიც იყო, რომ ტყის საფარის გამო აქ ხის მასალის უხვი მარაგი იქნებოდა<sup>169</sup>. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთით ბორბლიანი ტრანსპორტის გავრცელება ზოგიერთმა მკვლევარმა მახლობელი აღმოსავლეთიდან ინდოევროპელების მიგრაციის გზას დაუკავშირა<sup>170</sup>. სულ ახლანახან გამოითქვა მოსაზრება, რომ როგორც სხვა მოწინავე იდეები, ბორბლიანი ტრანსპორტიც სამხრეთ რუსეთის სტეპებში შესაძლოა გავრცელდა მეორე რიგის ცივილიზაციების ზონებიდან (დუნაისპირეთი, კავკასია, სამხრეთ-აღმოსავლეთი კასპიისპირეთი)<sup>171</sup>. კამერპუბერი აღნიშნავს, რომ ეტლიცა და ცხენაც ძველადმოსავლეთში უკვე III ათასწლეულში იყო ცნობილი<sup>172</sup>. ცხენი მესოპოტამიასა და მცირე აზიაში, მისი აზრით, უნდა შემოსულიყო არა უგვიანეს III ათასწლეულისა და მათვე უნდა გამოეყენებინათ იგი პირველად გამწვევ ძალად<sup>173</sup>. ასეა თუ ისე, ერთი კი აშკარაა, რომ ბორბლიანი ტრანსპორტის იდეა ჩრდილოეთიდან კი არ მოვიდა, არამედ პირიქით, სამხრეთიდან გავრცელდა.

არც ისაა მთლად ნათელი თუ სად, როდის და ვინ მოიშინაურა პირველად ცხენი და შემდგომში როგორი იყო მისი გავრცელების გზა. სადღეისოდ თითქოს ისე ჩანს, რომ სამხრეთ რუსეთში მოშინაურებული ცხენი უკვე კარგადაა

<sup>165</sup> S. Piggott, *Ancient Europe*, Edinburg, 1945, 198.

<sup>166</sup> G. Childe, *The Diffusion of Wheeled Vehicles*, *Ethnographisch—Archäologische Forschungen*, Berlin, 1954, 4; Г. Чайлд, *Древнейший Восток в свете новых раскопок*, стр. 358.

<sup>167</sup> П. М. Кожиин, *О глиняных моделях колес из Балановского могильника*, СА, 4, М., 1964, стр. 176.

<sup>168</sup> F. Hančar, *Das Pferd prähistorische und frühhistorische Zeit*, Wien, 1955, 533. Г. Кларк, *Доисторическая Европа*. М., 1953, стр. 301.

<sup>169</sup> S. Piggott, *The Earliest Wheeled Vehicles and the Caucasian Evidence*. *The Prehistoric Society for 1968*, vol. XXXIV, 309.

<sup>170</sup> Т. Гамкрелидзе, В. Иванов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 20.

<sup>171</sup> Е. Е. Кузьмина, *Колесный транспорт и проблема этнической и социальной истории древнего населения южнорусских степей*, ВДИ, № 4, М., 1974, стр. 78.

<sup>172</sup> A. Kammerhuber, *Die Arier in Vorderen Orient*, 191.

<sup>173</sup> იქვე. გვ. 297.

ცნობილი ძვ. წ. IV ათასწლეულიდან<sup>174</sup>. ძველიორმოსამარხების კულტურაში ცხენი უკვე გვხვდება უძველესი ეტაპის დროიდან. აღინიშნა კიდევ, რომ ერთადერთი ცნოველი, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში მოშინაურება ექვს არ იწვევს, ცხენი იყო<sup>175</sup>. უკანასკნელ ხანებში სამხრეთ რუსეთში შესწავლილ ამ დროის ნამოსახლარებში კარგადაა წარმოდგენილი შინაური ცხენის ძვლები. აღსანიშნავია, რომ დერეივის ნამოსახლარზე (კრემენჩუგის რ-ნი), რომელიც ძველიორმოსამარხების კულტურის ადრეული ეტაპის სინქრონულია<sup>176</sup> აღმოჩნდა ექვსი რქის საყბეური<sup>177</sup>. იყო თუ არა ცხენი ძველიორმოსამარხების კულტურაში გამწევე ძალად გამოყენებული<sup>178</sup> ჯერ კიდევ ძნელი სათქმელია. აქ ცნობილი ხის ეტლები მასიური, მძიმე თვლებით, თითქოს უფრო ამის საწინააღმდეგოდ უნდა მეტყველებდეს<sup>179</sup>. ამრიგად, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, სამხრეთ რუსეთის სტეპების მხარე იყო შინაური ცხენის სამშობლო. აქვე გამოიყენეს პირველად იგი როგორც გამწევი ძალა და აქედან უნდა გავრცელებულიყო ცხენი და მსუბუქი ეტლი ძველადმოსავლეთის სამყაროში<sup>180</sup>. ცხენის ფართოდ გამოყენება ინდოევროპულ ტომებთან იყო დაკავშირებული. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ის აზრიცაა გავრცელებული, რომ წინა აზიაში ცხენი უკვე ძვ. წ. IV ათასწლეულში იყო ცნობილი<sup>181</sup>. ადრე გვხვდება აქ მსუბუქი ეტლი შიგ შებმული ცხენით. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ცხენი და საბრძოლო ეტლი აქ ძვ. წ. II ათასწლეულში არიელების წინააზიაში გამოჩენასთან იყო დაკავშირებული<sup>182</sup>. მესოპოტამიაში ადრე უფრო სახედარი ჩანს გამოყენებული, ცნობები ცხენის შესახებ აქ ჩნდება II ათასწლეულის დასაწყისი-

174 E. E. Кузьмина, Лошадь в Европе и на Переднем Востоке. V всесоюзная сессия по Древнему Востоку. Тезисы. Тбилиси, 1971, стр. 92; E. E. Кузьмина, Сложение скотоводческого хозяйства в степях Евразии и реконструкция социальной структуры общества древнейших племен, стр. 43; С. А. Семенов, Происхождение земледелия, стр. 205.

175 В. И. Цалкин, Древнейшие домашние животные Восточной Европы. М., 1970, стр. 266.

176 Н. Я. Мерперт, Древнейшие скотоводы Волжско-Уральского междуречья, стр. 105.

177 D. J. Telegin, Über einen der ältesten Pferde-zucht-herde in Europa Actes du VIII Congrès International des Sciences Préhistoriques et Protohistoriques, Beograd, 1973, 324.

178 E. E. Кузьмина, Колесный транспорт и проблема этнической и социальной истории древнего населения южнорусских степей, стр. 81.

179 И. М. Дьяконов, Арийцы на Ближнем Востоке; Конец мифа, стр. 42.

180 E. E. Кузьмина, დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

181 И. М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 41; И. М. Дьяконов, Предыстория армянского народа, стр. 41.

182 Э. А. Грантовский, Арийцы и Передний Восток во II тысяч. до н. э. V всесоюзная сессия по Древнему Востоку, Тбилиси, 1971, стр. 90.

დან<sup>183</sup>. ასეა თუ ისე, ერთი თითქოს ნათელია, რომ ინდოევროპული ტომების გამოჩენასთან ერთად აქ მეცხენეობა მალალ საფეხურზე აღის.

როდის ჩნდება შინაური ცხენი კავკასიაში და კერძოდ ამიერკავკასიაში, ჭერჭერობით გარკვევით თქმა ძნელია. ფიქრობენ, რომ უკვე ძვ. წ. III ათასწლეულში სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან შინაური ცხენი ვრცელდება კავკასიაში<sup>184</sup>. ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ მაიკოპის ვერცხლის თასზე გამოსახული პრეევალსკის ცხენი იმის მოწმობაა, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოსათვის ცხენი აქ უკვე მოშინაურებული უნდა ყოფილიყო<sup>185</sup>. იმის გამო, რომ კავკასიის ჩრდილოეთით მდებარე არეალში ცხენი ადრე ჩნდება, ამიტომ, აღნიშნავს ზოგიერთი ავტორი, იგი ეპიზოდურად ვრცელდებოდა მეზობელ ტერიტორიაზე<sup>186</sup>. გვიან მაიკოპის კულტურის ხანაში შინაური ცხენის არსებობის მანიშნებლად რ. მუნჩაევს მოტანილი აქვს ბამუტისა და ნ. ვესელოვსკის მიერ მაიკოპის მახლობლად გათხრილ ყორღანებში ნაპოვნი ბრინჯაოს ნივთები, რომლებიც, მისი აზრით, საყბურები უნდა ყოფილიყო<sup>187</sup>. მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ ძნელია ამ ნივთების უყოყმანოდ ცხენთან დაკავშირება.

ზოგიერთი ავტორი ფიქრობს, რომ ამიერკავკასიაში შინაური ცხენი უკვე მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში ჩანს და აღნიშნავენ, რომ მათი ძვლები გვხვდება ამ დროის სხვადასხვა ნამოსახლარებზე<sup>188</sup>. მაგრამ ვფიქრობთ, რომ აქ უფრო მეტი სიფრთხილეა საჭირო იმის გამო, რომ, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, გარეული და შინაური ცხენის ძვლების გარკვევა საკმაოდ რთულია<sup>189</sup>. შენგავითის ნამოსახლარზე, სადაც თითქოს ყველაზე უკეთაა წარმოდგენილი ცხენის ძვლები, მეტად ცუდად დაცული მასალა აღმოჩნდა. ქვატხელების ნამოსახლარზე, როგორც ჩანს, გარეული ცხენის ძვლები იყო ნაპოვნი<sup>189a</sup>. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მტკვარ-არაქსის ნამოსახლარზე ცხენის ძვლების მეტად მცირე პროცენტია აღმოჩენილი. თუ ამ თვალსაზრისით შევუდარებთ სამხრეთ რუსეთის ადრეულ ნამოსახლარებს, სადაც უკვე ჩანს მოში-

183 X. Клепгелъ, Экономические основы кочевничества в древней Месопотамии, ВДИ, № 4, М., 1967, стр. 64.

184 Е. Е. Кузьмина, Лошадь в Европе и на Переднем Востоке, стр. 93.

185 Ch. A. Burney, D. M. Lang; დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

186 В. И. Библикова, К изучению древнейших домашних лошадей Восточной Европы, Бюллетень Московского общества испытателей природы. Отдел биологии, т. II, М., 1967, стр. 117.

187 Р. М. Мунчаев, Бронзовые псални майкопской культуры и проблема возникновения коневодства на Кавказе. Кавказ и Восточная Европа в древности. М., 1973, стр. 73.

188 იქვე, გვ. 71; С. М. Межлумян, Палеофауна эпох энеолита, бронзы и железа на территории Армении. Ереван, 1972, стр. 89.

189 იქვე, გვ. 88.

189a იქვე, გვ. 125.

ნაურებული ცხენი, დავინახავთ, რომ აქ აღმოჩენილ ფაუნაში ცხენის ძვლები საკმაოდ დიდ პროცენტს შეადგენს. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურაში, მისი გავრცელების დიდ ტერიტორიაზე არსად არ შეინიშნება ცხენთან დაკავშირებული რაიმე ნიშანი. არც ადრეულ ყორღანში, სადაც კარგადაა დაცული ძვლოვანი მასალები, ცხენის ძვლები ან მასთან დაკავშირებული რაიმე ნივთი შემჩნეული არ იყო. უფრო მეტიც, ცხენი არ ჩანს არც მომდევნო ხანის ძვ. წ. II ათასწლეულის თრიალეთის კულტურაში. ამიტომაც ზოგიერთმა მკვლევარმა იმთავითვე თრიალეთის ყორღანებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ, როგორც ჩანს, შინაური ცხენი აქ ჯერ კიდევ ცნობილი არ იყო<sup>190</sup>. ზოგიერთი ავტორი ცხენის არარსებობას თრიალეთის კულტურაში რიტუალური, რელიგიური ხასიათის მიზეზით ხსნის<sup>191</sup>. უკანასკნელ ხანებში ამ კულტურის გავრცელების ფარგლები საგრძნობლად გაიზარდა. გაითხარა არაერთი ამ პერიოდის ძეგლი, მაგრამ არსად ცხენის არსებობის ნაკვალევი შეინიშნული არ იყო. ამიტომაც შეიძლება ვიფიქროთ, რომ შინაური ცხენის ამიერკავკასიაში და საერთოდ კავკასიაში ფართო ათვისება შედარებით გვიან იწყება, ეგებ უფრო II ათასწლეულის მეორე ნახევარში, ძველადმოსავლურ სამყაროსთან ურთიერთობის შედეგად<sup>192</sup>. ამრიგად, როგორც ჩანს, შინაური ცხენი ისევე, როგორც ბორბლიანი ტრანსპორტი ჩრდილოეთიდან კი არ გავრცელდა, არამედ უფრო სამხრეთიდან, მახლობელი აღმოსავლეთიდან. ეს ფაქტი, ეგებ, იმის საწინააღმდეგოდ უნდა მეტყველებდეს, რომ თითქოს ინდოევროპელი ტომები მცირე აზიაში კავკასიის გზით შევიდნენ. აქ ისიც უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში ამიერკავკასიას, მის ჩრდილოეთით მდებარე ოლქებთან რაიმე კულტურული კავშირები მაინცაღამაინც არ უნდა ჰქონოდა. მტკვარ-არაქსის კულტურაში ურთიერთობა ძველიორმოსამარხების კულტურის მატარებელ ტომებთან თითქმის არ შეინიშნება<sup>193</sup>. ეს ურთიერთობა უფრო გვიან, კატაკომბურ კულტურაში ხდება შესამჩნევი, სადაც თითქოს თიხის ჭურჭელში ჩანს მტკვარ-არაქსის კულტურის გავლენა<sup>194</sup>.

რაც შეეხება ქართველურში ინდოევროპული ლექსიკის არსებობის საკითხს, ეს უთუოდ მათ საკმაოდ ადრეულ ურთიერთობაზე მეტყველებს. მაგრამ რა ხასიათისა იყო ამ ენათა შორის არსებული კავშირები, რითაა გამოწვეული ეს სიახლოვე და კერძოდ რომელ ინდოევროპულ ენასთან ჩანს უფრო

<sup>190</sup> М. И. Артамонов, Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Рецензия, Вестник АН СССР, № 9—10, 1942, стр. 95.

<sup>191</sup> F. Hančar, დასახ. ნაშრომი, გვ. 166. С. F. Schaeffer, Stratigraphie Comparee et Chronologie de l'Asie Occidentale, London, 1948, 509.

<sup>192</sup> თ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 202.

<sup>193</sup> Н. Я. Мерперт, დასახ. ნაშრომი, გვ. 140.

<sup>194</sup> В. Н. Даниленко, Неолит Украины, стр. 228.



მეტი ახლობლობა ქართველურისა, ჯერჯერობით მთლად გარკვეული არ არის. ქართველურ და ინდოევროპულ ენათა სტრუქტურათა შორის მართლაც დგინდება გარკვეული ტიპოლოგიური მსგავსება<sup>195</sup> და ზოგიერთი მკვლევარი უფრო შორსაც მიდის და ამ სიახლოვის იქით კიდევ ამ ენათა სავარაუდო ნათესაურ ურთიერთობის შესაძლებლობას უშვებს<sup>196</sup>. მართალია, ჯერ კიდევ ნაადრევია ამ ენათა შორის არსებული მსგავსების ხასიათის შესახებ ლაპარაკი<sup>197</sup>, ოღონდ რომ მათ შორის უკვე აღრინდელი ხანიდან გარკვეული ურთიერთობა არსებობდა, თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს. მაგრამ კონკრეტულად რომელი ჯგუფის ინდოევროპულ ენასთან და კერძოდ სად ხორციელდებოდა ეს ურთიერთობა ქართველურთან ჯერ კიდევ ძნელი სათქმელია<sup>198</sup>. ის მკვლევარები, რომლებიც ინდოევროპული ტომების ჩრდილოეთიდან, კავკასიის გზით გამოჩენას ვარაუდობენ, ქართველურის უფრო ხეთურ-ლუვიურთან კავშირზე მიუთითებენ. ზოგიერთი აღნიშნავს, რომ ხეთურს კავკასიური ენების საკმაოდ მნიშვნელოვანი გავლენა უნდა განეცადა<sup>199</sup>. სამხრეთ კავკასიურ ენებში (ურარტული, ქართველური) ხეთურიდან თუ სხვა ანატოლიური ენიდან გამოსული ცალკეული სიტყვების და სახელების არსებობა შეინიშნება<sup>200</sup>. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგიერთი მკვლევარი ქართველურის ურთიერთობის შესაძლებლობას უშვებს ინდოევროპულის უფრო „კლასიკურ“ ტიპთან (პროტობერძული, პროტო-ირანული და სხვ.). ზოგიც იმას აღნიშნავს, რომ ინდოევროპული ლექსიკა ქართველურში იმ ინდოევროპული ხალხის გზით არ უნდა იყოს შემოსული, რომელთანაც ქართველ ტომებს ურთიერთობა ისტორიულ წარსულში ჰქონდათ (ხეთურ-ლუვიური ჯგუფი, ბერძნები, სპარსელები, სკვითები და სხვ.), არამედ რომელიღაც უცნობი ინდოევროპული ტომების ენიდან, რომელმაც, შესაძლოა, ქართველურისათვის სუბსტრატის როლი შეასრულა<sup>201</sup>.

არც ისაა მთლად ნათელი, თუ სად და როდის ხორციელდებოდა კავშირები ქართველურ და ინდოევროპულ ენათა შორის. ის მკვლევარები, რომლებიც ინდოევროპელთა ადგილსამყოფელს კავკასიასა და მის მიმდგომ მიწა-წყალზე ფიქრობენ, ამის წყაროს კავკასიის ნიადაგზე ხედავენ. ზოგიერთი მკვლევარი

<sup>195</sup> თ. გამყრელიძე, გ. მაკავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965, გვ. 378.

<sup>196</sup> В. М. Иллич-Свинтыч, რეცენზია თ. გამყრელიძის და გ. მაკავარიანის ნაშრომზე, ВЯ, 4, Москва, 1966, стр. 136.

<sup>197</sup> გ. წერეთელი, სონანტების და აბლაუტის თეორიის გამო ქართველურ ენებში, გვ. 23.

<sup>198</sup> Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков. М., 1964, 40;

G. Deeters, Die Stellung der Khartvelsprachen unter der Kaukasischen Sprachen, Revue Karthvelologie, 23, Paris, 1957, 16.

<sup>199</sup> Т. А. Дегтерева, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

<sup>200</sup> Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

<sup>201</sup> გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 244.

ვარაუდობს, რომ ქართველურისა და ინდოევროპულის კონტაქტების ეპოქაში III ათასწლეულის ბოლოსათვის მათ მომიჯნავე ტერიტორიები ეკავათ და ეს კონტაქტები საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ხორციელდებოდა<sup>202</sup>. გამოითქვა მოსაზრება, რომ ინდოევროპული წარმომავლობის ლექსიკა ქართველურში ძირითადად მცირე აზიაში მოსახლე ინდოევროპელ ტომებთან შეხვედრების შედეგად გავრცელდა<sup>203</sup>. რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, რომ ეს კონტაქტები ამ ტომებს შორის სამხრეთით მდებარე ოლქებში ხორციელდებოდა. ბოლო დროს სულ უფრო და უფრო ვრცელდება აზრი ინდოევროპელთა მცირე აზიაში, დასავლეთიდან ბალკანეთის გზით ადრე გამოჩენის შესახებ<sup>204</sup>. ამავე პერიოდში შეინიშნება მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელება სამხრეთით. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ქართველურისა და სხვა ენების (ხურიურ-არტულის) კონტაქტები ინდოევროპულთან წინა აზიაში ხორციელდებოდა<sup>205</sup>. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ინდოევროპეიზმები ქართველურსა და ურარტულში ერთი წყაროდან მომდინარეობს. ამ გარემოებას უყრადღება მიაქცია აკად. გ. მელიქიშვილმა და ამ ენებისათვის საერთო ინდოევროპული სუბსტრატის არსებობის შესაძლებლობა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ივარაუდა<sup>206</sup>.

მაგრამ, შესაძლოა, ინდოევროპულთან კონტაქტების ერთ-ერთი ძირითადი წყარო მაინც უფრო ამიერკავკასიის ჩრდილოეთით მდებარე მხარე ყოფილიყო. გ. მელიქიშვილი ამ შესაძლებლობასაც უშვებს და აღნიშნავს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის არეში მნიშვნელოვანი ინდოევროპული (არა ინდოირანული და არა ხეთურ-ლუვიური) მასა შემოდის, რომელიც ქართველურსა, ურარტულსა და სხვ. ენებში ითქვიფება<sup>207</sup>. ზევით მტკვარ-არაქსის კულტურის განხილვისას უკვე აღვნიშნეთ იმ ჩრდილოურ კონტაქტებზე, რომელიც შეინიშნება ამ კულტურის გვიანდელ საფეხურზე, ძვ. წ. III ათასწლეულის შუა და მეორე ნახევრის ხანებისათვის. მტკვარ-არაქსის კულტურის გავლენები საკმაოდ შესამჩნევია და შორს სიღრმეში ვრცელდება. როგორც ჩანს, ეს ურთიერთობა საკმაოდ მყარი იყო და კიდევაც შეინიშნება ამის ანარეკლი ევროპულ კულტურაში. ზოგიერთი ენათმეცნიერი უძველესი ინდოევროპელების კავკასიურ სამყაროსთან ძალიან ახლო კავშირის ვარაუდობს და მიუთითებს, რომ ამ ხალხებმა კავკასიის ეთნიკური და ენობრივი ფილტრი გაიარეს<sup>208</sup>. ამიტომ არ არის

<sup>202</sup> Т. В. Гамкрелидзе, Современная диахроническая лингвистика и картвельские языки, ВЯ, 3, М., 1971, стр. 37.

<sup>203</sup> ა. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. თბილისი, 1942, გვ. 31.

<sup>204</sup> G. A. Melikishvili, On the Problem of Hurrite expansion in the Direction of Transcaucasia, 5.

<sup>205</sup> ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 213.

<sup>206</sup> გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 244.

<sup>207</sup> იქვე, გვ. 46.

<sup>208</sup> Т. А. Дергерева, დასახ. ნაშრომი, გვ. 108.

გამორიცხული, რომ ინდოევროპეიზმის ძირითადი წყარო ქართველურში და ზოგ სხვა ენებშიც ჩრდილოეთის მხარე იყო და ეგებ, მართლაც რომელიმე უცნობი წარმომავლობის ინდოევროპულმა ტომმა სუბსტრატის როლი შეასრულა ქართველურისათვის. ეს ის ხანაა, როდესაც ინდოევროპული ერთობის დაშლის შედეგად ამ ტომების ფართო განფენა ხდება.

ამრიგად, ვფიქრობთ, რომ ნაკლებ საყარაუდებელია ინდოევროპული ტომების პირველადილსამყოფელის არსებობა ამიერკავკასიასა და მის მიმდგომ ოლქებში დავუშვათ. კავკასიის უძველეს მოსახლეობას ძირითადად ადგილობრივი ეთნიკური ჯგუფები შეადგენდა. ეს ჯგუფები მონაწილეობდნენ, ალბათ, უპირატესად მტკვარ-არაქსის კულტურის შექმნაში. არ არის გამორიცხული, რომ ამაში გარკვეული როლი ითამაშა აგრეთვე ძვ. წ. IV ათასწლეულში სამხრეთიდან ახალი ეთნიკური მასების გადმოადგილებამაც, რასაც შედეგად საზოგადოების დაწინაურება მოჰყვა, ამ ბოლო დროს სულ უფრო კრცვლდება აზრი, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა ხურიტულ ტომებთანაა დაკავშირებული<sup>209</sup>. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ამ კულტურის გავრცელების არეალი სამხრეთით ემთხვევა ძირითადად იმ ტერიტორიას, სადაც შემდეგში ხურიტული ტომები ჩანან. მართალია, ამ საკითხში ჯერ კიდევ ბევრი რამ გაურკვეველია. თუნდაც იმის გამო, რომ თვით ხურიტების პრობლემის შესახებ, განსაკუთრებით მათ პირველსაცხოვრისთან დაკავშირებით, ყველაფერი ნათელი არ არის<sup>210</sup>. როგორც ცნობილია, ხურიტული ტომები ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან უკვე ჩრდილო მესოპოტამიაში ჩანან<sup>211</sup> და შემდეგში აქედან ავრცელებენ ისინი თავიანთ პოლიტიკურ ჰეგემონიას სამხრეთით<sup>212</sup>. მაგრამ ჩრდილო მესოპოტამიაში მტკვარ-არაქსის კულტურის ნაკვალევი შენიშნული არ არის<sup>213</sup>. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ხურიტების ერთი ტალღის გადაადგილება ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბებამდე მოხდა სამხრეთით ჩრდილო მესოპოტამიის მიმართულებით<sup>214</sup>. ძვ. წ. IV ათასწლეული ის ხანაა, როდესაც საბოლოოდ იშლება კავკასიური ერთობა და, როგორც ზემოთ აღნიშნული გვეჩვენა, ამიერკავკასიის სამხრეთ ნაწილში ხურიტულენოვანი ტომები ვრცელდებიან. შესაძლოა ამ ტომების ერთი ნაწილი ამ დროისათვის უფრო სამ-

<sup>209</sup> C. A. Burney, დასახ. ნაშრომი, გვ. 167; ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, 250.

<sup>210</sup> B. Hroudá, Die Churriter als Problem archäologischen Forschungen, *Archaeologia Geographica*, Jahrgang 7, Hamburg, 1958, 14.

<sup>211</sup> A. Kammerhuber, Die Arier in Vorderen Orient; 123, 132.

<sup>212</sup> Г. А. Мелникшвили, Наирн-Урарту, Тбилиси, 1954, стр. 100.

<sup>213</sup> გ. მელიქიშვილი, რეცენზია: ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, კავკასიურ-ასოლოგოსაელოგოს კრებული, 11, თბილისი, 1962, 242; И. М. Дьяконов, Предыстория армянского народа, стр. 22.

<sup>214</sup> ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, აღ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დას. ნაშრომი, გვ. 105.

ხრეთითაც ინაცვლებენ და ჩრდილო მესოპოტამიის გარკვეულ ნაწილს იკავებენ, სადაც მათი არსებობა III ათასწლეულში უკვე წერილობითი წყაროებით დასტურდება. ამ ტომების ამიერკავკასიიდან სამხრეთით გადასვლა უფრო გვიანაც მომხდარა მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბების შემდეგ და სწორედ მათ უნდა გავერცხვებინათ ეს კულტურა წინა აზიაში. ნიშანდობლივია, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის სამხრეთით გავრცელების არე შემდეგში ემთხვევა ხურიტული ტომების ადგილსამყოფელს<sup>215</sup>.

როგორც ცნობილია, მკვლევართა ნაწილი ხურიტულ ტომებს კავკასიიდან გამოსულებად თვლის<sup>216</sup>, მათ ენას კი კავკასიურ ენებს უკავშირებს<sup>217</sup>, თუმცა არც ეს მოსაზრებაა ექვს გარეშე დატოვებული<sup>218</sup>. ზოგიერთი მკვლევარი ხურიტურარტული ტომების პირველსაცხოვრის მთიან კურდისტანში, ზაგროსის რაიონში ეძებს<sup>219</sup>. ზოგიც იმას აღნიშნავს, რომ ხურთა ქვეყანა ძველდმოსავლეთის პერიფერიულ ნაწილში, ძირითადად ვანის ტბის მიდამოებში მდებარეობდა<sup>220</sup>. ისიც კი ითქვა, რომ შუამდინარეთი უბეიდის ხანაში ხურიტებით იყო დასახლებული<sup>221</sup>. ჩვენში, როგორც ცნობილია, გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ ხურიტები ქართველების წინაპრები არიან და რომ ქართველ ტომთა ადრინდელი სამშობლო ვანის ტბის მიდამოები იყო<sup>222</sup>. უკანასკნელ ხანებში მტკვარ-არაქსის კულტურის ამიერკავკასიის სამხრეთით ფართოდ განფენასთან დაკავშირებით სულ უფრო და უფრო ვრცელდება აზრი ამ კულტურის ხურიტებთან კავშირის შესახებ. თუმცა ისიც ითქვა, რომ მართალია მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომებში ხური-ურარტული ეთნოსის დანახვა თითქოს

<sup>215</sup> И. М. Дьяконов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 22.

<sup>216</sup> Fiorella Imporati, I Hurriti, Firenze, 1963; 3. Evelyn und Horst Klengel Die Hethiter, Leipzig, 1968, 54.

<sup>217</sup> В. Георгиев, Исследования по сравнительно-историческому языкознанию, стр. 211; В. Грозный, Хеттские народы и языки, стр. 30; А. В. Десницкая, Вопросы изучения древних языков Малой Азии и сравнительная грамматика индоевропейских языков, ВЯ, 4, М., 1952, стр. 43.

<sup>218</sup> М. V. Tseretheli, Eine kleine Bemerkung zur Frage Vorfahren der Georger, 42; И. М. Дунаевская, О характере и связях языков древней Малой Азии, ВЯ, 6, М., 1956, стр. 78.

<sup>219</sup> Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, стр. 124;

С. G. Brandenstein, Zum Churrischen Lexikon, 83; И. А. Лиев, История Мидии, Баку, 1960, стр. 58.

<sup>220</sup> A. Goetze, Hethiter, Churriter und Assyrer, Oslo, 1936; 102.

<sup>221</sup> Б. Грозный, Донисторические судьбы Передней Азии, ВДИ, 3—4, М., 1940, стр. 31.

<sup>222</sup> Б. ბერძენიშვილი, ი. ჭავჭავიძევილი, ს. ჭანაშია, საქართველოს ისტორია, თბილისი. 1946. 20; ს. ჭანაშია, ქართველთა წარმომავლობის შესახებ, მიმოხილველი, I, თბილისი, 1952, გვ. 236.

მაცდური ჩანს, მაგრამ ამ კულტურის ხური-ურარტულ ტომებთან დაკავშირება მაინც გაძნელებულია<sup>223</sup>.

ზოგიერთი მკვლევარი პირდაპირ აღნიშნავს, რომ ახალი აღმოჩენების სინათლეზე ხურიტების კავკასიური წარმომავლობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ხურიტების სამშობლო მალაშითან ზოლში უნდა ყოფილიყო, სადაც III ათასწლეულში არსებობდა მეტად სტაბილური კულტურა და მისი გავრცელება სამხრეთით ხურიტებს უნდა მიეწეროს. ჩ. ბიორნი აღნიშნავს, რომ კირბეთ-კერაკის კერამიკის სამშობლო უთუოდ ხურიტების პირვანდელი ადგილსამყოფელი უნდა ყოფილიყო<sup>224</sup>. ხურიტებს უკავშირებს ამ კულტურას აგრეთვე ჟ. მელაარტი<sup>225</sup>. კირბეთ-კერაკის კულტურის მატარებელი ხალხის ხატებთან დაკავშირების ცდაც იყო<sup>226</sup>.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ უკვე კარგა ხანია აღინიშნა ხურიტულისა და ურარტული ენების სიახლოვე<sup>227</sup>. ისიც ითქვა, რომ ურარტული შეიძლება გვიანდელი ხურიტული ყოფილიყო<sup>228</sup>. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ შესაძლოა ხურიტები და ურარტელები თავდაპირველად ერთი ეთნოსი იყვნენ<sup>229</sup>. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში გამოითქვა მოსახრება, ხური-ურარტული ენის ჩეჩნურ-დაღესტნურ ენათა ჯგუფთან სიახლოვის შესახებ, განსაკუთრებით კი ჩეჩნურ-ინგუშურ და ლეკურ ჯგუფებთან. ურარტულის ნახურ ენებთან გარკვეულ ნათესაობაზე ჯერ კიდევ ი. ბრაუნი და გ. კლიმოვი მიუთითებდნენ<sup>230</sup>. ი. დიაკონოვი აღნიშნავს, რომ ხური-ურარტული შესაძლოა ჩეჩნურ-დაღესტნური ჯგუფის ნაწილიც კი ყოფილიყო. სხვა კავკასიურ ენებთან ხური-ურარტულის კავშირი არ შეინიშნება. რაკი ასეთ ურთიერთობას ხედავს ხური-ურარტულსა და ჩრდილო-კავკასიურ ენათა შორის, ი. დიაკონოვი ცდილობს მოამბნოს ის ტერიტორია, სადაც ხორციელდებოდა კონტაქტები ან ენათა მატარებელ ტომთა შორის. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით იგი აღნიშნავს, რომ ყველა საფუძველი არსებობს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომები ხური-ურარტული ტომები იყვნენ. ამ კულტუ-

<sup>223</sup> ვ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, გვ. 121.

<sup>224</sup> C. Burney, D. M. Lang, დასახ. ნაშრომი, გვ. 49, 51.

<sup>225</sup> J. Mellaart, The Chalcolithic and Early Bronze Ages in the Near East and Anatolia; 80, 86.

<sup>226</sup> B. Brentjes, Zu einigen Problemen der kaukasisch — syrischen Archäologie, 1077.

<sup>227</sup> С. Г. Brandenstein, Zum Churrischen Lexicon, 85; И. М. Дьяконов, Сравнительная грамматика, обзор хурритского и урартского языков. Переднеазиатский сборник. М., 1961, стр. 422.

<sup>228</sup> C. Burney, D. M. Lang, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

<sup>229</sup> И. М. Дьяконов, Предыстория армянского народа, стр. 17.

<sup>230</sup> И. М. Дьяконов, Языки древней Передней Азии, стр. 165.

რის გავრცელების არეალი გეოგრაფიულად და ქრონოლოგიურად კარგად შეესაბამება ხური-ურარტული ენების გავრცელების საზღვრებს. ამიერკავკასიის ტერიტორიაზეა საძებარი ხური-ურარტული ტომების პირველსაცხოვრისი და აქვე უნდა ყოფილიყო ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიური ტომების ადგილსამყოფელიც. მტკვარ-არაქსის კულტურა ძირითადად ხურიტული და მათი მონათესავე ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიური ენების მატარებელი ტომების კუთვნილება უნდა ყოფილიყო. თუმცა მის შექმნაში სხვა ტომებიც მონაწილეობდნენ, მათ შორის ქართველურიც. ი. დიაკონოვის აზრით, წინარექართველურის მატარებელ ტომებს III ათასწლეულში შედარებით შეზღუდული, მაღალმთიანი ტერიტორია ეკავათ და შესაძლოა ამ კულტურის გავრცელების პერიფერიულ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მის შექმნაში წინარე ქართველური ტომებიც მონაწილეობდნენ<sup>231</sup>.

მაგრამ, თუ ქართველურ ტომების ადგილსამყოფელად, როგორც ამას თვით ი. დიაკონოვი აღნიშნავს, დღევანდელ საქართველოს ტერიტორიას მივიჩნევთ, მაშინ აზრი, რომ თითქოს ქართველურენოვანი ტომების საცხოვრისი მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების ძირითადი ოლქების მიღმა იყო, მართებული არ უნდა იყოს. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნავდით, მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ძირითადი რაიონი აღმოსავლეთ საქართველო, უფრო კი დღევანდელი ქვემო ქართლი თავისი მიმდგომი მხარეებით უნდა ყოფილიყო, სწორედ აქაა სადღეისოდ დამოწმებული ამ კულტურის ადრეული ძეგლები. მტკვარ-არაქსის კულტურის აყვავების ხანაში დღევანდელი საქართველოს დიდი ნაწილი ამ კულტურის მატარებელი ტომებით იყო დაკავებული<sup>232</sup>. ამიტომ მართებული არ უნდა იყოს, რომ თითქოს ცენტრალურ ამიერკავკასიაში მსხდომ ტომებისათვის, რომელსაც საერთო კავკასიური ერთობის დაშლის შედეგად ძირითადად ქართველურენოვანი ტომები იკავებენ, მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში შედარებით უფრო ნაკლები როლი მიგვეწერა. ამ კულტურის შექმნაში და მის დაწინაურებაში უპირატესი როლი, ჩანს, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მსხდომ ტომებს—ქართველურენოვანს და ხურიტულენოვანს ეკუთვნის. ქართველურენოვანი ტომები ძირითადად იკავებენ ცენტრალურ ამიერკავკასიის ოლქებს, ხურიტულენოვანი და ეგებ წინარე ნახურ-დაღესტნური ერთობის მატარებელი ტომები კი აღმოსავლეთ ამიერკავკასიისა და მის სამხრეთით მდებარე მიწებს.

ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისი ხანებიდან ხურიტულ ტომებს უკვე აღმოსავლეთ ანატოლიისა და მისი მიმდგომი მხარეების დიდი ნაწილი უკავიათ. ამ ტომების ერთი ნაწილი კიდევ უფრო შორს სამხრეთით ვრცელდება და კირბეთ-კერაკის ნაწარმის გამოჩენა სირია-პალესტინაში მათ მოძრაობასთან უნდა

<sup>231</sup> И. М. Дьяконов, Некоторые лингвистические данные к проблеме связей Восточного Кавказа и Закавказья с Древним Востоком в III тысячелетии до н. э. Тезисы докладов. Баку, 1966, стр. 6.

<sup>232</sup> ი. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, გვ. 229.

ყოფილიყო დაკავშირებული. ხური-ურარტული ტომები კიდევ დიდხანს მოსახლეობდნენ სომხეთის ზეგანზე. ისინი შეადგენდნენ, ალბათ, სომხების ხურიტულენოვანი წინაპრების ძირითად მასას, ვიდრე მათი საბოლოო ასიმილაცია აზ მოახდინეს ძვ. წ. I ათასწლეულში ინდოევროპელმა სომხებმა<sup>233</sup>. ჩანს, ხური-ურარტულს სომხური ენისათვის სუბსტრატის როლი შეუსრულებია<sup>234</sup>. აქედან მომდინარეობს სომხური ენის ნარევი ბუნება<sup>235</sup>. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ჩანს, სომხებს არც ანთროპოლოგიურად განუტედათ რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება<sup>236</sup>. ახლა ძნელია გარკვევით თქმა, თუ რამ გამოიწვია მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების ასეთი მოძრაობა. შესაძლოა, ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისი ამ კულტურის აყვავების, მისი ამიერკავკასიაში ფართოდ განფენის პერიოდი. თანდათანობით იშლება ამ კულტურის ერთიანი ხასიათი და ლოკალური თავისებურებანი იჩენს თავს. იწყება ცალკეული ეთნიკური ჯგუფების აღზევება, რასაც შედეგად მტკვარ-არაქსის კულტურის შიგნით მათი გადანაცვლება მოჰყვა. შესაძლოა, ამ დროისათვის ცენტრალურ ამიერკავკასიაში ქართველურენოვანი ტომები წინაურდებიან და თანდათანობით უფრო ფართო ტერიტორიაზე იფანტებიან, იკავებენ დასავლეთ საქართველოს გარკვეულ ტერიტორიას და სხვ. შესაძლოა ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ხურიტულენოვანი ტომები რამდენადმე უფრო სამხრეთით ინაცვლებენ; მათ დაწინაურებას, როგორც უკვე აღვნიშნავდით, მოჰყვა შედეგად ფართოდ განფენა ამიერკავკასიის სამხრეთით და შემდეგში მათი კიდევ უფრო შორს გავრცელება.

შესაძლოა მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში ნახურ-დაღესტნური ტომების უფრო ჩრდილოეთით გადანაცვლება ხდებოდა. ეს ტომები ამ კულტურის წინარე პერიოდში უკვე მოსახლეობდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და მის ჩრდილოეთით მიმდგომ მხარეში<sup>237</sup>. არ არის გამორიცხული, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბებაში ამ ტომებსაც მიუძღვით გარკვეული როლი. შემდეგში, ამ კულტურის აღზევების ხანაში, რასაც შედეგად მისი ფართოდ განფენა და ეთნიკური ჯგუფების გადანაცვლება მოჰყვა, ნახურ-დაღესტნური ტომები კიდევ უფრო ჩრდილოეთით ვრცელდებიან და ჩრდილო კავკასიის გარკვეულ ტერიტორიას იკავებენ. ნიშანდობლივია, რომ ჩრდილო-

<sup>233</sup> А. А. Мартirosян, Р. М. Торосян, К интерпретации энеолитической культуры в Армении. Известия общественных наук, 3. Ереван, 1967, стр. 5.


<sup>234</sup> И. М. Дьяконов, Предыстория армянского народа, стр. 201, 231; И. М. Дьяконов, Хетты, фригийцы и армяне. Переднеазиатский сборник. М., 1961, стр. 367.

<sup>235</sup> Н. Я. Марр, Кавказоведение и абхазский язык, стр. 15.

<sup>236</sup> Г. Ф. Дебец, Заселение Южпой и Передней Азии по данным антропологии. Происхождение человека и древнее расселение человечества, Труды Ин-та этнографии. Новая серия, т. XVI. М., 1951, стр. 366.

<sup>237</sup> История Дагестана, I. М., 1967, стр. 39.

აღმოსავლეთ კავკასიაში ცნობილი მტკვარ-არაქსის კულტურა თავისი ხასიათით თითქოს ამ კულტურის უფრო ადრეულ ვარიანტთან იჩენს სიახლოვეს. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ტრადიციებმა აქ საკმაოდ დიდხანს შემოინახა თავი<sup>238</sup>. ძვ. წ. III ათასწლეულში აქ უკვე საერთო დაღეს-



რუკა 7. კავკასია ძვ. წ. III ათასწლეულში.

ტური ერთობის არსებობას ვარაუდობენ<sup>239</sup>. აქ საინტერესოა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ უკვე IV ათასწლეულიდან მოკიდებული მთიან დაღესტანში გავრცელებული ანთროპოლოგიური ტიპი უახლოვდება ამიერკავკასიის უძვე-

238 М. Г. Гаджиев, Из истории культуры Дагестана в эпоху бронзы. Махачкала, 1969, стр. 170.

239 Е. А. Бокарев, Введение в сравнительно-историческое изучение дагестанских языков. Махачкала, 1961, стр. 17; Г. А. Климов, Кавказские языки, стр. 58.



ლეს მოსახლეობას<sup>240</sup>. ვ. ალექსეევი აღნიშნავს, რომ კავკასიის ხალხები, რომლებიც უძველეს ხანაში ჩამოყალიბდნენ, კავკასიონის ანთროპოლოგიური კომპლექსის მატარებელი იყვნენ და მათი არეალის აღმოსავლეთი ნაწილი (უპირატესად დაღესტნელები) საგრძნობლად განსხვავდება ამავე არეალის დასავლეთი ნაწილის ხალხებისაგან<sup>241</sup>.

ქართველურენოვანი ტომები ცენტრალურ ამიერკავკასიის ოლქებში, როგორც აღვნიშნავდით, ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურის წინარე ხანაში ბინადრობდნენ. ეს ის ტერიტორია იყო, სადაც ძირითადად მიმდინარეობდა მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბების პროცესი. ძნელია გავიზიაროთ ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრება, რომ თითქოს ლინგვისტური მონაცემებით ქართველურ ფუძე-ენას ძვ. წ. III ათასწლეულში უნდა ეარსება და მას კომპაქტური, მთაგორიანი ტერიტორია ეკავა<sup>242</sup>. ჩვენ არ ვიცით რა ლინგვისტური მონაცემებზე დაყრდნობითაა გამოტანილი ეს დასკვნა, მაგრამ არქეოლოგიური მასალების საფუძველზე თითქოს სხვაგვარი სურათი ისახება. ძვ. წ. III ათასწლეულში მართლაც არსებობდა ქართველური ენობრივი ერთობა, რომლის კუთვნილება უნდა ყოფილიყო დაახლოებით დღევანდელ აღმოსავლეთ საქართველოსა და მის მიმდგომ მხარეებში გავრცელებული მტკვარ-არაქსის კულტურის თავისებური ვარიანტი. თანდათანობით ეს კულტურა დასავლეთ საქართველოშიც ვრცელდება. სავარაუდებელია, რომ უკვე ამ ხანაში თანდათანობით ყალიბდება საერთო ქართველური ფუძე-ენის აღმოსავლური და დასავლური დიალექტური ჯგუფები, რასაც საბოლოოდ საერთო ქართველურიდან სვანურის, როგორც დამოუკიდებელი ენობრივი ერთეულის ჩამოყალიბება მოჰყვა.

ძვ. წ. III ათასწლეულის შუახანებისათვის მტკვარ-არაქსის კულტურა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე საკმაოდ ფართოდ ვრცელდება, თითქმის კოლხეთის დაბლობამდე. რამდენადმე უფრო გვიან ამ კულტურის ნაკვალევი ჩანს უკვე მაღალმთიან ზოლშიც, თანამედროვე სვანეთის ტერიტორიაზე. ამას მოწმობს აქ აღმოჩენილი ადრეული ლითონის ნივთები (შუბისმაგვარი იარაღი, ცულები და სხვ.). ქართველურენოვანი ტომები დასავლეთ საქართველოში იკავებენ იმ ტერიტორიას, სადაც აფხაზურ-ადიღეური ტომები იყვნენ გავრცელებულნი და მათ შორის საკმაოდ მჭიდრო კონტაქტი მყარდება. შესაძლოა, რომ საერთო ქართველურისა და აფხაზურ-ადიღეურ ენათა შეხვედრები ამის შე-

240 А. Г. Гаджиев, Вопросы этногенеза народов Дагестана в свете данных антропологии. VII международный конгресс антропологических и этнографических наук. М., 1964, стр. 2; А. Г. Гаджиев, Об антропологическом типе древнего населения Дагестана и Северного Кавказа, Древности Дагестана, Махачкала, 1974, стр. 60.

241 В. П. Алексеев, О структуре и древности кавказского типа в связи с происхождением народов Центрального Кавказа. Кавказ и Восточная Европа в древности. М., 1973, стр. 100.

242 И. М. Дьяконов, Предыстория армянского народа, стр. 23.

დეგი იყო. სვანური ენის ნარევე ბუნებაზე ჯერ კიდევ ნ. მარი მიუთითებდა<sup>243</sup> და სვანურისა და აფხაზურის განსაკუთრებულ სიახლოვეს აღნიშნავდა<sup>244</sup>. სვანურის ნარევე ხასიათს იზიარებს აგრეთვე ა. ჩიქობავა, რომელიც ამ ენას ქართველური და აფხაზურ-ადიღეური დიალექტების შეჯვარების შედეგად თვლიდა და აღნიშნავდა, რომ ზანური წინ უსწრებს სვანურს<sup>245</sup>. ზოგიერთი მკვლევარი არ იზიარებს სვანურის ნარევე ხასიათს და აღნიშნავს, რომ სვანური განსაკუთრებით ახლოა „სიმბოლურ“ საერთო ქართველურ ენის მოდელთან<sup>246</sup>. აქვე გვინდა აღვნიშნოთ ანთროპოლოგიური მონაცემების შესწავლის შედეგად გამოთქმული მოსაზრება; აფხაზების განსაკუთრებული მდგომარეობა აფხაზურ-ადიღეურ ენოვან ხალხთა შორის ზოგიერთ მკვლევარს აფიქრებინებს, რომ ეს აფხაზების ქართველების დასავლურ შტოსთან ნათესაობითაა გამოწვეული და აფხაზთა ეთნოგენეზის პროცესი შესაძლოა აფხნათ როგორც ქართველთა გარკვეული ჯგუფის ადიღეურ ენაზე გადასვლის შედეგი<sup>247</sup>. ზოგმა ისიც აღნიშნა, რომ ანთროპოლოგიური მასალები მოწმობს აფხაზების უფრო მეტ სიახლოვეს ქართველთა ეთნიკურ სამყაროსთან, ვიდრე ადიღეურთან. აფხაზებს ადიღეურ ენათა ოჯახის ხალხებში შედარებით გვიან უნდა შეედღია და მათ ეთნიკურ ისტორიაში უფრო მეორად მოვლენას წარმოადგენენ<sup>248</sup>.

როდის და როგორ მიმდინარეობდა საერთო ქართველური ენის დიფერენციაციის პროცესი ჯერჯერობით მთლად ნათელი არ არის. საფიქრებელია, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მსხდომი ტომებისათვის თანდათანობით იქმნება ვითარება საერთო ქართველური ენის უფრო ღრმა დიფერენციაციისათვის. ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოსათვის ამ კულტურის შეცვლასთან ერთად, წარმოიქმნა პირობები სვანურის, როგორც დამოუკიდებელი ენობრივი სისტემის გამოყოფისათვის. თავის ღრობაზე გ. დეეტერსმა აღნიშნა, რომ საერთო ქართველურს ყველაზე ადრე გამოეთიშა სვანური ენა<sup>249</sup>. საერთო ქართველურ-ზანური ერთობა კიდევ დიდხანს

243 Н. Я. Марр, Кавказоведение и абхазский язык, стр. 15.

244 Н. Я. Марр, К вопросу о положении абхазского языка среди яфетических языков. Материалы по яфетическому языкознанию, V, СПб., 1912, стр. 28, 34.

245 А. Чикобава, Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик, Иберийско-кавказская этнолингвистика, II, Тбилиси, 1948, гл. 261.

246 Т. В. Гамкрелидзе, Современная диахроническая лингвистика и картвельские языки, ВЯ, 2, М., 1971, стр. 25, 30.

247 Г. К. Джанберидзе, Взаимоотношения абхазов с картвельскими и адыгейскими этническими группами в свете данных антропологии. Труды Ин-та экспериментальной морфологии АН СССР, т. XI, Тбилиси, 1963, стр. 211.

248 В. П. Алексеев, Антропологические материалы к этногенезу адыгейского народа. Сборник материалов по археологии Адыгей, т. III, Майкоп, 1971, стр. 130.

249 G. Deeters, Das khartwelische Verbum, Leipzig, 1930, 3.

ინარჩუნებს მკიდრო ურთიერთობას<sup>250</sup>. შემდეგში ხდება ამ ენობრივი ერთობის დაშლაც, რის შედეგადაც ქართული და ზანური უნდა წარმოქმნილიყო. ჯერ კიდევ ერთი აზრი არ არსებობს საერთო ქართველური ენის დაშლის ქრონოლოგიური თანამიმდევრობის შესახებ. გ. კლიმოვის აზრით, სვანური ენის გათიშვა ფუძე-ენიდან უნდა დაწყებულიყო ძვ. წ. XIX საუკუნეში<sup>251</sup>. უფრო გვიან გამოსულ თავის ნაშრომში იგი აღნიშნავს, რომ ძვ. წ. XIX საუკუნეში უნდა დაწყებულიყო ქართულ-ზანური არეალის გამოყოფა საერთო ქართველურიდან, ხოლო ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის დაშლის დასაწყისად მას ძვ. წ. VIII საუკუნე მიაჩნია<sup>252</sup>. VII—IV სს., ჰ. ფოქტის აზრით, ზანური ერთობის დაშლის სავარაუდო ეპოქა უნდა ყოფილიყო<sup>253</sup>. საერთო ქართველური ენის დიფერენციაციის შესახებ განსხვავებული მოსაზრებაც არსებობს. სვანური ენის გამოყოფა უნდა მომხდარიყო ძვ. წ. X საუკუნეში, ქართულ-ზანურის დიფერენციაცია კი ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე<sup>254</sup>.

მაგრამ, როგორც აღვნიშნავდით, საერთო ქართველური ერთობის დაშლის ხელსაყრელი პირობები მტკვარ-არაქსის კულტურის დასავლეთით განფენასთან დაკავშირებით იწყება. ამ კულტურის დაცემასთან ერთად საერთო ქართველური ერთობიდან დამოუკიდებელი ენობრივი სისტემის გამოყოფისათვის ხელსაყრელი ვითარება იქმნება. გ. მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ ქართველურენოვანი ტომები ამიერკავკასიაში სამხრეთიდან ქართველურის დიფერენციაციამდე, ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოსათვის უნდა გამოჩენილიყვნენ<sup>255</sup>. მანამდე კი იგი აქ ინდოევროპულენოვანი კოლექტივის არსებობას ვარაუდობს. მისი აზრით, საერთო ქართველური ან მცირედად დიფერენცირებული ქართველური ეთნიკური ჯგუფის კულტურა კოლხური კულტურა უნდა ყოფილიყო, რომლის საწყისებს იგი ძვ. წ. XVI—XV სს ვარაუდობს<sup>256</sup>. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ საერთო ქართველური ენობრივი ერთობის დაშლის პროცესი უფრო ხანგრძლივი იყო და მისი საწყისები ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოშია საქმებარი. მტკვარ-არაქსის კულტურის შეცვლასთან ერთად ქართველურენოვანი ტომობრივი ჯგუფების გადანაცვლება ხდება და ეგებ დასავლური დიალექტური

<sup>250</sup> თ. გამყრელიძე, გ. მაქავარიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

<sup>251</sup> Г. А. Климов, О глотохронологическом методе датировки распада праязыка, ВЯ, 2. М., 1959, стр. 121.

<sup>252</sup> Г. А. Климов, Кавказские языки, стр. 48; Е го же, Этимологический словарь картвельских языков, стр. 35.

<sup>253</sup> H. Vogt, Remarque sur la prehistorie des Langues Khartveliennes Revue Khartvelologie, vol. XI—XII, № 36—37, Paris, 1960, стр. 10.

<sup>254</sup> თ. გამყრელიძე, გ. მაქავარიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

<sup>255</sup> გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 243.

<sup>256</sup> იქვე, გვ. 72.

წრის მატარებელი ტომები, რომლისაგანაც შემდეგში სვანური ჩამოყალიბდა, ისეთ ვარემოში მოექცნენ, სადაც გათიშვისათვის ხელსაყრელი პირობები იყო.

ამრიგად, ქართველურენოვანი ტომები, სხვა კავკასიელ ტომებთან ერთად, იმთავითვე ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ბინადრობდნენ. წინააზიური რასის იმერული და კოლხური ტიპები თავისი ფესვებით ადგილობრივ პალეოანთროპოლოგიურ ტიპს უკავშირდებიან<sup>257</sup>. ლინგვისტური მონაცემებით ქართველურ ფუძე-ენის დონემდე არსებული ზოგიერთი ლექსიკური ერთობა შეიძლება ამ ტომების კავკასიაში არსებობაზე მიუთითებდეს<sup>258</sup>. მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბების საქმეში მათ ერთ-ერთი ძირითადი როლი მიუძღვით. ცოტა არ იყოს უცნაურად გამოიყურება მოსაზრება, თითქოს გაურკვეველი რჩება, თუ რომელი კულტურა უნდა მიეკუთვნოს საკუთრივ წინარე ქართველურის მატარებელ ტომებს და თითქოს მტკვარ-არაქსის კულტურა ამ ტომებში უნდა გაეცეცლებინათ კავკასიურის შორისეულ ენებზე მოუბარ ტომებს<sup>259</sup>.

როგორც აღვნიშნავდით, კავკასიური ერთობის დაშლის შედეგად ძვ. წ. IV ათასწლეულისათვის ამიერკავკასიის და ჩრდილოკავკასიის დასავლეთ ნაწილში ვრცელდებიან აფხაზურ-ადიღეური და ეგებ მათთან რამდენადმე დაახლოებული ხატური ტომები. შესაძლოა ჯერ კიდევ ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ქართველურენოვან ტომების თანდათანობით დასავლეთით განფენამ აფხაზურ-ადიღეური ერთობის შიგნით გარკვეული გადანაცვლება გამოიწვია, რასაც შედეგად ხატურენოვანი ტომების უფრო სამხრეთით გადასვლა მოჰყვა. ისინი თანდათანობით იკავებენ ანატოლიის ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილის საკმაოდ ფართო ტერიტორიას მდ. ჰალისამდე. შესაძლოა აფხაზურ-ადიღეური ტომები იმავე მიზეზით რამდენადმე უფრო ჩრდილო დასავლეთით ინაცვლებენ და ვრცელდებიან დასავლეთ ამიერკავკასიის დაბლობზე, მის ზღვისპირა რაიონებსა და ყუბანისპირეთში.

აფხაზურ-ადიღეური ტომების ადრეული ეთნოგენეზის პრობლემას არა ერთი მკვლევარი შეხება. ზოგი მათ სამხრეთით გადმოსულად თვლიდა, ზოგიც, პირიქით, აფხაზებს ჩრდილოეთიდან მოსულებად მიიჩნევდა. გამოითქვა მოსაზრება, რომ აფხაზური ეთნოსი ჩამოყალიბდა ადგილობრივი აბორიგენული მოსახლეობის და სამხრეთიდან გადმოსული მასების კონსოლიდაციის შედეგად<sup>260</sup>. აღინიშნა აგრეთვე აფხაზურ-ადიღეური ტომების ავტოქთონური წარმომავლობა<sup>261</sup>. უკვე კარგა ხანია გამოითქვა მოსაზრება, უპირატესად ტოპონიმიკური

<sup>257</sup> М. Г. Абдушелишвили, Антропология древнего и современного населения Грузии. Тбилиси, 1964, стр. 82.

<sup>258</sup> Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, стр. 37.

<sup>259</sup> И. М. Дьяконов, Предыстория армянского народа, стр. 24.

<sup>260</sup> З. В. Анчабадзе, История и культура древней Абхазии. М., 1964, стр. 119.

<sup>261</sup> Л. И. Лавров, О происхождении народов Северо-Западного Кавказа. Сборник статей по истории Кабарды. Нальчик, 1954, стр. 194.

მასალების საფუძველზე, რომ აფხაზურ-ადიღეური ტომების ადგილსამყოფელი დასავლეთ ამიერკავკასია უნდა ყოფილიყო. აკად. ი. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ ეს ტომები დასავლეთ ამიერკავკასიაში საქმაოდ აღრე უნდა გამოჩენილიყვნენ, შემდეგ კი უფრო შორს ჩრდილოკავკასიის მიმართულებით უნდა გავრცელებულიყვნენ<sup>262</sup>. ჩერქეზული (ადიღეური) ელემენტები დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკაში, აკად. ს. ჯანაშიას აზრით, ამ ტომების აქ ოდინდელი არსებობის მანიშნებელი უნდა იყოს<sup>263</sup>. ზოგიერთი მკვლევარი იმასაც აღნიშნავს, რომ ძვ. წ. III ათასწლეულიდან ქართველური და ადიღეური ტომები ფართოდ იყვნენ გავრცელებულნი ცენტრალური ანატოლიიდან მოკიდებული მთელ დასავლეთ ამიერკავკასიაში და უფრო შორს ჩრდილოეთითაც გადადიოდნენ<sup>264</sup>. აღსანიშნავია, რომ ტოპონიმიკური მონაცემები, ჩანს, ძირითადად ჯერ კიდევ აფხაზურ-ადიღეური ერთობის დროინდელი უნდა ყოფილიყო, მათი დიფერენციაციის წინარე პერიოდს მიეკუთვნება<sup>265</sup>.

როდის უნდა მომხდარიყო ამ ერთობის დაშლა ჯერჯერობით ძნელი სათქმელია. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ აფხაზურ-ადიღეური ფუძე-ენის დიფერენციაციის საწყისები ძალიან აღრე, სადღაც III და II ათასწლეულების მიჯნასთანაა საქებარი<sup>266</sup>. აღინიშნა ისიც, რომ აფხაზურ-ადიღეურის წინარე ენის გათიშვა ქართველურის დიფერენციაციაზე 400—500 წლით აღრე უნდა დაწყებულიყო, III ათასწლეულის მეორე ნახევარში<sup>267</sup>. ზოგმა სცადა კიდევ არქეოლოგიური მონაცემებით გაემაგრებინა აფხაზურ-ადიღეური ერთობის გათიშვა. ვ. მარკოვინის აზრით, კავკასიის დოლმენებში ორი არეალი უნდა გამოვყოთ: ჩრდილო-დასავლეთი, რომელიც ემთხვევა ადიღეელების სამყოფელს, და სამხრეთ-აღმოსავლეთი, რომელიც შეესაბამება აფხაზთა თანამედროვე საცხოვრისს<sup>268</sup>. როგორც ზევით იყო ნათქვამი, ძვ. წ. III ათასწლეულში დასავლეთ ამიერკავკასიაში და ყუბანისპირეთში არსებობდა მსგავსი კულტურა, რომელიც თავისი ფესვებით წინარე, ადგილობრივ ნეოლითურ კულტურასთან იყო დაკავშირებული. ამავე ათასწლეულის შუა ხანებისათვის ჩრდილო-დასავლეთ

262 И. А. Джавахишвили, Основные историко-этнологические проблемы истории Грузии, Кавказа и Ближнего Востока древней эпохи, ВДИ, 4. М., 1939, стр. 42.

263 ს. ჯანაშია, ჩერქეზული (ადიღეური) ელემენტები საქართველოს ტოპონიმიკაში, სსრკ მეცნ. აკადემიის საქ. ფილოლოს მოამბე, ტ. 1, № 8, თბ., 1940, გვ. 623.

264 გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 201.

265 Ш. Д. Инал-Ипа, Об этногенезе древнеабхазских племен. VII международный конгресс антропологических и этнографических наук. М., 1964, стр. 5.

266 Ш. Д. Инал-Ипа, Страницы исторической этнографии Абхазии. Сухуми, 1971, стр. 273.

267 Я. Е. Федоров, О дольменной культуре Западного Кавказа и ее посетителях. Вестник Московского университета, серия IX, История, № 4, Москва, 1974, стр. 80.

268 В. И. Марковин, Дольменная культура и вопросы раннего этногенеза абхазо-адыгов. Нальчик, 1974, стр. 49.

კავკასიაში, ყუბანისპირეთში თანდათანობით ყალიბდება მაიკოპის კულტურა. რომელიც ადრეულ საფეხურზე ჭერ კიდევ ინარჩუნებს გარკვეულ სიახლოვეს დასავლეთ ამიერკავკასიის ამავედროულ კულტურასთან. შემდგომში ეს კულტურები სულ უფრო და უფრო შორდებიან და III ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისი მაიკოპის კულტურის აყვავების ხანაა. ამიტომაც კულტურაში ასახული ამ მოვლენების საერთო აფხაზურ-ადილეური ერთობის დაშლასთან დაკავშირების ცდუნება ჩნდება. სავარაუდებელია, რომ ამ დროისათვის მიმდინარეობდა ამ ერთობის თანდათანობით დიფერენციაციის პროცესი, რასაც შედეგად აფხაზურის და ადილეურის როგორც დამოუკიდებელი ენობრივი ერთეულების ჩამოყალიბება მოჰყვა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ პროცესისათვის ხელი უნდა შეეწყოს იმასაც, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში დასავლეთ კავკასიაში, ჩანს, მნიშვნელოვანი ამბები ხდება. როგორც აღვნიშნავდით, ამ დროისათვის დასავლეთ ამიერკავკასიაში უკვე საკმაოდ ფართოდ გრცელდებიან ქართველურენოვანი ტომები. ამას არ შეიძლება მოსახლეობის გარკვეული გადაადგილება არ გამოეწვია, უპირატესად, ჩრდილო-დასავლეთით. შესაძლოა ამასთანაა დაკავშირებული ის, რომ სწორედ ამ ხანაში მაიკოპის კულტურის ფართო განფენა ხდება ძირითადად აღმოსავლეთის მიმართულებით<sup>269</sup>. ამავე პერიოდში დასავლეთ კავკასიაში დოლმენური კულტურა ჩნდება, რომელიც ზოგიერთმა ავტორმა ახალი ელემენტის მოსვლას დაუკავშირა და მათმა გამოჩენამ მაიკოპის კულტურის მატარებელი ტომების აღმოსავლეთით გადაადგილება გამოიწვია<sup>270</sup>.

მაიკოპის კულტურის მატარებელი მოსახლეობის შესახებ რ. მუნჩაევმა აღნიშნა, რომ ისინი ორი ეთნიკური ელემენტისაგან შედგება: ადგილობრივი და სამხრეთიდან გადმოსული. ამგვარი დასკვნა ძირითადად იმაზე იყო დაფუძნებული, რომ მაიკოპის კულტურაში მძლავრად შეინიშნება სამხრეთული გავლენები და ამან განაპირობა მაიკოპის კულტურის აღზევება. მაგრამ ვინ იყვნენ ეს ტომები, საიდან მოვიდნენ და სხვა, მისი აზრით, ჭერ კიდევ გაურკვეველი რჩება, თუმცა, ხატებთან, კერძოდ ქაშქებთან დაკავშირების ვარაუდის შესაძლებლობას მაინც უშვებს<sup>271</sup>. ცნობილია, რომ აფხაზურ-ადილეური ეთნიკური მასივის ხატებთან, პროტოხეთებთან ურთიერთობა არაერთგზის აღინიშნა<sup>272</sup>. ამის ერთ-ერთი მიზეზი, ზევით უკვე აღნიშნული, ხატურის კავკასიურ ენებთან, განსაკუთრებით აფხაზურ-ადილეურთან, არსებული გარკვეული სიახლოვის ნიშნები იყო. უნდა შევნიშნოთ, რომ აფხაზურ-ადილეური ტომების მცირე აზიიდან გადანაცვლებას და მათ ქაშქებთან კავშირის არქეოლოგიური საფუძვლე-

269 И. М. Чеченов, Нальчикская подкурганная гробница. Нальчик, 1973, стр. 53.

270 В. И. Марков и И. Дольменная культура и вопросы раннего этногенеза абхазо-адыгов, Нальчик, 1974, стр. 45.

271 Р. М. Мунчаев, Кавказ в эпоху неолита и ранней бронзы, стр. 755.

272 Народы Кавказа, ч. 2. М., 1962, стр. 443.

ბის მოძებნის ცდაც იყო. ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავდა, რომ წინააზიური ტიპის ქვის თოხების გავრცელება უძველესი მიწათმოქმედების არეალის გაფართოების ანარეკლი იყო და შესაძლებელია პროტონეების, კერძოდ ქაშქების ანატოლიიდან დასავლეთ კავკასიაში გადასახლებასთან იყო დაკავშირებული. დროით ამ პროცესის დასაწყისი, ეგებ, IV ათასწლეულის მეორე ნახევარზე მოდიოდეს. მოსულებმა კი არ განდევნეს აბორიგენები, არამედ აითქვიფნენ მათში და ამიტომაცაა, რომ დასავლეთ კავკასიის კულტურაში ადგილობრივი მეზოლითური და ზედაპალეოლითური ტრადიციები შემორჩენილა<sup>273</sup>. განსაკუთრებით აღსანიშნავია არქეოლოგ ლ. სოლოვიოვის მიერ წამოყენებული მოსაზრება<sup>274</sup>. მართალია მისმა დებულებებმა თავის დროზე სამართლიანი კრიტიკა გამოიწვია<sup>275</sup>, მაგრამ მას თანამოზიარენიც გამოუჩნდნენ<sup>276</sup>.

ლ. სოლოვიოვი აღნიშნავს, რომ მატერიალური კულტურის ერთგვაროვანი ხასიათი ზღვისპირეთში—ენგურიდან ადღერამდე საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ თავისებური კულტურა, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ სამხრეთ-დოლმენური კულტურა<sup>277</sup>. ამ კულტურის ყველაზე ცნობილი ძეგლებია ოჩამჩირის ნამოსახლარი და ეშერის დოლმენების ძირითადი ფენა. დოლმენები აფხაზეთში, მისი აზრით, სირია-პალესტინიდან უნდა გამოჩენილიყვნენ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში. კოლხეთის დაბლობის და მის მიმდგომ მთის სირა ზოლში მოსახლე ტომებმა, ლ. სოლოვიოვის აზრით, კულტურული და ალბათ, ეთნიკური ექსპანსია განიცადეს სამხრეთ კავკასიის ენეოლითის (მტკვარ-არაქსის კულტურის) მატარებელი ტომებისა, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოდან უნდა ყოფილიყვნენ გამოსული. დაბლაგომში და დიხაგუძებს ფენებში შეინიშნება ამ კულტურის ნაკვალევი<sup>278</sup>. მაგრამ, შემდეგში, აღნიშნავს იგი, ამ ორივე ძეგლზე სულ სხვა ტიპის კერამიკა ჩნდება, რომელიც გარკვეულ მსგავსებას იჩენს მცირე აზიის და პალესტინის თიხის ჭურჭელთან. ეს კერამიკა ჩანს აგრეთვე ოჩამჩირის ნამოსახლარზედაც. მისი აზრით, ამ ახალ კულტურას შეიძლება „პროკოლხური“ ვუწოდოთ. აქედან გამომდინარე, ლ. სოლოვიოვი შორს წასულ დასკვნებს აკეთებს, კერძოდ კი აღნიშნავს, რომ III—II ათასწლეულების მიჯნაზე კოლხეთის დაბლობზე მოსახლეობის შეცვლა უნდა მომ-

273 Я. Е. Федоров, Этнокультурные связи Западного Кавказа и Передней Азии в эпоху позднего неолита. Вестник Московского университета, серия IX, история. М., 1973, стр. 57.

274 Л. Н. Соловьев, Новый памятник культурных связей Кавказского Причерноморья в эпоху неолита и бронзы — Воронцовская стоянка, стр. 135.

275 В. И. Маркович, Культура племен Северного Кавказа в эпоху бронзы, стр. 28.

276 З. В. Анчабадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 124.

277 Л. Н. Соловьев, დასახ. ნაშრომი, გვ. 151.

278 იქვე, გვ. 162.

ხდარიყო. ეს დაკავშირებული უნდა ყოფილიყო მცირე აზიიდან ქაშქების გად-  
მოსახლებასთან, რომლებმაც აქ არა მარტო თავისებური კერამიკა მოიტანა, არა-  
მედ საკუთარი მეტალურგიაც. მცირე აზიიდან მოსულ ქაშქებისა და დოღმენუ-  
რი კულტურის მატარებელი მოსახლეობის შეხვედრა მშვიდობიანი ხასიათისა  
იყო, თუმცა ქაშქების პროტოხეთური ენა მანც გამარჯვებული გამოვიდა<sup>279</sup>.  
სულ სხვაგვარად წარიმართა საქმე კოლხეთის დაბლობზე, სადაც სამხრეთ კავ-  
კასიური ენეოლითური კულტურა ახალმოსულთა მიერ საფუძვლიანად იყო  
შეცვლილი, თუმცა ეს იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ ადგილობრივი მოსახლე-  
ობა ძირფესვიანად იყო აღმოფხვრილი. ამის ერთ-ერთი მოწმობა უნდა იყოს,  
მისი აზრით, ის, რომ ამ ტერიტორიაზე არ გვხვდება დოღმენები, რაც მხოლოდ  
სათანადო მასალის, ქვის ფილების ნაკლებობით არ შეიძლება აიხსნას; შესაძ-  
ლოა ამის მიზეზი უფრო ადგილობრივი ტომების რელიგიურ წარმოდგენებშია  
საძებარი. ყველაზე კარგად კულტურის ორმაგი ბუნება შეიმჩნევა რიონის დაბ-  
ლობის მთისწინა ზოლში, კერძოდ, საჩხერის სამაროვნების კერამიკა ჯერ კიდევ  
ინარჩუნებს სამხრეთ კავკასიური ენეოლითის ხასიათს, ლითონის ინვენტარში  
კი კარგად გამოირჩევა ახალი ნიშნები და სხვ<sup>280</sup>.

მაგრამ ძნელია გავიზიაროთ ლ. სოლოვიოვის მიერ წარმოდგენილი სურა-  
თი. საქმე იმაშია, რომ მას კოლხეთის დაბლობზე გამოვლენილი კულტურა  
მტკვარ-არაქსის კულტურის სფეროში შეჰყავს. მაგრამ, როგორც უკვე ზევით  
გვქონდა აღნიშნული, მტკვარ-არაქსის კულტურის უკიდურესი პუნქტი დაბლა-  
გომია, სამტრედიის რაიონში. დიხაგუძემა ანაკლიასთან ამ კულტურის სფე-  
როში არ ექცევა. კოლხეთის დაბლობზე ამ დროისათვის ადგილობრივ ტრ-  
დიციებზე აღმოცენებული კულტურა იყო გავრცელებული. ძნელია აქ კულტუ-  
რის შეცვლა ვივარაუდოთ და თანაც ის ვიფიქროთ, რომ იგი წინააზიური წარმო-  
მავლობისა იყო. აქ გამოვლენილი კერამიკული მასალა, პირიქით, ადგილობრივ  
ნეოლითს უკავშირდება და ბ. კუფტინმა, თავის დროზე, სცადა კიდევ მისი  
განვითარების საფეხურების დადგენა<sup>281</sup>. არც საჩხერის სამაროვნების ლითო-  
ნის ინვენტარი იძლევა იმის საფუძველს, რასაც მას ლ. სოლოვიოვი მიაწერს.  
როგორც უკვე ზევით ითქვა, საჩხერეში მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში  
მძლავრი მეტალურგიული კერა უნდა არსებულებოდა და იგი იმ პერიოდს მიეკუთ-  
ვნება, როდესაც ამ კულტურაში მეტალურგიული წარმოება წინაურდება. რა  
თქმა უნდა, ეს ხანა გაცილებით უფრო ადრეულია, ვიდრე ეს ლ. სოლოვიოვს  
ჰგონია და ვერაფერს შემთხვევაში ძვ. წ. III—II ათასწლეულებს ვერ მივაკუთ-  
ვნებთ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ დროისათვის სამხრეთიდან მართლაც  
მოხდა მოსახლეობის გარკვეული მასის გადანაცვლება. მაგრამ არა გვინდა,  
რომ მას ისეთი შედეგი მოჰყოლოდა, როგორც ეს ლ. სოლოვიოვს ჰგონია.

279 Л. Н. Соловьев, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 163.

280 იქვე, გვ. 164.

281 Б. А. Куфтин, *Материалы к археологии Колхиды*, II, стр. 257.



მაგრამ ლ. სოლოვიოვი კიდევ უფრო შორსაც მიდის. იგი აღნიშნავს, რომ პროკოლხური კულტურის მატარებელი ტომები, ეგებ ქაშქები, მამისონის უღელტეხილით ჩრდილოეთით, ყაბარდოში გადადიან და ადგილობრივ მოსახლეობას ერწყმინან. შემდეგში ჩრდილოკავკასიურ კულტურის მატარებელი მოსახლეობის ჯგუფები სტეპებში იჭრებიან და კატაკომბური კულტურის ჩამოყალიბებაში იღებენ მონაწილეობას. დამარხვის რიტუალის სხვაობის მიუხედავად (კატაკომბურ, ჩრდილოკავკასიურ და სამხრეთ-დოლმენურ კულტურებში), იგი მაინც ფიქრობს, რომ კატაკომბური კულტურის ელემენტები ძირითადად დასავლეთ ამიერკავკასიაში უნდა ჩასახულიყო და რაღაც უფრო მაღალი დონის კულტურული ერთობის — წინარეკატაკომბური კულტურის არსებობის შესაძლებლობას უშვებს, რომელიც მოიცავდა აგრეთვე სამხრეთ-დოლმენურს, პროკოლხურს და ჩრდილოკავკასიურ კულტურებს<sup>282</sup>. ჩრდილო კავკასიაში ისინი კონტაქტში შედიან მაიკოპის კულტურის მატარებელ ტომებთან. ქაშქების კოლხეთის დაბლობზე გამოჩენამ დაახლოებით 2000 წ., რომლებსაც უნდა მიეწეროს პროკოლხური და შემდეგ კი ჩრდილოკავკასიური კულტურები, საგრძნობლად გაამწვავა „მაიკოპელთა“ მდგომარეობა. მაიკოპის ეთნიკური მასივი ერთგვარ გარემოცვაში მოექცა. სამხრეთ დოლმენური კულტურის მატარებელი ტომები შავი ზღვის სანაპირო ზოლით საკმაოდ შორს ვრცელდებიან. მამისონისა და ეგებ დარიალის გადასასვლელითაც ქაშქები ჩრდილო კავკასიაში გადადიან, სადაც ნალჩიკის კულტურის მატარებელი ტომების ასიმილაცია მოახდინეს. ჩრდილოკავკასიური კულტურის აყვავების ხანა ემთხვევა მაიკოპის კულტურის დაცემის დროს და ადგილობრივი ეთნიკური ჯგუფების აღრევა ხდება ამიერკავკასიიდან გადმოსულ პროტოკატაკომბურ მოსახლეობასთან. ამის შედეგად მიღებულმა ეთნიკურმა მასივმა შემდეგში ყუბანისპირეთში მოსახლე ჩერქეზულ-ადიღეურ მოსახლეობას დაუმკვიდრა სახელი—ქაშაგ, ქეშეგი. ეს შესაძლოა იმის ანარეკლია, რომ ქაშქების ძირითადი მასა აქ მკვიდრდებოდა და სოციალურად დაწინაურებულ ფენას ქმნიდა<sup>283</sup>. მცირე აზიიდან ახლადმოსულებმა ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ ერთგვარად გამაერთიანებელი როლი შეასრულეს, რის შედეგადაც ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ტერიტორიაზე ენის მსგავსი ფორმები ჩამოყალიბდა. დროთა ვითარებაში, რა თქმა უნდა, ბევრი რამ წაიშალა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ორივე მხარეს დარჩა აფხაზურ-ადიღეურ-ჩერქეზულ-ყაბარდოული ეთნიკური ჯგუფი, რომელსაც საერთო ისტორიული წარსული ჰქონდა<sup>284</sup>. ამრიგად, როგორც ვნახეთ, ლ. სოლოვიოვი აფხაზურ-ადიღეური ტომების წარმომავლობის მეტად რთულ სურათს წარმოგვიდგენს და წამყვან როლს მცირე აზიიდან პროტოზე-

282 Л. Н. Соловьев, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 168.

283 Л. Н. Соловьев, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 171

284 იქვე, გვ. 172.

თური, ქაშქური მოსახლეობის გადმოსახლებას მიაწერს. მაგრამ, არა ვგეგნია, რომ ის არქეოლოგიური მონაცემები, რომლებიც მისი კონცეფციისათვის ძირითადი ამოსავალი წყაროა, ასეთი შორს წასული დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლეოდეს. მითუმეტეს, რომ ძირითადი არქეოლოგიური მასალა, რომლებზედაც ავტორი თავის დასკვნებს აგებს, მომდინარეობს ვორონცოვის გამოქვაბულიდან, სადაც მის მიერ შედარებით მცირე მასშტაბის გათხრები იყო ჩატარებული.

აფხაზური ეთნოსის ჩამოყალიბების საკითხს ეხება პროფ. ზ. ანჩაბაძე თავის საინტერესო ნაშრომში, რომელშიც იგი იხილავს აფხაზების უძველეს ისტორიას და კულტურას, მისი აზრით, ეს ეთნოსი უნდა წარმოქმნილიყო კავკასიის შავიზღვისპირეთში აბორიგენული მოსახლეობისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზიიდან მოსული ტომების ეთნიკური კოსმოლიდაციის ხანგრძლივი პროცესის შედეგად. ეს პროცესი უნდა დაწყებულიყო არა უგვიანეს III ათასწლეულის ბოლოს და მოსულმა ელემენტებმა აქ წამყვანი როლი შეასრულა<sup>285</sup>. აბორიგენული მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების შესახებ ახლა ვარკვევით ვერაფერი ითქმის, თუმცა იგი მინც უშვებს შესაძლებლობას, რომ ეს ტომები მოსულთა მონათესავენი იყვნენ<sup>286</sup>. ახალი ეთნიკური ელემენტი, კერძოდ კი მცირე აზიის ქაშქები, მისი აზრით, პროტოხეთური სამყაროდან უნდა იყოს გამოსული<sup>287</sup>. პროფ. ზ. ანჩაბაძეს თავისი დებულების საბუთად სხვადასხვა მონაცემები მოაქვს და საეჭვო მხარს უჭერს ლ. სოლოვიოვის მოსაზრებას ამ საკითხებთან დაკავშირებით. იგი უშვებს შესაძლებლობას, რომ ქაშქების დასავლეთ კავკასიაში გადმოსახლება, ეგებ, აქ დოლმენური კულტურის გამოჩენასთანაა დაკავშირებული<sup>288</sup>.

ქაშქების ვინაობის საკითხი სადღეისოდ მთლად ნათელი არ არის. იყო ეს ხალხი მცირე აზიის მკვიდრი თუ დასავლეთიდან ან კავკასიიდან შემოსული ჯერ კიდევ ვარკვევით თქმა ძნელია<sup>289</sup>. ამიტომაცაა, რომ მათი წარმომავლობის შესახებ სხვადასხვა აზრია გამოთქმული. ზოგიერთი მკვლევარი მათ კასიტებს, კასპიებს უკავშირებს<sup>290</sup>. ისიც ითქვა, რომ კოლხებში იგივე კაშკა-გასგები უნდა ვიგულისხმობთ<sup>291</sup>. აკად. ივ. ჯავახიშვილს კასკი და კოლხი დიალექტურ

285 З. В. Анчабадзе, История и культура древней Абхазии, стр. 120.

286 იქვე, გვ. 121.

287 იქვე, გვ. 123.

288 იქვე, გვ. 125.

289 F. Schuler, Die Kaşkärer, Berlin, 1965, 26.

290 Б. Грозный, Расшифровка протониндейских писем, ВДИ. №2. М., 1940, стр. 18; И. М. Дьяконов, История Мидии с древнейших времен до конца IV века до н. э. М.—Л., 1956, стр. 103; И. Алпеев, დასახ. ნაშრომი, გვ. 81; Гр. Капанцян, Хайаса — колыбель армян. Ереван, 1948, стр. 131.

291 პ. უშაკოვი, საქართველოს უძველესი ხალხები და უკანასკნელი წლების აღმოჩენები არქეოლოგიის დარგში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, X—B, თბილისი, 1940. გვ. 248.

სხვაობად მიიჩნედა<sup>292</sup>, ზოგიც ქაშქების უფრო პროტონეტურ, ხატურ წარმომავლობას უჭერს მხარს. პროფ. გ. ჯიორგაძე აღნიშნავს, რომ ქაშქების ადგილსამყოფელი ტერიტორიულად ხატების განსახლების უშუალო გაგრძელებას წარმოადგენდა და აქ კულტურული ერთიანობაც შეინიშნება. ამიტომ, შესაძლოა, რომ ქაშქები ხატების ახლო მონათესავე ტომები იყვნენ, თუმცა ენობრივად მათ სიახლოვეზე კატეგორიულად ლაპარაკი მაინც გაჭირდება<sup>293</sup>. ზოგიერთი მკვლევარი იმას აღნიშნავს, რომ სადღეისოდ ჯერ კიდევ გაჭირდება ქაშქური ენის სტრუქტურაზე და მის მონათესაობაზე ლაპარაკი<sup>294</sup>. ზოგი, პირიქით, იმას აღნიშნავს, რომ ქაშქები პროტონეტურ ენაზე ლაპარაკობდნენ<sup>295</sup>. აკად. გ. მელიქიშვილი თავის ადრინდელ ნაშრომში აღნიშნავდა, რომ სატომო სახელების ანალოზი (ქაშქა-ქაშავი, აბეშალა-აფშილი) თითქოს იმის ვარაუდის შესაძლებლობას იძლევა, რომ ქაშქები ეთნიკურად ჩრდილო კავკასიური (აფხაზურ-ჩერქეზული) წარმოშობისა უნდა ყოფილიყო. ამ ხალხის მცირე აზიის ჩრდილო ზოლში გამოჩენა, ეგებ, ჩრდილოეთიდან გადმოსროლილი ერთ-ერთი ტალღის შედეგი იყო, თუმცა იგი იმ შესაძლებლობასაც უშეებს, რომ ქაშქები ჩრდილო-კავკასიურ სამყაროსთან ენობრივად უაღრესად ახლო მდგომი პროტონეტების წარმომადგენლები ყოფილიყვნენ<sup>296</sup>. ქაშქები ეთნიკურად, ეგებ, მართლაც ახლოს იდგნენ პროტონეტებთან<sup>297</sup>. უფრო გვიან გამოსულ თავის ნაშრომში აკად. გ. მელიქიშვილი ფიქრობს, რომ ხატების ელემენტის მცირე აზიაში გაშორება შედარებით უფრო გვიანი მოვლენა უნდა ყოფილიყო და მათ პირველსაცხოვრის კასიტების და ხური-ურარტული ტომების თავდაპირველი ადგილსამყოფელის მახლობლად, ზაგროსის ჩრდილოეთ რაიონებში, ეძებს<sup>298</sup>. ის ტერიტორია, ცენტრალური ანატოლია და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი, სადაც პროტონეტური მოსახლეობა იყო გავრცელებული, ახლა მისი ვარაუდით, ქართველური და აფხაზურ-ადიღური ტომების საცხოვრისი უნდა ყოფილიყო. ზოგიერთი ლექსიკური პარალელი პროტონეტურსა და ქართველურ და ადიღურ ენებში აღმოსავლეთ თუ ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში მათ შეხვედრებს უნდა მიეწეროს<sup>299</sup>.

<sup>292</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1913, გვ. 26.

<sup>293</sup> Г. Гиоргадзе, К вопросу о локализации и языковой структуре каспских этнических и географических названий. Переднеазиатский сборник. М., 1961, стр. 210.

<sup>294</sup> E. Schuler, დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

<sup>295</sup> Г. А. Меликишвили, Наирн-Урарту, стр. 73.

<sup>296</sup> გ. მელიქიშვილი, ქაშქების ხალხის ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის, ზიომბილერე. III, თბილისი, 1953, გვ. 204.

<sup>297</sup> Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, стр. 168.

<sup>298</sup> გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ენა-ელებსი მოსახლეობის საკითხები, გვ. 165.

<sup>299</sup> გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 201.

ქაშქების გადმოსახლებას უკავშირებს, ზოგიერთი მკვლევარი, დასავლეთ კავკასიაში დოლმენური კულტურის გამოჩენას. ამ კულტურის აყვავების ეპოქა აფხაზეთში, ადრებრინჯაოს ხანიდან მოკიდებული, შეიძლება განვიხილოთ. როგორც უძველესი აფხაზური ეთნოსის ფორმირების საწყისი სტადია<sup>300</sup>. ზოგიც იმას ფიქრობს, რომ დოლმენების მშენებლები უნდა მივიჩნიოთ ადიღეელთა, აფხაზთა, ყაბარდოელებს და სხვათა წინაპრად. თვით იდეა დოლმენების აგებისა მათ გადმოიღეს ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებიდან სამხედრო თუ სავაჭრო ურთიერთობის შედეგად<sup>301</sup>. პროფ. შ. ინალიფას ნაკლებ დამაჯერებლად მიაჩნია მოსაზრება, რომ თითქოს დოლმენური კულტურის გავრცელების იდეა გადმოტანილი იყოს საზღვაოსნო ურთიერთობის შედეგად<sup>302</sup>. იგი უფრო იმ აზრისაა, რომ დოლმენური კულტურა კავკასიაში იქმნებოდა ადგილობრივ, ერთგვაროვან ეთნიკურ და კულტურულ გარემოში. მას საამისოდ არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული დასაბუთება მოჰყავს და ასკვნის, რომ კავკასიის დოლმენები აფხაზურ-ადიღეური ტომების შორეული წინაპრების კუთვნილება უნდა ყოფილიყო<sup>303</sup>. ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ რაკი დოლმენების გავრცელების ტერიტორია ემთხვევა აფხაზურ-ადიღეური ლინგვისტური ჯგუფის არეალს, ამიტომაც შესაძლებელია დოლმენების მშენებლები თავიდანვე აფხაზებისა და ადიღეელების წინაპრები იყვნენ<sup>304</sup>. ზოგიც იმას აღნიშნავს, რომ დოლმენური კულტურა პროტოაფხაზების კუთვნილება უნდა ყოფილიყო<sup>305</sup>. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იმის ცდაც იყო, რომ კავკასიაში დოლმენების მშენებლობა სხვა ხალხებთან ერთად კოლხებისთვის დაეკავშირებინათ<sup>306</sup>. ბ. კუფტინი თავის დროზე აღნიშნავდა, რომ ყველაზე ძნელია დოლმენური კულტურის ეთნიკური დახასიათების საკითხი<sup>307</sup>. აფხაზთა გამოჩენას იგი ელინისტურ ხანას უკავშირებდა<sup>308</sup>.

უკანასკნელ ხანებში აფხაზურ-ადიღეური ტომების ადრეული ეთნოგენეზის საკითხს შეეხო არქეოლოგი ვ. მარკოვინი კავკასიის დოლმენურ კულტურასთან დაკავშირებით. მისი აზრით, ეს კულტურა აფხაზურ-ადიღეური ეთნო-

300 З. В. А н ч а б а д з е, დასახ. ნაშრომი, გვ. 125.

301 Л. И. Л а в р о в, Дольмены Северо-Западного Кавказа, стр. 106.

302 Ш. Д. И н а л - И п а, Страницы исторической этнографии Абхазии, стр. 51.

303 ი ქ ვ ე, გვ. 56.

304 Е. П. А л е к с е е в а, Древняя и средневековая история Карачаево-Черкесии. М., 1971, стр. 39.

305 Я. Е. Ф е д о р о в, О дольменной культуре Западного Кавказа и ее носителях. Вестник Московского университета, серия IX, История, № 4, М., 1974, стр. 86.

306 И. А д а м н я, Грузинское народное зодчество, II, Тбилиси, 1968, стр. 23.

307 Б. А. К у ф т и н, Материалы к археологии Колхиды, I, стр. 312.

308 ი ქ ვ ე, გვ. 311.

სის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო იყო<sup>309</sup>. დოლმენების გავრცელების რუკა კავკასიაში საფუძვლიან ემთხვევა აფხაზურ-ადიღეური ტომების ადგილსამყოფელს და იგი ორ არეალს გამოჰყოფს, რომელთაგან, ერთი შეესაბამება ადიღელების საცხოვრისს, მეორე კი აფხაზებისას<sup>310</sup>. ვ. მარკოვინი იხილავს კავკასიაში დოლმენების გამომჩენის საკითხს და აღნიშნავს, რომ ეს ძეგლები კონსტრუქციული ხასიათით განსაკუთრებით უახლოვდებიან ხმელთაშუაზღვისპირეთის დოლმენებს. პირენეის ნახევარკუნძულის ადრეული დოლმენები განსაკუთრებით უახლოვდებიან კავკასიურ ძეგლებს. აღსანიშნავია, რომ ხმელთაშუაზღვისპირეთის და კავკასიის დოლმენები ინვენტარის ხასიათითაც უახლოვდებიან ერთმეორეს<sup>311</sup>. ვ. მარკოვინი ცდილობს დაადგინოს ხმელთაშუაზღვისპირეთში დოლმენების გავრცელების გზა და იმის გამო, რომ კავკასიის უძველესი დოლმენები პირენეის ნახევარკუნძულის (თანამედროვე პორტუგალია) ამ ტიპის ძეგლებთან პოულობს განსაკუთრებულ სიახლოვეს, ფიქრობს, რომ შესაძლოა ეს მოძრაობა სწორედ აქედან დაწყებულიყო. კავკასიაში ეს ახლადმოხულები ძირითადად მაიკოპის კულტურის მატარებელ ტომებთან შედიან კონტაქტში და, ეგებ, მათი აღმოსავლეთით გადაადგილების ერთ-ერთი მიზეზი ესეც ყოფილიყო. რაკი კავკასიის დოლმენები განსაკუთრებით უახლოვდებიან პირენეის ნახევარკუნძულის ძეგლებს და არსებობს აზრი, რომ აქაური მეგალითური კულტურა ბასკებს უკავშირდება, ამიტომაც ვ. მარკოვინს მოჰყავს ცნობილი დებულება ბასკურ-კავკასიური ენების სიახლოვის შესახებ; თუმცა ამასთან დაკავშირებით რაიმე გარკვეული დასკვნებიდან თავს იკავებს და აღნიშნავს, რომ იგი ცდილობდა მხოლოდ კავკასიისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის კონტაქტების რეალური შესაძლებლობისათვის გაეჩუვა ხაზი<sup>312</sup>. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ბოლო დროს იმის ცდაც იყო, რომ კავკასიის დოლმენები ბირთვისებრივ ამფორების კულტურისათვის დაეახლოვებინათ და ამ კულტურის მატარებელი ტომების დასავლეთიდან აღმოსავლეთით გადაადგილების ვარაუდიც გამოეთქვათ<sup>313</sup>.

რამდენად მართებულადაა ასახული ვ. მარკოვინის მიერ კავკასიის დოლმენების წარმომავლობის სურათი, ახლა ძნელი სათქმელია. არ არის გამორიცხული, რომ სამარხის ეს ტიპი კავკასიაში მართლაც ხმელთაშუაზღვისპირეთის აუზიდან გავრცელდა. მაგრამ აზრი, რომ დოლმენური კულტურის მატარებელი ტომები აფხაზურ-ადიღეური ეთნოსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო,

<sup>309</sup> В. И. Марковин, Дольменная культура и вопросы раннего этногенеза абхазо-адыгов, стр. 48.

<sup>310</sup> იქვე, გვ. 49.

<sup>311</sup> იქვე, გვ. 40.

<sup>312</sup> В. И. Марковин, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 50.

<sup>313</sup> Н. Н. Николаева, В. А. Сафронов, Происхождение дольменной культуры Северо-Западного Кавказа. «Сообщение», вып. VII, Научно-методического совета по охране памятников культуры. М., 1974, стр. 174—198.

მთლად დამაჯერებელი არ არის. საქმე იმაშია, რომ კავკასიის დოლმენებში არსებობის მთელ მანძილზე კავკასიური ბრინჯაოს კულტურაა ასახული. ამიტომაც, შესაძლოა დოლმენები კავკასიაში ახალი ეთნიკური ელემენტის გავრცელებასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ჩანს, რომ მას რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზე არ უნდა მოეხდინა. ამრიგად, საფიქროებელია, რომ აფხაზურ-ადიღურ ტომები კავკასიური ერთობის დაშლის შედეგად ძირითადად კავკასიის დასავლეთ ნაწილში ბინადრობდნენ და აქ აღმოჩენილი კულტურა ამ ტომების კუთვნილება უნდა ყოფილიყო. ის კულტურული ტრადიციები, რომლებიც კავკასიურ მასალებში შეინიშნება, არ იძლევა საფუძველს იმისა, რომ კავკასიის უძველესი მოსახლეობა მოვწყვიტოთ იმ კულტურას, რომელიც აქ ადამიანთა საზოგადოების ჩასახვის მომენტიდან არსებობს. რა თქმა უნდა, ამ დიდი დროის მანძილზე ადგილი უნდა ჰქონოდა კავკასიის ეთნიკური მასივიდან გარკვეული მასების გადაადგილებას და, პირიქით, კავკასიაში ახალი ეთნიკური ელემენტის გამოჩენას. მაგრამ ამას რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა კავკასიაში მიმდინარე ეთნოკულტურული პროცესის განვითარებაზე, ჩანს, არ მოუხდენია.

უნდა აღინიშნოს, რომ ანთროპოლოგიური მონაცემები კავკასიის უძველესი მოსახლეობის ერთიანობის და ადგილობრივი წარმომავლობის შესახებ მეტყველებს. კავკასიის მოსახლეობის თანამედროვე ძირითადი ანთროპოლოგიური ტიპები ადგილობრივ უნდა წარმოქმნილიყვნენ<sup>314</sup>. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, კავკასიის აბორიგენული მოსახლეობის გენეზისი უშუალოდ უკავშირდება ინდო-ხმელთაშუაზღვისპირულ რასას. კავკასიის პალეოანთროპოლოგიური მასალები სოწმობენ, რომ უძველესი მოსახლეობა უფრო მეტ სიახლოვეს ამკლავებს ურთიერთთან, ვიდრე ეს ამ ტერიტორიაზე მოსახლე თანამედროვე ხალხებში შეინიშნება. ეს კი კავკასიის უძველესი მოსახლეობის ანთროპოლოგიურ სიახლოვეზე უნდა მეტყველებდეს<sup>315</sup>. აღსანიშნავია, რომ კავკასიის თანამედროვე მოსახლეობაში წარმოდგენილია ინდო-ხმელთაშუაზღვის ანუ სამხრეთ ინდო-ევროპეიდული რასის სამივე ჯგუფი: ინდო-პამირის, წინააზიური და ხმელთაშუაზღვისპირულ-ბალკანური ანუ ბალკანურ-კავკასიური. დღეს კავკასიაში გვხვდება შემდეგი ტიპები: წინააზიური, პონტური, კასპიური და კავკასიონის. ინდოპამირულს შეესატყვისება კასპიური ტიპი, ხმელთაშუაზღვისპირულ-ბალკანურს — პონტური და წინააზიური, რომელიც ყველაზე გავრცელებული ტიპია კავკასიის დღევანდელ მოსახლეობაში<sup>316</sup>. აღსანიშნავია, რომ კავკასიონის ტიპი,

<sup>314</sup> М. Г. А б д у ш е л и ш в и л и, Антропология древнего и современного населения Грузии. Тбилиси, 1964, стр. 90; მ ი ს ი ვ ე, ქართველი ხალხის ანთროპოლოგიური გენეზისი, მნათობი, 7, თბილისი, 1969, გვ. 175.

<sup>315</sup> М. Г. А б д у ш е л и ш в и л и, Антропологический генезис аборигенного населения Кавказа. Труды Московского общества испытателей природы, т. XLIII. М., 1972, стр. 231.

<sup>316</sup> ი ქ ვ ე, გვ. 227.

კავკასიის გარდა, სხვაგან არ გვხვდება<sup>317</sup>. უთუოდ ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ კავკასია, როგორც აღნიშნავს პროფ. მ. აბდუშელიშვილი, მსოფლიოში ერთადერთი ტერიტორიაა, სადაც თავმოყრილია სამხრეთევროპეიდული რასის სამივე ძირითადი ჯგუფი. იგი კავკასიაში გავრცელებულ თანამედროვე ტიპების შესწავლის შედეგად იმ დასკვნამდე მიდის, რომ სამხრეთევროპეიდული რასის ყველა ანთროპოლოგიურ ჯგუფს კავკასიის ტერიტორიაზე ადგილობრივი ძირები ეძებნება. და უფრო მეტიც, კავკასიის აბორიგენული მოსახლეობის გენეზისი უშუალოდ უკავშირდება ინდო-მელთაშუაზღვისპირული რასის წარმომავლობის საკითხს. კავკასიის მოსახლეობის რასოგენეზსა და ეთნოგენეზში წამყვანია ადგილობრივი ანთროპოლოგიური სუბსტრატის წარმოქმნა, ჩამოყალიბება და განვითარება<sup>318</sup>. აქ საინტერესოა აღნიშნოს, რომ კავკასიის აბორიგენული მოსახლეობის სამივე ტიპი ერთმანეთთან უფრო მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს, ვიდრე სამხრეთევროპეიდული რასის ტერიტორიულად უფრო დაშორებული ჯგუფები. ამიტომაც, ფიქრობს მ. აბდუშელიშვილი, შეიძლება ვილაპარაკოთ ამ რასის კავკასიურ ერთობაზე, რომლის ძირები შორს სიღრმეშია საძებარი<sup>319</sup>. ნიშანდობლივია, რომ კავკასიურ ანთროპოლოგიურ ტიპებს შორის მკვეთრი ზღვარის გავლება ჭირს<sup>320</sup>. უნდა შევნიშნოთ, რომ აქაც, კავკასიის სინამდვილეში იგივე მეორდება, რასაც ენობრივი მონაცემების განხილვისას ადვანიშნავდით: კლიმატურ-გეოგრაფიული პირობები ხელს უწყობდა მოსახლეობის ანთროპოლოგიურ თავისებურებათა ადრეულ დიფერენციაციას<sup>321</sup>. პროფ. მ. აბდუშელიშვილის აზრით, რაკი კავკასიის ტერიტორიაზე წარმოდგენილია ინდო-მელთაშუაზღვისპირული რასის ყველა ძირითადი ჯგუფი, ამიტომ ბუნებრივია იბადება კითხვა მათი ავტოქთონური წარმომავლობის შესახებ<sup>322</sup>. კავკასიაში არსებობდნენ და ვითარდებოდნენ სამხრეთინდოევროპეიდული რასის ტიპები, რომლებმაც აქ ადგილობრივი ხასიათის ცვლილებები განიცადეს<sup>323</sup>. ამრიგად, აღნიშნავს იგი, კავკასიის თანამედროვე ეთნიკური ჯგუფები შთამომავალნი არიან

<sup>317</sup> Народы Кавказа, I, М., 1960, стр. 28.

<sup>318</sup> М. Г. Абдушелишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 228.

<sup>319</sup> М. Г. Абдушелишвили, Материалы совместных советско-индийских антропологических исследований в свете общих проблем генезиса индо-средиземноморской расы. Советская этнография, № 5. М., 1972, стр. 125.

<sup>320</sup> Народы Кавказа, стр. 27.

<sup>321</sup> М. Г. Абдушелишвили, Антропологический генезис аборигенного населения Кавказа, стр. 231.

<sup>322</sup> М. Г. Абдушелишвили, Материалы совместных советско-индийских антропологических исследований..., стр. 231.

<sup>323</sup> М. Г. Абдушелишвили, Некоторые проблемы этнической антропологии Юго-Западной Азии в свете новейших исследований, IX международный конгресс антропологических и этнографических наук (Чикаго), М., 1973, стр. 3.

იმ მოსახლეობისა, რომელიც უხსოვარი დროიდან კავკასიის ტერიტორიაზე ბინადრობდა და რომელმაც ლითონის მაღალი კულტურა დავეიტოვა<sup>324</sup>.

კავკასიის თანამედროვე მოსახლეობაში ყველაზე გავრცელებულია წინააზიური ტიპი. საერთოდ ეს ტიპი ფართო ტერიტორიაზე იყო განფენილი და მოიცავდა მთელ წინა აზიას კავკასიის ჩათვლით. პროფ. გ. დებეცი თავის დროზე აღნიშნავდა, რომ წინააზიური ტიპის ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა დაახლოებით იმ ტერიტორიაზე, სადაც იგი დღეს გვხვდება<sup>325</sup> და იგი თავისი ფესვებით შორს სიღრმეში მიდის<sup>326</sup>. მ. აბდუშელიშვილი აღნიშნავს, რომ წინააზიური სუბსტრატი დაედო საფუძვლად კავკასიის თანამედროვე მოსახლეობის ძირითადი ანთროპოლოგიური ტიპების ფორმირებას; პალეოანთროპოლოგიური მასალა იძლევა იმის თქმის უფლებას, რომ კავკასიაც ის ტერიტორია იყო, სადაც ყალიბდებოდა წინააზიური რასობრივი ტიპი<sup>327</sup>. აქ საინტერესოა აღვნიშნოთ მის მიერ ახლახან გამოთქმული აზრი, რომ პალეოანთროპოლოგიური მასალების საფუძველზე ისე ჩანს, რომ დასავლურკასპიური ტიპი წინა აზიურთან ადრე უფრო ახლოს მდგარა<sup>328</sup> და კასპიური ტიპის გარჩევა კრანიოლოგიურად წინააზიურისაგან თითქმის შეუძლებელია<sup>329</sup>. საქართველოს თანამედროვე ტერიტორიაზე წინააზიური რასის ორი სახესხვაობა გამოირჩევა: იბერიული და კოლხური, რომელთა ჩამოყალიბების ფესვებიც, მ. აბდუშელიშვილის მოსაზრებით, კარგად შეინიშნება ადგილობრივ პალეოანთროპოლოგიურ მასალებში<sup>330</sup>. საერთოდ კავკასიაში წინააზიური ტიპი დამახასიათებელია სომხებისათვის და ქართველებისათვის, უპირატესად მისი აღმოსავლურ-ეთნოგრაფიული ჯგუფისათვის<sup>331</sup>. უნდა აღვნიშნოთ, რომ კავკასიაში რასების სისტემაში ტიპების გამოყოფის ერთგვარად განსხვავებული სურათი წარმოგვიდგინა პროფ. ვ. ალექსეევმა, ისიც, რა თქმა უნდა, კავკასიაში არსებულ რასებს, ინდოევროპეი-

324 М. Г. Абдушелишвили, Генезис горнокавказских групп в свете данных антропологии. Происхождение осетинского народа. Орджоникидзе, 1967, стр. 139.

325 Г. Ф. Дебец, Заселение Южной и Передней Азии по данным антропологии. Происхождение человека и древнее расселение человечества. Труды Ин-та этнографии. Новая серия, т. XVI. М., 1951, стр. 366.

326 М. Г. Абдушелишвили, Антропология древнего и современного населения Грузии, стр. 80.

327 М. Г. Абдушелишвили, Материалы совместных советско-индийских антропологических исследований..., стр. 126.

328 М. Г. Абдушелишвили, Об антропологических взаимоотношениях народов Кавказа и Юго-Западной Азии в свете основных проблем исторической антропологии Кавказа. Материалы к антропологии Кавказа, вып. III, Тбилиси, 1974, стр. 16.

329 В. П. Алексеев, Краниология народов Восточной Европы и Кавказа в связи с проблемой их происхождения. Автореферат. М., 1967, стр. 49.

330 М. Г. Абдушелишвили, Антропология древнего и современного населения Грузии, стр. 82.

331 Народы Кавказа, I, стр. 27.



დული დიდი რასის სამხრეთულ შტოს მიაკუთვნებს და აქ სამ რასას გამოჰყოფს: ბალკანურ-კავკასიურს, წინააზიურს და ინდო-პამირულს. პირველში იგი ორ ტიპს აერთიანებს კავკასიონისა და პონტურს, წინააზიურში—არმენოიდულს და ინდოპამირულში — კასპიურს. ამ სამი რასიდან ადგილობრივ წარმომავლობას იგი მხოლოდ ბალკანურ-კავკასიურს მიაწერს. დანარჩენი ორი თავისი წარმოშობით წინა აზიას უკავშირდებიან<sup>332</sup>. წინააზიური რასის არმენოიდული ტიპის ფორმირების ძირითადი არეალი წინა აზიაა, რომელშიც, როგორც ჩრდილო პერიფერიულ ნაწილში, სომხეთის ტერიტორიაც შედიოდა<sup>333</sup>.

